ყურანისა და სუნნეთის მიხედვით

ისლამი

რწმენა

დვთისმსახურება

ოსმან ნური თოფბაში

بسم الله الرحمن الرحيم

თარგმნა
ნინო ჩოგაძემ

თეოლოგიური რედაქტორი:
თემურ გორგაძე

რედაქტორი:
მიხეილ გელაძე

კორექტორი:
რაშიდ ბოლქვაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
როინ კოჩალიძე

მისამართი:
ხელვაჩაური; ანგისა

თარგმნილია:
Osman Nurı Tobbaş
ISLAM IMAN IBADET

წიგნი გამოცემულია ფონდ „ბარაქას“
ფინანსური მხარდაჭერით

მისამართი:
ბათუმი; ანგისა

ISBN 978 - 9941 - 0 - 2488 - 7

ყურანისა და სუნნეთის მიხედვით

ისლამი
რწმენა
ღვთისმსახურება

ოსმან ნური თოფბაში

ბათუმი **2010**

წინასიტყვაობა

ქება დიდება ჩვენთვის, უსუსური მონა-მსახურებისთვის, რწმენის სიმშვიდის წყაროდ დამწესებელ უდიდეს ალლაჰს!

ლოცვა და სალამი კაცობრიობის წყვდიადიდან სინათლეში გამომყვან წმინდა მუჰამმედ ﷺ შუამავალს!

ნებისმიერი ადამიანი, ვისაც გაგების უნარი გააჩნია, მიხვდება, რომ სამყარო უმიზნოდ არ შექმნილა, ცხოვრება ამაო და შემთხვევით დინებაზე არ მიშვებულა. კაცობრიობას, შუამავლების საშუალებით, ღვთის საფეხურებიდან მუდმივად ქადაგებები ეგზავნებოდა:

„ადამიანებო! აი, თქვენი ჭეშმარიტი გზა!“

მოკლედ, **„ჭეშმარიტ რელიგიად“** ანუ **„ისლამად“** წოდებული ეს ღვთიური ქადაგებები, უეჭველად ის წყალობაა, რომელიც ჭეშმარიტების, ღვთის წყალობისა და მფარველობის მოპოვების გზაზე მთელ კაცობრიობას უგულისყურობისგან აფხიზლებს, წარმავალიდან მარადიულობაში გადაჰყავს და მარადიულ ბედნიერებას მოაპოვებინებს.

აქედან გამომდინარე, **ისლამი** უზენაესი ღმერთის მიერ კაცობრიობისთვის ბოძებული ყველაზე დიდი სიკეთეა. წმინდა ადამიდან მოყოლებული დღემდე, ამ სიკეთის მოყვარულმა მორწმუნეებმა, ისლამის ბარაქით, მათში არსებული საგანძური დაიცვეს, თავიანთი გულები და ეს ქვეყანა ვარდის ბაღს დაამსგავსეს.

უფრო მაღალ საფეხურზე ასული ღვთისმოშიში ადამიანები კი ანგელოზებზე მაღალ დონეზე ამაღლდნენ. ამგვარად, მათ სრული ბედნიერების სიამოვნება იგემეს.

უამრავი ისტორიული გამოვლინებით დამტკიცებულია, რომ ადამიანის ბუნება რწმენის ჭეშმარიტების საფუძველზეა შექმნილი. მისი გულის სამყაროს სიღრმეში ჭეშმარიტების შეცნობის უნარი, მძაფრი რწმენის მოთხოვნილება და ღმერთთან შეხვედრა შეცნობის შესაძლებლობაა დამალული. უეჭველია, რომ ისტორიის მანძილზე ეს ყველაფერი ისლამის მიხედვით ცხოვრებაში გამოვლინდა.

თევჰიდის (ერთადერთი ალლაჰის რწმენა) საშუალებით **ისლამმა** ნამდვილად მოიტანა ღმერთთან შეხვედრის შესაძლებლობის ის სიხარული, რომლის მსგავსი სხვა სიამოვნება არ არსებობს. ის ისეთი სიხარულია, რომ საიქიოს ყველა სიამოვნება და საიდუმლო მის გამოვლინებასთანაა დაკავშირებული. წმინდა მუჰამმედ შუამავლის ﷺ თანამიმდევრები და მის კვალით მოსიარულე ბედნიერები, ისლამის ამ სიხარულით, ესე იგი, ღმერთთან შეხვედრის შესაძლებლობის იმედით, სიცოცხლეს და ქონებას გულუხვად გაიღებენ. ისინი ადამიანური შესაძლებლობების ფარგლებში, ალლაჰისა და მისი შუამავლის ﷺ გზაზე ყოველთვის შეუპოვრად ივლიან.

ადამიანები, რომელთა მიზანიც გულწრფელი მონამსახურებრივი ცხოვრებაა, ვალდებული არიან ჩასწვდნენ რწმენას და ღვთიური კანონებით იცხოვრონ.

სასიხარულო ამბავი იმ მორწმუნეებს, ვის გულებშიც – რწმენა, მკერდში – ყურანი, სინდისში კი მაღალი ზნეობაა განთავსებული და განიცდიან მარადიული ბედნიერების სიამოვნებას, ვინაიდან, ამქვეყნიური და იმქვეყნიური ბედნიერება ალლაჰის რწმენასთან კავშირსა და მორჩილებაშია. ეს ბედნიერი ადამიანები ღვთისმოსავი ადამიანების ნუსხაში არიან შეყვანილი, უდიდესი ღმერთის სიყვარული აქვთ მოპოვებული და მის საფეხურებზე ამაღლებული არიან. ხოლო, ისინი, ვინც ზურგი შეაქცია ჭეშმარიტებას, ღვთიურ სატანჯველს დაიმსახურებენ და ორივე სამყაროში უბედურებად იქცევიან. ამქვეყნის ზეცას მათთვის არასდროს გაუღიმია, უბედურებას კი არასდროს აუტირებია. ამ გადასახედიდან, წარსული თაობებისგან დარჩენილი დადებითი ან უარყოფითი მოგონებები, მომავალი თაობებისთვის ანდერძად დარჩენილი სწორი გზის ჩვენების საშუალებებია. ჩვენს ზემოთ გაშლილი ხომ ის ცაა, საიდანაც ურწმუნოებისთვის ტანჯვა და უბედურება იგზავნებოდა. ბორცვებზე ამოსული ხომ ის მზეა, რომელიც ჯერ ფარაონის, ჰამანისა და ნემრუდის სასახლეებს ანათებდა, შემდეგ კი ზემოდან მათ ნანგრევებს დაჰყურებდა. და როგორც ყოველთვის, ისლამი კვლავ რჩება გულის სამყაროს ერთადერთ გამწმენდ საშუალებად, უმეცრების წყვდიადის გამნათებელ ერთადერთ ლამპრად. ადამიანის მოვალეობაა ისლამის ზეცის, რწმენის ლამპრის ქვეშ შეიცნოს საკუთარი თავი და იცნოს ღმერთი. ადამიანი ხომ დიდი სამყაროს პატარა მოდელია. მიწისგან შექმნილ სხეულში ღვთიური საიდუმლოებები და ჭეშმარიტებებია დამალული. ეს

სინატიფითა და სინაზით შემკული უბადლო სხეული, სამყაროს წიგნის შემოკლება და ყოფიერების წიგნის დასაწყისია. ისლამი და რწმენა, მოკლედ რომ ვთქვათ, ამ დიდებული ქმნილების ღვთიური საგანძურის ზარდახშის მნიშვნელობის მატარებელია.

„ლა ილაჰე ილლალლაჰ“ – (არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა) რწმენის მიზანი, ცხოვრების ერთღმერთიანობით გატარება და გულის მხოლოდ ალლაჰისთვის მიძღვნაა. ამ გადასახედიდან, რწმენის და თევჰიდის შემეცნება, მხოლოდ ცოდნით, ზნეობითა და სულიერი ფასეულობებითაა შესაძლებელი.

რწმენის განსაზღვრება განმარტებულია „ამენთუს“ სახით. ზნეობა ძალიან ბევრ ჰადისში თავაზიანობის, მოკრძალების, პატიოსნების, გულისხმიერების, თანაგრძნობის, მიტევების, მოთმინების, მადლიერების, მადლიერების კეთილშობილების სინონიმებითაა განმარტებული.

რწმენის პრაქტიკული ნაწილი კი ყურანისა და სუნნეთის კანონების, ღვთისმსახურებების შესრულება და ზნეობრივად მიღებული საქციელია. ალლაჰის გზიდან ხელის შემშლელი რამეების მოცილებაც რწმენის ერთ-ერთი საფეხურია. ამ ჭეშმარიტებას ჰადისებიც გვამცნობს:

„მოკრძალება რწმენისეულია.“ (ბუჰარი, იმანი, 16).

„სისუფთავე – რწმენის ნახევარია.“ (მუსლიმი, თაჰარეთი, 1).

„რელიგია – შეგონებაა.“ (მუსლიმი, იმანი, 95).

მორწმუნეში რწმენის მწვერვალზე აყვანა დაკავშირებულია იმ მიზანსა და საქმეებზე, რომელსაც ჩვენ ღვთისმსახურებებს ვუწოდებთ და რომელთა მიზანიც ალლაჰის კმაყოფილების მოპოვებაა. ყურანსა და ჰადისებში რწმენა და ღვთიმოსავი ქმედებები ერთადაა მოხსენიებული. ვინაიდან, სულში – ჭეშმარიტების ცოდნა, სხეულში კი ღვთისმსახურებები მოიყრის თავს და ისინი ქმედებებში მჟღავნდება. რწმენა სრულყოფილი, არა თეორიული ცოდნით, არამედ მისი რეალიზებით, ჭეშმარიტების შეგრძნებით და ღვთისმსახურებების შესრულებით ხდება.

გულწრფელ და ხალას მონა-მსახურებში ამ სრულყოფილი სიხარულის სიამოვნება წარმავალ სიამოვნებას სძლევს და ყველა ამქვეყნიურ სიმწარეს, ტანჯვას, სულისმწველ მწუხარებას და გაუსაძლის მდგომარეობას ანადგურებს:

ფარაონის მიერ ნაწამებმა, ჯვარედინად ხელ-ფეხ გადაჭრილმა და ხურმის ხეზე ჩამოკიდებულმა ჯადოქრებმა ღმერთს შეევედრენ, რომ სიკვდილის შიშს მათ ადამიანურ უსუსურობისთვის არ ეძლია:

رَبَّنَا أَفْرِغْ عَلَيْنَا صَبْرًا وَتَوَفَّنَا مُسْلِمِينَ

„ღმერთო ჩვენო! მოგვეცი ჩვენ მოთმინება და მუსლიმანებად აღგვასრულე!“ (სურა აარაფი, აიათი 126)

ამგვარად, ისინი ღმერთის წინაშე შეჰადეთის სიამოვნებაში გახვეულები წარსდგნენ.

ასევე, გულწრფელმა მუსლიმანებმა, წმინდა ისას

პირველმა მიმდევრებმა, ცირკში ლომების კბილებში მოხვედრის შიშითაც კი თევჰიდზე უარი არ თქვეს, რწმენა დაიცვეს და უდიდესი სიამოვნებით შეჰიდებად იქცნენ.

წმინდა სუმეიემ, რომელსაც სხეულში ნემსის შერჭობისაც კი ეშინოდა, სხეულის გაშანთებული რკინებით დადაღვას უდიდესი სიამოვნებით გაუძლო. მას წილად ხვდა ბედნიერება ისლამის მიმდევართა შორის პირველი შეჰიდი გამხდარიყო. მისმა ქმარმა, იასირმაც, მოხუცებულობისა და უძლურების მიუხედავად, დიდი გამძლეობა გამოიჩინა. მაშინაც კი, როცა ის კერპთაყვანისმცემლებმა ცალი ფეხით – ერთ აქლემზე, ცალი ფეხით კი მეორეზე მიაბეს, ტანჯვა-წამებას გაუძლო და „ალლაჰ, ალლაჰის“ ძახილით მიღებული სულიერი სიამოვნებით განუტევა სული. წმინდა ბილალის ეპოსად ქცეული მდგომარეობაც ალლაჰთან შეხვედრის შესაძლებლობის სიხარულის გამომხატველია. როცა მას კერპთაყვანისმცემლები საშინლად აწამებდნენ და არაქათგამოცლილი სხეულიდან სისხლი ჩამოსდიოდა, მაინც: „ერთი, ერთი, ერთი!“ იძახდა. ის გულში სიმწარესა და ტანჯვაზე მეტად უზენაეს დიდებულ, ალლაჰთან შეხვედრის შესაძლებლობის სიამოვნებას განიცდიდა. მათ ისლამის სიკეთის სიდიადე მთელი მნიშვნელობით ჰქონდათ შემეცნებული. ამგვარად, მათ იცოდნენ, რომ ორივე სამყაროში ღმერთთან მიახლოება სიყვარულით იყო შესაძლებელი. წარმავალი სიცოცხლე მათ ალლაჰის ბრძანების შესაბამისად გალიეს და მარადიული ცხოვრება მოიპოვეს.

يَا أَيُّهَا الَّذِينَ آمَنُواْ اتَّقُواْ اللّهَ حَقَّ تُقَاتِهِ

وَلاَ تَمُوتُنَّ إِلاَّ وَأَنتُم مُّسْلِمُونَ

„მორწმუნეებო! გეშინოდეთ ალლაჰის,მისი საკადრისი ღვთისმოშიშობით და მხოლოდ მუსლიმანებად აღესრულეთ!“ (სურა ალი-იმრანი, აიათი 102)

მათ კვალდაკვალ მავალი მორწმუნე თაობები ყველა დროისათვის ისლამის გვირგვინებად იქცნენ.

წლების შემდეგ ეს ყველაფერი საპირისპიროდ შემოტრიალდა. სამწუხაროდ, ისლამის პატივისცემა და ალლაჰის სიყვარული დაიკარგა, მას წარმოსახვითი სიყვარული ჩაენაცვლა და ეს მდგომარეობა ერებისთვის სირცხვილის და მძიმე გამოცდების მიზეზად იქცა; გულის სამყარო გამოიფიტა. საკუთარი მესგან, ესე იგი, სულიერი სამყაროსგან გაქცევამ და დასავლური ფასეულობებისთვის თავშეფარების სურვილმა უკიდურეს ზღვარს მიაღწია. რა უცნაურია, რომ დღეს დასავლეთის სამყარო, მიუხედავად იმისა, რომ მოქცეულია ფესვებმოწყვეტილი, ცრურწმენის მარწუხებში, ისლამის უსაზღვრო და მაღალი მეცნიერული წყაროების გამოყენებით მაინც წარმატების მწვერვალისკენ მიიწევს. თუმცა ჭეშმარიტებისკენ მიმავალ გზაზე ჩვენ ვულგარულ ძალას, ესე იგი, ვნების უხეშობას დავემორჩილეთ. რწმენამ საზოგადოებაში ძალა დაკარგა, ის სიმშვიდისა და ძლიერების წყაროს აღარ წარმოადგენს, მის მაგივრად მხოლოდ მითებისგან შემდგარი ჩონჩხი დარჩა. ერთ დროს ღმერთის მოყვარული ადა-

მიანების ეპოსის გმირებად მქცეველი, სამყაროსთვის წყალობის გადამცემი, ცივილიზაციის საშუალება ისლამი დაზიანდა. რა სამწუხაროა, რომ ზოგიერთმა აქედან გამოსავალის ძებნა დასავლეთში დაიწყო. დადგა დღე მათი, ვისაც ისლამის დანგრევა სურდა. მათ ჯერ ისლამის გადავიწყებინება შემდეგ ეკონომიკით დაჩოქება და სულიერებისგან დაშორება ისურვეს. პაკისტანის ცნობილი მოაზროვნე და სულიერი მასწავლებელი იქბალი ამბობდა:

„სამწუხარია! ღმერთისადმი სიყვარული და მღელვარება აღარ დარჩა... მუსლიმანების ძარღვებში მოძრავი სისხლი დაშრა. ნამაზებს შეხედეთ: მწკრივები – უსწორმასწორო, სეჯდეები – უსულო, გულში სიმშვიდე აღარ არის, შიგნიდან წამოსული ღვთიური ნეტარებაც დაიკარგა!

ო, სიყვარულო! ჩვენი გულის ღრმა აზრო! ჩვენო დათესილო თესლო! მიწად ქცეული ადამიანები უკვე წარსულს ჩაბარდნენ ისინი სრულიად სხვაგვარი არიან, ჩვენთვის სრულიად უცხო...“

აქედან გამომდინარე, დღეს, როცა ახირ ზამანის (ქვეყნიერების აღსასრულის დრო) პერიოდში ათასი გამოცდით გარშემორტყმული ვცხოვრობთ, იმისათვის, რომ მივაღწიოთ შუამავლის თანამიმდევრებში არსებულ ალლაჰის სიყვარულის დონეს. ამის ყველაზე კარგი საშუალება ისლამის დიდებულების შემეცნება და მის მიხედვით ცხოვრებაა. ეს არის სულიერი განვითარების ერთადერთი პერსპექტივა. დღეს, როცა მეცნიერების ნიღაბს ამოფარებული და ჭეშმარიტე-

ბის შემეცნებას მოკლებული ადამიანები ისლამის სულიერების ამ უძლეველ ციხეს მიზანმიმართულად, უპატიებელი უმეცრებით შუბს ესვრიან, ბედნიერების საუკუნეში არსებული ღმერთის სიყვარულის გაცოცხლება განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის მატარებელია. ვინაიდან, ისლამის სულიერების უქონლობა ჭეშმარიტების გზას აზიანებს, ადამიანურ, მცდარ და უგულისყურო გზებზე ათასგვარი მახით ანადგურებს მას. ამგვარად, მარადიული ბედნიერება მარადიულ უბედურებად გადაიქცევა.

ამიტომაც, აუცილებელია მუსლიმანმა ისლამის სულიერებით, ღვთის დადგენილი წესით, ღვთისმოშიშობით იცხოვროს, ცდილობდეს ჭეშმარიტება-ჭეშმარიტებად და სიცრუე სიცრუედ დაინახოს. უკანასკნელი და ყველაზე მნიშვნელოვანი რწმენა ისლამია. ღვთისმოშიშობა – ისლამის პირობების მორჩილად შესრულება, წმინდა შუამავალსა ﷺ და მის თანამიმდევრებზე მიბაძვით რწმენის გაცოცხლებაა. ვინაიდან, რწმენა არის ღვთიური ნათელის გულში შედწევა და მის მიერ განათებული გზით ცხოვრება. ღვთისმოშიშობა კი გულის ღმერთის სამეთვალყურეო ადგილად გადაქცევაა. მაღალი ზნეობა, ღვთისმსახურება და სიკეთის ქმნა ღვთისმსახურებების გამოვლინებებია. უნდა ვიცოდეთ, რომ **მუსლიმანების არამუსლიმანური და არამუსლიმანების მუსლიმანური წესით ცხოვრება კაცობრიობას ბედნიერებას არ მოუტანს. სააქაოსა თუ საიქიოში ბედნიერების მომტანი, მხოლოდ „ბედნიერების საუკუნის“ მსგავსად, ისლამის სიხარულისა და ღმერთის სიყვარულის მოპოვებით გულის გასრულყოფილება და**

მუსლიმანის შესაფერისი წესით ცხოვრებაა.

აი, ამ ჭეშმარიტებამ გვიბიძგა ისლამის სულიერ სტრუქტურასთან დაკავშირებული ეს პატარა ნაწარმოები შეგვექმნა. ამ გზაზე მიმავალ ქარავნებთან შერწყმის სურვილით და უდიდესი ღმერთის კმაყოფილების მოპოვების მიზნით, ვცადეთ ისლამისა და რწმენის უმაღლესი კონსტრუქციის ზოგიერთი ჭეშმარიტება გადმოგვეცა. ნაწარმოებში ისლამის შესახებ ზოგადი საუბრის შემდეგ, „ქელიმეი შეჰადეთის“ (ალლაჰის ერთადერთობაზე დამოწმების სიტყვიერი გამოხატვა), რწმენის წესებისა და ისლამის საფუძვლად აღიარებულ ღვთისმსახურებებზე ვისაუბრებთ. ისლამი ნიშნავს ადამიანმა სწორი მრწამსითა და ქმედებით გულის სრულყოფილებას მიაღწიოს და როგორც ყველაზე კარგმა ქმნილებამ, ისლამის სწორად შესწავლითა და მის მიხედვით ცხოვრების დაწყებით, ალლაჰთან შეხვედრის გზაზე წინ წაიწიოს.

დიდ მადლობას ვუხდით მუჰამმედ ალი ეშმელს, ვინც ამ წიგნის გამოცემაში დაგვეხმარა და ყველა სხვა მეგობარს, ვინც მის მომზადებაში უდიდესი სამსახური გასწიეს. ღმერთს ვევედრებით, რომ მათ მიერ გაწეული სამსახური იქცეს მუდმივმოქმედ სიკეთედ. დიდი ბედნიერებაა ჩვენთვის, თუკი ეს ნაწარმოები კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ადამიანებისთვის, რათა მათმა გულებმა შეძლონ ისლამზე დამორჩილება ისე, როგორც ამას წმინდა შუამავლის ﷺ თანამიმდევრები აკეთებდნენ.

დიდო ალლაჰო! ჩვენც გვარგუნე წილად ისეთი ბედ-

ნიერება, როგორიც აიათში წმინდა იბრაჰიმის შესახ-ებაა გაცხადებული:

„ის ღმერთთან სუფთა გულით მივიდა!“ (სურა საფფათი, აიათი 84)

დაე, უზენაესმა ალლაჰმა მოგვცეს ჩვენც სიმშვიდე, კმაყოფილება და იმედი ისეთი, როგორიც მან იბრაჰიმ შუამავალს ნემრუდთან გამოცდისა და შევიწროების დროს განაცდევინა. დაე, ჩვენც, იბრაჰიმის მსგავსად, სუფთა გულით წარვდგარიყავით ალლაჰის წინაშე!

ამინ!

ოსმან ნური თოფბაში

12.02.2000

უსკუდარი

ყურანისა და სუნნეთის კლიმატში

ისლამი და მისი დიდებული სტრუქტურა

ისლამის რწმენას – პირველი ადამიანიდან და პირველი შუამავლიდან დაწყებული – შემდეგში გაგრძელებული – ყველა საფეხურზე ერთი შინაარსი ჰქონდა. საზოგადოების განვითარებასთან ერთად მხოლოდ ზოგიერთი კანონი იცვლებოდა.

ამის მიხედვით, წმინდა ადამიდან მოყოლებული, ბოლო დროის შუამავლამდე, ღვთიური ქადაგების „რელიგიად“ წოდებული ინსტიტუტის შინაარსი, ყოველთვის ერთი და იგივე იყო და მას „ისლამი“ ეწოდება.

წმინდა მუჰამმედ შუამავალი ﷺ ბრძანებს:

„ყველა შუამავალი – მაგიც ძმები არიან. მათ ერთი რწმენა აქვთ.“ (ბუჰარი, ენბია, 48)

აქედან გამომდინარე, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ისლამი მხოლოდ ყურანის შინაარსის საზღვრებში არ არის მოქცეული. ყველა ზეციური რწმენა, ადამიანის ჩარევამდე, იგივე ისლამია. ეს მტკიცებულე-

ბა ყურანში შემდეგნაირადაა გამოხატული:

إِنَّ الدِّينَ عِندَ اللهِ الإِسْلاَمُ

„უეჭველად ალლაჰისთვის მისაღები რწმენა მხოლოდ ისლამია...“ (სურა ალი-იმრანი, აიათი 19)

ამავე დროს, ეს აიათი იმის გამოხატულებაცაა, რომ კაცობრიობის გადარჩენის ერთადერთი გზა მხოლოდ ისლამია.

ეს ჭეშმარიტება ერთ-ერთ სხვა აიათში უფრო მკაფიოდაა გამოხატული:

وَمَن يَبْتَغِ غَيْرَ الإِسْلاَمِ

دِينًا فَلَن يُقْبَلَ مِنْهُ وَهُوَ فِي الآخِرَةِ مِنَ الْخَاسِرِينَ

„ისლამის გარდა ვინც, სხვა სარწმუნოებას ეძებს, მისგან (ალლაჰის წინაშე ეს რწმენა) **არ მიიღება და ის საიქიოში დაზარალებულთაგანი იქნება.“** (სურა ალი იმრანი, აიათი 85)

წმინდა ადამიდან მოყოლებული, ისლამის განვითარება კაცობრიობის ევოლუციასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული და მწვერვალს ისლამით მიაღწია. ისმება კითხვა: რა არის ისლამი?

პირველ რიგში ამ საკითხთან დაკავშირებულ ყველა ახსნა-განმარტების არსს მოკლედ ამ ორ პუნქტში მოვათავსებთ:

1. **ითიქადი** („ამენთუში“ მოცემული საფუძვლების

სწორად და გულწრფელად რწმენა);

2. ღვთისმსახურება (უზენაესი ღმერთის მიერ ჩვენგან მოთხოვნილი საქმის გულწრფელად შესრულება).

ისლამი, ჩვენს გულებში ამ ორი საკითხის გამცოცხლებელი, ფიქრებში, ცხოვრებასა და საქციელში ღვთიური გაწონასწორებული სისტემის განხორციელების უზრუნველმყოფი ჯაჭვია. გონების, ყურის, თვალის, ენის და გულის ერთმანეთთან დამაკავშირებელი ალლაჰისკენ მიმავალი გზაა. მასში არსებული უმაღლესი და საიდუმლო წვრილმანების წყალობა ქვასაც რომ დაეწვეთოს, მიწაზე მეტად დაარბილებს, თითქოს სულს ჩაუდგამს. მაგრამ გული მისგან შორს თუ იქნება, უმეცრების მორევში ჩაიძირება და გაქვავდება. ამ მდგომარეობიდან თავის დახსნა ისლამითაა შესაძლებელი.

ისლამი ადამიანს იდეურად, ინტელექტუალურად, სულიერად, ყველაზე ლამაზად ზრდის და სრულყოფილებას აზიარებს. ყოველივე ეს ადამიანის ქმედებებში აისახება. ის, ადამიანის წყვდიადიდან სინათლეში გამომყვანი გარიჟრაჟია. ესე იგი, ის არის დაბლა მყოფთა ამამაღლებელი და მწვერვალზე აყვანის ეფექტური საშუალება. ის მიწის მსგავსია. მიწის, რომელსაც მისთვის მიბარებული დამპალი ტოტებიდან თუ ყლორტებიდან ისეთი საოცარი ვარდები, იები, ტიტები და ზამბახები ამოჰყავს, რომ თვალებს და გულებს ესალბუნება. უბრალო, რიგით ადამიანებს გამორჩეულებად აქცევს. მათ ბუნებას ორიგინალთან აბრუნებს და ალამაზებს. ადამიანის და სამყაროს საიდუმლოებების კაპიტალი ის არის.

აქედან გამოდანარე, ის არის ერთადერთი ჭეშმარიტი გზა, რომელსაც მარადისობის მგზავრები დაუზარალებლად მიჰყავს ღვთიური სიკეთეებით აღსავსე სამოთხეში.

ისლამი დედამიწის გამანადგურებელ მორევში ჩათრეული ადამიანისთვის გადაგდებული მაშველი რგოლია. ვინც მას გულს დაუმორჩილებს, წარმავლობას სძლევს, სულიერი ჰორიზონტის მგზავრი გახდება და ცად ამაღლდება, მარადიულობაში მიმავალ ქარავანს შეუერთდება.

ამ მორჩილებით ისლამის სიდიადესთან მიღწევა, ყველა საკითხში ღმერთზე მინდობითაა შესაძლებელი. რადგან ადამიანის ამამაღლებელი მონა-მსახურების თავისებურების ყველაზე კარგი გამოვლინება ღმერთზე მინდობითაა შესაძლებელი.

უდიდესმა ალლაჰმა, მონა-მსახურობის მწვერვალზე მდგომ შუამავლებს უბრძანა, ისლამი მათ ცხოვრებაში მთელი არსით გაეტარებინათ და ალლაჰისთვის შესაბამისი მონა-მსახურება გაეწიათ:

„ალლაჰს მიენდეთ!“

„სამყაროს ღმერთს – ალლაჰს მიენდეთ!...“

სურა „ალ-ბაყარას“ 131-ე აიათში უზენაესი ალლაჰი იბრაჰიმზე ამბობს:

إِذْ قَالَ لَهُ رَبُّهُ أَسْلِمْ قَالَ أَسْلَمْتُ لِرَبِّ الْعَالَمِينَ

„როცა ღმერთმა მას უთხრა: „გამუსლიმანდი!“

(იბრაჰიმმა) **უპასუხა: „მორჩილი ვიქმენი სამყაროთა ღმერთისა**(დმი)**!“**

ეს მინდობა ალლაჰთან ერთად ყოფნის, მუდმივად მისი ხსენების და მასზე მადლობის გადახდის მაჩვენებელია. ყველა ღვთისმსახურებისა და მონა-მსახურების მიზანი ხომ ალლაჰთან დაახლოების სურვილი, მისი სიყვარულის გამოხატვა და მისი კმაყოფილების მოპოვებაა.

ამ საკითხთან დაკავშირებით საოცარია ქვემოთ მოყვანილი მაგალითი:

გადმოცემის მიხედვით, ერთ-ერთი მოქადაგე საფლავის შესახებ ჰყვებოდა. ხალხს შორის შეიხ შიბლიც იმყოფებოდა. მოქადაგე ქადაგების ბოლოს იმ კითხვებს შეეხო, რომელბსაც უზენაესი ღმერთი საფლავში დასვამს.

„შეგვეკითებიან: სად გამოვიყენეთ ცოდნა? სად დავხარჯეთ ქონება? სიცოცხლე როგორ გავატარეთ? ღვთისმსახურებები როგორ შევასრულეთ? მივაქციეთ თუ არა ჰარამს და ჰალალს ყურადღება? და ა.შ – აგრძელებდა მოქადაგე“.

ასეთი დაწვრილებითი საუბრის მიუხედავად, ის, საკითხის არსს მაინც არ შეხებია. შიბლიმ მოქადაგეს დაუძახა:

„ბატონო! კითხვათაგან ყველაზე მნიშვნელოვანი დაგავიწყდათ! უდიდესი ალლაჰი გვკითხავს: ჩემო მონა-მსახურო! მე შენთან ერთად ვიყავი, შენ ვისთან ერთად იყავი?“

ამ დეტალს ისლამი დიდ ყურადღებას აქცევს. ყურანში ნაბრძანებია:

وَهُوَ مَعَكُمْ أَيْنَ مَا كُنتُمْ

„...და სადაც არ უნდა იყოთ, ის თქვენთანაა!“ (სურა ჰადიდი, აიათი 4)

აქედან გამომდინარე, ისლამი ნიშნავს ალლაჰის სიყვარულს, მასთან კავშირითა და მისდამი მორჩილებით მარადიული კეთილდღეობისა და ღმერთთან შეხვედრის უზრუნველყოფას. მიწისა და ზეცის წესრიგი ასეთ მორჩილებაზეა დამოკიდებული. როცა ადამიანები ივიწყებენ ალლაჰის მონა-მსახურობას და მორჩილებას, თავს ღვთიური სატანჯველი დაატყდებათ: აიათში ნაბრძანებია:

ظَهَرَ الْفَسَادُ فِي الْبَرِّ وَالْبَحْرِ بِمَا كَسَبَتْ

أَيْدِي النَّاسِ لِيُذِيقَهُم بَعْضَ الَّذِي عَمِلُوا لَعَلَّهُمْ يَرْجِعُونَ

„ადამიანთა ხელით ნამოქმედარის გამო, ხმელეთსა და ზღვაზე, უწესრიგობა თვალსაჩინო გახდა. ნამოქმედართა ნაწილს (ალლაჰი) **მათ აგემებს; ეგება** (მცდარი გზინდან) **მობრუნდებიან...“** (სურა რუმი, აიათი 41)

ამის მიხედვით, მონა-მსახურობისა და მორჩილებისგან, ესე იგი ისლამისგან დაშორება ხმელეთსა და ზღვაზე უწესრიგობას და უზნეობას გამოიწვევს მომხდარი უბედური შემთხვევები, ამქვეყნად მოვლენილი მცირე სასჯელია დანაშაულისათვის. ეს შემთხვევები

გვაფრთხილებს, რომ კვლავ ისლამს მივუბრუნდეთ.

შორსმჭვრეტელი და გამჭრიახი ადამიანი, ისლამისეული ხედვით ქმნილებაში – ეფექტს, მიზეზში – დანაშაულს, მატერიაში – მნიშვნელობას, წარმავალი ქვეყნის შემეცნებაში საიქიოს ხედავს. ამ საოცარი სამყაროს სისტემის, განსაკუთრებით უკიდეგანო ზეცის შემხედვარე ღვთის ძალასა და დიდებას ყოველ წამს შეიგრძნობს; თავისი უმწეობა და ვნება ეცოდინება; ღვთისმსახურებას არ დაშორდება; მარადიული სამყაროსაკენ მიმავალ გზაზე ღვთიური მგზავრობის საიდუმლოებებს ჩასწვდება და ღმერთთან შეხვედრის დაუოკებელი წყურვილით სეჯდეს შემსრულებელთა რიგებს შეუერთდება; ამგვარად, შექმნის მიზანი შედეგიანი იქნება და ადამიანიც უსაზღვრო სიკეთეს მოიპოვებს. რის შედეგად ალლაჰთან შეხვედრა წილად ერგება. აიათში ნაბრძანებია:

فَمَن يُرِدِ اللهُ أَن يَهْدِيَهُ يَشْرَحْ صَدْرَهُ لِلإِسْلاَمِ

وَمَن يُرِدْ أَن يُضِلَّهُ يَجْعَلْ صَدْرَهُ ضَيِّقًا

حَرَجًا كَأَنَّمَا يَصَّعَّدُ فِي السَّمَاء

كَذَالِكَ يَجْعَلُ اللهُ الرِّجْسَ عَلَى الَّذِينَ لاَ يُؤْمِنُونَ

„ალლაჰი ვის ჭეშმარიტების გზაზე დადგინებასაც ინებებს, მის გულს ისლამისთვის გააღებს, ხოლო ვის გზაცდენასაც ისურვებს, გულს ისე შეუკუმშავს თითქოს ცაში მიდიოდეს. ალლაჰი ურწმუნოებს ამგვარ

მურდლობას მოუვლენს..“ (სურა ენამი, აიათი 125)

მათ, ვისაც ეს მიმართვა ეკუთვნით, სამარდჟამოდ უბედურება, მოთქმა-გოდება და განადგურება ემუქრებათ.

ასეთი მდგომარეობიდან ხსნის ერთადერთი გზა ისლამზე თავშეფარებაა. ალლაჰის შუამავალი ﷺ ბრძანებს:

„ვინც იტყვის: „ღმერთად ალლაჰი, რწმენად ისლამი, შუამავლად მუჰამმედი ვაღიარე და კმაყოფილი ვარო,“ მისთვის სამოთხე ვაჯიბია (აუცილებელია).“ (აბუ დავუდი, სალათი, 36; თირმიზი, სალათი, 42)

არაბულ ენაში სიტყვა **„ისლამის“** მსგავსფუძიანი სიტყვებია „სილმ“ (სიმშვიდე) და „სელამეთ“ (მშვიდობა, კეთილდღეობა). ასევე სიტყვა „ისლამი“ უზენაეს ალლაჰზე მორჩილებას, მინდობას და მიბარებას ნიშნავს. ის გულწრფელობას და უმწიკვლოებასაც გულისხმობს.

ყურანის პირველი სურა „ფათიჰა“ გადატანითი მნიშვნელობით ისლამის აღწერაა. ამის მიხედვით:

ისლამი არის რწმენა, რომელიც ადამიანს, მრისხანების და გზიდან აცდენისგან იცავს. აქედან გამომდინარე, ის ბედნიერებას, კეთილდღეობას და ალლაჰის უსაზღვრო სიკეთეებს აზიარებს. ის არის რწმენა, რომელიც ადამიანს ათქმევინებს:

„მადლობა სამყაროთა ღმერთს – ალლაჰს!“

„ჩემო ალლაჰო! მხოლოდ შენი მონა-მსახურები ვართ და მხოლოდ შენგან ვითხოვთ დახმარებას.“

აქედან გამომდინარე, რწმენის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, გონების დამშვიდება, ქონებისა და სიცოცხლის უსაფრთხოება, შთამომავლობის დაცვა და ყველაზე ლამაზი, საიქიოს დამსახურება – მხოლოდ ისლამითაა შესაძლებელი. მთელ მის შინაარსს თუ მხედველობაში მივიღებთ:

ისლამი ჭეშმარიტი რწმენაა. რწმენის საფუძვლები მუდმივად დიდებულ საძირკველზე დგას. მცდარი მრავალღმერთიანობისგან, რომელიც ადამიანის ღირსებას ლახავს, შორს დგას.

ისლამი სულის მკვებავი, ღვთისმსახურების რწმენაა. ადამიანების მიერ სავალდებულო შესასრულებელი ღვთისმსახურებები უამრავ სხვადასხვა ფორმებსა და საოცრებებს შეიცავს და ისინი სარგებლობას აძლევს როგორც სხეულს, ისე სულს. გულები მათგან ისეთ სიამოვნებას განიცდიან, თითქოს სამოთხეში ცხოვრობდნენ.

ისლამი ღვთის წყალობის რწმენაა. მაშინ, როცა კაცობრიობა ათასგვარ ცოდვას სჩადის და დაუდევრად იქცევა, მათი ნაღვაწის საფასურად განადგურებასა და უბედურებაზე მეტად წყალობისა და მიტევების კარებს უხსნის და ცდილობს ისინი ბედნიერ ადამიანებად აქციოს. როგორც ჰადისშია გადნოცემული, ალლაჰი ბრძანებს: *„ჩემმა წყალობამ ჩემს მრისხანებას სძლია!“* (ბუჰარი, თევჰიდი, 15, 22; მუსლიმი, თევბე, 14-16)

ისლამი გულისხმიერების რწმენაა. გულისხმიერებასა და წყალობას თითქმის ერთიდაიგივე მნიშვნელობები აქვს და ისინი ისლამის რწმენის ყველაზე

მნიშვნელოვანი მახასიათებლებია. ღვთის წიგნის დასაწყის „ბესმელეში“ მოხსენიებულია უდიდესი ალლაჰის სახელები **რაჰმან** (ზემოწყალე) და **რაჰიმი** (მოწყალე), ეს სიტყვები იმასთან ერთად, რომ ალლაჰის სახელებია, გულისხმიერების გამომხატველი მახასიათებლებიცაა. ამის შემდეგ პირველ სურას, **„ფათიჰას“** მეორე აიათში ღმერთის იგივე სახელებია განმეორებული. ერთ-ერთ სურაში პირველ სიტყვად „რაჰმანია“ (ზემოწყალე) გამოყენებული. ეს სიტყვა ასევე სურას სახელიცაა. იქ ნაბრძანებია: **„ყურანი მოწყალემ** (ალლაჰმა) **ასწავლა!“** ეს მიანიშნებს, რომ მთელი ყურანი კაცობრიობისადმი უდიდესი ღმერთის მოწყალების გამოხატვის წარმოდგენაა. სურა „ისრაში“ მკაფიოდაა გაცხადებული, რომ ყურანი ღვთის წყალობა და სამკურნალო საშუალებაა.

მეორე მხრივ, უდიდესი ალლაჰის მიერ შუამავლებისთვის ნაბოძები ყველაზე კარგი თვისება გულისხმიერებაა. განსაკუთრებით წმინდა მუჰამმედ შუამავალში ﷺ ეს თვისება იმ მწვერვალზე იდგა, რისი ძალაც არც ერთ სხვა ადამიანს არ ეყოფოდა.

وَمَا أَرْسَلْنَاكَ إِلَّا رَحْمَةً لِّلْعَالَمِينَ

„მხოლოდ სამყაროთათვის წყალობად მოგავლინეთ.“ (სურა ენბია, აიათი 107)

როდესაც წმინდა შუამავალს ﷺ ტაიფში ქვები დაუშინეს, მას ანგელოზები, მათ შორის ჯებრაილი გამოუცხადა: „ალლაჰის შუამავალო! თუ ისურვებ ამ

ტომს გავანადგურებთ!“ შუამავალმა ﷺ უპასუხა: „არა, ეს არ მინდა! მე მოწყალე და გულისხმიერი შუამავალი ვარ!“ ეს სიტყვები ამპარტავანი ხალხის დალოცვა, და მასში არსებული უსაზღვრო გულისხმიერებაა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისლამში რწმენის პირველი ნაყოფი გულისხმიერებისგან შედგება. ამიტომ წმინდანების მონა-მსახურობა მოკლედ ორ საკითხს ემყარება:

ა. ალლაჰის ბრძანებების პატივისცემით შესრულება;

ბ. გამჩენის გამო შექმნილებისადმი თანაგრძნობისა და გულისხმიერების გამოხატვა.

ისლამი ლოგიკური რწმენაა. ისლამი არაა გონებისა და ლოგიკის შედეგი, მაგრამ ვინაიდან უზენაესის ბოძებულია, გონებას და ლოგიკას ყველაზე ლამაზი და სწორი ფორმით მიმართავს და ადამიანის თვითრეალიზებას საუკეთესო ფორმით უზრუნველყოფს. გონება და უნარი სამყაროში ხეტიალობს, ის მიზანს მხოლოდ თევჰიდით მიაღწევს. უდიდესი ღმერთი ყურანში ხშირად ბრძანებს: **„არ დაფიქრდებით?“** და ადამიანებს დაფიქრებისკენ მოუწოდებს. წმინდა შუამავალი ﷺ ბრძანებს:

„ერთ საათით დაფიქრება, სამოცწლიან ღვთისმსახურებას სჯობია.“ ეს ნიშნავს რომ ჭკუა ცოდნისა და სიბრძნის ოკეანეში უნდა გამოვიყენოთ. რადგან ჭკუა ღმერთთან შეხვედრის გზაზე ყველაზე კარგი გიდია.ისლამი **სიყვარულის რწმენაა.** ისლამი მხოლოდ ჭკუა-გონებით არ საზრდოობს. მიუხედავად იმისა, რომ ჭკუას ბევრი სარგებელი მოაქვს, ღმერთთან შეხვედრის

დაუოკებელი წყურვილისგან შორს დგას და ზოგჯერ ადამიანი მცდარი გზით მიჰყავს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ის სიყვარულის ბრძანებებს დავუმორჩილოთ. წმინდა მევლანა ბრძანებს:

„ბედნიერმა ადამიანმა იცის, რომ მშრალი ჭკუით ტრაბახი – ეშმაკის, სიყვარულით მისი გაჯერება და ღმერთისკენ სვლა კი ადამისგანაა! სიყვარული გემს ჰგავს. გემში ჩამჯდარ ადამიანს უბედურება იშვიათად შეემთხვევა. ბევრჯერ გადარჩება.“

ვისაც ფილოსოფოსების მსგავსად სიყვარულს მოკლებული გონება მართავს, ისინი დროის ტყვეები ხდებიან, თვალისა და ყურის კერპებს ემსახურებიან. ასე რომ, გონებით ღმერთის შეცნობა სიყვარულის წყალობით ხდება. სიყვარულზე რომ საქმე მიდგება, ის ჭკუას მხოლოდ როგორც საყრდენს ისე იყენებს.

სიყვარულის შედეგი თავგანწირვაა. მისთვის შეიძლება სიცოცხლე გაიწიროს. წმინდა შუამავლის ﷺ თანამიმდევრები ღმერთისა და ალლაჰის შუამავლის გზაზე სიცოცხლესა და ქონებას დაუფიქრებლად სწირავდნენ და ამის შედეგად კაცობრიობის ყველაზე გამორჩეულ პიროვნებებად იქცნენ. წმინდა მუჰამმედ შუამავლის ﷺ ყველა შემოთავაზებაზე ამბობდნენ:

„დედა, მამა და ჩემი სიცოცხლე შენი ჭირის სანაცვლო იყოს, ალლაჰის შუამავალო!“

ისინი სიყვარულისა და ექსტაზის გარემოში ცხოვრობდნენ.

აქედან გამომდინარე, ისლამი **გულის რწმენაა**. ის ადამიანების გულის სამყაროს რთავს.

ისლამი წონასწორობის რწმენაა. უეჭველია, რომ ისლამის ყველაზე დიდი მახასითებელი მის სისტემაში არსებული წონასწორობაა. ისე როგორც ამ სამყაროს დაუწესა წონასწორობა უდიდესმა ალლაჰმა, ამგვარივე წონასწორობაა კაცობრიობისთვის გამოგზავნილ რწმენაში. ამ გადასახედიდან ისლამის რომელ მხარესაც არ უნდა შეხედო, უზადო, ღვთიურ წონასწორობას გადააწყდები. სააქაო-საიქიო – მარადიული სიცოცხლე, სული – სხეული, მამაკაცი – ქალი, მდიდარი – ღარიბი, მმართველი – მორთული, დიდი – პატარა, ახალგაზრდა – მოხუცი, მატერიალური – სულიერი და ა.შ საკითხები უმაღლესი ფორმითაა წარმოდგენილი, ისე, რომ გარეგნულად ერთმანეთის სრულიად კონტრასტული განსხვავებები, სინამდვილეში ერთმანეთის შემავსებელი ერთი მთლიანობაა, ვინაიდან, ამათგან თითოეული მეორისთვის აუცილებელია. სააქაოსთვის – საიქიო სამყარო, საიქიოსთვის – სააქაო, სხეულისთვის – სული, სულისთვის სხეული აუცილებლობას წარმოადგენს. ისლამი ამ ჭეშმარიტებისგან ყველაფერს თავის ადგილზე აყენებს და მათ ჩვეულებრივ ერთმანეთის მოდავეებად კი არა, მომადლიერებულებად ქმნის. მათ შორის დაპირისპირებას სპობს და თანაზომიერებას ამყარებს. ამგვარად, ადამიანს ორ ფლანგიან არსებად აქცევს და მას დიადი ზეცისკენ გზებს უხსნის.

ისლამი ცოდნისა და სიბრძნის რწმენაა. ისლამი უმეცრების რწმენა არ არის. პირიქით, ის არის ბოლო რწმენა, რომელიც უმეცრების მოსასპობად იქნა მოვლენილი. სწორედ ცოდნის გამოა წამოყენებული ალლაჰის წინაშე ღვთისმოშიშად ცხოვრების პირობა.

إِنَّمَا يَخْشَى اللَّهَ مِنْ عِبَادِهِ الْعُلَمَاءُ

„უეჭველად, მხოლოდ, ალლაჰის (საკადრისად) **სწავლულ მონა-მსახურებს ეშინიათ!“** (სურა ფათირი, აიათი 28)

ალლაჰის შუამავალი ﷺ ბრძანებს:

„სწავლულის მონა-მსახურებრივი სიმაღლე, ჩემს სიმაღლეს ჰგავს – თქვენ შორის ყველაზე დაბლა მდგომთან შედარებით.“ (აბუ დავუდი, ილიმ, 1)

ჰადისი საკმარისია იმისათვის, რომ ადამიანმა შეიმეცნოს ეს საკითხი რაოდენ მნიშვნელოვანია.

ისლამს არ სურს, რომ ცოდნა მწირ ნიადაგს დაემსგავსოს. პირიქით, მას სიბრძნითა და შორსმჭვრეტელობით კვებავს და ვარდის ბაღს ამსგავსებს. იმ ადამიანის ცოდნა, რომელსაც ზნეობა არ აქვს, როგორი დანაშაულის საშუალებადაც არ უნდა იქცეს, სიბრძნისა და შორსმჭვრეტელობისგან შორს არის და სარგებელზე მეტად ზიანი მოაქვს. ამის მისანიშნებლად ალლაჰის შუამავალი ﷺ ბრძანებს:

„ვინც ცოდნას მოიმატებს, მაგრამ ღვთისმსახურებას და ღვთისმოშიშობას არა, ის ადამიანი ალლაჰს დაშორდება.“ (ქენზულ ირფანი, 62)

ისლამი საუკეთესო ზნეობის რწმენაა. არსებათაგან ყველაზე მაღლა მდგომი ადამიანია. ადამიანი ღმერთის ნების აღმსრულებელია დედამიწაზე. სხეული მიწისგანაა შექმნილი, მაგრამ მას ღვთიური ძალის საიდუმლო აქვს შთაბერილი. როცა ყურანი ადამიანს მიმართავს,

ამ საგანძურს დიდ ყურადღებას აქცევს. სურს ის ვნების დაბრკოლებებმა არ დააჭუჭყიანოს, ანუ მისი უარყოფითი ზემოქმედებისგან გათავისუფლდეს, მაღალი ზნეობით შეიმოსოს და სრულყოფილი გულით უდიდესი ღმერთის ნებას დაეთანხმოს. აქედან გამომდინარე, ადამიანურად ცხოვრების ერთადერთი პირობა რწმენა და ზნეობის უმაღლეს იდეალებთან მიახლოებაა. სრულყოფილი ადამიანობისა და უბადლო ზნეობის მწვერვალის მაგალითს წმინდა მუჰამმედ შუამავალი ﷺ წარმოადგენს. ის აცხადებს, რომ მაღალი ზნეობა ერთ-ერთი მიზეზია, რომლის გამოც ის შუამავლად იქნა მოვლენილი:

„უეჭველია, რომ მე მაღალი ზნეობის სრულქმნისათვის მომავლინეს.“ (მუვათთა, ელ-ჰულქ, 7) – ბრძანებს ალლაჰის შუამავალი.

როცა უდიდესი ღმერთი ყურანში შუამავალს აქებს, მის მაღალ ზნეობაზე მიანიშნებს:

وَإِنَّكَ لَعَلى خُلُقٍ عَظِيمٍ

„უეჭველად, შენ ყველაზე მაღალი ზნეობის ხარ.“ (სურა ყალემი, აიათი 4)

ალლაჰის შუამავალი, რომელმაც ეს ხოტბა დაიმსახურა, მისი თანამიმდევრების შეხედულებით, ახალგაზრდა თავსაფრიან ქალიშვილზე მეტად თავმდაბალი იყო. ის ბრძანებდა:

„სირცხვილი და რწმენა ერთად არიან, ერთი თუ მიდის მეორეც მას მიჰყვება!“ (სუიუთი, ელ ჯამიუს საღირ, 1; 53)

ამ ჭეშმარიტებაზე წმინდა მევლანა ბრძანებს:

„ჭკუას ვკითხე: „რწმენა რა არის?“ გულის ყურისკენ დაიხარა და წაიჩურჩულა: „რწმენა ზნეკეთილობისგან შედგება.“ ამ მდგომარეობაში ვისაც ზნეკეთილობა არ აქვს, ალლაჰის წყალობას მოაკლდება.“

თავაზიანობის, სინატიფისა და დახვეწილობის რწმენა. ისლამის შუამავლის განცხადებით, თავაზიანობას, რომელიც ამქვეყნად არც თუ ისე მნიშვნელოვნად ითვლება, განკითხვის დღეს ძალიან დიდი მნიშვნელობა მიენიჭება. ყველა საკითხში უბადლო მაგალითი, ალლაჰის შუამავალი ﷺ, ამ საკითხშიც, ესე იგი, თავაზიანობისა და მახვილგონიერების საკითხში, უნაკლო მაგალითია. როცა ვინმეს შეცდომას უსწორებდა, თავაზიანად და დახვეწილად ექცეოდა, მარტო იმ ადამიანს კი არა, საზოგადოებას მიმართავდა:

„რა მემართება, რომ თქვენ შორის ზოგს ვხედავ ამის ჩადენის დროს.“

შენიშვნას ამ სიტყვებით იწყებდა, თითქოს თავად შემცდარიყო და მცდარად დაენახა.

ისლამი სამართლიანობისა რწმენაა. ისლამში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი სამართლის ნორმებია. გაცხადებულია, რომ ალლაჰი მრავალღმერთიანობისა სხვისი უფლებების მიტევებას არ გვპირდება. წმინდა შუამავალი ﷺ ამ საკითხს სასიკვდილო სარეცელზეც კი აქცევდა ყურადღებას. უღონობის მიუხედავად, მეჩეთში მივიდა, თავის თანამიმდევრებს მიუტევა და ბრძანა:

„ჩემო მიმდევრებო! ვინმესი ქონება თუ ავიღე შეცდომით, აი, ჩემი ქონება, მოვიდეს წაიღოს. ვინმეს ზურგზე თუ დავარტყი შეცდომით, აი, ჩემი ზურგი, მოვიდეს და დამარტყას!“ (მ. ასიმ ქოქსალი, ისლამის ისტორია, ე, II, გვ.38)

აი, ამგვარად მგრძნობიარე, დახვეწილ და ამავე დროს ჯანმრთელ საძირკველზე აგებული ისლამის სამართალი მთელი კაცობრიობისთვის გასაოცრად მაღალ საფეხურზე დგას. 1789 წელს, საფრანგეთის დიდი რევოლუციის იდეების ფუძემდებელთაგან ფილოსოფოსმა ლაფაეტმა, ცნობილი ადამიანის უფლებების დეკლარაციის გამოქვეყნებამდე, ყველა სამართლის სისტემა გამოიკვლია. ნახა, რომ ისლამური სამართლის სისტემა ყველა მათგანზე მაღლა იდგა და თქვა:

„მუჰამმედ! შენ მიერ განხორციელებული სამართლის დონემდე ჯერ სხვას არავის მიუღწევია!“

ისლამის ისტორია ამ სამართლის უამრავი გამოვლინებითაა აღსავსე. ქვემოთ წარმოგიდგენთ ერთ მაგალითს:

კაცმა ცხენი იყიდა. მიუხედავად იმისა, რომ ცხოველი ორი წლის და ჯანმრთელი იყო, სამი დღის შემდეგ გარდაიცვალა. კაცმა იეჭვა, რომ ვინც ცხენი მიყიდა, მის მიმართ მტრობა ამოძრავებდა და ამიტომ ცხენს დიდი ხნის განმავლობაში მოწამლულს აჭმევდა. კაცი ზედიზედ სამ დღეს სასამართლოში დადიოდა. მოსამართლე ვერ იპოვა, ამის გამო დროის დაუკარგავად მკვდარი ცხენი გამოსაკვლევად ვეტერინართან წაიღო. ვეტერინარის მიცემული დასკვნა მის შეხედულებას ამტკიცებდა. დროის გასვლის შემდეგ კვლავ

სასამართლოში მივიდა, მოსამართლე იპოვა და მდგომარეობის შესახებ მოუთხრო. მოსამართლემ უთხრა:

„ვეტერინართან წასვლამდე რატომ ჩემთან არ მოხვედი? მაშინვე რომ მოსულიყავი, ცხელ კვალზე გამოსავალს ვიპოვიდით!“

მომჩივანმა უთხრა:

„ბატონო! იმ ხანებში სამი დღე ზედიზედ დავდიოდი, მაგრამ არ იყავით!“

მაშინ მოსამართლემ უთხრა:

„მართალი ხარ, შენ რომ მოსულხარ იმ დღეებში აქ არ ვიყავი. ჩემს მშობლიურ კუთხეში ვიყავი წასული, რადგან დედა გარდამეცვალა.“

ცოტა ხნით დადუმდა, შემდეგ მდივანს მიუბრუნდა და უთხრა, რომ ჩაეწერა:

„საქმე გარკვეულია. დაწერე მდივანო! სამსახურის ადგილზე არყოფნის გამო ზარალის ანაზღაურება დაეკისროს მოსამართლეს.“

❀

მოკლედ, ისლამი ყველა მიმართულებით, მატერიალური თუ სულიერი ცხოვრებისათვის, განსაკუთრებული რწმენაა. მიუკერძოებლობა, ღმერთზე მინდობა და სიყვარული; რწმენა უფლებების აღიარება და დადასტურებაა.

ამ ჭეშმარიტების ჩარჩოებში ძველად, მიუხედავად არამუსლიმანობისა, უნაკლო ბუნების, მიუკერძოე-

ბლად მოქმედ ადამიანებს „ურწმუნო მუსლიმანებს“ უწოდებდნენ, ხოლო, მუსლიმანობის მიუხედავად მიკერძოებულად მოქმედ ადამიანებს, „არამუსლიმან მორწმუნეებს“.

აქედან გამომდინარე, მხოლოდ ის ადამიანი განიწმენდს სულს და ღვთიურ უკიდეგანო ოკეანედ აქცევს, მას ვინც ისლამის მიხედვით გულწრფელად იცხოვრებს. ვნების სურვილებზე დამორჩილებული, ჯოჯოხეთში მიმავალი ადამიანების კვლავ ჭეშმარიტ ადამიანობაში დამაბრუნებელი ერთადერთი საშუალება ისლამის მიხედვით ცხოვრებაა.

ალლაჰის შუამავალი ﷺ ბრძანებს:

„თუკი ალლაჰის მსახური ისლამს აღიარებს და ისე იცხოვრებს, ადრე ჩადენილი ყველა მადლი დაეწერება, ხოლო წარსულში ჩადენილი ყველა ცოდვა წაიშლება. ამის შემდეგ (მოქმედებების საფასური) კი ასე იქნება: ყველა სიკეთის საფასურად ათიდან შვიდასმაგამდე მადლი დაეწერება. ცოდვა კი ისე დაეწერება, როგორც არის, მხოლოდ ალლაჰი თუ მიუტევებს ან ცოდვებისგან მთლიანად გაათავისუფლებს – სხვაა.“ (ნესაი, იმანი, 10)

წმინდა შუამავლის ﷺ მიერ ისლამის ქადაგების დღიდან მოყოლებული დღემდე, ისინი, ვინც ისლამი არ აღიარეს, არიან ადამიანები, რომლებმაც სამართლიანობაზე უარი თქვეს და საკუთარი სიშმაგის, ვნებისა და ეშმაკის მსხვერპლად იქცნენ. ისტორია

უამრავი ამგვარი მაგალითის მოწმეა. მექელმა კერპთაყვანისმცემლებმა, მიუხედავად იმისა, რომ გრძნობდნენ მათ გულში დაბადებულ „უბადლო შუქს“ და წმინდა შუამავალს ﷺ **„ელ ემინს“** და **„ეს სადიქს“** (სანდოს) უწოდებდნენ, გულში ისლამის შუქი არ აირეკლეს; მიუხედავად იმისა, რომ ალღოთი ჭეშმარიტებას აღიარებდნენ, ვნებას ვერ სძლიეს და ურწმუნოების უფსკრულში ჩაიძირნენ, თავი გაიუბედურეს. მიუხედავად იმისა, რომ ყურანს შინაგანად აღიარებდნენ, ვნებას დამორჩილებით უარყვეს და ჩიხში მოექცნენ. ქრისტიანებს და ებრაელებს წმინდა შუამავლის ﷺ მოსვლა ნამახარობლევი ჰქონდათ, მაგრამ ის არ აღიარეს, რადგან ებრაელი ეგონათ. განსაკუთრებით, ებრაელები სხვებთან შედარებით, უარყოფის საკითხში წინ წავიდნენ. ქვემოთ მოცემული თქმულება კარგად ასახავს ამ ჭეშმარიტებას.

ალლაჰის შუამავალმა ﷺ ებრაელებს ყურანიდან შემდეგი აიათი წაუკითხა:

فَإِنْ حَآجُّوكَ فَقُلْ أَسْلَمْتُ

وَجْهِيَ لِلَّهِ وَمَنِ اتَّبَعَنِ وَقُل لِّلَّذِينَ أُوْتُواْ الْكِتَابَ وَالأُمِّيِّينَ

أَأَسْلَمْتُمْ فَإِنْ أَسْلَمُواْ فَقَدِ اهْتَدَواْ وَّإِن تَوَلَّوْاْ فَإِنَّمَا

عَلَيْكَ الْبَلاَغُ وَاللّهُ بَصِيرٌ بِالْعِبَادِ

„თუკი შეგეკამათებიან, უთხარი: „მე მის მიმდევრებთან ერთად ალლაჰს დავემორჩილე.“ და

უთხარი (ჰკითხე) **მათ, ვისაც ებოძათ ღვთიური წიგნი და უწიგნურებსაც** (ვისაც ღვთიური წიგნი არ ებოძათ)**: „მორჩილ იქმენით** (გამუსლიმანდით)**?“ თუკი დაემორჩილნენ ჭეშმარიტებას ეზიარებიან. თუკი ზურგს** (შე) **აქცევენ, შენ მხოლოდ ქადაგება გევალება. უეჭველად ალლაჰი თავის მონა-მსახურებს ხედავს.“** (სურა ალი-იმრანი, აიათი 20)

შემდეგ ჰკითხა:

„ისლამი აღიარეთ?“

ებრაელებმა უპასუხეს:

„ვაღიარეთ!“

ამის შემდეგ ალლაჰის შუამავალმა ბრძანა:

„ემოწმებით, რომ ისა ალლაჰის მონა-მსახური და შუამავალია?“

„ღმერთმა დაგვიფაროსო“ – უთხრეს და ზურგი შეაქციეს, უბედურთაგანნი გახდნენ.

ქრისტიანებსაც უთხრა:

„ემოწმებით, რომ ისა ალლაჰის მონა-მსახური და შუამავალია?“

მათ უპასუხეს:

„ღმერთმა დაგვიფაროს, ისა მონა-მსახური? არა ის მონა-მსახური არაა!“

ერთ დღეს ალლაჰის შუამავალი ﷺ ებრაელების სასწავლებელში შევიდა და მათ რწმენა უქადაგა. ნუ-

აიმ იბნ ამირმა და ჰარის იბნ ზეიდმა ჰკითხეს:

„შენ რომელი რწმენის ხარ?“

წმინდა შუამავალმა ﷺ უპასუხა:

„იბრაჰიმის რწმენის ვარ.“

მათ უთხრეს:

„იბრაჰიმი ებრაელი იყო.“

ალლაჰის შუამავალმა ﷺ ბრძანა:

„მაშინ ჩვენი კანონი თევრათი იყოს, მას მივმართოთ.“ (მართალი რწმენა, ყურანის რწმენა, II, 334)

ებრაელებმა ამ შეთავაზებაზე თავი შეიკავეს. მათ მიერ ადრე დიდი სწავლულად აღიარებულ აბდულლაჰ იბნ სალამის საუბარზე ფიცხდებოდნენ და მის მიერ ადრე მიცემულ რჩევებზეც უარს ამბობდნენ, მას სერიოზულად ლანძღავდნენ. თავიანთ წიგნში ბოლო შუამავლთან დაკავშირებულ ნაწილში ცვლილებები შეიტანეს. ყურანში ეს ჭეშმარიტება ასეა გაცხადებული:

فَوَيْلٌ لِّلَّذِينَ يَكْتُبُونَ الْكِتَابَ بِأَيْدِيهِمْ

ثُمَّ يَقُولُونَ هَـٰذَا مِنْ عِندِ اللَّهِ

„ვაი, მათ ვინც, წიგნს თავიანთი ხელით სწერენ შემდეგ კი ამბობენ: „ეს ალლაჰის მიერ გარდმოვლენილიაო!““ (სურა ბაყარა, აიათი 79)

يُحَرِّفُونَ الْكَلِمَ عَن مَّوَاضِعِهِ

„ისინი სიტყვებს ადგილებს უცვლიდნენ!“ (სურა ნისა, აიათი 46)

ასეთი ქმედებებით და თავიანთი სურვილების მიხედვით, ანუ ადამიანური ჩარევებით, რწმენა ორიგინალს დააშორეს, ვნების მიხედვით გადააკეთეს, შარიათში რეფორმები თავიანთი ინტერესების მიხედვით შეიტანეს და იუდაიზმი და ქრისტიანობა ამგვარად შეცვალეს. აქედან გამომდინარე, დღევანდელი სურვილი „ისლამის რეფორმირებისა“ ამგვარი გადაგვარების მიზნის სახეცვლილი ფორმაა. ტერმინი „რეფორმა“ ღალატის შესანიღბადაა გამოყენებული და მეტი არაფერი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ადამიანის ჭკუას (აზროვნებას) არ ძალუძს სამყაროს საიდუმლოებები და სიბრძნე მთლიანად შეიმეცნოს. ისლამი კი უდიდესი ღმერთის ნება-სურვილის, მისი უსაზღვრო ცოდნისა და ძლიერების გამომხატველია. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ ამ რეფორმების გატარებას ადამიანის გონება ვერ შესწვდება. ღმერთმა იცის ადამიანის ყველა ფარული თუ აშკარა თვისება და ყველა ბრძანება და აკრძალვა ამის მიხედვითაა. ამ შესანიშნავი სისტემის გადაკეთება ადამიანური გონებისთვის შეუძლებელია. ჭეშმარიტებაა, რომ შექმნილისათვის მიმართულების მიცემას შემოქმედზე უკეთესად ვერავინ შეძლებს.

აქედან გამომდინარე, ისლამი ადამიანის ბუნებისათვის ყველაზე შესაფერისი რწმენაა.

ალლაჰი, უსაზღვრო მოწყალებიდან გამომდინარე, მთელ კაცობრიობას, გამონაკლისის გარეშე, მიმართავს. მეორე მხრივ, ადამიანის ყველა საპატიო ქმედებას მის მიერ დაწესებული ძვირფასი კანონების ჩარჩოში აქცევს. არც ერთი ადამიანური ქმედება არ არის უყურადღებოდ დატოვებული. მხოლოდ ქმედებები კი არა, ფიქრის შედეგად წარმოშობილი აზრებიცაა გათვალისწინებული. ისინიც კი არ არის დარჩენილი კანონს მიღმა. მაგალითად, სიზმრები ქმედება არ არის. მიუხედავად ამისა, ისლამს ის უყურადღებოდ არ დაუტოვებია. სიზმრების ფასეულობის შესახებ კანონები დააწესა. და არც სხვა გონებრივი სფეროები დარჩენილა ჩარჩოებს მიღმა.

რომელიმე სისტემა ადამიანისთვის მიმართულების მიცემისას ადამიანის ბუნების გაუთვალისწინებლად წესებს თუ შეადგენს, გააუქმებს რაიმე ძირითად მხარეს, ადამიანს გარკვეული დროის შემდეგ უბიძგებს ამბოხისაკენ. მაგალითად კათოლიკური ეკლესიის მიერ ბერ-მონაზვნებისათვის ადამიანის ბუნების ერთ-ერთი ძირითადი მხარის ოჯახის შექმნის აკრძალვა ამგვარი სახისაა. ამაზე დამორჩილებული ადამიანის ბუნება მშვიდად არ არის და გარკვეული დროის შემდეგ ფარულად ამბოხებისკენ უბიძგებს.

მეორე მხრივ, ადამიანის ბუნების უცვლელობი გაუთვალისწინებელი სისტემები მუდმივად არსებობის შანსსაც კარგავენ. რადგან საბოლოოდ ადამიანის ბუნება მისთვის აკრძალულ წესს არღვევს და ნიაღვარივით იხუვლებს. სწორედაც კათოლიციზმის მიმდევარი დასავლური სამყარო მისი ჩარჩოები-

დან გამოვიდა და რელიგია მხოლოდ ეკლესიაშიღა დარჩა. ძალიან ბევრი პიროვნების ბუნებამ ეს რწმენა ვერ შეითავსა, ცოდნა არ გაითვალისწინა და შედეგად ურწმუნოებაში გადავარდა. მეორე მხრივ, იმის გამო, რომ რწმენის მოთხოვნილება ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა, საქმე ეშმაკის თაყვანისმცემელ სექტების ჩამოყალიბებამდე მივიდა. იმის გამო, რომ ისლამის კანონები ადამიანის ბუნების შესაბამისად ღვთიურ და უცილობელი ცოდნის შუქქვეშაა შექმნილი, არ შეიძლება იმის ფიქრი, რომ მისი კანონები ძველი და ფასდაკარგულია. რადგან ამ საფუძველების შესაბამისი ადამიანი, მუდამ ერთი და იგივეა. მაგალითად, ქალების მგრძნობელობა არასდროს გაქრება, ამიტომაც გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით მათ მიერ მოწმეობის გაწევისას ამ მგრძნობელობის გაუთვალისწინებლობა სამართლიანობას ზიანს მიაყენებს.

ადამიანის ბუნების საწინააღმდეგო საფუძვლების გაშმაგების საწინააღმდეგოდ დაწესებული, აკრძალვები და პირიქით, პოზიტიური საფუძვლების განვითარება და ბრძანებები, ადამიანის პიროვნების სამართავად ზუსტად არის უზრუნველყოფილი. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ ისლამი რეალისტური იყოს. მიუხედავად იმისა, რომ ამ უცვლელი საყოველთაო საფუძვლების შესახებ ბრძანებები და აკრძალვები არსებობს, ადამიანებს მიზნის არჩევისას თავისუფლება აქვთ მინიჭებული. მიზანთან დაკავშირებულ არც ერთ საკითხზე კატეგორიული ბრძანება ან აკრძალვა არ არსებობს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბრძოლაში ადამიანის ბუნებისთვის გამარჯვება პოზიტიური მახასიათებელია. ამის მისანიშნებლად წმინდა შუამავალი ﷺ ბრძანებს:

„ყველა ბავშვი ისლამის ბუნების მქონე იბადება.“
(ბუჰარი, ჯენაიზი, 92)

ალლაჰის წყალობით ბრძოლაში გამარჯვების შედეგი სამყაროში საყოველთაო სიმშვიდის არსებობაა. ერთ ტყეში მტაცებელი, ძლიერი ცხოველების და ყველაზე სუსტი არსებების გვერდიგვერდ თანაცხოვრება ამ თვისობრიობის მაჩვენებელი მაგალითია. იგივე შეიძლება ითქვას სამყაროს გამორჩეულ არსება ადამიანზე. მასში სიშმაგე და მიმზიდველობა, უარყოფითი და დადებითი საფუძვლები ერთად დევს. ოღონდ გარე წაქეზება თუ არ ითამაშებს როლს, დადებითი საფუძვლები უარყოფითს სძლევს. ესე იგი სიკეთის სასარგებლო ეს წონასწორობა შეიძლება გაფუჭდეს იმ გარემოს ზეგავლენით, სადაც ბავშვი იზრდება. ისლამი ბრძანებებითა და აკრძალვებით ამ შესაძლებლობას ითვალისწინებს და ბავშვების გულუბრყვილობის, სიწმინდისა და სისუფთავის დაცვასა და განვითარებას ცდილობს. ადამიანი მასში არსებული უარყოფითი საფუძვლების გაუქმებას არ უნდა ეცადოს, რადგან ამას საბედისწერო შედეგები მოჰყვება, მხოლოდ მათი დისციპლინირება და მართვა უნდა შეძლოს. მაგალითად, ისე როგორც ფროიდი ამტკიცებს, ვნება ყოველგვარი წესისა და პირობის გარეშე დაქვემდებარებულია ოჯახის წესებზე, რადგან ის შთამომავლობის გაგრ-

ძელების საშუალებაა და ალლაჰის სახელით დადებული ხელშეკრულების ჩარჩოებში ექცევა. დაუოკებელი სურვილების დიად მიზნებთან დაკავშირება სასიკეთო შედეგებს უზრუნველყოფს. იმის შემეცნება, რომ ადგილ-მამული ალლაჰის საკუთრებაა და მისი ყველაზე ლამაზი ფორმით დაზოგვა და გამოყენება ჟინს აქრობს, შურს კალაპოტში აყენებს. ყველა სხვა უარყოფით თვისებაზეც ამგვარად ფიქრია საჭირო.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, ისლამი ჭკუას ყველაზე მართებულ ფორმის მიმართულებას აძლევს. უნდა ის ზეშთაგონებასთან უკავშირდებოდეს. ვინაიდან, ჩვენ ისტორიის მანძილზე ვხედავთ, ზეშთაგონების გარეშე აღზრდილ გონებას რა სულელური კანონების მიღება შეუძლია. ამ მიზეზით არის რომ ფილოსოფოსები ერთმანეთის უარყოფით და ბრალდებით არიან დაკავებული. მაგალითად, ძველ ათენში ქურდობა ადამიანის ბუნებრივი ნატურისა და ჭკუის გამოვლინება იყო, რომლის გამოც არ ასამართლებდნენ. მოაზროვნეების აზრით ის მოსაწონი ქმედება იყო და არ ისჯებოდა. ამ მაგალითის მოყვანით გვინდა ვაჩვენოთ, რომ ქურდობა ადამიანის ბუნების თანდაყოლილი მახასიათებელია. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ზეშთაგონების გარეშე აღზრდილმა გონებამ ის მცდარად გაიგო და დადებით ქმედებად მიიჩნია, ადვილი წარმოსადგენია, სხვა სფეროებში რამდენ სისულელეს ჩაიდენდა.

მეორე მხრივ, ამგვარი ჭკუა და ლოგიკა განსაკუთრებით ურთიერთსაწინააღმდეგოა ორი მხარისთვის თქმა: „შენც მართალი ხარ“, სამართლიანობის

აღსრულებას ებრკოლება. ქვემოთ მოვიყვანთ ამის შესაბამის ცნობილ მაგალითს:

ძველ ათენში სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ლექტორ-მასწავლებელი თავის ერთ სტუდენტს შეუთანხმდა, რომ მას ადვოკატად აღზრდიდა. ამ საქმის სანაცვლოდ ანაზღაურების ნახევარს მაშინვე აიღებდა, მეორე ნახევარს კი მისი სტუდენტი პირველ სასამართლო პროცესს რომ მოიგებდა, მაშინ გადაუხდიდა. მაგრამ მოსწავლემ სწავლის დამთავრების შემდეგ გადახდილი ანაზღაურება საკმარისად ჩათვალა და მეორე ნახევრის გადახდაზე უარი განაცხადა. შედეგად მასწავლებელმა სასამართლოში უჩივლა. სასამართლოზე მასწავლებელმა ინციდენტის განმხილველ მოსამართლეებს მიმართა:

„მე ამ სარჩელს მოვიგებ თუ წავაგებ, რასაც ვითხოვ, უნდა ავიღო.“

მოსამართლეებმა ჰკითხეს:

„რატომ?“

„დავას თუ მოვიგებ, ჩემი სტუდენტი ვალდებული იქნება თქვენი გადაწყვეტილება აღასრულოს. თუ არ გადაიხდის, სასამართლოს გადაწყვეტილების დაუმორჩილებლობა გამოაშკარავდება. დავას მე თუ წავაგებ და ჩემი სტუდენტი მოიგებს, ჩვენი შეთანხმების თანახმად, ჩემი გასამრჯელოს გადახდა მის მიერ მოგებულ პირველ დავასთანაა დაკავშირებული. დავის მოგების შემთხვევაში ის ვალდებულია ხელშეკრულება აღასრულოს და გასამრჯელო გადამიხადოს.“

კარგად აღზრდილმა სტუდენტმა ამის საწინააღმდეგოდ თქვა:

„მე ამ დავას მოვიგებ თუ წავაგებ – არაფერს გადავიხდი.“

ამაზე მოსამართლეებმა ჰკითხეს:

„რატომ?“

„დავას თუ მოვიგებ, თქვენი გადაწყვეტილებით გასამრჯელოს არ გადავიხდი. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა დამედება ბრალად. თუ წავაგებ, მასწავლებელთან შეთანხმების მიხედვით, გასამრჯელო პირველი სასამართლოს მოგების შემთხვევაში უნდა გადამეხადა, ამგვარად ვალიც აღარ მექნება გადასახდელი...“

ღვთიური ზეშთაგონების გარეშე ჩამოყალიბებული ლოგიკა ამგვარი ჩიხების წარმოშობას არ ითვალისწინებს, ისტორიის მანძილზეც არ ითვალისწინებდა. ისლამში კი ადამიანი თავისი უფლებების შელახვას თუ არ მიუტევებს, მისი უფლებების აღდგენა სავალდებულოა. თუმცა ამავე დროს გვასწავლის:

„მორწმუნედ არ ითვლება ის, ვისაც მეზობელი მშიერი ჰყავს და მაძღარი იძინებს.“

ამგვარად ისლამი ადამიანებს მორწმუნე ძმებად აქცევს, რომლებსაც ერთმანეთი უყვართ და ერთმანეთს ითვალისწინებენ. სწორედაც უმეცრების პერიოდში არაბები შურით, მტრობით, სიძულვილით და სისხლიანი ბრძოლებით იყვნენ ცნობილი. ისინი იყვნენ უგრძნობი

ბედუინები, რომლებიც ქალიშვილებს მიწაში ცოცხლად მარხავდნენ. მათ შორის გაუთავებელი ანტაგონიზმი სუფევდა. ძლიერები სუსტებს ჩაგრავდნენ. სამართალი მუდამ ძლიერის მხარეს იყო.

მაგრამ, ისლამის დახმარებით, ეს ადამიანები კაცობრიობის ყველაზე პრივილეგირებულ და ღირსეულ ადამიანებად იქცნენ. ერთ დროს ერთმანეთის სისხლმოწყურებული მტრებიდან, ისლამის წყალობით, სულის ამოხდომისასაც კი ერთმანეთზე მაფიქრალ, ერთმანეთის სიყვარულითა და ალტრუიზმით გაჯერებულ ადამიანებად იქცნენ. წმინდა ჰუზეიფე იერმუქის ომის შემდეგ ბრძოლის ველს ათვალიერებდა. მის მიერ გადმოცემული ამბავი გვიჩვენებს მორწმუნეების სულიერებისა და ალტრუიზმის მწვერვალს, რომელიც მათ ისლამმა მოაპოვებინა:

„იერმუქის ბრძოლის დამთავრების შემდეგ, ხელში წყლის მათარა ავიღე და ბრძოლის ველზე დაჭრილებს ვათვალიერებდი. გავიხედე, ჩემი ბიძაშვილი სისხლში ცურავდა და ხელით წყლის მათარაზე მანიშნებდა. როგორც კი მათარა გავუწოდე, იქრიმეს ხმა შემომესმა:

„წყალი! ერთი ყლუპი წყალი!“

ჩემმა ბიძაშვილმა ჰარისმა, ეს ხმა რომ გაიგონა, მათარას ხელი უშვა და თვალით მანიშნა წყალი იქრიმესთვის მიმეტანა. მაშინვე იქრიმესთან გავიქეცი. მათარა მას გავუწოდე, ამ დროს იაშას ხმა გაისმა:

„წყალი! ღმერთის ხათრისთვის წყალი!“

იქრიმემაც, ჰარისის მსგავსად მაშინვე ხელი უშვა მათარას და მიმანიშნა წყალი იაშასთვის მიმეტანა.

მაშინვე იაშასთან გავიქეცი, მაგრამ მისთვის ამ წარმავალ ქვეყანაზე დრო ამოწურულიყო. მას ამქვეყნისთვის თვალები დაეხუჭა, უკვე შეჰიდად ქცეულიყო. შეცბუნებული უკან გამოვბრუნდი: „იქრიმეს მაინც მივუსწრო-მეთქი!“ ვნახე ისიც გარდაცვლილიყო. მაშინვე ჩემ ბიძაშვილ ჰარისთან გავიქეცი. რა სამწუხარია, რომ მასაც სული განეტევებინა.

აი, ეს არის ისლამის მოტანილი უბადლო ალტრუიზმი და საქებარი ზნეობა.

ამგვარად, უმეცრების პერიოდში ადამიანები მზად იყვნენ ერთმანეთის სისხლი დაელიათ, მაგრამ ისლამის წყალობით, გული ისეთი ღვთიური წყალობით აღევსოთ, რომ მომავალ თაობებს ბედნიერების საუკუნე დაუტოვეს. უდიდესი ალლაჰი ამ ღვთიური წყალობის შესახებ ყურანში ასე ბრძანებს:

وَاذْكُرُواْ نِعْمَةَ اللّهِ عَلَيْكُمْ إِذْ كُنتُمْ أَعْدَاء فَأَلَّفَ بَيْنَ قُلُوبِكُمْ

فَأَصْبَحْتُم بِنِعْمَتِهِ إِخْوَانًا وَكُنتُمْ عَلَىَ شَفَا حُفْرَةٍ مِّنَ النَّارِ

فَأَنقَذَكُم مِّنْهَا كَذَالِكَ يُبَيِّنُ اللّهُ لَكُمْ آيَاتِهِ لَعَلَّكُمْ تَهْتَدُونَ

„...ალლაჰის თქვენდამი სიკეთე გაიხსენეთ! თქვენ ერთმანეთის მტრები იყავით, მან თქვენი გულები შეაერთა და მისი სიკეთის წყალობით, ძმებად იქეცით. მაშინ როცა თქვენ ჯოჯოხეთის კიდესთან იდექით, იქიდან თქვენ კვლავ მან გიხსნათ. ალლაჰი, აი, ამგვარად გიხსნის თქვენ აიათებს. იმედია, ჭეშმარიტ გზას დაადგებით!“ (სურა ალი-იმრანი, აიათი 103)

ამ აიათში, შუამავლის თანამიმდევრების სახით მთელ კაცობრიობაზეა საუბარი.

ისლამის ხუთი ბურჯი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისლამი ორი ნაწილისაგან შედგება:

ა. რწმენა,

ბ. ღვთისმსახურება.

ამის მიხედვით, ადამიანის ვალდებულებაც ორ ნაწილად – „რწმენად“ და „ღვთისმსახურებად“ იქოფა. აქედან რწმენის ნაწილის საფუძვლები ღვთისმსახურებისას უსწრებს. ამის გამო, ალლაჰის შუამავალი ბრძანებს:

„ყველაზე მეტად, ჩემი მიმდევრების გამო, რისიც მეშინია – მრავალღმერთიანობაა.“

ალლაჰმა, ადამიანები ორ ჯგუფად მორწმუნეებად და ურწმუნოებად დაყო. თვით რწმანა კი განუყოფელია: ესე იგი, ღმერთის ბრძანებებისგან ერთის უარყოფასა და ყველას უარყოფას შორის განსხვავება არ არის. რადგან ასეთი ქმედება ალლაჰის პატივს ეხება. ადამიანმა, სუსტმა არსებამ, ალლაჰის მიერ წოდებულ ჭეშმარიტებას – ტყუილი და ტყუილს სიმართლე რომ უწოდოს, ამაზე ღრმა უფსკრული იქნება ქვეყანაზე?! აქედან გამომდინარე, ადამიანის ღვთისმსახურებები თუ ის რწმენით არ არის შესრულებული, პატრონის ბედნიერებას ვერ უზრუნველყოფს. მაგალითად, ედი-

სონმა ელექტროობა აღმოაჩინა და ამით კაცობრიობას უდიდესი სამსახური გაუწია. მიუხედავად ამისა, მას რომ რწმენა არ გააჩნდა, მისგან სარგებელს მაინც ვერ მიიღებს, რადგან რწმენა საფუძველთა საფუძველია.

მაგრამ ამ საფუძვლის ერთადერთი საძირკველი რა თქმა უნდა ღვთისმსახურებაა.

აქედან გამომდინარე, ისლამის რწმენა ნაყოფის მსხმოიარე ხეს ჰგავს. გული – მიწის ქვეშ არსებული ფესვები, ენა – ტანი, ღვთისმსახურებები – ტოტები, ფოთლები, ყვავილები და ნაყოფია. ხისგან, უპირველეს ყოვლისა, ნაყოფს ველოდებით, რწმენისგან კი ღვთისმსახურებას, ალლაჰთან მიახლოებას და მის ცნობას. ამიტომ, ისლამი მხოლოდ რწმენა არ არის. რწმენა და ღვთისმსახურება განუყოფელია. ღვთისმსახურებების გარეშე ისლამის რწმენით მარადიული ბედნიერების მოლოდინი სარისკოა. ამის გამოა, რომ ისლამის ხუთი ძირითადი საფუძვლისგან ოთხი ღვთისმსახურებაა. ის ერთი ქელიმეი შეჰადეთი რწმენას გამოხატავს და იმის გამო რომ ღმერთის ხსენებაა, ღვთისმსახურების მნიშვნელობის მატარებელია.

ალლაჰის შუამავალი ბრძანებს:

بُنِيَ الاِسْلاَمُ عَلَي خَمْسٍ؛ شَهَادَةِ أَنْ لاَ اِلَهَ اِلاَّللهُ وَ أَنَّ مُحَمَّدًا

رَسُولُ اللهِ وَاِقَامَةِ الصَّلاَةِ وَاِيتَاءِ الزَّكَاةِ وَحَجِّ الْبَيْتِ وَصَوْمِ رَمَضَانِ

„ისლამი ხუთ(ბურჯ)ს ემყარება:

1. (იმის) **დამოწმება, რომ არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა და მუჰამმედი მისი შუამავალია;**

2. ნამაზის ლოცვა;

3. ზექათის გადახდა;

4. ჰაჯობა. ალლაჰის სახლის – ქააბას მონახულება;

5. რამაზნის მარხვა." (ბუჰარი, იმანი 1-2,)

პოეტი ისლამის ამ ხუთ საფუძველს ხუთ მზეს ადარებს და ასე ამბობს:

ჩვენთვის ბოძებული ისლამის პირობა ხუთია,

ადამიანის სულისთვის თითოეული მათგანი ცალკე მზეა!

პირველი – ალლაჰისა და შუამავლის ამღიარებელი,
სულისთვის სამოთხის კარის გამღები განსაკუთრებული
სიტყვაა;

მეორე – ცად ამაღლებად წოდებული ნამაზია,
საყვარელსა და შენ შორის ყველა ფარდის ჩამომხსნელი!

მესამე – ზექათია, ჰალალი ლუკმის წყარო,
განკითხვის საშინელებისას ბედნიერების ჭადარი...

მეოთხე – გულწრფელად ჰაჯობის შესრულებაა,
ღმერთი ამ დროს ადამიანის ხელახალ დაბადებას
უზრუნველყოფს.

მეხუთე – სხეულისა და სულის სიკეთე მარხვაა.

ამ სილამაზეებით შეპყრობილი გული გაფრინდება!

მეჰმედ შენც გაავსე ამ ხუთი მზის შუქით,
გადალახე წყვდიადი, მორწმუნევ, იარე რწმენის შუქით!

ეს ხუთი პირობა, რა თქმა უნდა, ისლამს სრულად არ წარმოადგენს. ესენი მხოლოდ და მხოლოდ ისლამის მთავარი საყრდენებია. აქედან გამომდინარე, რომ ჩავთვალოთ ისლამი მხოლოდ ამ ღვთისმსახურებებისგან შედგება, შეცდომა იქნება. ვინაიდან, ისლამი ადამიანის ცხოვრებას დაბადებიდან სიკვდილამდე მთლიანად აწესრიგებს და წმენდს, როგორც გარე ისე შიდა სამყაროს. მისი უსაზღვრობის შესამეცნებლად ყურანისა და სუნნეთისთვის ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია. ზემოთ მოყვანილი ჰადისის საიდუმლოება კი მუსლიმანებისთვის მიმართულების მიცემა და კრიტერიუმის დაწესებაა. ეს მიმართულება უპირველესად არის ის, რომ მუსლიმანმა იცხოვროს ისლამის ხუთ საფუძველზე დამყარებული ცხოვრებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ისლამის ბინაზე მისი ფეხის მოკიდება რთული იქნება. ვინაიდან, თუ საფუძველი მოშლილია, სულ მცირე რყევაც დიდ ზარალს გამოიწვევს.

ისლამის ხუთი საფუძვლის გვერდით კიდევ უამრავი ელემენტია. თითოეულ მათგანს ისლამის კონსტრუქციის შექმნაში თავისი წვლილი შეაქვს. ეს ჭეშმარიტება ერთ ჰადისში ასეა გაცხადებული:

„ისლამი რვა წილისგან შედგება. ესენია: ისლამის რწმენა, ნამაზი, ზექათი, მარხვა, ქააბას მოლოცვა, სიკეთის ბრძანება, უკეთურების აკრძალვა, ჯიჰადი.“

ფარძები (სავალდბულო) და აკრძალვები – ფარგლის მყარ მხარეს, ხოლო სუნნეთები და სხვა აკრძალვები, ე.ი ნებაყოფლობითი ქმედებები, ფარგლის მოძრავ მხარეს ჰგავს. ეს ნიშნავს, რომ მაშინ, როცა ფარძები გამონაკლისის გარეშე, ყველამ უნდა შეასრულოს, ფარგლის მოძრავი მხარეს კი რამდენადაც გაშლი, ისე გაიშლება. ე.ი ყველა ადამიანს თავის შესაძლებლობების ფარგლებში და სურვილის მიხედვით შეუძლია ნებაყოფლობითი ღვთისმსახურებების შესრულება. ასე, რომ ადამიანს, რომელსაც აბუ ბაქრის მსგავსი უნარი გააჩნია, მისი უსუსური ადამიანის მსგავსად ცხოვრება სწორი არ არის. ასევე მას, ვისაც ამის ტალანტი არა აქვს, იცხოვროს აბუ ბაქრის მსგავსად შესაძლებელი არ არის. მთავარია ფარძები სრულყოფილად შევასრულოთ და ამის შემდეგ შესაძლებლობების ფარგლებში ვეცადოთ ღირსეულად ვემსახუროთ ღმერთს, შევიმოსოთ ღვთისმოშიშობით და დავიცვათ ჩვენთვის ნაწყალობევი ადამიანობა, მასში ჩადებულ საიდუმლოსთან ერთად.

❁

იმის გამო, რომ ისლამში მნიშვნელოვანია როგორც გარეგნული, ისე სულიერი ცოდნა, ამიტომაც უდიდესი ღმერთი მის საფუძველსა და ამ საფუძველთან დაკავშირებულ მგრძნობიარე საკითხებს შუამავლის საშუალებით ერთმორწმუნეებს წერილობითა და განმეორებებით ამცნობს. ამის მიზანი ისლამისა და რწმენის არსის სწორად შესწავლა და მისი ცხოვრებაში გატარების უზრუნველყოფაა. ამ ჭეშმარიტების

ფარგლებში გაცხადებული და **„ჯებრაილი ჰადისის“** სახელით ცნობილ ჰადისში ომარი ასე გადმოგვცემს:

წმინდა შუამავლის ﷺ გვერდით ვიჯექი. ჩვენთან თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი, შავთმიანი კაცი მოვიდა. არავითარი სამგზავრო ნივთი არ ჰქონდა. ჩვენ შორის მას არავინ იცნობდა. მოვიდა, წმინდა შუამავლის ﷺ წინ დაჯდა და მუხლები მუხლებზე მიაყრდნო. ხელები მუხლებზე პატივისცემით დაადო და უთხრა:

„მუჰამმედ, ისლამის შესახებ მიამბე!“

წმინდა შუამავალმა აუხსნა:

„ისლამი არის იმის დამოწმება, რომ არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა, მუჰამმედი მისი მონა-მსახური და შუამავალია, აგრეთვე ნამაზის ლოცვა, ზექათის გადახდა, რამაზნის მარხვა, შესაძლებლობების ქონის შემთხვევაში ალლაჰის სახლის მონახულება.“

უცნობი დაემოწმა:

„მართალს ამბობ!“

ჩვენ გაგვაოცა იმან, რომ ჯერ ჰკითხა შემდეგ კი დაემოწმა.

შემდეგ კვლავ შეეკითხა:

„რწმენის შესახებ მიამბე!“

წმინდა შუამავალმა ﷺ განუმარტა:

„ალლაჰის, ანგელოზების, წმინდა წიგნების, შუამავლების, განკითხვის დღის და ბედისწერის რწმენა. ე.ი იმის რწმენა, რომ კარგიც და ცუდიც ალლაჰისგან

მოდის.“

უცნობი კვლავ დაემოწმა:

„მართალს ამბობ!“

შემდეგ კვლავ უთხრა:

„სიკეთის შესახებ მომიყევი!“

წმინდა შუამავალმა განუმარტა:

„სიკეთეა, როცა ღვთისმსახურებას ისე ასრულებ, თითქოს ალლაჰს ხედავდე. რამდენადაც შენ მას ვერ ხედავ ის შენ გხედავს.“

კაცმა კვლავ ჰკითხა:

„ქვეყნიერების აღსასრული როდის მოვა?“

წმინადა შუამავალმა უპასუხა:

„ვისაც ქვეყნიერების აღსასრულის შესახებ ეკითხებიან, მან მკითხველზე ბევრი არაფერი იცის!“

„თუ ასეა ქვეყნიერების აღსასრულის ნიშნებზე მომიყევი!“

წმინდა შუამავალმა ﷺ ასე განმარტა:

„მონა ქალები ბატონებისგან ბავშვებს გააჩენენ, ფეხშიშველი, ტანშიშველი, ღარიბი წვრილფეხა საქონლის მწყემსები, ერთმანეთს მაღალი ბინების შენებაში გაეჯიბრებიან.“

ამ სიტყვების შემდეგ უცნობი ადგა და წავიდა. მე კარგა ხანს დავრჩი.

წმინდა შუამავალმა ﷺ მკითხა:

„ომარ, კითხვებს რომ მისვამდა, ის კაცი ვინ იყო იცი?“

„ალლაჰმა და შუამავალმა უკეთ იცის.“

„ეს ჯებრაილი იყო. თქვენთვის რწმენის სასწავლებლად მოვიდა.“ (მუსლიმი, იმანი, 1)

მოკლედ, ისლამის რწმენა მონა-მსახურობის გამოვლენის ადგილია, ღმერთისთვის ღვთისმსახურების გაწევის რწმენაა. როგორც აიათშია ნაბრძანები:

وَمَا خَلَقْتُ الْجِنَّ وَالْإِنسَ إِلَّا لِيَعْبُدُونِ

„ადამიანები და ჯინები მხოლოდ ჩემზე მონა-მსახურობისთვის გავაჩინე.“ (სურა ზარიათი, აიათი 56)

უდიდესი ალლაჰი შუამავალს ﷺ ასე უბრძანებს:

قُلْ إِنِّي أُمِرْتُ أَنْ أَعْبُدَ اللَّهَ مُخْلِصًا لَّهُ الدِّينَ

وَأُمِرْتُ لِأَنْ أَكُونَ أَوَّلَ الْمُسْلِمِينَ

قُلْ إِنِّي أَخَافُ إِنْ عَصَيْتُ رَبِّي عَذَابَ يَوْمٍ عَظِيمٍ

قُلِ اللَّهَ أَعْبُدُ مُخْلِصًا لَّهُ دِينِي

„(შუამავალო!) **უთხარი: მე მხოლოდ ალლაჰის რწმენა და მასზე მონა-მსახურება მებრძანა.**

და მე მებრძანა, ვიყო პირველი მუსლიმთაგანი.

უთხარი: თუკი ღმერთს ავუჯანყდები, მართლაც მეშინია განკითხვის დღის სატანჯველის.

თქვი: მე ხალასი რწმენით მხოლოდ ალლაჰს ვემსახურები.“ (სურა ზუმერი, აიათები 11-14)

أَفَمَن شَرَحَ اللَّهُ صَدْرَهُ لِلْإِسْلَامِ فَهُوَ عَلَى نُورٍ مِّن رَّبِّهِ فَوَيْلٌ

لِّلْقَاسِيَةِ قُلُوبُهُم مِّن ذِكْرِ اللَّهِ أُوْلَئِكَ فِي ضَلَالٍ مُبِينٍ

„ალლაჰი ვის გულსაც ისლამისთვის გააღებს, განა ის ღმერთისგან შუქს არ იღებს? ვაი, მათ, ვისი გულიც ალლაჰის ხსენებისათვის გაქვავებულა. ისინი აშკარა გზააცდენილობაში არიან.“ (სურა ზუმერი, აიათი 22)

უნდა აღვნიშნოთ, რომ ღვთისმოშიშობა ნებისმიერი რწმენა და რაც უნდა იყოს მასზე შეჩვევა არ არის. რწმენა არის ყურანის, სიცოცხლისა და სიკვდილის გამგებელი ალლაჰის ბრძანებებისა და კმაყოფილების შესაფერისი ქცევითა და ღვთისმსახურებით ცხოვრება.

ზოგიერთი რელიგიური კანონების შექმნის უფლება, შუამავლების გარდა, არავის ბოძებია. შუამავლები კი ამას ალლაჰის მიერ გარდმოვლენილი ზეშთაგონების მეშვეობით აკეთებდნენ. სხვა წმინდა წიგნებისგან განსხვავებით ყურანი დაცულია ადამიანების ხელის ჩარევისგან, მისი სასწაულები ქვეყნიერების აღსასრულამდე გაგრძელდება.

ისლამის რწმენამ წარსული საუკუნეების გადმონაშთი უსარგებლო ეჭვები და ლეგენდები დაამსხვრია,

ყოველგვარი სულელური და ბნელი რჩევები უკუაგდო და მხოლოდ სამართალი, ჭეშმარიტება, ზნეობა, სიმშვიდე, ღირსება აირჩია, ქადაგების საშუალებით კაცობრიობას კეთილდღეობისა და ბედნიერების კლიმატი მოუმზადა და საკუთარი თავისა და ღმერთის შეცნობა შეაძლებინა.

ისლამის რწმენა ადამიანებს საკუთარ თავის აპოვნინებს. უდიდესი ალლაჰი ბრძანებს:

„ჩემი სულისგან შთავბერე!..“

ისლამი ადამიანებს ამ სინამდვილეს შეამეცნებინებს. მათ ქმნილებაში არსებულ დახვეწილობას, სინატიფეს წარმოაჩენინებს გულის სარკეს მბრწყინავს ხდის. სულს წილად არგუნებს გამჩენს შეხვდეს. ცოდნის, მაღალი ზნეობის, გულისხმიერების, თანაგრძნობის, მიმტევებლობის მსგავსი თვისებებით მორწმუნეთა გულებს წმენდს.

ისლამის რწმენის ბედნიერების პაროლი რწმენისა და ღვთისმსახურებებისგან შედგება. ამის გამო ღვთისმოშიში გონებას ღმერთთან, გულს სიკეთესთან, სხეულის სხვა ორგანოებს კარგ და სასარგებლო საქმეებთან დააკავშირებს და ღვთისმოსავ ცხოვრებას გაატარებს.

მოკლედ, ისლამი ყველა ადამიანს სამოთხისკენ მიატრიალებს, სიკვდილს ქორწინების ღამედ გადააქცევს, მეორედ მოსვლისას ალლაჰთან შეხვედრას არგუნებს და მარადიულ ბედნიერებას მოაპოვებინებს.

ცხონებული აქიფი დღევანდელობის შემხედვარე,

ისლამის მიმდევრობაში სისუსტეგამოჩენილ მუსლიმანებს ამ ღვთიურ ელექსირს ასე უქადაგებს:

თუკი უნდათ არ გათელოს ნიაღვარმა,

შეიცვალონ მუსლიმანები, მკერდში ჩაიკრან ისლამი!

ჩემო ალლაჰო! ისლამის წყალობით ორივე სამყარო საყვარელი გაგვიხადე! ჩვენ ის ღვთიური ნათელი გვიწყალობე! მუსლიმებად აღგვასრულე და ღვთისმოსავ მონა-მსახურთაგანი გაგვხადე!

ამინ!

ისლამის არსი, ცისა და დედამიწის გასაღები

ქელიმეი შეჰადეთი და რწმენის საფუძვლები

ქელიმეი შეჰადეთი ის პირველი გაჩერებაა, საიდანაც ადამიანი ისლამში შესვლას იწყებს. ის არის წინადადება, რომელიც ალლაჰის არსებობასა და ერთობასთან ერთად ბოლო დროის შუამავლის შუამავლობასაც ამოწმებს. აქედან გამომდინარე, ქელიმეი შეჰადეთი რწმენის საფუძველი და საყრდენია.

შეჰადეთი იმდენად ამაღლებული სიტყვაა, რომ მთელი კაცობრიობის ხსნა და ბედნიერება მის უსასრულო მნიშვნელობაში იმალება.

ეს სიტყვა ყურანსა და ჰადისებში შემდეგნაირადაა გამოხატული:

ყველაზე ლამაზი სიტყვა;

ღვთისმოშიშების სიტყვა;

მართალი სიტყვა;

ზეცისა და მიწის გასალები;

გულწრფელი სიტყვა;

ჭეშმარიტი ქადაგება;

სამოთხის საზღაური.

ანუ ეს სიტყვა არის განსაკუთრებილი შინაარსის და არსის მომცველი. ისლამის სხვა საფუძვლები და მათი წვრილმანები სულ ამ არსთანაა დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, ქელიმეი შეჰადეთით რწმენა ყველა ღვთისმსახურებაზე უპირატესია. ვინაიდან, ღვთისმსახურებები მასზეა დამოკიდებული. ღვთისმსახურებების განსაზღვრულ დროს უნდა შესრულდეს. მათაგან ყველაზე ღირსეულის – ნამაზის დღეში ხუთჯერ შესრულება ფარძია, რწმენა კი მუდამ ფარძია. ადამიანმა გული მუდმივად უნდა მოარიდოს ისეთ ამქვეყნიურობას, რომელიც დაუდევრობაში აგდებს. აუცილებელია რწმენა ყველა საფეხურზე ძლიერი იყოს. რწმენა არავითარი საპატიო მიზეზის გამო ძალას არ კარგავს. ყოველ წუთს მისი დაცვა აუცილებელი პირობაა და გადავადების უფლება არ არსებობს.

ქელიმეი შეჰადეთი:

أَشْهَدُ اَنْ لاَ اِلَهَ اِلاَّ اللهُ وَ اَشْهَدُ أَنَّ مُحَمَّدًا عَبْدُهُ وَرَسُولُهُ

(ვმოწმობ, რომ: „არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა, მუჰამმედი მისი მონა-მსახური და შუამავალია“) ენით აღიარების, გულით დამოწმებისგან შედგე-

ბა. სიღრმისეული აზრი კი ისლამის ჭეშმარიტებების სისტემის მომცველია.

შეიძლება ითქვას, რომ ყურანი მთლიანად იმის ახსნა-განმარტებაა, რა არის ქელიმეი თევჰიდი. რადგან ყურანი რწმენისა და ერთღმერთიანობის განმარტებებისგან შედგება. ეს ჭეშმარიტება აიათში ასეა გაცხადებული:

هَـٰذَا بَلَاغٌ لِّلنَّاسِ وَلِيُنذَرُواْ

بِهِ وَلِيَعْلَمُواْ أَنَّمَا هُوَ إِلَـٰهٌ وَاحِدٌ وَلِيَذَّكَّرَ أُوْلُواْ الأَلْبَابِ

„ეს (ყურანი) **არის შეტყობინება ადამიანთათვის, რათა გაფრთხილებულ იქნენ და იცოდნენ რომ უეჭველად ის** (ალლაჰი) **არის ერთადერთი ღვთაება. რათა დაფიქრდნენ გონიერნი.“** (სურა იბრაჰიმი, აიათი 52)

ყველა ღვთისმოსავი ქმედება, რომელიც ადამიანს ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც ალლაჰის კმაყოფილებას მოაპოვებინებს, ყველაზე ლამაზი სიტყვის – თევჰიდის შედეგია. ღვთისმსახურებები ადამიანს იმდენად მოაპოვებინებს დახვეწილობასა და მაღალ ზნეობას, რაოდენი ამის საპირისპიროდ რწმენაც აქვს გულში. რამდენადაც მისი საპირისპირო ცუდი ქმედებები, რომლებიც ალლაჰის სატანჯველს დაიმსახურებს, ცუდი სიტყვების შედეგია. ისინი ყოველგვარი უბედურების, ინტრიგების, შფოთის წყაროა.

უდიდესი ალლაჰი ბრძანებს:

أَلَمْ تَرَ كَيْفَ ضَرَبَ اللَّهُ مَثَلاً كَلِمَةً طَيِّبَةً

كَشَجَرةٍ طَيِّبَةٍ أَصْلُهَا ثَابِتٌ وَفَرْعُهَا فِي السَّمَاء

تُؤْتِي أُكُلَهَا كُلَّ حِينٍ بِإِذْنِ رَبِّهَا وَيَضْرِبُ اللَّهُ الأَمْثَالَ

لِلنَّاسِ لَعَلَّهُمْ يَتَذَكَّرُونَ وَمَثَلُ كَلِمَةٍ خَبِيثَةٍ

كَشَجَرَةٍ خَبِيثَةٍ اجْتُثَّتْ مِن فَوْقِ الأَرْضِ مَا لَهَا مِن قَرَارٍ

„განა არ გინახავს ალლაჰმა როგორი მაგალითი მოიყვანა: სასიამოვნო სიტყვა შეადარა ხეს, რომელსაც ფესვები მყარად გაუდგამს მიწაში, ტოტები კი ცაში აქვს აწვდილი.

(ის ხე) **ღმერთის ნებით, ყოველთვის იძლევა ნაყოფს. ალლაჰს ადამიანთათვის მოჰყავს მაგალითები, რათა გონს მოეგონ.**

ბილწსიტყვაობის (მკრეხელობისა და ურწმუნოების) **იგავი კი ჰგავს ხეს, რომელიც მიწიდან ამოგლეჯილია და სიმყარე არ გააჩნია.“** (სურა იბრაჰიმი, აიათები 24-26)

ალლაჰის შუამავალი ﷺ ბრძანებს:

„ნებისმიერ დროს ნაყოფის მოცემის მიზანი არის ის, რომ ადამიანმა დღე და ღამე ალლაჰის ხსენებაში გაატაროს.“ (ფეზაილ ამალ, 462)

იბნ აბბასი აიათების კომენტარებში ბრძანებს:

„აქ ქელიმეი შეჰადეთზეა მინიშნება. მისი ფესვები

მორწმუნე ადამიანის სიტყვებსა და გულშია, ტოტები კი – ზეცაში. ამის გამო მორწმუნეების ქმედებები ზეცად მაღლდება. ცუდი სიტყვები კი მრავალღმერთიანობის, მკრეხელობისა და ურწმუნოების გამომხატველი სიტყვებია. იმით არც ერთი ქმედება მიღებული არ იქნება.“

قَدْ أَفْلَحَ مَن تَزَكَّى

„**უეჭველად, გადარჩა ის, ვინც** (მკრეხელობისა და ცოდვისგან) **განიწმინდა.“** (სურა ალა, აიათი 14)

ამ აიათის განმარტებისას ალლაჰის შუამავალი ﷺ ბრძანებს:

„აიათში განწმენდის მიზანი

„ლა ილაჰე ილლალლაჰ, მუჰამმედუნ რესულ ალლაჰ“

შეჰადეთის წარმოთქმა და კერპების უარყოფაა.“ (ფეზაილი ამალ, 466)

სწორედაც, განწმენდილი ადამიანის მოვალეობა ამ ჰადისის საიდუმლოში ჩაწვდომა და მის მიხედვით მოქმედებაა. ქვემოთ მოყვანილ აიათში კი უზენაესი ღმერთი ბრძანებს, რომ ადამიანს გულში წარმოშობილი კერპები უნდა სძულდეს:

أَفَرَأَيْتَ مَنِ اتَّخَذَ إِلَهَهُ هَوَاهُ

„ვნება-სურვილების გამღმერთებელი დაინახე?“ (სურა ჯასიე, აიათი 23)

სხვადასხვა აიათების მიხედვით, შუამავლების მოვალეობაა ადამიანებს უქადაგონ ისე, რომ მათი გული განიწმინდოს და ჩასწვდეს ერთღმერთიანობის სიღრმეს. ვინაიდან, რწმენის არსი მბრწყინავ სარკეს ჰგავს. ადამიანი ღმერთთან მიმართებაში უგულისყუროდ თუ იქცევა, ეს სარკე დაბინძურდება და ღმერთის სილამაზეს ვეღარ აირეკლავს. ღვთიური გამოვლინებების გულში გამოვლენა მხოლოდ ღმერთის ხსენებითა და ამგვარი გამოფხიზლებითაა შესაძლებელი. გახსენება დავიწყების საპირისპიროა. რწმენისთვის ჟანგის მოცილება ღმერთის გულწრფელი პატივისცემითაა შესაძლებელი.

შუამავლები და წმინდანები ადამიანს ყველაზე ლამაზი ფორმით უქადაგებენ ზეცის და მიწის გასაღებს – ქელიმეი თევჰიდს. ბევრ ადამიანს ხვდა წილად ბედნიერება მათ გულში არსებული ჭეშმარიტი რწმენის სიამოვნება თავადაც განეცადათ და ამგვარად შეხვედროდნენ ღმერთს. ისინი ამ წარმავალ ქვეყანაზე კაცობრიობას წინ უძღვიან და გულებს თევჰიდის პორიზონტისკენ უწევენ მობილიზებას.

შეჰადეთში სხვადასხვა ღვთიური საიდუმლოებები და სიბრძნეა დამალული. ამის გამოა, რომ მიწა, ზეცა, ყველა არსება, ანგელოზები და ნამდვილი ცოდნის პატრონები ქელიმეი თევჰიდს აღიარებენ და ამოწმებენ. ამავე დროს უდიდესი ღმერთიც, რომელიც მათგან ამ აღიარებას ითხოვს, თავადაც ამოწმებს ქელიმეი თევჰიდს. აზიზ მაჰმუდ ჰუდაი ამ საკითხის გამო პოეტურად მოგვითხრობს:

ნუ ენდობი წუთისოფელს,
სჯობს მიმართო თევხიდს,
განიმტკიცო რწმენა ლოცვით,
არ დამძიმდე ცოდვით,
თევხიდიდან თევხიდისკენ,
ერთ ალლაჰის ცოდნით!

ენდე დიდ ღმერთს, მის ბრძანებას,
სჯობს მიმართო თევხიდს,
ნუ აივსებ უბე-კალთას
ამქვეყნიურ ცოდვით,
თევხიდიდან თევხიდისკენ
ერთ ალლაჰის ცოდნით!

მოერიდე ხრწნად სამყაროს,
სჯობს მიმართო თევხიდს,
ალლაჰს სთხოვო დახმარება
არ იარო ცოდვით,
თევხიდიდან თევხიდისკენ
ერთ ალლაჰის ცოდნით!

თუ გსურს დარდი ჩამოგშორდეს,
სჯობს მიმართო თევხიდს,
არ მოტყუვდე, არ დაბრმავდე,
სიყვარულით, კოცნით,
თევხიდიდან თევხიდისკენ
ერთ ალლაჰის ცოდნით!

გაცოცხლდები განკითხვის დღეს,
სჯობს მიმართო თევხიდს,
გული, სული რწმენას უძღვნა,
არ გაივსო ცოდვით!

თევხიდიდან თევხიდისკენ
ერთ ალლაჰის ცოდნით!

გსურს ოცნება შეგისრულდეს,
სჯობს მიმართო თევხიდს,
სილამაზემ არ მოგხიბლოს,
არ იარო ცოდვით,
თევხიდიდან თევხიდისკენ
ერთ ალლაჰის ცოდნით.

არ მოშორდე ჭეშმარიტ გზას,
სჯობს მიმართო თევხიდს,
არ დანებდე ნებას, ლტოლვას,
არ დამძიმდე ცოდვით,
თევხიდიდან თევხიდისკენ
ერთ ალლაჰის ცოდნით!

გეშინოდეს შირქის ცეცხლის,
სჯობს მიმართო თევხიდს,
„მე შევიცან თავისთავი!“
არ ამტკიცო ცოდვით,
თევხიდიდან თევხიდისკენ
ერთ ალლაჰის ცოდნით!

წინ სიკვდილი გელოდება,
სჯობს მიმართო თევხიდს,
გწამდეს – ისევ გაცოცხლდები,
არ დამძიმდე ცოდვით,
თევხიდისკენ, თევხიდისკენ,
ერთი ღმერთის ცოდნით!

აიათში ნაბრძამებია:

شَهِدَ اللهُ أَنَّهُ لاَ إِلَـهَ إِلاَّ هُوَ وَالْمَلاَئِكَةُ وَأُوْلُواْ الْعِلْمِ قَآئِمَاً بِالْقِسْطِ
لاَ إِلَـهَ إِلاَّ هُوَ الْعَزِيزُ الْحَكِيمُ

„ალლაჰი მოწმობს, რომ: უეჭველად არ არსებობს ღვთაება მის გარდა. ასევე ყველა ანგელოზი და მცოდნე მტკიცე სიტყვით მოწმეა, რომ არ არსებობს სხვა ღმერთი, ძლიერი და ბრძენ(ალლაჰ)**ის გარდა.“**
(სურა ალი-იმრანი, აიათი 18)

ქელიმეი შეჰადეთში განსაკუთრებით ეს ოთხი საკითხია ხაზგასმული:

1. ალლაჰის არსებობის მტკიცება;

2. ალლაჰის თვისებების მტკიცება;

3. ალლაჰის ქმედებების მტკიცება;

4. მის მიერ ზეგარდმოვლენილ ყველა საკითხზე ალლაჰის შუამავლის ﷺ სიმართლის მტკიცება.

ამ გადასახედიდან **ქელიმეი შეჰადეთი,** ჩვენ მიერ წარმოთქმული **„ამენთუს“**, რწმენის ექვს პირობაზე ბეჭდის დასმას ჰგავს. სწორედაც ამენთუში მეექვსე პირობის შემდეგ, მანამდე ნათქვამისა და შემდეგ სათქმელზე დამოწმება, მთლიანად მოიცავს რწმენას. ამას მოკლედ თუ შევეხებით, ასეა:

آمَنْتُ بِاللَّهِ وَمَلاَئِكَتِهِ وَكُتُبِهِ وَرُسُلِهِ وَالْيَوْمِ الأَخِرِ وَبِالْقَدَرِ خَيْرِهِ وَشَرِّهِ
مِنَ اللَّهِ تَعَالَي وَالْبَعْثُ بَعْدَالْمَوْتِ حَقٌّ أَشْهَدُ اَنْ لاَ اِلَهَ اِلاَّ اللَّهُ وَ اَشْهَدُ أَنَّ

مُحَمَّدًا عَبْدُهُ وَرَسُولُهُ

„ვირწმუნე ალლაჰის, ანგელოზების, წმინდა წიგნების, შუამავლების, განკითხვის დღის, ბედისწერის; იმის, რომ კარგიც და ცუდიც ალლაჰისგან არის, სიმართლეა და ვმოწმობ, რომ არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა. ასევე ვმოწმობ, რომ მუჰამმედი მისი მონამსახური და შუამავალია.“

ადამიანი ისლამის ხუთი პირობით გამუსლიმანდება. რწმენის მეექვსე პირობა კი ხალასი რწმენის თავისებურებაა.

აქედან გამომდინარე, მუსლიმისთვის საკმარისი არაა მხოლოდ თქვას **„ვირწმუნეო“**. ნამდვილი რწმენა ალლაჰის არსებობის, წმინდა მუჰამმედ შუამავლის შუამავლობის ﷺ გულით დამოწმება, ენით აღიარება და ამ რწმენის სწორად სწავლა, მისი საშუალებით სწორი ორიენტირებაა. მოკლედ, ისლამის ხედვა სრულყოფილად და უნაკლოდ უნდა ჩაითვალოს და ისეთი სრულყოფილებით უნდა იქნას გაგებული და აღსრულებული, რომ ადამიანს კეთილდღეობა, სიმშვიდე მოაპოვებინოს. ამისათვის კი, უპირველეს ყოვლისა საჭიროა, ადამიანს ალლაჰის თვისებებთან დაკავშირებით, მცდარი შეხედულებები არ ჰქონდეს.

ალლაჰის რწმენა

ზეცის, მიწისა და მათ შორის ყოველივე არსებულის, სამყაროს არაფრისგან შემქმნელი ალლაჰის სრულყოფილად შემეცნებას ადამიანის გონება ვერ შესწვდება,

მას ამის უნარი არ შესწევს. აქედან გამომდინარე, უდიდესი ალლაჰის ადამიანის სახით წარმოდგენა, წარმოსახვები და გუმანები სხვა არაფერს მოიტანს, თუ არა სრულყოფილი რწმენის დაზიანებას. სწორედაც, ალლაჰის შუამავალიც ﷺ ამას კრძალავს:

„ალლაჰის სიკეთეებზე (მის გაჩენილებზე და სიდიადეზე) დაფიქრდით! (მაგრამ) ალლაჰი (ადამიანის სახით) არ წარმოიდგინოთ! (ვინაიდან, არც ერთ არსებას ამის ძალა არ შესწევს).“ (ქითაბულ ერბინ, ტ. I, გვ. 90)

ამის გამო დიდი მისტიკოსები ამბობენ:

„ღმერთო ჩვენო, შენ ისეთი ხარ, როგორიც ხარ, ჩვენი ცოდნა შენს წარმოსახვას არ ეყოფა.“

მართლაცდა, შეუძლებელია ადამიანმა უდიდესი ალლაჰის შესახებ ცოდნა მოიპოვოს. რადგან მის შემეცნებას ადამიანური ძალა და უნარი არ ეყოფა. აქედან გამომდინარე, ალლაჰის ბუნებაში ჩაწვდომა შეუძლებელია. ნაწარმოებიდან ზემოქმედებამდე, ქმნილებიდან შემოქმედამდე და მიზეზიდან დამნაშავემდე მიმავალი შემეცნების გზები გახსნილია. თუკი ადამიანი შემეცნებით, უშეცდომო და ნება-სურვლითა და დაფიქრებით ღმერთის თვისებებსა და ქმნილებებს დააკვირდება ურწმუნო არასდროს იქნება. ვინაიდან, უარყოფა იწყება იქ, სადაც ჭკუა და გონება გულის გრძნობებს აფუჭებს. ესე იგი, გონება და გული როცა უნაკლო ბუნებას დაიცავს, ადამიანის ურწმუნოებაში ჩათრევა შეუძლებელია. ადამიანი ურწმუნო ქვეყანაში თუ გაახელს თვალს, მისი ურწმუნოებიდან ხსნის შესაძლებლობა მაღალია. ამის მაგალითია ის, რომ წმინდა

იბრაჰიმ შუამავალმა, მიუხედავად იმისა, რომ კერპთაყვანისმცემლობის გარემოში დაიბადა და გაიზარდა, გულისა და გონების მეშვეობით ალლაჰის არსებობა და ერთადერთობა შეიგრძნო, მის მონოთეიზმზე ყურანში გარკვეულადაა გაცხადებული.

აქედან გამომდინარე, აბსოლუტური ურწმუნოება მოფიქრალი გონებისათვის შეუძლებელია. ვინაიდან, რაღაცაზე არ არისო თქმა, საქმიდან გამოსავალი არ არის. ამისათვის დამაჯერებელი არგუმენტებია საჭირო. ისინი, ვინც ვერ ხსნიან ამ ცხოვრების, სამყაროსა და სიკვდილის საიდუმლოს, მხოლოდ „არ არსებობსო“ – თქმით რას ამტკიცებენ? ეს მდგომარეობა ჰგავს იმ ადამიანების ყოფას, ვისაც შიმშილის გამო სხეული უავადმყოფდებათ და მას ვერ ამჩნევენ. მათი ნათქვამი „არ მშია“ მაშინ, როცა მშიერი არიან, მხოლოდ მათი ავადმყოფობის მტკიცებულებაა. თუ ადამიანს ყველა გრძნობის სისტემა პარალიზებული აქვს ან ნარკოზი აქვს გაკეთებული. სხეულში ლურსმანი რომ შეერჭოს, სხეულის ნაწილები ქსოვილივით რომ მოაჭრან, ვერაფერს იგრძნობს. ასევე ადამიანს, რომელიც უმაღლეს ჭეშმარიტებებს ვერ ამჩნევს, სული დაავადებული აქვს და ამას ვერც კი ხვდება. მასზე და მის მსგავსებზე უდიდესი ღმერთი აიათში ბრძანებს:

„ბრმები, ყრუები...“

ვინაიდან, უდიდესმა ალლაჰმა ყველა ადამიანის ბუნებაში ჩადო რწმენისა და ჭეშმარიტების ძიების მოთხოვნილება, ამიტომაც რწმენასა და ჭეშმარიტებაზე არაფრის ცოდნა სულის სიბრმავისა და სიყრუის

მაჩვენებელია. თუმცა ურწმუნო ადამიანის სულიც მზად არის ალლაჰის შესამეცნებლად ან შემეცნებული აქვს, მაგრამ ამ თვისების სიბრმავისა და სიყრუის მიზეზით შეგნებული არ აქვს. ზუსტად იმ სიზმრების მსგავსად, რომელიც ესიზმრა ადამიანს, მაგრამ არ ახსოვს.

აქედან გამომდინარე, ჩვენი პასუხისმგებლობისა და შესაძლებლობების ფარგლებში აუცილებელია ჩვენი არაფრისგან შემქნელი ალლაჰის ცნობა და გაგება, მისი თვისებებისა და ქმედებების სწორი ფორმით შემეცნება.

ყურადღებას თუ მივაქცევთ, დავინახავთ, რომ ადამიანური და ზეციური ყველა რწმენა „ალლაჰის რწმენაა“. მხოლოდ ეს რწმენა შინაარსში სხვადასხვა შეცდომებს აჩვენებს. ამ შეცდომების გამო ისლამის ხედვიდან ვარგისად ვერ ჩაითვლება. ვინაიდან, მათი რწმენა სამყაროს ერთადერთი გამჩენის ნაკლოვანი თვისებებისგან თავისუფლებას, სრულყოფილი თვისებების დამახასიათებელ სიდიადეს არ ეთავსება. ისლამი არის ღმერთის შესახებ სწორი რწმენის შინაარსის, ამიტომაც ღმერთისა და შუამავლის სიტყვებიდან ზოგიერთ თვისებებს ახასიათებს, ისლამი არასდროს აღიარებს, რომ ღმერთის რომელიმე თვისება ნაკლოვანი იყოს და არც სხვა რაიმეს მიუმატებს მას. ეს თვისებები საყოველთაო და ცნობილი კლასიფიკაციით ორ ჯგუფად იყოფა:

ა. (ზათი სიფათები): მხოლოდ ალლაჰისთვის განკუთვნილი თავისებურებები.

ბ. (სუბუთი სიფათები): ალლაჰის მიერ გამოვლენილი თავისებურებები.

ზათი (სიფათები) თავისებურებები შემდეგია:

არსებობა: ალლაჰი სხვა რაიმეზე დამოუკიდებლად არსებობს. მისი არსებობა არაფერზე არ არის დამოკიდებული. ის თავისით არსებობს, ამიტომაც მისი არარსებობა შეუძლებელია. მასზე ამბობენ: „ვაჯიბულ-ვუჯუდი“ – აუცილებლად არსებული. ყველა არსება მისი გაჩენილია. შემქმნელს ჰქვია „მუმქინულ-ვუჯუდ“ – შესაძლებელია არსებობდეს. აიათში ნაბრძანებია:

اللَّهُ لَا إِلَهَ إِلَّا هُوَ الْحَيُّ الْقَيُّومُ لَا تَأْخُذُهُ سِنَةٌ وَلَا نَوْمٌ لَهُ مَا فِي السَّمَوَاتِ وَمَا فِي الْأَرْضِ

„ალლაჰი! მის გარდა ღვთაება არ არსებობს; ის მარად ცოცხალი და ყოვლისმმართველია. მისთვის უცხოა თვლემა და ძილი. ცათა და დედამიწაზე არსებული – ყველაფერი მისია...“ (სურა ბაყარა, აიათი 255)

ადამიანების გასაოცებლად ამ უსასრულო სამყაროში საოცარი წყობილება და ჰარმონია სუფევს. ეს წყობა და ჰარმონია სრულყოფილად, დახვეწილად და მგრძნობიარედ, სრული წონასწორობის დაცვით სამყაროს შექმნის დღიდან დღემდე არსებობს. ცნობილია, რომ დედამიწის ღერძზე 23,5 გრადუსიანი დაქანება რომ არ არსებობდეს, წელიწადის დროები არ იარსებებდა. ამის გამო, სადაც ზაფხული უნდა იყოს მუდამ ზაფხულია; სადაც ზამთარი უნდა იყოს მუდამ ზამთარია. დედამიწასა და მზეს შორის მანძილი უფრო

მეტი რომ ყოფილიყო, ყველა ადგილი პოლუსებად იქ-ცეოდა ან პირიქით, არსებულზე ცოტა რომ ყოფილიყო, ყველა ადგილი გავარვარებული იქნებოდა. ეს და ამგ-ვარი თავისებურებები ცხადყოფს, რომ ყველა არსების ცხოვრება საჭიროებისამებრ არის დაპროგრამებული.

ამგვარი შესანიშნავი, რთულად და დაწვრილებით გაანგარიშებული მექანიზმის არსებობა გამჩენის სიდ-იადის შესაბამისია და მისი არსებობისა და ერთადერ-თობის, ძალისა და სიდიადის მანიშნებელია.

აიათში ნაბრძანებია:

وَالسَّمَاء رَفَعَهَا وَوَضَعَ الْمِيزَانَ

„ზეცა აამაღლა და საზომი (წონასწორობა) **დაუ-წესა.“** (სურა რაჰმანი, აიათი 7)

الَّذِي خَلَقَ سَبْعَ سَمَاوَاتٍ طِبَاقًا مَّا تَرَى فِي خَلْقِ الرَّحْمَنِ مِن تَفَاوُتٍ
فَارْجِعِ الْبَصَرَ هَلْ تَرَى مِن فُطُورٍ ثُمَّ ارْجِعِ الْبَصَرَ كَرَّتَيْنِ
يَنقَلِبْ إِلَيْكَ الْبَصَرُ خَاسِئًا وَهُوَ حَسِيرٌ

„ის არის შვიდი ზეცის შემქნელი. რაჰმანის (მოწყა-ლის) **გაჩენილში შეუწყობელს ვერ** (დაი)**ნახავ. მზერა მოატარე, შეძლებ რაიმე ნაკლის დანახვას?**

შემდეგ დაუბრუნდი და მზერა კვლავ მოავლე; დაღ-ლილი და უიმედო თვალი კვლავ შენ დაგიბრუნდება...“ (სურა მულქი, აიათები 3-4)

ბაღის პატრონმა ერთ დილით ბაღში ნერგები უწეს-

რიგოდ წაქცეული რომ დაინახოს, ამას ქარიშხალს ან სტიქიურ უბედურებას დააბრალებს და ადვილად შეეგუება. მაგრამ ნერგები მოწესრიგებულად თუ იქნება წაქცეული, მაგალითად, ყოველი მესამე ან მეხუთე, მას სტიქიურ უბედურებად არ ჩათვლის. მიხვდება, რომ ეს ჩადენილია გონიერი ადამიანის მიერ, ვისაც ანგარიში შეუძლია. ეს შეიძლება მტერი ან ბოროტმზრახველი იყოს. ადამიანს, რომელსაც იმის გაფიქრებაც კი არ უნდა, რომ ხუთი ან ათი წაქცეული ხე მხოლოდ შემთხვევაა, იფიქრებს, რომ ეს სამყარო შემთხვევითია? როგორ იტყვის, რომ ეს ჰარმონიული „სამყარო“ შემთხვევითია, როგორ იფიქრებს იმას, რომ ამ სამყარომ თავად შექმნა საკუთარი თავი?

წმინდა მევლანა ამ საკითხთან დაკავშირებით სიბრძნის კარებს ხსნის და თვალსა და გულს გამოფხიზლებისაკენ მოუწოდებს:

„თუკი წისქვილის ქვის მოძრაობას ხედავ, უფრო ყურადღებით იყავი და მისი მოძრაობაში მომყვანი მდინარის წყალიც დაინახე!“

„მიწა, მტვერი ჰაერში დაინახე. მათ ჰაერში ამტაცებელ ქარსაც შეხედე!“

„ფიქრის ქოთნის დულილს თუ ხედავ, მის ამდუღებელ ცეცხლსაც გამჭრიახად დააკვირდი!“

„ვაი, უმეცარო, ამ კოშკების, სასახლეების და უამრავი ბინის შემქმნელის არსებობის დაჯერება ჭკვიანურია თუ დაუჯერებლობა!“

„შენ მიერ ნანახი ნაწერის დამწერი მდივნის არსე-

ბობაა აზრიანი, თუ კედლების მომკაზმველი და გვერდების სტრიქონებად შემავსებელი ნაწერები უმდივნოდ არის შვილო!“

„ადამიანო! ამ სამყაროში რაიმე ისეთი შეიძლება მაჩვენო, რაც თავისთავად გაჩნდა? თავისთავად აღმოცენებული და გაზრდილი ნერგი მიწისგან განცალკევებული წარმოიდგინე და ვნახოთ თავისით თუ გაიზრდება!“

ყველა ჯანმრთელი გული შეიმეცნებს, რომ სამყაროში ყველაფერი მიზეზთა ჯაჭვია და ყველაფერი საბოლოოდ ალლაჰთან მიდის. მაგრამ ამ საკითხში ეშმაკი ადამიანის შემეცნების შეცდომაში შესაყვანად ყოველ კუთხეში მას მახეს უგებს. იმისათვის, რომ უამრავი ადამიანი წინდაუხედაობით ამ მახეში არ გაებას, წმინდა მევლანა ეშმაკის ინტრიგებს გვახსენებს და ასე გვაფრთხილებს:

„შენ ამ რწმენის საკითხში ეშმაკს თამაშში არ აჰყვეის ისეთი ქურდია, რომ წყვდიად ღამეში ხელსაყრელ შემთხვევასა და კარის სახელურს რომ იპოვის, კართან მიდის, აკაკუნებს. შენც ხელში სანთებელას აიღებ ლამპრის ასანთებად, მიდიხარ და გინდა ნახო, ვინ მოვიდა. მაგრამ რამდენჯერაც კვესს დაჰკრავ, ეშმაკი აბედს იმდენჯერ ჩაგიქრობს. შენც წყვდიადის გამო ამას ვერ დაინახავ, სიმართლეს ვერ მიხვდები და იტყვი „კვესი დანესტიანებულაო“. ამგვარად, კვესის ჩამქრობი ეშმაკი შენთვის დაფარული და უჩინარი ხდება. შენც უგულისყუროდ მოიქცევი. აი, ამგვარად გიქრობს ეშმაკი რწმენის ლამპარს უგულისყურობის წყვდიადში.

აქედან გამომდინარე, შენ ნამდვილი ზემომქმედისადმი გულგრილად გტოვებს,გულიდან ყველა ღირსებას მოგტაცებს და შედეგად საიქიოს „ბანკროტად“ გაქცევს. ასე თუ წახვალ, თვალი და გული ვერც ქმნილებას შეამჩნევს და ვერც ზემოქმედებას განიცდის!“

ყურანში ნაბრძანებია:

إِنَّمَا يَخْشَى اللَّهَ مِنْ عِبَادِهِ الْعُلَمَاء

„უეჭველად ალლაჰის (საკადრისად) **მხოლოდ სწავლულ მონა-მსახურებს ეშინიათ!.“** (სურა ფათირი, აიათი 28)

აქედან ნათლად ჩანს, რომ ალლაჰის დიდებულებისა და ძალის შესაბამისად შემეცნება უპირველესად ცოდნის საქმეა. ამ ჭეშმარიტების გამოა, რომ არც ერთი მეცნიერი, რომელიც მაკრო და მიკრო სამყაროს დეტალებს სწავლობს, ურწმუნო არ არის. პირიქით, ისინი რომელ სფეროშიც მოღვაწეობენ, იმ სფეროში დაკვირვების შედეგად აღმოაჩენენ საოცარ წყობას და ამ მიზეზით გამჩენის არსებობასა და ძალას ყველაზე უკეთ სწვდებიან. ქვემოთ მოცემული აინშტაინის სიტყვები ამ ჭეშმარიტების მტკიცებულებაა:

„მე არ მჯერა რომ ღმერთი კამათელს აგორებს. შემთხვევით და უანგარიშოდ არაფერი არ არის შექმნილი. ჩვენ ამ სამყაროს წონასწორობა გვაოცებს, რა თქმა უნდა, იმდენად, რამდენადაც ჩაწვდომა შეგვიძლია... შეიძლება ითქვას, რომ ბუნების ყველა მკლევარი რომელიმე რწმენას აუცილებლად სცემს პატივს. ვინაიდან, ის ჩვეულებრივ ალლაჰის ძალის აღმომჩენი აღმოჩენაა. ამიტომ ვფიქრობ, რომ ნამდვილი მეცნ-

იერი არ შეიძლება ურწმუნო იყოს. ეს მდგომარეობა შეიძლება შემდეგნაირად გამოვხატოთ. ***ურწმუნო მეცნიერისთვის დაჯერება შეუძლებელია. მეცნიერება რელიგიის გარეშე კოჭლია, რელიგია მეცნიერების გარეშე კი – ბრმა.“***

სწორედაც პოზიტიური მეცნიერებებით დაკავებული ბევრი ურწმუნო სწავლული გამუსლიმანდა და ბევრიც მიუხედავად იმისა, რომ არ ირწმუნეს, იგრძნეს, რომ იძულებულნი იყვნენ ღმერთს მინდობოდნენ. ეს მდგომარეობა ყურანის ერთი საოცრებაა. უდიდესი ალლაჰი ბრძანებს:

وَيَرَى الَّذِينَ أُوتُوا الْعِلْمَ الَّذِي أُنزِلَ إِلَيْكَ مِن رَّبِّكَ هُوَ الْحَقَّ الْعَزِيزِ وَيَهْدِي إِلَى صِرَاطِ الْحَمِيدِ

„ნამდვილი სწავლულები დაინახავენ, რომ ღმერთისგან შენზე (ო, შუამავალო) ზეგარდმოვლენილი ჭეშმარიტებაა და (მათ ის) **დიდებული ალლაჰის გზით წაიყვანს.“** (სურა სებე, აიათი 6)

سَنُرِيهِمْ آيَاتِنَا فِي الآفَاقِ وَفِي أَنفُسِهِمْ حَتَّى يَتَبَيَّنَ لَهُمْ أَنَّهُ الْحَقُّ أَوَلَمْ يَكْفِ بِرَبِّكَ أَنَّهُ عَلَى كُلِّ شَيْءٍ شَهِيدٌ

„მათ ჰორიზონტებზე და საკუთარ არსში ჩვენი აიათები უნდა ვაჩვენოთ, რათა მისი (ყურანის) **ჭეშმარიტება მათთვის გაცხადდეს! განა** (შენთვის) **შენი ღმერთი საკმარისი არაა? უეჭველად ის ყველაფრის მოწმეა“** (სურა ფუსილეთი, აიათი 53)

თუკი ადამიანი სამყაროს ყურადღებით დააკვირდება, მასში აიათების უთვალავ გამოვლინებებს დაინახავს:

დედამიწაზე მხოლოდ ადამიანები და ცხოველები რომ არსებობდნენ, ბუნებაში არსებულ მთელ ჟანგბადს გამოიყენებდნენ და ნახშირჟანგად აქცევდნენ, ხოლო რაღაც დროის შემდეგ, ჟანგბადის შემცირებასთან ერთად გაზრდილ ნახშირჟანგით მოიწამლებოდნენ და განადგურდებოდნენ. მხოლოდ ამ სამყაროს შემქმნელმა ძალამ შექმნა მცენარეები და მათ ნახშირჟანგი გამოაყენებინა, ჟანგბადით გარდაქმნის თვისება მიანიჭა და ამგვარად სამყაროში გაწონასწორებული დინება ჩამოყალიბდა.

მეორე მხრივ, გამჩენმა დედამიწის სამი მეოთხედი წყლით დაფარა. ერთი მეოთხედის დიდი ნაწილი კლდეები და უდაბნოებია, სადაც მცენარეები არ ხარობს. დარჩენილი მცირე ნაწილია მხოლოდ მიწა. ის რა უმაღლესი ძალაა, რომ მიწას მუდმივი ცვალებადობით სხვადასხვა მდგომარეობაში აყენებს და იძლევა ყველა არსების საკვებს.

ერთი ცხოველის სახეობა ავიღოთ. ამ სახეობის რამდენი სულიერი მოსულა და მოვა, ყველა ერთად რომ გამოგზავნილიყო, დედამიწაზე მოსული საკვები მხოლოდ ამ ერთ სახეობას არ ეყოფოდა. მაგრამ ალლაჰმა ისინი დროის და ადგილის საიდუმლოს დახმარებით უფრო ფართოდ გაავრცელა,ისინი უწყვეტობის კანონით შექმნა. აქედან გამომდინარე დედამიწა დროისა და ადგილის საიდუმლოთი ნორმალური შესაძლე-

ბლობის ტრილიონზე მეტ არენად შეიძლება დაიყოს. ესე იგი, ქმნილებებისთვის ჩვენს სამყაროში ადგილის მინიჭება წონასწორობას ექვემდებარება. მაგალითად, ცნობილია, რომ ჭადრის ხე ყოველ წელიწადს მილიონობით თესლს ისხამს. მათ ბუსუსში „პარაშუტებია“, ისინი ქარს შორ მანძილზე მიაქვს და ავრცელებს. ერთი ჭადრის ხის ყველა თესლისგან ახალი ჭადარი რომ ამოსულიყო, მოკლე დროის შემდეგ დედამიწაზე მცენარეებისთვის ადგილი აღარ დარჩებოდა იმიტომ, რომ ყველა ადგილზე ჭადარი იქნებოდა ამოსული. ესე იგი, უზარმაზრი დედამიწა ერთ ხეს არ ეყოფოდა. სხვა არსებებზეც შეიძლება ანალოგიური მაგალითის მოყვანა. ეს აჩვენებს, რომ სამყაროში არსებობს ის წონასწორობა და კანონზომიერება, რომელსაც ადამიანის გონება ადვილად ჩასწვდება.

ამავე დროს უდიდესმა ალლაჰმა ყველა არსებას ისეთი მახასიათებლები უწყალობა, რომ მსგავსი საკვებით მკვებავნიც განსხვავებულ ნაყოფს იძლევიან და ისინიც ერთმანეთს ავსებენ. მაგალითად, მწვანე თუთის ფოთოლს ძროხა ან ცხვარი თუ შეჭამს, მათგან ხორცი, რძე და მატყლი მიიღება, სულ პატარა აბრეშუმის ჭია იმავე ფოთლებისგან ძაფს ამზადებს. იმავე ფოთოლს ირემი თუ შეჭამს, მისგან მუშკს ამზადებს. ფუტკრის მიერ ყვავილის მტვრისგან თაფლის დამზადება, დედამიწის ყველაზე დიდებული არსების – ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება. სხვადასხვა ყვავილების, რომლებიც ჩვეულებრივი ბალახებია, მიწისგან მიღებული ფერები, სუნი და სიცოცხლის ძალის მქონე ფოთლები, ის საოცარი თვისებაა, რომლის მინიჭების უნარი

მათთვის არც ერთ ქიმიკოსს არ შეუძლია. ცხოველი ბალახს ძოვს და ხორცს და რძეს გვაძლევს, ქიმიურ ლაბორატორიებში ადამიანს უამრავი ბალახისგან ერთი გრამი ხორცის დამზადებაც კი არ შეუძლია.

კეთილგონიერი ადამიანი ამ სამყაროში, საითაც არ უნდა გაიხედოს,ალლაჰის არსებობას და დიდებულებას დაინახავს. შუამავლების მოვლენა მათი ენით, ცოდნით, ზნეობით კაცობრიობის სრულყოფილებასთან მიღწევინება და მგავსი გამოვლინებები ღმერთის წყალობის ნიშანია. მეორე მხრივ, ყველა მეცნიერება, რომელიც ადამიანს ათას სარგებელს მოუტანს, საბოლოოდ მას ალლაჰის არსებობას, დიდებას და თავის უსუსურობას, მონა-მსახურებრივ ადგილს შეამეცნებინებს. ადამიანი საკუთარ თავსა და სამყაროს მუშტრის თვალით თუ შეხედავს, მაშინვე მიხვდება, აშკარა ძალის ურწმუნოება რაოდენი უმეცრება, სასაცილო და სამწუხარო რამაა.

რა თქმა უნდა, ეს უკიდეგანო სამყარო ალლაჰის არსებობის და დიდებულების ნიშანია. ადამიანისთვის რწმენის უმაღლესი სხივია.

ცაში შავი და თეთრი ნახვრეტები არსებობს. უდიდესი ღმერთი პოზიტიური მეცნიერებების აღმოჩენილ ამ ვაკუუმს ყურანში იფიცებს.

فَلَآ أُقْسِمُ بِمَوَاقِعِ النُّجُومِ وَإِنَّهُ لَقَسَمٌ لَّوْ تَعْلَمُونَ عَظِيمٌ

„...მაგრამ არა! ვარსკვლავთა ადგილს ვფიცავ! რომ იცოდეთ, უეჭველად, ეს მართლაც დიდი ფიცია.“ (სურა ვაყიდა, აიათები 75-76)

ეს ჭეშმარიტება, რომელსაც დღევანდელი მეცნიერები ახლაც იკვლევენ, რაოდენ საოცარია. ვარსკვლავების ამოსვლის ადგილს – თეთრი ხვრელის, სიკვდილის ადგილს კი შავი ხვრელის სახელი აქვს. თეთრი ხვრელებიდან პატარა სხეულების ამოსვლით და უეცარი გაფართოებით იმ სხეულს ტრილიონობით ფენა ემატება და გიგანტური მასის ვარსკვლავები წარმოიქმნება. ეს დედამიწაზე ათჯერ და ასჯერ ზომით დიდი გიგანტური მასის ვარსკვლავები დროის მოსვლისას შავ ხვრელებში შედიან და კვდებიან. აქედან გამომდინარე ერთ დღეს ასრულდება ჭეშმარიტება და ჩვენი ზეცის გამნათებელი მზეც გაქრება:

إِذَا الشَّمْسُ كُوِّرَتْ

„ოდეს მზე დაქუცმაცდება...“ (სურა თექვირ, აიათი 1)

მისი სიცოცხლეც იმ დღეს დასრულდება. ის დღე, რა თქმა უნდა, ქვეყნიერების აღსასრულის დღე იქნება. იმის იქით!... სეჯდეს შესრულებისა და ალლაჰისთვის თავშეფარების გარდა, სხვა გამოსავალი არ არსებობს.

ერთი სიტყვით, თვალები შეიმეცნებს, რომ ღვთიური სასულთნოს წინაშე ეს ქვეყანა სამყაროში მოცურავე მილიონობით და ტრილიონობით მტვრის მხოლოდ ერთი ნამცეცია. მთები, მინდვრები, ოკეანეები და ადამიანები ამ ნამცეცში არსებობენ. ადამიანის არსებობა ალლაჰის მონა-მსახურების გარდა, არარაობაა.

ჩვენთვის მოცემული მაგალითები ოკეანიდან ამოღებულ ერთ წვეთ წყალს ჰგავს. ყოველვე ეს მანიშნებე-

ლია, რომ არსებობს სამყაროს გამგებელი, ყოვლისშემ-ძლე, კეთილდღეობის მომნიჭებელი ძალა, რომელსაც არც დასაბამი და არც დასასრული აქვს. მაგრამ ამ ჭეშმარიტების დასანახად მხედველობაზე მეტად გამ-ჭრიახობა, ესე იგი, გულის თვალის გახელაა საჭირო. აიათში ნაბრძანებია:

أَفَلَمْ يَسِيرُوا فِي الْأَرْضِ فَتَكُونَ لَهُمْ قُلُوبٌ يَعْقِلُونَ بِهَا أَوْ آذَانٌ يَسْمَعُونَ بِهَا فَإِنَّهَا لاَ تَعْمَى الأَبْصَارُ وَلَكِن تَعْمَى الْقُلُوبُ الَّتِي فِي الصُّدُورِ

„განა დედამიწაზე არ დადიან? ჰქონდეთ გამჭრიახი გულები და ყურები, რომლითაც (შე)ისმენენ? უეჭვე-ლად, მხოლოდ თვალები კი არა, მკერდში არსებული გულებიც ბრმავდება.“ (სურა ჰაჯი, აიათი 46)

თვალებისთვის, რომლებიც ხედავს, ცას და დედამი-წას სამყაროს ღმერთის – ალლაჰის – არსებობის უამრავი მტკიცებულებები არსებობს, ისინი იმდენად მკაფიოა, რომ კომენტირებას არ საჭიროებს. წმინდ-ანები ამ ჭეშმარიტებას მთელი გულით შეიგრძნობენ, რადგან მათი გულები ხატოვნებას, წარმავლობას მო-შორებული არიან და ჭეშმარიტება, ღვთიური საიდ-უმლო იციან. მათ, ვინც შეძლეს, ჰადისის შესაბამისად, „გარდაცვალებამდე გარდაცვალების“ ჭეშმარიტების შემეცნება ალლაჰის შუამავლის სულიერებით აღ-სავსე ცხოვრებით ცხოვრობენ. მათში არ არსებობს ეჭვი უმაღლესი ჭეშმარიტების შესახებ. ქვემოთ მოყ-ვანილი მაგალითი ამ ჭეშმარიტებას ძალიან ცხადად

წარმოაჩენს:

ჯუნეიდი ბაღდადიმ დაინახა, რომ აღელვებული და დაინტერესებული ადამიანები ერთი ადგილისკენ გარბოდნენ. მათ ჰკითხა:

„ასე აღელვებული საით მიდიხართ?“

„იმ ადგილზე ბრძენი მოსულა! ალლაჰის არსებობას და ერთობას ათასი მტკიცებულებით ხსნის! მისი ამ მტკიცებულებებისა და ახსნის მოსასმენად მივდივართ. თუ გინდა, შენც წამოდი!“

ჯუნეიდემ მათ შეხედა და ღიმილით უთხრა:

„ჯანმრთელი თვალის, მსმენელი ყურის და მგრძნობიარე გულისთვის სამყაროში ღვთის არსებობის უამრავი დამამტკიცებელი რამ არის. თავად ღმერთს მისი არსებობის უამრავი მოწმე ჰყავს. ხალხო, ყოველივე ამის მიუხედავად, ვისაც ეჭვი ეპარება, წავიდეს! ჩვენს გულებში ეჭვის ნატამალიც კი არ არის.“

ამის მნიშვნელობას კომპეტენტური სპეციალისტები ასე განმარტავენ:

„უდიდესი ღმერთი სინამდვილეში უხილავი არ არის, მაგრამ ჩვენი ადამიანური უნარისა და შემეცნებისთვის მისი ხილვა და შემეცნება შეუძლებელია.“

ესე იგი, ოთახში ხუთი ათასი ვოლტის შუქი რომ ენთოს, ადამიანის თვალის შესაძლებლობები ამ შუქის ქვეშ ვერაფერს დაინახავს. ზუსტად ამის მსგავსად, უდიდესი ღმერთის გამოჩენა იმდენად მძიმეა, რომ ადამიანის მხედველობის უნარს აღემატება ვინაიდან, ადა-

მიანს არ შესწევს ღვთის ხილვის უნარი, ამისთვის მისი ძალები საკმარისი არ არის, ის უხილავ არსებად იქცა. უდიდესმა ალლაჰმა მუსას უთხრა:

لَن تَرَانِي

„მე ვერ(ასოდეს) **დამინახავ!“** (სურა აარაფი, აიათი 143)

მარადიულობა (ქიდემ): მას დასაწყისი არ გააჩნია. ქმნილებები მიზეზ-შედეგობრივ კავშირ-ურთიერთობებზეა დამოკიდებული და პირველი მიზეზის არსებობა, ლოგიკიდან გამომდინარე, აუცილებელია. ამგვარი პირველსაწყისი უნდა იყოს არსება, რომელიც არ საჭიროებს შექმნას და უნარი შექმნის შესწევს მას. აი, ეს საწყისი (მიზეზი) ალლაჰია. ადამიანი არის არსება, რომლის არსებობაც ალლაჰის სიტყვით დაიწყო. აქედან გამომდინარე, მის უმაღლეს არსებას დასაწყისი არა აქვს. ყველაფრის დასაწყისი თავად არის. ის მარადიულია. აიათში ნაბრძანებია:

هُوَ الْأَوَّلُ وَالْآخِرُ وَالظَّاهِرُ وَالْبَاطِنُ

„ის არის: (და)**საწყისი**(ც) **და დასასრული**(ც), **ცხადი**(ც) **და ფარული**(ც)...“ (სურა ჰადიდი, აიათი 3)

ალლაჰის შუამავალი ﷺ ბრძანებს:

„დასაწყისში ალლაჰი არსებობდა. მასზე ადრე სხვა არაფერი არ არსებობდა.“ (ბუჰარი)

წმინდა შუამავალი ﷺ თავის ვედრებებში, ხშირად, ალლაჰს ასე მოიხსენიებდა:

„საწყისი შენ ხარ, შენზე ადრე არაფერი არსებობდა, ჩემო ალლაჰო!...“ (მუსლიმი, 61)

მარადიულობა (ბექა): მის არსებას დასასრული არა აქვს, მარადიულია. ყურანში ნაბრძანებია:

لَا إِلَهَ إِلَّا هُوَ كُلُّ شَيْءٍ هَالِكٌ إِلَّا وَجْهَهُ لَهُ الْحُكْمُ وَإِلَيْهِ تُرْجَعُونَ

„...არ არსებობს ღმერთი მის გარდა. მისი არსების გარდა, ყველაფერი განადგურდება. ძალა მას ეკუთვნის და თქვენ მხოლოდ მას დაუბრუნდებით.“ (სურა ყასასი, აიათი 88)

كُلُّ مَنْ عَلَيْهَا فَانٍ وَيَبْقَى وَجْهُ رَبِّكَ ذُو الْجَلَالِ وَالْإِكْرَامِ

„დედამიწაზე ყველა სულიერი განადგურდება. მხოლოდ დიდებულების და პატივის მფლობელი შენი ღმერთია მარადიული.“ (სურა რაჰმანი, აიათები 26-27)

მარადიულობის თვისებას ამქვეყნად გამოვლინება არ აქვს. ამის გამო, ამქვეყნად არსებული ყველაფერი ჩვეულებრივად დროებითია. ვინაიდან, მარადიულობა მხოლოდ უდიდეს ღმერთს ახასიათებს, მისი ქმნილებები წარმავლობით უძლურები გახადა.

საფლავის ქვებზე წარწერა: **„მხოლოდ ის არის მარადიული“** – ამ ჭეშმარიტების გამოხატულებაა. იუნუს

ემრეც ამბობს, რომ ამქვეყნად ერთი არსებაც კი არ მოიძებნება მარადიული, ყველა წარმავალია, მხოლოდ ღმერთია მარადიული.

წმინდანებმა იცოდნენ, რომ ამ წარმავალი ქვეყნიდან ღმერთის მარადიულ არსებაში ჩაკარგვა ყველაზე დიდი ბედნიერებაა. ის ბრძენი მონა-მსახურები ამქვეყნის წარმავალი სიტკბოებით არ ტყუვდებოდნენ და „გარდაცვალებამდე გარდაცვალებით“ ამქვეყნადვე იწყებდნენ მარადისობაში ცხოვრებას.

უპირველესად, „სხეული კვდება, სული მარადიულიაო“ – ამბობდნენ, ამგვარად სხეულის ტყვეობისგან თავისუფლდებოდნენ და გულის მგზავრობას აგრძელებდნენ. ყველა საჭირო საფეხურს გაივლიდნენ, მიუახლოვდებოდნენ ღმერთს და ამბობდნენ:

„სულების სიცოცხლე ვიპოვე,

ჩემს სულს საიმოვნებით გავიღებ.“

ერთადერთობა: სამყაროს შექმნის წუთიდან მოყოლებული გაწონასწორებული მსვლელობა, სრულიად მოწესრიგებული წყობა, უსაზღვრო სიბრძნე და ფარულობა იმის გამოსახატავად საკმარისია, რომ ყველაფერი მხოლოდ ერთი ძალის ქმნილებაა. ეს ძალა ერთზე მეტი რომ ყოფილიყო, ნება-სურვილების განსხვავებულობის მიზეზით, სამყაროში არსებული უსაზღვრო ჰარმონია, წყობა და საიდუმლოებები ერთმანეთში აირეოდა, გამოუვალი ანარქია წარმოიშობოდა და შედ-

ეგად ცხოვრება შეუძლებელი გახდებოდა. აიათებში ნაბრძანებია:

وَقَالَ اللَّهُ لاَ تَتَّخِذُواْ إِلَـٰهَيْنِ اثْنَيْنِ إِنَّمَا هُوَ إِلَـٰهٌ وَاحِدٌ فَإِيَّايَ فَارْهَبُونِ

„ალლაჰმა ბრძანა: ორი ღვთაება არ გაიხადოთ! უეჭველად ის ერთი ალლაჰია. ასე რომ, მხოლოდ ჩემი გეშინოდეთ!“ (სურა ნაჰლი, აიათი 51)

قُل لَّوْ كَانَ مَعَهُ آلِهَةٌ كَمَا يَقُولُونَ إِذًا لَّابْتَغَوْاْ إِلَى ذِي الْعَرْشِ سَبِيلاً

„(შუამავალო!) **უთხარი: მათი ნათქვამის მსგავსად, ალლაჰთან ერთად სხვა ღვთაებებიც რომ ყოფილიყვნენ მაშინ ისინი არშის პატრონთან მისაღწევ გზებს მოძებნიდნენ!“** (სურა ისრა, აიათი 42)

لَوْ كَانَ فِيهِمَا آلِهَةٌ إِلَّا اللَّهُ لَفَسَدَتَا فَسُبْحَانَ اللَّهِ رَبِّ الْعَرْشِ عَمَّا يَصِفُونَ

„ალლაჰის გარდა, სხვა ღმერთი რომ ყოფილიყო, უეჭველად (სამყაროში) **უწესრიგობა გამეფდებოდა. ეს ნიშნავს, რომ არშის მფლობელი ალლაჰი მათი ცილისწამებისაგან შორსაა.“** (სურა ენბია, აიათი 22)

مَا اتَّخَذَ اللَّهُ مِن وَلَدٍ وَمَا كَانَ مَعَهُ مِنْ إِلَـٰهٍ إِذًا لَّذَهَبَ كُلُّ إِلَـٰهٍ بِمَا خَلَقَ وَلَعَلَا بَعْضُهُمْ عَلَى بَعْضٍ سُبْحَانَ اللَّهِ عَمَّا يَصِفُونَ

„...მასთან ერთად სხვა ღვთაება არ არსებობს. თორემ (ასე რომ ყოფილიყო) **ყველა ღმერთი თავის შექმნილს თავისივე გზით წაიყვანდა და უეჭველად ზოგი მათგანი ზოგ მათგანზე უპირატესი იქნებოდა. დიდება ალლაჰს, ის შორსაა იმისგან რასაც** (წარმართები) **აკადრებენ.“** (სურა მუმინუნი, აიათი 91)

ყურანს თავიდან ბოლომდე დაკვირვებით თუ წაიკითხავ, დაინახავ, რომ ალლაჰის მიერ თავისი მონამსახურებისთვის ვალდებულებად დაწესებულ პიროებათაგან ყველაზე მნიშვნელოვანი რწმენაა. ამ რწმენის ყველაზე მგრძნობიარე წერტილი კი ერთადერთობაა. ასე, რომ ალლაჰისთვის მოზიარის დაწესება ღვთიური სატანჯველის დამსახურების პირველი საწყისია. ყურანში დიდი ადგილია დათმობილი ამგვარ ფიქრებზე თავის არიდებისა და ჭეშმარიტებისკენ მოწოდებისა:

مَن يُشْرِكْ بِاللَّهِ فَقَدْ حَرَّمَ اللَّهُ عَلَيهِ الْجَنَّةَ وَمَأْوَاهُ النَّارُ وَمَا لِلظَّالِمِينَ مِنْ أَنصَارٍ

„...ვინც ალლაჰს მოზიარეს დაუწესებს, უეჭველად, ალლაჰი მას სამოთხეს ჰარამად უქცევს; მისი საცხოვრებელი ადგილი (ჯოჯოხეთის) **ცეცხლია. უსამართლოებს დამხმარეები არ ჰყავთ.“** (სურა მაიდე, აიათი 72)

وَلَقَدْ أُوحِيَ إِلَيْكَ وَإِلَى الَّذِينَ مِنْ قَبْلِكَ لَئِنْ أَشْرَكْتَ لَيَحْبَطَنَّ عَمَلُكَ وَلَتَكُونَنَّ مِنَ الْخَاسِرِينَ

„(მუჰამმედ!) **ვფიცავ, შენც** (და) **შენამდე მოსულ შუამავლებსაც ზეშთაეგონათ: „ვფიცავ, თუკი ალლაჰს მოზიარეს დაუწესებ, უეჭველია, შენი ნაღვაწი არაფრად ჩაგეთვლება და თავს უბედურებადამტყდართაგანი იქნები.“** (სურა ზუმერი, აიათი 65)

إِنَّ اللَّهَ لاَ يَغْفِرُ أَن يُشْرَكَ بِهِ وَيَغْفِرُ مَا دُونَ ذَلِكَ لِمَن يَشَاءُ وَمَن يُشْرِكْ بِاللَّهِ فَقَدِ افْتَرَى إِثْمًا عَظِيمًا

„უეჭველად, ალლაჰი მისდამი მოზიარის დამწესებელს არ მიუტევებს; მაგრამ ჰპატიობს ამის გარდა (ყველა სხვა ცოდვას), **ვისაც თავად ისურვებს. უეჭველად, ვინც ალლაჰს მოზიარეს** (და)**უწესებს დიდი ცოდვი**(ს ჩადენი)**თ ცილს სწამებს** (ალლაჰს)**.“** (სურა ნისა, აიათი 48)

არსებობენ, სხვა რელიგიები, რომლებიც ღმერთის ერთადერთობას აღიარებენ. მაგალითად, იუდაიზმი და მასონების რწმენა დეიზმი. მაგრამ, ვინაიდან ალლაჰის თვისებებს მცდარად წარმოადგენენ, ისინი ალლაჰის ანტრომორფიზმის გზას ადგანან და ამიტომ მათი წარმოდგენა ღმერთის ერთადერთობის შესახებ მცდარია.

ისლამის გარდა, სხვა ზეციური რელიგიები თავდაპირველად ყველა ერთნაირი იყო, მაგრამ შემდეგ მათში ცვლილებები შევიდა და სრულიად განსხვავებული შინაარსი შეიძინა. ამათგან ძალიან საყურადღებოა ქრისტიანობაში შეტანილი ცვლილებები. ამ რელიგიაში თავდაპირველად ერთადერთი ალლაჰის რწმენა იყო, ჩვ.წ.აღ-მდე მეხუთე საუკუნის ბოლოს მოხდა სა-

შიში ჩარევა და მონოთეიზმს ჩაენაცვლა სამების რწმენა. მაგრამ დღეს პროგრესული ადამიანი ამ არალოგიკურობას არ იღებს და ეკლესიას შორდება, ამიტომ პაპობის ინსტიტუტი ცდილობს ქრისტიანობა კვლავ ღმერთის ერთადერთობის რწმენას დაუბრუნოს.

ალლაჰი **„ერთადერთია“**. ეს ნიშნავს, რომ მეორის არსებობის შესაძლებლობა არ არსებობს.

აქედან გამომდინარე, ერთადერთობა ალლაჰის თვისებაა. ესე იგი, ერთადერთი არსების რწმენა მეორე ამგვარი არსების არსებობის შესაძლებლობას აღარ ტოვებს. ისლამი ამას ითხოვს და ბრძანებს. ეს ისლამის აღიარებისკენ გადადგმული ერთი ნაბიჯია. ამ ნაბიჯის გადამდგმელები შესაბამისად უდიდესი ღმერთის უამრავ წყალობას და სიკეთეს მოიპოვებენ. ბილალ ჰაბეშმა უამრავი გაუსაძლისი წამება აიტანა და კერპთაყვანისმცემლების უპასუხა:

„კერპთაყვანისმცემლობას დაუბრუნდი!“

რწმენის ექსტაზით პასუხობდა:

„ალლაჰი ერთია, ალლაჰი ერთია, ალლაჰი ერთია!..“ ეს გახდა იმის საფუძველი, რომ მას ამქვეყნიურობის საფასურად მუჰამმედ შუამავლის ﷺ მთავარი მუეზზინის თანამდებობა ერგო.

ღმერთის ერთადერთობის რწმენაში სულ მცირე ხარვეზს უამრავი ღირსეული ქმედება ვერ ანაზღაურებს. ზუსტად ისე, როგორც ადამიანი, რომელსაც უამრავ სიკეთეს გაუკეთებენ, არ პატიობს მისი ღირსების შემლახავ მოურიდებლობას. ურწმუნოება ამ გადასახე-

დიდან ალლაჰის უარყოფა და, აქედან გამომდინარე, ღმერთის თავმოყვარეობის შელახვაა. ესე იგი, უარყოფა უდიდესი ღმერთის წინაშე ჩადენილი დანაშაულია. მიუტევებლობის მიზეზი მასში ჩადებული სულიერი სიმძიმეა. ამიტომ უდიდესი ღმერთი ადამიანებისგან უპირველესად რწმენას, შემდეგ კი ღვთისმსახურებას ითხოვს.

უჰუდის ბრძოლის ყველაზე საშინელ მომენტში ამრიბნ საბითი წმინდა შუამავალთან ﷺ რწმენის მისაღებად მივიდა. ბრძოლის მსვლელობას შეხედა და ჰკითხა:

„ალლაჰის შუამავალო! პირველად ვირწმუნო, თუ ბრძოლას შევუერთდე?“

ალლაჰის შუამავალმა უპასუხა:

„პირველად ირწმუნე; შემდეგ იბრძოლე!“

იმ ადამიანს რწმენის პატივი მიეგო და ბრძოლას შეერია. ომის შემდეგ ალლაჰის შუამავალმა ﷺ ის შეჰიდებს შორის ნახა და ბრძანა:

„ცოტა იმუშავა, ბევრი მოიგო!“ (რამაზანოღლუ მაჰმუდ სამი, უჰუდის ბრძოლა, 35)

ღმერთის ერთადერთობის რწმენა მონოთეიზმია, ის დუალიზმისგან თავის ხსნაა. ადამიანისთვის ყველაზე ლამაზი ტახტის შემთავაზებელი რწმენის სასახლეა.

ერთადერთობა უმაღლესი არსების – უდიდესი ღმერთის განსაკუთრებული თვისებაა, მასზე ვედრებისას ამ თვისების მიზეზად ქცევა ვედრების დაკმაყ-

ოფილებისათვის მნიშვნელოვანი ზემოქმედებაა. ალლაჰის შუამავალი ﷺ თავის თანამიმდევრებს ურჩევდა ვედრების დასაწყისში მოეხსენიებინათ ალლაჰის ერთადერთობის თვისება, რათა მათი ვედრება დაკმაყოფილებულიყო.

უბადეთუბნუს სამითი გადმოგვცემს:

ალლაჰის შუამავალი ﷺ ბრძანებს:

„ვისაც ღამე გაეღვიძება, თქვას: არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა, ის ერთია, მოზიარე არ ჰყავს. სამფლობელო მას ეკუთვნის, მადლიერება მას ეკუთვნის, ის ყოვლისშემძლეა. მადლობა ალლაჰს ეკუთვნის. ალლაჰი განუმეორებელია, ალლაჰი უდიდესია, ყველა ქმედებისა და ღვთისმსახურებისთვის საჭირო ძალა ალლაჰისგან არის.

ღმერთო ჩემო! მომიტევე! თუ ევედრება, მას პასუხი მიეცემა. თუ აბდესს აიღებს და ნამაზს ილოცავს, ის მიღებული იქნება.“ (ბუჰარი, თეჰჯჯუდი, 21)

კვლავ ბრძანა:

„ვისაც ალლაჰთან ან ნებისმიერ ადამიანთან სათხოვარი წარმოეშობა, უპირველესად, ლამაზად აბდესი აიღოს, შემდეგ ორი მუხლი ნამაზი ილოცოს და უდიდეს ალლაჰს ხოტბა შეასხას. ალლაჰის შუამავლისთვის სალათი წარმოთქვას. შემდეგ ასე შეევედროს:

„არ არსებობს ღმერთი, გარდა მოწყალე ალლაჰისა. უმაღლესი ზეცის ღმერთი ნაკლოვანი თვისებებისგან თავისუფალია. მადლიერება სამყაროს ღმერთს ეკუთ-

ვნის. ჩემო ალლაჰო, შენი კმაყოფილების მომპოვებელი ქმედებების წყალობისათვის, ყოველგვარი ცოდვისგან დაცვისა და მიტევებისათვის გეკედრები, ყოველგვარი სიკეთის სიმდიდრეს, ყოველგვარი ცოდვისგან დაცვას ვითხოვ. ღმერთო ჩემო! არ დამიტოვო არც ერთი მიუტევებელი ცოდვა, არც ერთი მოუშორებელი დარდი! რომელი ქმედებითაც კმაყოფილი ხარ, ის მიწყალობე, მოწყალეე, ჩემო ყველაზე მეტად შემწყალებელო ღმერთო!" (თირმიზი, ვითრი, 17)

* * *

მისი მსგავსი და ტოლი არ არსებობს (მუჰალეფეთუნ ლილ ჰავადის): მეწყვილე და მსგავსი არ ჰყავს, ესე იგი, არც ერთ მის ქმნილებას არ ჰგავს. აქედან გამომდინარე, ყოველგვარი ანტრომორფული თვისებებისგან თავისუფალია.

დღეს გაუკუღმართებულმა რელიგიებმა, ჭეშმარიტ რწმენას, რომელიც უდიდესი ღმერთის ყოველგვარი ადამიანური თვისებებისგან თავისუფლებას აღიარებს, გადაუხვიეს და სხვადასხვა წიგნებში ათასგვარი ადამიანური თვისება მიაწერეს. უდიდეს ღმერთს ისეთი ადამიანური სისუსტეებიც დასწამეს, როგორიცაა: დავიწყება, დაღლილობა, სინანული, რაღაცის დაუნახავობა, რაღაცის შეუმჩნევლობა. მაგალითად, მათ მიხედვით, წარღვნასთან დაკავშირებით ღმერთმა ბრძანება გასცა, შემდეგ კი ის დაივიწყა. ერთიც დაინახა, რომ ცა და მიწა წყალს მოუცავს! მხოლოდ მაშინ გაახსენდება თავისი გაცემული ბრძანება და ყველა არსების გემში შესვლის შემდეგ, მის კარებს თავისი ხელით

დაკეტავს. ასევე, მათი წიგნების მიხედვით, წმინდა იაკობი ალლაჰს შეეჭიდა და დამარცხდა. მათი აზროვნება იქამდე მივიდა რომ ებრაელებმა – უზეირი, ხოლო ქრისტიანებმა ისა ალლაჰის შვილად აღიარეს. ადამიანის ამგვარ წარმოსახვებს და შემდეგ მათ რწმენას ალლაჰი ასეთ პასუხებს სცემს:

وَمَا قَدَرُوا اللَّهَ حَقَّ قَدْرِهِ وَالْأَرْضُ جَمِيعًا قَبْضَتُهُ يَوْمَ الْقِيَامَةِ

وَالسَّماوَاتُ مَطْوِيَّاتٌ بِيَمِينِهِ سُبْحَانَهُ وَتَعَالَى عَمَّا يُشْرِكُونَ

„მათ (კერპთაყვანისმცემლებმა და ურწმუნოებმა) **ალლაჰი საჭიროებემისამებრ არ ცნეს. განკითხვის დღეს მთელი დედამიწა მის მფლობელობაშია. და ცანიც მის განკარგულებაშია. ის კერპთაყვანისმცემლების მიერ დაწესებული მოზიარისგან შორსაა და უმაღლესია.“** (სურა ზუმერი, აიათი 67)

لَيْسَ كَمِثْلِهِ شَيْءٌ وَهُوَ السَّمِيعُ الْبَصِيرُ

„...მისი მსგავსი არაფერი არ არსებობს. ის ხედავს, მას ესმის.“ (სურა შურა, აიათი 11)

قُلْ هُوَ اللَّهُ أَحَدٌ اللَّهُ الصَّمَدُ لَمْ يَلِدْ وَلَمْ يُولَدْ

وَلَمْ يَكُن لَّهُ كُفُوًا أَحَدٌ

„თქვი: ალლაჰი ერთადერთია, ალლაჰი მარადიულია. ის არც შობილა და არც მშობელია. მას არავითარი თანასწორი არ ჰყავს.“ (სურა იხლასი, აიათი 1-4)

ალლაჰის შუამავალი (ალლაჰი დალოცავს და მიესალმება მას) მათზე, ვინც ალლაჰს მიმართავს:

„ჩემო ალლაჰო, ერთადერთო და მარადიულო, რომელიც არ დაბადებულხარ და არ დაგიბადია! ვისაც არ გყავს მოზიარე და მსგავსი! ცოდვები მომიტევე, შენ მიმტევებელი და მოწყალე ხარ!“ – ამბობს:

„ის შეწყალებული იქნა! ის შეწყალებული იქნა! ის შეწყალებული იქნა!“ (აბუ დავუდი, სალათი, 179)

თავისთავადობა: უდიდესი ალლაჰი თავისთავად არსებობს. ის თავისთავადი და მარადიულია. თავისთავადობა ნიშნავს, რომ ღმერთი მარადიულად არსებობს და ის არავისზე და არაფერზე არ არის დამოკიდებული. პირიქით, არსებობის საკითხში ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. ყურანში ნაბრძანებია:

يَا أَيُّهَا النَّاسُ أَنتُمُ الْفُقَرَاء إِلَى اللَّهِ وَاللَّهُ هُوَ الْغَنِيُّ الْحَمِيدُ

„ადამიანებო, ყველანი ალლაჰზე დამოკიდებულნი ხართ! ალლაჰი კი არაფერზეა დამოკიდებული, ის ქების ღირსია.“ (სურა ფათირ, აიათი 15)

إِنَّ اللَّهَ لَغَنِيٌّ عَنِ الْعَالَمِينَ

„უეჭველია, რომ ალლაჰი სამყაროთაგან დამოუკიდებელია.“ (სურა ანქებუთი, აიათი 6)

ამ ღვთიური განცხადებების სხვა მნიშვნელობა არის ის, რომ უდიდესი ალლაჰი თავისი არსებობისთვის სხვა შემოქმედს არ საჭიროებს. ამიტომ ამბობენ: „ალლაჰი თავისთავადია.“

თუ ადამიანი უდიდესი ღმერთის ამ თვისებას სრულყოფილად არ შეიგნებს და შეიმეცნებს, ალლაჰის შესახებ რწმენა ხარვეზიანი და უვარგისი იქნება. რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაფრის საფუძველს და შემოქმედს – ალლაჰს – მიაწერო ისეთი თვისება, როგორიცაა შემდეგში გაჩენა.

უდიდესი ღმერთი ამქვეყნიური ყოველგვარი თვისებისგან თავისუფალია. ალლაჰის გარდა, ყველასთან კავშირს გაწყვეტენ და მის მარადიულობაში ჩაიკარგებიან მხოლოდ ის გულები, რომლებიც სრულყოფილად ირწმუნებენ ალლაჰის თავისთვადობას. შეიმეცნებს რა ამას ადამიანი, ალლაჰის გარდა, აღარავის საჭიროებს.

წმინდა შუამავლის ﷺ ერთ-ერთი თანამიმდევარი ღმერთს ევედრებოდა:

„ჩემო ალლაჰო! მადლობა შენ გეკუთვნის. სიკეთეების მბოძებელი შენ ხარ, არ არსებობს ღმერთი შენ გარდა. შენ ხარ ცისა და დედამიწის დიდებული და პატივსაცემი გამჩენი. არ გყავს თანასწორი, თავისთავადი, მარადიული და ყველაფრის მომწესრიგებელი შენ ხარ. ღმერთო ჩემო, შენი უმაღლესი სახელები მინდა ჩემს შუამდგომლად აქციო.“

ეს ალლაჰის შუამავალმა ﷺ გაიგონა და იკითხა:

„იცით, ამ ადამიანს რა უქცევია შუამდგომლად და როგორ ევედრება ღმერთს?“

„ალლაჰმა და შუამავალმა უკეთ იციან.“

შუამავალმა ასე ბრძანა:

„ვფიცავ ალლაჰს, რომელსაც ჩემი სული ეკუთვნის,

ალლაჰის სახელებით შეევედრა. ის სახელები მასთან ერთად თუ შეევედრებიან და ალლაჰი დაეთანხმება, მისგან რასაც ითხოვენ – უბოძებს.“ (თირმიზი, დეავითი, 63)

უეჭველად განსაზღვრული (სუბუთი) თვისებები

სიცოცხლე: ალლაჰი სიცოცხლის პატრონია და ეს თავისებურება თავის არსებაში მუდმივია. **„ესმაი ჰუსნაში“** (ღმერთის 99 სახელი) გამოხატულია სახელით **„ჰაიი“** (ცოცხალი). ესე იგი, ის მარად ცოცხალია.

ყველა სიცოცხლე მისი ამ უმაღლესი თვისების გამოვლინებაა და მასთანაა კავშირში. აქედან გამომდინარე, ცოცხალი არსებების სიცოცხლე ამ სხეულისა და სულის შეერთებით წარმოშობილი წარმავალი, მატერიალური სიცოცხლე ან ჭეშმარიტი სიცოცხლე არ არის. ამის გამო, დროის მოსვლისთანავე ყველა წარმავალ არსებას უკან ართმევენ. ალლაჰის მარადიული სიცოცხლის თვისება კი არის დაუსრულებელი, სრულყოფილი თვისება. ვინაიდან, მისი სხეული, ესე იგი, მისი სრულყოფილი არსებობა იმითაა განპირობებული, რომ ის მარადიული და საჭირო სიცოცხლის მფლობელია. მოკლედ, ალლაჰის სიცოცხლე არ არის ის სიცოცხლე, რომლის კონტრასტიც სიკვდილია. ეს თვისება ყურანში ასეა აღწერილი:

الْحَيِّ الَّذِي لَا يَمُوتُ

„მარად ცოცხალი, რომელიც (არასოდეს) **არ კვდება...“** (სურა ფურყანი, აიათი 58)

აბუ მუსა გადმოგვცემს:

„ალლაჰის შუამავალი ფეხზე წამოდგა და შემდეგი ხუთი რამ წარმოთქვა:

„უდიდესი ალლაჰი (მუდმივად ცოცხალია) ის არ იძინებს. მას ძილი საერთოდ არ ერევა. ბედისწერას აღასრულებს. ღამით შესრულებული ღვთისმსახურება – დღისით შესრულებულზე, დღისით შესრულებული ღამით შესრულებულზე ადრე ალლაჰთან ამაღლდება. მისი თავაზიანობა შუქია. თუ ის ფარდა გაიხსნება, მისი სახის ბრწყინვალება – ყველაფერ არსებულს, რისი დანახვაც თვალს შეუძლია, დასწვავდა.“ (მუსლიმი, იმანი, 293)

ერთ სხვა ჰადისში ნაბრძანებია:

„ყველას, ვინც დაწოლის წინ, ალლაჰს, რომლის გარდა ღმერთიც არ არსებობს, მიტევებას სთხოვს – მიეტევება.“ (აჰმედ იბნ ჰანბელი, მუსნედი, III, 10)

უდიდესი ალლაჰი ბრძანებს:

هُوَ الْحَيُّ لَا إِلَهَ إِلَّا هُوَ فَادْعُوهُ مُخْلِصِينَ لَهُ الدِّينَ

„ის მარად ცოცხალია; მის გარდა არ არსებობს ღვთაება. მას ხალასი რწმენით შეევედრეთ.“ (სურა მუმინი, აიათი 65)

თუ რამე საწყენი მოხდებოდა, ალლაჰის შუამავალი ﷺ შემდეგ ვედრებას კითხულობდა:

يَا حَيُّ يَا قَيُّومُ بِرَحْمَتِكَ أَسْتَغِيثُ

„ეი, ცოცხალო, ყოვლისმომცველო ჩემო ალლა-ჰო, შენი წყალობის სახელით, დახმარებას ვითხოვ!“
(თირმიზი, დავეთი, 91)

წმინდა ალი გადმოგვცემს:

„როგორც კი ბედირის ომი დაიწყო, ცოტა ვიბრ-ძოლე, შემდეგ ალლაჰის შუამავალთან მივედი. მინ-დოდა მენახა, რას აკეთებდა. ვნახე, სეჯდეზე იყო და ასე ამბობდა:

„მარადიულო,ყველაფრის გამგებელო,ჩემო ალლაჰო! შენი წყალობით, შენ გეფარები, დახმარებას ვითხოვ!“

იქაურობას მოვშორდი და ბრძოლა განვაგრძე,ცოტა ხნის შემდეგ კვლავ მივედი. ის ისევ სეჯდეზე იჯდა და ამბობდა:

„მარადიულო, ყველაფრის გამგებელო, ჩემო ალლა-ჰო! შენი წყალობით შენ გეფარები, შენს დახმარებას ვითხოვ!“

მე კვლავ საბრძოლველად დავბრუნდი. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ მივედი მასთან,იგი იმავე მდგომარეობა-ში დამხვდა და მანამ იყო ამ მდგომარეობაში, ვიდრე ალლაჰმა არ გაგვამარჯვებინა.“

اعْلَمُوا أَنَّ اللَّهَ يُحْيِي الْأَرْضَ بَعْدَ مَوْتِهَا قَدْ بَيَّنَّا لَكُمُ الْآيَاتِ لَعَلَّكُمْ تَعْقِلُونَ

„იცოდეთ, დედამიწას სიკვდილის შემდეგ ალლაჰი კვლავ გააცოცხლებს. უეჭველად, ცხად მტკიცებულე-

ბებს გაჩვენაბთ, იმედია გონს მოეგებით..“ (სურა ჰადიდი, აიათი 17)

ამ აიათის კომენტირებისას იბნ აბასი ამბობს:

„დედამიწის წვიმით გაცოცხლება ის საოცარი მდგომარეობაა, რომლის თვალით დანახვაც შეიძლება. მხოლოდ აიათში შემდეგი აზრიცაა მინიშნებული: ალლაჰი გულებს დარდისა და გაუხეშების შემდეგ არბილებს. (მონოთეიზმის საკითხში) გულის სიმშვიდეს მოაპოვებინებს და (ღმერთისკენ) მიმართავს. მკვდარ გულებს ცოდნით და სიბრძნით გააცოცხლებს.“

ცოდნა: ალლაჰი ცოდნის პატრონი და ყოვლისმცოდნეა. არაფერი არ არსებობს, რაც მის ცოდნას არ შეესაბამება. მან ყველაფერი იცის, რაც მომხდარა და რაც მოხდება. მისი ცოდნისთვის დაფარული და საიდუმლო არ არსებობს. მისთვის ყველფერი აშკარა და ცხადია. ყველა ცოდნა, რაც ადამიანს აქვს ბოძებული, ამ თვისების მხოლოდ მცირე ნაწილაკია. შეიძლება ნაწილაკზეც უფრო პატარა. აიათში ნაბრძანებია:

شَيْءٌ فِي الأَرْضِ وَلاَ فِي السَّمَاء إِنَّ اللّهَ لاَ يَخْفَىَ عَلَيْهِ

„უეჭველად, არც მიწასა და არც ცაში ალლაჰისთვის დაფარული არაფერია.“ (სურა ალი-იმრანი, აიათი 5)

قُلْ إِن تُخْفُواْ مَا فِي صُدُورِكُمْ أَوْ تُبْدُوهُ يَعْلَمْهُ اللّهُ وَيَعْلَمُ مَا فِي

السَّمَاوَاتِ وَمَا فِي الأَرْضِ وَاللَّهُ عَلَى كُلِّ شَيْءٍ قَدِيرٌ

„უთხარი: დამალავთ თუ გამოაშკარავებთ თქვენს გულებში არსებულს, ის ალლაჰმა იცის. და (ასევე) **იცის ის, რაც ცასა და დედამიწაზეა. ალლაჰი ყოვლის-შემძლეა.“** (სურა ალი-იმრანი, აიათი 29)

وَهُوَ اللَّهُ فِي السَّمَاوَاتِ وَفِي الأَرْضِ يَعْلَمُ سِرَّكُمْ

وَجَهرَكُمْ وَيَعْلَمُ مَا تَكْسِبُونَ

„და ის ცაშიც ალლაჰია და დედამიწაზეც. თქვენ(გულ)**ში** (და)**ფარულიც იცის და აშკარაც. და იცის თქვენი მოსახვეჭიც.“** (სურა ენამი, აიათი 3)

يَعْلَمُ مَا بَيْنَ أَيْدِيهِمْ وَمَا خَلْفَهُمْ وَلاَ يُحِيطُونَ بِشَيْءٍ مِّنْ

عِلْمِه إِلاَّ بِمَا شَاء

„მან იცის, რაც მათ წინ (რასაც გააკეთებენ) **და უკან** (რაც გააკეთეს)**. არის მისი სიბრძნისგან** (ადამიანები) **ვერაფერს გაიგებენ, გარდა იმისა, რაც მას** (ალლაჰს) **სურს...“** (სურა ბაყარა, აიათი 255)

ამის გამოა, რომ მრავალ ფარულ ჭეშმარიტებაზე იტყვიან: „ყველაზე კარგი მცოდნე ალლაჰია“, რადგან ადამიანის ცოდნა უზარმაზარ და უკიდეგანო სამყაროში ოკეანიდან ამოღებული წყლის ერთი წვეთის ოდენაც არ არის. აიათში ნაბრძანებია:

وَمَا أُوتِيتُم مِّن الْعِلْمِ إِلاَّ قَلِيلاً

„თქვენ ცოდნის მხოლოდ მცირე ნაწილი გეწყალობათ.“ (სურა ისრა, აიათი 85)

აქედან გამომდინარე, ადამიანის ცოდნაში უამრავი არაჩვეულებრივი კარი იხსნება, მაგრამ მისთვის ბევრი საიდუმლო კედელი გადაულახავია. ამის საფუძველი ის არის, რომ ადამიანმა შეიმეცნოს თავისი უსუსურობა და ღმერთს მიენდოს. აიათში ნაბრძანებია:

وَعَسَى أَن تَكْرَهُواْ شَيْئًا وَهُوَ خَيْرٌ لَّكُمْ وَعَسَى

أَن تُحِبُّواْ شَيْئًا وَهُوَ شَرٌّ لَّكُمْ وَاللّهُ يَعْلَمُ وَأَنتُمْ لاَ تَعْلَمُونَ

„ის რაც არ მოგწონთ, იქნებ თქვენთვის სასიკეთოა. და რაც თქვენ გიყვართ, იქნებ თქვენთვის ცუდია. ალლაჰმა იცის (ის, რაც) **თქვენ არ იცით.“** (სურა ბაყარა, აიათი 216)

მართლაც, ადამიანისთვის დასაწყისში მისთვის დაფარული მიზეზი მრავალი დარდის მიზეზი ხდება. მასში დამალულ წყალობას ვერ ხედავს. ზოგჯერ პირიქით, სიკეთის სახით გამოვლინებულში იმალება და მათში დაფარულ დარდს ვერ ხედავს.

გადმოცემის მიხედვით, ერთ არაბულ ტომში ერთი ღვთისმოსავი კაცი ცხოვრობდა. ეს ტომი ამ კაცის საუბარს, ჭეშმარიტების ქადაგებას და რჩევებს ისმენდა მის მიხედვით მოქმედებდა. ერთ დილით ამ ტომის ადამიანებმა თავიანთი ძაღლები მკვდარი იპოვეს. მაშ-

ინვე იმ კაცთან წავიდნენ და მდგომარეობა აუხსნეს. ის ღრმად ჩაფიქრდა და თქვა:

„ვიმედოვნებ, მათ სიკვდილში თქვენი ხსნაა!“

მეორე დღეს ყველა მამალი მოკვდა. კვლავ იმ კაცთან მივიდნენ. იგივე პასუხი მიიღეს:

„ვიმედოვნებ რომ მათი სიკვდილი თქვენთვის ხსნაა!“

ერთ-ერთმა მათგანმა იკითხა:

„ბატონო, ძაღლები ჩვენი – ყარაულები, ხოლო მამლები მუეზზინები იყვნენ. მათი სიკვდილისგან ჩვენ რა სარგებელი შეიძლება მივიღოთ?“

იმ ღვთისმოსავმა კაცმა უპასუხა:

„ყველა საიდუმლო და დაფარული ალლაჰმა იცის. რა თქმა უნდა მან ამ შემთხვევაში ჩვენი ჭკუისთვის მიუწვდომელი დიდი სიმართლე დამალა.“

მეორე ღამეს ამ ტომში ვერავინ ცეცხლი ვეღარ აანთო. ყველა ჩაფიქრდა: „ნეტა, რა უბედურება მოვიდა?“

დილით რომ ადგნენ თავს გადამხდარი შემთხვევის ჭეშმარიტებას მიხვდნენ. იმ ღამეს იქაურობას მტერი თავს დასხმოდა და ქალაქები დაერბია. ამ ტომის სიახლოვესაც მოსულიყვნენ, მაგრამ არავითარი ძაღლის ხმა, მამლის ყივილი და სულ პატარა ცეცხლის კვალიც რომ ვერ დაენახათ, ყურადღება არაფრისთვის მიუქცევიათ და იქაურობას გაცლიან. ამგვარად, ხალხი თავდასხმასა და სიკვდილს გადაურჩა.

აი, ეს არის ადამიანის ცოდნის უსუსურობა და უბედურებად გამოჩენილი სიკეთე.

ალლაჰის შუამავალი ﷺ ბრძანებს:

„როცა ადამიანი ავად გახდება, უდიდესი ალლაჰი ორ ანგელოზს გამოუგზავნის, მათ უბრძანებს: წადით, ნახეთ, ჩემი მონა-მსახური დამხმარეებს რას ეუბნება, მოუსმინეთ!

თუკი ის ადამიანი ანგელოზების მოსვლისას ალლაჰს მადლობას უხდის და ქება-დიდებას ასხამს, ისინი ამ ამბავს ყველაფრის კარგად მცოდნე ალლაჰთან აიტანენ. (ანგელოზები მხოლოდ ამ ადამიანის ქმედების დასამოწმებლად არიან გამოგზავნილი). უდიდესი ალლაჰი ბრძანებს:

„ჩემმა მონა-მსახურმა უფლება მომცა, სულს თუ წავართვამ, სამოთხეში განვათავსო, მან აგრეთვე უფლება მომცა განვკურნო და მისი ხორცი უფრო სასიკეთო ხორცით, სისხლი უფრო სასიკეთო სისხლით შევცვალო და ცოდვები მივუტევო.“ (მუვათთა, აინი, 5)

ეს ჰადისი გვიჩვენებს, რომ ბევრი შემთხვევა, რომელიც ჩვენ გარეგნულად სატანჯველად გვეჩვენება, მხოლოდ ღვთიური გამოცდაა და იმ დარდის უკან დიდი ჯილდო იმალება.

ისტორიის მანძილზე უამრავი ასეთი გამოვლინება, რომელიც გარეგნულად სადარდებელი იყო, შედეგიდან გამომდინარე, საწინააღმდეგო გამოვიდა, ხოლო, სიკეთედ ჩათვლილი ბევრი საქმე დარდად იქცა. მაგალითად, ადის ტომმა, რომელმაც ჰუდის არ ირწმუნა, მათზე მო-

სული სატანჯველის ღრუბლები წყალობად ჩათვალა და გაიხარა. მხოლოდ მას შემდეგ შეიმეცნეს სინამდვილე, როცა იმ ღრუბლებიდან ცეცხლი გაწვიმდა, მაგრამ ის რა სარგებელია!...

ამის გამო, ადამიანი ღმერთს უნდა მიენდოს და იცხოვროს შემეცნებით: „ჩვენ არ გვეცოდინება, მხოლოდ ალლაჰმა იცის.“ ეს მინდობა, უეჭველია, ალლაჰის ახლოს ცნობით შეიძლება. რადგან არც ერთი ცოდნა არ არის საკმარისი ამ საკითხში არსებული უმეცრების მიერ მოტანილი ცუდი შედეგების მოსასპობად. ამ საკითხში არსებულ ცოდნას სხვა ნაკლის განადგურება შეუძლია. უამრავმა უმეცარმა ადამიანმა, ალლაჰის გაგების წყალობით, მისგან გამორჩეული წყალობა დაიმსახურა.

უდიდესი ღმერთი თავისი ცოდნის წინაშე ადამიანის ამ მდგომარეობას აიათში ასე გამოხატავს:

وَمَا تَدْرِي نَفْسٌ مَّاذَا تَكْسِبُ غَدًا

„არც ერთმა არსებამ არ იცის ხვალ რას მოიპოვებს.“ (სურა ლოყმანი, აიათი 34)

„(ჩემო შუამავალო!) **უთხარი: უეჭველია, ცოდნა მხოლოდ ალლაჰის საფეხურებზეა...“** (სურა მულქი, აიათი 26)

ცოდნა ალლაჰის საფეხურებზეა. ესე იგი, ნამდვილი მნიშვნელობით ცოდნა, ალლაჰს ეკუთვნის. მისი ცოდნა ყველაფერს მოიცავს. ღვთიური ცოდნა ამ გადასახედიდან სარკეს ჰგავს. მასში არეკლილები რამდენადაც არ უნდა გამოიცვალონ, სარკე ყველას აირეკლავს და

თავად არავითარ ცვლილებას არ განიცდის.

ღვთიური ცოდნა ფიქრისგან თავისუფალია. ამ სამყაროში არსებული წონასწორობა, რისი ჩაწვდომაც არც ერთ ჭკუას არ შეუძლია, ყველაზე კარგი მტკიცებულებაა იმისა, რომ უდიდესი ღმერთი უსაზღვრო ცოდნის პატრონია. სამყაროში სულ მცირე რამის აღმოჩენას უამრავი ადამიანის ცოდნა, ურთიერთდახმარება და საუკუნეები სჭირდება. მაგალითად, დღეს ფართოდ გამოყენებული მობილური ტელეფონის შექმნას დიდი დრო და უამრავი ადამიანის მუშაობა დასჭირდა. სხვა მიღწევებიც ასეა. თუმცა ეს აღმოჩენა, გამოგონება და ჯერ კიდევ ამოუხსნელი უამრავი საიდუმლო არის ის საკითხები, რომელიც უდიდესმა ღმერთმა ერთი წამის განმავლობაში თავის ადგილზე განათავსა. ამ სინამდვილეს უდიდესი ღმერთი ადამიანს ასე ახსენებს:

أَلَا يَعْلَمُ مَنْ خَلَقَ وَهُوَ اللَّطِيفُ الْخَبِيرُ

„განა ალლაჰმა არ იცის ვინ გააჩინა? ის ყოვლადკეთილია და ყოვლისმცოდნეა“ (სურა მულქი, აიათი 14)

სემიღ (ყოვლისგამგონე): ალლაჰს ყველაფერი ესმის. მისი სმენა ჩვენი სმენის მსგავსი არ არის. არ არსებობას მისთვის დაფარული არც ერთი ხმა. მას კლდეზე მცოცავი ჭიანჭველის ფეხის ხმაც კი ესმის. ყველა არსება, რომელსაც სმენა ახასიათებს, უდიდესი ღმერთის ამ თვისების გამოვლინებით ესმის. მათ, იმ მომენტში, როცა ამ გამოვლინებას წაართმევენ, არაფერი ესმით. ამის უამრავი მაგალითია.

უდიდესი ღმერთის (სემიღ) სმენის თვისებასთან ერთად ხედვის (ბესარ) თვისებაც ყურანში ბევრჯერ გამეორებულია და ადამიანს ახსენებს, რომ ღმერთი ყველაფერს მეთვალყურეობს. ამგვარად, ის მეთვალყურეობს, რომ ადამიანი ჭეშმარიტ გზას არ აცდეს.

ბესარი (ყოვლისმხედველობა): უზენაესი ალლაჰის ხედვის უნარი ადამიანის მხედველობას არ ჰგავს. ის ყველაფერს ხედავს. მისი მზერისთვის არაფერი არ არის დაფარული. ის უკუნ ღამეში შავ ქვაზე მცოცავ შავ ჭიანჭველასაც ხედავს.

ცოდნის, სმენის და **ხედვის** თავისებურებეის ადამიანში გამოვლინებას წმინდა მევლანა ასე გამოხატავს:

„უდიდესი ღმერთი გვამცნობს, რომ ყველაფერი იცის იმისათვის, რომ მისი გვეშინოდეს, არ ავუჯანყდეთ და წინააღმდეგობა არ გავუწიოთ, დავემორჩილოთ.

იმისათვის, რომ ცუდი სიტყვები არ წარმოვთქვათ, გვამცნობს, რომ მას ყველაფერი ესმის.

იმისათვის, რომ ფარული ან აშკარა ცუდი საქმეები არ ჩავიდინოთ, გვამცნობს, რომ ის ყველაფერს ხედავს.“

უდიდესი ალლაჰი ამ საკითხში ადამიანების პასუხისმგებლობას ასე გვამცნობს:

وَلاَ تَقْفُ مَا لَيْسَ لَكَ بِهِ عِلْم إِنَّ السَّمْعَ وَالْبَصَرَ وَالْفُؤَادَ كُلُّ
أُولـ ئِكَ كَانَ عَنْهُ مَسْؤُولاً

„ნუ იქმთ იმას, რის შესახებაც ცოდნა არ გაგაჩნიათ. უეჭველად, სმენა, ხედვა და გული თითოეული ამ საქმის გამო პასუხისმგებელია.“ (სურა ისრა, აიათი 36)

ამ პასუხისმგებლობის შესახებ ნიაზ მისრი ამბობს:

განკითხვის დღეს უგულისყურო ადამიანებს ასე მიმართავენ:

„ადამიანო! შენ ჩვენ დედამიწაზე გვიცანი თუ არა? თუკი არ გვიცანი, მაშინ მიზნად ცნობის საკითხი რატომ დაისახე? თუ იცანი, ის ვიღაც ცნობის შემდეგ შენს გასაკეთებელს გააკეთებს?“

ამას წმინდა ნაჰშები ასე გადმოგვცემს:

„უშიშარო ადამიანო! უკაცრიელ ადგილას რასაც გააკეთებ, ხალხის შუაშიც ისევე მოიქეცი და ნათელი გახდება ხალხის გეშინია თუ ღმერთის! თუ ღმერთის გეშინია – ყველგან გეშინოდეს!“

ნამდვილი მორწმუნეები, ფარულად და ღიად, ყველგან და ყოველთვის ამ ღვთიურ თვისებას შეიმეცნებენ და თავად მუდამ ღვთიური კონტროლის ქვეშ უგულისყურონი არ იქნებიან:

ღამე იყო. წმინდა ომარი ჩვეულებრივ მედინას ქუჩებში სეირნობდა. უცებ, შეჩერდა. ერთი სახლის წინ მისი ყურადღება დედისა და ქალიშვილის კამათმა მიიქცია. მათი ხმა სახლის გარეთ აღწევდა. დედა შვილს ეუბნებოდა:

„შვილო, ხვალ რომ უნდა გავყიდოთ, იმ რძეს, ცო-

ტაოდენ წყალი დაამატე!“

ქალიშვილი კი პასუხობდა:

„დედიკო, ხალიფამ რძეში წყლის გარევა არ აკრძალა?“

დედა შვილის პასუხმა გააბრაზა და უთხრა:

„შვილო, ამ ღამეში ხალიფამ საიდან უნდა გაიგოს ჩვენ რომ რძეს წყალს გავურევთ?!“

მაგრამ შვილს გული ალლაჰის შიშით ჰქონდა გაჯერებული, დედის მიერ რძეში წყლის გარევას კვლავ არ დაეთანხმა და უთხრა:

„დედიკო ამბობ ხალიფა ვერ ხედავსო, ალლაჰიც ვერ ხედავს? ამ ეშმაკობის ადამიანებისგან დაფარვა იოლია, მაგრამ ყოვლისმხედველი და ყოვლისმცოდნე ალლაჰისგან მისი დაფარვა შეუძლებელია!“

ღმერთის ჭეშმარიტებაშემეცნებული, ამ ღვთისმოშიში გოგონას მიერ დედაზე გაცემულმა პასუხმა წმინდა ომარზე ძალიან იმოქმედა. მორწმუნეთა მბრძანებელმა ის არა როგორც მერძევის ქალიშვილი, არამედ, როგორც ღვთისმოშიში გულის პატრონი თავის რჩეულ ვაჟს ცოლად შერთო. მეხუთე ხალიფად ცნობილი ომარ იბნ აბდულაზიზი მისგან გაჩნდა.

აქედან გამომდინარე, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთის კონტროლის ქვეშ ვიმყოფებით და ისე ცხოვრება უნდა შევძლოთ. აიათში ნაბრძანებია:

لاَّ تُدْرِكُهُ الأَبْصَارُ وَهُوَ يُدْرِكُ الأَبْصَارَ وَهُوَ اللَّطِيفُ الْخَبِيرُ

„მათი მზერა მას ვერ აღიქვამს, ის კი მათ მზერას სწვდება. ის ყოვლადკეთილი და ყოვლისმცოდნეა.“ (სურა ენამი, აიათი 103)

ნება-სურვილი: უდიდესი ალლაჰი რასაც და როგორც ისურვებს, ისე გააკეთებს. მისი გაკეთებისთვის ის მხოლოდ ბრძანებს: „იქმენ“ და ისიც მაშინვე იქმნება. მის საოცრებებზე შეკითხვა არ არსებობს:

بَدِيعُ السَّمَاوَاتِ وَالأَرْضِ

وَإِذَا قَضَى أَمْراً فَإِنَّمَا يَقُولُ لَهُ كُن فَيَكُونُ

„(ის) ცისა და მიწის გამჩენია. როცა ისურვებს რაიმეს გაჩენას ეტყვის: „იქმენ!“ და ისიც მყისვე იქმნება.“ (სურა ბაყარა, აიათი 117)

وَهُوَ الْقَاهِرُ فَوْقَ عِبَادِهِ وَهُوَ الْحَكِيمُ الْخَبِيرُ

„იგი მონა-მსახურებზე ყოველგვარი ძალაუფლების პატრონია. იგი ბრძენია და ყოვლისმცოდნეა.“ (სურა ენამი, აიათი 18)

„(მუჰამმედ) **თქვი: ო, ალლაჰ, ქონების ჭეშმარიტო პატრონო! ქონებას აძლევ იმას, ვისაც გსურს და** (წა) **ართმევ იმას ვის**(გან)**აც გსურს – დაამდაბლებ. ვისაც გსურს და აამაღლებ ვისაც გსურს. ყოველგვარი სიკეთე შენს ხელთაა. უეჭველად, შენ მართლაც ყოვლისშემძლე ხარ.“** (სურა ალი-იმრანი, აიათი 26)

ეს აიათებიც აჩვენებს, რომ უდიდესი ღმერთი ერთადერთია, ვინც თავის არჩევანში თავისუფალია. ყველა მისი ქმედება მის სურვილზეა დამოკიდებული:

„უდიდესი ალლაჰი რასაც ისურვებს – იქმნება; რასაც არ ისურვებს – არა!“

აქედან გამომდინარე, უდიდესი ღმერთის ნასურვები ქმედებები მისივე სურვილით განხორციელდება. რასაც არ ისურვებს, არ განხორციელდება და გამოცდის აუცილებლობაც კვლავ მისი ღვთიური ნებართვით ხდება.

ამიტომ ყველაფერში აიათში ნაბრძანები – **„ის თუ ისურვებს ან ნებას დართავს“ –** პირობა არსებობს. ეს პირობა ყველა არსებას, ადამიანს, ჯინებს და შუამავლებსაც კი მოიცავს. ამის ერთი გამოვლინება თავად წმინდა შუამავლის ცხოვრებაში გამოვლინდა და ის მისი მიმდევრებისთვის მაგალითია:

ბედუინების ერთი ჯგუფი ალლაჰის შუამავალთან ﷺ მივიდა და რაღაც ცნობები ჰკითხა. ის დაფიქრდა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ზეშთაგონება ჯერ არ მოვლენოდა, საღამოს აუცილებლად მოევლინებოდა, ამიტომ მათ უთხრა:

„ხვალ მოდით და პასუხის მიღებას შეძლებთ!“

მაგრამ ამ სიტყვას როცა ამბობდა, დაავიწყდა ეთქვა „ღმერთით“, ესე იგი ალლაჰი თუ ისურვებსო. მას ზეშთაგონება ხუთ დღეს არ მოევლინა. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ეს აიათი მოევლინა:

وَلَا تَقُولَنَّ لِشَيْءٍ إِنِّي فَاعِلٌ ذَلِكَ غَدًا

إِلَّا أَن يَشَاءَ اللَّهُ وَاذْكُر رَّبَّكَ إِذَا نَسِيتَ وَقُلْ عَسَى أَن يَهْدِيَنِ

رَبِّي لِأَقْرَبَ مِنْ هَذَا رَشَدًا

„თუკი ალლაჰის ნება-სურვილი იქნება“-(თქმი)**ს“ გარეშე არაფერზე თქვა „ხვალ უსათუოდ გავაკეთებო“. ოდეს დაგავიწყდეს, შენი ღმერთი გაიხსენე და თქვი: „ვიმედოვნებ, ჩემი ღმერთი მე ჭეშმარიტებასთან უფრო დამაახლოებს.“** (სურა ქეჰფ, აიათები 23-24)

ეს აიათები აჩვენებს, რომ ის, რაც ადამიანებს უნდათ, ხშირად არ ხორციელდება. ვინაიდან, ადამიანს არ აქვს იმის შესაძლებლობა და ძალა ყველა სურვილი დაიკმაყოფილოს. აქედან გამომდინარე, ადამიანმა უნდა იცოდეს თავისი შესაძლებლობების ფარგლები და საკითხებში, რომელიც ღმერთის ნება სურვილზეა დამოკიდებული, საზღვარს არ უნდა გადავიდეს. ასე რომ, უდიდესი ღმერთი ურწმუნოების, მრავალღმერთიანობისა და სხვისი უფლებების შელახვის გარდა, ადამიანებს ყველა ცოდვისა და დანაშაულისათვის სასჯელს თავისი ნება-სურვილის მიხედვით განუსაზღვრავს. ესე იგი, თუ ისურვებს ადამიანს მიუტევებს, თუ ისურვებს დასჯის. ეს ჭეშმარიტება აიათში შემდეგნაირადაა გაცხადებული:

وَلِلَّهِ مَا فِي السَّمَاوَاتِ وَمَا فِي الْأَرْضِ يَغْفِرُ لِمَن يَشَاءُ

وَيُعَذِّبُ مَن يَشَاءُ وَاللَّهُ غَفُورٌ رَّحِيمٌ

„ცათა და დედამიწაზე რაც არსებობს – ალლა-ჰისაა. ის, ვისაც ისურვებს, მიუტევებს, ვისაც ისურვებს, სატანჯველს მოუვლენს. ალლაჰი ყოვლისმპატიებელი და ყოვლისმოწყალეა.“ (სურა ალი-იმრანი, აიათი 129)

მორწმუნეები უდიდესი ღმერთის ამ თვისებას შესაბამისად შეიმეცნებენ და თავის სურვილს ღმერთის სურვილს დაუმორჩილებენ. ესე იგი, ყველა საკითხში ღმერთს დაემორჩილებიან. მათ ეცოდინებათ, რომ ყველა მისი სურვილი თავის ადგილზეა და თავის გარემოს ამ მიმართულებით მიმართავენ.

სუნბულ სინანმა ერთ დღეს მურიდებს ჰკითხა:

„ჩემო შვილებო! დავუშვათ, უდიდესმა ღმერთმა ამ სამყაროს ხელმძღვანელობა და მართვა თქვენ მოგანდოთ, რას იზამთ?“

ყველა მურიდმა რაღაც თქვა:

ერთმა:

„ყველა ურწმუნოს გავანადგურებ!“

მეორემ:

„ალკოჰოლური დასალევის ყველა მიმღებს ქვეყანას მოვაშორებ!“

მესამემ,:

„სიგარეტის ერთ მწეველსაც არ დავტოვებ!“

კი ასეთი პასუხები მისცეს. მურიდებს შორის იყო

სწავლული მუსლიჰიდდინ ეფენდი, ის არაფერს პასუხობდა და გაჩუმებული იყო. შეიხი ამჯერად მას მიუბრუნდა და ჰკითხა:

„შვილო! აბა შენ რას იზამდი?“

მუსლიჰიდდინ ეფენდიმ ასეთი პასუხი გასცა:

„ბატონო! ღმერთმა ნუ ქნას, იმის ფიქრი დავიწყო, ღმერთის ნება-სურვილსა და ხელმძღვანელობაში რამე ხარვეზებია-მეთქი. ჩემი პასუხი ის იქნება, როგორც არის, ყველაფერს ისევე გავაგრძელებდი-მეთქი.“

ამ პასუხით სუნბულ სინანი ძალიან კმაყოფილი დარჩა და ბრძანა:

„აი, ეს არის სწორი პასუხი!“

სუნბულ სინანი შემდეგ მუსლიჰიდდინ ეფენდიმ შეცვალა.

❁

ძალა: ის უსასრულო ძალის პატრონია. მისთვის არავითარი სიძნელე არ არსებობს. უდიდესი ღმერთის ამ თვისების შესახებ აიათში ასეა ნაბრძანები:

وَاللّٰهُ عَلَى كُلِّ شَيْءٍ قَدِيرٌ

„უეჭველად, ალლაჰი ყოვლისშემძლეა!“

إِنَّمَا أَمْرُهُ إِذَا أَرَادَ شَيْئًا أَنْ يَقُولَ لَهُ كُنْ فَيَكُونُ

„როცა რაიმეს (გაჩენას) **ისურვებს, მისი ბრძანებაა**

„იქმენ!“ და ისიც მყისვე „იქმნება.“ (სურა იასინი, აიათი 82)

შეუძლებელია უდიდესი ღმერთის ნება-სურვილი არ შესრულდეს, შეუძლებელია თქვას „იქმენ“ და არ იქმნას. ღმერთის ძალის საკუთარი უსუსურობით მოსაზრება მცდარი შეხედულებაა. ვინაიდან, ჩვენში არსებულ ძალას საზღვარი აქვს, მას მისი კონტრასტული უსუსურობა შეესაბამება. მაგრამ უდიდესი ღმერთის უსაზღვრო ძალა შეზღუდული არ არის, ის უსუსურობის მსგავსი ყოველგვარი თვისებისგან თავისუფალია. აქედან გამომდინარე, არ არსებობს არც ერთი არსება, რომ მისი უსაზღვრო ძალის წინაშე უსუსური არ იყოს. ჩვენ იმდენი ძალა გვაქვს, რასაც თავად გვიბოძებს.

ისტორიის ფურცლები სავსეა ამ ძალის შეწინააღმდეგების გამო ბევრი უმეცარის სამწუხარო დასასრულით. ნემრუდი, ფარაონი, ყარუნი, აბუ ჯეჰილი და კიდევ უამრავი ამქვეყნიდან როგორც არარაობა, ისე წავიდა. რადგან უდიდესმა ღმერთმა ისინი სატანჯველად იმქვეყნად წაიყვანა, სიკვდილიც შესაბამისი არგუნა. განსაკუთრებით საყურადღებოა ნემრუდის ამბავი, რომელსაც ღმერთობაზე პრეტენზია ჰქონდა. ის სუსტმა კოღომ დაამარცხა. ასეთივეა ებრეჰეს ამბავი, რომელმაც სპილოს ჯოგზე მინდობილმა თავისი არმიით ღმერთზე თავდასხმა გადაწყვიტა და თავის არმიასთან ერთად უმწეო ჩიტებით განადგურდა.

წმინდა მევლანა ბრძანებს:

„ეს ქვეყანა რამდენად დიდად და უსასრულოდაც არ უნდა გეჩვენებოდეს, უნდა იცოდ,ე რომ ღვთიური ძალის წინაშე ის ნაწილაკის ოდენაც არ არის. თვალი

გაახილე და შეხედე მიწისძვრას, ქარიშხალს, ნიაღვარს ქვეყანა და იქ მყოფები რა მდგომარეობაში შეჰყავს!“

მართლაც, იმ პროგრამებს, რასაც ჩვენ მიჩვეული ვართ, ღმერთი უამრავ სხვა გამოვლინებებში წარმოგვიდგენს. მაგალითად, ზოგჯერ ღვთიური ძალის წყალობით ცეცხლის, წყლის, ქარის და სხვა ბუნებრივი ელემენტების მეორე მხარე გამოჩნდება და გამანადგურებელ ძალად იქცევა. ამ გადასახედიდან ბუნებაში მომხდარი ბუნებრივი მოვლენები საფუძველში ღვთიური ნება-სურვილის ან უმრავლესად ღვთიური ნებართვის დაუნახავობის შედეგია. უგულისყურობაში ჩავარდნილ ადამიანებს მევლანა ასე აფრთხილებს:

„არ დაგავიწყდეს, რომ ეს ქვეყანა ღვთიური ძალის წინაშე ჩვეულებრივი ჩალის ღეროს ჰგავს. ღვთიური ნება მას ზოგჯერ აამაღლებს, ზოგჯერ დაამდაბლებს, ზოგჯერ დაუზიანებელს დატოვებს, ზოგჯერ დანგრეულ მდგომარეობაში ჩააგდებს, ზოგჯერ – მარჯვნივ, ზოგჯერ მარცხნივ წაიღებს, ზოგჯერ – ვარდის ბაღად, ზოგჯერ კი ეკალ-ნარად აქცევს.“

უდიდესი ალლაჰი აიათებში ამ სინამდვილეს ხშირად იმეორებს. ერთგან ბრძანებს:

أَلَمْ تَعْلَمْ أَنَّ اللَّهَ لَهُ مُلْكُ السَّمَاوَاتِ وَالأَرْضِ وَمَا

مِن لَكُم مِّن دُونِ اللَّهِ وَلِيٍّ وَلاَ نَصِيرٍ

„განა არ იცით, რომ ცათა და დედამიწის მბრძანებლობა მხოლოდ ალლაჰისაა და არ გყავთ ალ-

ლაჰის გარდა არც მეგობარი და არც დამხმარე.“ (სურა ბაყარა, აიათი 107)

საუბარი: ალლაჰი საუბრობს. ამის გამო ხმა, ბგერები და ამ ბგერებისგან წარმოშობილი სიტყვები და წინადადებები არ სჭირდება. ესე იგი, მისი საუბარი ბგერებისგან და ხმისგან დამოუკიდებელია. ადამიანების სიტყვასა და ლაპარაკს არ ჰგავს. ვინაიდან ადამიანების ლაპარაკი მისი სიტყვისგან აღებული წილით ხორციელდება.

უდიდესი ღმერთი ამ თავისებურ სიტყვას იყენებს, რათა ანგელოზებს, შუამავლებს, ადამიანებს და სხვა ყველა არსებას ბრძანებები, აკრძალვები და სხვა სურვილები ამცნოს. მისი მიერ ყველა არსების შექმნა „იქმენ“ ბრძანებით განხორციელდა. მისი სიტყვის ძალის მცირე ნამცეცი ადამიანის წილხვდომილ სიტყვაშიც დევს.

ყველა ღვთიური წიგნი სიტყვის საშუალებით გაჩნდა. ამ წიგნებში შუამავლებისთვის ზეშთაგონებები ან ანგელოზების საშუალებითაა მოვლენილი ან ფარდის უკნიდან პირადად მისგან. ეს ჩვეულებრივ ალლაჰთან საუბარია. აიათში ნაბრძანებია:

وَمَا كَانَ لِبَشَرٍ أَن يُكَلِّمَهُ اللَّهُ إِلَّا وَحْيًا أَوْ مِن وَرَاءِ حِجَابٍ أَوْ
يُرْسِلَ رَسُولًا فَيُوحِيَ بِإِذْنِهِ مَا يَشَاءُ إِنَّهُ عَلِيٌّ حَكِيمٌ

„ალლაჰი ადამიანს მხოლოდ ზეშთაგონების გზით

ან ფარდის მიღმა მყოფი ელაპარაკება; ან ელჩს უგზავნის და თავის ნება-სურვილით ზეშთააგონებს. ის უზენაესია, ბრძენია.“ (სურა შურა, აიათი 51)

„...საუბრით ალლაჰი მუსას ესაუბრა.“ (სურა ნისა, აიათი 164)

უდიდესი ღმერთი მუსას არა ენის ან ხმის მსგავსი მატერიალური საშუალებებით, არამედ, მარადისობაში არსებული სიტყვის თვისებით ესაუბრა. წმინდა მუსას ერთად მისულმა სამოცდაათმა მოწმემ და ჯებრაილმა ეს ღვთიური საუბარი ვერ გაიგეს და ვერ შეიგრძნეს. მუსას ამ ღვთიური გამოვლინების შემდეგ გული წაუვიდა. დაავიწყდა ამქვეყნად იყო თუ იმქვეყნად და დროისა და ადგილის შეგრძნება დაკარგა. დიდი სიყვარულით, თავდავიწყებით, უდიდესი ღმერთის ხილვის დაუოკებელი სურვილით შეპყრობილი მოეგო ის გონს. უდიდესმა ღმერთმა უთხრა:

لَنْ تَرَانِي **„ვერ**(ასოდეს) **დამინახავ!“**

მუსამ რომ დაიჟინა, მაშინ უდიდესმა ღმერთმა უბრძანა მთისთვის შეეხედა და თუ მას ადგილზე იხილავდა, მის ხილვასაც შეძლებდა. თქმულებების მიხედვით, უამრავი ფარდის უკნიდან გამოჭოლილი შუქი მთაზე აირეკლა. მთა ჩავარდა. ამ საშინელებისგან მუსას გული წაუვიდა. გონს რომ მოეგო, საზღვრების დარღვევისთვის უდიდეს ღმერთს თაყვანი სცა და პატიება სთხოვა. გონი რომ არ წასვლოდა, მთასთან ერთად თავადაც განადგურდებოდა.

მეორე მხრივ, ისეთმა დიდმა ანგელოზმა, როგორიც ჯებრაილია, ცად ამაღლების (მირაჯის) ღამეს სი-

დრეთულ მუნთეჰაზე წმინდა მუჰამმედ შუამავალს ﷺ უთხრა:

„ალლაჰის შუამავალო! ჩემი საზღვარი აქამდეა. აქედან იქით მარტო წახვალ. რადგან თუკი მე ერთ ნაბიჯსაც კი წინ გადავდგამ, ნაცრად ვიქცევი!“

ამ საკითხში ყველაზე დიდი შესაძლებლობა წმინდა მუჰამმედ შუამავალს ﷺ მიეცა. მას წილად ცად ამაღლება ერგო. წმინდა მუჰამმედ შუამავალი ﷺ იმ ღამეს შეხვდა და ესაუბრა ღმერთს. მაშინ როცა წმინდა მუსას ღმერთმა უბრძანა: لَنْ تَرَانِي „მე ვერ დამინახავო“, მასთსთან შეხვედრის და საუბრის წმინდა მუჰამმედ შუამავალს არგუნა ბედნიერება მათ შორის მანძილი „ორ შეერთებულ მშვილდს შორის მანძილის ტოლი ან უფრო ახლო“ იყო.

ისე როგორც უდიდესი ალლაჰის სიტყვის თვისება ადამიანის არც ერთ სიტყვას არ ჰგავს, ასევე, მნიშვნელობის თვალსაზრისითაც, ყოველგვარი შეზღუდულობისგან თავისუფალია. მის სიტყვაში ამქვეყანად არეკლილი და გარეგნულად ჩვენთვის რამდენიმე აზრის მატარებელი ღვთიური განცხადება, მართლაც უსაზღვრო აზრის შემცველი ოკეანის მსგავსია. ამას უდიდესი ღმერთი ასე გამოხატავს;

قُل لَّوْ كَانَ الْبَحْرُ مِدَادًا لِّكَلِمَاتِ رَبِّي لَنَفِدَ الْبَحْرُ قَبْلَ أَن تَنفَدَ كَلِمَاتُ رَبِّي وَلَوْ جِئْنَا بِمِثْلِهِ مَدَدًا

„თქვი: ჩემი ღმერთის სიტყვების(დაწერის)თვის გამოზღვა მელნად რომ იქცეს და ერთი იმდენი კვლავ

დაუმატონ, ღმერთის სიტყვების დამთავრებამდე ზღვა დაშრებოდა.“ (სურა ქეჰფი, აიათი 109)

وَلَوْ أَنَّمَا فِي الْأَرْضِ مِن شَجَرَةٍ أَقْلَامٌ وَالْبَحْرُ يَمُدُّهُ مِن بَعْدِهِ سَبْعَةُ

أَبْحُرٍ مَّا نَفِدَتْ كَلِمَاتُ اللَّهِ إِنَّ اللَّهَ عَزِيزٌ حَكِيمٌ

„დედამიწაზე არსებული ხეები – კალმები, ზღვა და კიდევ შვიდი ზღვა მიმატებული (მელანი რომ იყოს), **მაინც ალლაჰის სიტყვების** (დასაწერად) **მაინც საკმარისი არ იქნებოდა. უეჭველად ალლაჰი უზენაესია, ყოვლისმცოდნეა.“** (სურა ლოყმანი, აიათი 27)

ყველა არსებული სიტყვა უდიდესი ღმერთის სიტყვის თვისების გამოვლინებაა. ამგვარად უდიდესი ალლაჰი სიტყვის თვისებაში უსაზღვრო ძალას ავლენს, ამავე დროს მისი უდიდესი სახელი უთვალავ ენაზე წარმოითქმება. უსულო არსებებებსაც კი ღმერთის სიტყვისგან თავისი წილი აქვთ ბოძებული. (გამომეტყველება, ჟესტიკულაცია, მიმიკები და. ა.შ). აიათში ნაბრძანებია:

تُسَبِّحُ لَهُ السَّمَوَاتُ السَّبْعُ وَالْأَرْضُ وَمَنْ فِيهِنَّ وَإِنْ مِنْ شَيْءٍ إِلا

يُسَبِّحُ بِحَمْدِهِ وَلَكِنْ لَا تَفْقَهُونَ تَسْبِيحَهُمْ إِنَّهُ كَانَ حَلِيمًا غَفُورًا

„შვიდი ზეცა, დედამიწა და იქ არსებული ყველაფერი მას (ალლაჰს) **ადიდებს. არ არსებობს მათ შორის არაფერი, რაც მას მადლიერებით არ ადიდებდეს, მაგრამ თქვენ მათ**(მიერ ალლაჰის)**განდიდებას ვერ გაიგებთ...“** (სურა ისრა, აიათი 44)

ბაჩენა (შექმნა) – უდიდესი ღმერთისთვის დამახასიეთებელ თავისებურებათაგან ერთ-ერთია. ეს არაფრისგან რაღაცის გაჩენას ნიშნავს, რომელიც მხოლოდ ალლაჰის თვისებაა. უთვალავი სამყარო მისი ქმნილებაა. მომკვლელი, გამცოცხლებელი, სარჩოს მბოძებელი და სხვა მსგავსი ზმნებიც ამ თვისებიდან გამომდინარეობს:

აიათებში ნაბრძანებია:

الَّذِي أَحْسَنَ كُلَّ شَيْءٍ خَلَقَهُ وَبَدَأَ خَلْقَ الْإِنسَانِ مِن طِينٍ

„რომელმაც ყველაფერი ულამაზესი ფორმით გააჩინა, და თავდაპირველად ადამიანი თიხისგან შექმნა.“ (სურა სეჯდე, აიათი 7)

هُوَ الَّذِي خَلَقَ لَكُم مَّا فِي الْأَرْضِ جَمِيعاً ثُمَّ اسْتَوَى إِلَى

السَّمَاءِ فَسَوَّاهُنَّ سَبْعَ سَمَاوَاتٍ وَهُوَ بِكُلِّ شَيْءٍ عَلِيمٌ

„მან, რომელმაც ყველაფერი, რაც დედამიწაზეა თქვენთვის გააჩინა. შემდეგ (თავისთვის ნიშანდობლივად) **ცისკენ მიემართა და იგი შვიდ ზეცად შექმნა. ის ყოვლისმცოდნეა.“** (სურა ბაყარა, აიათი 29)

الَّذِي جَعَلَ لَكُم مِّنَ الشَّجَرِ الْأَخْضَرِ نَارًا فَإِذَا أَنتُم مِّنْهُ تُوقِدُونَ

„მწვანე ხიდან თქვენთვის ცეცხლის გამომყვანი ის არის. აი, თქვენ ცეცხლს მისგან ანთებთ.“ (სურა იასინი, აიათი 80)

أَوَ لَمْ يَرَوْاْ إِلَى مَا خَلَقَ اللّهُ مِن شَيْءٍ يَتَفَيَّأُ ظِلاَلُهُ عَنِ الْيَمِينِ
وَالْشَّمَآئِلِ سُجَّدًا لِّلّهِ وَهُمْ دَاخِرُونَ

„განა ვერ ხედავენ ალლაჰის გაჩენილთა ჩრდილებს, როგორ მარჯვნივ-მარცხნივ ერთხმიან და ალლაჰს სეჯდეს უკეთებენ?“ (სურა ნაჰლი, აიათი 48)

შექმნის თვისება სხვა თვისებებისგან განსხვავებულია. ის უდიდესი ღმერთის ცოდნის თვისებით შეიცნობა. მას ძალის თვისებით არსების შექმნა ან განადგურება შეუძლია.

სამყაროს საიდუმლო თექვინის (შექმნის) თვისებაშია დამალული. აქედან გამომდინარე, შექმნილი ყველა უმცირესი ნაწილაკი უდიდესი ღმერთის არსებობას ადასტურებს.

ყველა ამ თვისების შესახებ, საყოველთაო აზრით, შემდეგი რამის თქმაა საჭირო:

უდიდესი ღმერთის არც ერთ თვისებას კონტრასტული თვისება არ მოეპოვება. ესე იგი ის სიცოცხლის პატრონია. მხოლოდ მის სიცოცხლეს, სხვა არსებების სიცოცხლის მსგავსად კონტრასტული სიკვდილი არ გააჩნია. არსებობს და მისი ყოფნა სიკდილსიგან დამოუკიდებელია. ის ცოდნის მფლობელია, მისი ცოდნა საპირისპირო უცოდინარობისგან შორსაა. მოთხ-

ოვნილებებს იკმაყოფილებს, უსუსურობისგან შორსაა. ყველა ღვთიური თვისება მარადიულია.

მეორე მხრივ, უდიდეს ღმერთს არც ერთი თვისებისათვის ორგანოების მსგავსი საშუალებები არ სჭირდება, ამ მხრივ ადამიანებსა და სხვა არსებებში ალლაჰის თვისებების იოტისოდენა ნაწილაკიც არ არის, მხოლოდ მათი ანარეკლის გამოვლინებებია. ესე იგი, ჩვენი საუბარი ჩვენთვის განკუთვნილი სიტყვის თვისებით კი არა, მისი სიტყვის თვისების ერთი ნამცეცის გამოვლინებაა. აქედან გამომდინარე, ალლაჰის სიცოცხლე ჩვენ სიცოცხლეს არაფრით არ ჰგავს. მისი ხედვა და ძალა ჩვენი ხედვის და ძალის მსგავსი არ არის.

მოკლედ, უმაღლესი არსებისთვის განკუთვნილი ყველა თვისება იმდენად ფართო და უსასრულოა, რომ მისი აღწერა შეუძლებელია. თითოეული მათგანი მარადიულია. არც ერთ მის თვისებას საზღვარი არა აქვს, ყველა უსაზღვრო, განსაკუთრებული მახასიათებლების მატარებელია. აქედან გამომდინარე, მისი ცოდნა, სიტყვა, ძალა, თექვინ, (შექმნა) და ყველა სხვა მახასიათებელი ყოველგვარი ალეგორიის და ახსნა-განმარტებისგან თავისუფალია. ჩვენი და ამქვეყნის თვისებები კი შემოსაზღვრული და თან წარმავალია. ამიტომ, რა თქმა უნდა, ადამიანისთვის, რომელიც სრულყოფილად საკუთარ თავსაც ვერ იცნობს, შეუძლებელია უდიდესი ღმერთის თვისებები შესაბამისად შეიმეცნოს. ესე იგი, უდიდესი ალლაჰის ჭეშმარიტებას თუ ვერ შევიმეცნებთ, მისი თვისებების ჭეშმარიტებასაც სრულყოფი-

ლად ვერ შევიმეცნებთ.

მეორე მხრივ, მაღალ საფეხურზე მდგომი არსება და თვისება, ნორმალურ პირობებში დაბალ საფეხურზე მდგომს არ ჰგავს. თუ დავამსგავსებთ, ეს მხოლოდ მის დასამცირებლად კეთდება. მაგალითად, კატას ლომს თუ დავამსგავსებთ, ეს ალეგორია მისი ჯიშის წარმომადგენლების წინაშე ძალას გამოხატავს, ლომის კატაზე დამსგავსება კი მისი მშიშრობისა და უსუსურობის გამოხატულებაა. ამ გადასახედიდან ალლაჰის სხვა არსებებთან შედარება და მიმსგავსება დიდი უგულისყურობა და დანაშაულია. გარდა ამისა, უდიდესი ღმერთის ბრწყინვალებასთან შეუფერებელი სამარცხვინო ცილისწამებაა. ამის გამო, ამ დანაშაულს – პოლითეიზმი, მის მოქმედს კი პოლითეისტი ეწოდება. საკითხში, რომელშიც პოლითეისტები განსაკუთრებით ცდებიან, არის ალლაჰის სმენის თვისების მათი სმენის თვისებასთან მიმსგავსება, მისი ხედვის საკუთარ მხედველობასთან შედარება და შედეგად ალლაჰის რწმენის შევიწროება. ამაზე დიდი უგულისყურობა და უმეცრება არ არსებობს. ნამდვილ რწმენას შეიგრძნობს და მისგან სიამოვნებას იღებს ის ადამიანი, რომელიც სრულყოფილად შეიმეცნებს, რომ მისი ხედვის, სმენის, გაგების, საუბრის თვისებები ალლაჰის ამ თვისებების მცირე ნამცეცის ანარეკლია მხოლოდ და მეტი არაფერი.

لاَمَوْجُودَ اِلاَّ هُو

„არ არსებობს სხვა ღმერთი, გარდა ალლაჰისა!“

გულისა და გონების სიბრძნით მწვერვალზე ამყვანები ამბობენ:

„ღმერთო! შენ ისეთი ხარ, როგორიც ხარ!“

ამგვარად, ისინი ყოველგვარი ეჭვისგან თავისუფალი არიან, სრულყოფილი გულით ღმერთს შეუერთდებიან, წმინდანების რიგებში ჩაირიცხებიან.

ერთმა მოსწავლემ ბაეზიდ ბისტამის ჰკითხა:

„ბატონო, ალლაჰის უდიდესი სახელები რომელია?“

ბეიაზიდმა უპასუხა:

„შვილო, უდიდესი ალლაჰის რომელი სახელია პატარა?! დაუდევარი ნუ იქნები; ალლაჰის ყველა სახელი დიდია. თუ გინდა მან შენი თხოვნა დააკმაყოფილოს, გული ამქვეყნიურობისგან განიწმინდე. მისი სახელები უყურადღებო გულებში არ გამოვლინდება. მისი ნათელით გაბრწყინებულ გულში უდიდესი ალლაჰი ყოველ წამს უამრავი სახელით გამოვლინდება.“

II. ანგელოზების რწმენა

ანგელოზები ღვთიური შუქისაგან შექმნილი ნაზი არსებები არიან. ამის გამო, ჩვენ მათ საკუთარი სახითა და ფორმით ვერ დავინახავთ. მაგრამ მათ შეუძლიათ სასურველი ფორმით და სახით გამოჩნდნენ. დიდი შუამავლებისგან ზოგიერთს, ისინი ისეთი სახითაც ჰყავთ ნანახი, როგორებიც არიან. მათ არ ახასიათებთ ადამიანის ჭამა-სმის მსგავსი და სხვა თავისებურებები. მათ ვნება არ ბოძებიათ, რათა მხოლოდ უდიდეს ღმერთს

შეუსრულონ ღვთისმსახურება და მის ბრძანებებს დაემორჩილონ. აქედან გამომდინარე, ანგელოზები ღმერთს არასდროს აუჯანყდებიან. ისინი უთვალავნი არიან. ჰადისების მიხედვით, დედამიწაზე მოსულ წვიმის ყველა წვეთსა და თოვლის ფანტელს თითო ანგელოზი ჩამოჰყვება და ყველა ანგელოზზე ქვეყნიერების აღსასრულამდე რიგი არ მიდგება. სწორედ ამიტომ, ჩამოდის წვიმის წვეთები და თოვლის ფანტელები დედამიწაზე ისე, რომ ერთმანეთს არ ეჯახება.

ანგელოზები ღირსებების მიხედვით საფეხურებად არიან დაყოფილი. წმინდა მევლანა ბრძანებს:

„ახალი მთვარის, სამი დღის მთვარის და სავსე მთვარის მსგავსად, ყველა ანგელოზს საფეხურ-საფეხურ სრულყოფილება, ნათელი და ფასი აქვს.

ყველა ანგელოზს აქვს წილი ღვთიური ნათელისგან. ღვთიური შუქი მათი საფეხურების მიხედვით აქვთ შეთავაზებული. “

ამათგან, ჯებრაილი არის ანგელოზი, რომელსაც შუამავლებისთვის ზეშთაგონების მოტანა ევალებოდა; მიქაილი ბუნებრივი მოვლენების მეთვალყურე ანგელოზია; აზრაილი – სიკვდილის ანგელოზი ხოლო; ისრაფილს განკითხვის დღეს ბუკში ჩაბერვა ევალება.

ანგელოზები შეიძლება ითქვას ჩვენთვის ბოძებულ სულს ჰგვანან. აქედან გამომდინარე, მათ ისევე ვერ უარვყოფთ, როგორც სულს, რომელსაც ასევე ვერ ვხედავთ. ანგელოზების რწმენა – შუამავლების რწმენას; ანგელოზების უარყოფა კი შუამავლების უარყოფას

ნიშნავს. ზეშთაგონების ანგელოზის – ჯებრაილის უარმყოფელებზე უდიდესი ღმერთი ბრძანებს:

قُلْ مَن كَانَ عَدُوًّا لِّجِبْرِيلَ فَإِنَّهُ نَزَّلَهُ عَلَى قَلْبِكَ بِإِذْنِ اللَّهِ

مُصَدِّقاً لِّمَا بَيْنَ يَدَيْهِ وَهُدًى وَبُشْرَى لِلْمُؤْمِنِينَ

„(ჩემო შუამავალო!) **უთხარი: ვინც ჯებრაილს მტრობს,** (კარგად იცოდეს, რომ) **მან** (ჯებრაილმა), **ალლაჰის ნებით, შენს გულში ადრინდელი წიგნების განმამტკიცებელი და მორწმუნეთათვის ჭეშმარიტ გზის მაჩვენებელ** (ყურანი) **გარდმოავლინა.“** (სურა ბაყარა, აიათი 97)

როგორც ჩანს, ანგელოზებს, ღმერთის ღვთისმსახურებასთან ერთად, სხვა მოვალეობებიც აქვთ. ზოგიერთი ალლაჰის ბრძანებით, ადამიანებს ეხმარება. განსაკუთრებით, მორწმუნეებისთვის გაჭირვების დროს ანგელოზების ამგვარი დახმარება და მზრუნველობა ისლამის ისტორიაში ბევრჯერ გამოჩენილი ჭეშმარიტებაა. შუამავლის თანმიმდევრებისგან ბედირის გმირები ამ სინამდვილეს ასე გამოხატავენ:

„ბედირის ბრძოლის ყველაზე დაძაბულ მომენტში მოწმე გავხდით, რომ მტრის თავები ჯერ კიდევ მანამდე სწყდებოდა სხეულს, სანამ ჩვენი ხმალი მათ კისერს შეეხებოდა.“

უზენაესი ღმერთი ამ სინამდვილეს ყურანში შემდეგნაირად ბრძანებს:

إِذْ يُوحِي رَبُّكَ إِلَى الْمَلآئِكَةِ أَنِّي مَعَكُمْ فَثَبِّتُواْ الَّذِينَ آمَنُواْ سَأُلْقِي فِي قُلُوبِ الَّذِينَ كَفَرُواْ الرُّعْبَ فَاضْرِبُواْ فَوْقَ الأَعْنَاقِ وَاضْرِبُواْ مِنْهُمْ كُلَّ بَنَانٍ

„როცა შენმა ღმერთმა ანგელოზებს ზეშთააგონა: „უეჭველად, მე თქვენთან ერთად ვარ; მორწმუნეებს სიმტკიცე შეჰმატეთ. ურწმუნოებს გულში შიშს ჩავუგდებ; დაარტყით კისრებზე! და დასცხეთ მათ ყველა თითზე! “ (სურა ენფალი, აიათი 12)

وَلَوْ تَرَى إِذْ يَتَوَفَّى الَّذِينَ كَفَرُواْ الْمَلآئِكَةُ يَضْرِبُونَ وُجُوهَهُمْ وَأَدْبَارَهُمْ وَذُوقُواْ عَذَابَ الْحَرِيقِ

„ნეტა გენახათ, როგორ ჰკლავდნენ ურწმუნოებს ანგელოზები; ურტყამდნენ სახეზე და ზურგში: „გასინჯეთ მწველი ჯოჯოხეთის სატანჯველი(ო)!“ (სურა ენფალი, აიათი 50)

მათ გარდა არსებობენ: ადამიანის მფარველი (ჰაფაზა) ანგელოზები, ამქვეყნიური მოღვაწეობის რვეულში ჩვენი ქმედებების აღმნუსხველნი (ქირამენ ქათიბი), საფლავში დაკითხვის მწარმოებელი მუნქერ და ნექირ ანგელოზები, ცოდვების მიტევებისთვის ღმერთზე პატიების მთხოვნელი და ადამიანისთვის ჭეშმარიტების გზაზე სიარულში დასახმარებლად ღმერთზე მავედრებელი ანგელოზები.

III. ღვთიური წიგნების რწმენა

უდიდესი ღმერთი პირველი ადამიანიდან და პირველ შუამავალ ადამიდან მოყოლებული კაცობრიობას ბრძანებებსა და აკრძალვებს, ადრე წერილების, შემდეგ კაცობრიობისა და საზოგადოებრივი საკითხების გამრავლებასთან ერთად,თავისი დიდი წიგნებით აცნობებდა. ესენია: **ზებური,** („დავითნი“-ანუ ფსალმუნი დავითის) **თევრათი** (თორა), **ინჯილი** (სახარება) **და ყურანი.** წერილები და წიგნები ყველა თავისი დროისათვის სამართლიანი წიგნებია. ამიტომ, წიგნების უნდა ვირწმუნოთ იმ სახით, როგორც ალლაჰმა მოავლინა.

წერილებიდან პირველი ათი – ადამს, ორმოცდაათი – შითს, ოცდაათი – იდრისს, ბოლო ათი კი იბრაჰიმ შუამავალ გარმოეგზევნათ. დიდი წიგნებიდან თევრათი – მუსას, ზებური – დავუდს, ინჯილი – ისას და საბოლოო ყურანი წმინდა მუჰამმედ შუამავლს ﷺ გამოეგზავნა.

ღვთიური წიგნები უდიდესი ღმერთის მიერ ადამიანებისთვის გამოგზავნილი პირველი წერილის მსგავსია. ადამიანის ცხოვრების მომწესრიგებელი და მარადიული ბედნიერების რეცეპტის წარმომდგენი ეს წიგნები უდიდესი ღმერთის სიტყვის ადამიანის სიტყვასა და შემეცნებაში ჩასახვაა. აქედან გამომდინარე, თითოეული მათგანი, ბოძებულ შეტყობინებებთან ერთად, სრულიად განსხვავებული სიტყვის სასწაულებია.

ღვთიური წიგნებიდან საბოლოო – ყურანმა მანამდე არსებული ყველა წიგნი გააბათილა. ჟამთასვლაში გამოცვლილმა და განვითარებული ადამიანების

მოთხოვნილებებმა, თან უგულისყურო, ვნებას დამორ-ჩილებული სპეციალისტების მიერ ამ წიგნებში ჩარე-ვამ ცვლილებების შეტანამ ამის საჭიროება წარმოშვა. ამასთან ერთად, ყველა ჩამოსულ წერილსა და წიგნში მთავარი, ესე იგი, რწმენის ამბები ერთნაირია. უდიდე-სი ალლაჰი ბრძანებს:

لِكُلِّ أُمَّةٍ جَعَلْنَا مَنْسَكًا هُمْ نَاسِكُوهُ فَلَا يُنَازِعُنَّكَ فِي الْأَمْرِ وَادْعُ إِلَى رَبِّكَ إِنَّكَ لَعَلَى هُدًى مُسْتَقِيمٍ

„ჩვენ ყველა ხალხს, ღვთისმსახურების შესრულების წესები დავუდგინეთ. ამის გამო (რელიგიურ საკითხ-ებში), **არ**(ასოდეს) **გეკამათონ...“** (სურა ჰაჯი, აიათი 67)

ზეციური წიგნების ყველაზე დიდი თავისებურება, ისაა, რომ თითოეული მათგანი უეჭველად, ღვთიურ ზე-შთაგონებას ეყრდნობა. მაგრამ, დღეს ეს თავისებურე-ბა მხოლოდ ყურანს ახასიათებს. ვინაიდან, სხვადასხვა ღვთიურმა წიგნმა შუამავლების შემდეგ დიდი ადამი-ანური ჩარევები განიცადა და საბოლოოდ ადამიანის კალმით დაწერილ წიგნად იქცა. ყურანის მოვლენის ერთ-ერთ მიზეზად სწორედ ეს მდგომარეობა იქცა. ამასთან ერთად, ყურანი, რომელიც ბოლოს იქნა მოვ-ლენილი, ყოვლისმომცველი და ყველაზე შესანიშნავია. იმის გამო, რომ ის საბოლოოა, ღვთიური მფარველობის ქვეშ იმყოფება. თავად უდიდესი ღმერთი მის შესახებ ბრძანებს:

وَإِن كُنتُمْ فِي رَيْبٍ مِّمَّا نَزَّلْنَا عَلَى عَبْدِنَا فَأْتُواْ بِسُورَةٍ مِّن مِّثْلِهِ

وَادْعُواْ شُهَدَاءكُم مِّن دُونِ اللّهِ إِنْ كُنْتُمْ صَادِقِينَ

„თუკი ჩვენს მონა-მსახურზე ჩვენ მიერვე ზეშთაგონებული(ყურანი)**ს შესახებ ეჭვში ხართ. მოიტანეთ მსგავსი ერთი სურა, ალლაჰის გარდა** (სხვა ყველა თქვენს) **მოწმეებს მოუხმეთ**, **თუკი თქვენ მართალნი ხართ.“** (სურა ბაყარა, აიათი 23)

ამ ღვთიური მხარდაჭერით, ყურანს საუკუნეების განმავლობაში კითხულობენ, როგორც სასწაულს. მასში ჩვენთვის მოცემული ხსნის რეცეპტი მოკლედ შეიძლება ასე ჩამოვთვალოთ:

1. რწმენის საფუძველები და ღვთისმსახურებები;

2. ადამიანთან დაკავშირებული ფაზები: ამქვეყნად მოვლინება, ცხოვრება, სიკვდილი და ა.შ. ცხოვრების წესთან დაკავშირებული ვნებაზე დაქვემდებარებული თვისებები, სულზე დაქვემდებარებული სრულყოფილი ზნე-ჩვეულებები და ადამიანის უმწიფარი თვისებების ასამაღლებლად ვნების ძლევით გულის განწმენდა;

3. სამყაროს მოწესრიგებული სისტემა: შვიდსაფეხურიანი ზეცა, მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ბუნების მოვლენები, ჩრდილის გაზრდა-დაპატარავება, წვიმა, დღე-ღამის მონაცვლეობა, მიწასა და ცას შორის მცხოვრები არსებების თავისებურებები;

4. ისტორიული ცნობები: ერების პოზიტიური და ნეგატიური, ამქვეყნიური და იმქვეყნიური ყოფა, ღვთიური შურისძიების გამოვლინებები, შუამავლებისა და ტომების ისტორიები, წარსულის გაკვეთილები;

5. მარადისობის კლიმატში გადაჭიმული უსაზღვრო ჩაფიქრებისა და გახსენების ოკეანე.

IV. შუამავლების რწმენა

შუამავლები ჭეშმარიტების გიდები არიან.

ადამიანი ისეთი არსებაა, რომ ჭეშმარიტების გზაზე სწორად სიარულის საკითხში სისუსტეს იჩენს და შესაძლოა უამრავი შეცდომა დაუშვას, ამიტომაც უდიდესმა ღმერთმა ის შუამავლებით გააძლიერა. ამგვარად, უდიდესმა ღმერთმა ადამიანს წიგნებისა და შუამავლების მეშვეობით პასუხისმგებლობის საზღვრები ამცნო და შემდეგ ის დაავალდებულა. ამგვარი წყალობა არც ერთი არსებისადმი არ გამოუჩენია.

აიათში ნაბრძანებია:

وَلَقَدْ بَعَثْنَا فِي كُلِّ أُمَّةٍ رَّسُولاً أَنِ اعْبُدُواْ اللّهَ وَاجْتَنِبُواْ الطَّاغُوتَ

„ვფიცავ, ყველა ხალხს – „ალლაჰზე მონა-მსახურების და კერპებისგან შორსდგომისათვის!“ – შუამავლები გამოვუგზავნეთ...“ (სურა ნაჰლი, აიათი 36)

რელიგიის მიზანი ვნებისა და სულის საფუძველში არსებული ნეგატიური გამოვლინებების მინიმუმამდე, თითქმის განადგურებამდე შემცირება, ამის საპირისპიროდ კი დადებითი თვისებების მწვერვალზე აყვანაა. მაგრამ ამ მიზნის განსახორციელებლად ადამიანის ხორცშესხმული უბადლო მაგალითი სჭირდება. შუამავლების მოვლენის ერთ-ერთი მიზანი ადამიანები-

სათვის შესანიშნავი უბადლო მაგალითების ჩვენებაა.

უდიდესი ალლაჰი ბრძანებს:

وَمَا أَرْسَلْنَا مِن رَّسُولٍ إِلاَّ لِيُطَاعَ بِإِذْنِ اللّهِ

„ჩვენ არ მოგვივლენია შუამავალი – არცერთი შუამავალი გარდა ალლაჰის ნებით მის(შუამავლის)**დამი მორჩილებისა..“** (სურა ნისა, აიათი 64)

ეს თავისებურება წმინდა მუჰამმედ შუამავალში ﷺ მწვერვალზე ავიდა, ამიტომაც უდიდესი ღმერთი აიათში ბრძანებს:

لَقَدْ كَانَ لَكُمْ فِي رَسُولِ اللَّهِ أُسْوَةٌ حَسَنَةٌ لِّمَن

كَانَ يَرْجُو اللَّهَ وَالْيَوْمَ الْآخِرَ وَذَكَرَ اللَّهَ كَثِيراً

„ვფიცავ, შუამავალში არის საუკეთესო მაგალითი თქვენთვის; მათთვის(აც), **ვინც** (მო)**ელის ალლაჰ**(ის წინაშე წარდგომა)**ს და** (საიქიო) **განკითხვის დღეს; და ბევრჯერ ახსენებს ალლაჰს.“ “** (სურა აჰზაბი, აიათი 21)

აქედან გამომდინარე, ყველა ადამიანი ვალდებულია ალლაჰი იწამოს და მას ემსახუროს. ამ პასუხისმგებლობის სრულყოფილად განსახორციელებლად უდიდესმა ღმერთმა, მიუხედავად იმისა, რომ მათ სამოთხის გარანტია ჰქონდათ, შუამავლებს ქადაგება დაავალდებულა და ამცნო, რომ განკითხვის დღეს ორივე მხარე განისჯებოდა. აიათში ნაბრძანებია:

فَلَنَسْأَلَنَّ الَّذِينَ أُرْسِلَ إِلَيْهِمْ وَلَنَسْأَلَنَّ الْمُرْسَلِينَ

„და ვფიცავ, განისჯებიან ისინი, ვისაც (შუამავალი) **მოევლინათ, და განისჯებიან თვით** (შუამავლად) **მოვლენილნიც.“** (სურა აარაფი, აიათი 6)

აი, ამ პასუხისმგებლობის შემეცნებით წმინდა მუჰამმედ შუამავალმა ﷺ გამოსამშვიდბებელ ქადაგებაში ასი ათასზე მეტ თანამიმდევარს ჰკითხა;

„ადამიანებო! ხვალ თქვენ ჩემ შესახებ შეგეკითხებიან, რას უპასუხებთ?“

თანამიმდევრებმა მიუგეს:

„მოწმე ვართ, რომ ალლაჰის შუამავლობა აღასრულა; დავალება შეასრულა, ჩვენ რჩევა-დარიგებები მოგვცა!“ ამის შემდეგ წმინდა შუამავალმა სამჯერ იკითხა:

„ჩემო თანამიმდევრებო! გიქადაგეთ?

გიქადაგეთ?

გიქადაგეთ?“

სამჯერვე დასტური მიიღო. შემდეგ ხელები ცად აღაპყრო და ღმერთს დამოწმება სთხოვა:

„მოწმე იყავი, ღმერთო ჩემო!

მოწმე იყავი, ღმერთო ჩემო!

მოწმე იყავი, ღმერთო ჩემო!“ (ბუჰარი, ილიმი, 37)

იქიდან გამომდინარე, რომ ყველა ტომს ერთი შუა-

მავალი გამოეგზავნა, სინამდვილეზე დაყრდნობით, შუამავლების რაოდენობა მხოლოდ ყურანში ჩამოთვლილი შუამავლებით არ შემოიფარგლება. უდიდესი ღმერთი ბრძანებს:

وَرُسُلاً لَّمْ وَرُسُلاً قَدْ قَصَصْنَاهُمْ عَلَيْكَ مِن قَبْلُ

نَقْصُصْهُمْ عَلَيْكَ

„და იყვნენ შუამავალნი ვისზეც ადრე გაუწყეთ, და იყვენან შუამავლები ვის შესახებაც არ გვიუწყებია.“
(სურა ნისა, აიათი 164)

თქმულებებზე დაყრდნობით, სულ 124 ათასი ან 224 ათასი შუამავალი გამოიგზავნა. მათგან ზოგს ახალშარიათი ებოძა, ზოგიც წინა შუამვლების შარიათით ხელმძღვანელობდა.

შუამავლებს დასაწყისში შემდეგი სამი რამ ევალებოდათ

1. ალლაჰის აიათების კითხვა,

2. ბოროტებისგან განწმენდა (ვნებისგან განწმენდა),

3. წიგნებისა და სიბრძნის სწავლებით ხალხის ჭეშმარიტებისკენ მიმართვა.

ჩვენს ბედნიერებას საფუძველს შუამავლების არსებობა უყრის. ისინი, ასი ათასობით სხვადასხვა პიროვნება, უბადლო მაგალითები იყვნენ. ის სამაგალითო პიროვნებები ადამიანების სულებს სიმშვიდეს

მოაპოვებინებდნენ და ღმერთთან შესახვედრად მიმართულებას აძლევდნენ.

შუამავლობა დამსახურების კი არა, ღვთიური განსაზღვრით ევალებოდათ. აქედან გამომდინარე, ალლაჰის მხრიდან ბოძებული განსხვავებული მახასიათებლები აქვთ. შუამავლების რწმენა ამ ჩარჩოებში ჯდება.

სამართლიანობა: შუამავლები სიტყვებსა და ქმედებებში მუდამ სისწორეს იცავდნენ. მათი სიტყვა და საქმე მუდამ ერთი იყო. შეუძლებელია მათ ტყუილი ეთქვათ. ისინი მუდამ სიმართლეს რომ ლაპარაკობდნენ, ამას ისინიც კი ადასტურებდნენ, ვისაც მათი არ სწამდათ. წარმოგიდგენთ ამის უთვალავი მაგალითიდან რამდენიმეს:

ბიზანტიის იმპერატორმა ჰერაკლემ,წმინდა მუჰამმედ შუამავლის ﷺ შესახებ, ინფორმაციის მიღების მიზნით, აბუ სუფიანს, რომელსაც რწმენა ჯერ მიღებული არ ჰქონდა, შეკითხვები დაუსვა:

„როდისმე სიტყვა არ შეუსრულებია?“

მიუხედავად იმისა,რომ იმ დროისათვის წმინდა შუამავლის მოწინააღმდეგე იყო, აბუ სუფიანმა უპასუხა:

„არა! ის მიცემულ ყველა სიტყვას ასრულებს!“

მექელი კერპთაყვანისმცემელი უბეი იბნ ჰალეფი ისლამის დაუძინებელი მტერი იყო. ჰიჯრამდე წმინდა შუამავალს ეუბნებოდა:

„ერთ ცხენს ვუვლი, მას ყველაფერს კარგს ვაჭმევ.

ერთ დღეს მასზე შევჯდები და შენ მოგკლავ.“

წმინდა შუამავალმაც ﷺ ერთხელ მას უთხრა:

„ღმერთით, შენ მე მოგკლავ!“

უჰუდის ბრძოლაში ეს სულელი კერპთაყვანისმცემელი წმინდა შუამავალს ეძებდა და ასე იძახდა:

„დღეს ის თუ თავს იხსნის, ჩემი საქმე დამთავრებულია!“

ამ ფიქრებით შეპყრობილი შუამავალზე თავდასასხმელად მასთან სულ ახლოს მივიდა. თანამიმდევრებმა შორიდანვე მისი მოკვლა ისურვეს. შუამავალმა ბრძანა:

„თავი დაანებეთ, მოვიდეს!“

უბეი იბნ ჰალეფი რომ მიუახლოვდა, ალლაჰის შუამავალმა ერთ თანამიმდევარს შუბი გამოართვა და ესროლა. შუბმა უბეის ყელი მცირეოდენ გაუკაწრა, მაგრამ ის ცხენიდან ჩამოაგდო; რამდენჯერმე ყირაზე გადავიდა და შეძრწუნებული გაიქცა. გარბოდა, თვალები ბუდიდან გადმოვარდნაზე ჰქონდა და ყვიროდა:

„ვფიცავ, მუჰამმედმა მე მომკლა!“

კერპთაყვანისმცემლები მასთან მივიდნენ, ჭრილობა ნახეს და უთხრეს:

„ეს ერთი ჩვეულებრივი ნაკაწრია!“

მაგრამ ის არ დამშვიდდა და ასე თქვა:

„როცა მექაში ვიყავი, მუჰამმედმა მითხრა: „მე შენ

აუცილებლად მოგკლავ!“ ვფიცავ, რომ მას ჩემთვის მხ-ოლოდ რომ მოეფურთხებინა, მაინც მოვკვდებოდი!..“

შემდეგ კვლავ ყვირილი განაგრძო. ყელიდან ხარის ბღავილის ხმა ამოსდიოდა. აბუ სუფიანმა ის შეარცხ-ვინა:

„ამ პატარა ნაკაწრზე ასე ყვირილი შეიძლება?“

„შენ იცი ეს ნაკაწრი ვინ მომაყენა? ეს მუჰამმედის მიერ მოყენებული ჭრილობაა. ლათსა და უზზას გე-ფიცები, ამ ჭრილობისგან რომ ტკივილს ვგრძნობ, ჰი-ჯაზის ხალხს რომ გავუნაწილო, ყველას გაანადგურებს. როცა მექაში ვიყავი, მუჰამმედმა მითხრა: **„მე შენ აუცილებლად მოგკლავ!“ მე ჯერ კიდევ მაშინ ვიცოდი, რომ მისი ხელით მოვკვდებოდი და მისგან თავს ვერ დავიხსნიდი. ამის თქმის შემდეგ, მას თუნდ ჩემთვის მხოლოდ რომ მოეფურთხებინა, მაინც მომკლავდა.“**

საბოლოოდ, შუამავლის დაუძინებელი მტერი უბეი მექაში ჩასვლამდე ერთი დღით ადრე გარდაიცვალა.

ეს მაგალითი ძალიან საოცარია. წმინდა მუჰამმედ შუამავლის ﷺ დაუძინებელმა მტერმაც კი იცოდა მისი სიტყვის ძალა და მისი სამართლიანობის სწამდა.

სანდოობა: შუამავალი კაცობრიობის ყველაზე სანდო ადამიანი იყო. ისინიც კი, ვინც მორწმუნეები არ იყვნენ, მას უსაზღვროდ ენდობოდნენ. წმინდა მუ-ჰამმედ შუამავალს ﷺ კერპთაყვანისმცემლებიც სან-დოს უწოდებდნენ და ანაბრებს თავიანთ მომხრეებს კი არა, ალლაჰის შუამავალს ﷺ აბარებდნენ. წმინდა შუამავალი ﷺ ჰიჯრით რომ გადადიოდა, თან კერპთაყ-

ვანისმცემლების ანაბრები ჰქონდა. წმინდა ალი, სიკვდილის საფრთხის არსებობის მიუხედავად, მექაში დატოვა პატრონებისთვის მათ გადასაცემად.

გამჭრიახობა: ადამიანებში ყველა თვალსაზრისით, ჭკუისა და სიფხიზლის გადასახედიდან, ყველაზე მაღალ საფეხურზე დგას. მას ძლიერი მეხსიერება, მაღალი ლოგიკა და რწმენა ჰქონდა. ეს თვისება ყველა შუამავალში სხვადასხვაგვარად გამოვლინდა. წმინდა შუამავლის ﷺ მთელმა ცხოვრებამ ამ გამოვლინებით გაიარა.

შუამავლობის მისიამდე წყალდიდობისგან ქააბა დაზიანდა, ის მექაში მცხოვრებმა ტომებმა შეაკეთეს. მაგრამ ჰაჯერულ ესვედის თავის ადგილზე ჩადების მიზეზით ტომებს შორის განხეთქილება ჩამოვარდა. უთანხმოება სისხლისღვრის ზღვარზე მივიდა. ერთმა სხვებს ურჩია:

„შეწყვიტეთ კამათი! რადგან ეს საკითხი თავად ვერ მოვაგვარეთ. ჩვენ შორის მოსამართლედ ჰარემში პირველად შემოსული კაცი დავადგინოთ, მის გადაწყვეტილებას დავეთანხმოთ!“

ზუსტად ამ დროს ჰარემის კარებში წმინდა მუჰამმედ შუამავალი ﷺ გამოჩნდა. მის დანახვაზე სახეზე ყველას ღიმილი გადაეფინა.

წმინდა შუამავალმა ამბავი რომ მოისმინა, ყველა ტომიდან თითო წარმომადგენელი ამოარჩია, მხრებიდან ხალათი მოიხსნა, ძირს გაფინა, ჰაჯერულ ესვედი ხალათზე დადო, ტომების წარმომადგენლებს ხელები

ხალათის კიდეებზე მოაკიდებინა და წმინდა ქვა ყველამ ერთად გადაათრია. ამგვარად, უბადლო გამჭრიახობისა და მიხვედრილობის წყალობით, ტომებს შორის შესაძლო ომს ხელი შეუშალა.

მეორე მხრივ, ისლამის გზაზე გამართულ ბრძოლებში, სამშვიდობო ხელშეკრულებებში, განსაკუთრებით ჰუდეიბიეში მის მიერ გამოჩენილი გამჭრიახობა, მექის გამარჯვებისას, ჰუნეიდეში, ტაიფში გამოყენებული არაჩვეულებრივი მეთოდი და ნაჩვენები სამართალი იმდენად მაღალი და დიდებული იყო, რომ ამ დონემდე არც ერთ ადამიანს არ მიუღწევია.

ქადაგება: ღვთიურ ბრძანებებს ზუსტად იმავე ფორმით ადამიანებს ამცნობენ. ქადაგებებში მათ მიერ დამატებული ან გამოკლებული არაფერია.

უცოდველობა: შუამავლები ფარული და აშკარა – ყოველგვარი დაუმორჩილებლობისა და ცოდვის ჩადენისგან შორს დგანან. მაგრამ ისინი სუსტი ადამიანები იყვნენ, ამას არ ივიწყებდნენ და ღმერთის სადარ დიდებულებაზე პრეტენზია არ ჰქონდათ. ამიტომაც, ზოგჯერ თავიანთი სურვილის საწინააღმდეგოდ იქცეოდნენ, რადგან ისინი ვალდებულნი იყვნენ სამაგალითოდ მოქცეულიყვნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანები იტყოდნენ: შუამავლების ნაბრძანების შესრულება ჩვენ ძალებს აღემატებაო და ღვთიური ბრძანებებისა და აკრძალვების შესრულებაში არასაპატიო მიზეზსაც კი საპატიოდ წარმოაჩენდნენ. ისეთი ადამიანებიც გამოჩნდნენ, ვინც ეს ჭეშმარიტება მხედველობაში არ მიიღეს და შუამავლები ანგელოზებად

ჩათვალეს, მათ აიათები ასეთ პასუხს სცემს:

قُل لَّوْ كَانَ فِي الأَرْضِ مَلآئِكَةٌ يَمْشُونَ

مُطْمَئِنِّينَ لَنَزَّلْنَا عَلَيْهِم مِّنَ السَّمَاء مَلَكًا رَّسُولاً

„(შუამავალო), **უთხარი** (კერპთაყვანისმცემლებს)**: დედამიწის ბინადარნი** (ადამიანების ნაცვლად) **ანგელოზები რომ ყოფილიყვნენ, უეჭველად, ჩვენც ციდან შუამავლად მათ ანგელოზს მოვუვლენდით.“** (სურა ისრა, აიათი 95)

وَمَا جَعَلْنَاهُمْ جَسَدًا لَّا يَأْكُلُونَ الطَّعَامَ وَمَا

كَانُوا خَالِدِينَ

„ჩვენ არ გაგვიჩენია ისინი (შუამავლები) **საჭმლის უჭმელ ადამიანებად და ისინი არც მარადიულნი ყოფილან.“** (სურა ენბია, აიათი 8)

შუამავლების ამ ხუთი თვისების გარდა, კიდევ სამი განსაკუთრებული თვისება მხოლოდ წმინდა მუჰამმედ ﷺ შუამავალს ახასიათებდა. ესენია:

1. წმინდა შუამავალი ﷺ ალლაჰის საყვარელი ადამიანია. ყველა შუამავალზე უპირატესია. ის ადამიანებს შორის ყველაზე ღირსეულია.

2. ის ყველა ადამიანსა და ჯინს გამოეგზავნა. მის მიერ მოტანილი რწმენა ქვეყნიერების აღსასრუ-

ლამდე უცვლელია. სხვა შუამავლები კი განსაზღვრული დროისა და განსაზღვრული ერებისთვის იყვნენ მოვლენილი. აქედან გამომდინარე, ყველა შუამავლის სასწაული თავისი დროისთვის იყო განსაზღვრული, წმინდა შუამავალი ﷺ კი ყველა დროის მომცველია. განსაკუთრებით მისთვის ბოძებული ყურანი განკითხვის დღემდე მოქმედია.

3. ის ბოლო შუამავალია.

გარდა ამათისა, წმინდა მუჰამმედ შუამავლისთვის ﷺ განკითხვის დღისთვის „მაყამი მაჰმუდია“ (შუამდგომლობის ადგილი) გამოყოფილი. ამ მიზეზით, ის – მოწყალე შუამავალი – განკითხვის მოედანზე ცოდვილებს უშუამდგომლებს და მისი ეს მისია დაკმაყოფილებული იქნება. აიათში ნაბრძანებია:

وَمَا أَرْسَلْنَا مِن رَّسُولٍ إِلاَّ لِيُطَاعَ بِإِذْنِ اللّهِ وَلَوْ

أَنَّهُمْ إِذ ظَّلَمُواْ أَنفُسَهُمْ جَآؤُوكَ فَاسْتَغْفَرُواْ اللّهَ

وَاسْتَغْفَرَ لَهُمُ الرَّسُولُ لَوَجَدُواْ اللّهَ تَوَّابًا رَّحِيمًا

„...ჩვენ არ მოგვივლენია შუამავალი, გარდა ალლაჰის ნებით, მის(შუამავლის)**ადმი მორჩილებისა. ისინი საკუთარ სულთა შეცდომების შემდეგ შენთან, რომ მოსულიყვნენ და ალლაჰის**(გან) **პატიება ეთხოვათ; შუამავალსაც, რომ** (ალლაჰზე) **მათთვის პატიება ეთხოვა, უეჭველად ალლაჰს მომნანიებელთა შემნდობად და შემწყნარებლად იხილავდნენ.“** (სურა ნისა, აიათი 64)

ეს აიათი, როგორც ჩანს, სამახარობლოა. ის აგრეთვე, გვიჩვენებს წმინდა შუამავლის ﷺ შუამდგომლობას და თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის მიტევების თხოვნას.

ალლაჰის შუამავლის ﷺ ქვემოთ მოცემული ჰადისი გულებს იმედსა და მოწყალებას უნერგავს. ამცნობს, რომ ალლაჰის შუამავალი ﷺ განსაკუთრებული, მახარობელი შუამავალია.

„განკითხვის დღეს ადამიანები ერთმანეთში აირევიან. ადემ შუამავალთან მივლენ და სთხოვენ:

„გვიშუამდგომლე ალლაჰთან!“

ის უპასუხებს:

„მე იმ მდგომარეობაში არ ვარ, იბრაჰიმთან წადით! რადგან ის ღმერთის ახლო მეგობარია!...“

იბრაჰიმთან რომ მივლენ, ეტყვის:

„მე იმ მდგომარეობაში არ ვარ, მუსასთან წადით! ის ღმერთს ესაუბრა!...“

მუსასთან მივლენ, ისიც უპასუხებს:

„მე იმ მდგომარეობაში არ ვარ, ისასთან წადით! ის ღმერთის სული და სიტყვაა...“

ისასთან მივლენ და ისიც იგივეს ეტყვის:

„მე იმ მდგომარეობაში არ ვარ, მუჰამმედთან წადით!...“

ჩემთან მოვლენ. მე ვეტყვი:

„დიახ, ეს თანამდებობა მე მებოძა.“

შემდეგ ღმერთის წინაშე წარდგომისთვის ნებართვას ვითხოვ. ნებას მომცემენ. იმ დროს მე შთამეგონება ღმერთის სადიდებელი სიტყვები,რომლებიც ამ დროისათვის არ ვიცი. ამ სიტყვებით ღმერთს მადლობას გადავუხდი. მას სეჯდეს შევუსრულებ. (იმ დროს) მე მეტყვიან:

„მუჰამმედ, თავი ასწიე, თქვი და რასაც იტყვი, შესმენილი იქნება! რასაც ითხოვ – გებოძება! შუამდგომლობა გასწიე, შენი შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნება!“

მე ვიტყვი:

„ღმერთო ჩემო! ჩემს მიმდევრებს ვითხოვ, ჩემს მიმდევრებს ვითხოვ!“

უდიდესი ღმერთი ბრძანებს:

„მუჰამმედ! წადი და ვისაც გულში ქერის მარცვლისოდენა რწმენა მაინც აქვს, იქიდან (ჯოჯოხეთიდან) გამოიყვანე!“

მეც წავალ და გავაკეთებ იმას, რაც მამცნეს. შემდეგ დავბრუნდები და იგივე მადლიერების სიტყვებით მას მადლობას გადავუხდი. სეჯდეს შევასრულებ და (კვლავ) მეტყვიან:

„მუჰამმედ, თავი ასწიე! თქვი, რასაც იტყვი, შესმენილი იქნება! რასაც ითხოვ – გებოძება! შუამდგომლობა გასწიე, შენი შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნება!“

მე კვლავ ვიტყვი:

„ღმერთო ჩემო! ჩემს მიმდევრებს ვითხოვ, ჩემს მიმ-დევრებს ვითხოვ!“

„მუჰამმედ! წადი და ვისაც გულში იოტისოდენა ან მუხუდოს მარცვლისოდენა რწმენა მაინც აქვს, იქიდან (ჯოჯოხეთიდან) გამოიყვანე!“

მეც წავალ და გავაკეთებ იმას, რაც მამცნეს. შემდეგ დავბრუნდები და იგივე მადლიერების სიტყვებით მას მადლობას გადავუხდი. შემდეგ სეჯდეს შევასრულებ. (კვლავ) მეტყვიან:

„მუჰამმედ, თავი ასწიე! თქვი, რასაც იტყვი, შესმენილი იქნება! რასაც ითხოვ – გებოძება! შუამდგომლობა გასწიე, შენი შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნება!“

მე კვლავ ვიტყვი:

„ღმერთო ჩემო! ჩემს მიმდევრებს ვითხოვ. ჩემს მიმ-დევრებს ვითხოვ!“

უდიდესი ღმერთი მიბრძანებს:

„მუჰამმედ! წადი და ვისაც გულში მუხუდოს მარცვალზე მცირე რწმენა მაინც აქვს იქიდან (ჯო-ჯოხეთიდან) გამოიყვანე!“

მეც წავალ და გავაკეთებ იმას, რაც მამცნეს. შემდეგ მეოთხეჯერ დავბრუნდები და იგივე მადლიერების სი-ტყვებით, მას მადლობას გადავუხდი. შემდეგ სეჯდეს შევასრულებ. შემდეგ (კვლავ) მეტყვიან:

„მუჰამმედ, თავი ასწიე! თქვი, რასაც იტყვი, შესმენილი იქნება! რასაც ითხოვ – გებოძება! შუამდგომლობა გასწიე, შენი შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნება!“

მე (ამჯერად) ვიტყვი:

„ღმერთო ჩემო! ყველასთვის, ვინც ამბობს „ლა ილაჰე ილლალლაჰ“ (არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა), ნება მომეცი!“

უდიდესი ღმერთი ბრძანებს:

„ჩემს პატივს, სიდიადეს ვფიცავ, ყველას, ვინც ამბობს, „არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა“, იქიდან (ჯოჯოხეთიდან) გამოვიყვან!“ (ბუჰარი, თევჰიდი, 36)

❀

მოკლედ შუამავლები, ჩვენ მიერ ჩამოთვლილი უმაღლესი თვისებებით, ადამიანებისთვის ჭეშმარიტების გიდებად იქცნენ, ერთმორწმუნეებს კი მათი რწმენა და მათზე მორჩილება ებრძანათ. უდიდესი ალლაჰი ბრძანებს:

قُولُواْ آمَنَّا بِاللّهِ وَمَآ أُنزِلَ إِلَيْنَا وَمَا أُنزِلَ إِلَى

إِبْرَاهِيمَ وَإِسْمَاعِيلَ وَإِسْحَقَ وَيَعْقُوبَ وَالأَسْبَاطِ

وَمَا أُوتِيَ مُوسَى وَعِيسَى وَمَا أُوتِيَ النَّبِيُّونَ مِن

رَّبِّهِمْ لاَ نُفَرِّقُ بَيْنَ أَحَدٍ مِّنْهُمْ وَنَحْنُ لَهُ مُسْلِمُونَ

„(მორწმუნენო!) **უთხარით: „ვიწამეთ ალლაჰი და ის, რაც** (ჩვენთვის) **გარდმოგვევლინა, და ის რაც ზეგარდმოევლინათ იბრაჰიმს, ისმაილს, ისჰაყს, იაყუბს და მის შთამომავლებს. მუსას და ისასთვის ბოძებელსა და ღმერთის მხრიდან სხვა შუამავლებისთვის ბოძებულს** (ერთმანეთისგან)**არ განვასხვავებთ. ჩვენ მხოლოდ მისი** (ალლაჰს) **მორჩილნი ვართ...“** (სურა ბაყარა, აიათი 136)

أُوْلَـ ـئِكَ الَّذِينَ هَدَى اللهُ فَبِهُدَاهُمُ اقْتَدِهْ

„აი, ისინი (შუამავლები) **არიან, რომელნიც ალლაჰმა ჭეშმარიტ გზაზე დააყენა. მაშ, შენც მათ გზას მიჰყევი...“** (სურა ენამი, აიათი 90)

ამ ღვთიურ ბრძანებაზე დამორჩილებულნი, სააქაოსა და საიქიოში ბედნიერებასა და კეთილდღეობაში იქნებიან. მათი ადგილი ორთავ ქვეყანაზე უმაღლესია. უდიდესი ალლაჰი ბრძანებს:

وَمَن يُطِعِ اللهَ وَالرَّسُولَ فَأُوْلَـ ـئِكَ مَعَ الَّذِينَ

أَنْعَمَ اللهُ عَلَيْهِم مِّنَ النَّبِيِّينَ وَالصِّدِّيقِينَ وَالشُّهَدَاءِ

وَالصَّالِحِينَ وَحَسُنَ أُولَـ ـئِكَ رَفِيقًا

„ვინც ალლაჰს და შუამავალს (და)**ემორჩილება – აი, ისინი იქნებიან მათთან ერთად, ვისაც ალლაჰმა შუამავლობა, სამართლიანობა, შეჰიდობა, და ღვთისმოსავ ადამიანთაგან ყოფნა უწყალობა. ისინი რა მშვენიერი მეგობრები არიან!“** (სურა ნისა, აიათი 69)

ამ მდგომარეობის საპირისპიროდ მოქმედნი ორივე სამყაროს უბედურები არიან და მარადიულ სამწუხარო დასასრულში დარჩებიან:

فَسِيرُواْ فِي الأَرْضِ فَانظُرُواْ كَيْفَ كَانَ عَاقِبَةُ الْمُكَذِّبِينَ

„...მოიარეთ დედამიწა და ნახეთ, როგორია მათი დასასრული, ვინც (შუამავლებს) **უარყოფს!“** (სურა ნაჰლი, აიათი 36)

وَمَن يَكْفُرْ بِاللّهِ وَمَلاَئِكَتِهِ وَكُتُبِهِ وَرُسُلِهِ وَالْيَوْمِ الآخِرِ فَقَدْ ضَلَّ ضَلاَلاً بَعِيدًا

„...ვინც ალლაჰს, ანგელოზებს, წიგნებს, შუამავლებს და განკითხვის დღეს უარყოფს, უეჭველად, ის უკიდურეს გზააბნეულობაშია.“ (სურა ნისა, აიათი 136)

მართლაც, ისტორიის ფურცლები სავსეა იმ უგულისყურო ადამიანების სიცოცხლის საშიში დასასრულით, რომელნიც ამქვეყნიურობის წარმვალმა ბრწყინვალებამ შეაცდინა და შუამავლების მიერ ფართოდ გაშლილ თვალსაწიერს დააშორა, საზოგადოებები გააპარტახა, მათი ცხოვრება ცხოველების ცხოვრებას დაამსგავსა, ვისაც სამყაროს შექმნის საოცრებისა და საიდუმლოს შემეცნება არ შეუძლიათ. შედეგად კი ღვთიური სატანჯველი დაიმსახურეს.

ყურანში ნაბრძანებია:

وَكَمْ أَهْلَكْنَا قَبْلَهُمْ مِنْ قَرْنٍ هَلْ تُحِسُّ مِنْهُمْ مِنْ أَحَدٍ أَوْ تَسْمَعُ

لَهُمْ رِكْزًا

„ჩვენ მათზე ადრე უამრავი თაობები გავანადგურეთ. განა, გრძნობ მათგან რომელიმეს არსებობას გრძნობ? ან გესმის მათი ხმა?!“ (სურა მერიემი, აიათი 98)

أَوَلَمْ يَسِيرُوا فِي الْأَرْضِ فَيَنظُرُوا كَيْفَ كَانَ

عَاقِبَةُ الَّذِينَ مِن قَبْلِهِمْ كَانُوا أَشَدَّ مِنْهُمْ قُوَّةً

وَأَثَارُوا الْأَرْضَ وَعَمَرُوهَا أَكْثَرَ مِمَّا عَمَرُوهَا

وَجَاءتْهُمْ رُسُلُهُم بِالْبَيِّنَاتِ فَمَا كَانَ اللَّهُ لِيَظْلِمَهُمْ

وَلَكِن كَانُوا أَنفُسَهُمْ يَظْلِمُونَ

„განა არ დადიან დედამიწაზე და არ ხედავენ მათზე ადრე მყოფების უამრავ სამწუხარო დასასრულს? ისინი მათზე უფრო ძლიერნი იყვნენ. დედამიწას თხრიდნენ და აშენებდნენ იმაზე მეტს, რაც (ა)მათ ააშენეს. შუამავლებმა მათაც უამრავი ცხადი მტკიცებულება მოუტანეს. ალლაჰი მათ უსამართლოდ არ მოექცეოდა, ისინი უსამართლოდ საკუთარ თავს მოექცნენ.“ (სურა რუმი, აიათი 9)

წარსულიდან მომავლისკენ, უთვალავი ღვთიური ნიშნის, ქადაგებისა და გაფრთხილების მიუხედავად, ურწმუნოებადაჟინებული ამგვარი უგულუსყუროების შესახებ უდიდესი ღმერთი ბრძანებს:

فَبُعْدًا لِّقَوْمٍ لَّا يُؤْمِنُونَ

„...შორსამც ყოფილიყოს ურწმუნო ხალხი!“ (სურა მუმინუნი, აიათი 44)

მოკლედ, ყველა შუამავალი ღმერთის ერთადერთობის საფუძველზე კაცობრიობას გიდობას უწევდა და ყველა წმინდა პიროვნება იყო. მათი შუამავლობა ყურანითაა დამტკიცებული და თითოეული მათგანის შუამავლობის უარყოფით ადამიანი რწმენას კარგავს. მაგალითად, ერთი ადამიანი წმინდა ისას შუამავლობას თუ უარყოფს, მორწმუნე ვეღარ იქნება. ვინაიდან, ყველა შუამავალი ერთ საფუძველს ქადაგებდა და ამ მიზეზით მათ ქადაგებაში რწმენა ყოველთვის ისლამი იყო. ბოლო დროის შუამავალი ყველა შუამავლის მეთაურია. საიქიოში „ლივაულ ჰამდ“ სახელით ცნობილი დროშის ქვეშ ყველა მისი მიმდევარი შეიკრიბება. ამ დროშის ქვეშ იმ ადამიანებსაც ერგებათ ადგილი, ვინც წინანდელი შუამავლების ირწმუნა და მათ გზას მიჰყვა. ესე იგი, ისინი, ვინც შუამავლის სწამდათ მანამ, სანამ ამ შუამავლის მოტანილი რწმენა და კანონები ძალაში იყო.

وَسَلَامٌ عَلَى الْمُرْسَلِينَ

وَالْحَمْدُ لِلَّهِ رَبِّ الْعَالَمِينَ

„ყველა მოვლენილ(შუამავალ)**ს სალამი!“**

„ქება დიდება სამყაროს ღმერთს, ალლაჰს.“ (სურა საფფათი, აიათები 181-182)

V. საიქიოს რწმენა

უდიდესმა ღმერთმა ადამიანის ცხოვრების ხუთი ეტაპი განსაზღვრა. სულების სამყარო, დედის მუცელში ყოფნის ეტაპი, ამქვეყნიური ცხოვრება, საფლავის ეტაპი და საიქიო შედეგის მიხედვით, სამოთხეში ან ჯოჯოხეთში მარადიული ცხოვრება. ამათგან, ამქვეყნიური ცხოვრება ადამიანს გამოსაცდელად ებოძა და მარადიულ სამყაროში ბედნიერება ამქვეყნად ადამიანის ქმედებებსა და ქცევებზეა დამოკიდებული. ადამიანის ცხოვრების მეხუთე ეტაპს რწმენის ექვს საფუძველს შორის უკავია ადგილი. ის უზრუნველყოფს ადამიანისთვის პასუხისმგებლობის შემეცნებას იმით, ადამიანს ამცნობს, რომ მისი ქმედებებისა და ქცევებისთვის საფასური არსებობს. თავისი დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, რწმენის საფუძვლების მეხუთე საფუძველი – საიქიოს რწმენა – ყურანში ალლაჰის რწმენასთან ერთად არის მოხსენიებული.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

مَنْ آمَنَ بِاللَّهِ وَالْيَوْمِ الآخِرِ وَعَمِلَ صَالِحاً فَلَهُمْ

أَجْرُهُمْ عِندَ رَبِّهِمْ وَلاَ خَوْفٌ عَلَيْهِمْ وَلاَ هُمْ يَحْزَنُونَ

„ვინც ირწმუნა ალლაჰი, განკითხვის დღე და კეთილი საქმეები აკეთა, მათთვისაა საზღაური ღმერთისა. მათთვის შიში არ არსებობს, ისინი არ დანაღვლიანდებიან.“ (სურა ბაყარა, აიათი 62)

ძალიან საყურადღებოა აიათში ნაბრძანები:

„მათ ალლაჰის და განკითხვის დღის სწამთ...“ (სურა თევბე, აიათი 45)

საიქიო არის სიკვდილის შემდეგ დაწყებული ახალი, უსასრულო და ნამდვილი ცხოვრება. აიათში ნაბრძანებია:

وَمَا هَذِهِ الْحَيَاةُ الدُّنْيَا إِلَّا لَهْوٌ وَلَعِبٌ وَإِنَّ

الدَّارَ الْآخِرَةَ لَهِيَ الْحَيَوَانُ لَوْ كَانُوا يَعْلَمُونَ

„არა(ფერი)ა ამქვეყნიური ცხოვრება, გარდა გართობისა და თამაშისა. უეჭველად, საიქიოა ნამდვილი სიცოცხლე. (ნეტავი) **იცოდეთ...“** (სურა ანქებუთი, აიათი 64)

ვინაიდან, ვინც ეს იციან ამ წარმავალ ქვეყანაზე ერთ სუნთქვასაც კი აფასებენ და უდიდესი ღმერთისადმი ერთი წუთითაც კი არ არის უგულისყუროდ. მათი სიცოცხლე ღვთისმოსაობით და ღვთისმსახურებით აღსავსე ცხოვრებაა. დასასრულის შესახებ მუდამ შიშსა და იმედს შორის არის. მათ განკითხვის დღის განსჯის საშინელების წარმოდგენით გულები ალლაჰის შიშით ემსჭვალებათ და თვალებიდან ცრემლები მოსდით.

ერთმა ღვთისმოსავმა კაცმა ბაზარში შეიარა, რამდენიმე საჭირო ნივთი უნდა ეყიდა. საჭირო ნივთების საფასური სახლში დაიანგარიშა და ფული იმის მიხედვით წაიღო. მაგრამ ბაზარში რომ მივიდა, ის ფული საყიდლებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. ეს ღვთისმოსავი კაცი დაჯდა და დიდხანს ტიროდა.

გაოცებული გარშემომყოფები ეუბნებოდნენ, რომ საყიდლებისთვის არასაკმარისი ფული ტირილის მიზეზი არ უნდა გამხდარიყო. როგორც იქნა კაცმა სლუკუნი დაიოკა და გაოცებულ ხალხს უთხრა:

„არ ჩათვალოთ, რომ ამვეყნისთვის ვტირი! ვიფიქრე, რომ სახლში გაკეთებული ანგარიში თუკი ბაზარში არ გამომადგა, ამ ქვეყანაზე გაკეთებული ანგარიში ხვალ საიქიოში როგორ შეიძლება გამომადგეს.“

უეჭველია, რომ ამქვეყნად მონა-მსახურობისთვის დაღვრილი ცრემლები იმქვეყნად სახეს ღიმილით გაგვინათებს.

ამქვეყნიური ცხოვრების დასრულების შემდეგ დიდი ანგელოზი ისრაფილი ბუკში ჩაბერავს, მის ხმაზე ადამიანები გაცოცხლდებიან და განკითხვის ადგილას მივლენ.

იმ დღეს ადამიანების გაცოცხლება არაფრისგან სამყაროს შემქმნელი ალლაჰისთვის ძალიან იოლი საქმეა. უდიდესი ღმერთი, აიათ'ში ამ საკითხთან დაკავშირებით, ასე ბრძანებს:

„ადამიანი იტყვის: „სიკვდილის შემდეგ ნამდვილად ცოცხალი ამოვალთ (საფლავიდან)?“

وَيَقُولُ الْإِنسَانُ أَئِذَا مَا مِتُّ لَسَوْفَ أُخْرَجُ حَيًّا

أَوَلَا يَذْكُرُ الْإِنسَانُ أَنَّا خَلَقْنَاهُ مِن قَبْلُ وَلَمْ يَكُ شَيْئًا

„...და ადამიანი ამბობს: „სიკვდილის შემდეგ (განკითხვის დღეს) **მართლა ცოცხლი უნდა აღვსდგე?**

**ნუთუ არ ფიქრობს ადამიანი, რომ ჩვენ ის უწინ არაფ-
რისგან გავაჩინეთ.“** (სურა მერიემი, აიათები 66-67)

أَيَحْسَبُ الْإِنسَانُ أَلَّن نَّجْمَعَ عِظَامَهُ

بَلَى قَادِرِينَ عَلَى أَن نُّسَوِّيَ بَنَانَهُ

**„ნუთუ ადამიანს ჰგონია, რომ მის ძვლებს ერთად
ვერ შევკრებთ? დიახ, ჩვენ შემძლენი ვართ, მისი თითის
წვერები(სიცკი) უპირველესი ფორმით აღვადგინოთ!“**
(სურა ყიამე, აიათები 3-4)

أَوَلَمْ يَرَ الْإِنسَانُ أَنَّا خَلَقْنَاهُ مِن نُّطْفَةٍ فَإِذَا هُوَ خَصِيمٌ مُّبِينٌ

وَضَرَبَ لَنَا مَثَلًا وَنَسِيَ خَلْقَهُ قَالَ مَنْ يُحْيِي الْعِظَامَ وَهِيَ رَمِيمٌ

قُلْ يُحْيِيهَا الَّذِي أَنشَأَهَا أَوَّلَ مَرَّةٍ وَهُوَ بِكُلِّ خَلْقٍ عَلِيمٌ

الَّذِي جَعَلَ لَكُم مِّنَ الشَّجَرِ الْأَخْضَرِ نَارًا فَإِذَا أَنتُم مِّنْهُ تُوقِدُونَ

أَوَلَيْسَ الَّذِي خَلَقَ السَّمَاوَاتِ وَالْأَرْضَ بِقَادِرٍ

عَلَى أَنْ يَخْلُقَ مِثْلَهُم بَلَى وَهُوَ الْخَلَّاقُ الْعَلِيمُ

إِنَّمَا أَمْرُهُ إِذَا أَرَادَ شَيْئًا أَنْ يَقُولَ لَهُ كُنْ فَيَكُونُ

فَسُبْحَانَ الَّذِي بِيَدِهِ مَلَكُوتُ كُلِّ شَيْءٍ وَإِلَيْهِ تُرْجَعُونَ

„განა ადამიანი ვერ ხედავს, რომ ჩვენ ის ერთი

სპერმისგან შევქმენით. და ის აშკარა მტრად ქცეულა! თავისი გაჩენა დავიწყებია, ჩვენს წინაშე მაგალითის მოტანას ცდილობს და ამბობს: „ამ დამპალ ძვლებს ვინ გააცოცხლებს?“

უთხარი: მათ გააცოცხლებს ის, ვინც პირველად გააჩინა. რადგან მან, ყველაფრის გაჩენა ძალიან კარგად იცის. იგი, რომელმაც მწვანე ხიდან თქვენთვის ცეცხლი გამოიყვანა და თქვენ ცეცხლს მისგან ანთებთ. განა, ცისა და დედამიწის გამჩენი მათი მსგავსის გაჩენის შემძლე არ არის? დიახ, იგი ყოვლისგამჩენი და ყოვლისმცოდნეა.

როცა რაიმეს (გაჩენას) ისურვებს, მისი ბრძანებაა „იქმენ!“ და ისიც მყისვე „იქმნება.“ დიდება, ყველაფრის მფლობელ(უზენაეს ალლაჰ)ს. თქვენც მას დაუბრუნდებით.“ (სურა იასინი, აიათები 77-83)

يُخْرِجُ الْحَيَّ مِنَ الْمَيِّتِ وَيُخْرِجُ الْمَيِّتَ مِنَ

الْحَيِّ وَيُحْيِي الْأَرْضَ بَعْدَ مَوْتِهَا وَكَذَلِكَ تُخْرَجُونَ

„ის მკვდარს – ცოცხლად, ცოცხალს კი მკვდრად აქცევს; დედამიწას სიკვდილის შემდეგ ის აცოცხლებს. აი, თქვენც (საფლავებიდან) ასე გამოხვალთ.“ (სურა რუმი, აიათი 19)

قُل كُونُواْ حِجَارَةً أَوْ حَدِيدًا

أَوْ خَلْقًا مِّمَّا يَكْبُرُ فِي صُدُورِكُمْ فَسَيَقُولُونَ مَن

يُعِيدُنَا قُلِ الَّذِي فَطَرَكُمْ أَوَّلَ مَرَّةٍ فَسَيُنْغِضُونَ

إِلَيْكَ رُؤُوسَهُمْ وَيَقُولُونَ مَتَى هُوَ قُلْ عَسَى أَن يَكُونَ قَرِيبًا

„უთხარი: (ალლაჰს თქვენ ხელახლა გაცოცხლებას ვერ გაუძნელებთ თუგინდ) **ქვად, რკინად ან ნებისმიერ სხვა ქმნილებად იქცეთ, რომლის გაჩენაც თქვენს გულში შეუძლებლად ჩანს. გეტყვიან: „ჩვენ ხელახლა** (ცხოვრებაში) **ვინ დაგვაბრუნებს?“ უპასუხე: „თქვენი პირველად შემქმნელი!“ ამაზედ ისინი თავს გააქნევენ და იტყვიან: „რა დროს იქნება ეს?“ უთხარი: „შესაძლებელია, ახლო მომავალში** (იყოს)**!“** (სურა ისრა, აიათები 50-51)

يَا أَيُّهَا النَّاسُ إِن كُنتُمْ فِي رَيْبٍ مِّنَ الْبَعْثِ فَإِنَّا

خَلَقْنَاكُم مِّن تُرَابٍ ثُمَّ مِن نُّطْفَةٍ ثُمَّ مِنْ عَلَقَةٍ ثُمَّ

مِن مُّضْغَةٍ مُّخَلَّقَةٍ وَغَيْرِ مُخَلَّقَةٍ لِّنُبَيِّنَ لَكُمْ وَنُقِرُّ

فِي الْأَرْحَامِ مَا نَشَاءُ إِلَى أَجَلٍ مُّسَمًّى ثُمَّ

نُخْرِجُكُمْ طِفْلًا ثُمَّ لِتَبْلُغُوا أَشُدَّكُمْ وَمِنكُم مَّن

يُتَوَفَّى وَمِنكُم مَّن يُرَدُّ إِلَى أَرْذَلِ الْعُمُرِ لِكَيْلَا يَعْلَمَ

مِن بَعْدِ عِلْمٍ شَيْئًا وَتَرَى الْأَرْضَ هَامِدَةً فَإِذَا أَنزَلْنَا

عَلَيْهَا الْمَاءَ اهْتَزَّتْ وَرَبَتْ وَأَنبَتَتْ مِن كُلِّ زَوْجٍ بَهِيجٍ

„ო, ადამიანებო! თუკი ხელახლა გაცოცხლების გეეჭვებათ. იცოდეთ, რომ ჯერ – მიწის, შემდეგ – სპერმის, შემდეგ – შედედებული სიხლის (კვერცხუჯრედის) **და შემდეგ უფორმო,** (მაგრამ) **სიცოცხლისუნარიანი ხორცის ნაჭრისგან გაგაჩინეთ, რათა** (ჩვენი სასწაულები) **ცხადად გაგიმარტოთ. და ვისაც ვინებებთ,** (მას) **განსაზღვრულ დრომდე საშვილოსნოში ვალოდინებთ; შემდეგ თქვენ ბავშვად გარეთ გამოგიყვანთ, რათა შემდეგ ზრდასრულ ასაკს მიაღწიოთ. თქვენ შორის ზოგი გარდაიცვლება, ზოგიც მოხუცებულობის ასაკს მიაღწევს, ისე რომ თავისი ცოდნისგან აღარაფერი ეცოდინება. დაინახავ, რომ დედამიწა გამხმარია, მაგრამ ჩვენ წვიმას გარდმოვავლენთ** (ის) **შეინძრევა, აბობოქრდება და ყველა ჯიშის ლამაზი მცენარე** (წყვილ-წყვილად) **ამოხეთქავს** (მისგან)**.“** (სურა ჰაჯჯი, აიათი 5)

მაცხოვრებელი, მომკვლელი და გამცოცხლებელი უდიდესი ღმერთის გაცხადებული ეს აიათი აჩვენებს, რომ გაცოცხლება აუცილებლად განხორციელდება. ამ მდგომარეობაში გავითვალისწინოთ შემდეგი ჰადისი:

„როგორც იცხოვრებთ – ისე მოკვდებით; როგორც მოკვდებით – ისე გაცოცხლდებით!“

უდიდესი ღმერთი ბრძანებს:

فَمَن يَعْمَلْ مِثْقَالَ ذَرَّةٍ خَيْرًا يَرَهُ

وَمَن يَعْمَلْ مِثْقَالَ ذَرَّةٍ شَرًّا يَرَهُ

„ვინც ერთი მისხალი სიკეთე ჰქმნა – მას იხილავს.

და ვინც ერთი მისხალი ბოროტება ჰქმნა – მას იხილავს.“ (სურა ზილზალი, აიათები 7-8)

يَوْمَ لَا يَنفَعُ مَالٌ وَلَا بَنُونَ

إِلَّا مَنْ أَتَى اللَّهَ بِقَلْبٍ سَلِيمٍ

„იმ დღეს სიმდიდრე და შვილები (ვერაფერ) **სარგებელს ვერ მოიტანს** (ვერავისთვის)**, გარდა იმათი, ვინც ალლაჰის წინაშე სუფთა გულით წარსდგებიან!“** (სურა შუარა, აიათები 88-89)

მოკლედ, საიქიო ბოროტებისთვისაც და კეთილებისთვისაც მარადიული სამყაროა. ვინაიდან, კეთილები ჯილდოს მოიპოვებენ, ბოროტები კი სასჯელს დაიმსახურებენ. ამ წარმავალი სამყაროს პირობებშიც კი კეთილებისთვის თავშესაფარებელი ადგილი და ბოროტებისთვის ციხეები რომ არ ყოფილიყო, ცხოვრება გაუსაძლისი იქნებოდა? საიქიოს არსებობის რწმენა ამ საოცრებიდან გამომდინარეც შესაძლებელია.

ადამიანი იმ კოღოზეც კი ბრაზდება, სხეულზე რომ კბენს და მას სჯის, ხოლო მისთვის შეთავაზებული ერთი ფინჯანი ყავა ორმოც წელიწადს ახსოვს. აქედან გამომდინარე, ფიქრი იმაზე, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე ჩადენილი დადებითი და უარყოფითი ქმედებები ალლაჰის საფეხურებზე უპასუხოდ დარჩება, დიდი უგულისყურობის მეტი არაფერია. ვინაიდან, ამქვეყნად მჩაგვრელის უსამართლობა, დაჩაგრულის წყევლა, ურწმუნოს ურწმუნოება, მორწმუნის რწმენა არსებობს. მათთვის ჯილდო და სასჯელი რომ არ არსებობდეს,

ღვთიური პროგრამა, რომლის მიხედვითაც ყველაფერი არსებული ადამიანის განკარგულებაშია, უაზრო იქნებოდა, ადამიანის შექმნაც უმნიშვნელო აღმოჩნდებოდა და ეს უდიდესი ალლაჰის სამართლიანობის თვისების საწინააღმდეგო იქნებოდა. ალლაჰი როგორც ყველა ნაკლოვანებისგან თავისუფალია, ამისგანაც ისევე თავისუფალია. უდიდესი ღმერთი ბრძანებს:

أَيَحْسَبُ الْإِنسَانُ أَن يُتْرَكَ سُدًى

„ნუთუ ადამიანს გონია, რომ ის მარტოდ, თავისთვის იქნა დატოვებული?“ (სურა ყიამე, აიათი 36)

أَفَحَسِبْتُمْ أَنَّمَا خَلَقْنَاكُمْ عَبَثًا وَأَنَّكُمْ إِلَيْنَا لَا تُرْجَعُونَ

„ნუთუ გგონიათ, ისე უბრალოდ გართობის და თამაშისთვის გაგაჩინეთ და ნუთუ არ გონიათ ჩვენთან დაბრუნდებით?“ (სურა მუმინუნი, აიათი 115)

وَمَا خَلَقْنَا السَّمَاوَاتِ وَالْأَرْضَ وَمَا بَيْنَهُمَا لَاعِبِينَ

„ჩვენ ცა, მიწა და ორივეს შორის არსებულნი სათამაშოდ არ შეგვიქმნია.“ (სურა დუჰანი, აიათი 38)

وَقَالَ الَّذِينَ كَفَرُوا لَا تَأْتِينَا السَّاعَةُ وَقُلْ بَلَى

وَرَبِّي لَتَأْتِيَنَّكُمْ عَالِمِ الْغَيْبِ لَا يَعْزُبُ عَنْهُ مِثْقَالُ

ذَرَّةٍ فِي السَّمَاوَاتِ وَلَا فِي الْأَرْضِ وَلَا أَصْغَرُ مِن

ذَلِكَ وَلَا أَكْبَرُ إِلَّا فِي كِتَابٍ مُّبِينٍ

„ურწმუნოებმა თქვეს: განკითხვა ჩვენთან არ მოვა. უთხარი: არა! უხილავის მცოდნე ჩემს ღმერთს ვფიცავ, იგი უსათუოდ მოვა თქვენთან. ცასა და მიწაზე მისხალისოდენა რამეც კი მისგან დაფარული არ დარჩება. არაა არც ამაზე პატარა და არც დიდი რომ არ იყოს (მოცემული) **ცხად წიგნში.“** (სურა სებე, აიათი 3)

اللَّهُ لا إِلَـهَ إِلاَّ هُوَ لَيَجْمَعَنَّكُمْ إِلَى يَوْمِ الْقِيَامَةِ لاَ رَيْبَ

فِيهِ وَمَنْ أَصْدَقُ مِنَ اللَّهِ حَدِيثًا

„ალლაჰი! მის გარდა ღვთაება არ არსებობს! (იგი) **უსათუოდ შეგკრებთ განკითვის დღეს. ამაში ეჭვი არ არსებობს. და ვინ არის სიტყვაში ალლაჰზე უფრო მართალი?!“** (სურა ნისა, აიათი 87)

يَا أَيُّهَا الَّذِينَ آمَنُواْ آمِنُواْ بِاللَّهِ وَرَسُولِهِ

وَالْكِتَابِ الَّذِي نَزَّلَ عَلَى رَسُولِهِ وَالْكِتَابِ الَّذِيَ

أَنزَلَ مِن قَبْلُ وَمَن يَكْفُرْ بِاللَّهِ وَمَلاَئِكَتِهِ وَكُتُبِهِ

وَرُسُلِهِ وَالْيَوْمِ الآخِرِ فَقَدْ ضَلَّ ضَلاَلاً بَعِيدًا

„მორწმუნენო! ირწმუნეთ ალლაჰის და მისი შუამავლის, და წიგნის, რომელიც გარდმოუვლინა თავის შუამავალს და წიგნის, რომელიც უფრო ადრე გარდმოავლინა. ვინც უარყოფს – ალლაჰს, ანგელოზებს,

წიგნებს, შუამავლებს და განკითხვის დღეს – უეჭველად, ის სრულ გზააბნეულობაშია.“ (სურა ნისა, აიათი 136)

يَسْأَلُ أَيَّانَ يَوْمُ الْقِيَامَةِ فَإِذَا بَرِقَ الْبَصَرُ وَخَسَفَ الْقَمَرُ

وَجُمِعَ الشَّمْسُ وَالْقَمَرُ يَقُولُ الْإِنسَانُ يَوْمَئِذٍ أَيْنَ الْمَفَرُّ

كَلَّا لَا وَزَرَ إِلَى رَبِّكَ يَوْمَئِذٍ الْمُسْتَقَرُّ

يُنَبَّأُ الْإِنسَانُ يَوْمَئِذٍ بِمَا قَدَّمَ وَأَخَّرَ

„(ადამიანი) **იკითხავს: „განკითხვის დღე როდის არის?“ ოდეს: მზერა დაიხშობა, მთვარე დაბნელდება, მზე და მთვარე შეერთდება... აი, იმ დღეს, ადამიანი იკითხავს: „გასაქცევი ადგილი სად არის?“ არა, იმ დღეს გასაქცევი არ არის. არა, არც თავშესაფარი არ არის. იმ დღეს, გადაწყვეტილი, ყველას მისაღწევი ადგილი ღმერთის წინაშეა. იმ დღეს ადამიანს ემცნობა ყველაფრის შესახებ, რაც წინ ელოდება და რაც უკან ჩამოიტოვა.“** (სურა ყიამე, აიათები 6-13)

არც აიათებსა და არც ჰადისებში განკითხვის დღის ზუსტი დრო არ არის მოცემული. მათში მხოლოდ პატარა და დიდი მინიშნებებია ჩამოთვლილი. მათი მოკლედ ჩამოთვლა შემდეგნაირად შეიძლება:

ა. პატარა მინიშნებები:

1. ცოდნა გადაგვარდება, მის სანაცვლოდ უმეცრება გაიზრდება. ამ დროს ღვინის დალევა და მრუშობა

ჩვეულებრივ საქმედ იქცევა;

2. ძალიან უბრალოდ და ტყუილუბრალოდ ადამიანის მოკვლა;

3. სამართალი და ცოდნა გადავარდება, ჰარამს და ჰალალს ყურადღება არ მიექცევა;

4. იმატებს დედ-მამისადმი დაუმორჩილებლობა, ქალებისადმი მორჩილება გაიზრდება;

5. ზომა-წონაში ტყუილი გავრცელდება, ყველა ამ ეშმაკობების მომჩივანი იქნება.;

6. ადამიანებისადმი პატივისცემა და გულისხმიერება უკიდურესად შემცირდება და რჩევებს ყურს აღარ დაუგდებენ;

7. ქალაქებში გადასახლება გაიზრდება, მაღალსართულიანი სახლები აშენდება. ბოროტი და უცოდინარი ადამიანები ავტორიტეტით ისარგებლებენ, სიტყვა და კანონი მათგან იქნება;

8. აზარტული თამაშები, მკითხაობა და სათამაშო ინსტრუმენტები ძალიან გაიზრდება და გასავალი ექნება, შესამჩნევი აღარ იქნება დრო როგორ გადის;

9. მფლანგველობა გაიზრდება, ამქვეყნიურ ქონებას და სარგებელს საიქიო ბედნიერებას ამჯობინებენ.

ბ. დიდი ნიშნები:

1. ორმოცდღიანი ნისლი ჩამოწვება;

2. დეჯჯალი გამოვა;

3. გამოვა ცხოველი, სახელად „დაბბეთულ არზი“;

4. მზე დასავლეთიდან ამოვა;

5. ამქვეყნად „ეჯუჯ-მეჯუჯი“ გავრცელდება;

6. დედამიწაზე წმინდა ისა ჩამოვა;

7. ჰიჯაზიდან ძლიერი ცეცხლი გამოვა;

8. აღმოსავლეთი, დასავლეთი და არაბეთის ნახევარკუნძული ჩაიძირება.

❁

ქვეყნიერების აღსასრული ისრაფილის მიერ ბუკში ჩაბერვით დადგება, მკვდრეთით აღდგომა კი ბუკში მეორე ჩაბერვით განხორციელდება. აიათში ნაბრძანებია:

وَنُفِخَ فِي الصُّورِ فَصَعِقَ مَن فِي السَّمَاوَاتِ وَمَن فِي الْأَرْضِ
إِلَّا مَن شَاءَ اللَّهُ ثُمَّ نُفِخَ فِيهِ أُخْرَى فَإِذَا هُم قِيَامٌ يَنظُرُونَ

„და როცა (პირველად) **ბუკში ჩავბერავთ, მათ გარდა, ვინც ალლაჰმა ინება, ცასა და დედამიწაზე არსებული – მაშინვე ყველა მოკვდება. შემდეგ მასში მეორედ ჩავბერავთ, საფლავიდან მაშინვე ფეხზე წამოდგებიან და დაიწყებენ ცქერას...“** (სურა ზუმერი, აიათი 68)

ამ საყოველთაო ცნობებთან ერთად, ბუკში ჩაბერვასთან დაკავშირებით, ერთი კლასიფიკაცია კიდევ არ-

სებობს, ამის მიხედვით ბუკში სამჯერ ჩაბერავენ:

1. **ნეფჰათულ ფეზა:** მთელი ქვეყანა გაიყინება და გაშეშდება.

2. **ნეფჰათუს საიყა:** ყველაფერი განადგურდება; ამგვარად, არაფერი ამოზნექილი არ დარჩება, დედამიწა გასწორდება და დიდებული ალლაჰის გარდა, ყველაფერი განადგურდება.

3. **ნეფჰათუ ყიამი რაბბილ ალემინ:** უზენაესი ალლაჰი მის გაჩენილებს დაუძახებს „ადექით!“ და ყველა ფეხზე წამოდგება. (თეფჰიმი, IV, 591)

უდიდესი ალლაჰი ბრძანებს:

وَنُفِخَ فِي الصُّورِ فَإِذَا هُم مِّنَ الْأَجْدَاثِ إِلَى رَبِّهِمْ يَنسِلُونَ

قَالُوا يَا وَيْلَنَا مَن بَعَثَنَا مِن مَّرْقَدِنَا هَذَا مَا وَعَدَ

الرَّحْمَنُ وَصَدَقَ الْمُرْسَلُونَ

„...და ბუკში ჩაბერვისთანავე ისინი თავიანთ ღმერთისკენ გაიქცევიან. იტყვიან: „ვაი, ჩვენ! საფლავიდან ვინ აღგვადგინა? აი, მოწყალე ალლაჰის შეპირებული ეს არის, შუამავლები მართალი ყოფილან.“ (სურა იასინი, აიათები 51-52)

ზოგი ადამიანის განცხადებით, ურწმუნოები და ამბოხებულები საფლავში როგორც არ უნდა იტანჯებოდნენ ეს სატანჯველი ჯოჯოხეთის წამებასთან შედარებით ძალიან მსუბუქი გამოჩნდება და საფლავის მდგომარეობა ძილის მდგომარეობად ჩაითვლება, მის-

გან განშორებულები ისეთ სატანჯველს მიიღებენ, რომ ყვირილს მორთავენ:

„ვაი, ჩვენს მდგომარეობას!“ (ბილმენი, თეფსირი, VI, 2943)

„ვაი, ჩვენს თავს!“ – იტყვიან ისინი, ვისაც სატანჯველი ელოდებათ. გადმოცემის მიხედვით, პირველ და მეორე ჩაბერვას შორის ორმოცი წლის განმავლობაში საფლავის წამება აღარ იქნება, მკვდრები როგორც მძინარენი ისე იქნებიან. ამ მიზეზით განკითხვის დილას როგორც კი მიხვდებიან, რომ გაცოცხლდნენ და ჯოჯოხეთის სატანჯველი ელოდებათ, ყვირილს მორთავენ და იტყვიან:

„ჩვენ ვინ გამოგვაღვიძა?“

აქედან გამომდინარე, საკითხი, რომელიც არ უნდა დავივიწყოთ, ის კი არ არის განკითხვის დღე როდის მოვა, არამედ ის, მზად ვართ თუ არა სიკვდილისა და იმქვეყნიური ცხოვრებისთვის, რომელიც თითოეული ადამიანისთვის ქვეყნიერების აღსასრულით მოვა.

ქვეყანა მატყუარაა, საიქიო კი – უკვდავი ცხოვრება. ჩვენ ქვეყნიერების აღსასრულის, სიკვდილის მოსვლამდე უნდა გამოვფხიზლდეთ, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილ მომნანიებელთაგანი არ უნდა ვიყოთ. ვინაიდან, ყველა წარმავალს მისთვის მოულოდნელ დროსა და ადგილზე აზრაილი აუცილებლად შეხვდება. არ არსებობს ადგილი, სადაც სიკვდილს გავექცევით. ასე რომ ადამიანმა უნდა გაითვალისწინოს აიათში ნაბრძანები:

„იჩქარეთ ალლაჰისკენ...“ (სურა ზარიათი, აიათი 50)

და ის უნდა შეეფაროს ღვთიურ წყალობას, რომელიც ერთადერთი თავშესაფარია.

ხალასი მონა-მსახურები საკუთარი ქვეყნიერების აღსასრულამდე საიქიო თადარიგს დაიჭერენ. იმ საშინელ, განკითხვის დღეს ასეთებისთვის არც ნაღველი არსებობს და არც შიში.

VI. ბედისწერის რწმენა. რწმენა იმისა, რომ კარგიც და ცუდიც ალლაჰისგან არის

ალლაჰის ნება-სურვილი ყველა წარმონაქმნში არსებობს. მისი სურვილის და ძალის გარეშე არაფერი ხორციელდება. ერთი მტვერიც კი არ ადგება მიწიდან და სულ პატარა კოდოს ფრთაც არ შეირხევა. აქედან გამომდინარე, უდიდესი ალლაჰი ყველაფრის მცოდნეა, ამიტომაც მან წარსულში მომხდარი და მომავალში მოსახდენი ყველაფერი იცის. მოსახდენის მარადისობაში წინასწარ განსაზღვრას და შემდეგში მის აღსრულებას ბედისწერა ეწოდება.

ბედისწერის ადამიანური კრიტერიუმების შესაბამისად გაგება შესაძლებელი არ არის. ამ მიზეზით ძალიან ბევრჯერ ბოროტად გამოიყენეს. ამის გამო ამ საკითხში ჩაღრმავებას ვერავინ შეძლებს. ვინაიდან, აიათში ნაბრძანებია:

وَعِندَهُ مَفَاتِحُ الْغَيْبِ لاَ يَعْلَمُهَا إِلاَّ هُوَ

„და მასთანაა საიდუმლოს გასაღები. არავინ იცის იგი მის გარდა...“ (სურა ენამი, აიათი 59)

ისე როგორც ადამიანის აღნაგობას მისი ნახვის გარეშე ვერ აღწერ, ასევე ადამიანური შემეცნების ამგვარი თვისებებითაც საიდუმლოს ვერ ჩასწვდები. მხოლოდ უდიდესი ღმერთის ცოდნისგან მცირედის მიღებაა შესაძლებელი. ყურანში გაცხადებული ამბავი და ქვემოთ მოცემული ამის თვალსაჩინო მაგალითია:

უდიდესმა ღმერთმა მუსა შუამავალი ცოდნის მისაღებად ხიზირთან გაგზავნა. ის ღვთიურ ცოდნას ფლობდა. ეს ის ცოდნაა, რომელიც მიზეზების იქით, ბედისწერის საიდუმლოს სწვდება. წმინდა მუსა და ხიზირი სამოგზავროდ წავიდნენ. მათ მოგზავრობაში ღვთიური გამოვლინებები შეემთხვათ. ხიზირის თავგადასავლებს გონებით თუ გავაანალიზებთ, გარეგნულად, გემის გახვრეტა მფლობელების წინაშე უსამართლობა იყო, სინამდვილეში კი გემის, რომელიც ღარიბისთვის შემოსავლის წყარო იყო, ყაჩაღების მიტაცებისგან დაცვა იყო.

ასევე გარეგნულად, ბავშვის მოკვლა გულქვაობაა, სინამდვილეში კი ის – ღვთისმოსავი მშობლების საიქიო ცხოვრების დაცვა იყო.

ასევე, გარეგნულად, მათი განმდევნელი სოფლელების კედლის აშენება ლოგიკას არ ექვემდებარება, სინამდვილეში კი ის – ორი საცოდავი ობლის ანაბრის დაცვა იყო.

ამ მდგომარეობების საიდუმლოებები მხოლოდ ღვთიური ცოდნით გამომჟღავნდება. ამ მიზეზით ბედისწერის საიდუმლოს ჭკუით შემეცნება შესაძლებელი არ არის. რადგან ბედისწერაში ჩაწვდომა ადამიანის

შემეცნების მიღმა თავისებურებაა. ამის გამოა, რომ ალლაჰის შუამავალი ბედისწერის რწმენას, მისით კმაყოფილებას ბრძანებს და ამ საკითხში უადგილო კამათს გვიკრძალავს. ერთხელ ის შეხვდა ჯგუფს, რომელიც ბედისწერაზე კამათობდა და ბრძანა:

„თქვენ ამით ხართ დაკავებული? თუ თქვენ მე ამისთვის გამოგაგზავნეთ? თქვენზე წინანდელები ამ ამბავზე დისკუსიის გამო განადგურდნენ. ფრთხილად, ამ ამბავზე არასდროს იკამათოთ!“

აქედან გამომდინარე, ჩაღრმავებაზე მეტად ბრძნული სიტყვაში სწორად ჩაწვდომაა მნიშვნელოვანი. ამ საკითხში ყველაზე მნიშვნელოვანი და საკმარისი ქმედებაა. მისი არსი ეს არის:

უდიდესი ალლაჰი ადამიანისთვის წინასწარ განსაზღვრულ ქმედებებს ორ ნაწილად გამოავლენს:

1. აუცილებელი ქმედებები;
2. არჩევანთან დაკავშირებული ქმედებები.

აუცილებელი ქმედებები

ადამიანის სურვილის მიუხედავად ხორციელდება და მთლიანად ბედისწერის გამოვლინებაა. ამის წინააღმდეგ მოქმედება შეუძლებელია. დაბადება, სიკვდილი, გაცოცხლება, ძილი, შიმშილი, სხეულის აგებულება, სიცოცხლის ხანგრძლივობა და სხვა მსგავსი მდგომარეობები ბედისწერის ამ ნაწილს განეკუთვნება. ამას აუცილებელი ბედისწერა ეწოდება. ადამიანი ამ აუცილებელ ბედისწერაზე პასუხისმგებელი არ არის.

ბედისწერის ამ ნაწილის აღსრულების დრო რომ მოვა, ადამიანის თვალები ვერ ხედავს, ყურებს არ ესმის. წმინდა მევლანა ბრძანებს:

„როგორც კი ბედისწერის აღსრულების დრო მოვა, თევზები ზღვიდან გარეთ გამოვლენ. ჰაერში მფრინავი ჩიტები მიწაზე თავიანთთვის მომზადებულ მახეებისკენ დაეშვებიან.“

„ამგვარად, წინასწარ განსაზღვრული ბედისწერისა და მისი აღსრულებისგან თავის ხსნა მხოლოდ მისკენ (ბედისწერისკენ) წასულებს შეუძლიათ.“

უდიდესი ღმერთი ბრძანებს:

وَكَانَ أَمْرُ اللَّهِ قَدَرًا مَّقْدُورًا

„ალლაჰის ბრძანება აუცილებლად აღსრულდება, დაწერილი ბედისწერაა.“ (სურა აჰზაბი, აიათი 38)

ბედისწერა არ უნდა გავიგოთ როგორც მხოლოდ უბედურება და მსგავსი გამოვლინებები. ბედისწერა სამყაროში არსებულ წონასწორობას და მის ღვთიურ კრიტერიუმებს გამოხატავს. უდიდესი ალლაჰი ბრძანებს:

إِنَّا كُلَّ شَيْءٍ خَلَقْنَاهُ بِقَدَرٍ

„უეჭველად, ჩვენ ყველაფერი ზომა-წონის მიხედვით გავაჩინეთ.“ (სურა ყამერი, აიათი 49)

ამის გამო, ბედისწერის კრიტიკა ნებადართულიც რომ იყოს, უმეცრება და უგნურებაა. ვინაიდან, მისი

კანონი მუდამ საჭიროებისამებრ არის. მაგალითად, სამყაროში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, სამყაროს გამნათებელი მზე ისეთი წონასწორობით ბრუნავს, რომ ერთ წამს და ერთ მილიმეტრ ცდომილებასაც არ იწვევს. მის თვისებებში არ არსებობს იმის საფრთხე, რომ დედამიწას მისი სურვილისდა მიხედვით მოუახლოვდეს ან დაშორდეს. ყველამ იცის, რომ მზე ყოველდღე შეუცდომლად ამოდის და ჩადის. ამის მსგავსად, ყველაზე სწორია ყველა დადებითი თუ უარყოფითი შემთხვევის შესახებ ვთქვათ, „ეს ყველაზე სწორია!“ ესე იგი, ღვთიური პროგრამა დავადასტუროთ. ყველაზე ურწმუნოებიც კი გაოცებული არიან თავიანთ აღნაგობაში არსებული ღვთიური პროპორციულობით. ღვთიური ბედისწერით განსაზღვრული ყველა პროგრამის საიდუმლოს ამოხსნა ბედისწერის კრიტიკოსებს მუდამ გაოცებულს სტოვებს. ვინც ამ საკითხზე გაუთავებლად საუბრობენ მათ ბედისწერაზე წარმოდგენა არა აქვთ და არც გონება და შემეცნება ჰყოფნით. ისინი არიან ადამიანები, ვინც სიკეთე-ბოროტება, სწორი-მცდარი, ჭეშმარიტი-უსარგებლო არ იციან.

მეორე მხრივ, ცნობილია, რომ ბედისწერა უცნობია. ეს სინამდვილეში წარმავალი არსების ადამიანისთვის, წყალობაა. ვინაიდან, ადამიანმა რომ იცოდეს, მომავალში, მოსალოდნელი, დადებითიან უარყოფითი ცხოვრებას ვეღარ შეძლებს, ჭამა-სმაზე, მუშაობაზე – ყველაფერზე ხელს აიღებს. ბედისწერა მხოლოდ უდიდეს ღმერთს აქვს დაფარული, ამიტომაც, ადამიანი სიკვდილის ბურუსშიც რომ იყოს გახვეული, სიცოცხ-

ლის იმედს ატარებს და ცხოვრებას არ მოსწყდება. ესეც ამქვეყნიური ცხოვრების შესაძლებლობის მომცემი დიდებული ღვთიური წყობილებაა.

„ბოროტებაც ალლაჰისგან მოდისო“ – ამბავზე რომ მიდგება საქმე, არც ერთი მათგანი მისი სურვილით არ ხდება. მხოლოდ, გამოცდის აუცილებლობიდან გამომდინარე, ამ ბოროტების ნებართვა აქვს მიცემული. ბოროტების გამოვლინებისას უდიდესი ღმერთის ნებართვა მისი უსაზღვრო მოწყალების გამოვლინებაა. რადგან ამ ნებართვით ყველა ბოროტებაზე კი არ არის ნება დართული ან ჩვენ შევამჩნევთ თუ არა, ბევრ სულიერ და მატერიალურ უბედურებებისგან გვიცავს. თორემ ადამიანის მიერ ვნებისა და ეშმაკის წაქეზებით ჩადენილი დანაშაული და უგულისყურობა ვინ იცის სადამდე მიაღწევდა, რადგან შეგნებულად თუ შეუგნებლად, სიკეთის მსგავსად, ბოროტებაც წინასწარგანზრახვით ან შეუგნებლად ხდება. ამ ჭეშმარიტებაზე უდიდესი ღმერთი ყურანში აცხადებს:

وَيَدْعُ الإِنسَانُ بِالشَّرِّ دُعَاءهُ بِالْخَيْرِ

„ადამიანს ბოროტებაც იმდენად სურს, რამდენადაც სიკეთე!“ (სურა ისრა, აიათი 11)

وَلَوْ يُعَجِّلُ اللّهُ لِلنَّاسِ الشَّرَّ لَقُضِيَ إِلَيْهِمْ أَجَلُهُمْ اسْتِعْجَالَهُم بِالْخَيْرِ

„ალლაჰს ადამიანებისთვის ბოროტება ისე რომ დაეჩქარებინა, როგორც ისინი სიკეთეს ითხოვენ, უთუოდ მათი აღსასრულიც დადგებოდა..“ (სურა იუნუსი, აიათი 11)

ადამიანი საკუთარ თავს რამდენადაც გააკონ-ტროლებს, ამ აიათის შინაარსს იმდენად შეიმეცნებს. მაგალითად, მატყუარა მოსაუბრის დასარწმუნებლად იფიცებს: „ორივე თვალი დამიბრმავდეს, მართალს თუ არ ვამბობდე.“ მას თვალები არ უბრმავდება და მისთვის ბოძებულ გამოცდას კვლავ ნორმალურ პი-რობებში აგრძელებს. ამის მსგავსადვე: „თუ ასე გა-ვაკეთებ – ხელები დამატყდეს“; „ამას თუ ჩავიდენ – მე მოვკვდე“; „ამის გაკეთების შემთხვევაში – ჩემი სიკვდილი გენახოს!“ დრო მოვა, ამ ნათქვამების საწი-ნააღმდეგოდ იქცევიან. მიუხედავად ამისა, არც ხელები ატყდებათ, არც კვდებიან. ადამიანების ცხოვრებაში ამის მსგავსი უამრავი მაგალითია. ისინი უზენაესი ღმერთის უდიდესი მოწყალების გამოვლინებებია, რომ ასეთ მდგომარეობებში ეს ყველაფერი არ ხორციელდ-ება. ზემოთ მოცემულ აიათში სწორედ ეს ყველაფერია გათვალისწინებული.

აქედან გამომდინარე, ბრძენი გულები უდიდესი ღმერთის ამ უდიდეს მოწყალებას შეიმეცნებენ და ბედისწერის დადებით თუ უარყოფით გამოვლინებებს – ორივეს მორჩილად ხვდებიან.

უდიდესი ღმერთი აიათში ბრძანებს:

قُل لَّن يُصِيبَنَا إِلاَّ مَا كَتَبَ اللّهُ لَنَا هُوَ مَوْلاَنَا

وَعَلَى اللّهِ فَلْيَتَوَكَّلِ الْمُؤْمِنُونَ

„უთხარი: ალლაჰის მიერ ჩვენთვის დაწერილის გარდა, ჩვენთან სხვა არ მოაღწევს. ის ჩვენი ღმერთია.

თუ ასეა მორწმუნეებმა მხოლოდ ალლაჰს მიენდონ.“
(სურა თევბე, აიათი 51)

وَإِن يَمْسَسْكَ اللَّهُ بِضُرٍّ فَلاَ كَاشِفَ لَهُ إِلاَّ هُوَ

يُرِدْكَ بِخَيْرٍ فَلاَ رَآدَّ لِفَضْلِهِ يُصَيبُ بِهِ مَن وَإِن

وَهُوَ الْغَفُورُ الرَّحِيمُ يَشَاء مِنْ عِبَادِهِ

„თუკი ალლაჰი შენ რაიმე ზიანს შეგახებს, ვერავინაა მისი (ზიანის) **ამცილებელი მის** (ალლაჰის) **გარდა. და თუკი შენ სიკეთეს გისურვებს, არავინაა მისი დიდსულოვნების უკუმქცეველი. იგი** (ალლაჰი) **მას** (სიკეთეს) **თავის მსახურთაგან უწყალობებს იმას, ვისთვისაც სურს. ის მიმტევებელია, მწყალობელია.“**
(სურა იუნუსი, აიათი 107)

მოკლედ, გულითადი სიხარული, ბედისწერის მორჩილებაშია დამალული. ამის საწინააღმდეგო არც ერთ ქმედებას სარგებელი არ მოაქვს. წმინდა მევლანა ბრძანებს:

„შენ ვიდრე ალლაჰის ბოძებულით კმაყოფილი არ იქნები, სიმშვიდის მოპოვებისა და ხსნის იმედით სადაც არ უნდა გაიქცე – გაიქეცი; იქ შენ უბედურება შეგხვდება; უბედურება, რომელიც უნდა დაგატყდეს მოვა და შენ კვლავ მიზანში მოგხვდება.

უნდა იცოდე, რომ წარმავალი ქვეყნის არც ერთი კუთხე მახის გარეშე არ არის. გულში ღმერთის პოვნისა და მასზე თავშეფარების, მის სულიერ სიმშვიდე-

ში ცხოვრების გარდა, სხვა ხსნა და სიმშვიდე არ არის. შეხედე, ამ წარმავალ ქვეყანაზე ყველაზე სანდო ადგილებში მცხოვრებლები ყველაზე ძლიერებად ითვლებიან და საბოლოოდ სიკვდილის მახეში არ ვარდებიან?

შენ მახეს კი არა, ღმერთზე თავშეფარებას შეხედე! ის თუ ისურვებს, შენთვის საწამლავს სამკურნალო – საშუალებად და წყალს საწამლავად გადააქცევს!"

არჩევანთან დაკავშირებული ქმედებები:

უდიდესმა ღმერთმა ადამიანებს თავისი სურვილის გარდა საკუთარი ნაწილობრივი და შეფარდებითი ნება-სურვილიც უწყალობა. ამ ნება-სურვილის გამოყენებით ქმედებებს, შესაბამისად, თუ სიკეთეა – ჯილდო, თუ ბოროტებაა სასჯელი მოჰყვება. ალლაჰი ადამიანის სურვილის აღსრულებას შექმნის თვისებით უერთდება. ამ ქმედებებში, შექმნის თვისებებთან ერთად, გაკეთების თვისებაც არსებობს. ეს ადამიანს ეკუთვნის. მხოლოდ, უდიდესი ღმერთი ადამიანის ყველა თვისებას გამჩენის თვისებით უერთდება და იმ ქმედების განხორციელების საშუალებას არ აძლევს. საქმეები, რომლებსაც ადამიანები ისურვებენ და ვერ გააკეთებენ, ამგვარი სახისაა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საჭირო ცნობების გარდა, ბედისწერით დაინტერესება სწორი არ არის. რადგან ბედი ისეთი რამაა, რომლის გასაღებიც მხოლოდ უდიდეს ღმერთს უჭირავს; ადამიანის შემეცნე-

ბაზე მაღლა მდგომი თვისებრიობაა. მის საიდუმლოში ჩაწვდომა მხოლოდ იმ ადამიანს ეწყალობება, ვინც სამოთხის ღირსია. აქედან გამომდინარე, ამ გასაღების გაღებით მცდელობა საზღვრების უცოდინრობა იქნება. როცა მდგომარეობა ასეთია, ადამიანის მიერ მაშინ, როცა მისთვის ბედისწერა უცნობია, თქმა: „ცუდი ბედისწერა მაქვს!“ და ამგვარად მისთვის დაწესებულ ზოგიერთ კანონებზე უარის თქმით პასუხისმგებლობისგან გაქცევის მცდელობა და ადამიანის შექმნის მიზნის საწინააღმდეგოდ მოქმედება დიდი უაზრობაა.

მეორე მხრივ, უდიდესმა ღმერთმა ყველაფერი, რაც უნდა მოხდეს, ისევე იცის, როგორც მომხდარი. მაშინ როცა ჩვენ ვფიქრობთ,ალლაჰმა იცის რა უნდა მოხდეს. ჩვენ უნდა გავიგოთ როგორც ჩვეულებრივი რამ. ჩვენ არ შეგვიძლია დროის მცნების გარეშე ფიქრი, ეს არაფერია ჩვენი სისუსტისა და უსუსურობის გარდა. დროის ფარდა რომ აიწევა, ყველაფერი ერთ წამში ასრულდება. ალლაჰის შუამავალი ﷺ ცად ამაღლების დროს მცნების გარეშე ჰყვებოდა:

„ბედის მწერი კალმის წრიპინი გავიგონე.“ (ჰაქიმი, მუსთედრექი, II, 405)

ასევე გადმოსცემდა:

„დავინახე, აბდურრაჰმან იბნ ავფი, როგორ შედიოდა სამოთხეში.“

ის ჭეშმარიტება, რომელიც წმინდა შუამავალს ﷺ მხოლოდ ცად ამაღლებისას შესთავაზეს, ანუ დროის მცნების გარეშე ყოფა, უდიდესი ღმერთისთვის მუდ-

მივია. რადგან ის დროის მცნებისგან თავისუფალია.

აქედან გამომდინარე, დროის საკითხში ჩვენ უსუსურობის ფარდას თუ გადავსწევთ,დავინახავთ: **უდიდესი ალლაჰი ადამიანებს პასუხისმგებლობის კრიტერიუმის შესაბამის ნებისყოფას და მის შესაბამის პასუხისმგებლობას აკისრებს.** ეს ასე რომ არ ყოფილიყო, მოწყალე და შემწყალებელი ალლაჰი ადამიანებს ყოველგვარ პასუხისმგებლობას არ დააკისრებდა და მათ შესრულება-შეუსრულებლობის საკითხში არ განსჯიდა. ადამიანებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება და ამის მიხედვით განსჯა აჩვენებს რომ ადამიანებს ალლაჰის ნება-სურვილისდა მიხედვით შეუძლიათ მისი შესრულება-შეუსრულებლობა. მათ, ვინც ამ ჭეშმარიტებას ვერ ხედავს, წმინდა მევლანა მოუწოდებს:

„ადამიანი ბედისწერის მორჩილი თუ იქნება, ჯილდო ალლაჰის კმაყოფილების მოპოვება იქნება. ვინც ამ კმაყოფილებას დაინახავს, ბედისწერა შაქრის და ჰალვის მსგავსად ტკბილი იქნება, სახეები კი – მომღიმარი.

უკულმართად წახვალ – კალამი მრუდედ დაწერს; სწორად წახვალ – ბედნიერებას ჰპოვებ.

პოლიციამ ქურდი დაიჭირა. ქურდმა უთხრა: „ჩემი ჩადენილი საქმე ალლაჰის კანონი და ბედისწერა იყოო.“ ამაზე პოლიციელმა შემდეგი პასუხი გასცა: „ბატონო, ჩემი ნამოქმედარიც ალლაჰის კანონი და ბედისწერაა. დანაშაული ჩაიდინო და ბედისწერას გადააბარო, გონიერი ქმედება არ არის!“

„მოკლედ შეიძლება ასე ვთქვათ: ეშმაკი ადამიანს – ბოროტებას, სული კი სიკეთეს აჩვენებს. არჩევანის უნარი რომ არ არსებობდეს, ძალისხმევას რაში დახარჯავდნენ!

ჩვენში დაფარული არჩევანის თვისებასთან ერთად შესრულების თვისებაც არსებობს. გულში ორი განსხვავებული, კონტრასტული ფიქრი ჩნდება. ეს თვისება მაშინ იჩენს თავს. იმ დროს ფიქრობ „ნეტა, რომელია ჩემთვის სასარგებლო?“ და ერთ გადაწყვეტილებას ღებულობ! ამაში შენ მიმართულებას არავინ გაძლევს. არჩევანის უფლება რომ არ ყოფილიყო, ასე იქნებოდა?

გონიერების გადასახედიდან ძალადობის დაჯერება დიდი დაუდევრობაა. ვინც იძულებას იჯერებს, ნიშნავს, რომ თავის გრძნობებს უარყოფს. იძულებით ამ ქვეყანაზე არც საქმეები კეთდება და არც კარადები ტრიალდება. ადამიანში ნებისყოფა და არჩევანის შესაძლებლობა რომ არ ყოფილიყო, კარგი, ცუდი, ლამაზი, მახინჯი და სხვა მსგავსი ტერმინები გამოვლინდებოდა? მეგობარო! გრძნობისა და უნარის შესაბამისად ცხოველიც კი შეიმეცნებს. მაგრამ ამის შინაარსის გაგება ძალიან ფაქიზი საქმეა!

ადამიანს არჩევანის უფლება რომ არ მისცემოდა, საჭირო არ იქნებოდა იმის გაკეთება, მკურნალობისთვის ექიმისთვის კი არა, პირდაპირ ალლაჰისთვის მიემართა? ავადმყოფობა შენთვის რა კარგია, რომ არჩევანს გიდასტურებს.

არჩევანი რომ არ ყოფილიყო, ხვალ ამას გავაკეთებ,

იმას გავაკეთებ ან არ გავაკეთებ და მსგავსი დაუსრულებელი გეგმები რა არის? ამ გეგმების არჩევანის გარეშე გაკეთება შესაძლებელია?

იძულებავ! „ადამიანში არჩევანი არ არის!“ – როცა ამბობ, ვერ ხედავ, რომ როცა ადამიანისთვის პასუხისმგებლობად დაკისრებულის საიდუმლოს უარყოფ, ღმერთს მიაწერ ისეთ ადამიანურ თვისებას როგორიცაა უცოდინრობა იმისა,თუ რა გააკეთოს! ღმერთი ადამიანებისგან მოინდომებს იმის გამომჟღავნებას,რაც არ უბოძებია და ადამიანებს უსამართლოდ მოექცევა? შენ შეეცადე გონება მოიკრიბო და ჩასწვდე იმის საიდუმლოს უდიდესი ღმერთი ადამიანებს რატომ უბრძანებს: „ეს გააკეთე ან არ გააკეთო.“ მისი ეს ბრძანებები და აკრძალვებიც კი იმის მანიშნებელია, რომ ადამიანს არჩევანის თავისუფლება და შესრულების უნარი ებოძა.

თან შებრუნდი და შენს საკუთარ სამყაროს შეხედე; ალლაჰის გარდა, სხვისგან არჩევანი თუ არ არსებობს, ქონების მომპარავ ქურდზე რატომ ბრაზობ. ზოგიერთებს მტრად რატომ თვლი და მათზე დღე და ღამ კბილებს რატომ ილესავ? როგორ ხდება, რომ ვისაც ნებისყოფა არა აქვს, მათ ზურგზე მუდამ ცოდვისა და დანაშაულის ბეჭედს ასვამ? ესე იგი, არჩევანი არსებობს, თორემ ციხეები რა საჭირო იქნებოდა!“

საჭიროა აქ კიდევ ერთ საკითხზე გავამახვილოთ ყურადღება:

ადამიანისთვის ღმერთის მხრიდან ნაწყალობევი ყველა შესაძლებლობის ბოძებასთან ერთად დამატე-

ბით მათი შესრულებისთვის საჭირო ნებისყოფა და არჩევანის თავისუფლება ებოძათ. რაც აქვს იმაზე მეტი მნიშვნელობის მინიჭება და ჭკუის ყველაფერზე მაღლა გამოყენება უმეცრებაა. როცა ცოდნაზე მეტად გამჭრიახობა იზრდება, ადამიანის ნება-სურვილი და არჩევანი ღმერთის ნება-სურვილთან შედარებით რა პატარაა, ადვილი დასანახია. საბოლოოდ ადამიანის ნება-სურვილი, რომელიც ღმერთის ნება-სურვილის პატარა ანარეკლია, ადამიანებში, რომლებიც ღმერთში ჩაიკარგებიან, იმდენად მცირდება, რომ შეიძლება ვთქვათ, არ არსებობს. ზოგიერთი ბრძენის გამონათქვამი, რომ სურვილები უარყვეს, ამ სინამდვილის გამოვლინებაა. მათში ადამიანური ნება-სურვილი ღმერთის ნება-სურვილის წინააღმდეგ თითქმის არ არსებობს. ხოლო ადამიანებში, ვისთვისაც ალლაჰი თვალი და ყურია, ეს ნება-სურვილი ისეთივეა, როგორც სანთლის შუქი მზის შუქთან შედრებით.

შეიჰ მუჰამმედ ნურულ არაბის მიერ ადამიანური სურვილების უარყოფის შესახებ ჭორები გავრცელდა. ეს სულთან აბდულჰამიდ ჰანმაც გაიგო. წმინდა ფირი თავის წინაშე მოიხმო და მას ამ ამბის შესახებ ჰკითხა. შეიჰ მუჰამმედ ნურულ არაბმა უპასუხა:

„მე საყოველთაოდ ცნობილი ფორმით – „ადამიანური ნება-სურვილი არ არსებობს-მეთქი“, არ უარმიყვია. მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ ადამიანთა ერთი ნაწილისთვის ის თითქმის არ არსებობს, რადგან წმინდანებში, რომლებიც მუდმივად ღმერთის წინაშე წარდგომის შემეცნებით ცხოვრობდნენ, ამის განხორ-

ციელების შანსი არ არსებობს. ისინი თავისი ნება-სურვილის კი რა, უდიდესი ღმერთის ნება-სურვილის მიხედვით ცხოვრობენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მუდამ საწინააღმდეგოდ მოიქცეოდნენ და ნაკლოვანებები ექნებოდათ. მაგალითად, ახლა ჩვენ ფადიშაჰის წინაშე ვიმყოფებით. „მოდი“ – გვეტყვიან, მოვალთ: „წადი“ – გვეტყვიან, წავალთ: მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ჩვენი ნება-სურვილი გაგვაჩნია, ფადიშაჰის ნება-სურვილის წინაშე არ შეგვიძლია ის გამოვიყენოთ. ასე რომ, ერთიც გარეთ მყოფ დაუდევრებსა და სხვა არსებებსაც შეხედეთ; სრულიად თავისუფალი და დამოუკიდებელი არიან.“

ამ საფუძვლებს თუ ჩავუღრმავდებით, ჩვენს წინაშე ბევრი საკითხი წამოიჭრება, რომლებიც ახსნა-განმარტებას მოითხოვს. ამაზე კამათი შორს წაგვიყვანს. მოკლედ შეიძლება შემდეგი რამ ვთქვათ:

ადამიანს ნებისყოფა გააჩნია. ეს ნებისყოფა ან ძალა მას უდიდესი ღმერთისგან ეწყალობა. ყველა ქმედებაში ნება-სურვილის არსებობასთან ერთად უდიდესი ალლაჰის კმაყოფილების მოპოვება მხოლოდ სიკეთითაა შესაძლებელი. მასწავლებლის მიზანია მოსწავლეს ცნობები მიაწოდოს და კლასი დაამთავრებინოს. მოსწავლე თუ არ იმუშავებს, მასწავლებელი ვერაფერს გააკეთებს. ექიმის მოვალეობა ავადმყოფის განკურნებაა, მაგრამ ავადმყოფი მიცემული რეცეპტის მიხედვით თუ არ იმკურნალებს, უარყოფითი შედეგი მხოლოდ ავადმყოფის უპასუხისმგებლობის ბრალი იქნება. ექიმს არავითარი დანაშაული არ ექნება.

აქედან გამომდინარე, გამომჟღავნებული ბედისწერა ჩვენს ნება-სურვილზეა დამოკიდებული, ბედისწერის მიზეზები თავად ვართ და არ უნდა ჩავთვალოთ, რომ რამე გვეპატიება, რადგან ბედისწერაა და პასუხისმგებლები არ ვართ.

ადამიანმა, რომელიც ღვთისმსახურებას არ ასრულებს, ან ცუდ გზაზე დგას, არ უნდა თქვას: *„რა ვქნა, ჩემი ბედი ასეთი ყოფილა!“* ადამიანს, რომელსაც ნამაზის ლოცვა სურს,ალლაჰი მისცემს ნამაზის ლოცვის მიზეზს. ვისაც ლოცვა არ სურს,დამაბრკოლებელ მიზეზებს მისცემს და ამგვარად არავის არაფერს აიძულებს.

ჩვენ მიერ ჩადენილი ცოდვები საპატიოდ რომ გამოვაჩინოთ და ვთქვათ; „ბედისწერა ასეთი ყოფილა“, უჭკუობა და კადნიერებაა.

ქელიმეი შეჰადეთი აქამდე ჩამოთვლილ ყველა წესი რწმენას აღნიშნავს ადამიანი, რომელიც მას გულით დაიჯერებს და ენით აღიარებს, მორწმუნე ხდება.

შეჰადეთის მხოლოდ სიტყვებად ჩათვლა და მისი სიღრმის არ დანახვა დიდი უაზრობაა. სრულყოფილი გულები, რომლებიც მის ჭეშმარიტ სიდიადეს გრძნობენ და სიცოცხლეს ამ შეგრძნების შესაბამისად განვლიან, სიცოცხლეს ღმერთის თაყვანისცემად აქცევენ. ღმერთს ერთი წუთითაც კი არ ივიწყებენ, თავიდან ბოლომდე ნათელში გახვეული ცხოვრობენ. მაგრამ მიუხედავად წარმავალი და უშედეგო სამყაროში ყოფ-

ნისა, მაინც ახერხებენ წარმატებულნი იყვნენ. მონამსახურების ამ მწვერვალზე აღწეული მუჰამმედ ესად ერბილი ამბობს:

„ჯერ კიდევ რწმენის სრულყოფაზე ვმუშაობ. ქელიმე თევჰიდის სწორი წესით წარმოთქმას ვეჩვევი, რადგან როცა გულში უდიდესი ალლაჰის გარდა კერპი (ესე იგი, ამქვეყნისადმი მიდრეკილება) დასახლდება, „ლა ილაჰე ილლალლაჰ“ – წარმოთქმა ძნელია. საეჭვოა, რომ ის მიღებულ იქნას და ღმერთთან შეხვედრის საშუალებად იქცეს.“

აქედან გამომდინარე, ნამდვილი მნიშვნელობით ქელიმე თევჰიდის გამოთქმისთვის მის საიდუმლოში ჩაწვდომა და შესაბამისად მოქმედებაა აუცილებელი. უგულისყუროდ წარმოთქმული ქელიმე თევჰიდი და ქელიმეი შეჰადეთი სარგებლისგან შორსაც რომ არ იყოს, ადამიანს მიზანთან ვერ მიაღწევინებს. მხოლოდ ფხიზელი და ცოცხალი გულით წარმოთქმული ქელიმეი შეჰადეთი გულს მარადიულ ჯილდოს მოაპოვებინებს.

ერთ დღეს წმინდა შუამავალმა იქადაგა და ბრძანა:

*„ვინც გულწრფელად წარმოთქვამს **„ლა ილაჰე ილლალლაჰ“** (არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა) და მასში ხხვა რამეებს არ შეურევს, მისთვის სამოთხე ვაჯიბია.“*

წმინდა ალიმ ჰკითხა:

„ალლაჰის შუამავალო, არეულობის შიგ შეტანა რას ნიშნავს?“

„ამ ქვეყნის სიყვარული და მის კვალზე მიყოლა.“ – უპასუხა მან. (იჰია)

ერთ-ერთ სხვა ჰადისში ნაბრძანებია:

„არ არსებობს არც ერთი ადამიანი, რომელიც გულწრფელად იტყვის „ლა ილაჰე ილლალლაჰ“ და მისთვის ზეცის კარები არ გაიღოს. იმდენად, რომ სანამ ის დიდ ცოდვებს ჩაიდენდეს, მისი ნახსენები ქელიმეი თევჰიდით ღმერთის სამყოფელამდე მიაღწევს.“ (თირმიზი, დეავითი, 126)

ამის გამო, აუცილებელია ცოდვებზე მორიდება. ერთ ჰადისში კვლავ ნაბრძანებია:

„ადამიანი ცოდვას რომ ჩაიდენს, მის გულში შავი ლაქა ჩნდება. თუ გულწრფელად მოინანიებს, ის შავი ლაქა ქრება; წინააღმდეგ შემთხვევაში, იქ დასახლდება. შემდეგ სხვა ცოდვის ჩადენისას კვლავ ჩნდება სხვა ლაქა. საბოლოოდ, გული სრულიად გაშავდება.“ (თირმიზი, თეფსირი, 83)

ამგვარი ადამიანების გულებზე ქელიმეი თევჰიდი არ იმოქმედებს. ამ მდგომარეობაში ადამიანის გულის გამანადგურებელ ოთხ რამეს უნდა ვერიდოთ:

1. სულელებთან კამათს,
2. ბევრი ცოდვის ჩადენას,

3. მუდამ უცხო ქალებთან ახლო ურთიერთობაში ყოფნას,

4. რომელთაც ერთად ყოფნას ადამიანებთან, გული მკვდარი აქვთ.

ეშმაკის ყველაზე დიდი სურვილი გულზე თავდასხმაა. თუკი გული ღმერთის ხსენებით იქნება დაკავებული, ეშმაკი მას ვერ მიუახლოვდება. ეს კი მის განადგურებას ნიშნავს. ამის საწინააღმდეგო ქმედება თუ იქნება, ესე იგი, გული ალლაჰის ხსენებისგან შორსაა, ეშმაკი მას იოლად დაამარცხებს.

აიათში ნაბრძანებია:

أَلَمْ يَأْنِ لِلَّذِينَ آمَنُوا أَن تَخْشَعَ قُلُوبُهُمْ لِذِكْرِ اللَّهِ وَمَا نَزَلَ مِنَ الْحَقِّ

„განა არ მოვიდა დრო, მორწმუნეებმა ალლაჰის ხსენებისა და მისგან მოვლენილი ყურანის მიზეზით გულებში ძრწოლა იგრძნონ?“ (სურა ჰადიდი, აიათი 16)

ღმერთის ხსენებისგან შორს მდგომი, ვნებას დამორჩილებული ადამიანი მიწაში ჩაფლულ განძს ჰგავს. ვნებასთან ბრძოლა ნიშნავს, ადამიანმა ამ მიწამტვრის მსგავსი უარყოფითი თვისებებისგან გაიწმინდოს და განძი სააშკარაოზე გამოიტანოს. გულები, რომლებიც ამ სიწმინდეს მიაღწევენ, ღვთიურ ხედვას აირეკლავენ. უდიდესი ალლაჰი ბრძანებს:

قَدْ أَفْلَحَ مَن تَزَكَّى

„უეჭველად, გადარჩა ის, ვინც განიწმინდა.“ (სურა ალა, აიათი 14)

უეჭველია, რომ ეს გაწმენდა ქელიმეი თევჰიდით იწყება.

აბუ ალი დექქაქი ბრძანებს:

„ადამიანი როგორც კი იტყვის **„ლა ილაჰე“** მისი გული ისევე დაიწყებს ბრწყინვას როგორც მტვრიანი სარკე. როგორც კი **„ილლალლაჰ“** წარმოთქვამს, მას შემდეგ გაწმენდილი გული ალლაჰის ნათელით აივსება. ამ მდგომარეობაში აშკარაა, რომ ეშმაკის ყველა მცდელობა ტყუილუბრალო იქნება.“

ჰასან ბასრის გადმოცემით, ეშმაკი ამბობს:

„მუჰამმედის მიმდევრების წინ ცოდვებს მორთულ-მოკაზმულს წარმოვაჩენ, მაგრამ მათი მონანიება და ღმერთისთვის მიტევების თხოვნა წელს მტეხს, წარუმატებელი ვხდები. მათ ზოგიერთ საქმეს სწორად ვაჩვენებ მაშინ, როცა ის საქმე ცოდვაა. ამგვარად, იმის გამო, რომ მათ ცოდვად არ თვლიან, არც ინანიებენ და არც პატიებას სთხოვენ ღმერთს.“

ჰასან ბასრი მორწმუნეებს აფრთხილებს:

„აი, ეს დანაშაულობები, რომლებსაც ცოდვად არ თვლით, არის ვნებაზე დამორჩილებით ჩადენილი.“

ვეჰბ იბნ მუნებბიჰი ამბობს:

„ალლაჰის გეშინოდეს! ადამიანების გვერდით ეშმაკს წყევლი, ხოლო მარტო რომ დარჩები, მას ემორჩილები, მისი მეგობარი ხდები.“

ორი ნაწილი

ქელიმეი შეჰადეთი ორი ნაწილისგან შედგება. პირველი: თევჰიდი, ესე იგი, უდიდესი ალლაჰის არსებობისა და ერთადერთობის რწმენა; მეორე: აღიარება იმისა, რომ წმინდა მუჰამმედ შუამავალი ალლაჰის მონა-მსახური და შუამავალია.

რწმენა ამ ორი ნაწილის გულში შეერთების შედეგად განხორციელდება. აქედან გამომდინარე, არც მარტო უდიდესი ალლაჰის რწმენაა საკმარისი და არც მარტო შუამავლის. ამ საკითხში დაუდევრად არ უნდა მოვიქცეთ და უდიდესი ალლაჰის რწმენასთან ერთად წმინდა შუამავლის რწმენის მნიშვნელობასაც შესაბამისად უნდა ჩავწვდეთ.

ამ საკითხთან დაკავშირებულ ერთ-ერთ აიათში ნაბრძანებია:

وَمَن يُطِعْ اللَّهَ وَرَسُولَهُ فَقَدْ فَازَ فَوْزًا عَظِيمًا

„ვინც ალლაჰსა და მის შუამავალს დაემორჩილება, უეჭველად, უდიედესი გადარჩენით გადარჩენილი იქნება.“ (სურა აჰზაბი, აიათი 71)

ვინაიდან, ღვთიური სიყვარულით შექმნილი სამყაროს განსაკუთრებულ საგანძურს **მუჰამმედის შუქი** წარმოადგენს.

წმინდა შუქი ამ სამყაროს შექმნის მიზეზად იქცა. უდიდესი ალლაჰი მას **„საყვარელს“** უწოდებს. ის ყველა არსების მწვერვალია. თანაც ისეთი მწვერვალი,

რომ მისი სახელი მარადისობაში ღმერთმა თავის სახელთან ერთად მოიხსენია და ბედისწერის დაფაზე დააწერა:

„ლა ილაჰე ილლალლაჰ მუჰამედუნ რესულუ ლლაჰ“ (არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა და მუჰამმედი მისი შუამავალია).

წმინდა ადამი სამოთხეში ჩადენილი დანაშაულის გამო დედამიწაზე იქნა გამოძევებული. მან უდიდეს ალლაჰს წმინდა მუჰამმედ შუამავლის პატივისცემით მიტევება სთხოვა და შეწყალებული იქნა. მას ასე ებრძანა:

„ადამ! ის ჩემს ქმნილებებს შორის ჩემთვის ყველაზე საყვარელია. (როცა შემევედრები) მისი პატივისცემისთვის შემევედრე! (რადგან ახლა მისი პატივისცემისთვის გაკეთებული ვედრების მიზეზით) მე შენ გაპატიე. (იცოდე) მუჰამმედი რომ არ ყოფილიყო, შენ არ შეგქმნიდი.“ (ჰაქიმი, მუსთედრეკი, II, 672; ბეიჰაქი, V, 488-489)

უდიდესი ღმერთი მისი საყვარელისთვის ბოძებულ ამ უმაღლეს ღირსებას მარადიულ ყურანის წიგნში იმეორებს:

وَرَفَعْنَا لَكَ ذِكْرَكَ

„შენი ხსნება ავამაღლეთ!“ (სურა ინშირაჰი, აიათი 4)

ყურანის კომენტატორების ერთი ნაწილი ამას შემდეგნაირად განმარტავენ:

„ჩემო შუამავალო! თევჰიდის სიტყვებში, როცა მე

მოვიხსენიები, შენც ჩემთან ერთად მოიხსენიები!“

ქელიმეი თევჰიდის ხსენება გულიდან ამოსული **„ლა ილაჰე“** სიტყვით, ესე იგი, ღმერთის ხსენებით იწყება.

აიათში ნაბრძანებია:

أَرَأَيْتَ مَنِ اتَّخَذَ إِلَهَهُ هَوَاهُ أَفَأَنتَ تَكُونُ عَلَيْهِ وَكِيلا

ვნება-სურვილების გამღმერთებელი – (გამკერპებელი) დაინახე?“

„ვნება-სურვილების გამღმერთებელი დაინახე? შენ მათი (საქციელის) **პასუხისმგებელი არ ხარ.!“** (სურა ფურყანი, აიათი 43)

ამის შემდეგ, ესე იგი ვნების, მისწრაფებისა და სხვა სახოვანი ღმერთებისგან გულის გაწმენდის შემდეგ, **„ილლალლაჰ“** სიტყვა მოდის. ეს კი ყოველგვარი ამქვეყნიურობისგან გაწმენდილ გულს უდიდესი ღმერთის უნიკალური შუქით ავსებს.

თევჰიდის გაგრძელებაში წარმოთქმული **„მუჰამმედუნ რასულულლაჰ“** გულში შუამავლის სიყვარულსაც განათავსებს. ამ უმაღლეს საიდუმლოს ჩამწვდარი გულწრფელი გული მასზე შეყვარებული იქნება და სიცოცხლეს მისი სიყვარულის შესაბამისად გაატარებს, საბოლოოდ კი, მარადიული ბედნიერება მოპოვებულ ადამიანთა ქარავანს შეუერთდება.

ამის გამო, ქელიმეი შეჰადეთი ორი წინადადება, არის. ის გულით ამოწმებს და ენით აღიარებს, რომ არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა და მუჰამმედი

მისი შუამავალია. ის ისლამის პირველი პირობაა.

ჩვენმა ღმერთმა სამყარო,ყურანი და ადამიანი წმინდა სახელებისა და თვისებების საჭიროებისამებრ შექმნა და ისინი ღვთიური წესრიგისა და ძალის ანარეკლებით შეამკო. სამყარო შეიქმნა არაჩვეულებრივად მოწესრიგებული, ის არის დიდებული მონოთეიზმის სკოლა. ამ მონოთეისტური სკოლის ყველა შესასვლელში ჩამოკიდებულია აბრა წარწერით:

فَاعْلَمْ اَنَّهُ لاَ اِلَهَ اِلاَّ اللهُ

სამყაროში არ არსებობს არც ერთი მოლეკულაც კი, რომ ღმერთის ხსენებას არ ირეკლავდეს.

შექმნილსა და შემოქმედს შორის კავშირი და მეგობრობა არსებობს, ამიტომაც ყველა მოლეკულას ღვთიური შუქი აქვს მიღებული, მათ თავიანთი გამჩენისგან სიყვარულისა და მიზიდულობის ძალისა და უნარის შესაბამისი წილი აქვთ. ამ საკითხში ყველაზე მაღალი და ფართო წილი ადამიანს ერგო. ვინაიდან, ის ყველა არსებაზე მაღალ საფეხურზე დგას.

ადამიანი დიდებულ ღვთიური ცნობებითა და ჭეშმარიტებებითაა შემკული. მისი არსება რწმენითაა შეზავებული. ამის გამო, ალლაჰის რწმენა ადამიანის გაჩენიდან დაიწყო და ქვეყნიერების აღსასრულამდე გაგრძელდება. მონოთეიზმის დინებები არ გაჩერდება და სამარადისო კალაპოტით განაგრძობს დინებას. ათეიზმი კი არის ბრიყვული, პირქუში მატერიალიზმი, რომელიც არღვევს გონებისა და გრძნობის წონას-

წორობას. ის არის უბედურება, რომლის დროსაც მეფობს ვნებები და გატაცებები და მიმდინარეობს ეჭვებისა და ილუზიების ბრძოლა.

وَيَأْبَى اللَّهُ إِلاَّ أَن يُتِمَّ نُورَهُ وَلَوْ كَرِهَ الْكَافِرُونَ

ურწმუნოებას რომც არ სურდით ალლაჰმა თავისი შუქი სრულყოფილ უნლაჰქმნას (სურა თევბე, აიათი 32)

ხსენება თუ გულში გამოვლინდება უდიდესი ღმერთს მონა-მსახურებას გავუწევთ.

إِنَّمَا الْمُؤْمِنُونَ الَّذِينَ

إِذَا ذُكِرَ اللَّهُ وَجِلَتْ قُلُوبُهُمْ

„უეჭველად მორწმუნენი არიან ისინი, ვისაც ალლაჰის ხსენებისას გულები უთრთით.!“ (სურა ენფალი, აიათი 2)

გული, რომელიც ისე თრთის, როგორც ამ აიათშია, ნამდვილი რწმენა აქვს. ამის მნიშვნელობაზე დაყრდნობით, წმინდა შუამავალი ბრძანებს:

„როგორც ტანისამოსი ძველდება, ასევე რწმენაც სხვადასხვა ზეგავლენის გამო ძველდება და სიმტკიცეს კარგავს. ამ მდგომარეობაში თქვენი რწმენა ქელიმეი თევჰიდით განაახლეთ!“

ღმერთის ხსენება გულში თუ არ გამოვლინდება და მხოლოდ ენაზე დარჩება, ადამიანი ვნებას დაემორჩილება. უდიდესი ღმერთი ამ მდგომარეობაში ჩავარდნილების შესახებ ბრძანებს:

أَرَأَيْتَ مَنِ اتَّخَذَ إِلَهَهُ هَوَاهُ أَفَأَنتَ تَكُونُ عَلَيْهِ وَكِيلا

„ვნება-სურვილის გამღმერთებელი დაინახე? ახლა უკვე შენ მათ(საქციელ)ზე პასუხისმგებელი არ ხარ!“
(სურა ფურყანი, აიათი 43)

ეს ნიშნავს, რომ ქელიმეი შეჰადეთმა ჩვენ ვნებისა და გატაცებების ჭაობისგან უნდა გვიხსნას და წმინდა შუამავლის ﷺ მორალის შესაბამისად ზნეობა უნდა ავიმაღლოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში სიმშვიდეს ვერ მოვიპოვებთ და წარმატებას ვერ მივაღწევთ.

❁

გადმოცემის მიხედვით, ერთ ადამიანს, რომელსაც ზნეობა ალლაჰის შუამავლის ﷺ ზნეობის მიხედვით არ ჰქონდა ჩამოყალიბებული, ერთ დღეს თვითონ შუამავალი ﷺ ესიზმრა, შუამავალი მისდამი არავითარ ყურადღებას არ იჩენდა. დანაღვლიანებულმა ჰკითხა:

„ალლაჰის შუამავალო! შენ ჩემით ნაწყენი ხარ?“

„არა!“

„მაშინ, ყურადღებას რატომ არ მაქცევ?“

„შენ არ გიცნობ!“

„როგორ, ალლაჰის შუამავალო? მე ერთი შენი მიმდევართაგანი ვარ. სწავლულები ამბობენ, რომ თქვენ თქვენს მიმდევრებს უფრო უკეთ ცნობთ, ვიდრე დედა თავის შვილს...“

„მართალია! მაგრამ მე შენში ლამაზი ზნეობისგან

ვერაფერს ვხედავ. აგრეთვე, შენგან მე სალათი და სალამი არ მომსვლია. უნდა იცოდე, რომ მე ჩემი მიმ-დევრებისგან ნებისმიერს იმდენად ვცნობ, რამდენადაც ისინი ჩემი ზნეობით არიან შემოსილი.“

გაღვიძებისთანავე ამ მორწმუნე ადამიანმა წარ-სულში ჩადენილები მოინანია და წმინდა შუამავლის ზნეობით შეიმოსა. ბევრ სალათსა და სალამს წარ-მოთქვამდა. რაღაც დროის შემდეგ სიზმარში კვლავ წმინდა შუამავალი ﷺ ნახა. ამჯერად წმინდა შუამა-ვალმა ბრძანა:

„ახლა უკვე გცნობ და შენ გიშუამდგომლებ...“

ის ყველა არსებაზე დიდებული, მაღლა მდგომი ქმ-ნილებაა და ყველაზე მეტ სიყვარულს იმსახურებს. წარსულისა და მომავალის ყველაზე ლამაზი და ღირ-სეულია, დამწუხრებული ადამიანებისთვის ყველაზე გულისხმიერი, ერთადერთი მურშიდი და გიდია. მან ადამიანები, რომლებიც ქალიშვილებს ცოცხლად მარხ-ავდნენ მიწაში, გულით მოტირალ შეყვარებულებად აქ-ცია. მათ წიგნი, საიდუმლო და სიბრძნე ასწავლა.

მისი ყველაფერზე მაღლა დაყენება, უბადლო სიყ-ვარული ებადა რწმენის სრულყოფილებაა. ამ სიყვარ-ულის მწვერვალზე ჰადისში ასეა გაცხადებული:

„თქვენ შორის ნებისმიერი ნამდვილი მორწმუნე ვერ გახდება, სანამ მე საკუთარ თავზე, დედ-მამაზე, შვი-ლებსა და ყველა ადამიანზე მეტად არ შემიყვარებს!“
(ბუჰარი, იმანი, 8)

ეს ჰადისი ძალიან კარგად აჩვენებს სრულყოფილი

რწმენისთვის რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს წმინდა შუამავლის ﷺ სიყვარულს. ამ სიყვარულს მოკლებული ადამიანებისთვის განვითარების გზები დაკეტილია. სიყვარულის თესლი მხოლოდ სიყვარულის მიწაში იხარებს. გულისთვის სიუხვისა და ბარაქის წყარო ის არის. მისი სიყვარულის მიწამ უამრავ გაქვავებულ გულს განძეულის, ოქროსა და ვერცხლის ფასი მიანიჭა.

ისე როგორც მზისგან შუქაღებული მთვარე მზის არსებობას ამტკიცებს, ასევე არიან ყველა შუამავალი და წმინდანები ალლაჰის შუამავლის არსებობის მამტკიცებლები.

أَشْهَدُ اَنْ لاَ اِلَهَ اِلاَّ اللهُ وَ اَشْهَدُ أَنَّ مُحَمَّدًا عَبْدُهُ وَرَسُولُهُ

ამის გამოა, რომ ქელიმეი შეჰადეთის სიყვარულით წარმომთქმელთა გულები ისეთივე მბრწყინავია, როგორც მზის სხივმოხვედრილი სარკე. ამ გულებს სიყვარული წვავს. ეს გულები ენით აღუწერელ სიამოვნებას განიცდიან.

ამ სიამოვნების განმცდელთაგან ბილალ ჰაბეშის მდგომარეობა საოცრებითაა აღსავსე:

ბილალს ამქვეყნად არ გააჩნდა ტოტი, რომელსაც ხელს ჩასჭიდებდა; ახლობელი, რომელსაც თავს შეაფარებდა და მეგობარი, რომელსაც დარდს გაუზიარებდა. იგი მხოლოდ უბრალო მონა იყო. მაგრამ დადგა დღე, როცა იგი რწმენიხ ნათელით შეიმოსა. ამის შემდეგ მისი რწმენა და ამ რწმენის დასაცავად გადატა-

ნილი მდგომარეობები, ესე იგი, ქელიმეი თევჰიდისთვის გადატანილი ტანჯვა, ქვეყნიერების აღსასრულემდე რწმენისთვის ბრძოლის გზაზე მაგალითად იქცა.

მან ალლაჰის შუამავლის ﷺ სახე და შუქი დაინახა და მისი სიყვარულის ბაღში შევიდა. მთელი არსებით მის ერთ ნაწილად იქცა. მაგრამ მისმა პატრონმა, რომელსაც ღვთიური შუქისგან წილი არ ხვდა, ის ამ რწმენის გამო გახურებულ ქვიშაზე დააწვინა და ამგვარად აწამებდა. შიშველ სხეულზე შეუბრალებლად გაამათრახა. შავი კანიდან წითელმა სისხლმა იხუვლა. გარს შემოხვეულმა უმეცარმა ხალხმა თქვა:

„უწმინდურო მონავ, ჩვენთან დაბრუნდი და თავი იხსენი!“

ცხელ ქვიშაზე დაწვენილმა, სისხლში მობანავე წმინდა ბილალმა კი დაჭრილი ლომივით ამოიღრიალა და მთელი ძალით ქელიმეი თევჰიდი წარმოთქვა.

ამაზედ გაშმაგებულმა ბრბომ მისი ცემა განაგრძო მანამ, სანამ ჟინი არ დაიკმაყოფილეს. ბოლოს კისერზე თოკი მოაბეს და მექის ქუჩებში მისი თრევა დაიწყეს. ყოველივე ამისა და სხვადასხვა წამების მიუხედავად, ბილალ ჰაბეში ალლაჰისა და შუამავლის ﷺ სიყვარულის ფარს ამოეფარა. ამიტომ რასაც მას ვნებდნენ, ვერ გრძნობდა, გული მხოლოდ ღმერთისა და შუამავლის ﷺ სიყვარულით ჰქონდა სავსე გული, მისი სამყაროსავით ფართო იყო. თუმცა მატერიალურ სამყაროში მისი მდგომარეობა სავალალო იყო, პატარა ქოხიც კი არ გააჩნდა, სადაც თავის შეფარება შეეძლო.

აი, წმინდა ბილალი ამ სიყვარულმა მონობიდან გულის სულთნობის ტახტზე აამაღლა. წმინდა შუამავლისთვის ﷺ გულში ჩამწვდომ მუეზზინად იქცა. მას ბოლო ამოსუნთქვის დროსაც კი შუამავლის ﷺ სიყვარულის გამო ტუჩებზე ღიმილი გადაჰკრავდა.

„გაიხარეთ, გაიხარეთ! მე ალლაჰის შუამავალთან შესახვედრად მივდივარ...“ – თქვა და სული განუტევა.

ჰადისში ნაბრძანებია:

„ადამიანი მასთან ერთად არის ვინც „უყვარს“ (ბუჰარი, ედები, 96)

იმისათვის, რომ ამ ჰადისის საიდუმლოს ჩავწვდეთ, მარადისობის გზაზე უნდა ვიცხოვროთ:

وَمَا ءَاتَاكُمُ الرَّسُولُ فَخُذُوهُ وَمَا نَهَاكُمْ عَنْهُ فَانْتَهُوا وَاتَّقُوا اللَّهَ إِنَّ اللَّهَ شَدِيدُ الْعِقَابِ

„შუამავალი თქვენ რა(რჩევა-დარიგება)**საც მოგცემთ ის მიიღეთ რასაც აგიკრძალავთ, იმისგან შორს დადექით. გეშინოდეთ ალლაჰის! უეჭველად, ალლაჰის სასჯელი ძალიან მძიმეა.“** (სურა ჰაშრი, აიათი 7)

ამ აიათში მოცემული ჭეშმარიტება ნამდვილი მნიშვნელობით უნდა შევიმეცნოთ. ვინაიდან, ისლამის უმთავრესი საფუძველის – ქელიმეი თევჰიდის – პირველი ნაწილი – უდიდესი ალლაჰის გულწრფელ მონა-მსახურებას, ხოლო. მეორე ნაწილი – მუჰამმედის ალლაჰის შუამავლად აღიარება და გულწრფელი მო-

ნა-მსახურობის გზაზე წმინდა შუამავლის გიდობით სიარულს ნიშნავს.

იმისათვის, რომ ქელიმეი თევჰიდმა გულში იპოვოს ადგილი, შემდეგი საკითხებია აუცილებელი:

1. გულის ღმერთთან ერთად ყოფნა.

ეს მხოლოდ ალლაჰის ხსენებითაა შესაძლებელი. აიათში ნაბრძანებია:

أَلَا بِذِكْرِ اللَّهِ تَطْمَئِنُّ الْقُلُوبُ

„იცოდეთ, ალლაჰის ხსენებით გულები სიმშვიდეს ჰპოვებენ.“ (სურა რადი, აიათი 28)

გული მხოლოდ მატერიალური ხორცის ნაჭერი არ არის. ის გრძნობისა და შეგნების ცენტრია. აიათში ნაბრძანები ღმერთის ხსენება ალლაჰის სახელის მხოლოდ სიტყვით გამეორება არ არის. ის არის შეყვარებულის მიერ საყვარელის სიყვარულით გახსენება, გულის ალლაჰის შემეცნებით სხვა ყველაფრისგან დაცარიელება. გული მხოლოდ ამგვარად დაკმაყოფილდება, თანაგრძნობას მოიპოვებს და ღმერთთან შეხვედრის გზაზე სწორ მიმართულებას იპოვის. ალლაჰთან მიღწევის ბედნიერება მხოლოდ ამგვარად განხორციელდება.

გულები, რომლებიც ამას მიაღწევენ, მუდმივად ღმერთზე არიან შეყვარებული. ისინი როცა უყურებენ სილამაზეებს, შეიმეცნებენ, რომ ეს ღმერთისგან წამოსული სილამაზის მხოლოდ ანარეკლია და მისადმი სიყვარუ-

ლით აღივსებიან, ასე განვლიან ისინი ცხოვრებას.

2. როცა გულში ალლაჰის შუამავლისადმი ﷺ სიყვარული იზრდება, შედეგად ღირსეულის სიყვარული და ვინც იმსახურებს იმის სიძულვილი წარმოიშობა.

იმისათვის, რომ ღვთისმოსავი მორწმუნე იყო, სიყვარული აუცილებელია. სიყვარულის შედეგად ღვთისმსახურებები და მაღალი ზნეობა პროგრესირდება. სამყაროსადმი შეხედულება იცვლება. ადამიანი იწყებს იმის შემჩნევას, თუ დილით მზის ამოსვლისა და საღამოს ჩასვლისას, ზღვის ზემოთ, ღრუბლიან ცაზე რა საუცხოო პეიზაჟი იშლება. მაშინ, როცა ადამიანს მოხერხებული მხატვრის ნახატი აოცებს, ერთ დღეში, ოცდაოთხი საათის განმავლობაში, ყოველ წუთს თვალწინ გამოცვლილმა პეიზაჟმა, რომელსაც უძლიერესი ფუნჯით ხატავს გამჩენი, ფერთა არაჩვეულებრივი ცვალებადობა არ უნდა იგრძნოს?... ფერადფერადი იები, ზამბახები, ვარდები.. ამ შავ მიწაში საიდან მოდის ამდენი ფერი?.. მოკლედ ადამიანი საკუთარ თავსა და სამყაროს სიყვარულის თვალით თუ შეხედავს, შეუძლებელია ღვთიურმა შთამბეჭდვამ და საოცრებებმა არ გააოცოს.

რწმენის მსგავსი დიდი სიკეთის შემდეგ, ყველაზე დიდი აღზრდა არის ის სულიერი სიტკბო, რომელსაც ადამიანი ალლაჰისა და შუამავლის ﷺ სიყვარულით მიაღწევს.

3. ღვთისმოსავების სიყვარული და მათ მსგავსად გადაქცევა შესაძლებელია მათი ღვთისმსახურებისა და ქცევების მაგალითად აღებით.

ფსიქოლოგიური მეცნიერება აღნიშნავს: „ენერგიულ თავისებურებებში ინფიცირების განსაკუთრებულობა დევს.“ ესე იგი, ზუსტად ეპიდემიური დაავადებების მსგავსად, მდგომარეობებიც გადამდებია. შუამავლის ﷺ თანამიმდევრები წარსულში უმეცრები იყვნენ. ისინი ალლაჰის შუამავლის ﷺ საუბრებიდან აღებული გულის ენერგიით დედამიწის ყველაზე ღირსეულ ადამიანებად იქცნენ.

ყიტმირი, რომელიც მხოლოდ ასჰაბი ქეჰფის ძაღლი იყო, იმის წყალობით, რომ ღვთისმოსავებთან ერთად იყო, დიდი მონაპოვრით დაჯილდოვდა. ყურანი მას როგორც საოცარ მაგალითს, ისე წარმოგვიდგენს.

4. ღმერთის გამო მის ქმნილებებზე თანაგრძნობითა და გულისხმიერებით მოპყრობა.

უდიდესი ღმერთი ადამიანებს ყველაზე ხშირად „რაჰმანისა და რაჰიმის“ (მოწყალე და შემწყალებელი) სახელებს ჩააგონებს. აქედან გამომდინარე, ღმერთის მოყვარული მის ქმნილებებს გულკეთილად და გულისხმიერად ექცევა. საზიანო გველის მოკვლასაც რომ აპირებდე, ის ტანჯვის მიუყენებლად ერთი დარტყმით უნდა მოკლა.

აი, ისინი არიან ადამიანები, რომლებიც ქელიმეი თეჰიდს, რომელიც სამოთხის გასაღებია, საკეტს სწორად მოარგებენ. ვეჰბ იბნ მუნებბიჰს ჰკითხეს:

„ლა ილაჰე ილლალლაჰ“ სამოთხის გასაღები არ არის?“

მან უპასუხა:

„დიახ, მაგრამ უკბილო გასაღები არ იქნება. მხოლოდ კბილებიანი გასაღებით თუ მოხვალ, (კარი) შენთვის გაიხსნება. წინაადმდეგ შემთხვევაში, არ გაიხსნება.“ (ბუჰარი)

სასწორზე ყველაზე მძიმე სიტყვა

ალლაჰის შუამავალი ბრძანებს:

„უეჭველია, რომ განკითხვის დღეს ალლაჰი ჩემი მიმდევრებისგან ერთ პიროვნებას ყველას თვალწინ გამოიყვანს, შემდეგ ზუსტად ოთხმოცდაცხრამეტ დოსიას გამოიტანენ, რომლის დანახვასაც ყველა შეძლებს, შემდეგ ეტყვის:

„აქედან რამის უარყოფა შეგიძლია? მწერალი და დამცველი ანგელოზები შენ უსამართლოდ მოგექცნენ?“

„არა, ღმერთო!“

ალლაჰი ეტყვის:

„დიახ, ჩვენთან შენი მადლიც არსებობს. დღეს შენ მიმართ არავითარი უსამართლობა არ იქნება ჩადენილი.“

შემდეგ გამოიღებენ ქაღალდს, სადაც წერია:

أَشْهَدُ اَنْ لاَ اِلَهَ اِلاَّ اللهُ وَ اَشْهَدُ أَنَّ مُحَمَّدًا عَبْدُهُ وَرَسُولُهُ

„მოდი, სასწორი მოამზადეთ!“

„ღმერთო! ამდენ დოკუმენტს ეს ქაღალდი ეყოფა?“

„შენ მიმართ დღეს უსამართლობას არ ჩაიდენენ.“

სასწორის ერთ მხარეს – ჩანაწერებს, მეორე მხარეს კი ქელიმეი შეჰადეთდაწერილ ქაღალდს დადებენ. ქაღალდი წიგნებზე მძიმე აღმოჩნდება. რადგან ალლაჰის სახელს ვერაფერი გადაწონის.“ (თირმიზი)

აქედან გამომდინარე, ჰადისში ნაბრძანებია:

„ღმერთის ხსენებათაგან ყველაზე ღირსეული **„ლა ილაჰე ილლალლაჰაა“,** *ვედრებებს შორის კი ყველაზე ღირსეული* **„ელჰამდულილლაჰ“.“** (იბნ მაჯე, ედები, 55; თირმიზი, ნესაი)

ქელიმეი თევჰიდი რწმენის საფუძველია. მას რაც უფრო მეტჯერ წარმოვთქვამთ, ის მით უფრო ჯანსაღი და სრულყოფილი გვექნება.

ჰადისში ნაბრძანებია:

„მუსამ თქვა:

„ღმერთო, რაღაც მასწავლე და შენ ისე მოგიხსენიებ, იმით შეგევედრები.“

ალლაჰმა ბრძანა:

„თქვი: „ლა ილაჰე ილლაალაჰ“ (არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა)!“

„ღმერთო! ამას ყველა ადამიანი ამბობს.“

უდიდესმა ალლაჰმა კვლავ ბრძანა:

„თქვი „ლა ილაჰე ილლაალლაჰ“ (არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა)!“

მუსამ კი:

„ღმერთო! ისეთი რამ მინდა მასწავლო, მხოლოდ მე მეკუთვნოდეს.“

ამაზედ უდიდესმა ალლაჰმა ბრძანა:

„მუსა! შვიდი ზეცა და შვიდი მიწა სასწორის ერთ მხარეს რომ დადო და **„ლა ილაჰე ილლალლაჰ“** *მეორე მხარეს,* **„ლა ილაჰე ილლალლაჰ“** *უფრო მძიმე იქნება.“* (ნესაი)

წმინდა სულეიმანი ჯინებისა – (ფერი) და ადამიანებისგან შემდგარი არმიით ერთ უბანში მიდიოდა. იქ ჭიანჭველების ერთი მინდორი იყო. ჭიანჭველების ბელადმა წმინდა სულეიმანი და მისი არმია რომ დაინახა, თქვა:

„ჭიანჭველებო! ბუდეებში შედით. სულეიმანი და მისი არმია ვერ შეგამჩნევს და არ გაგჭყლიტოთ! წმინდა სულეიმანის სასულთნო ძალიან დიდი სასულთნოა, გადაგთელავენ! ბუდეებში შედით!“

ღვთის წყალობით წმინდა სულეიმანმა ცხოველების ენაც იცოდა. ეს სიტყვები გაიგონა და ასე თქვა:

„არა, ეს სასულთნო წარმავალია. ჩემს ამქვეყნიურ ცხოვრებასაც საზღვარი აქვს. **ერთი ქელიმეი თევჰიდის მოტანილი ბედნიერება კი მარადიულია!“**

ქელიმეი თევჰიდის შესახებ შედდად იბნ ევსისგან შემდეგი თქმულებაა დარჩენილი:

ერთ დღეს წმინდა შუამავალმა ﷺ თანამიმდევრები შეკრიბა და ჰკითხა:

„თქვენ შორის უცხო არის ვინმე?“

(აქ უცხო ქრისტიანისა და ებრაელის მნიშვნელობითაა)

„არა, შუამავალო“, – უპასუხეს.

ამის შემდეგ შუამავალმა კარების დაკეტვა ბრძანა და განაგრძო:

„ხელები ასწიეთ და **„ლა ილაჰე ილლალლაჰ“** *წარმოთქვით, ამგვარად ღმერთი მოიხსენიეთ!“*

შედდად იბნ ევსი გადმოგვცემს:

„ლა ილაჰე ილლალლაჰ“ წარმოვთქვით, ამგვარად, ღმერთი მოვიხსენიეთ. შემდეგ ალლაჰის შუმავალი ღმერთს ასე შეევედრა:

„ჩემო ალლაჰო! მე შუამავლად ამ წინადადების გამო ვარ მოვლენილი. მე მისი წარმოთქმა მიბრძანე. მისი წარმოთქმის გამო მე სამოთხე შემპირდნენ. შენ დანაპირებს არ დაარღვევ.“

შემდეგ ალლაჰის შუამავალმა თანამიმდევრებს უბრძანა:

„ყურადღებით მომისმინეთ, უნდა გაგახარო! გაიხარეთ, ალლაჰმა თქვენ გაპატიათ.“ (აჰმედ იბნ ჰანბელი, თაბერანი)

ერთ-ერთ სხვა ჰადისში ნაბრძანებია:

„ლა ილაჰე ილლალლაჰ“ *ალლაჰისთვის ძალიან ძვირფასი სიტყვაა. მას მის სამფლობელოში ძალიან მაღალი ადგილი უკავია. ვინც მას სრული გულწრფელობითა და თავდადებით წარმოთქვამს, ალლაჰი სამოთხეში განათავსებს. ვინც მას რწმენის გარეშე წარმოთქვამს, სისხლს დაიცავს, ქონებას დაიცავს, თუმცა ხვალ ალლაჰთან შეხვედრისას განისჯება.“* (ჯემულ ფევაიდ, 1, 23)

ალლაჰის შუამავალი ასევე ﷺ ბრძანებს:

„თქვენ შემდეგ მოსულებს უმახარობლეთ! უმახარობლეთ, ვინც მთელი სულით და გულით **„ლა ილაჰე ილლალლაჰ“** *შეჰადეთს წარმოთქვამს, სამოთხეში შევა.“* (ჯემულ ფევაიდ, 1, 18)

აუცილებელია ადამიანმა, რომელიც ამბობს **„ლა ილაჰე ილლალლაჰ“** საკუთარი თავი მოარიდოს ნეგატიურ სურვილებს და ვნებებს რომელთაც ის უგულისყურობაში მიჰყავთ. გული მხოლოდ ალლაჰის შუქით უნდა იყოს გაბრწყინებული. სამყაროში არსებული წესრიგის, საიდუმლოებების, საოცრებისა და ძალის შემხედვარე გული უნდა გამოფხიზლდეს. ღმერთის სიდიადესა და საკუთარ არარაობაზე უნდა დაფიქრდეს... ამ საკითხთან დაკავშირებით ნაბრძანებია:

„ვინც საკუთარ თავს იცნობს, ღმერთს იცნობს.“

ამ საიდუმლოში ჩაწვდენა ძალიან მნიშვნელოვანია.

უდიდესი ღმერთი თავისით სავსე გულს მეთვალყურეობს. ერთი დერვიში ბაეზიდი ბესტამისთან მივიდა და უთხრა:

„მირჩიე ისეთი ქმედება, რომელიც ალლაჰთან დამაახლოებს!“

ბაეზიდმა მას შემდეგი რჩევა მისცა:

„ალლაჰის წმინდა მონა-მსახურები გიყვარდეს! ეცადე მათ გულში შეაღწიო, რადგან უდიდესი ღმერთი იმ ღვთისმოსავი ადამიანების გულებს დღეში 360-ჯერ აკვირდება და ამ დაკვირვებისას შენც რომ იქ გიპოვოს!..“

უკანასკნელი ამოსუნთქვისას

დიდი ბედნიერებაა – ადამიანი უკნასკნელი ამოსუნთქვისას ქელიმეი შეჰადეთის წარმოთქმას თუ შეძლებს. ამისათვის აუცილებელია მას ჩვენს გულში ადგილი ჰქონდეს. ქელიმეი თევჰიდი, ისე ცხოვრების შემთხვევაში, როგორც მისთვის აუცილებელია, გულში თავსდება. თუ ადამიანი ალლაჰის ბრძანებებსა და აკრძალვების წინაშე უგულისყუროდ და ხარვეზიანად მოიქცევა, ან საერთოდ დაშორდება, მას და ქელიმეი თევჰიდს შორის დიდი უფსკრული გაჩნდება. სანამ ის ამ უგულუსყურობიდან არ გამოფხიზლდება, ეს უფსკრული ღრმავდება, ღრმავდება და ადამიანის მიერ წარმოთქმული ბგერების მეტი არაფერი იქნება. ეს კი დიდი უბედურებაა. აქედან გამომდინარე, მარადიული ბედნიერების მოსაპოვებლად ცხოვრების ყოველ საფეხურზე ქელიმეი თევჰიდის მიმართულებით წას-

ვლა აუცილებელია. ძალიან საოცარია ქვემოთ გადმოცემული ამბავი, რომელიც ბედნიერების საუკუნეში მოხდა:

შუამავლის ﷺ თანამიმდევრებს შორის იყო ერთი ახალგაზრდა, სახელად ალყამე, რომელიც სამშობლოსთვის, სარწმუნოებისთვის მებრძოლი მონოთეისტი იყო. რაიმე მსახურება თუ გახდებოდა საჭირო, მის შესასრულებლად მაშინვე დიდი სიამოვნებით მიდიოდა. მისმა ამ ლამაზმა ქცევამ ალლაჰის შუამავლის ﷺ ყურადღება მიიქცია. მაგრამ როცა ამ ახალგაზრდას სიკვდილმა მოაკითხა, მან ქელიმეი შეჰადეთის წარმოთქმა ვერ შეძლო. ეს ალლაჰის შუამავალს ﷺ შეატყობინეს. იმის გამო, რომ ეს ახალგაზრდა უყვარდა, ალლაჰის შუამავალი ﷺ მასთან მივიდა და ჰკითხა რა მოხდაო. ახალგაზრდამ უპასუხა:

„ალლაჰის შუამავალო! ვგრძნობ რომ გული ისე მაქვს ჩაკეტილი, თითქოს ვიღაცამ საკეტი დამადო.“

წმინდა შუამავალმა ﷺ იქ მყოფებს ჰკითხა, არსებობდა თუ არა რაიმე მიზეზი, რაც ამ ახლგაზრდას ქელიმეი შეჰადეთის წარმოთქმაში ხელს უშლიდა. გამოიკვლიეს. გაიგეს, რომ ის ახალგაზრდა დედას აწუხებდა და ამის გამო დედამისი მასზე გაჯავრებული იყო. ალლაჰის შუამავალმა ﷺ ახალგაზრდის სიყვარულისა და მის მიერ გაწეული ბევრი მსახურების გამო დედამისი იქ მოაყვანინა და ჰკითხა:

„ვინმემ კოცონი რომ დაანთოს და შიგ შენი შვილის ჩაგდება განიზრახოს, თანახმა იქნები?“

დადარდიანებულმა დედამ უპასუხა:

„არა, ალლაჰის შუამავალო; თანახმა არ ვიქნები!“

ალლაჰის შუამავალმა ბრძანა:

„თუ ასეა, მას შენს წინაშე ჩადენილი დანაშაულებები მიუტევე, დედის უფლებების შელახვა აპატიე!“ (თენბიჰულ გაფილინი, 123-124)

მისი შვილისადმი წმინდა შუამავლის ﷺ ამ უსაზღვრო გულისხმიერებისა და თანაგრძნობის შემხდვარე დადარდიანებული დედის გულში დედობრივმა სიყვარულმა გაბრაზების გრძნობას სძლია და შვილს ყველა წყენა აპატია. ამ მიტევების წყალობით ახალგაზრდის გულზე დადებული ყველა საკეტი გაიხსნა და სიმშვიდე დაუფლებულმა ქელიმეი შეჰადეთი უნაკლოდ წარმოთქვა. სული დამშვიდებულმა განუტევა. აი, ამგვარი ბევრი შემთხვევაა, რომელიც ჩვენს რწმენასა და საიქიო ცხოვრებას ისე აყენებს ზიანს, ჩვენ ვერც კი ვამჩნევთ. ვინაიდან, წმინდა წიგნი და სუნნეთი ქელიმეი თევჰიდშია ჩამალული. უდიდესმა ღმერთმა ჩვენ ყველანი დაგვიფაროს უგულისყურობისგან! და გვარგუნოს ბედნიერება ბოლო ამოსუნთქვისას სული ქვემოთ მოცემული ჰადისის შესაბამისად განვუტევოთ:

„ვისი სიცოცხლის ბოლო სიტყვაც იქნება „ლა ილაჰე ილლალლაჰ“, სამოთხეში შევა.“ (ი. ჯანან, ქუთუბულ-სითთე მუჰთასარი, II, 204)

დიდი შუამდგომელი

ქელიმეი შეჰადეთი ალლაჰის საფეხურებზე ადამიანებისთვის შუამდგომლის მოვალეობას ასრულებს. ის, სანამ ადამიანი ხსნას არ მოიპოვებს, ღმერთის ლმობიერებისა და მიტევების გზაზე თხოვნას აგრძელებს.

ჰადისში ნაბრძანებია:

„ღმერთის სამყოფელის პირდაპირ მისი შუქის სვეტია აღმართული. ადამიანი როგორც კი ამბობს **„ლა ილაჰე ილლალლაჰ“,** *ის სვეტი რხევას იწყებს. ამაზე ალლაჰი ბრძანებს:*

„დამშვიდდი!“

სვეტი ეუბნება:

„ქელიმეი თევჰიდის წარმომთქმელს ჯერ არ მიტევებია. როგორ უნდა დავმშვიდდე?“

ალლაჰი ბრძანებს:

„უეჭველია, მას მივუტევე.“

სვეტიც მშვიდდება.“ (ბეზზარ)

წმინდა შუამავალი ﷺ ბრძანებს:

„მათ, ვინც წარმოთქვამს **„ლა ილაჰე ილლალლაჰ“,** *საფლავებში და განკითხვის დღეს სინანული თუ მღელვარება არ ელოდებათ. მე ისე ვარ, თითქოს მესმოდეს ჩვენგან დარდისა და ნაღველის მომშორებელ ალლაჰს როგორ უხდიან მადლობას* **„ლა ილაჰე ილლალლაჰის“** *წარმომთქმელები მიწის შეზანზარებისა და საფლავებიდან ადგომის დღეს.“* (ფეზაილ ამალი, 478)

ესენი არიან ის ადამიანები, რომლებიც მუდმივად, დღედაღამ ამბობენ **„ლა ილაჰე ილლალლაჰ“**.

გულწრფელად და პატივისცემით წარმოთქმული ქელიმეი შეჰადეთი ყველა სხვა ღვთისმსახურებაზე მაღლა დგას. ყველა შუამავლის ქადაგება მუდმივად ამ წინადადების ჩარჩოებში იყო მოქცეული. ყველა მონოთეისტურ რწმენას ეს წინადადება უდევს საფუძვლად. უდიდესი ალლაჰი ბრძანებს:

وَمَا أَرْسَلْنَا مِنْ قَبْلِكَ مِنْ رَسُولٍ إِلَّا نُوحِي إِلَيْهِ أَنَّهُ لَا إِلَهَ إِلَّا أَنَا فَاعْبُدُونِ

„არ მოგვივლენია შენზე ადრე (არცერთი) **შუამავალი, რომ მისთვის არ ზეშთაგვეგონებინა** (შემდეგი): **„უეჭველად, არ არსებობს ღვთაება ჩემ გარდა; მაშ, მე მემსახურეთ!“** (სურა ენბია, აიათი 25)

უზენაესი ალლაჰი უსაზღვროდ მიმტევებელია. როგორც ყურანშია ნაბრძანები, ის მრავალღმერთიანობის გარდა, ყველა ცოდვას სურვილის შემთხვევაში მიუტევებს. როგორც ჰადისებშია გაცხადებული, უდიდესი ღმერთი მხოლოდ მათ დასჯის, ვინც მას აუჯანყდება და ქელიმეი თევჰიდს არ წარმოთქვამს. ჰადისში ნაბრძანებია:

„როგორც კი რწმენას ამ ქვეყანაზე მაღლა დააყენებ და ისე იტყვი: **„ლა ილაჰე ილლალლაჰ“**, *ალლაჰის სატანჯველი გაქრება. ვინც ამ ქვეყანას რწმენაზე მაღლა აყენებს, როცა იტყვის:* **„ლა ილაჰე ილლალლაჰ“**, *უდიდესი ალლაჰი მიუგებს:* **„შენ ამ საკითხში**

გულწრფელი არ ხარ!“ (ფეზაილი ამალი, 481)

აბუ ჰურეირე გადმოგვცემს:

ალლაჰის შუამავალს ვკითხე:

„განკითხვის დღეს ადამიანებს შორის ყველაზე მეტად ვის უშუამდგომლებ?“

მიპასუხა:

„შენს პატივმოყვარეობას ვხედავდი და ვიცოდი, ამას შენზე ადრე არავინ მკითხავდა. ადამიანებს შორის ყველაზე მეტად ვუშუამდგომლებ მას, ვინც გულწრფელად იტყვის: **„ლა ილაჰე ილლალლაჰ“** *(არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა).“* (ბუჰარი)

წმინდა ბერა გადმოგვცემს:

„უჰუდის ბრძოლაში გაცხარებული შეტაკების მომენტში ვიღაც რკინისმუზარადიანი კაცი ალლაჰის შუამავალთან მივიდა და ჰკითხა:

„ალლაჰის შუამავალო, ახლავე მებრძოლებს შევუერთდე და შემდეგ გავმუსლიმანდე, თუ ჯერ გავმუსლიმანდე და მერე შევუერთდე მებრძოლებს?“

ალლაჰის შუამავალმა უპასუხა:

„ჯერ გამუსლიმანდი, შემდეგ იბრძოლე!“

იმ მუზარადიანმა მეომარმა ქელიმეი შეჰადეთი წარმოთქვა, გამუსლიმანდა და ბრძოლას შეუერთდა. გულში ახალადაყვავებული რწმენით აღგზნებულად იბრძოლა. საბოლოოდ შეჰიდად დაეცა. წმინდა შუამავალმა ის შეჰიდად დაცემული რომ დაინახა, ბრძანა:

„ცოტა იმუშავა – ბევრი მოიგო!“ (რამაზანოღლუ მაჰმუდ სამი, უჰუდის ბრძოლა, 35)

ქელიმეი შეჰადეთის ღირსება

ალლაჰის შუამავალი ბრძანებს:

„ალლაჰსა და მის მიერ შექმნილ ყველაფერს შორის ფარდაა. **„ლა ილაჰე ილლალლაჰის“** *წყალობით მამასა და შვილს შორის არავითარი ფარდა არ რჩება.“* (თირმიზი)

კვლავ ნაბრძანებია:

„ხუთი სახეობის წყვდიადი და მათი საპირისპირო ხუთგვარი სინათლე არსებობს:

ა. ამქვეყნის სიყვარული წყვდიადია, ნათელი – ღვთისმოშიშობა;

ბ. ცოდვა წყვდიადია, ნათელი – მონანიება;

გ. საფლავი წყვდიადია, ნათელი – **„ლა ილაჰე ილლალლაჰ მუჰამმედუნ რასულ ალლაჰ“** (არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა, მუჰამმედი მისი შუამავალია);

დ. საიქიო წყვდიადია, ნათელი – ღვთისმოსავი ქმედებებია.

ე. ბეწვის ხიდი წყვდიადია, მისი ნათელი – ურყევი და ძლიერი რწმენა.“

ამ ნათელის კლიმატში შესული ადამიანი მარადიულ ბედნიერებას მოიპოვებს.

წმინდა შუამავალი ბრძანებს:

„უდიდესი ალლაჰი (განკითხვის დღეს ბრძანებს): „ვისაც **„ლა ილაჰე ილლალლაჰ“** *უთქვამს, ვისაც გულში იოტისოდენა რწმენა ჰქონია, ის ჯოჯოხეთიდან გამოიყვანეთ! ვისაც* **„ლა ილაჰე ილლალლაჰ“** უთქვამს, ვისაც მე ვუხსენებივარ და სადმე ჩემი შეშინებია, ის ჯოჯოხეთიდან გამოიყვანეთ!“ (ჰაქიმი)

„თქვენგან ვინც გულდასმით აბდესს აიღებს და იტყვის:

أَشْهَدُ اَنْ لاَ اِلَهَ اِلاَّ اللهُ وَ اَشْهَدُ أَنَّ مُحَمَّدًا عَبْدُهُ وَرَسُولُهُ

სამოთხის რვა კარი მისთვის გაიღება და მას შეუძლია სამოთხეში იმ კარიდან შევიდეს, რომლიდანაც ისურვებს.“ (მუსლიმი, თაჰარეთი, 17; აბუ დავუდი, იბნ მაჯე)

ქელიმეი თევჰიდი გულის სინათლე და ადამიანის სახის შუქია.

„თქვენს პატარა ბავშვებს ლაპარაკი **„ლა ილაჰე ილლალლაჰ“** *წაროთქმით დააწყებინეთ. სიკვდილის დროს მათ* **„ლა ილაჰე ილლალლაჰ“** *ჩააგონეთ! რადგან ადამიანი, რომლის პირველი და ბოლო სიტყვა* **„ლა ილაჰე ილლალლაჰ“** *იქნება, არც ერთი ცოდვისთვის არ განისჯება, ათასი წელიც რომ იცოცხლოს.“* (ბეიჰაქი)

მხოლოდ, ქელიმეი თევჰიდი ცხოვრების გამგებელი რომ გახდეს, ძალიან მნიშვნელოვანია. ვინაიდან, ადამიანების საბოლოო მდგომარეობა ამ საკითხის ხარისხის მიხედვით იქნება. გადმოცემის მიხედვით, იბრაჰიმმა

ერთ დღეს აზრაილს ჰკითხა:

„აზრაილ! შენ ბოროტ ადამიანებს სულს რომ ართმევ, მათ როგორ ექცევი? შენი იმ მდგომარეობაში ნახვა მინდა.

აზრაილმა კითხვითვე უპასუხა:

„წმინდა შუამავალო, ამის გაძლება შეგიძლია?“

იბრაჰიმმა მიუგო:

„დიახ, შემიძლია გავუძლო.“

„თუ ასეა, მეორე მხარეს მიტრიალდი!“

იბრაჰიმი რომ შემობრუნდა, აზრაილი საშიში გარეგნობით დაინახა. მისი ყველა მდგომარეობა გარშემო საშინელებას აფრქვევდა. ამის შემხედვარე იბრაჰიმს გული წაუვიდა. გონს რომ მოეგო, აზრაილი პირველი სახით დაინახა და მას უთხრა:

„ბოროტ ადამიანს რამეც რომ არ სჭირდეს, მხოლოდ შენი სახის დანახვა ეყოფა!“ (მ. სამი რამაზანოღლუ, იბრაჰიმ ალეიჰისსელამ)

რა თქმა უნდა, ღვთისმოსავი ადამიანებისთვის, ვინც სიცოცხლეს სრულყოფილ მორწმუნეებად გალევენ, ეს საპირისპიროდ გამოვლინდება.

ამქვეყნიური და იმქვეყნიური ბედნიერების მომპოვებელი სრულყოფილი რწმენა ადამიანს სიცოცხლის ბოლომდე ათასობით გამოცდის სალტეში გაატარებს. თუკი შედეგი წუნდაუდებელი იქნება ადამიანი სრულყოფილი მორწმუნეა; თუ პირიქით – ურწმუნო.

აქედან გამომდინარე, ადამიანები რწმენისა და ღირსების საკითხში ათასგვარი ტანჯვა-წამებითა და დარდით აღსავსე ფაზას გაივლიან. ამგვარად, ღმერთის გზაზე ერთგულები და ცოდვილები ერთმანეთისგან განსხვავებული არიან. ამის გამო მხოლოდ რწმენა საკმარისი არ არის. მისი ღვთისმოსავი ქმედებით შემკობა აუცილებელია იმისთვის, რათა ადამიანი ავიდეს იმ დონემდე, რომ შეძლოს ღვთიური გამოცდების წარმატებით ჩაბარება.

უდიდესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

الم أَحَسِبَ النَّاسُ أَنْ يُتْرَكُوا أَنْ يَقُولُوا ءَامَنَّا وَهُمْ لَا يُفْتَنُونَ

وَلَقَدْ فَتَنَّا الَّذِينَ مِنْ قَبْلِهِمْ فَلَيَعْلَمَنَّ اللَّهُ الَّذِينَ صَدَقُوا وَلَيَعْلَمَنَّ الْكَاذِبِينَ

„ელიფ. ლამ. მიმ. ნუთუ ეგონათ ადამიანებს გამოცდის ჩაუბარებლად, მხოლოდ „ვირწმუნეთ!“ – თქმით გათავისუფლდებოდნენ? ვფიცავ, ჩვენ მათი წინაპრებიც გამოვცადეთ. ალლაჰი უეჭველად გამოააშკარავებს ერთგულებსაც და მატყუარებსაც“ (სურა ანქებუთი, აიათები 1-3)

ამის მიხედვით, რწმენა – წყალობაა, ხოლო გამოცდა – მისი რეაქტივია, მოთმინება და ღმერთზე მინდობით რწმენის დაცვა და საფასურია. ესე იგი, უდიდესი ღმერთი იმისათვის, რომ ბოძებული სიკეთეების სიმაღლე და ფასი შეამეცნებინოს, ადამიანების ბედისწერით განსაზღვრულ გამოცდებში ჩვეულებრივ საფასურს მოითხოვს.

إِنَّ اللَّهَ اشْتَرَى مِنَ الْمُؤْمِنِينَ أَنْفُسَهُمْ وَأَمْوَالَهُمْ بِأَنَّ لَهُمُ الْجَنَّةَ

„უეჭველად, ალლაჰმა მორწმუნეებისაგან, მათთვის(ვე მიცემული) **სამოთხის სანაცვლოდ, მათი ქონება და სულები იყიდა.“** (სურა თვბე, აიათი 111)

აქედან გამომდინარე, ღმერთის კმაყოფილების მოსაპოვებლად ღმერთის ნასურვები საფასურის სიხარულით მის გზაზე დახარჯვა რწმენის სრულყოფის საშუალებაა. უეჭველია, რომ მორწმუნეებისთვის ამ გამოსაცდელ ქვეყანაში არსებული გატაცებები, სიძნელეები და ტანჯვა, საიქიო მონაპოვრის საფასურია.

მეორე მხრივ, ამქვეყნიურობის ჟინით შეპყრობილი ურწმუნოების მხრიდან ყურანისა და რწმენის მიხედვით მაცხოვრებელთა შეწუხება მათთვის მარადიული ტანჯვის მოპოვების საფასურია. ვინაიდან, მათ ორი რამის გამო დაიმსახურეს სატანჯველი: პირველი – რწმენის, მეორე – მორწმუნეთა ჩაგვრისათვის.

მოკლედ, ნამდვილი რწმენის საფასური, ესე იგი, სრულყოფილ მორწმუნედ ქცევა დაკავშირებულია იმასთან, რომ ადამიანმა მხოლოდ ალლაჰს გაუწიოს მონა-მსახურება და სხვა არავის, არაფერი გაიხადოს ღმერთთად. ეს ნიშნავს, ადამიანი ეცადოს წარმატებით ჩააბაროს რწმენისთვის აუცილებელი გამოცდა. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია ყველა იმ ქმედებისგან თავის დაცვა, რომელიც სრულყოფილი რწმენის მოპოვებას ხელს უშლის. ამ აუცილებლობის შეუმჩნევლობა ნიშნავს ძალიან ახლო მომავალში გამოუვალი სინანულის მორევში დახრჩობას და განადგურებას.

შეჰადეთის დამზიანებელი ქმედებები

1. ალლაჰის გარდა, სხვა ვინმეზე ნდობა და მორჩილება;

აიათში ნაბრძანებია:

لَقَدْ نَصَرَكُمُ اللَّهُ فِي مَوَاطِنَ كَثِيرَةٍ وَيَوْمَ حُنَيْنٍ إِذْ أَعْجَبَتْكُمْ كَثْرَتُكُمْ فَلَمْ تُغْنِ عَنْكُمْ شَيْئًا وَضَاقَتْ عَلَيْكُمُ الْأَرْضُ بِمَا رَحُبَتْ ثُمَّ وَلَّيْتُمْ مُدْبِرِينَ

„ვფიცავ, ალლაჰი დაგეხმარათ მრავალ ადგილსა და ჰუნეინის დღესაც. როცა გხიბლავდათ თქვენი (ჯარის) **სიმრავლე, მაგრამ ამან თქვენ გამარჯვება ვერ** (აფერი) **მოგიტანათ. და თავისი სიფართოვის მიუხედავად,** (მოგეჩვენათ, რომ) **დედამიწა თქვენთვის დავიწროვდა...“**
(სურა თევბე, აიათი 25)

2. ღმერთის ბრძანებებისა და აკრძალვების უარყოფა და ვნებაზე მორჩილება. ესე იგი, ალლაჰსა და შუამავალზე დაუმორჩილებლობა;

უდიდესი ალლაჰი ბრძანებს:

أَفَغَيْرَ اللَّهِ أَبْتَغِي حَكَمًا وَهُوَ الَّذِي أَنْزَلَ إِلَيْكُمُ الْكِتَابَ مُفَصَّلًا وَالَّذِينَ ءَاتَيْنَاهُمُ الْكِتَابَ يَعْلَمُونَ أَنَّهُ مُنَزَّلٌ مِنْ رَبِّكَ بِالْحَقِّ فَلَا تَكُونَنَّ مِنَ الْمُمْتَرِينَ

وَتَمَّتْ كَلِمَةُ رَبِّكَ صِدْقًا وَعَدْلًا لَا مُبَدِّلَ لِكَلِمَاتِهِ وَهُوَ السَّمِيعُ الْعَلِيمُ

وَإِنْ تُطِعْ أَكْثَرَ مَنْ فِي الْأَرْضِ يُضِلُّوكَ عَنْ سَبِيلِ اللَّهِ إِنْ يَتَّبِعُونَ إِلا

الظَّنَّ وَإِنْ هُمْ إِلَّا يَخْرُصُونَ

إِنَّ رَبَّكَ هُوَ أَعْلَمُ مَنْ يَضِلُّ عَنْ سَبِيلِهِ وَهُوَ أَعْلَمُ بِالْمُهْتَدِينَ

„განა, ვეძიო მსაჯული ალლაჰის გარდა, რომელმაც გარდმოავლინა ცხადად განმარტებული წიგნი“. მათ, ვისაც წიგნი მოვუვლინეთ, იციან, რომ უეჭველად, იგი შენი ღმერთისგან ჭეშმარიტებითაა გარდმოვლენილი. და ნუ იქნებით ეჭვიანთაგანი!

შენმა ღმერთმა სრულჰყო თავისი სიტყვა სისწორითაც და სიმართლითაც. არ(ავინ) არის მისი სიტყვების შემცვლელი. ის მცოდნეა, გამგონია.

დედამიწაზე მცხოვრებთა უმრავლესობას, თუკი დაუჯერებ, ალლაჰის გზას აგაცდენენ, ვინაიდან ისინი მხოლოდ ეჭვს აჰყოლიან და მხოლოდ ცრუობენ.

უეჭველად, შენმა ღმერთმა ყველაზე კარგად იცის მისი გზიდან გადაცდენილები. და მან (ასევე) **ყველაზე კარგად იცის ჭეშმარიტ გზაზე მყოფები(ც).“** (სურა ენამი, აიათები 114-117)

يَاأَيُّهَا الَّذِينَ ءَامَنُوا إِنْ تُطِيعُوا فَرِيقًا مِنَ الَّذِينَ أُوتُوا الْكِتَابَ يَرُدُّوكُمْ

بَعْدَ إِيمَانِكُمْ كَافِرِينَ

وَكَيْفَ تَكْفُرُونَ وَأَنْتُمْ تُتْلَى عَلَيْكُمْ ءَايَاتُ اللَّهِ وَفِيكُمْ رَسُولُهُ وَمَنْ يَعْتَصِمْ بِاللَّهِ فَقَدْ هُدِيَ إِلَى صِرَاطٍ مُسْتَقِيمٍ

„ეი, ადამიანებო! თუკი მიყვებით წიგნბოძებულთა ერთ ნაწილს, (ისინი) **თქვენი რწმენის შემდეგ თქვენ ურწმუნოებად გაქცევენ.**

და როგორ გაურწმუნოვდებით მაშინ როცა თქვენ გეკითხებათ ალლაჰის აიათები და თვენთვისაა მისი შუამავალი? ვინც ალლაჰს (მი)**ეკედლება,ის უეჭველად ჭეშმარიტ გზაზეა.“** (სურა ალი იმრანი, აიათები 100-101)

يَاأَيُّهَا الَّذِينَ ءَامَنُوا إِنْ تُطِيعُوا الَّذِينَ كَفَرُوا يَرُدُّوكُمْ عَلَى أَعْقَابِكُمْ فَتَنْقَلِبُوا خَاسِرِينَ

بَلِ اللَّهُ مَوْلَاكُمْ وَهُوَ خَيْرُ النَّاصِرِينَ

سَنُلْقِي فِي قُلُوبِ الَّذِينَ كَفَرُوا الرُّعْبَ بِمَا أَشْرَكُوا بِاللَّهِ مَا لَمْ يُنَزِّلْ بِهِ سُلْطَانًا وَمَأْوَاهُمُ النَّارُ وَبِئْسَ مَثْوَى الظَّالِمِينَ

وَلَقَدْ صَدَقَكُمُ اللَّهُ وَعْدَهُ إِذْ تَحُسُّونَهُمْ بِإِذْنِهِ حَتَّى إِذَا فَشِلْتُمْ وَتَنَازَعْتُمْ فِي الْأَمْرِ وَعَصَيْتُمْ مِنْ بَعْدِ مَا أَرَاكُمْ مَا تُحِبُّونَ مِنْكُمْ مَنْ يُرِيدُ الدُّنْيَا وَمِنْكُمْ مَنْ يُرِيدُ الْآخِرَةَ ثُمَّ صَرَفَكُمْ عَنْهُمْ لِيَبْتَلِيَكُمْ وَلَقَدْ

عَفَا عَنْكُمْ وَاللَّهُ ذُو فَضْلٍ عَلَى الْمُؤْمِنِينَ

إِذْ تُصْعِدُونَ وَلَا تَلْوُونَ عَلَى أَحَدٍ وَالرَّسُولُ يَدْعُوكُمْ فِي أُخْرَاكُمْ
فَأَثَابَكُمْ غَمًّا بِغَمٍّ لِكَيْلَا تَحْزَنُوا عَلَى مَا فَاتَكُمْ وَلَا مَا أَصَابَكُمْ وَاللَّهُ
خَبِيرٌ بِمَا تَعْمَلُونَ

„ადამიანებო! თუ ურწმუნოებს დაემორჩილებით, ისინი უკან თქვენსავე წარსულთან დაგაბრუნებენ.

არა! ალლაჰია თქვენი ღმერთი და ის არის ყველაზე საუკეთესო დამხმარე.

ურწმუნოებს გულებში შიშს ჩაუგდებთ, რადგან ალლაჰს მოზიარედ დაუწესეს ის, რის შესახებაც არავითარი მტკიცებულება არ მოუვლენია. მათი მისაღწევი ადგილი ჯოჯოხეთია. რა ცუდია ცოდვილთა და უსამართლოთა სამყოფელი!

ვფიცავ, ალლაჰმა თქვენთვის მოცემული პირობა შეასრულა. როცა მისი ნებ(ართვ)ით ჰხოცავდით მათ. მას შემდეგ, რაც (ალლაჰმა) **თქვენ სასურველი** (გამარჯვება) **გაჩვენათ, კამათი ბრძანებაზე** (და)**იწყეთ; თქვენგან ვის – ამქვეყნიური, ვის**(აც) **იმქვეყნიური სურდა; როცა გამოსაცდელად ალლაჰმა მათგან** (მტრისგან) **უკან დაგახევინათ. და ვფიცავ, ალლაჰმა თქვენ მაინც გაპატიათ,** (რადგან) **ალლაჰი მორწმუნეთა მიმართ სიკეთით აღსავსეა.**

როცა, (ბრძოლის ველიდან) **ისე გარბოდით არც ერთი უკან არ იხედებოდით, შუამავალი თქვენ უკან**

მოგძახოდა. დანაკარგისა და თავს დამტყდარის გამო, რომ არ დამწუხრებულიყავით, ალლაჰმა თქვენ დარდზე დარდი მოგცათ. უეჭველად, ალლაჰმა საკადრისად იცის, რასაც სჩადიხართ.“ (სურა ალი-იმრანი, აიათები 149-153)

ეს აიათები ყურადღებას უჰუდის ბრძოლას აქცევს. წმინდა შუამავალმა ﷺ დასაწყისში ორმოცდაათკაციანი მშვილდოსანთა ჯგუფი მტრის ზურგში განათავსა. მათ უბრძანა: მუსლიმანები გაიმარჯვებდნენ, თუ დამარცხდებოდნენ, ამ ადგილს არ მოშორებოდნენ. მაგრამ ამქვეყნიურობით შეპყრობილებმა რომ დაინახეს, მუსლიმანები იმარჯვებდნენ, სამხედრო ნადავლის მოპოვების მიზნით, ადგილები მიატოვეს და საომარ ველზე გავიდნენ. ათი კაცით მხოლოდ მეთაურები დარჩნენ. ამ მდგომარეობით მტერმა ისარგებლა, ის ათი მეისრე მოკლა და მუსლიმანებს ზურგიდან თავს დაესხა. ორ ცეცხლს შორის მოქცეული მუსლიმანები დაიფანტნენ. წმინდა შუამავალი ﷺ ცდილობდა თავისი მომხრეები შეეკრიბა. თავადაც დაჭრილი იყო. საბოლოოდ მუსლიმანები შეიკრიბნენ, უცილობელ განადგურებას გადარჩნენ, მაგრამ ომი წააგეს. მეისრეებს ალლაჰის შუამავლისთვის ﷺ რომ დაეჯერებინათ და ადგილები არ დაეტოვებინათ, ამ მდგომარეობაში არ აღმოჩნდებოდნენ. სამწუხაროდ, ეს მათთვის გაკვეთილად იქცა. ამის შემდეგ ალლაჰის შუამავლის ბრძანების საწინააღმდეგოდ აღარასდროს მოქცეულან.

ثُمَّ أَنْزَلَ عَلَيْكُمْ مِنْ بَعْدِ الْغَمِّ أَمَنَةً نُعَاسًا يَغْشَى طَائِفَةً مِنْكُمْ وَطَائِفَةٌ
قَدْ أَهَمَّتْهُمْ أَنْفُسُهُمْ يَظُنُّونَ بِاللَّهِ غَيْرَ الْحَقِّ ظَنَّ الْجَاهِلِيَّةِ يَقُولُونَ هَلْ

لَنَا مِنَ الْأَمْرِ مِنْ شَيْءٍ قُلْ إِنَّ الْأَمْرَ كُلَّهُ لِلَّهِ يُخْفُونَ فِي أَنْفُسِهِمْ مَا
لَا يُبْدُونَ لَكَ يَقُولُونَ لَوْ كَانَ لَنَا مِنَ الْأَمْرِ شَيْءٌ مَا قُتِلْنَا هَاهُنَا قُلْ
لَوْ كُنْتُمْ فِي بُيُوتِكُمْ لَبَرَزَ الَّذِينَ كُتِبَ عَلَيْهِمُ الْقَتْلُ إِلَى مَضَاجِعِهِمْ
وَلِيَبْتَلِيَ اللَّهُ مَا فِي صُدُورِكُمْ وَلِيُمَحِّصَ مَا فِي قُلُوبِكُمْ وَاللَّهُ عَلِيمٌ
بِذَاتِ الصُّدُورِ

„დარდის შემდეგ თქვენზე უსაფრთხოება და მთვლემარება გარდმოავლინა, რომელმაც თქვენგან ერთნი შემოსა, მეორენი კი საკუთარ თავზე ზრუნვაში, ალლაჰზე, უვიცობის დროინდელმა უსამართლო, ფიქრმა აიტანა. ამბობენ: „განა, ჩვენ ამ საქმისგან რაიმე დაგვრჩება?“ უთხარი: „უეჭველად, ყველა საქმე ალლაჰისთვისაა.“ შენთვის გაუმხელელს შიგნით მალავენ. ამბობენ: „ეს საქმე ჩვენთვის რომ ყოფილიყო, აქ არ დავიხოცებოდით.“. უთხარი: „საკუთარ სახლებშიც რომ ყოფილიყავით, მათ, ვისაც სიკვდილი ეწერათ, კვლავ იმ ადგილზე მივიდოდნენ, სადაც უნდა მომკვადარიყვნენ.“ და ეს ალლაჰის მიერ ჩვენი გამოცდისა და ჩვენს გულში არსებულის გაწმენდისთვისაა. ალლაჰმა გულებში არსებული საკადრისად იცის.“ (სურა ალი-იმრანი, აიათი 154)

أَلَمْ أَعْهَدْ إِلَيْكُمْ يَابَنِي ءَادَمَ أَنْ لَا تَعْبُدُوا الشَّيْطَانَ إِنَّهُ لَكُمْ عَدُوٌّ مُبِينٌ
وَأَنِ اعْبُدُونِي هَذَا صِرَاطٌ مُسْتَقِيمٌ

وَلَقَدْ أَضَلَّ مِنْكُمْ جِبِلًّا كَثِيرًا أَفَلَمْ تَكُونُوا تَعْقِلُونَ

„განა პირობა არ დაგადებინეთ თქვენ – ადამის ძენო, რომ თაყვანი არ სცეთ ეშმაკს; ვინაიდან ის თქვენი სრულიად აშკარა მტერია.

მე მეთაყვანეთ, ესაა ჭეშმარიტი გზა!

და ვფიცავ, თქვენგან უამრავი ადამიანი მან გზას ააცდინა. გონს არ მოეგებით?“ (სურა იასინი, აიათები 80-82)

3. ისლამის მოტანილი ღვთიური კრიტერიუმების ერთი ნაწილის ან ყველას მოუწონობა;

4. ამქვეყნიური ცხოვრების იმქვეყნიურობაზე მჯობინება და ამ წარმავალი ქვეყნის მიზნად ქცევა. აიათში ნაბრძანებია:

الَّذِينَ يَسْتَحِبُّونَ الْحَيَاةَ الدُّنْيَا عَلَى الْآخِرَةِ وَيَصُدُّونَ عَنْ سَبِيلِ اللَّهِ وَيَبْغُونَهَا عِوَجًا أُولَئِكَ فِي ضَلَالٍ بَعِيدٍ

„ვისაც ამქვეყნიური (წარმავალი) **ცხოვრება იმქვეყნიურს ურჩევნია,** (ადამიანებს) **ალლაჰის გზაზე წინ ეღობებიან და მათი გამრუდება სურთ. აი, ისინი უკიდურეს ცდომილებაში არიან.“** (სურა იბრაჰიმი, აიათი 3)

5. ალლაჰის და შუამავლის მიერ ჰალალად დაწესებულის – ჰარამად, ჰარამად დაწესებულის კი ჰალალად ჩათვლა.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

ثُمَّ أَنْتُمْ هَؤُلَاءِ تَقْتُلُونَ أَنْفُسَكُمْ وَتُخْرِجُونَ فَرِيقًا مِنْكُمْ مِنْ دِيَارِهِمْ
تَظَاهَرُونَ عَلَيْهِمْ بِالْإِثْمِ وَالْعُدْوَانِ وَإِنْ يَأْتُوكُمْ أُسَارَى تُفَادُوهُمْ وَهُوَ
مُحَرَّمٌ عَلَيْكُمْ إِخْرَاجُهُمْ أَفَتُؤْمِنُونَ بِبَعْضِ الْكِتَابِ وَتَكْفُرُونَ بِبَعْضٍ فَمَا
جَزَاءُ مَنْ يَفْعَلُ ذَلِكَ مِنْكُمْ إِلَّا خِزْيٌ فِي الْحَيَاةِ الدُّنْيَا وَيَوْمَ الْقِيَامَةِ
يُرَدُّونَ إِلَى أَشَدِّ الْعَذَابِ وَمَا اللَّهُ بِغَافِلٍ عَمَّا تَعْمَلُونَ

أُولَئِكَ الَّذِينَ اشْتَرَوُا الْحَيَاةَ الدُّنْيَا بِالْآخِرَةِ فَلَا يُخَفَّفُ عَنْهُمُ
الْعَذَابُ وَلَا هُمْ يُنْصَرُونَ

„შემდეგ, თქვენ ისინი ხართ, (ვინც) **ჰხოცავთ ერთ-მანეთს და თქვენგან ზოგს საკუთარი ქვეყნიდან, სდევნიდით მათ წინააღმდეგ ცოდვითა და მტრობით ერთიანდებით, და თუკი** (განდევნილი) **ტყვედ** (უკან) **მოგგვარეს მათ გამოსასყიდს უხდით, მაგრამ მათი** განდევნა (თავიდანვე) **გეკრძალებოდათ. ნუთუ წიგნის ნაწილი გწამთ და ნაწილს უარყოფთ? და თქვენგან, ვინც ამას სჩადის, მათთვის ამქვეყნიური სამაგიერო მხოლოდ სიმდაბლეა. და საიქიოში** (კი) **უსაშინლეს სატანჯველს მიეცემიან. ალლაჰი თქვენი ქმედების უვიცი არაა.**

ისინი არიან ადამიანები, ვინც საიქიოს ფასად სააქაო იყიდა, ამიტომ მათ სასჯელი არ შეუმსუბუქდებათ, ისინი დახმარებასაც ვერ მიიღებენ." (სურა ბაყარა, აიათები 85-86)

ჰადისში ნაბრძანებია:

„ყურადღება მიაქციეთ! შეგიძლიათ წარმოიდგინოთ კაცი, რომელიც თქვენს მხარზეა დაყრდნობილი და თქვენ ჩემს ჰადისს ეუბნებით, ის კი ამის პასუხად გეუბნება: „თქვენსა და ჩვენს შორის ყურანია. რაც იქ ჰალალია – ჰალალად, რაც ჰარამია ჰარამად ჩავთვალოთ.“ რადგან რასაც ალლაჰის შუამავალი ჰარამად აწესებს, ზუსტად იგივეა, ის ალლაჰს აეკრძალოს.“ (აბუ დავუდი, სუნნე, 5)

„თქვენ ორ რამეს გიტოვებ. სანამ მათ მტკიცედ მოეჭიდებით გზას არ აცდებით. პირველი: ალლაჰის წიგნი ყურანი; მეორე: შუამავლის სუნნეთია...“ (მუვათთა, ქადერი, 3)

6. ურწმუნოებსა და ფარისევლებთან მეგობრობა და მორწმუნეებისა და მონოთეისტების სიძულვილი;

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

يَاأَيُّهَا الَّذِينَ ءَامَنُوا لَا تَتَّخِذُوا الْيَهُودَ وَالنَّصَارَى أَوْلِيَاءَ بَعْضُهُمْ أَوْلِيَاءُ بَعْضٍ وَمَنْ يَتَوَلَّهُمْ مِنْكُمْ فَإِنَّهُ مِنْهُمْ إِنَّ اللَّهَ لَا يَهْدِي الْقَوْمَ الظَّالِمِينَ

فَتَرَى الَّذِينَ فِي قُلُوبِهِمْ مَرَضٌ يُسَارِعُونَ فِيهِمْ يَقُولُونَ نَخْشَى أَنْ تُصِيبَنَا دَائِرَةٌ فَعَسَى اللَّهُ أَنْ يَأْتِيَ بِالْفَتْحِ أَوْ أَمْرٍ مِنْ عِنْدِهِ فَيُصْبِحُوا عَلَى مَا أَسَرُّوا فِي أَنْفُسِهِمْ نَادِمِينَ

„ეი, თქვენ ვინც ირწმუნეთ! იუდეველები და ქრისტიანები მეგობრად (ზედამხედველად) **არ გაიხადოთ. ისინი ერთმანეთის მეგობრები არიან. თქვენგან ვინც მათ დაიმეგობრებს, ისიც იმათ**(ნაირ)**თაგანია. უეჭველად, ალლაჰი უსამართლო ხალხს ჭეშმარიტ გზაზე არ დააყენებს“**

იხილავ მათ, ვისაც გულებში სენი აქვთ, ერთმანეთთან დარბიან და ამბობენ: „გვეშინია უბედურება არ დაგვატყდეს“. ეგება მოვა დრო, როცა ალლაჰი მათ გამარჯვებას ან (სხვა რაიმე) **ბრძანებას მისცემს და ისინი, რაც საკუთარ სულებში დამალეს, მოინანიებენ.“**
(სურა მაიდე, აიათები 51-52)

إِنَّمَا وَلِيُّكُمُ اللَّهُ وَرَسُولُهُ وَالَّذِينَ ءَامَنُوا الَّذِينَ يُقِيمُونَ الصَّلَاةَ وَيُؤْتُونَ الزَّكَاةَ وَهُمْ رَاكِعُونَ

وَمَنْ يَتَوَلَّ اللَّهَ وَرَسُولَهُ وَالَّذِينَ ءَامَنُوا فَإِنَّ حِزْبَ اللَّهِ هُمُ الْغَالِبُونَ

يَاأَيُّهَا الَّذِينَ ءَامَنُوا لَا تَتَّخِذُوا الَّذِينَ اتَّخَذُوا دِينَكُمْ هُزُوًا وَلَعِبًا مِنَ الَّذِينَ أُوتُوا الْكِتَابَ مِنْ قَبْلِكُمْ وَالْكُفَّارَ أَوْلِيَاءَ وَاتَّقُوا اللَّهَ إِنْ كُنْتُمْ مُؤْمِنِينَ

وَإِذَا نَادَيْتُمْ إِلَى الصَّلَاةِ اتَّخَذُوهَا هُزُوًا وَلَعِبًا ذَلِكَ بِأَنَّهُمْ قَوْمٌ لَا يَعْقِلُونَ

„თქვენი მეგობარი მხოლოდ ალლაჰი, მისი შუამავალი, ნამაზის მლოცავი, ზექათის გადამხდელი და რუქუღის შემსრულებელი მორწმუნეები არიან.

ვინც ალლაჰს, შუამავალს და მორწმუნეებს მეგო-

ბრად გაიხდის, უეჭველად, ისინი ალლაჰის მომხრეები და უპირატესნი არიან.

ეი, თქვენ, ვინც ირწმუნეთ! ურწმუნონი და თქვენზე ადრე წიგნებბოძებულთაგან, რწმენის მასხრად ამგდებნი, მეგობრად არ გაიხადოთ. და ალლაჰის გეშინოდეთ, თუკი მორწმუნე ხართ.

როცა ნამაზზე იხმობენ, დასცინიან და მახსრად იგდებენ მას. ეს იმიტომ, რომ ისინი გონებაჩლუნგი ადამიანები არიან." (სურა მაიდე, აითები 55-58)

7. წმინდა შუამავლის ﷺ წინაშე უზრდელად მოქცევა. მისი ისე არცნობა, როგორც სინამდვილეშია. მისი იმ თვისებების, რაც ალლაჰმა უბოძა, სრულად აუღიარებლობა ან უარყოფა. მისი ისე აღწერა, რაც მის უმაღლეს თვისებებს არ შეესაბამება. აუღიარებლობა იმისა, რომ ის კაცობრიობისათვის უბადლო მაგალითია. სუნნეთის უარყოფაა.

აქედან გამომდინარე, ის ვინც წმინდა შუამავალს ﷺ უბრალო ბედუინ არაბს უწოდებს, ურწმუნო გახდება.

8. მრავალღმერთიანობის მოწონება მონოთეიზმის უპატივცემულობაა;

აიათში ნაბრძანებია:

وَإِذَا ذُكِرَ اللَّهُ وَحْدَهُ اشْمَأَزَّتْ قُلُوبُ الَّذِينَ لَا يُؤْمِنُونَ بِالْآخِرَةِ

وَإِذَا ذُكِرَ الَّذِينَ مِنْ دُونِهِ إِذَا هُمْ يَسْتَبْشِرُونَ

„და როცა ალლაჰი ერთადერთ(ღვთაებ)**ად ხსენდება,**

მათ, ვისაც საიქიო არ სწამთ, გულები შეუწუხდებათ. მაგრამ, ალლაჰის გარდა, სხვა კერპების ხსენებისას მაშინვე სახეები უღიმით.“ (სურა ზუმერი, აიათი 45)

მათ, ვისაც არ სწამთ, რომ სამყაროსა და ადამიანის ცხოვრებაში მომხდარი შემთხვევების მიზეზები ალლაჰის ნება-სურვილებს ემთხვევა, სახე მოღუშული და სულიერება მოშლილი აქვთ. პირიქით რომ მოიქცნენ, ესე იგი, მიზეზები, ხასიათი, დამთხვევები და მსგავსი ელემენტები დაუკავშირონ ერთმანეთს, კმაყოფილებით მთვრალი იქნებიან. მაგრამ იმის გამო, რომ ასე არ იქცევიან, სამყაროში არსებული ღვთიური პროგრამით გათვალისწინებული სატანჯველი დაატყდებათ თავს. აიათში ნაბრძანებია:

ظَهَرَ الْفَسَادُ فِي الْبَرِّ وَالْبَحْرِ بِمَا كَسَبَتْ أَيْدِي النَّاسِ لِيُذِيقَهُمْ
بَعْضَ الَّذِي عَمِلُوا لَعَلَّهُمْ يَرْجِعُونَ

„ადამიანთა ხელით ნამოქმედარის გამო, ხმელეთსა და ზღვაში, თვალსაჩინო გახდა უწესრიგობა. (მათ) **ნამოქმედართა ნაწილს** (ალლაჰი) **მათ აგემინებს; ეგება** (მცდარი გზინდან) **მობრუნდებიან...“** (სურა რუმი, აიათი 41)

აქედან გამომდინარე, ამგვარი შემთხვევების დროს უდიდეს ღმერთს უნდა შევეფაროთ და მიტევება ვთხოვოთ, რადგან უდიდესი ღმერთი აიათში ბრძანებს:

وَمَا كَانَ اللَّهُ لِيُعَذِّبَهُمْ وَأَنْتَ فِيهِمْ وَمَا كَانَ اللَّهُ مُعَذِّبَهُمْ وَهُمْ
يَسْتَغْفِرُونَ

„...თუ ისინი მოინანიებენ, ალლაჰი მათ სატანჯველს არ მოუვლენს...“ (სურა ენფალი, აიათი 33)

მათ შესახებ, ვინც ამ აიათს ყურადღებას არ აქცევს და უგულისყურობას, ცოდვასა და ამბოხებას აგრძელებს, უზენაესი ალლაჰი წმინდა შუამავალის ﷺ პირით გადმოცემულ ერთ-ერთ „ჰადისი ყუდსი“–ში ბრძანებს:

„მე ვარ არსება, ვისაც მოზიარე არ ჰყავს. ვინც რაიმე ღვთისმსახურებას ჩაიდენს და ამაში მოზიარეს დამიწესებს, მე მას იმ მოზიარესთან დავტოვებ.“ (მუსლიმი, ზუჰდი, 46)

ალლაჰის შუამავალმა ﷺ თანამიმდევრებს ჰკითხა:

„ყური დამიგდეთ, გინდათ, გითხრათ დეჯჯალზე მეტად რისი მეშინია?“

„ბრძანეთ, ალლაჰის შუამავალო!“

„ის, რისიც მეშინია, ფარული მრავალღმერთიანობაა. მაგალითად, დაფიქრდით ადამიანზე, რომელიც ლოცულობს. ეს ადამიანი ნამაზს განსაკუთრებით მაშინ ლოცულობს, როცა იცის, რომ ვიღაც უყურებს.“ (იბნ მაჯე, ზუჰდი, 21)

უდიდეს ღმერთს ღვთისმსახურებასა და ქმედებებში წარმავალი მოზიარე არ უნდა. აიათში ნაბრძანებია:

فَوَيْلٌ لِلْمُصَلِّينَ الَّذِينَ هُمْ عَنْ صَلَاتِهِمْ سَاهُونَ الَّذِينَ هُمْ يُرَاءُونَ

„ვაი, ნამაზის იმ მლოცველებს, რომლებიც ლოცვისადმი უგულისყურონი არიან, რომლებიც (ღვთისმსახურებაში) **თვალთმაქცნი არიან.“** (სურა მაუნი, აიათები 4-6)

ჰადისში ნაბრძანებია:

„განკითხვის დღეს ადამიანები შემდეგი რიგის მიხედვით განისჯებიან:

პირველად შეჰიდად დაცემული ადამიანი განიკითხება. მას ალლაჰის წინაშე წარადგენენ. ალლაჰი მისთვის ბოძებულ სიკეთეებს მოათხრობინებს. ისიც მათ აღწერს. უდიდესი ღმერთი ჰკითხავს:

„თუ ასეა, მის სანაცვლოდ რა გააკეთე?“

კაცი უპასუხებს:

„ღმერთო, შენ გამო შეჰიდად დავეცი!“

ალლაჰი ბრძანებს:

„ტყუილი თქვი! შენ მხოლოდ იმიტომ იბრძოდი, რომ შენზე ეთქვათ გამბედავი და მამაციაო. მართლაც ასე თქვეს.“

შემდეგ ბრძანებს და ამ ადამიანს ჯოჯოხეთში ჩააგდებენ, იქამდე თრევით მიიყვანებენ.

მეორედ ცოდნამიღებული და ამ ცოდნის სხვაზე გადამცემი, ყურანის მკითხავი კაცია. მას როცა ღმერთის წინაშე წარადგენენ, იგი მისთვის ბოძებულ სიკე-

თეებს მოათხრობინებს. ისიც აღწერს. უდიდესი ღმერთი ჰკითხავს:

„მის სანაცვლოდ რა გააკეთე?“

კაცი უპასუხებს:

„ცოდნა მივიღე, მერე ის სხვებს გადავეცი. შენი გულისთვის ყურანიც ვიკითხე.“

ალლაჰი ბრძანებს:

„ტყუილს ამბობ! შენ ცოდნა მიიღე მხოლოდ იმისთვის, რომ შენზე ეთქვათ სწავლულიაო. ყურანს კითხულობდი იმის გამო, რომ ეთქვათ ყურანის მკითხავთაგანიაო. მართლაც ასე თქვეს.“

შემდეგ მის შესახებაც გაიცემა ბრძანება და მასაც ცეცხლში ჩააგდებენ. იქამდე თრევით მიიყვანებენ.

მესამე იქნება ადამიანი, რომელსაც ღმერთმა ყოველგვარი საშუალება ყველანაირი ქონება უბოძა. მასაც წარადგენენ. ალლაჰი ბოძებულ სიკეთეებზე ჰკითხავს. ისიც ამას აღწერს. უდიდესი ღმერთი კვლავ ჰკითხავს:

„ამის სანაცვლოდ რა გააკეთე?“

კაცი უპასუხებს:

„არ დამიტოვებია არც ერთი შენი ნაბრძანები გზა, რომ იმ მიმართულებით მოწყალება არ გამეცა. ქონება მხოლოდ შენს გზაზე დავხარჯე.“

უდიდესი ღმერთი ბრძანებს:

„ტყუილს ამბობ! შენ ისინი მხოლოდ იმიტომ გაიღე, რომ შენზე ეთქვათ გულუხვიაო. მართლაც ასე თქვეს.“

შემდეგ მის შესახებაც გაიცემა ბრძანება და ცეცხლში ჩააგდებენ. იქამდე თრევით მიიყვანენ.“ (მუსლიმი, იმარე, 152)

ეს ჰადისი კარგად აჩვენებს, რომ ალლაჰის საფეხურებზე არ იქნება მიღებული არც ერთი ქმედება, თუ ის გულწრფელად არ არის შესრულებული. არავითარი მნიშვნელობა არ აქვს თვალთმაქცურად, მხოლოდ სხვების დასანახად ალლაჰის გზაზე სიკვდილს, ცოდნის მიღებას და მოწყალების გაღებას.

ამ მდგომარეობაში რწმენა – მხოლოდ სიტყვად დარჩენილი ბგერები, ღვთისმსახურება კი უსულოდ შესრულებული ქმედებებია. აუცილებელია გულის სიღრმიდან წამოსული რწმენა, ბრძანებებისა და აკრძალვების სიამოვნებით აღიარება და შესრულება, ღვთისმსახურებების შესრულებისას, ალლაჰის კმაყოფილების მოპოვების გარდა, სხვა მიზნის არქონა და სხვა.

ასე, რომ მთავარი საკითხი ალლაჰის წინაშე გულწრფელად მოქცევაა. ამის გამო, ცოდნა, რომელიც რწმენის საფუძვლებს მოცილებულია, მიღებული არ არის. ვინაიდან, ასეთი ცოდნა ყურანში ნაგულისხმევი და პატრონის მიერ შექებული ცოდნისგან დაშორებულია. ქიმია, ფიზიკა, ასტრონომია, გეოლოგია და მსგავსი საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ასევე ცხოვრების პრინციპებისა და საფუძვლების შემსწავ-

ლელი მეცნიერებები გულის კუთხით უნდა შევაფასოთ. ვინაიდან, ამ მეცნიერებების სიბრძნისა და ძალის ანარეკლები რწმენის ნიადაგს ქმნის. ესე იგი, სანამ ეს მეცნიერებები არ იქნება გამოყენებული მხოლოდ მატერიალისტური მიზნებისთვის – ალლაჰთან დასაშორებლად – მათ ადამიანი ღმერთთან – მონა-მსახურებასთან მიჰყავთ.

ღვთისმსახურებებისთვის განსაზღვრული დროები არსებობს, რწმენას კი დრო არ აქვს, ის მუდმივ სიცოცხლეს ითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვნების ქარიშხალი გულიდან გამოდევნის. იგივე სამწუხარო დასასრული ელოდება, როგორიც სურა „ქასასში“ მოთხრობილ ჰარუნს და სურა „აარაფში“ – ბელამ იბნ ბაურას.

ქელიმეი შეჰადეთზე ზემოთ მოთხრობილი შეიძლება მოკლედ ასე გადმოვსცეთ:

ქელიმეი შეჰადეთი კარავის შუაგულში დარჭობილ დედაბოძს ჰგავს. ეს დედაბოძი რომ არ იყოს, კარავი ვერ გაიმართება. ესე იგი, არც ერთ კარგ ქმედებას ალლაჰის საფეხურებზე შედეგი არ ექნება. ქვემოთ მოცემული აითები ამ ჭეშმარიტებას ნათლად წარმოგვიდგენს:

مَا كَانَ لِلْمُشْرِكِينَ أَنْ يَعْمُرُوا مَسَاجِدَ اللَّهِ شَاهِدِينَ عَلَى أَنْفُسِهِمْ
بِالْكُفْرِ أُولَئِكَ حَبِطَتْ أَعْمَالُهُمْ وَفِي النَّارِ هُمْ خَالِدُونَ

إِنَّمَا يَعْمُرُ مَسَاجِدَ اللَّهِ مَنْ ءَامَنَ بِاللَّهِ وَالْيَوْمِ الْآخِرِ وَأَقَامَ الصَّلَاةَ

وَءَاتَى الزَّكَاةَ وَلَمْ يَخْشَ إِلَّا اللَّهَ فَعَسَى أُولَئِكَ أَنْ يَكُونُوا مِنَ الْمُهْتَدِينَ

أَجَعَلْتُمْ سِقَايَةَ الْحَاجِّ وَعِمَارَةَ الْمَسْجِدِ الْحَرَامِ كَمَنْ ءَامَنَ بِاللَّهِ
وَالْيَوْمِ الْآخِرِ وَجَاهَدَ فِي سَبِيلِ اللَّهِ لَا يَسْتَوُونَ عِنْدَ اللَّهِ وَاللَّهُ لَا يَهْدِي
الْقَوْمَ الظَّالِمِينَ

„*(დასშვები)* არ არის, რომ წართმართებმა ააღორძინონ ალლაჰის მესჯიდები, *(მაშინ)* როცა თავიანთი ურწმუნოების მოწმენი არიან. აი, ისინი, ვისი ნაღვაწიც ფუჭია. და ისინი ცეცხლში დარჩებიან სამუდამოდ.

უეჭველად, ალლაჰის მესჯიდებს მხოლოდ ის ააღორძინებს, ვინც ალლაჰი და უკანასკნელი (განკითხვის) **დღე, ირწმუნა ვინც სრულფასოვნად ასრულებს ნამაზს, იხდის ზექათს და** (არავისი), **გარდა ალლაჰის არ ეშინია. იმედია, სწორედ ისინი იქნებიან ჭეშმარიტ გზაზე მავალთაგანი.**

ნუთუ, ჰაჯობაზე მყოფთა დამრწყლულებელი და მესჯიდი ჰარემის შემკეთებელი – ალლაჰის და განკითხვის დღის რწმენით ალლაჰის გზაზე მებრძოლის თანასწორი გეგონათ? ისინი არ არიან თანაბარნი ალლაჰის წინაშე. და ალლაჰი უსამართლო ხალხს ჭეშმარიტ გზაზე დააყენებს.“ (სურა თევბე, აიათები 17-19)

ეს აიათებიც ნათლად აჩვენებს, რომ ალლაჰის წინაშე ქმედებებს მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, როცა ისინი გულწრფელი რწმენით და უდიდესი ღმერთის კმაყოფილების მოსაპოვებლად არის შესრულებული.

რაოდენ სასარგებლო და მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს, ურწმუნოდ შესრულებულ ქმედებებს არავითარი ფასი არ აქვს. ეს საკითხი ერთ სხვა აეთში შემდეგნაირადაა გაცხადებული:

الْحَقُّ مِنْ رَبِّكَ فَلَا تَكُنْ مِنَ الْمُمْتَرِينَ

„ჭეშმარიტება შენი ღმერთისგანაა და (შენ) **არ იყო ეჭვიანთაგანი.“** (სურა ალ-ი იმრანი, აიათი 60)

მოკლედ, ქმედებები მხოლოდ მაშინ მოიტანენ სარგებელს, როცა ისინი მონოთეისტური რწმენის საფუძველზე იქნება შესრულებული.

ღმერთო! ჩვენც გვაქციე სრული მნიშვნელობით შეჰადეთის წარმომთქმელებად! მიგვაღწევინე იმ ბედნიერების მწვერვალს, რომელზე მდგომნიც შენს არსებობას მთელი გულით მოწმობენ!

ამინ!

ისლამის ღვთისმსახურებების ბურჯი, რელიგიის დედაბოძი, რწმენის შუქი, მორწმუნეების ცად ამაღლება –

ნამაზი

ადამიანის ცხოვრება სამყაროს შემოქმედთან მისაღწევად ჭეშმარიტების ძიების გამოვლინებებითაა აღსავსე. ეს გამოვლინებები, ადამიანის ქმნილებისათვის განკუთვნილი და უცვლელი თავისებურება რწმენა და ღვთისმსახურებისადმი მიდრეკილების შედეგია. ასე, რომ ისინი, ვინც ვერ ჩასწვდებიან ამ ჭეშმარიტებას, მიჰყვებიან ათასგვარ ულოგიკო მიმდინარეობებს, რომლებიც უსუსურ არსებებს სცემენ თაყვანს. დღესაც კი მილიონობით ადამიანი ხარებსა და მსგავს არსებებს წმინდა არსებებად აცხადებს და ღმერთებად წარმოიდგენს, ზოგიერთ რწმენაში ღმერთს ანტრომორფულ თვისებებს მიაწერენ.

ეს ყველაფერი აჩვენებს, რომ ადამიანი მუდმივად საჭიროებს მონა-მსახურობის შემეცნებას და მონა-მსახურებრივად ცხოვრების საიდუმლოში ჩაწვდომას.

وَمَا خَلَقْتُ الْجِنَّ وَالْإِنْسَ إِلَّا لِيَعْبُدُونِ

„ადამიანები და ჯინები მხოლოდ ჩემზე მონა-მსახურობისათვის გავაჩინე.“ (სურა ზარიათი, აიათი 56)

აქედან გამომდინარე, ადამიანი იმ დოზით მოიპოვებს ბედნიერებას და კეთილდღეობას, რამდენადაც ამ ბუნებრივ მიდრეკილებას ადამიანობის ღირსების შესაბამისად მიმართავს. რადგან ადამიანი, ღმერთის ძალის ათასგვარი გამოვლინებით შემკულ ამ სამყაროში, მისი ყველაზე სრულყოფილი ქმნილებაა. ამ სრულყოფილების სანაცვლოდ მას ღმერთის პატივისცემა და ღვთისმსახურებების შესრულება დაევალება. ადამიანის ყველა უმაღლესი მახასიათებელი ამ პასუხისმგებლობის შესრულებასთანაა დაკავშირებული. აიათში ნაბრძანებია:

قُلْ مَا يَعْبَأُ بِكُمْ رَبِّي لَوْلَا دُعَاؤُكُمْ

„უთხარი: რატომ დაგაფასებთ თქვენ ჩემი ღმერთი, თუკი არ შეევედრებით.“ (სურა ფურყანი, აიათი 77)

ამგვარად, უდიდესი ღმერთი ბევრ აიათში ბრძანებს, რომ ადამიანის ხსნისთვის რწმენის შემდეგ ღვთისმსახურებების შესრულებაა საჭირო. აქედან გამომდინარე, მორწმუნეებს, ვისაც მიზნად აქვთ დასახული ღმერთის წინაშე სრულყოფილი გულით წარსდგნენ, ღვთისმსახ-

ურებებს გულწრფელად ასრულებენ და ღმერთთან შეხვედრის ჭეშმარიტ გზას ადგანან. ადამიანის ღმერთთან შესახვედრად წამყვან ღვთისმსახურებებს შორის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი, უეჭველია, ნამაზია, რადგან ის, შინაარსისა და ხარისხის მიხედვით, ყველა ღვთისმსახურების გამორჩეული მწვერვალია.

სამყაროში არსებული ყველა ქმნილება – მზე, მდელოები, ხეები... – ღმერთს ახსენებენ. მწკრივად მფრინავი ჩიტები, მთები, ქვები ჩვენთვის უცნობი ფორმით ღმერთს თაყვანს სცემენ და მონა-მსახურებას უწევენ. მცენარეების ღვთისმსახურება ყიამის მდგომარეობაა, ცხოველების – რუქუს, ხოლო, უსულო არსებებისთვის სეჯდეს მდგომარეობა. ზეცის არსებების მდგომარეობებიც ასეა. ანგელოზების ერთი ნაწილი – ყიამზე, ერთი – რუქუღზე,ერთი – სეჯდეზეა და ერთი ნაწილიც ალლაჰს ქება დიდებას ასხამს. მორწმუნეებისთვის შეთავაზებული ცად ამაღლება – ნამაზი ყველა ამ ღვთისმსახურებას ერთად კრებს. აქედან გამომდინარე, ნამაზის მლოცველები ცასა და მიწაზე არსებული ყველა არსების შესრულებულ ღვთისმსახურებებს ასრულებენ.

ჰადისში ნაბრძანებია:

„ნამაზი უზენაესი ალლაჰის კმაყოფილებას მოგაპოვებინებს. ანგელოზების სიყვარულის დამსახურება; შუამავლების გზა, შეცნობის შუქი, რწმენის ძირია, ვედრების შესმენის საშუალება, მისაღები ქმედებებია, ის სარჩოს ბარაქიანს ხდის; სხეულს სიმშვიდეს ანიჭებს; მტრებზე გამოსაყენებელი იარაღია; ეშმაკს გაშორებს;

სიკვდილის ანგელოზსა და ღვთისმოსავს შორის შუამდგომელია; საფლავის ლამპარი და ფარდაგია; მუნქირ და ნექირ ანგელოზებისთვის გასაცემი პასუხია; განკითხვის დღემდე საფლავში სულის თანამგზავრია; განკითხვის დღეს ნამაზის მლოცველებისთვის საჩრდილობელია; თავის გვირგვინია; სხეულის ტანისამოსია; გზის მანათობელი შუქია; ღმერთის წინაშე მორწმუნეების არგუმენტია; სასწორზე სიმძიმეა; ბეწვის ხიდზე გასვლაა; სამოთხის გასაღებია; რადგან ნამაზი ღმერთზე თაყვანისცემა, მადლიერება, ვედრება და ყურანის კითხვაა. მოკლედ, ყველაზე ღირსეული ღვთისმსახურება დროულად შესრულებული ნამაზია.“ (თენბიჰულ ჯაჰილინ, 293)

ამის გამოა, რომ ნამაზი ალლაჰთან შეხვედრის ადგილი და მართლმორწმუნეებისთვის მოკლევადიანი ცად ამაღლებაა. ყურანში გაცხადებულია:

وَاسْجُدْ وَاقْتَرِبْ

„სეჯდე შეასრულე და და(მიუ)**ახლოვდი!“** (სურა ალაყი, აიათი 19)

ადამიანს, ამ აიათში გაცხადებულის ასრულება, ღმერთის წინაშე წარდგომის საშუალება, ნამაზით აქვს.

ნამდვილ ნამაზზე ყველაფერი ამქვეყნიური ქრება. ადამიანი ღმერთს ხვდება. ღმერთის საიდუმლოებების სიღრმისაკენ იღებს გეზს. რადგან ნამაზი წმინდა შუამავალს ﷺ ღმერთთან შეხვედრის დროს, ჯებრაილის გარეშე, ებრძანა. ის ფარძად ყოველგვარი შუამავ-

ლის გარეშე იქნა დაწესებული. ალლაჰის შუამავალი, რომელიც მუდმივად ცად ამაღლებისას ღმერთის ხილვის დროს მიღებული შეგრძნებით ცხოვრობდა, ბრძანებს:

„ნამაზი ჩემი თვალისჩინია.“ (ნესაი, აჰმედ იბნ ჰანბელი)

ის სრულყოფილება, სიმშვიდე, რწმენა, რომლის მოპოვებაც ნამაზით შეიძლება, სხვა არც ერთი ღვთისმსახურებით არ მოიპოვება. ამქვეყნად ნამაზის ხარისხი, საიქიოში უდიდესი ღმერთის ნახვის ხარისხის მსგავსია. ვინაიდან, ამქვეყნად ადამიანი ღმერთთან ყველაზე ახლოს ნამაზის ლოცვის მომენტშია. ყველაზე ნაზი სიამოვნება და სულიერი გამოვლინებები ნამაზშია. შეიძლება ითქვას,რომ ყველა ღვთისმსახურება ნამაზის შესრულების მოსამზადებელი საფეხურია. ამის გამო წმინდა შუამავალი ﷺ ნამაზის შესახებ ბრძანებს:

„ნამაზი რწმენის დედაბოძი, გულის შუქი, ბედნიერების გასაღები და მორწმუნეების ცად ამაღლებაა.“

მთელი თავისი დიდებული შინაარსით ნამაზი ალლაჰსა და ადამიანს შორის ორად გაყოფილი გამორჩეული ღვთისმსახურებაა. ესე იგი, ის ზუსტად სურა **„ფათიჰას“** მსგავსია. **„ფათიჰა“** კი **„ბესმელედან“ „მალიქი იევ მიდდინამდე“** უდიდესი ღმერთისთვისაა განკუთვნილი. **„იაქე ნელბუდუ ვეიაქე ნესთეღინ“** – აიათი ერთი მხრივ ალლაჰს ეკუთვნის, მეორე – მხრივ ადამიანს. ეს არის ადამიანის ღმერთზე ღვთისმსახურება და ის, რომ ალლაჰი ადამიანისთვის ერთადერთი სათაყვანებელი არსებაა. ესე იგი, ადამიანმა ერთადერთ სათაყვანებლად ალლაჰი უნდა გაიხადოს და ამ

ჩარჩოებში ღვთისმსახურება მხოლოდ ალლაჰს უნდა არგუნოს. ამის შემდეგი აიათები ადამიანისთვისაა განკუთვნილი. წმინდა ჰადისში ნაბრძანებია:

„ნამაზი ჩემსა და ჩემს მონა-მსახურს შორის ორად გავანაწილე, ნახევარი ჩემია, ნახევარი – მისი.“ (მუსლიმი, სალათი, 38-40)

აქედან გამომდინარე, ნამაზი ალლაჰსა და ადამიანს შორის ერთი ვედრება, თავშეფარება, ესე იგი, ხვეწნა-მუდარა და ხსენებაა. უდიდესი ღმერთი ბრძანებს:

وَأَقِمِ الصَّلَاةَ لِذِكْرِي

„ჩემს სახსენებლად ნამაზი ილოცე!“ (სურა ტაჰა, აიათი 14)

فَاذْكُرُونِي أَذْكُرْكُمْ وَاشْكُرُوا لِي وَلَا تَكْفُرُونِ

„მაშ, მახსენეთ მე, (რათა მეც) **თქვენ გა**(გი)**ხსენოთ!“** (სურა ბაყარა, აიათი 152)

ამ აიათების საიდუმლოებები სხვა ღვთისმსახურებებზე მეტად ნამაზით სრულდება. ამგვარად, ნამაზზე ღმერთის ხსენების დროს შემდეგი წმინდა ჰადისი აღსრულდება:

„მე მასთან ერთად ვარ, ვინც მახსენებს...“ (ბუჰარი, თევჰიდი, 15)

მხოლოდ ადამიანისა და ღმერთის ერთად ყოფნისგან შესაბამისი სარგებლის მისაღებად „გულწრფელობაა“ აუცილებელი. უდიდესი ალლაჰი ბრძანებს:

„...გულწრფელობა არის ის, რომ ღვთისმსახურება

ისე აღასრულო, თითქოს ალლაჰს ხედავდე! შენ მას ვერ ხედავ, მაგრამ ის შენ გხედავს!“ (მუსლიმი, იმანი, 1)

აი, ამგვარად შესრულებული ნამაზი თვალის სინათლე იქნება.

ამგვარად ნამაზის შესრულება შუამავლის საფეხურის გამოვლინება იქნება.

ამის გამო ნამაზი წმინდა მუსასთვის გზის მაჩვენებელ ცოცხალ სვეტს ჰგავს. ნამაზი გატეხილი გულების ნუგეში, ამქვეყნიური მღელვარებისგან დაღლილი გულების დამამშვიდებელი, სულის ღვათაებრივი საკვები, სულების მკურნალი და გონიერთა ენაა. ამქვეყნიურობით წმინდა შუამავლის გულს სიმძიმე რომ მიეცემოდა, ბრძანებდა:

„ბილალ, (ეზნის კითხვითა და) ნამაზის წარდგენით ჩვენ სიმშვიდე მოგვიტანე!“

რადგან არ არსებობს ნამაზზე ძვირფასი არც ერთი ღვთისმსახურება. ნამაზის მლოცავი ადამიანი ნამაზის გარდა სხვა არაფრითაა დაკავებული. ნამაზი მას ყოველგვარი ინტერესებისგან წყვეტს. ღმერთთან ენით აღუწერელ შეხვედრას განაცდევინებს. სხვა ღვთისმსახურებების მდგომარეობა ასეთი არ არის. მაგალითად,მარხული ადამიანი ბაზარში კლიენტიც შეიძლება იყოს და გამყიდველიც;. ჰაჯის მომლოცველიც ზუსტად ასევეა. მაგრამ ნამაზის მლოცველი არც გამყიდველი იქნება და არც მყიდველი... ის მხოლოდ ნამაზის შემსრულებელია. ესე იგი, ის მატარიალურადაც და სულიერადაც ღმერთის წინაშეა.

სრულყოფილი მორწმუნეები:

إِنَّ الصَّلَاةَ كَانَتْ عَلَى الْمُؤْمِنِينَ كِتَابًا مَوْقُوتًا

„უეჭველად, (ნამაზის) **ლოცვა მორწმუნეებზე მის**(ნამაზის)**თვის განსაზღვრულ დროებში დაწერილია – (ფარძია).“** (სურა ნისა, აიათი 103)

აიათში გაცხადებულის მსგავსად, თუკი ადამიანი სიცოცხლის მანძილზე დღეში ხუთჯერ ნამაზს ილოცავს, გარდა ამისა, ამ მორჩილებას ნაფილე ნამაზებითაც თუ უზრუნველყოფს, ღმერთის ბრძანებას: **„ღმერთს დაუბრუნდი!“** – შეასრულებს და ღირსეული მონა-მსახურების ქარავანს შეუერთდება მარადიულ ბედნიერებას მოიპოვებს. ეს მორწმუნეები აიათში გაცხადებული მონა-მსახურობის საფეხურზე არიან:

فَاذْكُرُونِي أَذْكُرْكُمْ وَاشْكُرُوا لِي وَلَا تَكْفُرُونِ

„მაშ, მახსენეთ მე, (რათა მეც) **თქვენ გა**(გი)**ხსენოთ!!“** (სურა ბაყარა, აიათი 152)

وَلَذِكْرُ اللَّهِ أَكْبَرُ

„ალლაჰის ხსენება – უდიდესია!“ (სურა ანქებუთი, აიათი 45)

ეს ნიშნავს, რომ „ალლაჰის ხსენება, ესე იგი, ნამაზი ყველაზე დიდი საქმეა“, ამავე დროს „ალლაჰის მიერ ადამიანის ხსენება, ადამიანის მიერ ალლაჰის ხსენებაზე უფრო დიდია.“ ამის გამო, ალლაჰთან სიახლოვის ყველაზე დიდი წილი ნამაზში დევს.

პირობები იმისა, რომ ნამაზი მიღებული იქნას: მორჩილებაა

ნამაზის გარეგნულ მხარეს „მუსლიმანური სამართლის მოძღვრება“ აწესრიგებს. მუსლიმანური სამართლის გარეშე ნამაზის ლოცვა შეუძლებელია. აგრეთვე, ნამაზის ლოცვა, მორჩილების გარეშე, მშფოთვარე გულით შეუძლებელია. ამგვარად შესრულებულ ნამაზს ძალა არ აქვს, არ ითვლება. აქედან გამომდინარე, შესრულებულად ჩაითვლება მუსლიმანური სამართლის მოძღვრების მიერ დაწესებული წესების შესაბამისად შესრულებული ნამაზი, რომელთანაც ასევე შერწყმული იქნება გულის მორალური წესები. გულის ამ წესებით შემკობა კი მხოლოდ და მხოლოდ ყურანის ბრძანებებზე მორჩილებითაა შესაძლებელი. მორჩილებით, რომელიც გულს წმენდს. ყურანში ნაბრძანებია:

قَدْ أَفْلَحَ مَنْ تَزَكَّى

„უეჭველად, გადარჩა, ის ვინც განიწმინდა.“ (სურა ალა, აიათი 14)

ნამაზის შესასრულებლად სულიერი მომზადება ძალიან მნიშვნელოვანია. მართლაც, უდიდესი ღმერთი რამდენჯერმე აცხადებს, რომ ნამაზის მლოცველმა მარტო ფარძებს, ვაჯიბებსა და მუხლების რაოდენობას კი არ უნდა მიაქციოს ყურადღება, ამავე დროს ნამაზის მორჩილებით, გულწრფელობითა და სულიერი

სიმშვიდით შესრულებას დიდი მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს. მას ეს მდგომარეობა მთელი ცხოვრება უნდა გაჰყვეს. ამ მდგომარეობაში ნამაზის მორალურ მხარესთან დაკავშირებული გრძნობები, წესები და საფუძვლები დღეში ხუთჯერ ლოცვის შესახებ ის მნიშვნელოვანი საკითხებია,რომელსაც ყურადღება ნამაზის მლოცველმა უნდა მიაქციოს. აიათში ნაბრძანებია:

قَدْ أَفْلَحَ الْمُؤْمِنُونَ

الَّذِينَ هُمْ فِي صَلَاتِهِمْ خَاشِعُونَ

„უეჭველად, მორწმუნეები, რომლენიც ნამაზს მორჩილად ასრულებენ, გადარჩენილი არიან.“ (სურა მუმინუნი, აიათები 1-2)

წმინდა ჰადისში ნაბრძანებია:

„ვინც აბდესს გულდასხმით აიღებს, ნამაზს დროულად ილოცავს,რუქუღსა და სეჯდეს სრულად შეასრულებს,ღმერთის წინაშე მორჩილად,პატივისცემით თავს დახრის,იგი (ეს ნამაზი) თეთრი და მბრწყინავი (შუქის) მსგავსად ამაღლდება და (ნამაზის მლოცველს) დაუძახებს: „ალლაჰმა შენ ისევე დაგიცვას, როგორც შენ ჩემი უფლება დაიცავი!“ ვინც აბდესს გულდასხმით არ აიღებს, ნამაზს დროულად არ ილოცავს, რუქუს და სეჯდეს მორჩილად, შიშით არ შეასრულებს, (ნამაზი) როგორც შავი და ბნელი (სხეული) ისე ამაღლდება და იტყვის: „ალლაჰმა შენც ისევე დაგკარგოს,როგორც შენ მე დამკარგე.“ ის როდესაც ალლაჰის ნასურვებ

ადგილას მივა, ძველმანივით დაიგრაგნება და არარაობად ქცეული კაცის სახეს მიიღებს.“ (ტაბერანი)

ბაჰაედდინ ნაქშიბენდს ჰკითხეს:

– ადამიანი ნამაზის ლოცვისას ღვთისადმი მორჩილებას როგორ იგრძნობს?

მან უპასუხა:

1. ალალი ლუკმის ჭამით;

2. აბდესის აღებისას უგულისყურობისგან თავის მოთოკვით და იმის გაცნობიერებით, რომ ნამაზისთვის ემზადება;

3. პირველ თექბირს აიღებს იმის ფიქრით, რომ ალლაჰის წინაშე დგება;

4. ნამაზის გარეშეც ალლაჰი არ უნდა დაივიწყოს და მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ის ჩვენ ყოველთვის გვხედავს.

ნამაზის ლოცვისას ღვთისადმი მორჩილება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მონა-მსახური მისადმი მოწიწების პროპორციულად ფასდება. წმინდა ჰადისში ნაბრძანებია:

„როცა ადამიანი ნამაზის ლოცვას დაასრულებს, მას მისი მადლისგან ერთი მეათედი, ერთი მეცხრედი, ერთი მერვედი, ერთი მეშვიდედი, ერთი მეექვსედი, ერთი მეხ-

უთედი, ერთი მეოთხედი, ერთი მესამედი, ანდაც კიდევ ნახევარი ეძლევა...“ (აბუ დაუდი, სალათ 124)

„ბევრია ადამიანი, რომელსაც მისი შესრულებული ნამაზის ერთი მეექვსედი, ანდა ერთი მეათედიც კი არ ეწერება, მას მხოლოდ ის ნაწილი ეწერება, რომელსაც სულიერი სიმშვიდით და შეგნებულად შეასრულებს.“ (აბუ დაუდი, ნესაი)

ესე იგი, ადამიანს მხოლოდ იმ ნამაზის მადლი ეწერება, რომელსაც შეგნებულად და სულიერი სიმშვიდით აღსავსე შეასრულებს.

ნამდვილი მლოცველი ნამაზის ღირსეულად შესასრულებლად და ღმერთის კმაყოფილების მოსაპოვებლად გულს ღმერთისკენ მიმართავს, მთელი თავისი გულისყური ნამაზზე აქვს გადატანილი,გარე სამყაროს სრულად მოწყვეტილია და სულიერების მთელი შეგრძნებით ასრულებს ნამაზს. თვალებს სეჯდეს მიაპყრობს, ძალიან ღრმად შეიგრძნობს, რომ ალლაჰის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება და სულიერი ნეტარებით აღვსილი თავდავიწყებას მიეცემა.

ეს იმ მონა-მსახურების მდგომარეობაა, ვისაც გულწრფელობას მიაღწიეს. მართლაც, ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ მორჩილება გულწრფელობის ნაყოფია. გულწრფელობა მონა-მსახურს თავმდაბალ არსებად აქცევს და ამგვარად ალლაჰის წინაშე ძალიან აამაღლებს, ღმერთის მფარველობაში შეიყვანს. წმინდა ჰადისში ნაბრძანებია:

„გულწრფელ ადამიანებს ვახარებ, რომ მათი ჭეშ-

მარიტება ბრწყინავს. ამის გამო, ის ყოველგვარ ამბოხს ანადგურებს.“ (ფეზაილ ამალ 285-286)

იმისათვის, რომ ნამაზი გულწრფელად და მორჩილად შესრულდეს, მან სულიერი სარგებელი მოიტანოს, საჭიროა, შემდეგი საკითხების პატივისცემა:

1. გულის სიმშვიდე: გული, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ წაკითხული ვედრების, ღმერთზე თაყვანისცემისა და აიათების სულიერებაშია გახვეული, რომელსაც მთლიანად შეწყვეტილი აქვს ამქვეყნიური საქმიანობა, რომელსაც ამოგლეჯილი აქვს სხვადასხვაგვარი მიწიერი ფიქრები, ნამაზს არ შეამჭიდროვებს. ყველანაირად ცდილობს, ღმერთის წინაშე უგულისყუროდ არ წარსდგეს. ადამიანი გულის სიმშვიდის მოპოვების შემდეგ უგლისყურობას მოიშორებს და შეძლებს ღმერთთან ერთად იყოს, ენით წარმოთქმულ სიტყვების არსს შეიგრძნობს. სწორედაც, წმინდანებმა არა მხოლოდ თადილი ერქანზე ყურადღებამიუქცეველი, არამედ გულის სიმშვიდის გარეშე შესრულებული ნამაზებიც გადაავადეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველასათვის სავალდებულოდ არ უქცევიათ. ნამაზის დროს გულის სიმშვიდეზე ყურადღების მიქცევა ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია.

გულის სიმშვიდის მიზეზი სწრაფვაა და სულიერებით ამაღლების სურვილია. ღმერთთან მიახლოება შეიძლება იმის შემეცნებით, რომ ამის საშუალება ნამაზია.

2. გაგება: იმისათვის, რომ ჩასწვდე იმას, რასაც წაიკითხავ, უნდა გესმოდეს რასაც კითხულობ. ეს გულის სიმშვიდის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. ეს ნამაზის დროს განცდილი სულიერი განწყობის მუდმივად შენარჩუნებაში ხიდის მოვალეობას ასრულებს.

3. თაყვანისცემა: გაგება იმისა, რომ უდიდესი ღმერთის წინაშე ვიმყოფებით და სულითა თუ სხეულით თავმდაბლობას და მორჩილებას გამოხატავთ. ესე იგი, ნამაზის ღვთისმსახურების გულის სიმშვიდითა და შეგნებულად შესრულების შემდეგ, ამ მდგომარეობას კვლავ ვინარჩუნებთ. ნამაზის დროს გამოჩენილი ეს მოკრძალება და პატივისცემა მის ფასს რამდენიმე საფეხურით ზრდის. ადამიანი თაყვანისცემის ადგილიდან ქადაგებას ისმენს და მის მიერ შესრულებული ნამაზისგან ძალიან დიდ სარგებელს იღებს. ეს ქადაგება შემდეგია:

„თუ გინდა, რომ შენი ნამაზი შენს ცად ამაღლებად იქცეს, ალლაჰის სიდიადესა და შენთვის მონიჭებულ უთვალავ წყალობაზე დაფიქრდი და შენი ღვთისმსახურება არასაკმარისად ჩათვალე! ფრთხილად, შენს ღვთისმსახურებას რომ შეხედავ, ის ალლაჰზე ღირსეულ მადლობის გადახდად არ ჩათვალო! წმინდა მუჰამმედ შუამავალი ﷺ ამბობდა: „ღმერთო ჩემო! შენ ღირსეული მონა-მსახურება ვერ გაგიწიე; გთხოვ მაპატიო!“ და ამგვარად ცოდვების მიტევებას სთხოვდა.“

4. შიში: თაყვანისცემა შიშის განცდით უნდა შეასრულო. ეს შიში ადამიანს ანახებს თავის ადგილსა

და ღმერთის სიდიადეს და ამგვარად ნამაზის დროს სერიოზულობა და ღვთისმოშიშობა წარმოიშობა. ღვთისმოშიშობა – ალლაჰის შიში და გულის უგულისყურობისგან დაცვაა. ის მონა-მსახურისთვის ალლაჰის საფეხურებზე ასვლის ერთადერთი ეფექტური საშუალებაა. აიათში ნაბრძანებია:

يَاأَيُّهَا النَّاسُ إِنَّا خَلَقْنَاكُمْ مِنْ ذَكَرٍ وَأُنْثَى وَجَعَلْنَاكُمْ شُعُوبًا وَقَبَائِلَ لِتَعَارَفُوا إِنَّ أَكْرَمَكُمْ عِنْدَ اللَّهِ أَتْقَاكُمْ إِنَّ اللَّهَ عَلِيمٌ خَبِيرٌ

„...ეი, ადამიანებო! უეჭველად, ჩვენ მამრისა და მდედრისგან შეგქმენით. და ერთმანეთის გასაცნობად ხალხებად და ტომებად დაგყავით. ალლაჰის წინაშე, თქვენგან ყველაზე ძვირფასი თქვენ შორის ყველაზე უფრო ღვთისმოშიშია.“ (სურა ჰუჯურათი, აიათი 13)

აბუ ზერი გადმოგვცემს:

წმინდა შუამავალი ﷺ შემოდგომის ერთ დღეს გარეთ გამოვიდა, ფოთოლცვენას შეხედა და მითხრა:

„აბუ ზერ! უეჭველია, რომ მუსლიმანი მონა-მსახური ალლაჰის კმაყოფილებისათვის (პატივისცემითა და ღვთისმოშიშობით) ნამაზს თუ ილოცავს, მას ცოდვები ისე გასცვივდება, როგორც ამ ხეებს ფოთლები სცვივა.“ (აჰმედი, თერღიბი)

5. იმედი: იმედიანად ყოფნა, ნამაზის შესრულების დროს უდიდესი ღმერთის თაყვანისცემასთან ერთად მისი წყალობისა და ცოდვების მიტევების იმედის ქონა, ამ მიტევებისთვის ნამაზის გარეშეც ვედრება,

მონა-მსახურის თვისებაა. ვინაიდან, მარტო შიში გულს ამწუხრებს და სულიერ წონასწორობას არღვევს. იმედი ამ საფრთხის გამანადგურებელი საშუალებაა, ის გულის სამყაროს წონასწორობას უზრუნველყოფს.

6. თავმდაბლობა, რიდი ეს სხვა თვისებების დამაგვირგვინებელი მორთულობაა. ადამიანი, რომელიც უდიდესი ღმერთის წინაშე თავმდაბალია, თავისუფალ ქცევებს ერიდება; ამის საშუალებით ნამაზს გულისყურით ასრულებს, ხარვეზებსა და შეცდომებს არ უშვებს. წმინდა ჰადისში ნაბრძანებია:

„ამის გამო (ყეყეჩობისა და მეტიჩრობის) არავის (სახელდობრ, ნამაზის საშუალებით ცოდვების მიტევების) იმედი არ უნდა ჰქონდეს.“ (ფეზაილ ამალი, 251)

ნამაზის საშუალებით ცოდვები მოგვეტევებაო რომ არ იფიქროთ და უგულისყურობაში არ ჩავარდეთ, ერთადერთი გამოსავალია თავმდაბლობით შეიმოსოთ და ნამაზის დროს გამოჩენილი მოკრძალება მუდამ თან გახლდეთ. ვინაიდან, მიტევება ალლაჰის კეთილგანწყობაზე, დიდსულოვნებასა და წყალობაზეა დამოკიდებული. ის ღვთის წყალობის საჭიროებაა. თუმცა ჩვენ მიერ შესრულებული ღვთისმსახურებები ჩვენთვის მთლიანადაა ცნობილი და მოგვეხსენება, რომ ესენი ალლაჰის დიდების საკადრისი ღვთისმსხურებები არ არის. მხოლოდ ამ ჭეშმარიტების გააზრებით, უდიდესი მორჩილებითა და თავმდაბლობით შესრულებულმა ღვთისმსახურებებმა შეიძლება ადამიანს უდიდესი ღმერთის კეთილგანწყობა, წყალობა და კმაყოფილება მოაპოვებინოს.

ადამიანი, რომელიც ლოცვისას სულსა და სხეულს არ გააერთიანებს, ნამაზის ჭეშმარიტებას ვერ შეიგრძნობს. საჭიროა, რომ სულმა და სხეულმა ერთნაირად შეიგრძნოს ნამაზის ჭეშმარიტება. იმისათვის, რომ ადამიანმა საკითხები, რომელიც გულისა და სხეულის მთლიანობას აზიანებს, გვერდზე გადადოს, თვალწინ არ წარმოიდგინოს ადამიანური თვისებები და გონება უყურადღებობისგან დაიცვას, წმინდა ჰადისში ნაბრძანებია:

„მაშინ, როცა ჭამისა და ნამაზის დრო ერთმანეთს დაემთხვევა, საჭმელი ნამაზამდე მიირთვით“ (ბუჰარი, მუსლიმი)

ღვთისმეტყველები, როცა საყურადღებო პუნქტებს შეეხნენ, ნამაზის დროს გულისა და სხეულის ერთობისა და მორჩილების შესახებ, განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინეს. მათ ცალკე კლასად გამოყვეს იმ სამი პიროვნების ნამაზი, რომელიც მოწონებული არ იქნება. ესენი არიან:

1. მონადირე,
2. მუშა,
3. ვაჭარი.

აქ მონადირეში იგულისხმება ადამიანი, რომელიც ნამაზის დროს გარემოს ზვერავს და სხეულის სხვა ნაწილებით სხვა საქმით, ე. ი. ისეთი მოღვაწეობითაა დაკავებული, რომელიც ნამაზს შლის; მუშაში იგულისხმება ადამიანი, რომელიც აბდესს არ გააახლებს და ნამაზს შემჭიდროებული აბდესით ილოცავს; ვაჭარ-

ში ჩაფიქრებულია ადამიანი, რომელიც ნამაზის დროს ჭკუა-გონებით ამქვეყნიური ვაჭრობითაა დაკავებული.. ეს სამი ადამიანი ნამაზის დროს სასურველ მორჩილებასა და სულიერ სიმშვიდეს ვერ მიაღწევენ. ისინი ღვთისმსახურებას ვერ ეძლევიან და „ვალის მოხდის“ მიზნით ლოცულობენ, ნამაზის ერთ-ერთი პირობა კი სხულისა და მისი ნაწილების ნამაზისთვის მზადყოფნა და მასში მონაწილეობის მიღებაა. სწორედაც, ერთხელ ალლაჰის შუამავალმა ﷺ როცა დაინახა, რომ ერთმა კაცმა ნამაზის შესრულების დროს წვერი ხელებით გაისწორა, ბრძანა:

„მის გულში მორჩილება რომ ყოფილიყო, სხეულის ყველა ნაწილი უმოძრაოდ ექნებოდა!“ (თირმიზი)

ეს გამოხატავს ნამაზის დროს გულისა და სხეულის ერთობის აუცილებლობას.

ქვემოთ მოცემული წმინდა ჰადისები ამ ჭეშმარიტებაზეა დაფუძნებული.

„თქვენგან ვინც ნამაზის სალოცავად დადგება, მთელი სხეულით უმოძრაოდ იყოს! ებრაელებივით რწევას ნუ დაიწყებს, ვინაიდან, სხეულის უმოძრაობა ნამაზის სრულად შესრულების ერთ-ერთი ნაწილია.“ (თირმიზი)

„ნამაზის დროს შვიდი რამ ეშმაკისეულია (ესე იგი, ეშმაკის საყვარელი საკითხებია): ცხვირიდან სისხლდენა, თვლემა, მღელვარება, მთქნარება, ქავილი, იქითაქეთ ცქერა და რაიმეთი თამაში.“ (თირმიზი)

ეს მდგომარეობები ნამაზის მლოცველის სულიერე-

ბას კრახს განაცდევინებს.

მეორე მხრივ, გული მოჩვენებითი მორჩილებისგან უნდა დავიცვათ. ეს არის მდგომარეობა, როცა გარეგნულად თითქოს მორჩილი ხარ, მაგრამ შინაგანი სამყარო მისგან ძალიან შორსაა, ამას ფარისევლური მორჩილება ეწოდება.

მორჩილების შესახებ საუბრის დასკვნით ნაწილში კარგი მაგალითის წარმოსადგენად ვიხილოთ უდიდესი ღმერთის მიერ ყურანში წარმოდგენილი წმინდა იბრაჰიმის შემდეგი ვედრება:

رَبِّ اجْعَلْنِي مُقِيمَ الصَّلَاةِ وَمِنْ ذُرِّيَّتِي رَبَّنَا وَتَقَبَّلْ دُعَاءِ

„ღმერთო, ჩემო! მქმენი ლოცვის (ნამაზის) **მართებულებრ აღმსრულებელი მე და მოდგმაცა ჩემი. ღმერთო, ჩვენო! და, მიიღე ჩემი მუდარა:“** (სურა იბრაჰიმი, აიათი 40)

როგორ ხორციელდება ნამაზზე მორჩილება

ნამაზის შესრულების შესახებ წმინდა ჰათემ ესამი ასე ამბობს:

„უპირველასად ნამაზის დრო რომ მოახლოვდება, აბდესი გულდასხმით აიღეთ. წარმოიდგინეთ, რომ თქვენს ორ წარბს – შორის ქააბა, ფეხქვეშ – ბეწვის ხიდი, მარჯვნივ – სამოთხე და მარცხნივ ჯოჯოხეთია! იფიქრეთ, რომ თქვენ თავს აზრაილ ანგელოზი დადგომიათ და ყოველ წუთს თქვენი სულის წართმევა უნდა. ამის შემდეგ უნდა იფიქროთ, რომ „ეს თქვენს სიცოცხლეში ბოლო ნამაზია“ და შიშსა და იმედს შორის გა-

წონასწორებული უდიდესი ღმერთის წინაშე დადგეთ! მთელი არსებით თექბირი აიღეთ! ყურანი წაიკითხეთ და მის მნიშვნელობაზე დაფიქრდით! რუქუდი და სეჯდე თავაზიანად, მორჩილად და მოკრძალებით შეასრულეთ! სხეულით თადილი ერქანის მიხედვით ლოცვა გააგრძელეთ, ხოლო სულით მუდამ სეჯდეზე დარჩით და იმ შეხვედრის მომენტს ერთი ამოსუნთქვითაც არ დაშორდეთ!“

წმინდა იმამ გაზალი ამბობს, რომ ნამაზის დროს თაჰიათი წმინდა შუამავლის ﷺ მაგალითად წარმოდგენას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ნამაზის დროს გულის სიმშვიდე ერთ-ერთი პირობაა. ის აცხადებს:

„პირველი და ბოლო დაჯდომისას როცა ვამბობთ **„ეიუჰენ ნებიუუ ვერეჰმეთულლაჰი“,** გულის თვალით წმინდა შუამავლის ﷺ წარმოდგენაა საჭირო.“

მართლაც მირაჯის (ცად ამაღლების) დროს უზენაესმა ღმერთმა შუამავალი ﷺ თავისთან აამაღლა და ბრძანა:

„შუამავალო! სააქაოსა და საიქიოში სალამი, ალლაჰის წყალობა და ბარაქა შენთან იყოს“. ღმერთის მიცემული ეს სალამი დიდებული კეთილგანწყობისა და განსაკუთრებული პატივისცემის ნიშანია.

ნამაზი, რომელიც მორწმუნის მირაჯია (ცად ამაღლებაა), ამავე დროს იმისთვისაა, რომ ღმერთის ამ წყალობაზე დავფიქრდეთ და გულის სიმშვიდე მოვიპოვოთ.

ამ გადასახედიდან, როცა ნამაზს ვლოცულობთ,

უნდა ვეცადოთ, რომ თაჰიათისგან სულიერება შევივსოთ. თაჰიათი ჩვენთვის მირაჯის გახსენებაა. მირაჯი კი წმინდა შუამავლისადმი უდიდესი ღმერთის სიყვარულისა და მისი თავისთან მიახლოების ყველაზე საიდუმლოდ გამოხატული სცენაა. თაჰიათში წარმოთქმული ქელიმეი შეჰადეთი იმასთან ერთად, რომ აცხადებს მონოთეიზმში მონა-მსახურება რა მაღალი საფეხურია, ამასთანავე გამოხატავს იმის საჭიროებას, რომ იქ სადაც წმინდა მუჰამმედ შუამავლის ﷺ სახელია ნახსენები, უნდა წარმოითქვას სალათი და სალამი. ნამაზის ეს შინაარსი ჩვეულებრივ „მუჰამმედის ჭეშმარიტებიდან“ ჩვენს გულებში გახსნილი ღვთიური ფანჯრის მსგავსია. შეყვარებულები ამ ფანჯრიდან შემოსული რწმენითა და ცოდნით ღმერთს უახლოვდებიან და საიდუმლოს უმაღლეს გამოვლინებასა და ჭეშმარიტებას საკუთარი თვალებით უცქერიან. ამგვარად, ნამაზი ადამიანს ყველაფერს ავიწყებს და ალლაჰისკენ მიმართავს. ყოველი დაჯდომისას, ქელიმეი შეჰადეთის, საშუალებით ალლაჰის სახელთან ერთად ალლაჰის შუამავლის ﷺ მოხსენიების საიდუმლოში ჩაწვდომის გარეშე, რწმენის სრულყოფილებასთან მიღწევა შეუძლებელია.

მართლაც, უდიდესი ღმერთი მორწმუნეებს უბრძანებს წმინდა შუამავლისთვის სიყვარულის გამომხატველი სალათისა და სალამის წარმოთქმას. ამის მინიშნებაა აიათი, სადაც მოცემულია თვით ღმერთისა და ანგელოზების მიერ სალათის წარმოთქმა.

إِنَّ اللَّهَ وَمَلَائِكَتَهُ يُصَلُّونَ عَلَى النَّبِيِّ يَاأَيُّهَا الَّذِينَ ءَامَنُوا صَلُّوا عَلَيْهِ

وَسَلِّمُوا تَسْلِيمًا

„უეჭველად, ალლაჰი და ანგელოზები შუამავალს ბევრ სალათს უგზავნიან. ეი, მორწმუნენო! თქვენც წარმოთქვით მისთვის სალათი და სრული მინდობით მიესალმეთ!“ (სურა აჰზაბი აიათი 56)

ისინი ვინც ღვთისმსახურების აღსასრულებლად ამგვარ საოცარ და მორჩილი სულიელებით აღსავსე ნამაზს ილოცავენ, საკუთარ თავსა და ყველაფერ არსებულს მოსწყდებიან. ისინი იქნებიან იმ მდგომარეობაში, რომ ამქვეყნისა და მასში არსებულის შესახებ არაფერი ეცოდინებათ.

წმინდა მევლანა იმ მონა-მსახურებზე, ვისაც ნამაზის ამგვარი შესრულება შეუძლიათ, ამბობს:

„ისინი, როცა თექბირს წარმოთქვამენ და ნამაზის სალოცავად დგებიან, ამქვეყნიდან ყურბნის მსგავსად მიდიან.“

შემდეგ მლოცველს ეძახის:

„შენც იმისთვის, რომ მათ უკან მიჰყვე და წინ წაიწიო, მიჰრაბში ჩადებული სანთლის მსგავსად გასწორდი და ნამაზი ილოცე! იცოდე, რომ როცა ნამაზის ლოცვას იწყებ „ალლაჰუ ექბერს“ წარმოთქვამ, მისი მნიშვნელობა ესაა: „ჩემო ალლაჰო! ჩვენ შენს წინაშე ყურბნად ვიქეცით!“ და როცა ხელებს თექბირის ასაღებად ყურებთან მივიტანთ, „ყველაფერი უკან დავტოვეთ და შენკენ მოვემართეთ!“

„ისე როგორც ყურბნის დაკვლისას ამბობ „ალ-

ლაჰუ ექბერ“, ასევე ამბობ ამ სიტყვას მაშინ, როცა შენს არსებას სიკვდილის ღირსად თვლი მსხვერპლად სწირავ!“

„იმ დროს სხეული – ისმაილის, სული კი ალლაჰის მეგობრის – იბრაჰიმის მსგავსია. სული, ამ ნაპატიები სხეულის ვნებებისა და მისწრაფებების ჩასაკვლელად, როგორც კი თექბირს წარმოთქვამს, სხეულს შეცდომებისა და ჟინისგან იხსნის, ნამაზის ლოცვისას როგორც კი წარმოთქვამ: **„ბისმილლაჰირ რაჰმანირ რაჰიმ“** *ყურბნად იქცევა და მიდის.“*

„ნამაზის მლოცველები ალლაჰის წინაშე მწკრივებად ისე დგანან, როგორც განკითხვის დღეს, მათი დაკითხვა, ანგარიშის ჩაბარება, ხვეწნა იწყება.“

„ნამაზის დროს ფეხზე დგომისას ცრემლის ფრქვევა ჰგავს განკითხვის დღეს, მეორედ მოსვლისას საფლავიდან ადგომას და ალლაჰის წინაშე წარდგომას. უდიდესი ღმერთი გეტყვის: „შენ რომ ამდენი ვადა მოგეცი, რა გააკეთე? რა მოიპოვე და ჩემთან რა მოიტანე?“

„ალლაჰის წინაშე წარდგომისას ამგვარი დარდზე დარდდამატებული ათასობით ამბავი, შეკითხვა მოვა.“

„ნამაზის დროს, როცა ყიამზეა, ადამიანს ღმერთის რცხვენია, სირცხვილისგან ორად იკეცება, რუქუღზე მიდის, რადგანაც სირცხვილისგან ფეხზე დგომის ძალა აღარ რჩება. რუქუზე ამბობს: **სუბხანე რაბიელ ღეზიმ** *და ამგვარად ყოვლად უნაკლო ალლაჰს თაყვანს სცემს, ადიდებს.“*

„შემდეგ იმ მონა-მსახურს ღმერთის ბრძანება მოსდის: „თავი ასწიე და შეკითხვაზე მიპასუხე!“

„მონა-მსახური რუქულიდან თავს მორცხვად სწევს, მაგრამ ვერ უძლებს, ის ცოდვილი სირცხვილისგან სახეს მიწით იფარავს.“

„მას ამჯერად მოსდის ბრძანება: „სეჯდედან თავი ასწიე და მაცნობე შენი ნამოქმედარის შესახებ.“

„ის კიდევ ერთხელ მორცხვად სწევს თავს, მაგრამ ისევ ვერ უძლებს და კვლავაც მორჩილად მიწაზე დებს.“

„უდიდესი ღმერთი უბრძანებს: „კვლავ ასწიე თავი და მიპასუხე; შენი ნამოქმედარის შესახებ დაწვრილებით შეგეკითხები!“

„ალლაჰის საოცარი მიმართვა მის სულზე ისე იმოქმედებს, რომ ფეხზე ადგომის ძალ-ღონე აღარ აქვს. ამ მძიმე ტვირთის მიზეზით დაჯდომამდე აღწევს. მუხლებზე ჩაიჩოქებს. უდიდესი ღმერთი კი უბრძანებს: „მიდი, მომიყევი! შენ წყალობა გიბოძე, როგორ გამოიყენე? მადლიერი იყავი თუ არა? შენ მატერიალური და არამატერიალური კაპიტალი მოგეცი, მათი საშუალებით რა მოიპოვე?“

„მონა-მსახური სახეს მარჯვენა მხარეს აბრუნებს, შუამავლების სულებსა და ანგელოზებს სალამს უძღვნის. მათ ეუბნება: „აზრთა ხელმწიფენო! ამ ცუდ ადამიანს უშუამდგომლეთ; ამ ცოდვილის ფეხიც, საფარიც ლაფში ჩაეფლო.“

„მონა-მსახურს, რომელმაც შუამავლებს სალამი მისცა, ეუბნებიან: „გამოსავლის მოძებნისა და დახმარების დღე გავიდა, გაქრა. გამოსავლის მოძებნა წუთისოფელში შეიძლებოდა. იქ სიკეთეს არ სჩადიოდი, ღვთისმსახურებას არ ასრულებდი, დროს ფუჭ საქმეებში ფლანგავდი!“

„მონა-მსახური სახეს ამჯერად მარცხნივ აბრუნებს. ახლოს მდგომებისგან დახმარებას ითხოვს. ისინიც ეუბნებიან: „გაჩუმდი! ჩვენ ვინ ვართ, რომ შენ დაგეხმაროთ? ჩვენ თავი დაგვანებე; საკუთარი თავის პასუხი ღმერთს თავად გაეცი!“

„რადგან მონა-მსახური ვერც ერთი მხრიდან გამოსავალს ვერ პოულობს, გული ეფლითება. ყველასგან იმედგადაწურული ხელებს მაღლა აღაპყრობს, ქედმოხრილი ვედრებას, ხვეწნა-მუდარას და თავშესაფრის თხოვნას იწყებს. ამბობს: „ჩემო ალლაჰო! ყველასგან იმედი გადამეწურა. ის, ვისაც პირველად და საბოლოოდ მონა-მსახური მიმართავს შენ ხარ, შენ ხარ ერთადერთი თავშესაფარი. შენს უსაზღვრო ლმობიერებასა და მოწყალებას შევეფარე!“

ამ დაფიქრების მდინარე წმინდა მევლანა ამბობს:

„ნამაზის ეს სასიამოვნო მინიშნებები დაინახე და გაიგე, რომ ბოლოს უეჭველად ასე იქნება! ჭკუა-გონება მოიკრიბე და ნამაზის მხოლოდ გარეგნულ კი არა, მის სულიერ სარგებელსაც შეხედე! ალლაჰის სიდიადეს მხოლოდ მიწაზე თავის დადება – აწევით, გაუაზრებლად არ შეხედო, ისე, როგორც ამას მარცვლების შეგროვებით ჩიტი აკეთებს! ყური დაუგდე შუამავლის

ნათქვამს: „ადამიანებისგან ყველაზე საშინელი ქურდია ის, ვინც ნამაზს იპარავს.“ (ჰაქიმი, მუსთეედრექ, 1, 353)

მლოცველი ნამაზს თუ სუფთა გულით ილოცავს და ამ დროს სხვა სამყაროში იცხოვრებს, ალლაჰის სამყაროს სიყვარულით იტირებს და ხვეწნა-მუდარით თავშესაფარს ითხოვს, მისი ნამაზი ისეთი მოსაწონი და ფასეული გახდება, რომ ალლაჰი მას „ლებბექ“ (მობრძანდი, მონა-მსახურო) შეძახილით შეხვდება.

მორჩილად და მორჩილების გარეშე შესრულებული ნამაზის შესახებ წმინდა ჰადისში ნაბრძანებია:

„ორი ადამიანი ერთსა და იმავე დროს და ერთსა და იმავე ადგილას ორ მუხლ ნამაზს ლოცულობს, (მაგრამ) **მათ შორის სხვაობა ისეთია, როგორც ცასა და მიწას შორის.“** (იჰია)

ამ გადასახედიდან აიათში მოცემულია, რომ მორჩილება ნამდვილი მორწმუნეების ნამაზს იცავს, აიათში ნაბრძანებია:

„რომლებიც ლოცვას იცავენ.“ (სურა მეაიჯ, აიათი 34)

ამავე დროს, იმავე სურის 23-ე აიათში ასეა ნაბრძანები:

„რომლებიც (ნამაზებს) **სისტემატურად ლოცულობენ.“** (სურა მეანე, აიათი 23)

სწავლულები ამბობენ:

„ამ აიათის სურვილია გვაცნობოს, რომ ნამაზი სულიერებაა. იმიტომ, რომ ნამაზის ლოცვისას ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რა ფორმით შესრულ-

დება ის, ამასთანავე იმას, რომ ნამაზი გულისყურითა და მუდმივად შესრულდეს. მუდმივი ნამაზი ნებისმიერ მდგომარეობაში ალლაჰის გახსენების, ღმერთის დაუვიწყებლობის საშუალებაა.“

წმინდა მევლანა ამ აიათს მინიშნების მნიშვნელობას ანიჭებს და ამბობს:

„ადამიანი ნამაზის ლოცვის დროს განცდილ მდგომარეობას შემდეგაც იცავს. ამგვარად, მთელი მისი სიცოცხლე მოკრძალებაცა და მორჩილებაშია, ენა და გული დაცულია. ეს მდგომარეობა ღმერთზე შეყვარებული ადამიანების მდგომარეობაა.“

„ნამაზი, რომელიც ჩვენ სწორ გზას გვიჩვენებს, ბოროტებას გვაშორებს, დღეში ხუთჯერ ილოცება. თუმცა ღმერთზე შეყვარებულები მუდმივად ნამაზზე არიან. ვინაიდან, მათ გულებში ჩაბუდებული სიყვარული შიგნეულს წვავს, ის ღვთიური სიყვარული არც ხუთი ნამაზით განელდება და არც ხუთასი ათასი ნამაზით გაივლის! “

„შეყვარებულისთვის ნამაზი თევზისთვის წყლის აუცილებლობას ჰგავს. ისე როგორც თევზს უწყლოდ სიცოცხლე არ შეუძლია, შეყვარებულის სულიც მუდმივად ნამაზს თუ არ შეასრულებს, სიმშვიდეს ვერ მოიპოვებს და ვერ გახალვათდება. ამიტომაც სიტყვები: „მე ცოტა ხნით მომინახულე“ შეყვარებულებზე არ არის ნათქვამი. ღმერთთან შეხვედრას ნამდვილი შეყვარებულების სულები ძალიან მოწყურებულია.“

„შეყვარებული საყვარელს ერთი წამითაც რომ და-

შორდეს, ათას წლად ეჩვენება, ხოლო შეყვარებულის გვერდით ერთი წელი – ერთ წამად. ამიტომ, შეყვარებულისთვის ღმერთთან მარტო დარჩენის ერთადერთი საშუალება ნამაზია, მათი დამამშვიდებელი საშუალება მუდმივად მისი შესრულებაა. მათ თავიანთი ნალოცი ათასობით მუხლი ერთ მუხლად ეჩვენებათ. ერთი მუხლიც რომ ვერ ილოცონ, ისე ჰგონიათ თითქოს ათასობით მუხლი არ ელოცოთ, ამის გამო გული ეთუთქებათ და დადარდიანებული არიან.“

„ჭკუის პატრონო! ნამაზის დროს ერთად ყოფნის გაგება ჭკუის საქმე არ არის. ამის გაგება, ჭკუის მსხვერპლად შეწირვის, გულის სამყაროს გაცოცხლებითაა შესაძლებელი.“

გულის სამყაროს გაცოცხლება კი იმასთანაა დაკავშირებული, თუ ადამიანი რომელი ყიბლისკენ მიბრუნდება. ამ მიმართულებას წმინდა მევლანა ასე გვამცნობს:

„ხელმწიფეების ყიბლე – გვირგვინი და ქამარი ამქვეყნის თაყვანისმცემელთა – ოქრო და ვერცხლი, ფორმით მოჯადოებულთა – წყლისა და თიხის შემცველი საგანი, განათლებულთა – სული და გული, ღვთისმოსავების – შეყვარებულის თანხმობა, ხოლო უგულისყუროების ყიბლე წრეგადასული ქცევაა. ზარმაცების ყიბლე ძილი და საჭმელია, ადამიანების კი – მეცნიერებითა და განათლებით კვება.

შეყვარებულის ყიბლე სიკვდილის გარეშე შეყვარებულთან შეხვედრაა; განათლებულის – უდიდესი ალლაჰის სილამაზე, სააქაოს ბინადრის – ქონება და

წოდება, ღვთისმოსავთა – ჭეშმარიტი გზა, ჟინისა და მისწრაფების – ვნება; ხოლო, რაც აქვს იმით კმაყოფილის ყიბლე საქმის ღმერთზე მინდობაა.

და იცოდეთ, სალოცავად სახით ქააბასაკენ დადგომისას, შენობა კი არ არის ყიბლე, არამედ ის ადგილი, სადაც შენობა დგას. ვინაიდან, ის შენობა სხვა ადგილზე რომ იდგეს, ყიბლე არ იქნება.“

ამის გამო, როცა ნამაზის სალოცავად სხეულით ქააბასკენ მიტრიალდები, გულით ალლაჰისკენ უნდა მიტრიალდე, ვინაიდან, გულის ყიბლე ალლაჰია.

მეორე მხრივ, მორჩილების განსახორციელებლად და დასაცავად

„ქმედება გაზრახვის შესაბამისია.“ (ბუჰარი, ბედულვაჰი, 1)

წმინდა ჰადისის თანახმად **სრულფასოვანი ნამაზისას განზრახვა აუცილებელია**. თუ ასე მოიქცევი, ესე იგი, გესმის რა ნამაზს ასრულებ და ვის წინაშე დგახარ. აკონტროლებ რაც გულში გაქვს და სხვა ყველა მიზნისგან მოშორებული ხარ.

თექბირის სწორი გამოთქმით ალლაჰის სიდიადე და ბრწყინვალება უნდა შევიგრძნოთ. ხელებს ყურებთან რომ ასწევ, ამქვეყნიური ყველა საქმე უკან უნდა გადააგდო და მთელი არსებით უნდა შეიგრძნო, რომ ალლაჰის წინაშე დგახარ და იმ შეგრძნებით სააქაოდან სულიერად საიქიოში უნდა გადახვიდე, ნამაზი უნდა დაიწყო.

ყიამზე მხოლოდ სეჯდეს ადგილს უნდა უყურებდე და გრძნობდე; რომ ალლაჰის წინაშე დგახარ, ეს შეგრძნება ერთი წამითაც არ უნდა მოგშორდეს, ღმერთის წინაშე უძლურების, უღონობისა და მორჩილების უმაღლეს მწვერვალზე ისე უნდა ავიდეთ, რომ ანგელოზების ყურადღება მივიპყროთ, რათა მათ უდიდეს ღმერთს უთხრან: „რა კარგი მონა-მსახურია!“ უნდა შევეცადოთ, მათი ქება დიდება დავიმსახუროთ.

ყურანის კითხვისას აიათები თითო-თითოდ, სწორად უნდა წავიკითხოთ. უნდა ვეცადოთ, რომ მათ არსს იმდენად ჩავწვდეთ, რამდენადაც შესაძლებელია და თანაც მისი აზრი ჩვენს ცხოვრებაზე უნდა აირეკლოს. ყველა იმაზე, ვინც ყურანს კითხულობს, წმინდა ჰადისში ნათქვამია:

„ის,ვინც ყურანს კითხულობს,მასზე ითქმის,რომ ალლაჰს ესაუბრება!“ (აბუ ნუამი). წმინდა ჰადისის საიდუმლოს გამომჟღავნებით, როცა სურებსა და აიათებს კითხულობ, ენასთან ერთად გულიც ფხიზელი და მშვიდი უნდა გქონდეს.

რუქუღის თესბიჰათების მნიშვნელობაზე უნდა დავფიქრდეთ და დიდებული და დარბაისლური გრძნობით უნდა წავიკითხოთ.

სეჯდეს თესბიჰათების დროსაც ალლაჰის სიდიადეზე უნდა ვიფიქროთ და ისე წავიკითხოთ. მთელი არსებით უნდა შევიგრძნოთ, რომ ადამიანი ალლაჰთან ყველაზე ახლოს სეჯდეზეა და სეჯდე, სხეულთან ერთად, სულსაც უნდა შევასრულებინოთ. აიათში ნათქვამიდან: **„სეჯდე შეასრულე და და**(მი)**ახლოვდი!“** (სურა

ალაქი, აიათი 19), შენი წილი უნდა მიიღო.

ნამაზზე დაჯდომისას, რომელსაც **ქადე** ეწოდება, როგორც უკვე ვთქვით, „თაჰიათის“ საიდუმლოსა და მნიშვნელობას უნდა ჩავწვდეთ. ღმერთის წინაშე დავსხდეთ და ლოცვა-ვედრებით თაყვანი ვცეთ მას.

ნამაზის დასასრულს, **სალამის** მიცემასთან როგორც კი მივაღწევთ,ის მარჯვნივ და მარცხნივ მყოფ ანგელოზებს სიამოვნებით უნდა გავუნაწილოთ, რადგან მაშინ ნამაზის შესრულების აღფრთოვანებამ უნდა მოგვიცვას. იმ ნამაზის, რომელიც ღმერთთან შეხვედრის საშუალებას მოგვცემს და სამოთხეში წაგვიყვანს.

თუ შევძლებთ, ნამაზი ისე ვილოცოთ, რომ ღმერთის მიერ მიღებული იქნას, ანგელოზებისთვის მიცემული სალამის ფასი ამქვეყნად და იმქვეყნად ღმერთის განცხადებით ასეთი იქნება:

„(ეტყვიან) **„მშვიდობა** (სალამი) **თქვენდა, რომ ითმენდით!“ რა მშვენიერია საბოლოო სამყოფელი!**“ (სურა რადი, აიათი 24)

ზემოთ აღნიშნული ნამაზის დროს მოკრძალება და მორჩილება, ღმერთთან შეხვედრისას არ არის ის მდგომარეობა, რომელთან მიღწევაც ადამიანურ ძალებს აღემატება. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ნამაზის დროს დიდებული ღვთიური სიამოვნება მხოლოდ სიტყვების შემამკობელი განცხადებითა და წარმოსახვითაა შესაძლებელი. ვინაიდან, წმინდა შუამავლის ﷺ

ნალოცი ნამაზები თავისებურ ხასიათს ატარებდა, მისი მორალით აღზრდილი თანამიმდევრები და მათ კვალს მიყოლილი წმინდანების ნამაზები ჩვენთვის მანათობელი ჩირაღდნებია.

ალლაჰის შუამავლის ნამაზი

გადმოცემის მიხედვით, როცა წმინდა მუჰამმედ შუამავალი ﷺ ნამაზზე იდგა, მისი მკერდიდან ისეთი ტირილის ხმა გამოიდოდა, როგორსაც ხელის წისქვილი გამოსცემს. წმინდა ალი ამ საკითხთან დაკავშირებულ ერთ დაკვირვებას ასე გადმოგვცემს:

„ბედირის ომში ვნახე, ალლაჰის შუამავალი ხის ქვეშ ნამაზს ლოცულობდა და თან ტიროდა. ამგვარადვე გაათენა.“ (ფეზაილი, ამილ, 29)

როცა ალლაჰის შუამავალი ﷺ ნამაზის შესრულების დროს ტიროდა, მისი მკერდიდან ზოგჯერ ისეთი ხმა მოისმოდა, როგორსაც ქვაბიდან მდუღარე წყალი გამოსცემს.

წმინდა აიშე ბრძანებს:

„როცა ალლაჰის შუამავალი ნამაზს ლოცულობდა, დროდადრო მისი მკერიდან ქვაბში მდუღარე წყლის მსგავსი ხმა ისმოდა.“ (აბუ დავუდი, სალათი, 157; ნესაი, სეჰვი, 18)

ალლაჰის შუამავლის ﷺ ნამაზთან დაკავშირებით წმინდა აიშე გადმოგვცემს:

„ალლაჰის შუამავალი გვესაუბრებოდა. მაგრამ როგორც კი ნამაზის დრო მოვიდა, ისე მოიქცა, თითქოს

ჩვენ არც გვიცნობდა და მთელი თავისი არსებით ალ-ლაჰისკენ მიტრიალდა.“ (ფეზაილ ამალ, 303)

ჩვენი გულის უმთავრესი მიზანი ნამაზის დროს ამ მდგომარეობის მიღწევა უნდა იყოს. ეს მთლად ის შესაძლებელი რომც არ იყოს, ამ მიმართულებით, ჩვენ ცდა არ უნდა დავაკლოთ. ალლაჰის შუამავლის ნამაზის მდგომარეობა ვარსკვლავების კრიტერიუმია. რამდენადაც მივუახლოვდებით, იმდენად წარმატებულნი ვიქნებით.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მოქმედება, ყველა ღვთისმსახურება, რომელსაც სრულყოფილებასთან არ მიუღწევია, დასაწყისში ზედაპირული მიბაძვა იყო მხოლოდ. ისე როგორც ხელოვანს ბევრი მეცადინეობა სჭირდება ხელოვნების ხელთუქმნელი ნიმუშის შესაქმნელად, ასევე ესაჭიროება მონა-მსახურს დრო ღვთისმსაურების სრულყოფისათვის. ის, ვინც ამ ჭეშმარიტებას ყურადღებას მიაქცევს, მაგრამ ნამაზს სრულყოფილად ვერ შეასრულებს, უიმედობაში არ უნდა ჩავარდეს და იგივე გზა უნდა განაგრძოს. ისე როგორც ერთი გრამი ოქროს მოსაპოვებლად ათასობით ტონა მიწის გაწმენდაა საჭირო, ნამაზის სრულყოფისა და წმინდანებზე მიბაძვისათვის მოთმინების, სიჯიუტის, სიმშვიდისა და მორჩილების მოპოვებაა აუცილებელი.

რისთვისაც ამ წმინდა ჰადისის განცდაა საჭირო:

„ნამაზის სალოცავად რომ დადგები ისე ილოცე, თითქოს სიცოცხლეში ბოლო ნამაზს ლოცულობდე! ისეთი არაფერი თქვა, ხვალ რომ ინანებ! ადამიანების (უგულისყურო) სურვილების შეგრძნებას თავი

დაანებე!“ (იბნ მაჯე, ზუჰდი 15)

ალლაჰის შუამავლის ﷺ თანამედროვეების და მათ კვალს გაყოლილი წმინდანების მდგომარობა მუდამ წმინდა ჰადისების შესაბამისი იყო.

ისლამის სათავეებთან მდგომთა ნამაზი

ერთმა ცეცხლთაყვანისმცემელმა **წმინდა ომარი** შუბით დაჭრა. მას სისხლდენა არ შეუჩერდა და ბევრი სისხლი დაკარგა. ცოტა ხნის შემდეგ მან გონება დაკარგა. ეს სასიკვდილო გულის წასვლა იყო, მაგრამ ნამაზის დრო რომ მოვიდოდა და ყურში ჩასძახებდნენ:

„ნამაზი, ომარ, ნამაზიო, წმინდა ომარი გასაოცარი შეგნებით გონს მოდიოდა. ის ასეთ მძიმე მდგომარეობაშიც კი ნამაზს ლოცულობდა. „მას ვინც ნამაზს არ ასრულებს, ისლამში ადგილი არა აქვს“ – ამბობდა ის ისევ გული მისდიოდა.

ნამაზზე დგომისას **წმინდა ალი,** ფითრდებოდა. მას ამ დროს, საკუთარი სხეულის გარდა, კავშირი ყველაფერთან გაწყვეტილი ქონდა. ერთ-ერთ ბრძოლაში ნამაზის ლოცვისას მას ფეხში ისარი შეერჭო. ის ნამაზის ლოცვის ექსტაზს იმდენად მისცემოდა, რომ ის არც შეუმჩნევია. მას ჰკითხეს:

„მორწმუნეთა მბრძანებელო! როცა ნამაზის ლოცვის დრო მოვა, რატომ ფითრდებით და ცახცახებთ?“

შუამავალმა უპასუხა:

„მოვიდა იმ ანაბრის შესრულების დრო, რომელიც

მიწასა და ცას არ აქანებს, მთის ტარება არ შეუძლია. მე არ ვიცი მას უნაკლოდ შევასრულებ თუ ვერა.“

ნამაზის სალოცავდა დადგომისას შუამავლის ﷺ ყველა თანამიმდევრის გულს ალლაჰის შიშში ეუფლებოდა, მისი დიდება მოიცავდა.

წმინდა ჰასანს აბდესის აღების დროს ფერი ეცვლებოდა. ერთმა კაცმა, ეს რომ დაინახა, ჰკითხა:

„ჰასან! როცა აბდესს იღებ, ასე რატომ ფითრდები?“

მან უპასუხა:

„მოვიდა დრო, წარვსდგე ბრწყინვალე, უდიდესი ძალის მქონე ალლაჰის წინაშე.“

როცა ჰასანი მეჩეთში შედიოდა, ასე ლოცულობდა:

„ჩემო ღმერთო! შენი მონა-მსახური შენს კარებთანაა. მწყალობელო, ჩემო ალლაჰო! შენი ცოდვილი ყმა შენთან მოვიდა. შენ კეთილსინდისიერ მონა-მსახურებს უბრძანე ბოროტ ადამიანებს ბოროტებები მიუტევონ. ვინაიდან, შენ მიმტევებელი და გულუხვი ხარ, ჩემო ალლაჰო, გაიღე მოწყალება და ჩემი ჩადენილი ბოროტებანი თქვენი მიტევებისა და გულუხვობის წყალობით მომიტევე!“

აბდესის აღებისას **წმინდა ზეინელაბიდინი** ფითრდებოდა, ნამაზის ლოცვას რომ იწყებდა, მუხლები უკანკალებდა. როცა ამის მიზეზი ჰკითხეს, მან ასე უპასუხა:

„თქვენ არ იცით, ვის წინაშე უნდა წარვსდგე?“

ერთხელ, როცა ის ნამაზს ლოცულობდა, მის სახლში ხანძარი გაჩნდა, მას ამის შესახებ არაფერი გაუგია. როცა სალამი მისცა, ჰკითხეს:

„მაშინ, როცა შენს სახლს ცეცხლი ეკიდა, რა იყო მიზეზი, რამაც ეს არ შეგამჩნევინა?“

წმინდა ზეინელაბიდინმა უპასუხა:

„საიქიო ხანძარმა, რომელიც ადამიანებს ელოდება, ეს პატარა ხანძარი არაფრად ჩამათვლევინა.“

მუსლიმ იბნ იესარის ნამაზი ასეთი იყო. ის ბირას ერთ-ერთ მეჩეთში ნამაზს ლოცულობდა. ამ დროს სამლოცველო დიდი ხმაურით ჩამოინგრა, მაგრამ მუსლიმ იბნ იესარს ამ ხმაურის არაფერი გაუგია და ლოცვას განაგრძობდა. სალამი რომ მისცა, ჰკითხეს:

„მეჩეთი ჩამოინგრა და შენ არც კი განძრეულხარ. ეს რა მდგომარეობა იყო?“

მან გაოცებით იკითხა:

„მეჩეთი ჩამოინგრა?“ ამგვარად მან გამოხატა, რომ ნამაზის ლოცვის დროს სხვა ვერაფერს გრძნობდა.

წმინდა სუფიანი სევრი ექსტაზში ჩავარდა. შვიდი დღე სახლში ჩაიკეტა და ჭამა-სმა შეწყვიტა. მისი ეს მდგომარეობა სპეციალისტს აცნობეს. სპეციალისტმა იკითხა;

„ნამაზის დროებს ანსხვავებს?“

„უეჭველია, რომ მათ ასხვავებს და თან ნამაზს სწორად ლოცულობს.“

„დიდება ალლაჰს, ეშმაკს მასზე ვერ უმძლავრია!“

ერთი მორწმუნე გადმოგვცემს:

„**ზენუნი მისრის** უკან დავდექი და ნამაზი ვილოცე. იმ წმინდა მონა-მსახურმა „ალლაჰუ ექბერ“ წარმოთქვა. ალლაჰის სახელის ხსენებამ მასზე ისეთი ზეგავლენა მოახდინა, თითქოს მის სხეულს სული გაეყარა. ასე გაშეშებული დარჩა. მის მიერ წარმოთქმული თექბირი ისეთი ზეშთაგონების მომხდენი იყო, რომ მეც გული ნაფლეთებად მიქცია.“

ამირ იბნ აბდულლაჰი, როცა ნამაზზე დგებოდა, გარე სამყაროსთან ყოველგვარ კავშირს წყვეტდა, ვერაფერი ამქვეყნიური მის ნამაზს ვერ შლიდა. ის ამბობდა:

„ნამაზის დროს სხვების სიტყვებისა და და მოძრაობების გარჩევას სხეულში ისარი შემერჭოსო მირჩევნია.“

დღეს მათთვის, ვინც შუამავლის თანამიმდევრების ნალოცი ნამაზის კლიმატს ვერ აღიქვამენ, ნამაზის ტკბილი სიამოვნება იმდენად უცხო მდგომარეობაა, რომ ამ მაღალი არსის შესახებ ეჭვიც კი ეპარებათ. მათ ვერ წარმოუდგენიათ ამ გენიოსი ადამიანებისგან წამოსულმა უსაზღვრო სულიერებამ გულები როგორ უნდა გაანათოს? მათთვის, ვისაც ეს სიამოვნება არ განუცდია, ამის გაგება, რა თქმა უნდა, რთულია. უგულისყურობაში ჩავარდნილ ადამიანებს სწამთ, რომ წარმავალი სიყვარული, შეყვარებულთან საუბრის სიამოვნება ყველაფერს ავიწყებს ადამიანს, ისინი შორს დგანან იმის შემეცნებისგან, რომ ნამაზი ის სასიამოვ-

ნო მომენტია, როცა ღმერთზე შეყვარებული ადამიანი თავად ღმერთს ესაუბრება. ეს მდგომარეობა როგორი წინდაუხედაობა და როგორი სამწუხარო დანაკარგია.

ჭეშმარიტი ნამაზი მონა-მსახურს ალლაჰის გაგებასთან, მადლიერებასა და პატივისცემასთან მიაღწევინებს. ამის გამო, ნამაზის შესრულება, მათთვის, ვისი გულიც ალლაჰის სიყვარულით აღსავსეა და შეურყეველი რწმენითაა გაჯერებული, ნამაზის შესრულება ადვილია. ისინი არაჩვეულებრივ სიამოვნებას განიცდიან. ამის გამო გარეგნულად და შინაგანად ნამაზს ერთი წამითაც არ შორდებიან. წმინდა ვეისელ ყარანი ნამაზზე რომ დადგებოდა, მასთან განშორება აღარ უნდოდა და ნამაზს მხოლოდ ადამიანური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გამო წყვეტდა. ერთხელ მის მოსანახულებლად მოსული კაცი საკმაო ხანს ელოდა მისი ნამაზის დასრულებას, მაგრამ, როცა ის ყოველი სალამის მიცემის შემდეგ ისევ ნამაზზე დგებოდა, თავისთვის თქვა:

„გულო! შენ აქ იმისთვის მოხვედი, რომ გენახა ეს წმინდანი თავისთავს როგორ სარგებელს აძლევს. აი, მისი ეს მაღალი მდგომარეობა; თავიდან ფეხებამდე შეგონებით აღსავსე გულწრფელი მეტყველი მდგომარეობა! აქ სიტყვები ზედმეტია! მისი ამ მდგომარეობისგან შეგიძლია კარგი გაკვეთილი მიიღო, ეს შენ სიცოცხლის ბოლომდე გეყოფა!“

ეს მდგომარეობა იმ ადამიანთან უსიტყვოდ, საიდუმლო მდუმარებით გატარებული ნაყოფიერი საუბარი იყო. ამგვარად,ის ადამიანი იქიდან სულიერად სრული-

ად შეცვლილი, გულდამშვიდებული და მცირედით კმაყოფილი წავიდა.

უდიდესი ღმერთი ასეთ მდგომარეობამოპოვებულ ადამიანებზე ამბობს:

وَاسْتَعِينُوا بِالصَّبْرِ وَالصَّلَاةِ وَإِنَّهَا لَكَبِيرَةٌ إِلَّا عَلَى الْخَاشِعِينَ

„ლოცვითა და მოთმინებით ითხოვეთ წყალობა ღმერთისაგან. უეჭველად, იგი (ყველასთვის) **მძიმეა, გარდა ღვთისმოშიშისა!“** (სურა ბაყარა, აიათი 45)

აქ ეს ჭეშმარიტებაც უნდა განვმარტოთ:

თუნდ არ იყოს შესაძლებელი დიდი წმინდანების ნამაზის მიერ მოპოვებულ უმაღლეს საფეხურთან მიღწევა, მის შესრულებას ჩვენს გულებში არსებული ნიჭისა და უნარის შესაბამისად მაინც უნდა ვეცადოთ. ეშმაკი ზოგჯერ ამბობს: „ამგვარად, ნამაზის უგულისყურო ლოცვას სულ რომ არ ილოცო, ის სჯობია.“ ამგვარი საფრთხიდან ის უფრო დიდი საფრთხისკენ გვერეკება, მახეში გვაგდებს. ამის გამო, ამგვარი ფიქრი დაღუპვის მიზეზია. უნდა ვიფიქროთ, რომ სულ ულოცველობას ასეთი ლოცვა სჯობია. ამ ორს შორის დიდი სხვაობაა. ის, ვინც ნამაზს არ ლოცულობს, მუდამ წაგებულია. მაგრამ ხარვეზითაც რომ შეასრულოს, შესაძლებელია, უზენაესი ალლაჰის წყალობით მიეტევოს. დადგება დღე, როცა მისი ნამაზი შეფასდება და ალლაჰის მიერ მიღებული იქნება. შესაძლებელია, თვით ალლაჰი მისცემს მისი უკეთ ლოცვის შესაძლებლობას, რის გამოც მას განკითხვის დღეს არ შერცხვება.

დღეში ხუთჯერ ფარძი ნამაზი

ფარძების შესახებ წმინდა მუჰამმედ ﷺ შუამავალს ჯებრაილის საშუალებით ეცნობა. მაგრამ დღეში ხუთჯერ ლოცვა, მის გარეშე, ალლაჰის შუამავალს თვით უდიდესმა ღმერთმა მირაჯის (ცად ამაღლების) ღამეს საჩუქრის სახით უბრძანა. დასაწყისში ფარძად დღეში ნამაზის ორმოცდაათჯერ ლოცვა დაწესდა, ცად ამაღლების წინ წმინდა მუსა შუამავალმა წმინდა მუჰამმედ შუამავალს ﷺ ურჩია:

„ალლაჰის შუამავალო! მე შენზე ადრე ებრაელებზე გამოვცადე. შენს მიმდევრებს ორმოცდაათი ნამაზის შესასრულებლად ძალა არ ეყოფათ!“

ამის გამო ალლაჰის შუამავალმა ﷺ უდიდეს ღმერთს იმ ღამეს თხოვნით ხუთჯერ მიმართა, საბოლოოდ ნამაზი ხუთამდე ჩამოაყვანინა.

წმინდა მუსამ უთხრა:

„ამის ძალაც არ ეყოფათო!“

ალლაჰის შუამავალმა კი უპასუხა:

„ამაზე მეტად მის შემცირებას უდიდესი ღმერთისგან ვერ ვითხოვ, მრცხვენიაო.“ ამგვარად გადაწყვიტა ხუთი ნამაზის დატოვება.

იმასთან ერთად, რომ შუამავლის ﷺ ვედრების წყალობით ხუთი ნამაზის ლოცვა ფარძად დააწესა, იმ შეხვედრისას, მირაჯის ღამეს შუამავალს ესეც ახარა:

„ჩემო შუამავალო! ჩემს საფეხურებზე სიტყვა არ იცვლება. ამ ხუთი ნამაზის საფასურად შენ ორ-

მოცდაათი ნამაზის ჯილდოს მიიღებ.“ (იბნ მაჯე, იქამეთუს-სალათ, 194)

ალლაჰის შუამავალი ﷺ მის მიმდევრებს ამ ხუთი ნამაზის შესახებ ასე უბრძანებს:

„უდიდესმა ალლაჰმა ბრძანა: „შენს მიმდევრებს დღეში ხუთი ნამაზი ფარძად დავუწესე. ჩემთან მხოლოდ მიცემული სიტყვა არსებობს. მათ, ვინც ამ ნამაზებს დროულად შეასრულებს, აუცილებლად სამოთხეში შევიყვან. მათთვის კი, ვინც ამ ნამაზებს არ შეასრულებს, არავითარი სიტყვა არ მაქვს მიცემული.“ (იბნ მაჯე, იქამეთუს სალათ 194)

სხვა წმინდა ჰადისში ნაბრძანებია:

„ალლაჰმა, თავის მონა-მსახურებს დღეში ხუთი ნამაზი ფარძად დაუწესა. ვინც ამ ნამაზებს შეუმცირებლად, სრულად ილოცავს, მას ალლაჰი სიტყვას აძლევს, რომ განკითხვის დღეს სამოთხეში შეიყვანს. მათთვის, ვინც მას არასერიოზულად მიიღებს და ხარვეზებით შეასრულებს, ალლაჰის საფეხურებზე მიცემული სიტყვა არ არსებობს. ისურვებს დასჯის, ისურვებს აპატიებს.“ (იბნ მაჯე, იქამეთუს სალათი 194)

ერთხელ წმინდა მუჰამმედ შუამავალმა ﷺ თავის თანამიმდევრებს ჰკითხა:

„რომელიმე თქვენგანის კართან მდინარე რომ ჩამოდიოდეს და ვიღაცამ მასში დღეში ხუთჯერ დაიბანოს, მას ჭუჭყის რამე შერჩება?“

„არა, იმ პიროვნებას არვითარი ჭუჭყი არ შერჩება,“

– უპასუხეს თანამიმდევრებმა.

შუამავალმა ბრძანა:

დღეში ხუთჯერ ლოცვაც ამგვარია. დღეში ხუთჯერ ლოცვით ალლაჰი ცოდვებს შლის და აბათილებს.“ (ბუჰარი, მევაქითი, 6)

სხვა წმინდა ჰადისში ნაბრძანებია:

„დიდი ცოდვების გამოსასყიდად ხუთი ნამაზია, ხოლო მცირე, ორ ჯუმას შორის ჩადენილი პატარა ცოდვების გამოსასყიდად – ჯუმა ნამაზი.“ (მუსლიმი, თაჰარეთი, 14)

„თუ მუსლიმანი ფარძი ნამაზის მოსვლის დროს აბდესს ლამაზად აიღებს, მორჩილებითა და რუქუს სრული შესრულებით ნამაზს ილოცავს, მისი ეს ნამაზი წინათ ჩადენილი დიდი ცოდვის გამოსასყიდი იქნება. ეს ყოველთვის ასეა.“ (მუსლიმი, თაჰარეთი 7)

უნდა აღვნიშნოთ, რომ ფარძად დაწესებულ ხუთი ნამაზისგან თითოეული სხვადასხვა ღირებულებისა და მნიშვნელობის მატარებელია. დღის განმავლობაში ნამაზის განსაზღვრულ და განსხვავებულ დროებში შესრულებას სულისა და სხეულისთვის ათასი სარგებელი მოაქვს. აქედან გამომდინარე, თითეულმა ადმიანმა უნდა ეცადოს ის მთელი გულითა და სულით შეასრულოს და უგულისყურობა არ გამოიჩინოს. უდიდესი ალლაჰი ბრძანებს:

فَسُبْحَانَ اللَّهِ حِينَ تُمْسُونَ وَحِينَ تُصْبِحُونَ

وَلَهُ الْحَمْدُ فِي السَّمَوَاتِ وَالْأَرْضِ وَعَشِيًّا وَحِينَ تُظْهِرُونَ

„დაღამებისას თუ გათენებისას – ალლაჰი ადიდეთ. ცათა და დედამიწაზე დიდების ღირსი ის არის.“ (სურა რუმი, აიათები 17-18)

აბდულლაჰ იბნ აბბასი აცხადებს, რომ ეს ორი აიათი ხუთი ნამაზის მომცველია. ის ასე ბრძანებს:

„აიათში მოცემული „დილა რომ მოაღწევს,“ დილის ნამაზის დროა.

„შუადღის ჟამს“ შუადღის ნამაზის დროა.

„დღის ბოლოს“ ნაშუადღევის ნამაზის დროა.

„საღამოს დადგომისას“ საღამოსა და ძილის წინ ნამაზების ნიშანია.“

ამ აიათების დამატებით არსებობს სხვა აიათებიც, რომლებიც ფარძი ნამაზების შესახებ სხვადასხვა ბრძანებებსა და მინიშნებებს შეიცავს.

საფარი ხუთი ნამაზის მნიშვნელობის შესახებ ასე ამბობდა:

„ანგელოზები დილის ნამაზების უარმყოფებს – „ცოდვილებს!“

შუადღის ნამაზის უარმყოფელებს – „დანაკარგგანცდილებს“!

ნაშუადღევის ნამაზის უარმყოფლებს – „ამბოხებულებს!“

საღამოს ნამაზის უარმყოფელებს – „უმადურებს!“

ხოლო ძილისწინა ნამაზის უარმყოფელებს „დაკარგულებს“ უწოდებენ.

მეორე მხრივ, ხუთი ნამაზის ფარძებთან ერთად სუნნეთებსაც პატივისცემით უნდა მოვეპყროთ და მათი შესრულებისას გულისყური არ უნდა მოვადუნოთ, უყურადღებოდ არ უნდა მოვიქცეთ. სუნნეთები ნამაზის სრულყოფისათვის აუცილებელია, რადგან ისინი თვით ალლაჰის შუამავლის მიერ დაწესებული და პრაქტიკულად განხორციელებულია. ამის შესახებ შემდეგი თქმულებები არსებობს:

„დილის ნამაზის ორი მუხლი სუნნეთი ამქვეყანასა და მასში არსებულ ყველაფერზე უფრო სასარგებლოა.“ (მუსლიმი, სელათულ-მუსაფირუნი 96)

„წმინდა შუამავალი შუადღის ნამაზის ფარძამდე – ოთხ, ფარძის შემდეგ კი ორ მუხლ ნამაზს ლოცულობდა.“ (თირმიზი, ჯუმა, 66)

„ნაშუადღევის ნამაზის ოთხ მუხლს (სუნნეთს) ვინც ილოცავს, ალლაჰმა შეიწყალოს!“ (თირმიზი, სალათი 201)

„საღამოს ნამაზის შემდეგ იჩქარეთ და ორი მუხლი შეასრულეთ, რადგან ფარძებთან ერთად შესრულებული ის ორი მუხლი აგამაღლებთ!“ (რეზინი)

ძილის წინა ნამაზის ბოლო ორი მუხლი სუნნეთი იმათგანია, რომლებსაც ალლაჰის შუამავალი ﷺ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ასრულებდა.

ნამაზის შესრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი მისი დროულად შესრულებაა. ალლაჰის შუა-

მავალს ﷺ როცა ეკითხებოდნენ:

„ღვთისმსახურებათაგან ყველაზე ფასეული რომელიაო?“

„დროულად ნალოცი ნამაზიო,“– პასუხობდა. (ბუჰარი, მევაქითუს-სალათი, 5)

აქ ნაგულისხმევია დრო სხვა ნამაზის მოსვლამდე. მხოლოდ, შუადღის ნამაზი უმჯობესია დროის მოსვლის პირველი წამიდანვე შევასრულოთ. წმინდა ჰადისში ნაბრძანებია:

„ნამაზის დრო რომ მოვა, ვინც მაშინვე ილოცავს, უდიდესი ალლაჰის კმაყოფილებას მოიპოვებს. დროის გასვლის შემდეგაც რომ ილოცავს, იმასაც მიუტევებს.“ (ჯემულ-ფევაიდი, 1, 163)

ხუთი ნამაზის გარდა არსებობს კიდევ ერთი ფარძი ნამაზი. ეს ჯუმა ნამაზია. ამ ნამაზის დიდ მნიშვნელობასთან დაკავშირებით აიათში ნაბრძანებია:

يَاأَيُّهَا الَّذِينَ ءَامَنُوا إِذَا نُودِيَ لِلصَّلَاةِ مِنْ يَوْمِ الْجُمُعَةِ فَاسْعَوْا إِلَى
ذِكْرِ اللَّهِ وَذَرُوا الْبَيْعَ ذَلِكُمْ خَيْرٌ لَكُمْ إِنْ كُنْتُمْ تَعْلَمُونَ

„მორწმუნენო! როცა ჯუმა დღეს ნამაზზე გიხმობენ, ვაჭრობა შეწყვიტეთ და მაშინვე ალლაჰის სახსენებლად (ჯუმა ნამაზზე) **გაეშურეთ! რომ იცოდეთ ეს თქვენთვის უფრო სასიკეთოა.“** (სურა ჯუმა, აიათი 9)

ნაფილე (ნებაყოფლობითი) ნამაზები

ერთ-ერთ წმინდა ჰადისში, უზენაესი ალლაჰი წმინდა შუამავლის ﷺ პირით, ასე ბრძანებს:

„ვინც ჩემს წმინდა მონა-მსახურს უმტრობს, მეც მას ომს ვუცხადებ. იმ ქმედებებს შორის, რაც მონა-მსახურს ჩემთან აახლოებს, ყველაზე მეტად მის მიერ ფარძად დაწესებული წესების შესრულებაა. (ამასთან ერთად) თუ მონა-მსახური ჩემთან დაახლოებას დამატებითი ღვთისმსახურებებით აგრძელებს, შედეგად ჩემს სიყვარულს მოიპოვებს. მას ერთხელ თუ შევიყვარებ, შემდეგ მისი ყური, თვალი, ხელი, ფეხი (მფეთქავი გული, მოსაუბრე ენა) გავხდები. თუ რამის გაკეთებას მთხოვს, შევუსრულებ; თავშესაფარს თუ მთხოვს – შევიფარებ, დავიცავ. სხვა არასდროს ჩავვარდნილვარ ეჭვებში, გარდა ერთი შემთხვევისა: – მორწმუნე მონა-მსახურის სულის წართმევისას. მას სიკვდილი არ უყვარს, მე კი არ მიყვარს ის, რაც მას არ უყვარს...“ (ბუჰარი, რიქაქი, 38)

ამის გამო, ღვთისმოსავი მორწმუნენი ფარძებზე დამატებით, საკუთარი ნება-სურვილით, ღამე და სხვა დროებში, ალლაჰის შუამავლის ﷺ სუნნეთი სენიეს შესაბამისად, ნამაზს ლოცულობენ. მათ შესახებ აიათში ნაბრძანებია;

„მათი დამღა, მათ სახეებზე არსებული სეჯდეს კვალია...“ (სურა ფეთჰი, აიათი 29)

ნამაზი მათთვის ის აღფრთოვანებაა, რომლითაც

ვერ ძღებიან. სწორედაც, ნებაყოფლობითი ნამაზები ამ დაუკმაყოფილებლობის გამოა.. მეტადრე, ალლაჰის შუამავალი მაშინაც კი, როცა არანაირი ცოდვა არ ჰქონდა, ღამ-ღამობით ფეხების დასივებამდე ლოცულობდა, სანამ არ დაიღლებოდა, საათობით ყურანს კითხულობდა. აქედან გამომდინარე, ფარძი და ნაფილე (დამატებითი) ნამაზები ერთმანეთს ხელს არ უშლის. პირიქით, ნაფილე ნამაზები ფარძებს განამტკიცებს.. მნიშვნელოვანია, შევეცადოთ ყველა თავის ადგილას შევასრულოთ.

წმინდა ჰადისში ნაბრძანებია:

„მონა-მსახურს განკითხვის დღეს პირველად ნამაზის ანგარიშს მოსთხოვენ. თუ მისი ნამაზები კარგად და სწორად იქნება შესრულებული, უეჭველია, რომ ის მონა-მსახური ხსნილი და წარმატებულია, თუ ნამაზები უსარგებლო და გამოუსადეგარია, ის ადამიანი დაკარგული და დაზარალებულია. თუ ფარძ ნამაზებში დანაკლისი აღმოჩნდება, უდიდესი ალლაჰი ბრძანებს:

„ნახეთ ამ ადამიანს აქვს ისეთი დამატებითი ღვთისმსახურებები, რომლებშიც ნაკლულ ფარძებს შეავსებს?

სხვა ღვთისმსახურებების მდგომარეობაც ასეთი იქნება.“ (თირმიზი, სალათი, 188)

„ფარძები საკმარისია. კმარა, თუ მათ სწორად, ისე როგორც საჭიროა, შევასრულებ!“ – ამის თქმა დიდი უგულისყურობა იქნება.

ვინაიდან, ფარძების სრულად და უნაკლოდ ისე

შესრულება, რომ ალლაჰის მიერ მოწონებული იქნას, შეუძლებელია! რამდენად ყურადღებითაც არ უნდა ვიყოთ, დროდადრო ხარვეზები, ნაკლოვანებები გვექნება და ისინი მოსაწონი არ იქნება. აქედან გამომდინარე, ამ ნაკლოვანებების შესავსებად ნაფილე (ნებაყოფლობითი) ღვთისმსახურებების გარდა, სხვა გამოსავალი არ არსებობს. ვინაიდან, ერთხელ შესრულებული ფარძის მეორედ შესრულება არ შეიძლება, არსებობს იმის აუცილებლობა, რომ ფარძების ნაკლოვანებები ნაფილე (ნებაყოფლობითი) ღვთისმსახურებებისაგან შეივსოს. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ფარძები მივატოვოთ და ნაფილეების შესრულება დავიწყოთ. უნდა ვთქვათ, რომ არც მარტო ფარძების შესრულება და ნაფილე (ნებაყოფლობითი) ღვთისმსახურებების უგულებელყოფა და არც ნაფილეების შესრულება და ფარძების უარყოფაა სწორი. ფარძების შესრულებასთან ერთად უნდა ვეცადოთ, შესაძლებლობის ფარგლებში, ნაფილეებიც შევასრულოთ. ერთადერთი სწორი ხაზი ამ საკითხში ალლაჰის შუამავლისა ﷺ და მისი თანამიმდევრების მიბაძვით, მისი ცხოვრებაში გატარებაა. მეორე მხრივ, ვისაც გამოტოვებული ნამაზი აქვს და მას ასრულებს, მხოლოდ ამის შესრულება და ნაფილეების უარყოფა სწორი არ არის, რადგანაც გამოტოვებული ნამაზის შესრულება გარდა აკრძალული დროებისა დღის ნებისმიერ მონაკვეთში შეიძლება. რადგან თეჰეჯჯუდ, იშრაყ, ქუშლუქ, ევვაბინ და სხვა ნაფილე ნამაზები დროსთანაა დაკავშირებული, მათ შესრულებასაც გულისყურით უნდა მოვეკიდოთ.

❁

რაბია იბნ ქაღბ ელ ესლემი მოგვითხრობს:

ღამე წმინდა შუამავალთან ვრჩებოდი. მისთვის აბდესის წყალი მიმქონდა, ვემსახურებოდი. (ერთ დღეს) მითხრა:

„მთხოვე (რაც გინდა)!“

„მინდა სამოთხეშიც შენთან ერთად ვიყო.“

„გარდა ამისა რა გინდა?“

„მხოლოდ ეს მინდა“

„თუ ასეა, ბევრი ნამაზი ილოცე და ამით მე დამეხმარეო.“ (მუსლიმი, სალათი, 226)

ერთ-ერთ წმინდა ჰადისში ნაბრძანებია:

„ადამიანს ალლაჰთან ფარულ სეჯდეზე მეტად არაფერი აახლოებს. ეს იგი, ადამიანს ალლაჰთან ყველაზე მეტად სახლში ნალოცი ნაფილე ნამაზი აახლოებს.“ (იბნ მუბარექი)

შაქიქი ბელჰი ბრძანებს:

ხუთი რამ ვეძებეთ და ხუთ ადგილას ვიპოვეთ:

1. ხვავი და ბარაქა – ქუშლუქ ნამაზში;

2. საფლავის სინათლე – თეჰეჯჯუდ ნამაზში;

3. უპასუხო კითხვების პასუხები – ყურანის კითხვაში;

4 ბეწვის ხიდზე იოლად გასვლა – მარხვასა და

მოწყალების გაცემაში;

5. ღვთის სამყოფელის ჩრდილი – მარტოდ ყოფნისას ალლაჰზე მადლიერების გამოხატვაში.

ნაფილე ნამაზები სხვადასხვაგვარი არსებობს. მათ შესახებ ცნობებს მუსლიმანური სამართლის მოძღვრების წიგნებში დიდი ადგილი უკავია. მათ რამდენიმე მნიშვნელობას რომ შევეხოთ, მაგალითისთვის შემდეგს განვიხილავთ:

დუჰა ნამაზი

წმინდა ჰადისში ნაბრძანებია:

„ზოგიერთები ღამეს ორგანიზმის ყველა ნაწილისათვის მოწყალების გასაცემად ათენებენ. ყოველი თესბიჰი (სუბჰანელლაჰ), ყოველი თაჰმიდი (ელჰამდულილლაჰ), ყოველი თეჰლილი (ლა ილაჰე ილლალლაჰ), ყოველი თექბირი (ალლაჰუ ექბერ), შარიათზე დამორჩილება და აკრძალულზე თავის არიდება მოწყალებაა; ორი მუხლი დუჰა ნამაზი კი თითოეულს ერთად უდრის.“ (მუსლიმი, სალათულ-მუსაფირუნი, 81)

წმინდა აიშე ბრძანებს:

„ერთხელ ვნახე ალლაჰის შუამავალი დუჰა ნამაზს ასრულებდა. მას შემდეგ ცხოვრების მანძილზე მასზე უარი აღარასდროს მითქვამს.“ (ბუჰარი, მუსლიმი)

ევვაბინ ნამაზი

წმინდა ჰადისში ნაბრძანებია:

„სარამოს და ძილის წინა ნამაზებს შორის ნალოცი ევვაბინ (ალლაჰთან დაბრუნებულობის) ნამაზია.“ (იბნ მუბარექ, ერ რაქაიქ)

თაჰიიეთულ მეჯიდ ნამაზი

ალლაჰის შუამავალი ბრძანებს:

„ვინც მეჩეთში შევა, დაჯდომამდე ორი მუხლი ნამაზი ილოცოს!“ (ბუჰარი, სალათი, 60)

თარავიჰ ნამაზი

წმინდა აიშე ბრძანებს:

„ალლაჰის შუამავალს რამაზანში ღვთისმსახურებისას გამოჩენილი ჩაფიქრება და მცდელობა სხვა არც ერთ თვეში არ გამოუჩენია. ხოლო რამაზნის ბოლო ათ დღეს გამოჩენილ ჩაფიქრებას სხვა დღეებში არ იჩენდა.“ (მუსლიმი, ითიფაქი, 832)

წმინდა ჰადისში ნაბრძანებია:

„ვინც რამაზნის ღამის მადლს ირწმუნებს და მისი მოპოვების მიზნით ნამაზს ილოცავს, წარსული ცოდვები მიეტევება.“ (ბუჰარი, იმანი, 27)

უეჭველია, რომ ამ ნამაზების სათავეში თარავიჰ ნამაზი დგას. მხოლოდ ძალიან ღირსეული ოცი მუხლის შესრულებისას გულისყური არ უნდა მოვადუნოთ და

ისიც სხვა ნამაზების – თადილი ერქანის მიხედვით უნდა შევასრულოთ. მისი შესრულება ისევე გულისყურითაა აუცილებელი, როგორც სხვა ნამაზებისა.

ისთიჰარე ნამაზი

ჯაბირ იბნ აბდულლაჰი ამბობდა:

„ალლაჰის შუამავალი ჩვენ ისთიჰარეს ისევე გვასწავლიდა, როგორც ყურანის სურებს.“ (ბუჰარი, თეჰჯჯუდი, 28)

ჰაჯეთ ნამაზი

ალლაჰის შუამავალი ﷺ იმის განსამარტავად, რომ ალლაჰთან მონა-მსახურის მიღწევა ამქვეყნიური და იმქვეყნიური აუცილებლობებია და რომ ეს ნამაზის საშუალებითაა შესაძლებელი, აგრეთვე იმის ასახსნელად, თუ ალლაჰს როგორ უნდა შეეფაროთ, ბრძანებდა:

„თუკი ვინმეს, რომელიმე ადამიანს, ღმერთთან რაიმე სათხოვარი აქვს, თავდაპირველად აბდესი აიღოს და ორი მუხლი ნამაზი ილოცოს. შემდეგ ალლაჰს ქება დიდება შეასხას, წმინდა შუამავლისთვის სალამი და სალათი თქვას და ბოლოს კი ეს ვედრება წაიკითხოს:

„არ არსებობს ღმერთი გარდა უდიდესი ალლაჰისა! თაყვანს ვცემ უმაღლესი ზეცის ღმერთს ალლაჰს! ქება დიდება სამყაროს ღმერთს – ალლაჰს ეკუთვნის!

ჩემო ალლაჰო! გევედრები, მომიტევე რისი მიტევებაც აუცილებელია, (სიკეთის მწვერვალად მყოფ) ადა-

მიანად მაქციე, ყოველგვარი ცოდვისგან შორს დამაყენე! მწყალობელთაგან ყველაზე მოწყალე, ალლაჰო, არ დამიტოვო მიუტევებელი ცოდვა, გულში არ დამიტოვო არც ერთი ნაღველი და შენი სურვილების შესაბამისი მქმენ და უპასუხოდ არ დამიტოვო არც ერთი აუცილებლობა.“ (თირმიზი, ვითრი, 17)

ღამის და თეჰეჯჯუდ ნამაზი

ყველა დროს ალლაჰის მიერ მინიჭებული რაღაც თავისებურება აქვს. ზოგიერთი დრო სხვა დროსთან შედარებით უფრო ძვირფასია. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს მომენტები შესაბამისად შევაფასოთ. ამ ძვირფასი დროების შესახებ როგორც აიათებში, ასევე წმინდა ჰადისებშია აღნიშნული. უდიდესი ღმერთის მიერ ღამეზე მინიჭებული ფასი და მისი საიდუმლოებები უსაზღვროა. ამ საკითხთან დაკავშირებით უდიდესი ღმერთი ბრძანებს:

وَاللَّيْلِ وَمَا وَسَقَ

„ვფიცავ ღამეს და მას, რაც ღამეშია!“ (სურა ინშიქაქი. აიათი 17)

وَاللَّيْلِ إِذَا سَجَى

„და ვფიცავ ღამეს, როცა ის დამშვიდდება...“ (სურა დუჰა, აიათი 2)

ეს არის ჩვენთვის გახსნილი ღვთიური ფანჯარა, რომელიც ჭეშმარიტებას წარმოგვიდგენს. ღამე ის

დროა, როცა ტკბილსა და რბილ ლოგინს მივატოვებთ და ალლაჰის კმაყოფილების მოსაპოვებლად ღმერთის წინაშე სიყვარულით აღვსილნი, მარტოდმარტონი წარვსდგებით. ამის გამო, მიუხედავად იმისა, რომ არანაირი ფარძი არ არის, ღამღამობით შესრულებულ ნამაზებს ალლაჰთან სიახლოვის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს. გულში არსებული სიყვარული რაოდენ ძლიერიცაა, ღამე ნალოცი ნამაზის შესრულების სურვილი და პატივისცემაც იმდენი იქნება. შეიძლება ითქვას, რომ ღამის ნამაზი შეყვარებულთან შეხვედრისა და საუბრის ხასიათის მატარებელია. მაშინ როცა ყველას ძინავს, ღამის ნამაზი, ფხიზლად ყოფნა ნიშნავს იმას, რომ უდიდესი ალლაჰის წყალობა მოიპოვო და შეურთდე ღმერთისთვის საყვარელ, შეწყალებულ საზოგადოებას.

ალლაჰის შუამავალი ﷺ ღამღამობით ფეხების დასიებამდე ნამაზს ლოცულობდა. მას ჰკითხეს:

„ალლაჰის შუამავალო! მაშინ, როცა სურა „ფეთჰით“ უდიდესმა ალლაჰმა ყველა ცოდვა მიგიტევა, საკუთარ თავს ესოდენ რატომ ღლით?“

მან უპასუხა:

„მადლიერი მონა-მსახური არ უნდა ვიყო?“ (ბუჰარი, თეჰეჯჯუდ, 6)

კვლავაც ბრძანა:

„ფარძების შემდეგ ყველაზე ძვირფასი, ღამით ადგომა და ნამაზის ლოცვაა.“ (მუსლიმი, სიამი, 202-203)

„ღამღამობით ნალოცი ორი მუხლი ნამაზი ადამიანისთვის ამ ქვეყანასა და მასში არსებულ ყველაფერზე უფრო სასარგებლოა. ჩემი მიმდევრებისთვის რთული რომ არ ყოფილიყო, ღამის ორ მუხლ ნამაზს ფარძად დავაწესებდი.“ (ფეზაილ ამალი, 257)

„ღამე ერთი მომენტია, მუსლიმანი თუ იმ მომენტს დაიჭერს და ალლაჰს რამეს სთხოვს, ის ამ თხოვნას აუცილებლად შეუსრულებს.“ (თირმიზი, ვითრი, 16)

„თუ კაცი ღამე გაიღვიძებს, ცოლსაც გააღვიძებს და ორივე ერთად ორ მუხლ ნამაზს ილოცავენ, ალლაჰი ორივეს ალლაჰის ხშირად მომხსენიებელთა სიაში ჩაწერს.“ (აბუ დავუდი, ვითრი, 13)

„ფრთხილად, ღამის ნამაზს უგულისყუროდ არ მოეპყროთ. ვინაიდან, ის წარსული ღვთისმოსავი ადამიანების ადათია. ღამე შესრულებული ღვთისმსახურება ალლაჰთან დამაახლოებელი, ცოდვების პატიების მიზეზი, სხეულის ავადმყოფობისგან დამცველი და ცოდვებს რომ არ ჩაგადენინებს, ის საშუალებაა.“ (თირმიზი)

„ალლაჰი შეიწყალებს კაცს, რომელიც ღამე ნამაზის შესასრულებლად ცოლს სახეზე წყალს შეასხურებს და გააღვიძებს. ალლაჰი შეიწყალებს ქალს, რომელიც ღამე ნამაზის შესასრულებლად ქმარს სახეზე წყალს შეასხურებს და გააღვიძებს! “ (აბუ დავუდი, ვითრი 13)

წმინდა შუამავალმა ﷺ ებუ ზერს ჰკითხა;

„თუ სამგზავროდ წასვლა გინდა ამ მგზავრობისთვის ემზადები?“

„დიახ, ალლაჰის შუამავალო!“

„კარგი. იცი, განკითხვის დღეს მგზავრობა როგორი იქნება? მომისმინე, გინდა გითხრა იმ დღეს რა გამოგადგება?“

„დიახ,ალლაჰის შუამავალო! დედ-მამას შენ განაცვალებ!“

წმინდა შუამავალმა ﷺ ასე ბრძანა:

„მეორედ მოსვლის დღისთვის ძალიან ცხელ დღეში იმარხულე; საფლავის სიბნელისთვის ღამე ორი მუხლი ნამაზი ილოცე; ქვეყნის აღსასრულის შემთხვევებისთვის გაჭირვებულს მოწყალება მიეცი; სიმართლე ილაპარაკე და თუ ეს არ შეგიძლია, საერთოდ ნურაფერს იტყვი.! “ (იბნ ებიდ დუნია, ქითაბუთ თეჰეჯჯუდ)

სხვა წმინდა ჰადისში ის ებუ ჰურეირეს მიმართავს:

„აბუ ჰურეირე! როცა ცოცხალი ხარ, თუ გინდა რომ გარდაცვალებისა და მეორედ მოსვლის შემდეგ ალლაჰის წყალობა არ მოგაკლდეს, ღამე ადექი და ალლაჰის კმაყოფილებისათვის ნამაზი ილოცე. აბუ ჰურეირე! სახლის კუთხეებში ნამაზს თუ ილოცავ, სახლის სინათლე ხალხისთვის ისეთი იქნება, როგორიც ცაში შეკრებილი ვარსკვლავების სინათლე.“ (იჰაუ, ულუმიდდინ, 1, 1023)

აბდულლაჰ იბნ ომარს ესიზმრა, თითქოს დის – წმინდა ჰაფსას შუამდგომლობით ალლაჰის შუამავალს შეხვდა. შუამავალმა უთხრა:

„აბდულლაჰ, რა კარგი ადამიანი ხარ, მაგრამ ღამის

ნამაზსაც რომ ლოცულობდე?! “

ამ დღიდან მოყოლებული იბნ ომარს ღამის ნამაზი აღარასდროს გამოუტოვებია. (ბუჰარი, თეჰეჯჯუდი, 2)

წმინდა ჰადისში ნაბრძანებია:

„ჯებრაილი მოვიდა და მითხრა: „უეჭველია, მორწმუნის დიდება (ფასი) თეჰეჯჯუდ ნამაზია...“ (ჰაქიმ, მუსთედრექ, IV, 360)

ადამიანი, ის არის, ვისგანაც უდიდესი ალლაჰი კმაყოფილია და მოსწონს, ვინც ცივ ღამეში, რბილი და თბილი ლოგინიდან ადგება და თეჰეჯჯუდ ნამაზს ილოცავს. ალლაჰი მისი ძალიან კმაყოფილი იქნება და ანგელოზებს ჰკითხავს:

„ამ ადამიანს ღამე ნამაზის ლოცვას რა აიძულებს?“

ანგელოზები უპასუხებენ:

„შენი კეთილგანწყობის და დიდსულოვნების მოპოვების სურვილი და ტანჯვის შიში.“

უდიდესი ღმერთი ბრძანებს:

„თუ ასეა, ჩემგან რასაც ითხოვს, მივცემ; რისიც ეშინია, იმისგანაც დავიფარავ.“ (ფეზაილ, ამალ, 299)

ადამიანის მიერ ღმერთის ხსენებისას უგულისყურობა არყოფნასა და ღამე ღვთისმსახურების შესრულებასთან დაკავშირებით აიათებშიც ბევრი განცხადებაა:

وَمِنَ اللَّيْلِ فَسَبِّحْهُ وَأَدْبَارَ السُّجُودِ

„ღამღამობით და სეჯდეს მიყოლებით მას თაყვანი ეცი!“ (სურა ყაფი, აიათი 40)

وَمِنَ اللَّيْلِ فَسَبِّحْهُ وَإِدْبَارَ النُّجُومِ

„ღამღამობით და ვარსკვლავების ჩასვლისას ის (ალლაჰი) **ადიდე!“** (სურა ტურ, აიათი 49)

وَالَّذِينَ يَبِيتُونَ لِرَبِّهِمْ سُجَّدًا وَقِيَامًا

„...და ვინც, ღამეებს ღმერთისათვის ყიამზე დგომასა და სეჯდეს შესრულებაში ათენებენ.“ (სურა ფურყანი, აიათი 64)

უდიდესი ღმერთი იმ ადამიანებზე, ვინც ღვთის წყალობა და სამოთხე მოიპოვა ტანჯვისგან დაცულები არიან, ბრძანებს:

كَانُوا قَلِيلًا مِنَ اللَّيْلِ مَا يَهْجَعُونَ

وَبِالْأَسْحَارِ هُمْ يَسْتَغْفِرُونَ

„მათ ღამღამობით ცოტა ეძინათ. განთიადისას ღმერთს მიტევებას სთხოვდნენ.“ (სურა ზარიათი, აიათები 17-18)

უდიდესი ღმერთი მორწმუნეებს ურწმუნოებზე ღირსეულად თვლის და მაღლა აყენებს, მაგრამ ამასთანავე მათ შორისაც გამოარჩევს იმ მორწმუნეებს, რომელნიც ღამის ნამაზს ასულებენ. ეს მლოცველები სამაგალი-

თონი არიან; მათი კლასიფიცირების შესახებ ნაბრძანებია:

أَمْ مَنْ هُوَ قَانِتٌ ءَانَاءَ اللَّيْلِ سَاجِدًا وَقَائِمًا يَحْذَرُ الْآخِرَةَ وَيَرْجُو رَحْمَةَ رَبِّهِ قُلْ هَلْ يَسْتَوِي الَّذِينَ يَعْلَمُونَ وَالَّذِينَ لَا يَعْلَمُونَ إِنَّمَا يَتَذَكَّرُ أُولُو الْأَلْبَابِ

„განა, (ცეცხლის მკვიდრთაგანის) **მსგავსია ის, ვინც გულით მორწმუნეა, ღამით სეჯდეს ასრულებს, ყიამზე დგება, საიქიოს უფრთხილდება და ღმერთის წყალობას ითხოვს? უთხარი: „განა, მცოდნე და უვიცი თანასწორი იქნება?“ ჭეშმარიტად, შესაფერის რჩევებს მხოლოდ გონიერნი ღებულობენ.“** (სურა ზუმერი, აიათი 9)

უდიდესი ალლაჰი, რომელიც ღამე ნამაზის მლოცველებს ამ ფორმით დაჰყოფს, ღამის ნამაზის შემსრულებლებზე და ღმერთის ხშირად მხსენებლების შესახებ ასეთი განცხადებების მიუხედავად, მათ შესახებ, ვინც უგულისყურობა გამოიჩინა, ბრძანებს:

وَمِنَ اللَّيْلِ فَاسْجُدْ لَهُ وَسَبِّحْهُ لَيْلًا طَوِيلا

إِنَّ هَؤُلَاءِ يُحِبُّونَ الْعَاجِلَةَ وَيَذَرُونَ وَرَاءَهُمْ يَوْمًا ثَقِيلا

„ღამღამობით მისთვის (ალლაჰისთვის) **სეჯდე შეასრულე და ადიდე ხანგრძლივად.**

მართლაც მათ, (ცოდვილებსა და ალლაჰის სიკეთეებისადმი უმადურებს) **სწრაფად მოსაპოვებელი**

(ამქვეყნიური სიკეთეები) **უყვართ და მძიმე** (განკითხვის) **დღეს არ ითვალისწინებენ.“** (სურა ინსანი, აიათები 26-27)

ღამე ღვთისმსახურების აღსასრულებლად ყველაზე შესაფერისი დრო ღამის მეორე ნახევარია. როცა წმინდა მუჰამმედ შუამავალს ﷺ ჰკითხეს:

„როდის არის უფრო მეტი იმის ალბათობა, რომ ღამე შესრულებული ღვთისმსახურებები მიღებული იქნას? მან უპასუხა:

„ღამის მეორე ნახევარში შესრულებული ღვთისმსახურებები.“ (აბუ დავუდი)

რადგანაც ღამე ღვთისმსახურების შესრულება ძალიან ადვილი არ არის, ზოგიერთი საკითხის მხედველობაში მიღებაა საჭირო. ამ გზაზე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მსუბუქად ივახშმო და ადრე დაიძინო. წმინდა ჰადისში ნაბრძანებია:

„წმინდა შუამავალი ძილის წინა ნამაზამდე დაძინებას, მის შემდეგ კი – საუბრების გამართვას კრძალავდა“ (ბუჰარი, მევაქითუს სალათ, 23)

ადრე დაწოლა მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ალლაჰის გზაზე სამსახურის და ღამე ადგომისთვის დაბრკოლებად არ იქცეს. წმინდა ომარი ბრძანებდა:

„ალლაჰის შუამავალი აბუ ბაქრთან ერთად მუსლიმანებს დილამდე ესაუბრებოდა იმისათვის, რომ მათთვის ერთი საკითხი გაეცნო. მეც მათთან ერთად ვიყავი.“ (თირმიზი)

ეს დეტალები საჭირო ა იმისათვის, რომ ღამე ნამაზის სალოცავად ადგომის სირთულე დავძლიოთ და იმ კვანძების გახსნა შევძლოთ, რომელსაც ეშმაკი ჩვენს კისერზე ძილში კვანძავს. წმინდა ჰადისში ნაბრძანებია:

„როცა ადამიანს ძინავს, ეშმაკი მის კისერზე სამ კვანძს გამონასკვავს. ყოველ კვანძზე ამბობს: „შენ ღამე ძალიან გაგიგრძელდეს (ძილი).“ როცა, ადამიანი გაიღვიძებს და ალლაჰის სახელს ახსენებს, ერთი კვანძი იხსნება, აბდესს რომ აიღებს მეორე იხსნება, ხოლო ნამაზს რომ ილოცავს, ყველა კვანძი გაიხსნება. ამგვარად, დილით გამოცოცხლებული და მხიარული დგება საწოლიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში (ამას თუ არ გააკეთებს) მოდუნებულად და ცუდ განწობაზე გაიღვიძებს.“ (ბუჰარი, თჰეჯჯუდ, 12)

ყოველივე ზემოთ ხსენებული აჩვენებს, რომ ღამის ნამაზს ფარძების შემდეგ ყველაზე მაღალი ადგილი უკავია. ისიც უნდა განვმარტოთ, რომ ის, ვინც ღამის ნამაზს ლოცულობს, ამ ლამაზი ღვთისმსახურების საშუალებით, თავის არსებას ძალიან დიდ მადლს მოაპოვებინებს. ამ საკითხის შესახებ წმინდა ჰადისში ნაბრძანებია:

„...ღამე ღვთისმსახურების შემსრულებლთაგან ბევრს, უძილობის გარდა წილად არაფერი ხვდებათ.“ (აჰმედ იბნ ჰანბელი, მუსნედი, II, 373)

ჯამაათით ნამაზი

ნამაზის შესრულების საკითხში მნიშვნელოვან საკითხთაგან ერთ-ერთი ფარძი ნამაზების *ჯამაათით* ლოცვაა.

ნამაზის *ჯამაათით* ლოცვა ვაჯიბთან ახლოს მყოფი სუნნეთი მუექქედეა. ერთმორწმუნეთათვის მინიშნებაა. წმინდა შუამავალი ﷺ მთელი სიცოცხლის მანძილზე ნამაზს *ჯამაათით* ლოცულობდა. გამონაკლისი მხოლოდ მისი გარდაცვალების წინა დღეები იყო.

ძალიან საყურადღებოა ქვემოთ მოცემული წმინდა ჰადისი, რომელიც *ჯამაათით* ლოცვის აუცილებლობას გამოხატავს:

წმინდა შუამავლის ﷺ თანამედროვე იბნ უმმი მექთუმმა იმისათვის, რომ მუდამ *ჯამაათით* ნამაზის ლოცვის ნებართვა აეღო, მას ჰკითხა:

„ალლაჰის შუამავალო, ჩემი მდგომარეობა იცი; ჩემს სახლსა და ჯამეს შორის ხეები და ხურმის ბაღებია! ყოველთვის გიდს ვერ ვპოულობ!“

წმინდა შუამავალმა ჰკითხა:

„ეზნის ხმა გესმის?“

„დიახ.“

„თუ ასეა, მუხლებზე ხოხვაც რომ მოგიხდეს, წადი და ჯამაათით ნამაზი ილოცე!“ (ჯანანი, ქუთუბუი სალათ VIII, 256)

ერთ წმინდა ჰადისში კი ნათქვამია:

„ის ვინც სიბნელეში მეჩეთში წავა განკითხვის

დღეს თავად უმაღლესი ზეცა მოუჩრდილებს. დღეს, როდესაც სხვა არავითარი საჩრდილობელი არ არსებობს.“ (იბნ მაჯე)

აი, ჯამაათით ნამაზის შესახებ არსებულ უთვალავ წმინდა ჰადისთაგან რამდენიმე:

„ჯამაათით ნალოცი ნამაზი მარტოდ ნალოც ნამაზზე 27-ჯერ უფრო მაღლა დგას.“ (ბუჰარი, ეზანი, 30)

„ორი ადამიანის ერთად ნალოცი ნამაზი – მარტოდ ნალოცზე, ხოლო სამი პიროვნების ნალოცი ნამაზი ორის ნალოცზე უფრო მაღლა დგას. ალლაჰისთვის უფრო მეტის მიერ შესრულებული ნამაზი უფრო მეტად მოსაწონია.“ (აბუ დავუდი, ნესაი, იმამეთ 45)

„მას, ვინც ძილის წინა ნამაზს ჯამაათით ილოცავს – ნახევარი ღამის, ხოლო, ვინც დილის ნამაზს ჯამაათით ილოცავს მთელი ღამის ღვთისმსახურებაში გატარებად ეთვლება.“ (მუსლიმი, მესაჯიდი, 260)

„ვინც დღეში ხუთ ნამაზს ჯამაათით ილოცავს, მათ სათავეში მოხვდება, ვინც ბეწვის ხიდზე სინათლის სხივივით გაირბენს. ამავე დროს ალლაჰი მას მეორედ მოსვლის დღეს შუამავლისგან ჰადისებმოსმენილ ადამიანთა პირველ მწკრივში დააყენებს. ყოველ დღე და ყოველ ღამე მისი (ჯამაათით ლოცვის) გამგრძელებელი ისეთივე ჯილდოს მიიღებს, როგორსაც ალლაჰის გზაზე გარდაცვლილი შეჰიდი.“ (ჯემულ ფევაიდ, 1, 246)

„მწკრივში სწორად მოეწყვეთ. ვინაიდან მწკრივის სისწორე ნამაზის სრულმყოფელთაგანია.“ (აბუ დაუდი, სალათი, 93)

ჯუამაათით ნამაზის ლოცვა მორწმუნის ძალას აძლიერებს, ის ისლამური საზოგადოების სარკეა. *ჯუ-მაათით* ლოცვა მორწმუნე საზოგადოების დამცველია.

წმინდა ჰადისში ნაბრძანებია:

„ის ვინც სახლში აბდესს აიღებს და მეჩეთში ნამაზის სალოცავად წავა, იგივეა რაც სახლში იჰრამი ჩაიცვას და ჰაჯად წავიდეს.“ (ფეზაილ, ამალ, 275)

იმ ადამიანს მეცეთისკენ გადადგმულ თითოეულ ნაბიჯზე ერთი მადლი ემატება და ერთი ცოდვა მიეტევება.

„ვინც პირველ თექბირამდე მიაღწევს და ორმოცი დღის განმავლობაში ჯამაათით ნამაზს ილოცავს, მას ორი წყალობის სიგელი მიეცემა: ერთი – ჯოჯოხეთიდან ხსნის წყალობის და მეორე ფარისევლობისგან შორს დარჩენის წყალობის სიგელი.“ (მუსლიმი, თირმიზი)

განკითხვის დღეს უდიდესი ალლაჰი იკითხავს:

„ჩემი მეზობლები სად არიან?“

ანგელოზები ეტყვიან:

„შენი მეზობლები ვინ არიან, დმერთო?“

„განუწყვეტლივ მეჩეთში (*ჯამაათით* სალოცავად) მოსიარულენი.“

ალლაჰის შუამავალი ბრძანებდა:

„მეჩეთი ყოველი ღვთისმოშიშის სახლია... ვისი სახლიც მეჩეთია, იმას ალლაჰმა სიმშვიდის, შეწყალებ-

ის, ბეწვის ხიდზე იოლად გავლის, სამოთხეში შესვლის და ალლაჰის კმაყოფილების გარანტია მისცა.“ (თაბერანი)

ნამაზის *ჯამაათით ლოცვა* იმდენად მნიშვნელოვანია, რომ წმინდა ჰადისებში ამ საკითხზე სერიოზული ყურადღებაა მიქცეული. მოიპოვება ცნობები მის მიერ მოტანილ სარგებლისა თუ ზიანის შესახებ. ერთ-ერთ წმინდა ჰადისში ნაბრძანებია:

„მას, ვინც ეზნის ხმას გაიგონებს და არასაპატიო მიზეზით ჯამაათით ნამაზის ლოცვას მარტოდ შესრულებას ამჯობინებს, ნალოცი ძალადაკარგულად ჩაეთვლება.“

თანამიმდევრებმა ჰკითხეს:

„საპატიო მიზეზი რა არის, ალლაჰის შუამავალო?“

„ავადმყოფობა ან საფრთხის შიში.“ (აბუ დავუდი, იბნ მაჯე)

მათთვის კი, ვისაც ნამაზის მოსვლის დროისთვის მეჩეთში წასვლის განსხვავებული პირობები აქვთ, რამდენიმე ადამიანიც რომ იყოს, ჯამაათით ნამაზის ლოცვა აუცილებელია. ამის შესახებ წმინდა შუამავალი ბრძანებს:

„ერთ სოფელში ან მინდორში სამი ადამიანი რომ იყოს და ჯამაათით ნამაზი არ ილოცონ, მათზე ეშმაკი იმძლავრებს. ჯამაათით ლოცვას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ და აუცილებლად შეუერთდით, რადგანაც მარტო დარჩენილ ცხვარს მგელი შეჭამს.“ (აბუ დავუდი, აჰმედი, ნესაი)

ძილის წინა და დილის ნამაზების *ჯამაათით* ლოცვა ერთი თავისებურების მატარებელია.

„ძილის წინა ნამაზის ჯამაათით მლოცავს – ნახევარი ღამის, ხოლო დილის ნამაზის მლოცავს მთელი ღამის ღვთისმსახურებაში გატარებად ეთვლება.“ (მუსლიმი)

„ადამიანებს ეზნის კითხვისა და ნამაზის შესრულებისას პირველ მწკრივში დადგომის ფასი რომ სცოდნოდათ და ამის მოსაპოვებლად წილისყრის გარდა სხვა გზა ვერ ეპოვათ, აუცილებლად წილს იყრიდნენ: ნამაზზე ადრე წასვლის ფასი რომ სცოდნოდათ, მისთვის ერთმანეთს გაეჯიბრებოდნენ; ძილის წინა და დილის ნამაზების მადლი რომ სცოდნოდათ, მას შესასრულებლად ფორთხვითაც კი წავიდოდნენ.“ (ბუჰარი, მუსლიმი)

იმისათვის, რომ მორწმუნე ნამაზის საიდუმლოს ჩაწვდეს, გულით ნამაზზე უნდა იყოს, ყურით ეზანს უსმენდეს. ნამაზზე მოხმობა ეზნით იწყება; *ჯამაათით* ლოცვაში მონაწილეობა ეზნის მოსმენაში მონაწილეობის მიღებით იწყება. შუამავლის თანამიმდევრები როგორც კი ეზნის ხმას გაიგონებდნენ, ყოველივე ამქვეყნიურს შორდებოდნენ და ნამაზის ბურუსში ეხვეოდნენ. ხელები, რომლებიც ჩაქუჩს ხმარობდა, ჩერდებოდა, მოსაუბრე ენები დუმდებოდა და ყველა გზა მხოლოდ მეჩეთამდე მიდიოდა. ალლაჰთან ერთად ყოფნის სიყვარულით სავსე გულები ამ წმინდა ჰადისს მუდამ ასრულებდნენ:

„ეზნის ხმას რომ გაიგონებთ, თქვენც იგივე (მუეზ-

ზინის ნათქვამი) გაიმეორეთ! შემდეგ ჩემთვის სალამი და სალათი წარმოთქვით! რადგანაც მას, ვინც ჩემთვის სალათს წარმოთქვამს, ალლაჰი საპასუხოდ წყალობას მიანიჭებს. მასზე მიყოლებით ჩემთვის სამოთხის მაღალი საფეხური ითხოვეთ. ის სამოთხის ისეთი საფეხურია, რომ ალლაჰის მონა-მსახურთაგან მხოლოდ ერთს ეძლევა. მე ვადასტურებ, რომ ის მონა-მსახური მე ვარ. მისთვის, ვინც ჩემთვის ამ ადგილს ითხოვს, ჩემი შუამდგომლობა ჰალალი იქნება.“ (მუსლიმი, სალათი, II)

ამ წმინდა ჰადისის მიხედვით, ეზნის აუცილებლად წასაკითხი ვედრება ეს არის:

ადამიანი, რომელსაც წილად არ ხვდება ამ წმინდა ჰადისის ღრმა მიზნის შეგრძნება და მის შეუგნებლად მეჩეთში წავა, ნამდვილ მიზანთან ვერ მიაღწევს. ამის გამო, შემდეგი წმინდა ჰადისი არ უნდა დაივიწყოთ:

„თუკი ადამიანი მეჩეთში რაიმე მიზნით წავა, იქ სარგებელს ნახავს.“ (აბუ დავუდი)

მეორე მხრივ, საზოგადოებას, რომელიც ძალიან დაკავებულია და არეულ-დარეული სცენებით აღსავსე ცხოვრება აქვს, დისციპლინირებულ ცხოვრებას ასწავლის, წესებით ცხოვრებას მიაჩვევს და მათ გაწონასწორებულ ადამიანებად აქცევს. ამ საკითხთან დაკავშირებით წმინდა ჰადისში ნაბრძანებია:

„ვინც თავს იმამზე ადრე აიღებს, რად არ ეშინია იმის, რომ უზენაესმა ალლაჰმა ვირად არ გადააქციოს?!“ (ბუჰარი, მუსლიმ) ეს ჰადისი მწკრივში უწესრიგოდ მოწყობილ ადამიანებს მოუწოდებს ღირსეული ღვთისმსახურების

შესრულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში *ჯამაათით* ნამაზი უწესრიგო გამოვა.

ბოლო სიტყვა,რომელიც *ჯემაათით* ნამაზთან დაკავშირებით უნდა ვთქვათ, არის ის, რომ ყოველი მორწმუნის გული მუდამ მეჩეთისკენ უნდა იყოს მიმართული, ვინაიდან, განკითხვის დღეს იმ საშინელ ადგილზე სადაც არანაირი საჩრდილობელი არ იქნება, იმ შვიდი კატეგორიის ადამიანისგან, რომელთაც ღმერთი მოუჩრდილებს, ერთ-ერთი იქნებიან ის მორწმუნენი, რომელთა გულებიც მუდამ მეჩეთისკენაა მიმართული.

ერთადერთი თავშესაფარი ნამაზი

ღვთისმსახურებებში ყველაზე გამორჩეული ნამაზი – ალლაჰზე თავშეფარების მოპოვებისთვისაც ყველაზე გამორჩეულია. აქედან გამომდინარე, ყველა დარდის, სიძნელის, უბედურების, ტანჯვა-წამების საპირისპიროდ ნამაზი უნდა შევასრულოთ. ეს წმინდა შუამავლის ﷺ ცხოვრებაში პრაქტიკულად ხშირად განხორციელებული სუნნეთი სენიეა.

ჰუზეიფე ბრძანებს:

„წმინდა შუამავალი როგორც კი რაიმე რთულ საქმეს შეხვდებოდა, მაშინვე ნამაზის ლოცვას იწყებდა.“ (აჰმედი, აბუ დავუდი)

აბუ დერდა გადმოდგვცემს:

„როგორც კი ქარიშხალი ამოვარდებოდა, წმინდა შუამავალი მაშინვე მეჩეთში მიდიოდა სალოცავად და ქარიშხლის შეწყვეტამდე გარეთ არ გამოდიოდა. ალ-

ლაჰის შუამავალი ﷺ მთვარის ან მზის დაბნელებისთანავეც ნამაზის სალოცავად მიდიოდა.“

აქ საჭიროა, რომ მზისა და მთვარის დაბნელება სწორად შევაფასოთ. წმინდა შუამავლის ﷺ შვილის იბრაჰიმის გარდაცვალების დღეს მზის დაბნელება მოხდა. შუამავლის ﷺ თანამიმდევართაგან ზოგიერთმა თქვა:

„წმინდა შუამავლის შვილის გარდაცვალების გამო მზე დაბნელდა.“

წმინდა შუამავალმა ﷺ თანამიმდევრებს მოვლენის სწორად აღქმა ურჩია და უთხრა:

„მზე და მთვარე ვინმეს გარდაცვალების ან დაბადების გამო არ დაბნელდება.“ (მუსლიმი, ქუსუფი, 29)

მეორე მხრივ,აბუ ბაქრის ქალიშვილმა წმინდა ესმამ ერთხელ მზის დაბნელებისას წმინდა აიშეს ჰკითხა:

„ეს სასჯელის ან ქვეყნიერების აღსასრულის ნიშანია?“

„დიახ“,– უპასუხა აიშემ.

ამრ იბნ ასიც ერთ ასეთ თქმულებას გადმოგვცემს:

„მზე დაბნელდა. ალლაჰის შუამავალი ადგა და ყიამზე დადგა, იმდენხანს იდგა, რომ ჩავთვალეთ, რუქუს აღარ შეასრულებსო. შემდეგ რუქუზე წავიდა და იმდენხანს გაჩერდა, რომ ვიფიქრეთ თავს ზეზე აღარ ასწევსო. შემდეგ სეჯდეზე წავიდა და იმდენხანს დარჩა, ვიფიქრეთ თავს სეჯდედან აღარ ასწევსო. შემდეგ თავი სეჯდედან აიღო და იმდენხანს გაჩერდა, ჩავთვალეთ

სეჯდეს აღარ შესრულებსო. სეჯდე რომ შეასრულა იმდენ ხანს გაჩერდა, რომ ჩავთვალეთ, თავს აღარ ასწევსო, ამ დროს თავი ასწია. მეორე მუხლიც ასე შეასრულა, სეჯდეზე ტიროდა.

შემდეგ ასე ბრძანა:

„ღმერთო ჩემო! ხომ შემპირდი, როცა თქვენთან ვიქნებოდი, მათ არ გატანჯავდი, თუ ისინი მოინანიებდნენ, არ გააწვალებდი?“

წმინდა შუამავალმა ლოცვა რომ დაამთავრა, მზე კვლავ ამოვიდა და ყველა მხარეს სხივების ფრქვევა განაგრძო.“ (ნესაი. აბუ დაუდი)

წმინდა შუამავლის ﷺ სიტყვები აჩვენებს, რომ მზის დაბნელება რიგითი ბუნებრივი მოვლენა არ არის. ეს მოვლენა ღმერთის სიდიადესა და არაჩვეულებრივობას გვახსენებს, ვინაიდან, დღისით უცებ დაბნელება აჩვენებს მზეც და მთვარეც როგორ უხრის ქედს სამყაროს ერთადერთ ღმერთს და აგრეთვე იმ მოვლენების მოკლე სურათია, რაც ქვეყნის აღსასრულის დღეს მოხდება...ადამიანებმა ამისგან გაკვეთილი უნდა აიღონ და მუდამ ფხიზლად უნდა იყვნენ, ამქვეყანამ არ უნდა მოატყუოს და უნდა იცოდნენ, რომ ყველაფერი წარმავალია; საიქიო ცხოვრებისთვის უნდა მოემზადონ, ვინაიდან, დაბნელებული მზე ერთ დღეს შეიძლება აღარ განათდეს.

უდიდესი ღმერთის ამგვარი საყურადღებო გამოვლინებების დანახვა სხვა სფეროშიცაა შესაძლებელი. მაგალითად, საკომუნიკაციო სისტემების რღვევაც

ამგვარი მოვლენაა. უდიდეს ალლაჰს მასების კომუ-ნიკაციის დარღვევა ამ სისტემების გაუნძრევლადაც შეუძლია. მაგრამ ამით ადამიანების თვალწინ მუდმი-ვად აცოცხლებს იმას, რაც მომავალში უნდა მოხდეს, ადამიანს საშუალებას არ აძლევს უყურადღებობაში ჩავარდეს და საიქიოსთვის არ მოემზადოს. რა თქმა უნდა, ღვთიური მინიშნებები მხოლოდ ამისგან არ შედგება. ნიაღვარი, ქარიშხალი, უკურნებელი დაავადე-ბები და ბევრი სხვა ამგვარი მოვლენები.

კვლავაც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მიზეზები არ ყო-ფილიყო, ადამიანი სრულიად გაუფრთხილებლად, დაუ-ფიქრებლად, უგულისყუროდ სიკვდილის კლანჭებში ჩავარდებოდა და განადგურდებოდა. აქედან გამომდინ-არე, მოწყალე, უდიდესი ალლაჰი სანამ ესა თუ ის მოვ-ლენა მოხდებოდეს, ადამიანებს აჩვენებს სხვადასხვა გამოვლინებებს, იმისათვის, რომ მიაჩვიოს იმას, რაც აუცილებლად მოხდება, რათა ფხიზლად იყოს. წმინდა ნადრი გადმოგვცემს:

„ერთ დღეს შუადღისას საშინლად ჩამობნელდა. წმინდა ენესთან გავიქეცი და ვკითხე:

„ასეთი რამ წმინდა შუამავლის დროსაც მოხდა?“

„ალლაჰმა დაგვიფაროს! ალლაჰის შუამავლის დრო-ში ქარს ცოტა მძლავრად რომ დაებერა, გვეგონებოდა ქვეყანა იქცევაო და მეჩეთში გავრბოდით.“

ვინაიდან, ნამაზი ამქვეყნად – მრავალი უბედურების, იმქვეყნად კი ჯოჯოხეთის ცეცხლის საწინააღმდეგო ფარია. უდიდესი ალლაჰი ბრძანებს:

يَاأَيُّهَا الَّذِينَ ءَامَنُوا اسْتَعِينُوا بِالصَّبْرِ وَالصَّلَاةِ

„ეი, თქვენ ვინც ირწმუნეთ! (ალლაჰის) **დახმარება მოთმინებასა და ლოცვაში ეძიეთ.“** (სურა ბაყარა, აიათი 153)“

ეგვიპტის მმართველი ფარაონების ოჯახი ცნობილი იყო. ისინი ისტორიაში შესული არიან როგორც მჩაგვრელები და ამპარტავნები. წმინდა იბრაჰიმის დროსაც ეგვიპტეს ისინი მართავდნენ. სათავეში მდგომი ფარაონი თავის საზღვრებში შემოსულ ლამაზ ქალს როგორც კი დაინახავდა, მას დააჭერინებდა. ქალი ქმრიანი თუ იქნებოდა, ქმარს მოაკვლევინებდა. თუ ძმა ჰყავდა, მის ხელს მისგან ითხოვდა.

იბრაჰიმ შუამავალი ნემრუდის განადგურების შემდეგ ურფადან წამოვიდა და წმინდა სარასთან ერთად ეგვიპტის საზღვრებში შევიდა. ფარაონმა ამის შესახებ შეიტყო. იბრაჰიმს ფარაონის ხალხმა ჰკითხეს მას რომ ახლდა ის ქალი ვინ იყო. წმინდა იბრაჰიმმა თავდასახსნელად „სულიერი დობა“ იგულისხმა და უთხრა ჩემი დაო. ასეთ პასუხზე იბრაჰიმისთვის ხელი აღარ უხლიათ, სარა კი სასახლეში წაიყვანეს. ბუჰარში მოცემულია:

„სარა სასახლეში შევიდა თუ არა, მაშინვე აბდესი აიღო და ორი მუხლი ნამაზი ილოცა...უდიდეს ღმერთს თავშესაფარი სთხოვა. ღმერთმაც მისი დაცვა ბრძანა.“

შედეგად ფარაონი, როცა წმინდა სარასთან მისაახლოებლად ფეხზე წამოდგა, სუნთქვა შეეკრა, დამბლა დაეცა. ეს მოხდა, რადგანაც უდიდესი ალლაჰი წმინდა

სარას მისგან იცავდა.

შეშინებულმა ფარაონმა სარა გაათავისუფლა, თან მას საჩუქრად მონა ქალი ჰაჯერი გააყოლა. სასახლის გაოცებით მზერ ბინადრებს უთხრა:

„ეს ქალი ჯინია. ჩემთან ცოტა ხანს რომ კიდევ დარჩენილიყო, გამანადგურებდა. იმისათვის, რომ ზიანისგან თავი დამეცვა, მას ჰაჯერი მივეცი!“

აი, ალლაჰის პატივისცემით ნალოცი ორი მუხლი ნამაზის ამქვეყნიური ნიშან-თვისება!

აქედან გამომდინარე, ალლაჰის შუამავალი, ﷺ როგორც კი რაიმე სირთულე შეხვდებოდა, მაშინვე თავის სახლობას ორ მუხლ ნამაზის ლოცვას უბრძანებდა და ყურანის ამ აიათს უკითხავდა:

وَأْمُرْ أَهْلَكَ بِالصَّلَاةِ وَاصْطَبِرْ عَلَيْهَا لَا نَسْأَلُكَ رِزْقًا نَحْنُ نَرْزُقُكَ وَالْعَاقِبَةُ لِلتَّقْوَى

„...და შენს ოჯახს და მიმდევრებს ნამაზი უბრძანე და შენც მოთმინებით გააგრძელე იგი! (ნამაზის ლოცვა) **ჩვენ შენგან სარჩო არ გვინდა. შენ ჩვენ გიბოძებთ სარჩოს. კარგი დასასრული ღვთისმოშიშებისაა.“** (სურა ტაჰა, აიათი 132)

წმინდა შუამავალი ﷺ, რომელიც თავის ოჯახსა და თანამიმდევრებს შიშის, უბედურებისა და ტანჯვის მომენტში ნამაზის შესრულებას უბრძანებდა, გაჭირვების მომენტში სხვა შუამავლების მხრიდანაც ნამაზის შესრულების შესახებ ასე ბრძანებდა:

„ადრინდელი შუამავლებიც უბედურების მომენტში ნამაზს ასრულებდნენ.“ (ფეზაილ, ამალი 249)

ზოგჯერ ამ წმინდა ჰადისს წარმოთქვამდა:

„ალლაჰი ერთმორწმუნეებს სუსტების ვედრების, ნამაზისა და ღვთისმსახურებების შესრულების მიზეზით ეხმარება.“ (ნესაი, ჯიჰადი, 43)

ალლამე შარანი გადმოგვცემს:

„ეს კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ ვინც ნამაზს არ ასრულებს, იმ ქვეყნებთან უბედურებები ახლოსაა. იმდენადაა ისინი შორს იმისგან, ვინც ნამაზს ასრულებს. არავინ არ უნდა თქვას, რომ „მე ნამაზს ვლოცულობ, სხვამ მე რა უნდა მითხრას, რადგანაც უბედურება თუ მოვა, ყველასთან მოდის.“ ამ საკითხთან დაკავშირებით, ალლაჰის შუამავალს ﷺ როცა ჰკითხეს:

„მაშინ,როცა ჩვენ შორის ღვთისმოსავი ადამიანებიც არიან, გავნადგურდებით?“

შუამავალმა უპასუხა:

„დიახ, თუ ცუდი საქმეები გამრავლდება, გძლევთ.“ (მუსლიმი, ფილენი, 1)

აქედან გამომდინარე, ყველა მორწმუნე პასუხისმგებელია,თავისი შესაძლებლობის ფარგლებში,ღმერთისა და ადამიანისათვის სწორ და სამართლიან ქმედებაში, ასევე შარიათით აკრძალული საქმეების ჩაუდენლობაში.

მეორე მხრივ, ყოველგვარი საყურადღებო საკითხიდან, თუ უბედურებებისგან, მხრებიდან მძიმე ტვირთის

ჩამომხსნელი და ამგვარად ღმერთის მფარველობის მომპოვებელი ერთადერთი საშუალება ნამაზია. ყოველივე ამის გაკეთება ცოდვების გამწმენდი მონანიებით აღსავსე ნამაზის შესრულებითაა შესაძლებელი. უკიდურესი სინანულით განმსჭვალულ, საზოგადოებასთან მოსულ და *ჯამაათით* ნამაზის შემსრულებელ ერთ ცოდვილს წმინდა შუამავალმა უთხრა:

„ალლაჰმა შენ ცოდვები მიგიტევა.“ (მუსლიმი, აბუ დავუდი, ბუჰარი)

სწორად შესრულებული ნამაზი

ყურანში უდიდესი ღმერთის ბრძანებები ნამაზის ლოცვასთან დაკავშირებით „ნამაზი ილოცეთ!“ ფორმის არ არის არამედ:

„ნამაზი სწორად ილოცეთ!“

სწორად ნალოცი ნამაზი ძალიან ფასეული ღვთისმსახურებაა. ის ადამიანს საშუალებას აღარ აძლევს ვნებას დაემორჩილოს, მას სულიერი ამაღლების საშუალებას აძლევს.

وَأَقِمِ الصَّلَاةَ إِنَّ الصَّلَاةَ تَنْهَى عَنِ الْفَحْشَاءِ وَالْمُنْكَرِ وَلَذِكْرُ اللَّهِ أَكْبَرُ وَاللَّهُ يَعْلَمُ مَا تَصْنَعُونَ

„ნამაზი მუდმივად ილოცე! უეჭველად, ნამაზი უზომობისა და უკეთურებისაგან (და)**გიცავს.“** (სურა ანქებუთი, აიათი 45)

ნამაზი ადამიანს ბოროტებას აშორებს როგორც ნა-

მაზამდე, ისე ნამაზისა და მის შემდეგაც. თუ ეს ასე არ ხდება, ესე იგი, ის ადამიანი ნამდვილი მლოცველი არ არის. ამგვარი მლოცველების შესახებ ალლაჰის შუამავალი ბრძანებს:

„თუკი ნამაზი ადამიანს აშკარა და ფარული ბოროტებისაგან არ იცავს, ე. ი. უზენაესს აშორებს.“ (ჯემრულ ფევაიდი, I, 339)

აქედან გამომდინარე, უეჭველია, რომ ნამაზის შესრულებისას, ყველაზე მნიშვნელოვანი მორჩილებაა.

უგულისყუროდ ნალოცი ნამაზი

არასწორად მიმართული გულით ნალოცი ნამაზი, რომელშიც ეშმაკი ზის, ცოდვის იმ ძველმანებს გავს, ადამიანს სახეში რომ სცემს. აიათში ნაბრძანებია:

فَوَيْلٌ لِلْمُصَلِّينَ الَّذِينَ هُمْ عَنْ صَلَاتِهِمْ سَاهُونَ

الَّذِينَ هُمْ يُرَاءُونَ وَيَمْنَعُونَ الْمَاعُونَ

„ვაი,ნამაზის იმ მლოცველებს,რომლებიც ლოცვისადმი უგულისყურონი არიან, რომლებიც (ღვთისმსახურებისას) **თვალთმაქცნი არიან.“** (სურა მაუნა, აიათები 4-7)

ყურანის კომენტატორები ნამაზის დროს გამოჩენილ უგულისყურობას სამ ნაწილად ყოფენ:

1. ნამაზის დროის უგულისყუროდ დატოვება და მისი გადავადება;

2. ნამაზის შესრულებისას სხეულით – ნამაზზე,

სულით კი სხვაგან ყოფნა;

3. მუსლიმანური სამართლის მოძღვრების წესების მიმართ უყურადღებობა.

წმინდა მევლანა ბრძანებს:

„რწმენა რა არის? – ვკითხე საკუთარ თავს. თავმა გულს ყური დაუგდო და ჩაიჩურჩულა: „რწმენა – ზნეკეთილობაა!“

ყველაზე დიდი ზნეკეთილობა უდიდესი ღმერთის პატივისცემაა. ამის ყველაზე ლამაზი და ძლიერი გამომხატველი, განსაკუთრებული ღვთისმსახურება – ნამაზია.

ნამაზის წესების დაუცველობა, მისი შესრულებისას უგულისყურობა ეშმაკისეული საქმეა. მლოცველის უგულისყურობა ეშმაკს ნამაზის ხელყოფის შესაძლებლობას აძლევს. რაღა თქმა უნდა, ნამაზი, რომელშიც ეშმაკი ჩაერევა, არ ითვლება.

ზოგიერთები ისლამის მგზნებარე დამცველები არიან, მაგრამ ნამაზის ღვთისმსახურებას დიდ მნიშვნელობის არ ანიჭებენ, ლოცვისას უგულისყუროდ იქცევიან და მისი წესების შესრულებისას შეცდომებს უშვებენ. ყურანის რჩევებსა და შუამავლის ბრძანებებს ზერელედ ეპყრობიან. მათი ნალოცი ნამაზი იძულებით შესრულებულის მსგავსია. ნამაზის ამგვარი შესრულებისგან ღმერთმა დაგვიფაროს!

ამ უგულისყურობაში ჩავარდნილები ჰგვანან იმ ადამიანებს, ვისაც ხელში მთისოდენა სიმდიდრე ჩაუ-

ვარდათ, ვერ გამოიყენეს და გაკოტრდნენ. მათ ხელში მხოლოდ დაღლილობა შერჩებათ. წმინდა ჰადისში ნაბრძანებია:

„არიან ნამაზის მლოცველები, ვისაც მისგან მხოლოდ დაღლა და წვალება რჩებათ.“ (ნესაი)

„ალლაჰი, იმ ადამიანს, ვინც ნამაზის დაკარგვის მიუხედავად, მას მაინც ესაუბრება, სხვა სიკეთეს არ დაუფასებს.“ (თაბერანი)

ნამაზის შესრულებისას თადილი ერქანზე დაუმორჩილებლობასა და სხვა ხარვეზებს ალლაჰის შუამავალი „ქურდობად“ თვლიდა. ის ბრძანებდა:

„ადამიანებს შორის ყველაზე ცუდი, ნამაზის მომპარავი ქურდია.“ (ანმედი, ჰაქიმი)

ამგვარად, იმის გამო, რომ ქურდობა ეშმაკისეული საქმეა, როგორც წმინდა ჰადისშია ნაბრძანები, ადამიანს ხელში დაღლილობის მეტი არაფერი შერჩება. ამის გამო, ნამაზის ქურდებმა ჯოჯოხეთი უნდა გაიხსენონ.

فَوَيْلٌ لِلْمُصَلِّينَ

الَّذِينَ هُمْ عَنْ صَلَاتِهِمْ سَاهُونَ

„ვაი, ნამაზის იმ მლოცველებს, რომლებიც ლოცვისადმი უგულისყურონი არიან.“ (სურა მაუნა, აიათები 4-5)

ეს აიათი აჩვენებს, რომ მაშინ, როცა ზარმაცები ნამაზს არც კი უახლოვდებიან, ისინი, ვისაც ვნება აბრკოლებს, ნამაზს მხოლოდ ფორმალურად ასრულებენ, სულიერებისგან ვერანაირ სარგებელს ვერ ნახუ-

ლობენ. ვინც ნამაზს გაუცნობიერებლად შეასრულებს, არ ეცოდინება, რომ ღმერთის წინაშეა წამდგარი და ჭკუა-გონებით ვაჭრობით ან ამქვეყნიური სხვა საქმეებით იქნება დაკავებული, ის მლოცველად არ ითვლება. მისი ნალოცი ნამაზი ამქვეყნად რჩება.

ნამაზი, რომელიც რწმენას სრულყოფს, ამგვარი უგულისყურობისას ნადგურდება. ის ან კისერზე დაწოლილ მძიმე ტვირთად, ან – შიდა მხარის მაჩვენებელ სარკედ, ან კიდევ ტანჯვის მაუწყებლად იქცევა.

إِنَّ الْمُنَافِقِينَ يُخَادِعُونَ اللَّهَ وَهُوَ خَادِعُهُمْ وَإِذَا قَامُوا إِلَى الصَّلَاةِ
قَامُوا كُسَالَى يُرَاءُونَ النَّاسَ وَلَا يَذْكُرُونَ اللَّهَ إِلَّا قَلِيلا

„უეჭველად, ორპირნი ალლაჰის მოტყუებას ცდილობენ. თუმცა (ალლაჰი) **იგი,** (რომ ინებოს) **იქით შემცდენელია მათი! და** (მაინც)**, როცა სალოცავად დგებიან, ადამიანებს ეთვალთმაქცებიან და ალლაჰს ნაკლებად ახსენებენ“** (სურა ნისა, აიათი 142)

ნამაზს დაშორებულნი

მორწმუნენი ნამაზისგან შორს მდგომებზე ასე ამბენ:

„ისინი, ვინც ქონების, სიმდიდრის სიმრავლისგან უგულისყურობაში არიან ჩავარდნილი და ნამაზით აღარ ინტერესდებიან, ყარუნთან მოგროვდებიან; ისინი, ვინც სასულთნოს გამო არ ინტერესდებიან, ფარაონთან მოგროვდებიან; დიდი სახელმწიფოების მმართველობის

გამო ნამაზს მოშორებულები ჰამანთან მოგროვდებიან; ვაჭრობისა და მოგების გამო ნამაზის დამვიწყებლები უბეი იბნ ჰალეფთან მოგროვდებიან, რომელიც შუამავლის მტერი იყო.“

ნამაზისგან შორს მდგომი ადამიანი ამქვეყნად უნაყოფოდ ცხოვრობს. სახეზე ღვთიური სინათლე არა აქვს. ვერანაირ სიკეთეზე ჯილდოს ვერ მიიღებს. მისი ვედრებები შესმენილი არ იქნება. ღვთისმოსავი ადამიანების სიყვარულს მოკლებული იქნება. ნათქვამია: *„როგორც იცხოვრებთ – ისე მოკვდებითო.“* აქედან გამომდინარე, თავის უკანასკნელ ამოსუნთქვას საფრთხეში აგდებს და სულს ტანჯვით აძლევს. საფლავი მოუჭერს და მისთვის ის ჯოჯოხეთის ერთი ორმოთაგანი იქნება. განკითხვის დღესაც უდიდესი ღმერთი მას დასჯის და ის საბოლოოდ ჯოჯოხეთში დაიდებს ბინას.

როგორც ბუჰარშია გადმოცემული, ალლაჰის შუამავალი ﷺ თავის თანამიმდევრებს დილის ნამაზის შემდეგ ეკითხებოდა სიზმარი ესიზმრათ თუ არა. ისინი მოუთხრობდნენ, შემდეგ თვითონ უხსნიდა. ერთ დღეს კვლავაც იგივე იკითხა, შემდეგ ბრძანა:

„მე ერთი სიზმარი მესიზმრა, ორი ადამიანი მოვიდა და წამიყვანა.“

მან სიზმარი მოუთხრო. სამოთხის, ჯოჯოხეთის და ჯოჯოხეთში ადამიანების ათასგვარი სატანჯველის შესახებ ამცნო. იმათგან ერთს თავს ქვით უჭყლეტდ-

ნენ, ქვა ისე მაგრად ხვდებოდა თავში, რომ დარტყმისაგან უკან ვარდებოდა. შემდეგ ქვას ისევ იღებდნენ და ისევ ურტყამდნენ. მისი წვალება ამგვარად გრძელდებოდა.

წმინდა შუამავალმა, ﷺ ორ პიროვნებას ვინც ის წაიყვანა, ჰკითხა:

„ეს ვინ არის?“

„ეს ის ადამიანია, ვინც ყურანის კითხვა იცოდა და მას არ კითხულობდა, ფარძ ნამაზს არ ლოცულობდა, იწვა და ეძინა.“

ეშმაკი ადამიანს ღვთისმსახურებათაგან ყველაზე მეტად ნამაზის დროს ებრძვის. ადამიანი, რომელიც მას ეტყვის, რომ *„ის, ვინც ნამაზს არ ასრულებს, რწმენა არა აქვსო“* (თაბერანი), მას ღვთის შეწევნით მოაშორებს.

აქედან გამომდინარე, ნამდვილი მორწმუნეები ამ გზაზე ეშმაკის დაგებულ მახეთაგან საკუთარ თავს იცავენ და ნამაზი რა მიზეზითაც არ უნდა გამოტოვონ შემდეგ აუცილებლად, უმოკლეს ვადაში შეასრულებენ.

წმინდა ჰადისში ნაბრძანებია:

„ვისაც ნამაზი დაავიწყდება, გახსენებისთანავე ილოცოს, მას ამისგან სხვა გამოსასყიდი არ აქვს.“ (მუსლიმი, მესაჯიდი, 314)

თუ ადამიანი ყოველივე ამას ყურადღებას არ მი-

აქცევს, მთისოდენა ნამაზის ვალი საიქიოში მას დიდ უბედურებას მოუტანს.

ნამაზი სხვაობაა

წმინდა შუამავალი ﷺ მუსლიმან ადამიანებს ეუბნებოდა:

„ისლამის სიმბოლო ნამაზია. ვინც ნამაზის დროს სუნნეთებს ყურადღებას მიაქცევს და მას მთელი გულით შეასრულებს – მორწმუნეა.“ (ფეზაილ-ამალ, 255-256)

ის მუსლიმანებს უპირველესად ნამაზს ასწავლიდა. აცხადებდა, რომ ნამაზი რწმენის დედაბოძი და მორწმუნესა და ურწმუნოს შორის სხვაობის გამომხატველია.

ალლაჰის შუამავლის ﷺ თანამიმდევრები ნამაზის გარდა სხვა ღვთისმსახურებების უარყოფას ურწმუნოებად არ თვლიდნენ. წმინდა აბუ ბაქრი ნამაზის დროის მოსვლისთანავე მის გარშემო მყოფებს ასე ეუბნებოდა:

„ადამიანებო, ადექით! თქვენ მიერ ანთებული ცეცხლი ნამაზის საშუალებით ჩააქრეთ!“

ნამაზი არა მარტო მორწმუნესა და ურწმუნოს ასხვავებს, არამედ მორწმუნეებსაც საფეხურებად ყოფს. აბუ ჰურეირე, ამასთან დაკავშირებით, გადმოგვცემს:

მომთაბარე უდაას ტომის ორი ადამიანი წმინდა შუამავალთან ﷺ მივიდა და გამუსლიმანდა. (შემდეგ) მათგან ერთი (ერთ-ერთი ბრძოლის დროს) შეჰი-

დად დაეცა. მეორე კი ერთი წლის შემდეგ ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა. სიზმარში ვნახე ეს მეორე შეჰიდად დაცემულზე ადრე შევიდა სამოთხეში. გამიკვირდა, ვთქვი:

„შეჰიდის ხარისხი უფრო მაღალია. სამოთხეში პირველი ის უნდა შესულიყო.“

მივედი და ყოველივე წმინდა შუამავალს ﷺ მოვუყევი. მან ბრძანა:

„ვერ ხედავ, უფრო გვიან გარდაცვლილს რამოდენა მადლი ჰქონია? იმ შეჰიდის შემდეგ ამ კაცმა მთელი რამაზანი იმარხულა. შემდეგ ექვსი ათასი მუხლი და კიდევ ამდენ და ამდენ მუხლ ნამაზს მთელი წლის განმავლობაში ლოცულობდა. ამგვარად, მასზე მეტი ღვთისმსახურებები შეასრულა.“ (აჰმედ, იბნ მაჯე)

მის მსგავს სხვა ჰადისში წმინდა შუამავალმა ﷺ თავის თანამიმდევრებს უთხრა:

„ერთი წლის შემდეგ გარდაცვლილმა კაცმა უფრო მეტი ღვთისმსახურებები არ შეასრულა?“

„უეჭველად“

„თუ ასეა, ამ ორს შორის ისეთი განსხვავებაა, როგორიც ცასა და მიწას შორის.“

ნამაზის ეს დიდი თავისებურება ერთ წმინდა ჰადისში ასეა გაცხადებული:

„უდიდეს ალლაჰს რწმენასა და ნამაზზე მაღლა ფარძად არაფერი დაუწესებია. მასზე მაღლა რამე ფარძად რომ დაეწესებინა ანგელოზებს იმას უბრძანებ-

და. მაშინ, როცა დღე და ღამე ანგელოზების ნაწილი რუქუზეა, ნაწილი – სეჯდეზე.“

„ნამაზი ყველაზე ღირსეული ჯიჰადია.“

„ადამიანი რომ ნამაზზე დადგება, ალლაჰის კეთილგანწყობას მოიპოვებს. თუ ის ნამაზს შეწყვეტს, ღმერთის კეთილგანწყობასაც დაკარგავს.“ (ფეზაილ ამალი, 256)

„ციდან რაიმე უბედურება რომ ჩამოვარდეს, მეჩეთში მყოფებისგან ის უბედურება შორს დაეცემა“. (ფეზაილ ამალი, 256)

„სამოთხის გასაღები ნამაზია.“ (თირმიზი, თაჰარათი, 3)

„ნამაზი ყოველი ღვთისმოშიში ადამიანის ყურბანია.“ (ქუზაი, მუსნედი, 1, 181)

„ადამიანმა ერთი ნამაზიც რომ გამოტოვოს, ეს იგივეა მთელი ქონება და წვრილშვილი რომ დაკარგოს.“ (ნესაი, აჰმედი)

ნამაზის ამ დიდი მნიშვნელობის გათვალისწინებით ისლამი მის სწავლებას ადამიანს ძალიან პატარა ასაკში აწყებინებს. ამ საკითხს სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ, ნამაზისას უგულისყურობის გამოჩენა რომ არ შეიძლება, წმინდა შუამავალი ﷺ ასე აცხადებს:

„თქვენს ბავშვებს შვიდი წლის ასაკში ნამაზი უბრძანეთ. ათი წლის ასაკში თუ არ შეასრულებენ, ცოტაოდენი ძალა გამოიყენეთ, ლოგინიდანაც ააყენეთ.“ (აბუ დავუდი)

დასკვნა

სრულიად თვალსაჩინოა, რომ ტანჯვა-წამების სიხარულით შემცვლელი, დაჯილდოების დღესასწაულები ნამაზით იწყება. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ რომ, ვინც ამქვეყნად ნამაზს ასრულებს, იმქვეყნად დაჯილდოებენ, მისთვის იქ დღესასწაული იქნება. ვინაიდან, ნამაზი ადამიანს ყოველმხრივ სრულყოფილებასთან მიაღწევინებს და ღმერთის წყალობას მოაპოვებინებს. მოკლედ შეგვიძლია ვთქვათ:

მატერიალური თვალსაზრისით:

ნამაზის შესრულებისას ადამიანის სხეულის შიდა და გარე მოძრაობები, ასევე დროის მართვა, ცხოვრებაში წესებზე დამყარებულ წვრთნას უწყობს ხელს.

სულიერად ნამაზი:

ღმერთის წინაშე წარდგომა, ფიქრი, შიშის დროს ნუგეში, სიხარულის დროს სიტკბოება, სულიერებისთვის საყრდენის მიცემა, გუნება-განწყობის შექმნა, რწმენის დაცვა, ღმერთთან მეტად დაახლოება და სხვა მსგავსი ხვავ-ბარაქით სავსე საქმეა.

საზოგადებრივი თვალსაზრისით, ნამაზი:

მრევლის შეკრების, გაცნობის, დაახლოების, ურთიერთობის, რწმენისა და ძმობის კავშირების განმტკიცების საშუალებაა.

ზნეობრივი სრულყოფის თვალსაზრისით, სულიერი სამყაროს გამოღვიძება და გულწრფელობის აღზრდაა, რომლითაც მონა-მსახური უზენაეს ალლაჰს მიმართავს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნამაზის გამოტოვებისას არანაირი საპატიო მიზეზს ძალა არ აქვს! მამაკაცები ომშიც კი ნამაზს რიგრიგობით ასრულებდნენ. ქალებისთვის საპატიო მდგომარეობის გარდა სხვა საპატიო მიზეზები არ არსებობს.

ალლაჰის შუამავალი ﷺ ნამაზის შესახებ მაშინაც კი საუბრობდა, როცა ლაპარაკის თავი აღარ ჰქონდა და სასიკვდილო სარეცელზე იწვა:

„ნამაზს, ნამაზს მიაქციეთ ყურადღება!“

ამ საკითხთან დაკავშირებით მუდამ ფხიზლად უნდა ვიყოთ.

ის ადამიანები, რომლებიც ამ ბრძანებას ყურს დაუგდებენ და ნამაზის ჭეშმარიტებას შეიმეცნებენ, მას თვალის სინათლედ გადააქცევენ. როცა ნამაზზე დადგებიან, ამ წარმავალ სამყაროს სრულიად სცილდებიან და სულიერებაში ეხვევიან, ღმერთს ხვდებიან, და აღწევენ იმას, რომ თავიანთ თავში ღმერთი აღმოაჩინონ.

ნამდვილი მლოცველი ნამაზის ყველა თავისებურების მატარებელია. მათ შესახებ სურა „მეარიჯში“ შემდეგია ნაბრძანები:

„1. ისინი მუდმივად ნამაზის მდგომარეობაში არიან;

2. ეხმარებიან ღარიბებს, რომლებიც მათგან დახმარებას ითხოვენ და გაჭირვებულებს, ვისაც დახმრების თხოვნა რცხვენიათ;

3. განკითხვის დღის სწამთ;

4. ღმერთის სატანჯველის ეშინიათ;

5. ნამუსს იცავენ;

6. ანაბარს და პირობას იცავენ;

7. მოწმეობისას სამართლიანი არიან;

8. ნამაზების დამცველი არიან.

აი, ასეთები სამოთხეში მოხვდებიან.“ (სურა მეარიჯი, აიათები 23-35)

ღმერთო ჩემო! ჩვენი ნამაზები მათი ჭეშმარიტი მნიშვნელობით, ცად ამაღლებით შენთან შეხვედრის ღირსმყოფ ნამაზთაგანი გახადე! ჩვენი ნამაზები ჩვენი თვალის სინათლედ და ორივე სამყაროში ჩვენი გულების სიხარულად აქციე!

ამინ!

მუსლიმანური სამართლის წესების გადასახედიდან

აბდესი, (ღუსლი) რიტუალური განბანვა, თეიმუმი და ნამაზი

აბდესი

აბდესის ფარძები

1) სახის დაბანა.

2) ხელებისა და მკლავების იდაყვების ჩათვლით დაბანა.

3) თავის ერთ მეოთხედზე სველი ხელის გადასმა.

4) ფეხების კოჭების ჩათვლით

აბდესის სუნნეთები

1) აბდესის ასაღებად მიზნის დასახვა. (ნიეთი)

2) აბდესის აღუზუ ბესმელეთი დაწყება.

3) აბდესის დაწყებამდე ხელების მაჯებამდე დაბანა.

4) კბილების ჯაგრისით ან თითით გამოწმენდა.

5) სხეულის ორგანოების ერთმანეთის მიყოლებით შეუჩერებლივ დაბანა.

6) დაბანისას ორგანოებზე ხელის გადასმა.

7) პირის წყლით სამჯერ გამოვლება.

8) თუკი მარხული არ ხარ, ყელის გამოვლება.

9) ცხვირში სამჯერ წყლის შესხმა და მარცხენა ხელით ცხვირის მოწმენდა.

10) ყოველი დასაბანი ორგანოს სამჯერ დაბანა.

11) წყვილი ორგანოების დაბანისას მარჯვენათი დაწყება.

12) ხელებისა და ფეხების დაბანისას თითის წვერებიდან დაწყება.

13) ვისაც წვერი აქვთ, წვერის ძირების გამობანა.

14) თითზე ბეჭდის შექანება, რათა წყალმა ქვეშ გაუაროს.

15) ყურებზე სველი ხელის მოსმა.

16) კისერზე სველი ხელის გადასმა.

17) თავზე სველი ხელის გადასმა.

18) თითებს შორის ადგილების დაბანა.

რიტუალური განბანვა (ღუსლი)

ფარძები

1) პირში წყლის შესხმა, ყელამდე გამოვლება

2) ცხვირში წყლის შესხმა

3) მთელი სხეულის დაბანა.

სუნნეთები

1) რიტუალური განბანვისთვის (ღუსლის აბდესისთვის) მიზნის დასახვა.

2) ბესმელეთი დაწყება.

3) სხეულის რომელიმე ნაწილზე ჭუჭყი თუ გაქვს, თავდაპირველად იმის გაწმენდა.

4) სასქესო ორგანოების დაბანა.

5) რიტუალურ განბანვამდე (ღუსლი) აბდესის აღება.

6) სხეულზე წყლის სამჯერ ისე გადავლება, რომ ყველა ადგილი დასველდეს.

7) წყლის დასხმის თავიდან დაწყება, შემდეგ მარჯვენა მხარზე, მერე მარცხენა მხარზე დასხმა. წყლის პირველი დასხმისას სხეულის დაზელა და წყლით ყველა ადგილის დასველება.

8) სადაც ფეხებია, იქ თუ წყალი მოგროვდება, აბდესის აღებისას ფეხების დაბანის შემდეგისთვის გადადება.

თეიმუმი

ფარძები

1) მიზნის დასახვა. (სიტყვიერად).

2) მიწის ან მისგვარ რამეზე ხელების ორჯერ შეხება და პირველად სახეზე, მერე მკლავებზე გადასმა

თეიმუმის სუნნეთები

1) თეიმუმის აღუზუ ბესმელეთი დაწყება.

2) რიგის დაცვა.

3) შეუსვენებლად, ერთმანეთის მიყოლებით გაკეთება.

4) მიწაზე ხელების შეახებისას ხელების ჯერ წინ, შემდეგ უკან მოძრაობა.

5) თითების გაშლილად დაჭერა.

6) ხელებზე მიწიდან აღებული მტვერი თუ შეგვრჩა ჩამოფერთხვა.

ნამაზი

ნამაზის ფარძები თორმეტია. ამათგან, ერთი ნაწილი ნამაზამდე სრულდება და მოსამზადებელი ხასიათის მატარებელია. მათ „ნამაზის გარეთა ფარძები“ ეწოდება. მეორე ნაწილიც ნამაზის დაწყების შემდეგ სრულდება და მათ „ნამაზის შიდა ფარძები ეწოდება.“

ნამაზის წინა (ანუ გარე) ფარძები:

1) **ჰადესთენ ტაჰარეთი:** თვალით უხილავი, ჭუჭ-ყისგან განწმენდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აბდესის აღება, რიტუალური (მთელი სხეულის) განბანვა ან თეიმუმის გაკეთება.

2) **ნეჯასეთთენ ტაჰარეთი:** სხეულის, ტანსაცმლის და ნამაზის სალოცავი ადგილის თვალით შესამჩნევი სიბინძურისგან განწმენდა.

3) **სეთრუ ავრეთი:** მამაკაცებისთვის – ჭიპიდან მუხლის თავების ჩათვლით, ქალებისთვის კი – ხელის მტევნების, სახისა და ფეხის ტერფების გარდა, მთელი სხეულის დაფარვა. ნამაზის ერთი რომელიმე მოძრაობის შესასრულებლად საჭირო დროის ხანგრძლივობით, დასაფარი ორგანოდან რომელიმე, რომ გამოჩნდეს, ნამაზი მოშლილად ჩაითვლება.

4) **ისთიყბალი ყიბლე:** ნამაზის ლოცვის დაწყებისას პირისახით ქააბასკენ მიტრიალება. მას, ვინც ქააბასკენ სახით არ დგას, ნამაზი მოეშლება.

5) **ვაყით:** ფარძი და ვაჯიბ ნამაზებს თავისი დრო აქვს. ის დრო რომ მოვა, ნამაზის მაშინ ლოცვა ფარძია. დროზე ადრე არ ილოცება. არასაპატიო მიზეზით შემდეგისთვის გადადება ცოდვაა.

6) **(ნიეთი) მიზნის დასახვა:** სალოცავი ნამაზისთვის მიზნის დასახვა. *ჯამაათით* ნამაზის ლოცვისას მიზნის დასახვისას იმამზე მიყოლის აღნიშვნა.

ნამაზის შიდა ფარძები

1. **დასაწყისი თექბირი:** ნამაზის დაწყებისას „ალლაჰუ ექბერ“–თქმით თექბირის აღება და ნამაზის ისე დაწყება.

2) **ყიამი:** ნამაზის ლოცვისას გარკვეული დროით ფეხზე დგომა. ვისაც ამის ძალა შესწევს, ფეხზე დამდგარი ილოცავს; ვისაც არა, იმ ფორმით, როგორც ძალა შესწევს.

3) **ყირაეთი:** ნამაზის ლოცვის დროს, ფეხზე დგომისას, სულ ცოტა ყურანის 3 მოკლე აიათის წაკითხვა.

4) **რუქუღი:** ნამაზის ლოცვისას, ყურანის აიათების წაკითხვის შემდეგ, ხელების მუხლებზე დაწყობა და ამგვარად წელში მართი კუთხით მოხრა.

5) **სეჯდე:** რუქუღის შემდეგ შუბლით, ცხვირით, ხელებით, ფეხის თითებითა და მუხლებით ძირს შეხება. მხოლოდ შუბლისა და ცხვირის მიწაზე შეხება საკმარისი არ არის. შუბლმა მიწის სიმყარე უნდა იგრძნოს. *ჯამაათით* ლოცვისას თუ სიმჭიდროვეა, უკანა მწკრივში მდგომთ შეუძლიათ სეჯდე წინა მწკრივში მდგომთა ზურგზე შეასრულონ.

6) **ყაღდეი ახირა:** ნამაზის ბოლო მუხლზე „ათთაჰიიათის“ კითხვას რომ მოუნდება, იმდენ ხანს ჯდომა.

ნამაზის ვაჯიბები

1. ნამაზის დაწყებისას „ალლაჰუ ექბერ“ წარმოთქმა.

2. ფარძი ნამაზებისას პირველ ორ მუხლზე, ვითრი

და ნაფილე ნამაზების ყველა მუხლზე სურა „ფათიჰას“ წაკითხვა.

3. დამატებით სურამდე სურა „ფათიჰას“ წაკითხვა.

4. ფარძი ნამაზებისას პირველ ორ მუხლზე, ვითრი და ნაფილე ნამაზების ყველა მუხლზე ერთი სურის, ან ერთი პატარა სურისოდენა, სამი მოკლე აიათის, ან ერთი გრძელი აიათის წაკითხვა.

5. სეჯდეს შესრულებისას შუბლთან ერთად ცხვირით ძირს შეხება.

6. ორი სეჯდეს ერთმანეთის მიყოლებით შესრულება.

7. თაღდილი ერქანზე მიყოლა. ანუ ნამაზის ყველა წესის შესაფერისად და სრულყოფილად შესრულება.

8. სამ და ოთხ მუხლიან ნამაზებში ორი მუხლის შემდეგ დაჯდომა.

9. პირველად და ბოლო დაჯდომისას „ათთაჰიიათის“ წაკითხვა

10. სამი და ოთხმუხლიანი ფარძი ნამაზების ასევე ვითრი ნამაზის მეორე მუხლზე „ათთაჰიიათის“ შემდეგ ფეხზე ადგომა.

11. *ჯამაათით* ლოცვისას დილის, საღამოს, ძილის წინა ნამაზების პირველ და მეორე მუხლებზე, ასევე ჯუმისა და ბაირამის ნამაზების ყველა მუხლზე იმამის მხრიდან სურა „ფათიჰას“ და სხვა აიათების ხმამაღლა წაკითხვა.

12. შუადღისა და ნაშუადღევის ნამაზების ყველა მუხლზე, საღამოს და ძილის წინ ნამაზების პირველი დაჯდომის შემდეგ, მუხლებზე, თვითონ რომ გაიგონებს, იმ ხმაზე წაკითხვა.

13. თარავიჰ ნამაზისა და რამაზანში თარავიჰის შემდეგ ნალოცი ვითრი ნამაზის შესრულებისას იმამის მხრიდან „ფათიჰას“ სურის ან სხვა აიათების ხმამაღლა წაკითხვა.

14. იმამზე მიყოლით ლოცვისას „ფათიჰას“ სურის ან სხვა აიათების წაუკითხაობა.

15. ვითრი ნამაზის შესრულებისას „ქუნუთის ვედრებების“ წაკითხვა.

16. ბაირამის ნამაზის ლოცვის წინ დამატებითი თექბირების აღება.

17. ნამაზის ბოლოს მარჯვნივ და მარცხნივ სალამის მიცემა.

18. ნამაზის ლოცვისას შეცდომის დაშვების შემთხვევაში სეჰივ სეჯდეს შესრულება.

19. ნამაზის ლოცვისას სეჯდეს აიათის წაკითხვისას სეჯდეს შესრულება.

ნამაზის სუნნეთები

1. ნამაზის დაწყებისას, ვითრის დროს, ქუნუთის დაწყებისა და ბაირამის თექბირების აღებისას, ხელების ყურის ძირებთან მიტანა და შემდეგ გადაბმა.

2. ყველა ნამაზის პირველ მუხლზე სუბჰანექეს წაკითხვა და აღუზუ ბესმელეს წარმოთქმა.

3. მარტოდ ან *ჯამაათით* ნამაზის ლოცვისას სურა „ფათიჰას“ წაკითხვის შემდეგ, უხმოდ „ამინის“ თქმა.

1. დღეში ხუთჯერ ჩვეულებრივი ნამაზისა და ჯუმა ნამაზისთვის ეზნის წაკითხვა და ფარძების წინ ყამეთის წაკითხვა.

2. პირველი თექბირის შემდეგ ჩუმად „სუბჰანექეს“ წაკითხვა.

3. პირველ მუხლზე, „ფათიჰას“ წინ, „აღუზუ ბესმელეს“, დანარჩენ მუხლებზე მხოლოდ „ბესმელლეს“ წაკითხვა.

4. ნამაზის დროს ფარძად დაწესებული იფთითაჰ თექბირის გარდა ყველა თექბირი.

5. რუქუღიდან წამოდგომისას **„სემიღელლაჰუ ლიმენ ჰამიდე“**, გასწორების შემდეგ **„რაბბენაა ლექელჰამდის“** – წარმოთქმა.

6. რუქურზე **„სუბჰანე რაბბიელ აზიმ“,** სეჯდეზე კი **„სუბჰანე რაბბიალ აღლა“** წარმოთქმა.

7. რუქუზე გაშლილი ხელების მუხლის თავებზე დაწყობა, მუხლების გამართულად, სწორად დაჭერა.

8. სეჯდეზე წასვლისას ძირში პირველად მუხლების, შემდეგ ხელების და შემდეგ სახის დადება. სეჯდედან ადგომისას პირველად სახის, შემდეგ ხელების, შემდეგ კი მუხლების აწევა. საპატიო მიზეზის არ მქონეთათვის სეჯდეზე სახის ხელებს შორის

დადება.

9. დაჯდომისას ხელების მუხლებზე დაწყობა. ათთაჰიიათის წაკითხვა, ბოლო დაჯდომაზე ათთაჰიიათის წაკითხვის შემდეგ „ალლაჰუმმე სალლის“,„ალლაჰუმმე ბარიქისა“ და სხვა ვედრებების წაკითხვა.

10. სალამის მიცემისას თავის პირველად მარჯვნივ, შემდეგ მარცხნივ მიტრიალება და „ესსელლამუ ღალეიქუმ ვერაჰმეთულლაჰი“ წარმოთქმა.

ნამაზის წესები

ნამაზის შესრულებისას ყიამზე ყოფნისას სეჯდეზე, რუქუღზე ყოფნისას ფეხებზე, ჯდომისას მუხლებზე ხელების დაწყობა და სელამის მიცემისას მხრებზე ყურება ნამაზის წესებია.

სეჰვი (შეცდომის გამო) **სეჯდე**

სეჰვი სეჯდე, დავიწყების ან შეცდომის სეჯდეს ეწოდება.

ნამაზის ფარძებიდან თუკი რომელიმე დაგვავიწყდება,ნამაზი არ ჩაგვეთვლება,მაგრამ დაგვიანებით შესრულებისას სეჰვი სეჯდეს შესრულებაა საჭირო. ნამაზის ვაჯიბებიდან თუ რომელიმე დაგვავიწყდება ან დაგვიყოვნდება, ასევე სეჰვი სეჯდეს შესრულებაა საჭიროა.

მაგალითად: ვითრი ნამაზის ლოცვისას თუ „ქუნუთის“ ვედრების წაკითხვა დაგვავიწყდება, ფათიჰას შემდეგ საჭირო დამატებით ვედრებას თუ არ წავი-

კითხავთ და რუქუზე წავალთ, პირველი დაჯდომა თუ დაგვავიწყდება, ნამაზის ლოცვისას სეჯდეს აიათს თუ წავიკითხავთ და სეჯდეს არ შევასრულებთ, ვაჯიბებს თუ უარვყოფთ, სეჰვი სეჯდეს შესრულებაა საჭირო.

სამი ან ოთხმუხლიანი ნამაზების დროს, მეორე მუხლზე „ათთაჰიიათის“ წაკითხვის შემდეგ, მაშინვე ფეხზე თუ არ ავდგებით და „სალლი-ბარიქს“ წავიკითხავთ, „ფათიჰას“ წაკითხვამდე დამატებით სურას თუ წავიკითხავთ და შემდეგ გაგვახსენდება და „ფათიჰას“ წავიკითხავთ, იმის გამო, რომ ვაჯიბები არ შევასრულეთ, სეჰვი სეჯდეს შესრულებაა საჭირო.

იქ, სადაც სეჰვი სეჯდეს შესრულებაა საჭირო, დაგვავიწყდება და სალამს მივცემთ, ნამაზის ხელახლა შესრულება არ არის საჭირო.

ორ სამყაროში წყალობისა და ბარაქის საშუალება

ზექათი (ქონების გადასახადი) და მოწყალების გაცემა

ადამიანი ამქვეყნად შექმნილ არსებებს შორის ყველაზე პატივცემულ არსებად შეიქმნა. ღონიერსა და უღონოს, ჯანმრთელსა და ავადმყოფს, მცოდნესა და უცოდინარს, მდიდარსა და ღარიბ სუბიექტებს შორის სხვაობები და საფეხურებად დაყოფა საზოგადოებრივი წესრიგის საფუძვლისა და წონასწორობის უზრუნველსაყოფადაა.

ამ საფეხურებად დაყოფისას მნიშვნელოვანი როლი უკავია სიმდიდრესა და სიღარიბეს, ისინი ერთმანეთის საპირისპირო ორ ეკონომიკურ სხვაობებს წარმოადგენს. სიმდიდრისა და სიღარიბის მსგავს განსხვავებულ საფეხურებზე ყოფნა ღვთიური გამოცდაა. სიმდიდრე – სიდიადე, სიღარიბე კი სიმდაბლე არ არის, ღვთიური დაყოფაა, დაუწერელი სიბრძნისა და თავისებურების გამოვლინებაა. უდიდესი ალლაჰი ბრძანებს:

أَهُمْ يَقْسِمُونَ رَحْمَةَ رَبِّكَ نَحْنُ قَسَمْنَا بَيْنَهُمْ مَعِيشَتَهُمْ فِي الْحَيَاةِ الدُّنْيَا وَرَفَعْنَا بَعْضَهُمْ فَوْقَ بَعْضٍ دَرَجَاتٍ لِيَتَّخِذَ بَعْضُهُمْ بَعْضًا سُخْرِيًّا وَرَحْمَةُ رَبِّكَ خَيْرٌ مِمَّا يَجْمَعُونَ

„...განა,ისინი ანაწილებენ შენი ღმერთის წყალობას? ამქვეყნიური სარჩო-საბადებელი ჩვენ გავუნაწილეთ. იმისათვის,რომ ერთმანეთს საქმე შეასრულებინონ,ვინ (სარჩო-საბადებლის მხრივ) **ვისზე მაღლა დავაყენეთ. შენი ღმერთის წყალობა უკეთესია იმაზე,რასაც ისინი აგროვებენ.“** (სურა ზუჰრუფი, აიათი 32)

როგორც ამ აიათშია გამოხატული, დაყოფა სხვადასხვაგვარია, მხოლოდ ვალდებულებებიც იმისდა მიხედვითაა მოწესრიგებული და საზოგადოებრივი წონასწორობა ყველაზე მშვენიერი ფორმითაა უზრუნველყოფილი. ესე იგი:

იმისათვის,რომ შეძლებული ადამიანები სიმდიდრის მონებად არ იქცნენ, გაჭირვებულებს კი მდიდრების მიმართ სიძულვილისა და შურის გრძნობა არ გაუჩნდეთ, საზოგადოებრივი წესრიგი დაცული იყოს და პიროვნებები ერთმანეთს სიყვარულით დაუკავშირდნენ, ფარძად **„ზექათი“** (ქონების გადასახადი) დაწესდა. ისლამი მოწესრიგებული საზოგადოებრივი სისტემაა, ღარიბსა და მდიდარს შორის წონასწორობისა და სიყვარულის უზრუნველსაყოფად **„ზექათისა და მოწყალების“** ღვთისმსახურება ძალიან მნიშვნელოვანია.

მდიდარი იმის მიხედვით განისჯება, თუ ქონებას

საიდან მოიპოვებს და სად დახარჯავს, მისი მონაპოვარი ჰალალი იქნება თუ ჰარამი, ზექათი და მოწყალება გაიღო თუ არა, სიკეთე ჰქმნა თუ არა. ის, რომ მას დაევალდებულა, თავისი ქონების გარკვეული ნაწილი ღარიბებს მისცეს, ნიშნავს იმას, რომ მას გამოცდა მოუწყეს. ხოლო, თუკი შეძლებს სხვებთან ერთად ეს გამოცდაც ჩააბაროს, ღმერთის კმაყოფილებასა და სამოთხის სიკეთეებს მოიპოვებს.

ღარიბიც სიღარიბისას მოუთმენლობის, ჩივილის, ადამიანებისთვის ტვირთად ქცევისთვის, აუცილებლად გაუძლებლობისას სურვილის, სიძულვილის, შურის, შეთქმულების მსგავს საკითხებთან ერთად, სინდისნამუსის დაცვა-დაუცველობისათვის განისჯება, თუკი ამათი შედეგი ალლაჰის კმაყოფილებისათვის შესაბამისი იქნება, მისი ამქვეყნიური ტანჯვა იმქვეყნად მარადიულ ბედნიერებად შემობრუნდება.

ზექათი ყურანში ნამაზთან ერთად 27-ჯერაა ნახსენები. ასე ბევრჯერ მისი ხსენება მისთვის მინიჭებული დიდი მნიშვნელობის მაჩვენებელია. მხოლოდ ერთ ადგილზეა ნამაზი მარტოდ მოხსენიებული სურა „მუმინუნში“ და იქაც აღნიშნულია ნამაზის მლოცველების მიერ გადახდილი ზექათის შესახებ. ამის მიზეზია „სხეულისა“ და „ქონების“ ორ ჯგუფად გაყოფილი ღვთისმსახურებები. ამ ორივეს პირველ რიგში და ერთნაირი მნიშვნელობით უკავია ადგილი. მართლაცდა, ქმედებები ერთმანეთზეა დამოკიდებელი,

ერთის შეუსრულებლობის მიუხედავად, მეორე ხმარებიდან ამოღებული არ არის. შეხედეთ ზექათს როგორი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული ჩვენს რწმენაში. წმინდა შუამავალი ﷺ იმ ადამიანის ნამაზს, რომელიც ზექათს არ იხდიდა, როგორც შეუსრულებელს თვლიდა. ერთ წმინდა ჰადისში ბრძანებდა:

„ვინც ნამაზს ლოცულობს, მაგრამ ზექათს არ იხდის, მადლი არ აქვს!“ (მუნავი, ქუნუზულ-ჰაქიქი, გვ. 143).

ამ მიზეზით, მორწმუნეთა ხილვა აბუ ბაქრი მათ, ვინც ნამაზს ლოცულობდა, მაგრამ ზექათს არ იხდიდა, უარმყოფელებს უწოდებდა და ისლამის რჯულიდან გამოსულებად თვლიდა, მათ ომი გამოუცხადა. ვინაიდან, ზექათი ალლაჰის მხრიდან დაწესებული მდიდრის მიერ ღარიბისათვის გადასახდელი ვალია. აიათში ნაბრძანებია:

وَفِي أَمْوَالِهِمْ حَقٌّ لِلسَّائِلِ وَالْمَحْرُومِ

„გაჭირვებულ(მთხოვნელ)**ს და** (მოთხოვნისთვის გამბედაობის)**უპოვარს თქვენს ქონებაზე უფლება აქვს.“** (სურა ზარიათი, აიათი 19)

ალლაჰის შუამავალი ﷺ ბრძანებს:

„როცა ქონების ზექათს იხდით, დროთა განმავლობაში ქონების დაგროვებისას ღარიბების უფლებების შელახვით დაგროვებულ ვალს იხდით.“ (თირმიზი)

აქედან გამომდინარე, ზექათი ქონების საკმარისზე მეტი რაოდენობის მფლობელთათვის ღმერთის მხრიდან ღარიბებისთვის მისაცემი გადასახადია. ამ შემთხვევა-

ში უკან დარჩენილი ქონება ჰალალია. თანაც ზექათ-ად გადახდილ ქონებას ნაწილ-ნაწილ, ხარისხ-ხარისხ, საზოგადოების დაზარალებისას ერთი მდგომარეობი-დან მეორეში გადაჰყავს. ამგვარად, ის საზოგადოებაში წონასწორობას, სამართალს და ზნეობას ამკვიდრებს; მდიდრის სიმდიდრეს წმენდს. ქონება პატრონისთვის სრულიად ჰალალი იქნება. ამ სიტყვის განსამარტად ყურადღება შემდეგ აიათს უნდა მივაქციოთ:

وَالَّذِينَ هُمْ لِلزَّكَاةِ فَاعِلُونَ

„...და რომელნიც ზექათს იხდიან!“ (სურა მუმინუნი, აიათი 4)

خُذْ مِنْ أَمْوَالِهِمْ صَدَقَةً تُطَهِّرُهُمْ وَتُزَكِّيهِمْ بِهَا وَصَلِّ عَلَيْهِمْ إِنَّ صَلَاتَكَ سَكَنٌ لَهُمْ وَاللَّهُ سَمِيعٌ عَلِيمٌ

„მიიღე მათი ქონებიდან სამოწყალო, რათა მისით განწმინდო და გაასპეტაკო ისინი. და დალოცე ისინი, რადგან შენი დალოცვა მათთვის სიმშვიდეა. ალლაჰი გამგონეა, მცოდნეა!“ (სურა თევბე, აიათი 103.)

საზოგადოების დაზარალებული ფენის გამხარებ-ელ ზექათს სინამდვილეში მისი გამცემისათვის უფრო დიდი მოგება მოაქვს. „სისპეტაკისა“ და „უბრალოე-ბის“ მნიშვნელობის მატარებელი ზექათი ადამიანებს გულის ავადმყოფობისგან, ბოროტებისგან წმენდს და ქონების გაწმენდას უზრუნველყოფს. ამგვარად გულის განწმენდა, სულის სისპეტაკის მოპოვება, რეაბილიტა-ცია და ამ სისპეტაკის თვისობრიობა შუამავლის მოვ-ლენის საოცრებათაგან ერთ-ერთია.

ამავე დროს ზექათი გადამხდელ და ამღებ პიროვნებებს შორის პატივისცემასა და სიყვარულს განამტკიცებს. ზექათი გამცემის მიერ გაჭირვებულისთვის მისაცემი მინიმალური გადასახადია. სრულყოფილი მორწმუნეები თავიანთ სიმდიდრეს გულუხვი მოწყალებით ამკობენ.

ამქვეყნად მდიდარსა და ღარიბს შორის უთანხმოება უძველესი დროიდან მოყოლებული არსებობს. უმეტესწილად ღარიბები მდიდრებს სიძულვილითა და შურით უყურებენ, მდიდრები კი ღარიბებს უბრალო და საცოდავ ადამიანებად თვლიან და მათ სიამაყით ზემოდან უცქერენ, ისინი არარაობად მიაჩნიათ. მათგან გამონაკლისია ის პერიოდები, როცა საზოგადოება ღმერთის რწმენის ქადაგების შედეგად იყო ალტრუისტი, მოწყალე, გულისხმიერი, ძმობით შთაგონებული და ყოვილივე ამის გამო გასცემდა ზექათს და მოწყალებას. დღეისათვის ზექათი სრულყოფილად რომ გაიცეს, ღარიბ-ღატაკი ადამიანების რიცხვი იმდენად შემცირდება, რომ შეიძლება ითქვას, ისინი აღარ იარსებებენ.

ომარ იბნ აბდულაზიზის პერიოდში გუბერნატორებმა ხალიფას რჩევა სთხოვეს იმის გამო, რომ „ვერ იპოვეს ადამიანი, ვისთვისაც ზექათის მიცემა შეიძლებოდა.“ ყველა შეძლებული იყო, ზექათს იხდიდა. ამის გამო ომარ იბნ აბდულაზიზის პერიოდი ოთხი დიდი ხალიფის შემდეგ ყველაზე ბრწყინვალე პერიოდად ითვლება. ეს მდგომარეობა უდიდესი ღმერთის გამო ქონებრივი და სულიერი სარჩოს გაცემით ღვთიური წყალობის გამოვლინებაა.

წმინდა მევლანა ქვემოთ მოცემულ ბეითში ძალიან ლამაზად გამოხატავს, რა დიდი მონაპოვარია ღარიბებისა და დარდიანების მდგომარეობის გაზიარება.

„სიღარიბესა და გაჭირვებაში ჩავარდნილი გულები კვამლით სავსე სახლებს ჰგვანან. შენ მათი დარდი გაიზიარე და დარდისთვის წამლად იქეცი, ამგვარად, იმ დაკვამლული სახლის ფანჯარას გამოაღებ, იქედან კვამლი გამოვა და შენ გულს – მგრძნობელობა, სულს კი სინაზე დაეუფლება.“

აი, ასე წარმატებით მკურნალობს ისლამი კაცობრიობის, მდიდრების და ღარიბების ჭრილობებს. ამგვარად, სხვა სისტემებმა სინამდვილეში ამას ვერ მიაღწიეს და ორ უკიდურესობაში გადავარდნენ. ვიღაცისთვის რაიმეს მოთხოვნა სავსებით აიკრძალა, ვისთვის მოთხოვნა ჩვეულებრივ ამბად ითვლება. ისლამმა კი ზექათისა და მოწყალების გაცემით ამ პრობლემას უკიდურესად ბრძნულად მოექცა და ყველაზე ღირსეული გამოსავალი მოუძებნა.

მართლაცდა, ზექათი კაცობრიობისთვის ისლამის მიერ მოპოვებულ უმაღლეს ღირებულებათაგან ერთ-ერთია. ზექათის რაოდენობა საზოგადოების ღარიბი, დაზარალებული, გზაში დარჩენილი, ობოლი და ქვრივი ადამიანების გაჭირვებას აღმოფხვრის. ამავე დროს ადამიანზე დადებული მონობის ჯაჭვიც ისლამმა ახსნა. უეჭველია, რომ ისლამის მიერ მონებზე თავისუფლების მინიჭებისთვის ყველაზე ეფექტურ გამოსავალთაგან კვლავაც ზექათი და მოწყალებაა.

ამგვარად, ისლამმა ძნელ მდგომარეობაში ჩავარდ-

ნილ ადამიანებს ხელი ისე გაუწოდა, რომ სანაცვლოდ არაფერი მოუთხოვია, გახსნილ ჭრილობას, რომლიდანაც სისხლი მოდიოდა სათავეშივე უმკურნალა. ამავე დროს აიკრძალა პროცენტის აღება, რომელიც ჩანს როგორც ადამიანებისთვის დახმარების გაწევა და საქმის გაადვილება, სინამდვილეში კი თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანების ექსპლუატაციაა და მეტი არაფერი. ვინაიდან, მევახშეს სურს სხვების დარდისგან სარგებელი ნახოს. ხოლო ზექათის გამცემი ადამიანი კი გაჭირვებულებისა და სადარდებელში ჩავარდნილი ადამიანების დარდის გამზიარებელია. მისი ერთადერთი სურვილი უდიდესი ღმერთის კმაყოფილების მოპოვება და ამ მიზნით დარდიანი ადამიანების წამლად გახდომაა.

ძუნწ ადამიანს რამდენი ქონებაც უნდა ჰქონდეს, მცირედ ეჩვენება. ხოლო ადამიანები, რომლებიც ზექათისა და მოწყალების გაცემას არიან მიჩვეული, მდიდარი გული აქვთ. ამქვეყნად ცოტა რამ ჰყოფნით. მევახშე იმდენად ძუნწი ადამიანია, რომ თავის ქონებას ზრდის სხვისი განადგურების ხარჯზე. მსოფლიოს სავაჭრო ცენტრების უმრავლესობაში ამაგვარი ბევრი შემთხვევის ნახვაა შესაძლებელი. ამ ჭეშმარიტების გამომხატველ აიათში ნაბრძანებია:

يَمْحَقُ اللهُ الرِّبَا وَيُرْبِي الصَّدَقَاتِ

„ალლაჰი სპობს პროცენტს და ამრავლებს მოწყალებებს.“ (სურა ბაყარა, აიათი 276)

ვინც მევახშეობითაა დაკავებული,ის თავის ქონებას ბარაქას აცილებს, რაც იმქვეყნად გაკოტრებას ნიშნავს. ეს გაკოტრება შეიძლება ამქვეყნადაც მოხდეს და უსამართლოდ მოპოვებული მთისოდენა სიმდიდრე უბედურების, ავადმყოფობის, ან მფლანგველი მემკვიდრის ხელით ქარმა წაიღოს.

მეორე მხრივ, პროცენტი იმის გამო, რომ ერთისგან აღებული მეორეს მიეცემა, ესე იგი, მაშინ როცა ერთს აძლიერებს, მეორეს სისხლს წოვს. ვინაიდან ის ასეთი უვარგისი სისტემაა, საზოგადოებრივ სიმდიდრეს და საფუძვლებს ზიანს აყენებს და ერი დაღუპვისკენ მიჰყავს. საბოლოოდ კი მევახშის საიქიო სიმდიდრესა და ბედნიერებასაც ანადგურებს.

ამის საპასუხოდ საზოგადოების ღარიბი და დარდიანი პიროვნებების დასახმარებლად მოწყალებისა და შესაწირის გაცემა, საზოგადოებრივი ზნეობისა და მოწესრიგებული სისტემის უზრუნველყოფისთვის, სააქაოშიც და საიქიოშიც ბარაქის საშუალებაა. ქვემოთ მოცემული ამბავი ამის ნათელი მაგალითია:

ერთ დღეს მათხოვარი წმინდა ალის წინ გადაუდგა და მოწყალების გაღება სთხოვა. წმინდა ალიმ შვილებს – ჰასანსა და ჰუსეინს – უთხრა:

„წადით სახლში, დედას ექვსი დირჰემი გამოართვით და მოიტანეთ!“

ჰასანი და ჰუსენი წავიდნენ, ექვსი დირჰემი მოიტანეს და მამას გადასცეს. წმინდა ალიმ ის მათხოვარს მისცა. თუმცა იმ დროისთვის ის ფული მას სჭირდებოდა,

წმინდა ფატიმას ფქვილი უნდა ეყიდა.

ალი სახლში შესული არ იყო, რომ მასთან ერთი კაცი მოვიდა და უთხრა მისგან აქლემი ეყიდა, ფული მერე მომეციო. წმინდა ალის იმ კაცმა აქლემი ას ორმოც დირჰემად მიჰყიდა, ცხოველი სახლის კარებზე მიაბა და წავიდა. აქედან დიდი დრო არ იყო გასული, სხვა კაცი მოვიდა და აქლემი ორას დირჰემად იყიდა. ფული მაშინვე გადაიხადა და წავიდა.

წმინდა ალიმ ას ორმოცი დირჰემი იმ კაცს გადუხადა, ვისგანაც აქლემი იყიდა, დარჩენილი სამოცი დირჰემი წმინდა ფატიმას გადასცა და ასე უთხრა:

مَنْ جَاءَ بِالْحَسَنَةِ فَلَهُ عَشْرُ أَمْثَالِهَا

„ეს ის შენაპირებია, რომელსაც ალლაჰი შუამავლის მეშვეობით შეგვპირდა: **„ვინც მის წინაშე წარსდგება სიკეთით, იგი მისთვისვე გაათმაგდება!“** (სურა ენამი, აიათი 160) ჩვენ ის ექვსი დირჰემი გავეციით. ღმერთმა კი სამაგიერო ათმაგად გადაგვიხადა.“ (ჰაიათუს საჰაბე)

კვლავ უდიდესი ღმერთის ნაბრძანები:

هَلْ جَزَاءُ الْإِحْسَانِ إِلَّا الْإِحْسَانُ

„სიკეთის სამაგიერო, მხოლოდ სიკეთე არ არის?“ (სურა რაჰმანი, აიათი 60)

ამ განცხადების მიხედვით, ზექათი და მოწყალების გაცემა ადამიანს წყალობის კარებს უღებს, ბოროტების კარებს კი უკეტავს.

იმ პერიოდში როცა სტამბოლში სრული ანარქია სუფევდა, ქვემოთ მოყვანილი შემთხვევა ამ ჭეშმარიტების აშკარა მაგალითია.

ხუთი-ექვსი მარადიორი ერთ მარკეტში შევიდა და დუქნის პატრონს მოსთხოვა მიეცა ყველაფერი, რაც სალაროში იყო. საცოდავ კაცს სხვა რა გზა ჰქონდა და გასაღები აიღო, ამ დროს ის იმ მარადიორმა შენიშნა, რომელიც კარებს მეთვალყურეობდა. თავისი ადგილი მიატოვა და სასწრაფოდ შიგნით შევიდა. დუქნის მოხუცი მეპატრონე დაიცვა. იარაღი მის ამხანაგებს მიუშვირა და დაუყვირა:

„აქედან ერთ ცენტსაც არ წავიღებთ, ისე წავალთ!“

მოვლენის ასეთი განვითარებით გაოცებულმა ამხანაგებმა უთხრეს:

„ღმერთო ჩვენო! აქამდე რამდენი დუქანი დავაყაჩაღეთ, არაფერი გითქვამს, უცებ რა მოგივიდა?! ჩამოგვეცალე, საქმეს გავაგრძელებთ!“

მაგრამ მეორე მხარეს გადასული მარადიორი თან მორცხვად, თან მტკიცედ ამხანაგებს ებრკოლებოდა და ეუბნებოდა:

„არა! აქედან ერთ ნემსსაც კი არ წავიღებთ! ფრთხილად, არ გაჯიუტდეთ. იცოდეთ, რომ ამ დუქნიდან სარგებელი რომ ნახოთ, ჩემს გვამზე გადაბიჯება მოგიწევთ! იცით ეს მოხუცი ძია ვინ არის? მაშინ, როცა მე წლების განმავლობაში კაზინოებსა და კაფე-ბარებში ვატარებდი დროს, ოჯახი და შვილები კი უპატრონოდ მყავდა მიტოვებული, ამ ღირსეულმა, არაჩვეულებრივმა

კაცმა მათ მოწყალების ხელი გაუწოდა, ჩემი შვილები გაზარდა, ასწავლა, მათ მამობა გაუწია.“

ამის შემდეგ ამხანაგებმა მოხუცს ქედი მოუხარეს, ბოდიში მოუხადეს და იქაურობას გაეცალნენ. (გადმოცემულია ცხონებული თიმურთაშ უჩარ ეფენდისგან)

ეს შემთხვევა მშვენიერი მაგალითია იმისა, თუ ალლაჰისთვის გაცემულ წყალობას ამქვეყნად როგორი სარგებელი შეიძლება მოჰყვეს, „ცოტა მოწყალების გაცემა დიდ უბედურებას აგაცილებს.“

ღარიბებისა და უპოვართათვის დახმარების გაწევის, მათი დამშვიდების ყველაზე კარგი მაგალითები, უეჭველია, რომ წმინდა შუამავლის ﷺ სამაგალითო ცხოვრებაშია მოცემული.

მას სურდა, გულუხვობა მუსლიმანისთვის ბუნებრივი ხასიათი ყოფილიყო. ის ბრძანებდა:

„(მოწყალების) გამცემი ხელი ამღებ ხელზე მაღლა დგას.“ (ბუჰარი, ზექათი, 18)

„მხოლოდ ორი ადამიანის უნდა შეგშურდეს. ერთი ადამიანის, რომელსაც ალლაჰი ქონებას მისცემს და ის მას ღმერთის გზაზე დახარჯავს; მეორე, იმ ადამიანის, ალლაჰი რომ ცოდნას მისცემს, ის ამ ცოდნით იმოქმედებს და მას სხვებსაც შეასწავლის (ესე იგი, ცოდნას სხვებს გადასცემს).“ (ბუჰარი და მუსლიმი, 37)

ამ განცხადებით ის ადამიანებს მოწყალების გაცემისკენ მოუწოდებს, მეორე მხრივ კი ამბობს:

„ღმერთო ჩემო! მე ღარიბად მაცხოვრე, ღარიბად გამომკვეხე, განკითხვის დღეს ღარიბებთან მიმიყვანე!“ (თირმიზი, ზუჰდი, 37)

ამგვარი ვედრება წარმოთქვა და ამით წმინდა მუჰამმედ შუამავალმა ﷺ თავისი ადგილსამყოფელის ერთ კუთხეში უბედურ, ღარიბ და უძლურ ადამიანებს თავშესაფარი მიუჩინა. ისე როგორც ღარიბებს, „ჩარდახის მკვიდრებად“ (ასჰაბი სუფა) წოდებულ ადამიანებსაც უკიდურესად ახლო გაეცნო, ცდილობდა მათი ყველა დარდის წამლად ქცეულიყო და თავისი სამაგალითო ცხოვრებით ყველაზე ლამაზად დაემშვიდებინა.

წმინდა ჰადისში ნაბრძანებია:

„ღარიბები, რომლებიც ალლაჰს სიმდიდრისთვის ანგარიშს არ ჩააბარებენ, სამოთხეში მდიდრებთან შედარებით ორმოცი წლით ადრე შევლენ.“ (თირმიზი, ქითაბუ ზუჰდ)

„მდიდრები უფრო ღარიბები არიან.“ (ბუჰარი, ქითაბუ რიქაქ, ბაბულ მუიქსირინი)

ქველმოქმედებსა და ღვთისმოშიშებს მუდამ შთააგონებდნენ, რომ ჭეშმარიტი ღირსებისა და დიდების საზომი სიმდიდრე არ არის, ხოლო ღარიბებს, რომელებიც მოწყალების გაცემის საშუალებას მოკლებული არიან, ეუბნებიან:

„სხვისთვის მისაცემი თუ არაფერი გაქვთ, მაშინ კეთილად მოექცევით და ტკბილ სიტყვებს ეტყვით, ესეც ერთგვარი მოწყალებაა.“ (ბუჰარი, ედები, 33). ამგვარად, მათ ამცნო, რომ მოწყალება უნდა გასცე იმ ფორ-

მით როგორც შეგიძლია და გული გაუხალისა.

ეს ნაბრძანები არც სიმდიდრის მხარდაჭერაა და არც სიღარიბის. იმის გამოხატულებაა, რომ ორივე მხარეს თავისი დადებითი მხარეები აქვს და აუცილებელია მათ შესაბამისად იმოქმედო. მნიშვნელოვანია, ყველა ადამიანმა ღმერთის კმაყოფილება მასში არსებული ძალის შეასაბამისად მოიპოვოს. ესე იგი, ადამიანი თუ ცხოვრობს ისე, რომ ღმერთი მისგან კმაყოფილია, არც სიმდიდრეა ცუდი და არც სიღარიბე.

❀

ზექათისა და მოწყალების გაცემის ერთი საიდუმლო ის არის, რომ პიროვნების კაპიტალი ანომალურად არ გაიზარდოს და ამგვარად მან ეს სიმდიდრე სუსტი ფენის მიმართ ბოროტად არ გამოიყენოს ან მათ არ გაუჩინოს შურის გრძნობა. ვინაიდან, სიმდიდრე ქებისა და განდიდების საშუალება რომ ყოფილიყო, მდიდრისთვის სამწუხარო რეზულტატი ექნებოდა. ასე რომ, საზოგადოებაში ორივე მხარე – დამხმარეც და ის ვისაც ეხმარებიან, – მორალურად და მატერიალურად ერთმანეთზე დამოკიდებული არიან. ეს კი ღვთიური კანონზომიერების, სიბრძნის და საოცრების გამოხატულებაა.

უნდა ვიცოდეთ, რომ ქონება ალლაჰის საკუთრებაა. ადამიანების ქონება დღეს ახალად შექმნილი მამულის მსგავსია.

ყურანში ნაბრძანებია:

يَاأَيُّهَا النَّاسُ أَنْتُمُ الْفُقَرَاءُ إِلَى اللَّهِ وَاللَّهُ هُوَ الْغَنِيُّ الْحَمِيدُ

„ეი, ადამიანებო! თქვენ ხართ გაჭირვებული ალლაჰთან მიმართებაში! ალლაჰი კი მდიდარი და მადლიერების ღირსია.“ (სურა ფათირი, აიათი 15)

როგორც აიათშია მოცემული, ქონება არც ერთ პიროვნებას ეკუთვნის და არც საზოგადოებას, ის ალლაჰის საკუთრებაა. უდიდესი ღმერთის მამულში ვცხოვრობთ, მისი სარჩოთი ვართ ბედნიერი. პიროვნებებისთვის დროებით მფლობელობაში. მხოლოდ მცირე ნაწილი გარკვეული დროის განმავლობაში მიცემულია.

აქედან გამომდინარე, ფული, ადგილ-მამული და ქონება ყველაზე დიდი საგამოცდო კაპიტალია. დადგა მომენტი, რომ წმინდა სულეიმანს ყველა ენის ფლობა ერთ წამში წაერთვა და მხოლოდ მას შემდეგ დაუბრუნდა, რაც ღმერთმა ცოდვები მიუტევა. ამ შემთხვევის შესახებ ალლაჰის ერთი წმინდანი ბრძანებს:

„სიმდიდრე კი არა, მისი მომცემი ეძიე!“

სიმდიდრე ადამიანზე მიბარებული ანაბარია. გამართლებული არ არის, ის ადამიანმა თავისი სურვილისამებრ გამოიყენოს. მან ის უნდა გამოიყენოს ისე, როგორც მისმა ნამდვილმა პატრონმა უბრძანა. თუკი სიმდიდრე ღმერთის ბრძანებების საწინააღმდეგოდ იქნება გამოყენებული, ადამიანი მრისხანე, ამაყი, მჩაგვრელი და უსამართლო იქნება. ამგვარი ადამიანების გულში ადგილს ქონების სიყვარული დაიჭერს. უდიდესი ღმერთის ამქვეყნიურ წყალობებში მხოლოდ

ქონებისა და შვილებისთვის „ინტრიგნულად“ ხსენება წარმოადგენს იმის საფრთხეს, რომ ამ ორმა უკანასკნელმა მათ გულში როგორც კერპებმა დაიბუდა. ამ უბედურებაში ჩავარდნილებზე უდიდესი ღმერთი ბრძანებს:

وَالَّذِينَ يَكْنِزُونَ الذَّهَبَ وَالْفِضَّةَ وَلَا يُنْفِقُونَهَا فِي سَبِيلِ اللَّهِ
فَبَشِّرْهُمْ بِعَذَابٍ أَلِيمٍ

„...უმახარობლე (ი)**მათ წამება მწარე, რომელნიც** (მხოლოდ) **აგროვებენ ოქროს და ვერცხლს, ხოლო ალლაჰის გზაზე არ ხარჯავენ.“** (სურა თევბე, აიათი 34)

يَوْمَ يُحْمَى عَلَيْهَا فِي نَارِ جَهَنَّمَ فَتُكْوَى بِهَا جِبَاهُهُمْ وَجُنُوبُهُمْ
وَظُهُورُهُمْ هَذَا مَا كَنَزْتُمْ لِأَنْفُسِكُمْ فَذُوقُوا مَا كُنْتُمْ تَكْنِزُونَ

„იმ დღეს, როცა გაშანთებული იქნება ჯოჯოხეთის ცეცხლში (ზედა)**პირნი იმათი** (ოქრო-ვერცხლისა) **და დაიდა**(მ)**ღება იმათით მათივე შუბლნი, მათივე გვერდები და მათივე ზურგნი.– „აი, ესაა, რაც თქვენ მოიგროვეთ საკუთარი თავისთვის! მაშ, იგემეთ, რასაც იგროვებდით!“** (სურა თევბე, აიათი 35)

ალლაჰის შუამავალი ﷺ სხვა წმინდა ჰადისში ასე ბრძანებს:

„ყოველ დილას დედამიწაზე ორი ანგელოზი ჩამოდის. ერთი ევედრება:

„ჩემო ალლაჰო! ქონების ღმერთის გზაზე დამხარჯავს შთამომავლობა (ახალი მოწყალების გამცემი) უწყალობე! “

მეორე წყევლის:

„ჩემო ალლაჰო! ძუნწსაც თავისი ქონება გაუნადგურე!“ (მუსლიმი, ზექათი)

ერთ სხვა წმინდა ჰადისში წმინდა შუამავალი ﷺ ბრძანებს:

„გულუხვობა, სამოთხის ხეთაგან ისაა, რომელსაც ტოტები ამქვეყნად აქვს გამოწვდილი. ვინც იმ ტოტებისგან ერთს ჩაეჭიდება, ის მას სამოთხეში წაიყვანს. ძუნწობა კი იმ ხის ტოტია, რომელიც ჯოჯოხეთში დგას და ტოტები ამ ქვეყნად აქვს გამოწვდილი. ვინც ამ ტოტს ჩაეჭიდება, ის მას ცეცხლში (ჯოჯოხეთში) წაიყვანს!“ (ბეიჰაქი, შუაბულ-იმანი, VII, 435)

მაშინ როცა ზექათის, მოწყალების, ოშურის (გადმხდელებს) და შესაწირის მსგავს ქონებრივი ღვთისმსახურებების შემსრულებლებს უმახარობლა, ძუნწი ადამიანები გააფრთხილა და უთხრა მათზე რასაც ფიქრობდა.

ესე იგი, აიათებისა და ჰადისების მიხედვით, მაშინ როცა მიითვისებ მათ ქონებას, ვისაც ის ესაჭიროება მხოლოდ იმიტომ,რომ ქონებაზე ხარ შეყვარებული,სამწუხარო შედეგს მიიღებ. ამ ღვთიურ გაფრთხილებაზე კარგად უნდა დავფიქრდეთ და ზექათზე დამატებით მოწყალება და შესაწირი უნდა გავცეთ. უნდა გავცეთ ერთი მეორმოცედი და თან უნდა ვეცადოთ, რომ ამას

გადავაჭარბოთ. უდიდესი ღმერთი ამ საკითხის შესახებ ბრძანებს:

وَيَسْأَلُونَكَ مَاذَا يُنْفِقُونَ قُلِ الْعَفْوَ

„...და შენ გეკითხებიან: რა იმწყალობონ? უთხარი: საჭიროზე ზედმეტი.“ (სურა ბაყარა, აიათი 219)

იმის გამო, რომ შუამავლის თანამიმდევრები მუდამ მობილიზებულნი იყვნენ, თებუქის ლაშქრობის დროს წმინდა ომარმა თავისი ქონების ნახევარი მოიტანა. წმინდა აბუ ბაქრმა კი მთელი თავისი ქონება შესწირა. როცა წმინდა შუამავალმა ﷺ ჰკითხა:

„აბუ ბაქრ, წვრილშვილს რა დაუტოვე?“

„ალლაჰი და მისი შუამავალიო,“ – უპასუხა

ძალიან საოცარია ეს შემთხვევა, რომელიც ერთი შარიათის მცოდნესა და შეიხ შიბლის შორის მოხდა.

მუსლიმანური სამართლის ერთმა მცოდნემ წმინდა შიბლის გამოცდის მიზნით ჰკითხა: ზექათის გადხდის დროს ქონების რამდენი პროცენტის მიცემაა საჭირო. წმინდა შიბლიმ კითხვითვე უპასუხა:

„ამის პასუხი მუსლიმანური სამართლის, გსურს თუ ღარიბების დოქტრინის მიხედვით გსურს?“

შარიათის მცოდნემ უთხრა:

„ორივეს მიხედვით იყოს.“

შიბლიმ შემდეგი პასუხი გასცა:

„მუსლიმანური სამართლის დოქტრინის მიხედვით, ორას დირჰემზე ერთი წლის გასვლის შემდეგ მისი ერთი მეორმოცედის შესაბამისი ხუთი დირჰემი უნდა გავსცეთ. ღარიბების დოქტრინის მიხედვით კი – ორასივე დირჰემი მაშინვე უნდა გავსცეთ და თან ღმერთს მადლობა შევსწიროთ.“

შარიათის მცოდნემ თქვა:

„ჩვენ ეს დოქტრინა მორწმუნე ადამიანებისგან ვისწავლეთ.“

შიბლიმ პასუხად უთხრა:

„ჩვენც ეს დოქტრინა წმინდა აბუ ბაქრისგან ვისწავლეთ. მას რაც გააჩნდა, ყველაფერი წმინდა მუჰამმედ შუამავლის წინ დააწყო. ამას გარდა, „გადავრჩიო“ – თქვა და ღმერთს მადლობა შესწირა. გარდა ამისა, შუამავალს თავისი საყვარელი ქალიშვილი ცოლად მიათხოვა.“ (მექთუმი, 34, უჩუნჯუ იყზილ)

თავისი თანამიმდევრებისთვის ალლაჰის გამო გაცემული მოწყალების მოყვარული სულის ყველაზე ნათელი მაგალითი თვით წმინდა შუამავალი ﷺ იყო.

აიშე გადმოგვცემს:

წმინდა შუამავლის ﷺ ოჯახმა ცხვარი დაკლა. წმინდა შუამავალმა უცებ იკითხა:

„მისგან რამე დარჩა?“

„მხოლოდ ერთი ბეჭი დარჩა.“

ამაზედ ალლაჰის შუამავალმა ბრძანა:

„უნდა გეთქვა, ერთი ბეჭის გარდა, ყველა ჩვენი გახდა.“ (თირმიზი, სივათულ-ქიამე, 35)

იმ წმინდა ადამიანს ღამე სახლში რამდენიმე ოქრო და ვერცხლი რომ ეპოვა, ვერ მოისვენებდა, სანამ მათ მოწყალებად არ გასცემდა, მაგრამ ეს ყველა მუსლიმანისთვის სავალდებულოდ არ დაუწესებია. მისი თანამიმდევრები თავიანთ გულისხმას უსმენდნენ და მოწყალებას ისე გასცემდნენ. მაშინ როცა წმინდა აბუ ბაქრმა მთელი თავისი ქონება ალლაჰის გზაზე შესწირა, მეორე თანამიმდევარმა უთხრა:

„ქონების ერთი ნაწილი შენთვის შეინახე, შენთვის ამგვარად იქნება უკეთესი.“ (რ. მ. სამი, თაბუქ სეფერი, 66)

მოკლედ, ისლამმა იმასთან ერთად, რომ სავალდებულოდ დააწესა ზექათის განსაზღვრული რაოდენობით გაცემა, ამასთანავე შეძლებულ ადამიანებს თავისი შეძლების და სურვილის მიხედვით მოწყალების გაცემის უფლებაც მიანიჭა. აბუ ზერი ამ საზომის მიხედვით იქცეოდა და მოგებული ფულის იმ დღესვე დაუხარჯველობასა და მეორე დღისთვის გადადებას ჰარამად თვლიდა. აბდურრაჰმან იბნ ავფი კი თვითონ მშიერი რჩებოდა და სხვებს აძღობდა. თავისთავს მდგომარეობას ურთულებდა იმისათვის, რომ მუსლიმანებისთვის გაეადვილებინა. ვინაიდან, ისინი იყვნენ ადამიანები, რომელთაც გული ჰქონდათ შემკული იმ გრძნობითა და შეგნებით, რომ ისინი სიმდიდრის მეანაბრეები არიან.

მარადიული ხსნის მოსურნე სიმდიდრის პატრონმა უნდა იცოდეს, რომ საკუთარ თავს ერთი დღის

მანძილზეც კი ამ ყველაფრის ბატონ-პატრონად თუ ჩათვლის, ალლაჰის მხრიდან განისჯება. აიათში ნაბრძანებია:

ثُمَّ لَتُسْأَلُنَّ يَوْمَئِذٍ عَنِ النَّعِيمِ

„შემდეგ, იმ დღეს (განკითხვის დღეს) **სიკეთეების გამო, აუცილებლად განისჯებით!“** (სურა თექასური, აიათი 8)

ეს ჭეშმარიტება გამჭრიახი ჭკუის პატრონმა არასდროს არ უნდა დაივიწყოს.

„ჰალალს – ანგარიში, ჰარამს კი სასჯელი აქვს.“

ამის გამო, მდიდრები, რომლებიც ამქვეყნიური სურვილების ტყვედ არიან ნაქცევი და მოწყალებას არ გასცემენ, ჰგვანან იმ მუშებს, რომელნიც აბანოს ღუმელისთვის დასაწვავ შეშას ეზიდებიან.

მუშაობა, ჰალალი გზით ქონების მოპოვება, რა თქმა უნდა, ღირსებაა. სწორი გზაა, რომ ქონება არ გააკერპო და ღმერთის გზაზე მოწყალებად გასცე. წინააღმდეგ შემთხვევაში, სიმდიდრე ამქვეყნად მტვირთავად ქცევის, იმქვეყნად კი ტანჯვის მიზეზი იქნება.

სიმდიდრის სწორი მიზანია ქვემოთ მოცემული ჰადისის ჭეშმარიტების გაგებაა: *„ადამიანებისგან ყველაზე კეთილი არის ის, ვინც (მათ შორის) ადამიანებისთვის ყველაზე სასარგებლოა!“* (თაბერანი, მეჯმაულ-ევსათ, VI, 58)

მართლაც, ფულის ადგილი გულში კი არა საფულეშია!..

უნდა ვიცოდეთ, რომ ღარიბებისა და უპოვართა ვედრებები შეძლებულთათვის სიმშვიდის წყარო და მორალური დახმარებაა. კვლავაც უნდა ვიცოდეთ, რომ სიღარიბე და გაჭირვება სირცხვილი და უსუსურობა არ არის, შეიძლება ის იყოს წყალობა, რომელიც საიქიოს გაგვინათებს.

ღვთის მადლიერი თუ გულუხვი მდიდრები, მომთმენი თუ პატივსაცემი ღარიბები ერთნაირად ღირსეულნი არიან და ღვთიურ კმაყოფილებასაც ერთად მოიპოვებენ. ისლამის მიხედვით, ამაყი და ძუნწი მდიდრები და ამის შესაბამისი პირფერი ღარიბები ერთად განისჯებიან. წმინდა შუამავალი ბრძანებს:

„ღმერთო ჩემო! სიღარიბისა და სიმდიდრის ინტრიგებისგან შენ გეფარები!“ (მუსლიმი, ზიქრი, 49)

ამ შემთხვევაში ჭეშმარიტად მდიდარია ის, ვისშიც გამარჯვებულია რაც აქვს იმით კმაყოფილება, ღმერთის იმედად ყოფნა და მორჩილება.

ამისთვის ყოველი ადამიანი, ვისაც სურს ჰქონდეს ღმერთისათვის მისაღები მორალი და დაიმსახუროს ღვთის წყალობა, ვალდებულია ის სიკეთე, რომელიც მას ამ ქვეყნად ეწყალობა და რომლისგანაც სარგებელს ნახულობს, გაჭირვებულებსაც ასარგებლოს. მიზანი კი ისაა, რომ იყო ნამდვილი მოწყალე, ადამიანებს ხელითა და ენით სარგებელი მოუტანო და ამით შეძლო ალლაჰის კმაყოფილების მოპოვება.

ზექათი ქონებისა და სიმდიდრისთვის ალლაჰის წინაშე მადლიერების გამოხატვაა. იმისთვის კი, ღმერთმა

შეპირებული მოწყალება რომ გაგიზარდოს, მადლობის გადახდა აუცილებლობაა.

უდიდესი ალლაჰი ბრძანებს:

وَإِذْ تَأَذَّنَ رَبُّكُمْ لَئِنْ شَكَرْتُمْ لَأَزِيدَنَّكُمْ وَلَئِنْ كَفَرْتُمْ إِنَّ عَذَابِي لَشَدِيدٌ

„და (ისიც გაიხსენეთ), **როდესაც თქვენმან ღმერთმან გაცნობათ: „თუკი** (ალლაჰის მიმართ) **მადლიერნი იქნებით, უთუოდ გაგიმრავალრიცხოვნებ თქვენ** (ჩემს სიკეთე-წყალობას), **ხოლო, თუკი** (სიკეთისადმი) **უმადურნი იქნებით, უეჭველად, ჩემი სასჯელი საშინელია!“** (სურა იბრაჰიმი, აიათი 7)

წმინდა შუამავალს ﷺ მოწყალების გაცემა ძალიან უყვარდა. ერთ წმინდა ჰადისში ბრძანებს:

„მოწყალება გაეცი, ადამიანო, რათა შენც გეწყალობოს!“ (ბუჰარი და მუსლიმი)

საბრალონი არიან ის ადამიანები, რომელნიც ნაცვლად იმისა, რომ თავიანთ შეცდომებს მიხვდნენ და მიტევება ითხოვონ, იმის გამო, რომ გული ჩაშავებული აქვთ, ღმერთის საზომებს დაივიწყებენ „მე ვიმუშავე, მე მოვიპოვეო“ იფიქრებენ და ღარიბებს როგორც არარაობებს ისე მოექცევიან. მათი განადგურება გარდაუვალია, ისინი ისევე განადგურდებიან, როგორც უბედური ქარუნი.

თავდაპირველად ღარიბი და ღვთისმოშიში ქარუ-

ნი, წმინდა მუსას ნასწავლები ალქიმიის მეცნიერების შედეგად ძალიან გამდიდრდა. მაგრამ იმის გამო, რომ ამქვეყნიური ვნებებისა და სიძუნწისაგან თავი ვერ დაიცვა, ყველა ლამაზი და კეთილი თვისებები დაკარგა. უკიდურესმა სიმდიდრემ გააამაყა და ყურანში მოხსენიებულ მრისხანეთაგანი გახდა. უდიდესი ალლაჰი ბრძანებს:

إِنَّ قَارُونَ كَانَ مِنْ قَوْمِ مُوسَى فَبَغَى عَلَيْهِمْ وَءَاتَيْنَاهُ مِنَ الْكُنُوزِ مَا إِنَّ مَفَاتِحَهُ لَتَنُوءُ بِالْعُصْبَةِ أُولِي الْقُوَّةِ إِذْ قَالَ لَهُ قَوْمُهُ لَا تَفْرَحْ إِنَّ اللَّهَ لَا يُحِبُّ الْفَرِحِينَ

„უეჭველად, ქარუნი მუსას ტომიდან იყო, მათ წინაშე გაშმაგდა. მას ჩვენ ისეთი ხაზინები ვუბოძეთ, გასაღებებს ძლიერი საზოგადოება ძლივს დაატარებდა. ტომმა მას ასე უთხრა: ნუ გაამაყდები! უეჭველად, ალლაჰს ამაყნი არ უყვარს.“ (სურა ქასასი, აიათი 76)

ყარუნი აღარც ამ სიტყვებს ისმენდა და აღარც მუსას რჩევებს უგდებდა ყურს. მიუხედავად იმისა, რომ თავისი სიმდიდრით ნაწილობრივ მუსას მოვალე იყო, როცა წმინდა მუსამ უთხრა ქონების ზექათი გაეცა, უპასუხა:

„ჩემს ქონებას თვალი დაადგი? ეს ქონება მე მოვიპოვე!“

ეს ამბავი ყურანში ასეა გადმოცემული:

وَابْتَغِ فِيمَا ءَاتَاكَ اللَّهُ الدَّارَ الْآخِرَةَ وَلَا تَنْسَ نَصِيبَكَ مِنَ الدُّنْيَا
وَأَحْسِنْ كَمَا أَحْسَنَ اللَّهُ إِلَيْكَ وَلَا تَبْغِ الْفَسَادَ فِي الْأَرْضِ إِنَّ اللَّهَ لا
يُحِبُّ الْمُفْسِدِينَ
قَالَ إِنَّمَا أُوتِيتُهُ عَلَى عِلْمٍ عِنْدِي أَوَلَمْ يَعْلَمْ أَنَّ اللَّهَ قَدْ أَهْلَكَ مِنْ
قَبْلِهِ مِنَ الْقُرُونِ مَنْ هُوَ أَشَدُّ مِنْهُ قُوَّةً وَأَكْثَرُ جَمْعًا وَلَا يُسْأَلُ عَنْ
ذُنُوبِهِمُ الْمُجْرِمُونَ
فَخَرَجَ عَلَى قَوْمِهِ فِي زِينَتِهِ قَالَ الَّذِينَ يُرِيدُونَ الْحَيَاةَ الدُّنْيَا يَالَيْتَ
لَنَا مِثْلَ مَا أُوتِيَ قَارُونُ إِنَّهُ لَذُو حَظٍّ عَظِيمٍ
وَقَالَ الَّذِينَ أُوتُوا الْعِلْمَ وَيْلَكُمْ ثَوَابُ اللَّهِ خَيْرٌ لِمَنْ ءَامَنَ وَعَمِلَ
صَالِحًا وَلَا يُلَقَّاهَا إِلَّا الصَّابِرُونَ
فَخَسَفْنَا بِهِ وَبِدَارِهِ الْأَرْضَ فَمَا كَانَ لَهُ مِنْ فِئَةٍ يَنْصُرُونَهُ مِنْ دُونِ
اللَّهِ وَمَا كَانَ مِنَ الْمُنْتَصِرِينَ
وَأَصْبَحَ الَّذِينَ تَمَنَّوْا مَكَانَهُ بِالْأَمْسِ يَقُولُونَ وَيْكَأَنَّ اللَّهَ يَبْسُطُ
الرِّزْقَ لِمَنْ يَشَاءُ مِنْ عِبَادِهِ وَيَقْدِرُ لَوْلَا أَنْ مَنَّ اللَّهُ عَلَيْنَا لَخَسَفَ بِنَا
وَيْكَأَنَّهُ لَا يُفْلِحُ الْكَافِرُونَ

„ალლაჰის მიერ შენზე ბოძებულში საიქიო სამყოფელი ეძიე; და ამქვეყნადაც შენი ხვედრი არ დაივიწყო! ისე როგორც ალლაჰმა შენ გიწყალობა, შენც სიკეთე აკეთე! დედამიწაზე უკეთურება არ ისურვო! უეჭველად, ალლაჰს უკეთურნი არ უყვარს.

(ყარუნმა) თქვა: „ის (სიმდიდრე) მე მხოლოდ ჩემი ცოდნის წყალობით მებოძა.“ განა, არ იცოდა, რომ ალლაჰმა წინა თაობათაგან ისეთებიც გაანადგურა, რომლებიც მასზე უფრო ძლიერი იყვნენ და მასზე უფრო მეტი მომხრე ჰყავდათ. ცოდვილებს ცოდვებზე არ ეკითხებიან (ვინაიდან ალლაჰმა ყოველივე ეს იცის).

ფუფუნებაში ჩაძირული ყარუნი ტომის წინაშე გამოვიდა. ამქვეყნიური ცხოვრების მსურველებმა თქვეს: „ნეტა ყარუნისთვის ბოძებულის მსგავსი ჩვენც გვბოძებოდა; ის მართლაც დიდი დოვლათის მქონეა!“

მაშინ ცოდნაბოძებულებმა თქვეს: „ვაი, თქვენ! მორწმუნე და კეთილი საქმის მკეთებალთათვის ალლაჰის ჯილდო უფრო ხეირიანია. მას მხოლოდ მომთმენები მოიპოვებენ.“

ჩვენ მიწასთან გავასწორეთ ისიც და მისი სასახლეც. ის, როგორც ალლაჰის წინაშე დამხმარის არ მყოლი, დაცულ-(და)ხსნილთაგანიც არ ყოფილა.

ჯერ კიდევ გუშინ მის ადგილას ყოფნის მსურველები, ამბობენ: „ე.ი ალლაჰი, სურვილისამებრ მონა-მსახურთაგან ვის ბევრ სარჩოს აძლევს, ვის ცოტას! რომ არა ალლაჰის ჩვენდამი წყალობა, ჩვენც მიწასთან გაგვასწორებდა. ე.ი! უეჭველად, ურწმუნონი ვერ გადარჩებიან!“ (სურა ყასასი, აიათები 77-82)

ყარუნი ახლა საიქიოში მათხოვარია, ვინაიდან, საიქიო სიცოცხლის მანძილზე გულწრფელობითა და მოკრძალებით მცხოვრები, ღვთისმოშიში ადამიანების სამშობლოა.

تِلْكَ الدَّارُ الْآخِرَةُ نَجْعَلُهَا لِلَّذِينَ لَا يُرِيدُونَ عُلُوًّا فِي الْأَرْضِ وَلَا فَسَادًا وَالْعَاقِبَةُ لِلْمُتَّقِينَ

„აი, საიქიო სამყოფელი! ჩვენ მას ვუბოძებთ მათ, ვინც დედამიწაზე არ ყოყოჩობს და უკეთურება არ სურს. (ყველაზე კარგი) **დასასრული ღვთისმოშიშთათვისაა.“** (სურა ყასასი, აიათი 83)

წმინდა მევლანა ამქვეყნიურობით შეპყრობილი და საიქიოში გაკოტრებულად წასული ადამიანების მდგომარეობით, გაოცებული ბრძანებს:

„ადამიანს რა მოსდის, რომ ოქროს, ამქვეყნიური ქონების მონაა? რა არის, რომ მას ღმერთის გზაზე არ ხარჯავს? რას გამოხატავს? ადამიანის ამქვეყნიური ქონების ტყვედ ქცევის, წუთისოფლის კარებთან გველის მსგავსად დაკლაკვნის და მიწაზე გართხმის, შერცხვენის, ცაში ხელცარიელი, უბედურად გაგზავნის მიზეზი რა არის?“

ქონების ტყვედ ქცეული ყარუნის ამბავი და მისი მსგავსი სულიერად გაღატაკებული სალებეს მდგომარეობაც ძალიან დამაფიქრებელია.

ერთი მედინელი მუსლიმი, სახელად სალებე, ფულსა და ქონებაზე უსაზღვროდ შეყვარებული იყო, სიმდიდ-

რის ჟინი სწვავდა. ამის გამო ალლაჰის შუამავალს ﷺ სთხოვა ღმერთს შევედრებოდა. მის ამ თხოვნაზე ალლაჰის შუამავალმა შემდეგი პასუხი გასცა:

„ცოტა ქონება, რომლისთვისაც ღმერთს მადლობას გადაუხდი, უფრო სასარგებლოა, ვიდრე ბევრი, რისთვისაც მადლობას არ გადაუხდი.“

ამის შემდეგ სალებემ თხოვნას თავი დაანება და გაბრუნდა, მაგრამ ჟინმა არ გაუარა, კვლავ ალლაჰის შუამავალთან ﷺ მივიდა და სთხოვა:

„ალლაჰის შუმავალო, ღმერთს შევევედრე, რომ გამამდიდროს!“ ამაზე ალლაჰის შუამავალმა უთხრა:

„მე შენთვის საკმარისი მაგალითი არ ვარ? ვფიცავ ალლაჰს, რომ მომენდომებინა, ეს მთები ოქროდ და ვერცხლად იქცეოდა და ჩემს ზურგს უკან ჩამოედინებოდა, მაგრამ მე ღარიბად დავრჩი.“

სალებემ თხოვნა კვლავ შეწყვიტა, მაგრამ მასში გაჩენილი სურვილი არაფრით ცხრებოდა. თავისთვის ამბობდა: „მდიდარი რომ გავხდე, ღარიბ-ღატაკებს დავეხმარებოდი, უფრო მეტ ჯილდოს მოვიპოვებდი. ამ დიდი სურვილით შეპყრობილი, ვნების ცეცხლით ანთებული წმინდა შუამავალთან ﷺ მესამედ მივიდა და უთხრა:

„შენს შუამავლად მომვლენელს ვფიცავ, თუკი გამამდიდრებ, ღარიბ-ღატაკებს დავიცავ, მათ ყველა შელახულ უფლებას აღვუდგენ!“

საბოლოოდ, ამდენი დაჟინების შემდეგ ალლაჰის

შუამავალმა ﷺ ღმერთს შეევედრა:

„ღმერთო ჩემო! სალებეს მიეცი ყველაფერი ამქვეყნიური, რისი სურვილიც აქვს!“

ამ ვედრებიდან დიდი დრო არ გასულა, უდიდესმა ალლაჰმა სალებეს დიდი სიმდიდრე უწყალობა. მისი ცხვრის ფარამ მთა და ბარი გაავსო. სალებემ, რომელსაც მანამდე მეჩეთის ჩიტს უწოდებდნენ, თავისი მამულით დაკავდა და ნელ-ნელა *ჯამაათით* ლოცვა შეწყვიტა. მხოლოდ ჯუმა ნამაზს ლოცულობდა. ხოლო რაღაც დროის შემდეგ ჯუმა ნამაზიც დაივიწყა.

ერთ დღეს მისი მდგომარეობის შესახებ ალლაჰის შუამავალმა ﷺ იკითხა და როცა ამბავი გაიგო ბრძანა:

„საცოდავი სალებე!“

სალებეს უგულისყურობა და უვიცობა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლებოდა. მასთან ზექათის შესაგროვებლად მისულ მსახურებს უთხრა:

„ეს თქვენი ნამოქმედარი იგივე ხარკის შეგროვებაა“.

ადრე შეპირებული ღარიბ-ღატაკების დახმარება კი არა, აიათით ნაბრძანები მინიმალურიც არ გადაიხადა, ურწმუნო გახდა.

ამ მდგომარეობის შესახებ აიათში ასეა ნაბრძანები:

وَمِنْهُمْ مَنْ عَاهَدَ اللَّهَ لَئِنْ ءَاتَانَا مِنْ فَضْلِهِ لَنَصَّدَّقَنَّ وَلَنَكُونَنَّ مِنَ

الصَّالِحِينَ

فَلَمَّا ءَاتَاهُمْ مِنْ فَضْلِهِ بَخِلُوا بِهِ وَتَوَلَّوْا وَهُمْ مُعْرِضُونَ

„და მათ შორის არიან ისინი, ვინც პირობა დაუდეს ალლაჰს: „თუკი ჩვენ თავისი სიკეთისგან მოგვმადლებს, უთუოდ გავიღებთ მოწყალებას და უთუოდაც ვიქნებით კეთილ(ის)მქმნელთაგანნი!“

მაგრამ, როცა უბოძა მათ თვისის სიკეთისგან, იძუნწეს და ზურგი (შე)აქციეს. და ისინი არიან ზურგშემაქცევარნი.“ (სურა თევბე, აიათები 75-76)

თავისი სისულელის გამო წმინდა შუამავლის რჩევას ყური არ დაუგდო. სალებე ისე მოიქცა, საცოდავ არარაობად იქცა. ამქვეყნიური, წარმავალი სიმდიდრით მოტყუვდა და მარადიულ ღატაკად იქცა. როცა კვდებოდა, ნანობდა და ყურში შუამავლის ეს სიტყვები ჩაესმოდა:

„ცოტა ქონება, რომლისთვისაც ღმერთს მადლობას გადაუხდი, უფრო სასარგებლოა, ვიდრე ბევრი, რომლისთვისაც მადლობას არ გადაუხდი.“

მაგრამ სალებემ ამ რჩევას ყური არ დაუგდო და წარმავალი სიმდიდრის სიყვარულით შეპყრობილმა, რომელსაც მარადიული ტანჯვა-წამება მოაქვს, განუტევა სული. წამიერი ბედნიერებისა და ცოტაოდენი ქონების სანაცვლოდ მარადიული ბედნიერება გაიღო. (აჰმედ შაჰინი, თარიჰინ შერეფ ლევჰალარი, 27)

როგორც ვხედავთ, ადამიანის ბუნება წუთისოფ-

ლისკენ ილტვის. ამქვეყნიური ქონება სულს აჯადოებს. ის ვინც წუთისოფლით ტყუვდება, ვეღარ ძღება. ალლაჰის შუამავალი ﷺ ამ ჭეშმარიტების შესახებ ბრძანებს:

„ადამიანს ორი ხევი ქონებით რომ ჰქონდეს სავსე, მესამეს მოინდომებს. (ამის გამო) ადამიანის მუცელს მიწის მეტი ვერაფერი გააძღობს“ (ბუჰარი, მუსლიმი)

ვინაიდან, ქონება რომ მრავლდება, ადამიანი ძუნწდება. ადამიანს მატერიალური სიმდიდრე თვალს უბნელებს და წყალობისა და გულჩვილობის გრძნობას უმცირებს. მოწყალების გაცემა უძნელდება. ვნება მას ჩასჩურჩულებს: „უფრო გამდიდრდი, მერე უფრო მეტს გააკეთებო“. ამგვარად, ადამიანი სულიერად და ფიზიკურად ავადდება. იმ ადამიანებზე, ვინც ეს ქვეყანა ვერ შეაფასეს, ნათქვამია:

„ხვალ გავაკეთებ!“ – ისინი განადგურდნენ!“

❀

ზემოთ მოცემული სალებეს ამბავი გიჩვენებს, თუ ამქვეყნიურ სიხარბეს როგორ შეჰყავს ადამიანი შეცდომაში. ამასთან ერთად, შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ ბედზე ზემოქმედებისა და ვედრების წესების უპატივცემულობას როგორი ტრაგიკული დასასრული მოსდევს. წმინდა შუამავალმა ﷺ კარგად იცოდა ღმერთის სურვილი. მიუხედავად ამისა, იმისათვის, რათა სალებეს ამბავი მისი მიმდევრებისთვის მაგალითად ქცეულიყო, სალებეს დაჟინებულ თხოვნაზე ღმერთს შეევედრა. ჩვენი აზრით, მაშინ, როცა უდიდესი ღმერ-

თისგან რაღაცას ვითხოვთ, არ უნდა დავიჟინოთ. იმის ნაცვლად, რომ ჩვენს ჭკუას საჭიროზე მეტად ვენდოთ და განვსაზღვროთ, ეს სიკეთეა თუ ბოროტება, უნდა ვისურვოთ, ჩვენი თხოვნა ღმერთის მხრიდან შესმენილი იქნას. წინააღმდეგ შემთხვევაში, წყალობაში დამალულ ფარულ გამანადგურებლებს ვეღარ ვამჩნევთ და თავს გვატყდება დარდი, რომელსაც გამოსავალი არ მოეძებნება. რელიგიური ჭეშმარიტება, ვედრება, თავად ბედისწერა არ არის, მაგრამ მას ბედისწერის რაღაც ნაწილის შეცვლა შეუძლია. დიდი შეცდომაა იმის განსაზღვრა, ეს ცვლილება სასარგებლოა თუ საზიანო. ვედრება ღმერთის ნებართვა, სიკეთე და ბრძანებაცაა. მაგრამ მისმა შინაარსმა ადამიანის ჭკუა და შეგრძნება რომ შეავსოს, არ უნდა დავიჩემოთ, რომ ეს აუცილებლად სიკეთეა და ალლაჰს უნდა შევევედროთ:

„ღმერთო ჩემო“, თუ სიკეთეა მიწყალობე!“

ყოველივე აქედან ნათლად ჩანს, რომ იმისთვის, რათა ქონება უზარალოდ იქცეს, აუცილებელია ის ღმერთის ბრძანებების შესაბამისად გამოვიყენოთ.

ეს პიროვნებისა და საზოგადოების სააქაო და საიქიო ცხოვრების კეთილდღეობისათვისაა საჭირო.

ზექათი მთვარის წელიწადის მიხედვით, ესე იგი 355 დღეში 2,5 % გაიცემა. მაგრამ დღეს სავაჭრო ორგანიზაციები მზის წელიწადის მიხედვით აკეთებენ ანგარიშს. მზის წელიწადი კი 365 დღეა, ესე იგი ამ ორს შორის ათი დღე სხვაობაა და ზექათზე ამ ათი დღის

დამატებაა საჭირო. ზექათი 2,5% ნაცვლად უნდა გაიცეს დაახლოებით 2,6%.

ზექათის გაცემისას ყურადღება მისაქცევი საკითხია ინფლაცია. დღეს წელიწადში დაახლოებით 100 %-იანი ინფლაციაა. იმისათვის, რომ სხვადასხვა დროს ზექათი გაიცეს იმდენი, რამდენიც სავალდებულოა, აუცილებელია მოხდეს ზექათის თანხის ურყევი ინდექსის დადგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში ზექათის თანხა ერთ მეორმოცედზე ნაკლები გამოვა. გაჭირვებულები მოტყუებული დარჩებიან, ღვთისმსახურება კი არასრულყოფილი დარჩება.

ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ ზექათი გაიცეს მხოლოდ კერძო პიროვნებაზე, ვისაც ის ნამდვილად ესაჭიროება. იურიდილ პირზე ზექათი არ გაიცემა. ამიტომ მეჩეთები, სკოლები, ყურანის კურსები და საავადმყოფოები ზექათით კი არა, შეწირულობებით კეთდება. გაჭირვებულისთვის შეთავაზების გზით საჭმლის ჭმევა ზექათი არ არის, მოწყალებაა, გამომდინარე იქედან, რომ შენ მას ამით ქონების მფლობელად არ აქცევ.

მეორე მხრივ, ყურანში ნათლადაა მოცემული ადგილები, სადაც ზექათის გაცემა შეიძლება, ამაში ბევრი სიბრძნე და სარგებელი დევს. ამან გაჭირვებულ ადამიანებს საშუალება მისცა საკუთარი პატივი და ღირსება შეენარჩუნებინათ და სხვების წინაშე თავი არ დაემცირებინათ, ამასთან თავი აერიდებინათ ისეთი უშრომელი არსებობის გზისთვის, როგორიცაა მათხოვრობა.

ერთ დღეს შუამავლის ﷺ თანამიმდევართაგან ერთი

სოფლელი წმინდა შუამავალთან მივიდა და მოწყალება სთხოვა. წმინდა შუამავალმა ﷺ ამ ადამიანს (შეხედა რომ უძლური არ იყო) ჰკითხა:

„შენ ამქვეყნიური რა მოგეპოვება?“

კაცმა უპასუხა:

„ერთი ტომარა და ერთიც ფინჯანი მაქვს.“

წმინდა შუამავალმა ﷺ ასე ურჩია:

„ამათი ფასით ნაჯახს იყიდი, ტყეში შეშას მოჭრი და ამგვარად იარსებებ.“ (აბუ დავუდი, ქითაბუზ ზექათი)

ის მუსლიმანი ასეც მოიქცა. ალლაჰმა ამ ადამიანს ისეთი ბარაქა უწყალობა, რომ მათხოვრობისგან იხსნა.

იმასთან ერთად, რომ ისლამს გაჭირვებულებისთვის არ აუკრძალავს სხვებისგან რამე ეთხოვათ, არც ზნეობის მხრივ გაუმართლებია. იმ ადამიანებზე, ვინც უსირცხვილოდ თხოვნას არიან მიჩვეული, ყურანში ნაბრძანებია:

وَمِنْهُمْ مَنْ يَلْمِزُكَ فِي الصَّدَقَاتِ فَإِنْ أُعْطُوا مِنْهَا رَضُوا وَإِنْ لَمْ يُعْطَوْا مِنْهَا إِذَا هُمْ يَسْخَطُونَ

„და მათგან არიან (ისეთნი), **ვინც გძრახავენ შენ** (გულ)**მოწყალებაში... და თუ რამ მიეცით მისგან** (საფაყისგან), **კმაყოფილნი დარჩებიან, ხოლო თუ მათგან არა**(ფერი) **მიეცით, ისინი მაშინვე** (გან)**რისხდებიან.“** (სურა თევბე, აიათი 58)

წმინდა შუამავალმა ﷺ მასთან მისულ ზექათის ერთ მთხოვნელს უთხრა:

„უდიდეს ღმერთს ზექათის ქონების თავისი ნებასურვილის მიხედვით განკარგვის უფლება არც ერთი პიროვნებისთვის, თვით შუამავლისთვისაც კი არ მიუცია. მათი გაცემისთვის რვა ადგილია მითითებული. შენ თუ ამ რვისაგან რომელიმეს განეკუთვნები, შეგიძლია ზექათის ქონებისგან წილი მიიღო.“ (ბეიჰაქი, სუნენულ ქუბრა, VII, 6)

ზექათის შესაბამის ადგილებზე გაცემასთან დაკავშირებით სათუთი დამოკიდებულებაა. ვინაიდან, ზექათი მხოლოდ აიათში მოცემულ ადგილებზე უნდა გაიცეს. ზექათის გარდა გაცემულ შეწირულობას „ქველმოქმედება“ ეწოდება და საჩუქრის სახეობას წარმოადგენს. წმინდა შუამავალს ﷺ თუკი ზექათს ისეთი პიროვნება სთხოვდა, ვისაც ის არ ეკუთვნოდა, უარს ეუბნებოდა, მაგრამ სხვა მოწყალების გაცემაზე უარს არასდროს ამბობდა, პირიქით, აიათში ნაბრძანების:

وَأَمَّا السَّائِلَ فَلَا تَنْهَرْ

„მთხოვნელს არ უსაყვედურო!“ (სურა დუჰა, აიათი 10)

მიხედვით მოქმედებდა და ასე ამბობდა:

„თქვენი კარგი მორალი თქვენთან რაიმეს სათხოვნელად მოსულ, ხელგამოწვდილ ადამიანს ერთ ხურმას მაინც მისცემს და ხელცარიელს უკან არ გააბრუნებს.“ (ბუჰარი, ქითაბუზ ზაქიათი)

ამ წმინდა ჰადისით შთაგონებული ბატონი მუსა მათხოვრებს, ვისაც თხოვნა პროფესიად გაუხდიათ, მოწყალებას აძლევდა და ასე ბრძანებდა:

„იმისათვის, რომ გაცემას არ გადაეჩვიო, მცირედიც რომ იყოს, მაინც უნდა გასცე!“

უნდა ვიცოდეთ ის ჭეშმარიტებაც, რომ ისლამში თხოვნა მხოლოდ უკიდურესად გაჭირვებულთათვის არის ნებადართული. ვინაიდან, ადამიანისთვის ხელის გაწვდენა უკიდურესად ძნელი საქმეა. ამ მიზეზით, ალლაჰის შუამავალმა ﷺ თავის ბევრ იმ თანამიმდევარს, ვისთანაც შეთანხმება დადო, პირობად წაუყენა „არავისგან არაფერი ეთხოვათ“.

აქედან გამომდინარე, ღარიბებს შორის უსირცხვილო, უსინდისო, მაწანწალა, ყველა შემხვედრისგან ფულის მომთხოვნი ადამიანები და სიღარიბისა და დარდის ამტანი ადამიანები ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ.

ამ თემასთან დაკავშირებით, წმინდა შუამავალი ﷺ ასე ბრძანებდა:

„ღარიბი არ ეწოდება ადამიანს, რომელიც ერთ ლუკმას ამ კარიდან, მეორეს კი იმ კარიდან იღებს.“

ამის გამო, თანამიმდევრებმა ჰკითხეს:

„ალლაჰის შუამავალო, თუ ასეა ღარიბი ვინ არის?“

მან უპასუხა:

„ღარიბია ადამიანი, რომელიც მიუხედავად იმისა,

რომ ესაჭიროება, ხმამაღლა არ აცხადებს, რომელიც არავისგან არაფერს ითხოვს.“ (ბუჰარი, ქითაბუზ ზექათი)

ალლაჰის შუამავალს ﷺ ამ წმინდა ჰადისით შემდეგის თქმა სურდა:

ყოველი შემხვედრისგან რაღაცის მთხოვნელები რაღაცას მაინც მიიღებენ. ადამიანები, რომლებსაც გულგრილად არ უნდა მოვექცეთ, არიან ისინი, ვინც თავიანთ მდგომარეობას მალავენ, მოთმინებითა და არსებულის დაკმაყოფილებით მორჩილად იტანენ სიღარიბეს. ამგვარი ადამიანებისთვის მოწყალების გაცემის მნიშვნელობაზე ყურანში ნაბრძანებია:

لِلْفُقَرَاءِ الَّذِينَ أُحْصِرُوا فِي سَبِيلِ اللَّهِ لَا يَسْتَطِيعُونَ ضَرْبًا فِي
الْأَرْضِ يَحْسَبُهُمُ الْجَاهِلُ أَغْنِيَاءَ مِنَ التَّعَفُّفِ تَعْرِفُهُمْ بِسِيمَاهُمْ لا
يَسْأَلُونَ النَّاسَ إِلْحَافًا وَمَا تُنْفِقُوا مِنْ خَيْرٍ فَإِنَّ اللَّهَ بِهِ عَلِيمٌ

„ღარიბებს, რომელთაც ღვთის გზაზე თავი გადადეს, არ შეუძლიათ საშოვარზე, სარეწაოდ იარონ დედამიწაზე. უვიცი მათ თავიანთი თავდაჭერილობის გამო მიიჩნევს მდიდრებად. შენ (კი) **გამოიცნობ მათ მათივე იერით. ისინი არ სთხოვენ ადამიანებს უტიფრად** (არ მათხოვრობენ). **რასაც სიკეთეთაგან უწყალობებთ, უეჭველად, ალლაჰმა უწყის ის.“** (სურა ბაყარა, აიათი 273)

ამ აიათის მნიშვნელობა არის ის, რომ ზექათის გაცემის დროს დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ მის ქონების სახით მიცემას. მიცემამდე ისიც უნდა გავარკვიოთ, ამ ადამიანს ზექათი ეკუთვნის თუ არა.

ვინაიდან, ზექათის ჭეშმარიტება ამაზეა დამოკიდებული. თუკი ზექათს გამორკვევის გარეშე გავსცემთ და შემდეგ გაირკვევა, რომ ის ადგილი, სადაც ზექათი გავეცით, არ ეკუთვნოდა, იმ რვას, ვისზეც ზექათის მიცემა შეიძლება, ზექათი გაცემულად არ ჩაითვლება და ხელახლა გადახდა გახდება საჭირო. ხოლო თუ გამოკვლევა არასწორად ჩატარდება, ზექათის ხელახლა გაცემა აუცილებელი არ არის.

ზექათის გაცემისას კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც ყურადღება უნდა მიექცეს, შემდეგია:

ადამიანს უპირველესად საკუთარ თავზე აქვს უფლება, შემდეგ ოჯახის წევრებზე, შემდეგ ნათესავებსა და ახლობლებზე. მემკვიდრეობის დროსაც იგივე თანამიმდევრობაა დაცული. უფლებამოსილ პირებსაც ერთმანეთს შორის უპირატესობები აქვთ. ეს ორ რამეს ეყრდნობა:

პირველი: გამცემის სიახლოვისა და ნათესაობის ხარისხს, მეორე კი გაჭირვებულებს შორის გაჭირვების ხარისხს.

ნათესავის წინ დაყენება არ ნიშნავს იმას, რომ დაივიწყო, ვისაც მეტად უჭირს და მისცე იმას, ვისაც უფრო ნაკლებად ესაჭიროება. ეს უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, როცა ორივეს ერთნაირად ესაჭიროება და ჩვენ ვდგავართ არჩევანის წინაშე. აუცილებლობისა და გაჭირვების ხარისხი ყოველთვის უნდა იქნეს გათვალისწინებული. თუკი უცხოს უფრო უჭირს, რაღა თქმა უნდა, შეუძლებელია ნათესავი ან ნაცნობი მასზე წინ დავაყენოთ.

ეს კრიტერიუმები ის განსაკუთრებული დეტალებია, რომლებსაც ისლამი ადამიანს ზედმეტ მოწყალებასთან ერთად მის წონასწორობასაც აჩვენებს. ეს გულისხმიერების წვრთნაა. ვინაიდან, რწმენის პირველი ხილი მოწყალებაა. გული, რომელიც ამისგან შორს დგას, ცოცხალი არ არის. ყოველი სიკეთის სათავე „ბესმელე“ და „ფათიჰა“ ალლაჰის (მოწყალე) სახელებით „რაჰმანითა“ და „რაჰიმით“ იწყება. შუამავლებისა და წმინდანების ცხოვრება სავსეა გულისხმიერების ლეგენდებით. წმინდა შუამავალი ﷺ ბრძანებდა:

„დედამიწაზე მყოფებო, მოწყალება გაიღეთ იმისათვის, რომ თქვენც ზეცაში მყოფები მოწყალედ მოგექცნენ.“ (აბუ დავუდი, ედები, 58)

ეს ნათქვამი მოიცავს გულისხმიერების მთელ შინაარსს.

გულისხმიერების ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინებები კი ზექათის, შესაწირავისა და ოშურის გაცემაა, რაც თითოეული ადამიანის მოვალეობა და მატერიალური ღვთისმსახურებაა.

ოშური

მატერიალურ ღვთისმსახურებებში შედის ოშურიც, რომელიც მიწიდან აღებული მოსავლის ზექათია. დანახარჯების გარეშე, წვიმის წყლით მორწყული მოწეული მოსავლისთვის 10%, ხოლო შენ მიერ მორწყული, შენ მიერ ამაგგაწეული მოსავლისთვის 5% ოშური გაიცემა.

მუსლიმანების გამარჯვების შემთხვევაში ვიღაცისთვის ისლამური საზოგადოების სასარგებლოდ ჩამორთმეული მიწა სახელმწიფო საკუთრებაში გადადის და მისი გამოყენების უფლება გლეხებს გადაეცემათ. ამ მფლობელებს ენიჭებათ დამქირავებლის სტატუსი. სახელმწიფოსთვის მისაცემი წილი ან გადასახადი კი „ქირის“ ხასიათს ატარებს.

ამგვარ ნაკვეთზე მოწეული მოსავალისთვის ოშურის ან სხვა რაიმე სახის ზექათის გადახდა საჭირო არ არის. ოსმალეთის იმპერიაში თურქეთის მიწებს თავდაპირველად ეს სტატუსი ჰქონდა.

ანატოლიასა და ოსმალეთის ევროპულ ნაწილში ასეთ მიწებს თავდაპირველად ფართო ადგილი ეკავა, შემდეგში ეს მიწები გაიყიდა და კერძო მფლობელობაში გადავიდა. ამგვარად წარმოიშვა მიწათმფლობელობა. ამ მიწაზე მოწეული მოსავლისთვის ოშურის გადახდა საჭიროა. თუკი ოშურს სახელმწიფო არ იღებს, ისე როგორც ცხოველების გადასახადი, ეს გადასახადიც მეპატრონემ თავისი შეხედულებისამებრ უნდა გასცეს.

ის ვინც ოშურს არ იხდის, ალლაჰის წინაშე ისევეა დამნაშავე, როგორც ის, ვინც ზექათს არ იხდის. რადგანაც ისინი ამ შემთხვევაში ღარიბების, გაჭირვებულებისა და ალლაჰის გზაზე უანგარო მებრძოლების უფლებებს არღვევენ.

გადმოცემის მიხედვით, ერთ იემენელ გულუხვ კაცს

ყურძნის, ხურმისა და ხორბლის ბაღები ჰქონდა. ეს გულუხვი კაცი მოსავალს რომ აიღებდა, ღარიბ-ღატაკებს ოშურის წილს ზედმეტადაც კი აძლევდა. ის კაცი რომ გარდაიცვალა, შვილები სიძუნწემ შეიპყრო და მოილაპარაკეს:

„ჩვენი ოჯახი მრავალრიცხოვანია, ქონება ცოტაა. ღარიბებს არაფერი არ უნდა მივცეთ! სანამ ისინი მოვიდოდნენ და მოგვთხოვდნენ, მოსავალი მანამდე ავიღოთ...“

ალლაჰმა ასეთი ბოროტი განზრახვისათვის მათი ბაღები გაანადგურა, სულ მთლად გააშავა. უზარმაზარ ბაღებს ვეღარ იცნობდი. ამ მდგომარეობამ ძუნწი შვილები გააოცა და თქვეს:

„ნეტავი, ადგილი შეგვეშალა?“

მათი მამის მიერ ოშურის გულუხვად დარიგება და გაჭირვებულების ვედრებები ბაღს ნაყოფირებას აძლევდა. ყველა ღარიბ-ღატაკი იმ ბაღიდან სარგებლობდა. ხოლო შვილებს სიძუნწემ სძლია და ოშურის გაცემა არ უნდოდათ. მათ წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ ალლაჰი მათსა და მათ ბაღს რატომ სწყალობდა და ბარაქას აძლევდა. ვინაიდან, ისინი უვიცობამ დააბრმავა.

ამისათვის ბრძანებს უდიდესი ალლაჰი:

وَاذْكُرْ رَبَّكَ فِي نَفْسِكَ تَضَرُّعًا وَخِيفَةً وَدُونَ الْجَهْرِ مِنَ الْقَوْلِ بِالْغُدُوِّ وَالْآصَالِ وَلَا تَكُنْ مِنَ الْغَافِلِينَ

„გაიხსენე შენი ღმერთი დილა-საღამოს შენსავე

გულში მუდარითა და შიშით, ხმამაღალსიტყვაობის გარეშე და ნუ იქნები უვიცთაგანი!“ (სურა აარაფი, აიათი 205)

ყურანში – სურა „ყალემში“ გადმოცემული დარვანის მეგობრობის ამბავი ძალიან საოცარია:

إِنَّا بَلَوْنَاهُمْ كَمَا بَلَوْنَا أَصْحَابَ الْجَنَّةِ إِذْ أَقْسَمُوا لَيَصْرِمُنَّهَا
مُصْبِحِينَ وَلَا يَسْتَثْنُونَ فَطَافَ عَلَيْهَا طَائِفٌ مِنْ رَبِّكَ وَهُمْ نَائِمُونَ
فَأَصْبَحَتْ كَالصَّرِيمِ
فَانْطَلَقُوا وَهُمْ يَتَخَافَتُونَ أَنْ لَا يَدْخُلَنَّهَا الْيَوْمَ عَلَيْكُمْ مِسْكِينٌ
وَغَدَوْا عَلَى حَرْدٍ قَادِرِينَ فَلَمَّا رَأَوْهَا قَالُوا إِنَّا لَضَالُّونَ

„...უეჭველად, ჩვენ ბაღის პატრონებს უბედურება მოვუვლინეთ. ისინი კი ამ დროს იფიცებოდნენ, რომ გათენებისთანავე ბაღის მოსავალს დაკრეფდნენ. ისინი გამონაკლისსაც არ უშვებდნენ.

მაშინ, როცა მათ ეძინათ, ღმერთისგან (მოვლენილმა) **ყოვლისმომცველმა** (უბედურებამ) **ბაღი მოიცვა და გაშავდა.**

„ღმერთმანი, დღეს იქ ჩვენს გვერდით არც ერთი ღარიბი არ უნდა აღმოჩნდესო“ – ჩურჩულით გაუდგნენ გზას.

მიუხედავად იმისა, რომ ძალა შესწევდათ, დახმარებაზე უარის თქმის განზრახვით ადრიანად გზას გაუდგნენ...

მაგრამ, როცა იგი (ბაღი) **დაინახეს, თქვეს: „უთუოდ გზააბნეულთაგანი ვართ.“** (სურა ყალემი, აიათები 17-20, 23-26)

ამ აიათებით უდიდესი ღმერთი გვამცნობს, რომ იმ ბაღების პატრონების, რომელთაც ღარიბების უფლებები შელახეს, მათ უმოწყალოდ მოექცნენ და ოშური არ მისცეს, გულში არსებული ყველა განზრახვა ღმერთისთვის ცნობილია... მისი დიდებულება ყველაფრის მომცველია.

წმინდა მევლანა ბრძანებს:

„ამქვეყნიური ცხოვრება ერთი სიზმარია. ამქვეყნად სიმდიდრის ქონა იგივეა, სიზმარში საგანძური რომ იპოვო. ამქვეყნიური ქონება თაობიდან თაობას გადაეცემა, ამქვეყნად რჩება.“

„სიკვდილის ანგელოზი უვიც ადამიანს სულს წაართმევს რა, მას ძილიდან გამოაფხიზლებს. იმ ადამიანს უკვირს, რომ იმ ქონებისთვის, რომელიც სინამდვილეში მას არ ეკუთვნის, ამქვეყნად რამდენი დარდი გადაიტანა. ათასჯერ ნანობს, მაგრამ საქმე უკვე წარსულია, გათავებულია.“

უდიდესი ღმერთიც ხომ გვამცნობს იმ ადამიანის სინანულს, რომელმაც სიზმრიდან გამოიღვიძა და მარადიულ სინანულში ჩავარდა.

رَبِّ لَوْلَا أَخَّرْتَنِي إِلَى أَجَلٍ قَرِيبٍ فَأَصَّدَّقَ وَأَكُنْ مِنَ الصَّالِحِينَ

„ღმერთო ჩემო! ჩემი (სიკვდილი) **ცოტა ხნით დაგეგვიანებინა, მოწყალება რომ გამეღო და ღვთისმოსავი ვყოფილიყავი.“** (სურა მუნაფიყუნი, აიათი 10)

სწორედ მიტომ, ეს რომ ასე არ მოხდეს, როცა ღმერთი აიათში ამ ჭეშმარიტებას გვამცნობს, თან გვიბრძანებს, რომ ჩვენთვის ბოძებული სარჩოდან მოწყალება უნდა გავსცეთ.

მოწყალება, რომელიც ყურანში 200 ადგილზეა მოხსენიებული ქონებისა და სულის ალლაჰისთვის მიძღვნაა. ამის მიხედვით, მუსლიმანი არის ადამიანი, რომელიც თავის სულს და იმას, რაც გააჩნია, ალლაჰს მიუძღვნის.

აქაბეს მეორე შეთანხმების დროს აბდულლაჰ იბნ რევაჰამ ალლაჰის შუამავალს ჰკითხა:

„ალლაჰის შუამავალო! ღმერთისა და შენი პირობები რა არის?“

ალლაჰის შუამავალმა ﷺ უპასუხა:

„ღმერთის პირობაა, რომ მას უნდა ემსახუროთ, მას მოზიარე არ უნდა დაუწესოთ! ჩემი პირობა კი არის ის, რომ მეც ისევე დამიცვათ, როგორც საკუთარ თავსა და ქონებას იცავთ!“

კვლავ ჰკითხეს:

„თუ ასე მოვიქცევით, რა მოგველის?“

„სამოთხეო!“ – უპასუხა მან.

ამაზე – იქ მყოფებმა თქვეს:

„რა მომგებიანი ყიდვა-გაყიდვაა! ამისგან არ გადა-

ვუხვევთ და არც გვინდა გადახვევა!“ (იბნ ქესირი, თაფსირი, II, 406)

ამ საუბრის მერე შემდეგი აიათი მოევლინა:

إِنَّ اللَّهَ اشْتَرَى مِنَ الْمُؤْمِنِينَ أَنْفُسَهُمْ وَأَمْوَالَهُمْ بِأَنَّ لَهُمُ الْجَنَّةَ

„უეჭველად, ალლაჰმა მორწმუნეებისაგან, მათთვის(ვე მიცემული) **სამოთხის სანაცვლოდ, მათი ქონება და სულები იყიდა.“** (სურა თევბე, აიათი 111)

ამ აიათში მოცემულია, რომ სული და ქონება ალლაჰისთვის მიყიდული და შეწირულია.

სული გმირობითა და შეჰიდობით იყიდება.

ჩვენთვის რა კარგი გაკვეთილია ისლამის პირველი შეჰიდის სუმეიე ჰათუნის მდგომარეობა. მან თავისი სული, დიდებული რწმენით აღსავსემ, სიხარულით გაიღო ალლაჰის გზაზე. ამქვეყნად სამოთხე ნაყიდ მორწმუნეებს განკითხვის დღეს მარადიული ჯილდოს მიღების სანუკვარი წამი ელოდებათ. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი სული და ქონება მოწყალებისკენ უნდა მივმართოთ.

ჩანაქქალეს ომის დროს თურქულ არმიას ტყვია-წამალი გაუთავდა. მიუხედავად ამისა მათ გაიმარჯვეს, რადგანაც ისინი ყოველმხრივ მოწყალებას გასცემდნენ. ისტორიაში უამრავი ასეთი მაგალითია.

ქონების ალლაჰისთვის მიყიდვა მოწყალებით შეიძლება. უდიდესი ღმერთი ღვთისმოსავების დახასიათებისას ბრძანებს:

وَمِمَّا رَزَقْنَاهُمْ يُنْفِقُونَ

„...ჩვენგან ნაბოძები სარჩოსგან წყალობას უხვად გაიღებენ.“ (სურა ბაყარა, აიათი 3)

ალლაჰისთვის გაცემული მოწყალება და შესაწირავი მრავალგვარია.

მოწყალების და შესაწირავის გაცემა ყოფიერით იწყება. ამის მიხედვით, ნახევარი ხურმაც კი შესაწირავია. აქედან გამომდინარე, ალლაჰის შუამავალი ﷺ ყოველ მორწმუნეს მდიდრად თვლიდა. ვინაიდან, ის წმინდა ჰადისში ბრძანებდა, რომ მორწმუნის მიერ ალლაჰის დიდება, მისი ერთადერთობის აღიარება, შარიათზე მორჩილება, ჩაგრული ადამიანების დახმარება, მორწმუნის დამშვიდება, ტანჯული გულების გახარება, გზიდან შემაწუხებელი რამეების ჩამოშორება, ავადმოყოფის მონახულება და მრავალი სხვა საკითხი მოწყალებად ითვლება.

აქედან გამომდინარე, ნამდვილი სიმდიდრე გულში არსებული რწმენაა. ყველა იმდენადაა მდიდარი, რამდენადაც სწამს.

იმ ადამიანის, რომელსაც მდიდარი გული აქვს, ერთი ღიმილიც კი მოწყალების რანგში გადის, რადგანაც გულით მდიდარი ადამიანის ღიმილი სიყვარულითაა გაჟღენთილი და გარშემოც სიყვარულს აფრქვევს. მართლაც, ეს მდგომარეობა რა ლამაზი მოწყალებაა. ამის საწინააღმდეგოდ ღარიბი გულის ადამიანებს ვერაფერი გაამდიდრებს.

ეს იმას ნიშნავს, რომ ნამდვილი სიმდიდრე მატერიალური სიმდიდრე კი არა, გულის სიმდიდრეა. ჭეშმარიტი მორწმუნეები არიან ის ადამიანები, ვისაც ეს სიკეთე მოეპოვებათ და მოწყალენი არიან. მოწყალება ალტრუიზმი მგრძნობელობის ყველაზე სრულყოფილი გამოვლინებაა, ეს ორივე მორწმუნის ვალდებულებად ითვლება.

წმინდა ომარი დამასკოში მიდიოდა. აქლემზე მონის შეჯდომის რიგი რომ მოვიდა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ქალაქის კარებთან იყვნენ მიღწეული, ომარი ძირს ჩამოვიდა, მონა აქლემზე შესვა თვითონ კი ფეხით შევიდა დამასკოში. ეს მოწყალების უდიდესი გამოვლინებაა.

წმინდა ალისა და ფატიმას მხოლოდ იფთრად საკმარისი საჭმელი ჰქონდათ, მაგრამ სამი დღის განმავლობაში ზედიზედ მოსულ მათხოვრებს – საცოდავ კაცს, ობოლსა და ტყვეს, – ალლაჰის კმაყოფილებისათვის მოწყალების მიცემაზე უარი არ უთხრეს, თვითონ კი მხოლოდ წყალი დალიეს და ისე იმარხულეს. ეს მოწყალების საოცარი სურათია.

იერმუქის ლაშქრობისას სასიკვდილდ დაჭრილმა სამმა შეჰიდმა ერთმანეთისგან წყალი ითხოვა, წყალი სამივემ ერთმანეთს დაუთმო და სამივე ისე გარდაიცვალა, რომ ერთმანეთზე წყლის ვერც გადაცემა და ვერც დალევა მოასწრო. იქ კი ერთი მათარა წყალი დარჩა.

ესენი მოწყალების უმაღლესი გამოვლინებებია,

რადგან ის მაშინ იქნა გაცემული, როცა თითოეულს სასაცილოდ ესაჭიროებოდა.

დღევანდელ ჩვენს საზოგადოებაში მოწყალების ასეთ შემთხვევაში გაცემა ძალიან შემცირებულია, თითქმის აღარ არსებობს. შესაქმნელია სისტემა, რომელიც მოაწესრიგებს ზექათისა და მოწყალების გაცემას, ადამიანებს წაახალისებს და მათ ცხოვრებაში მეტ ადგილს მიანიჭებს. ამ სისტემაში ადგილი უნდა დაიკავონ იმ ადამიანებმა, რომლებიც ცდილობენ ისლამს ემსახურონ. დღევანდელი საზოგადოების ვალია, როგორც ეს წმინდა მუჰამმედ შუამავალმა ﷺ გააკეთა, ზუსტად ისე სავადმყოფოები, დისპანსერები, უპატრონოთა თავშესაფრები გააკეთონ.

აუცილებელია, რომ მორწმუნის დამახასიათებელი ნიშან-თვისება მოწყალების გაცემა იყოს. უდიდესი ღმერთი ბრძანებს:

الَّذِينَ يُنْفِقُونَ فِي السَّرَّاءِ وَالضَّرَّاءِ وَالْكَاظِمِينَ الْغَيْظَ وَالْعَافِينَ عَنِ النَّاسِ وَاللَّهُ يُحِبُّ الْمُحْسِنِينَ

„...რომელნიც მოწყალეობენ სიუხვეშიც და სიდუხჭირეშიც, მრისხანებას იოკებენ და ადამიანებს მიუტევებენ. ალლაჰსაც სიკეთის მკეთებელნი უყვარს.“ (სურა ალი იმრანი, აიათი 134)

გადმოცემის მიხედვით, წმინდა ჯაფერ სადიყს ერთი მონა ჰყავდა. მას ემსახურებოდა. მონას ერთ დღეს ცხელი წვნიანით სავსე ჯამი ხელიდან გაუვარდა და ჯაფერს თავზე გადაესხა. გაცოფებული ჯაფერი

ფეხზე წამოვარდა და მას შეხედა. მონამ უთხრა:

„ბატონო, ყურანში ნაბრძანებია, რომ არ უნდა განრისხდე“ და თან ამ საკითხთან დაკავშირებული აიათი წაუკითხა.

წმინდა ჯაფერმა მიუგო:

„გაბრაზება გადავყლაპე!“

მაშინ მონამ უთხრა:

„ყურანში იმავე ადგილზე ისინიც არიან მოხსენიებული, ვინც ადამიანებს მიუტევებენ!“ და ამ საკითხთან დაკავშირებული აიათიც წაუკითხა.

წმინდა ჯაფერმა უთხრა:

„კარგი, გაპატიე!“

„ყურანში ამავე აიათის ბოლოში ნაბრძანებია: „ალლაჰს მიმტევებელი, სიკეთის მქმნელი ადამიანები უყვარს!“ – თქვა მონამ და აიათის ეს ბოლო სიტყვებიც წაუკითხა.

„კარგი, წადი, თავისუფალი ხარ. შენ ალლაჰის ხათრით გაგათავისუფლე!“ – მიუგო ჯაფერმა.

ეს მისი მიმდევრებისთვის მოწყალების უბადლო მაგალითების გამოვლინებებია.

როგორც ალლაჰის შუამავალი ﷺ გვამცნობს, ერთმა ცოდვილმა ქალმა სამოთხე მოიპოვა იმით, რომ მოწყალება გამოიჩინა და მწყურვალ ძაღლს წყალი დაალევინა. ხოლო ქალი, რომელმაც კატას უმოწყალოდ მოექცა და მშიერი დატოვა, ჯოჯოხეთი ერგო წილად.

ეს მაგალითები მუსლიმანებს გაკეთილშობილებისათვის გამოადგებათ.

მორწმუნე უნდა იყოს წყვდიად ღამეში მთვარის მკვეთრი შუქის მსგავსი, მგრძნობიარე, სხვებზე მოფიქრალი, მოწყალე, ლმობიერი, გულისხმიერი, გულუხვი და წმინდა.

უნდა ვიცოდეთ,რომ გულუხვობა არის საჭირო ადგილზე ქონების გაცემა და მას ღვთის საფეხურებზე დიდი ძალა აქვს. მოწყალების გაცემისას ამ დეტალებზე ყურადღების მიქცევა ადამიანს ღვთის კმაყოფილებას მოაპოვებინებს.

ბედნიერების საუკუნეში „სუფფე ასჰაბი“ (ჩარდახის მკვიდრნი), რომელთაც სიცოცხლე ალლაჰის გზაზე ჰქონდათ გადადებული და ღვთისმსახურების გარდა არაფერზე ფიქრობდნენ, საარსებო საშუალების მოსაძიებლად დროს ვერ პოულობდნენ. ამ მიზეზით სხვა მუსლიმანებს მათთვის ხურმა მოჰქონდათ. ზოგიერთებმა გაფუჭებული ხურმა მოიტანეს. რადგანაც „ჩარდახის მკვიდრნი“ ძალიან მშივრები იყვნენ,იძულებული გახდნენ გაფუჭებული ხურმა ეჭამათ. ამ შემთხვევის შემდეგ, მათ შესახებ, ვინც გაჭირვებულებს გაფუჭებულ საქონელს აძლევს,უდიდესი ღმერთისგან ეს აიათი მოევლინათ:

وَلَا تَيَمَّمُوا الْخَبِيثَ مِنْهُ تُنْفِقُونَ وَلَسْتُمْ بِآخِذِيهِ إِلَّا أَنْ تُغْمِضُوا فِيهِ
وَاعْلَمُوا أَنَّ اللَّهَ غَنِيٌّ حَمِيدٌ

„ეი, თქვენ ვინც ირწმუნეთ! უწყალობეთ საუკეთესო

იმათგან, რაც მოგიგიათ და იმათგან, რაც აღმოვაცენეთ თქვენთვის მიწიდან. წყალობად უვარგისი(ის მიცემა) **არ განიზრახოთ, რის, თვალის დახუჭვის გარეშე, მიმღებიც თვითონვე არ ხართ და იცოდეთ, უეჭველად ალლაჰი მდიდარი და დიდებულია.“** (სურა ბაყარა, აიათი 267)

იმისათვის, რომ ღმერთთან ახლოს ვიყოთ, საჭიროა, მოწყალება გავსცეთ იმისგან, რაც გვიყვარს. ამას აიათში ასე გვამცნობს:

لَنْ تَنَالُوا الْبِرَّ حَتَّى تُنْفِقُوا مِمَّا تُحِبُّونَ وَمَا تُنْفِقُوا مِنْ شَيْءٍ فَإِنَّ اللَّهَ بِهِ عَلِيمٌ

„ვერ მისწვდებით სიკეთეს, ვიდრე არ იმწყალობებთ იმათთგან, რაც გიყვართ (და გეძვირფასებათ), **ხოლო რასაც რაიმესაგან იმწყალობებთ, უეჭველად, ალლაჰმა უწყის ის.“** (სურა ალი-იმრანი, აიათი 92)

ამ აიათის მოვლინების შემდეგ შუამავლის ﷺ თანამიმდევრებს შორის საყვარელ ადამიანებზე მოწყალების გაცემის დიდი შეჯიბრი დაიწყო.

აბუ ტალჰას მესჯიდი ნებევთან ახლოს ძალიან ძვირადღირებული ბაღი ჰქონდა, რომელშიც ექვსასი ძირი ხურმის ხე იდგა და იქაურობა ძალიან უყვარდა. ალლაჰის შუამავალს ﷺ ხშირად პატიჟებდა და უმასპინძლდებოდა, ამის წყალობით ბაღი ძალიან ბარაქიანი იყო.

აბუ ტალჰამ ასე თქვა:

„ალლაჰის შუამავალო! როგორც მოგეხსენებათ ჩემს სიმდიდრეს შორის ყველაზე ღირებული და ჩემთვის ყველაზე საყვარელი ამ ქალაქში მდებარე ჩემი ბაღია.

ამ წუთიდან ალლაჰის კმაყოფილების მოსაპოვებლად მას ალლაჰის შუამავალს ვუტოვებ. თქვენი სურვილისდა მიხედვით გამოიყენეთ, შეგიძლიათ ღარიბებს დაურიგოთ.“

მიღებული გადაწყვეტილებით რომ ერთხელ კიდევ ესიამოვნებინა საკუთარი თავისთვის, ამ სიტყვების დამთავრებისთანავე ბაღში წავიდა, სადაც ნახა, მისი ცოლი ერთი ხის ჩრდილში იჯდა. აბუ ტალჰა ბაღში არ შევიდა. ცოლმა ჰკითხა:

„აბუ ტალჰა, გარედან რას იყურები, შიგნით შემოდი!“

აბუ ტალჰამ უთხრა:

„შიგნით არ შემოვალ, შენც შენი ნივთები შეაგროვე და გამოდი!“

მოულოდნელი პასუხით გაოცებულმა ცოლმა ჰკითხა:

„რატომ აბუ ტალჰა! რა, ეს ბაღი ჩვენი არ არის?“

აბუ ტალჰამ უპასუხა:

„არა, ახლა უკვე მედინელი ღარიბებისაა“. შემდეგ სიხარულით მოუთხრო აიათით ნამახარობლევისა და მისი გაცემული მოწყალების ღირსების შესახებ.

ცოლის კითხვაზე: „ორივეს სახელით გაიღე მოწყალება, თუ მხოლოდ საკუთარი პიროვნებისთვის აჩუქეო“, „ორივეს სახელითო“,– უპასუხა. აბუ ტალჰამ ცოლისგან შემდეგი სიტყვები მოისმინა:

„ალლაჰი შენგან კმაყოფილი იყოს, აბუ ტალჰა! ჩვენ გარშემო ღარიბებს რომ ვუყურებდი, იგივეს ვფიქრობდი და ამის თქმას ვერაფრით გიბედავდი. ალლაჰმა ჩვენი სიკეთე მიიღოს! აი, მეც უარს ვამბობ ბაღზე და მოვდივარ!“

აბუ ტალჰას ეს თავგანწირვა ნათლად წარმოაჩენს რომ სულაც არ არის ძნელი ამქვეყნად ბედნიერების საუკუნის კლიმატმა დაისადგუროს.

❀

ზემოთ მოცემულ აიათში ნახსენები სიტყვა „ბირრ“ (სიკეთე) სრულყოფილი სიკეთის, ალლაჰის შეწყალების, ალლაჰის კმაყოფილებისა და სამოთხის მოპოვების მნიშვნელობის მატარებელია. ამასთან ერთად, უდიდესი ღმერთი მას სხვა აიათში სხვაგვარად იყენებს:

لَيْسَ الْبِرَّ أَنْ تُوَلُّوا وُجُوهَكُمْ قِبَلَ الْمَشْرِقِ وَالْمَغْرِبِ وَلَكِنَّ الْبِرَّ مَنْ ءَامَنَ بِاللَّهِ وَالْيَوْمِ الْآخِرِ وَالْمَلَائِكَةِ وَالْكِتَابِ وَالنَّبِيِّينَ وَءَاتَى الْمَالَ عَلَى حُبِّهِ ذَوِي الْقُرْبَى وَالْيَتَامَى وَالْمَسَاكِينَ وَابْنَ السَّبِيلِ وَالسَّائِلِينَ وَفِي الرِّقَابِ وَأَقَامَ الصَّلَاةَ وَءَاتَى الزَّكَاةَ وَالْمُوفُونَ بِعَهْدِهِمْ إِذَا عَاهَدُوا وَالصَّابِرِينَ فِي الْبَأْسَاءِ وَالضَّرَّاءِ وَحِينَ الْبَأْسِ أُولَئِكَ الَّذِينَ صَدَقُوا وَأُولَئِكَ هُمُ الْمُتَّقُونَ

სიკეთე არაა (მხოლოდ) **სახეები იბრუნოთ აღმოსავლეთის ან დასავლეთისაკენ. მაგრამ** (ასევე) **სიკეთეა, ვინც იწამა ალლაჰი, უკანასკნელი დღე, ანგელოზები, წიგნი, შუამავლები** (ნებები); **ვინც აძლევს ქონებას**

მისი (ალლაჰის) **სიყვარულით ახლობლებს, ობლებს, ღარიბებს, მგზავრებს, მათხოვრებს და მონებს**, **ვინც სრულყოფილად ასრულებს ლოცვას, იხდის ზექათს, იცავს დადებულ პირობას და ვინც მომთმენნი არიან უბედურებაში, ავადმყოფობა-გაჭირვებაში და ბრძოლის დროს. სწორედ ისინი არიან მართალნი და ისინი არიან ღვთისმოშიშნი.“** (სურა ბაყარა, აიათი 177)

როგორც ვხედავთ, აქ სიტყვა „ბირრ“ (სიკეთე) თავისთავში ყველა იმ მაღალ თვისებას კრებს, რომელიც ადამიანს უნდა ახასიათებდეს. ამის მიმანიშნებელია შუამავლის სიტყვები:

„თითეული, ვინც ამ აიათის მიხედვით იმოქმედებს, რწმენის სრულყოფასთან მიაღწევს.“ (ნესაი, მედარიქულ თენზილ, I, 249)

დღეს ჩვენს საზოგადოებაში სერიოზული მოწყალების მობილიზაციაა საჭირო, იმიტომ რომ ძმობის გრძნობები შესუსტებულია, სიმშვიდე დაკარგულია და სიძულვილი და ანტაგონიზმი მეფობს. შესაძლებელია იმ გაჭირვებული ადამიანების ადგილზე ჩვენ ვყოფილიყავით, ამის გამო, მათ მოწყალება უნდა მივსცეთ, რათა ღმერთს მადლობა გადავუხადოთ. ეს ჩვენი ვალია. დიდმა წმინდანმა აზიზ მაჰმუდ ჰუდაიმ ხალხთან ერთად მოწყალებისკენ ხელმწიფეებსაც მოუწოდა. ის სულთან მურად III-ისთვის მიწერილ წერილში წერდა:

„ისე როგორც დიდმა სულთანმა სულეიმანმა ის-

თირანჯადან წყალი მოიტანა და სტამბოლში ხალხს დაურიგა, შენც ბოლის ტყეებიდან შეშა მოიტანე და ამ ზამთარს სტამბოლის ღარიბებს დაუნაწილე!“

მოწყალების მობილიზაცია მნიშვნელოვანია როგორც ჩვენთვის, ასევე ჩვენი შვილებისთვის. ჩვენ ისევე როგორც ვალდებული ვართ, ბავშვები პატარაობიდან მივაჩვიოთ ნამაზს, ასევე ვართ ვალდებული ისინი მოწყალების გაცემას მივაჩვიოთ. თუკი მათ მოწყალების გაცემას პატარაობიდან არ მივაჩვევთ, ცოდონი დარჩებიან. ისინი უნდა გავზარდოთ იმ შეგნებით, რომ მათი ქონების პატრონი ალლაჰია.

მას, ვისაც უნდა ისლამი ააღორძინოს, ვალდებულია, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, გაჭირვებულებს მხარი დაუჭიროს, გული გაუნაწილოს, ილოცოს მათთვის. გაჭირვებული ადამიანის დარდის განაწილებაც კი მოწყალებაა. დღევანდელობის ყველაზე კარგი სამსახური იმ ინსტიტუტების აღორძინებაა, სადაც ხელმძღვანელი ადამიანების ჩამოყალიბება შეიძლება. ისე როგორც ერთი ბრძენი ამბობს:

„დომინანტ და განწირულ ერებს შორის ყველაზე დიდი სხვაობა ერთი მუჭა კარგად აღზრდილი ადამიანებია.“

მთელი მსოფლიო სწორედ ამის ნაკლებობას განიცდის, ამ ერთი მუჭა ადამიანების არსებობას.

თუკი ისლამი პრაქტიკისგან გამიჯნულია, თუ მუსლიმანი იჩაგრება, გამოსავლის გზის სანახავად გამოფხიზლებაა საჭირო. უპირველესად გული უნდა

შევატოკოთ. საზოგადოებამ ჩვენში უნდა დაინახოს ნამდვილი მუსლიმანის გული. ამისათვის კი უნდა შევძლოთ მგრძნობელობისა და სხვებზე ზრუნვის წარმოჩენა.

ეს კი მოწყალებითაა შესაძლებელი.

სწორედაც ისლამის ყველაზე დიდებული ინსტიტუტების ერთ-ერთი საყურადღებო საფუძველი მოწყალებაა.

მოწყალებათა ორგანიზაციის შექმნით ასოციაცია დაფუძნდება. ასოციაცია ნიშნავს საკუთარი მფლობელობის ალლაჰისთვის შეწირვას, მის ალლაჰისათვის უკვდავყოფას. ადამიანმა სრულყოფილებას შეიძლება მიუახლოვდეს ყველა ქმნილების მიმართ გულისხმიერებით, მოწყალებით და ღიმილით. სულისა და ქონების ალლაჰისთვის მსხვერპლად გაღება იმის მცდელობაა, რომ სამოთხე იყიდო.

ის, რაც ადამიანის გულს ღმერთისგან აშორებს და ბოჭავს, ქონება და შვილებია. ამის გამო უდიდესი ალლაჰი ბრძანებს:

إِنَّمَا أَمْوَالُكُمْ وَأَوْلَادُكُمْ فِتْنَةٌ وَاللَّهُ عِنْدَهُ أَجْرٌ عَظِيمٌ

„მართალია, თქვენი ქონება და თქვენი შვილები თქვენთვის გამოცდაა. და ალლაჰი... მასთანაა უდიდესი საზღაური.“ (სურა თეღაბუნი, აიათი 15)

يَاأَيُّهَا الَّذِينَ ءَامَنُوا لَا تُلْهِكُمْ أَمْوَالُكُمْ وَلَا أَوْلَادُكُمْ عَنْ ذِكْرِ اللَّهِ

„ეი, თქვენ ვინც ირწმუნეთ! ნუ დაგაბრკოლებთ

თქვენი ქონება და შვილები ალლაჰის (გა)**ხსენებისგან!“** (სურა მუნაფიყუნი, აიათი 9)

وَمَنْ يُوقَ شُحَّ نَفْسِهِ فَأُولَئِكَ هُمُ الْمُفْلِحُونَ

„...ვინც სულს სიძუნწისგან დაიცავს, აი, ისინი გადარჩენილნი არიან.“ (სურა თეღაბუნი, აიათი 16)

إِنْ تُقْرِضُوا اللَّهَ قَرْضًا حَسَنًا يُضَاعِفْهُ لَكُمْ وَيَغْفِرْ لَكُمْ وَاللَّهُ شَكُورٌ حَلِيمٌ

„თუკი ასესხებთ ალლაჰს კეთილ სესხს, ის მას გაგიმრავლებთ და ცოდვებს გაპატიებთ. ალლაჰი (მისდამი მადლიერთა) **მადლიერია, დასჯას არ ჩქარობს.“** (სურა თეღაბუნი, აიათი 17)

ამის გამოა, რომ ღარიბ-ღატაკები შეძლებული ადამიანებისთვის დიდი წყალობაა. სამოთხის კარები მათი ვედრების წყალობით იხსნება.

იმისათვის, რომ თქვენი კაპიტალი სიმსივნეს არ დაემსგავსოს, ყველაზე ლამაზი გამოსავალი და სამკურნალო საშუალება მოწყალებაა.

ასოციაციები, რომლებიც მატერიალურად და მორალურად ამ სამკურნალო საშუალებას არიგებენ, საზოგადოების წყალობის ტაძრებია. ისინი მოწყალების გაცემის ყველაზე ლამაზი ადგილებია, მდიდრებისთვის გადებული დიდებული ხიდებია. ასე, რომ მდიდარსა და ღარიბს შორის სიძულვილისა თუ შურის მომსპობი და საზოგადოებაში კეთილი ზნეობის ყველაზე შესანიშნავი შემოქმედებაა.

ყურადღება მისაქცევია, რომ ასიათასობით ასოცია-

ცია შეიქმნა, ყოველი მათგანი მოწყალების უბადლო მაგალითებს იძლეოდა, საუკუნეების განმავლობაში არსებობდა და ბოლოდროინდელი ძარცვების მიუხედავად, 26798 ჯერ კიდევ არსებობს. ადამიანები, რომელთაც ისლამი ძალიან კარგად ესმოდათ, მუსლიმანის გულში არსებულ უსაზღვრო წყალობასა და გულისხმიერებას ასე გადმოსცემდნენ. მათი ადამიანებისადმი გაწეული სამსახური იმდენად დიდი იყო, რომ მათ გულში არსებული წყალობა ჰგავდა ზამთარში მშივრად დარჩენილი ჩიტის მიერ სხვა ინვალიდი ცხოველების დაცვას.

მათ საზოგადოებისთვის გულისხმიერებისა და წყალობის ასიათასობით ასოციაციის ქსელი შექმნეს და შეუხვეველი ჭრილობა არ დაუტოვებიათ.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქველმოქმედება ყველაფერი არსებულის წინაშე მუსლიმანისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობაა. საქველმოქმედო ასოციაციები ის დაწესებულებებია, რომლებიც შექმნის გამო შემქმნელების მიმართ სიყვარულს, გულისხმიერებასა და მოწყალებას გასცემენ. ალლაჰმა სამყარო და ნივთები – ორივე ანაბრად მოგვცა. ყველაფერი სამყაროში არსებული ადამიანს მიანდო. შვილი, ქონება, ადგილ-მამული, ჯანმრთელობა – ყველა ამ შინაარსის ანაბარია. ადამიანი ვალდებულია ამ ყველაფერს სათუთად და მგრძნობელობით მოექცეს. ანაბრის ადგილზე ჩაბარება წყალობა და ბარაქაა.

სწორედაც, როცა უდიდესმა ღმერთმა „მოწყალების“ შესახებ ბრძანება მოავლინა, წმინდა შუამავლის ﷺ

თანამიმდევრებმა მობილიზაცია გამოაცხადეს. ყველას, რაც გააჩნდა, ალლაჰის შუამავალთან ﷺ მიჰქონდა. ისინი, „მოწყალება ალლაჰისაა“ – აიათის გამო ყოველთვის ენთუზიაზმით აღსავსე მათ მოტანილს ალლაჰის შუამავალს, ﷺ ალლაჰის გზაზე დასახარჯად, მთელი სულითა და გულით გადასცემდნენ.

მოწყალება მხოლოდ მატერიალური არ არის. ყველაფერი, რაც ალლაჰმა გვიწყალობა, შეიძლება მოწყალებად გაიცეს. ყველაზე დიდი მოწყალება კი ისლამის საკუთარ ცხოვრებაში რეალიზება და ამით საზოგადოებაში ისლამის ქადაგებაა. წმინდა შუამავლის ﷺ თანამიმდევრები დედამიწის ყველაზე შორეულ კუთხეებში, ისლამის გავრცელების სიყვარულით შეპყრობილნი, ისლამს მოწყალებად გასცემდნენ. ამათგან ორნი – აბბასის შვილი ქუსამი და წმინდა ოსმანის შვილი მუჰამმედი იყო. ბოლო ადგილი, სადაც ისინი მივიდნენ და ისლამის ნათელი მიიტანეს, სამარყანდი იყო. ამ სუფთა მოწყალების მიზანმა ნაყოფიერად იმოქმედა და მათი ზეგავლენით ალლაჰის ისეთი მოყვარული ადამიანები გაიზარდნენ, როგორიც არიან იმამები – ბუჰარი, ქასანი, თირმიზი, შაჰი ნაქშიბენდი და კიდევ მწვერვალზე მყოფი რამდენიმე ადამიანი.

დღეისთვისაც ისლამის იმავე გრძნობითა და სიხარულით ქადაგება იგივე სახის მოწყალება იქნება.

მოწყალებაში დელიკატურობა

ზექათისა და მოწყალების გაცემისას ძალიან მნიშვნელოვანია დელიკატურობა. განსაკუთრებით, გამცემი

ამღების მადლიერი უნდა იყოს, რადგანაც ის ფარძად დაწესებული ვალისგან გაათავისუფლა და ჯილდოს მოპოვების საშუალება მისცა. ამავე დროს, გაცემული მოწყალება გამცემი პიროვნებისათვის ავადმყოფობისა და უბედურების საწინააღმდეგო მეხამრიდიცაა.

მოწყალების გაცემისას დელიკატურობის გამოჩენის შესახებ, ყურანში ასეა ნაბრძანები:

يَاأَيُّهَا الَّذِينَ ءَامَنُوا لَا تُبْطِلُوا صَدَقَاتِكُمْ بِالْمَنِّ وَالْأَذَى كَالَّذِي يُنْفِقُ مَالَهُ رِئَاءَ النَّاسِ وَلَا يُؤْمِنُ بِاللَّهِ وَالْيَوْمِ الْآخِرِ

„ეი, თქვენ, ვინც ირწმუნეთ! ნუ გააუფასურებთ თქვენს მოწყალებას ყვედრება-დამადლებით და დამცირებით, იმის მსგავსაც, ვინც თავის ქონებას გაიღებს ადამიანთა დასანახად და არ სწამს ალლაჰი და უკანასკნელი დღე.“ (სურა ბაყარა, აიათი 264)

ამ აიათში, სიკეთის სტიმულირებასთან ერთად, ნათლადაა გადმოცემული, რომ სიკეთის ქმნისას აუცილებელია დელიკატურობის გამოჩენა. მოწყალებას, რომელიც ადამიანს გულს დაუმსხვრევს, ღარიბს დაამცირებს, შეაწუხებს და დაამადლებს, ალლაჰის საფეხურებზე არავითარი ძალა არ აქვს.

წმინდა შუამავალი ﷺ ბრძანებდა:

„სამი კატეგორიის პიროვნებები არსებობს, რომელთაც ალლაჰი განკითხვის დღეს არ დაელაპარაკება, მათ არ შეხედავს და არ გაამართლებს. მათ სატანჯველი ელოდებათ!“

შუამავალმა ﷺ ეს სიტყვები სამჯერ რომ გაიმეორა, აბუ ზერმა ჰკითხა:

„მათი სახელები ჩაიძიროს; იქამდე ვერ მიაღიწიონ, რისი იმედიც აქვთ და იმედი გაუცრუვდეთ! ალლაჰის შუამავალო, ისინი ვინ არიან?“

ალლაჰის შუამავალმა ﷺ უპასუხა:

„ვინც ტანსაცმელს (სიამაყისა და თავმოწონების გამო მედიდურად) მიათრევს, ვინც გაცემულს დაამადლებს და ტყუილი ფიცით საქონელს გაყიდის!“ (მუსლიმი, იმანი, 171)

ეს განცხადებები აჩვენებს, რომ დამადლებითა და ტკივილის მიყენებით ჩადენილი სიკეთე ის მძიმე დანაშაულებებია, რომლებიც მონა-მსახურებს ტანჯვას მოუტანს. ვინაიდან, გული ის ადგილია, რომელსაც ღმერთი მეთვალყურეობს. წმინდა მევლანა ბრძანებს:

„შენ შენი არსება, ქონება, ადგილ-მამული ლამაზი ფორმით მოწყალებად გაეცი, გული მოიგე! იმ გულის ვედრება საფლავში, იმ წყვდიად ღამეში შენ გზას გაგინათებს, სინათლე იქნება!“

ღარიბ-ღატაკი ადამიანებისთვის მოწყალების გაცემა რომ უდიდესი ღმერთისთვის სამადლობელოდ, ვალის გადახდისთვის ყველაზე კარგი საშუალებაა, წმინდა მევლანა თავის სიბრძნით აღსავსე საოცარ ბეითებში ასე გამოხატავს;

„ღარიბი ადამიანების სარკეა. ფრთხილად, სარკის წინ გულის დამამსხვრეველი სიტყვები არ თქვა და ის

არ დაორთქლო. (ესე იგი, ღარიბის გულს მგრძნობიარედ მოეპყარი. ვინაიდან, გული ის ადგილია, რომელსაც ღმერთი მეთვალყურეობს)!“

„ალლაჰის გულუხვობის გამოვლინება ღარიბებია. ისინი კეთილშობილ ადამიანებს მიმართავენ, თავიანთ დარდს მათ უზიარებენ... ამგვარად, პატრიოტი მდიდრებისთვის ბედნიერების გზას ამზადებენ. ამის მეორე ნაყოფი ის არის, რომ მდიდრის ღარიბის გულში შესვლის შედეგად მასში სიყვარულისა და წყალობის ყლორტები კვირტებს გამოისხამს.“

„ამგვარად, ღარიბები ღმერთის გულუხვობის სარკეებია. შეძლებულნი თავიანთ გულუხვობას ამ სარკეში უცქერიან. ღვთისმოსავი, ღმერთზე მლოცველი მდიდრები შეიმეცნებენ, რომ სიმდიდრე მათზე ანაბარია, ღმერთის წინაშე საკუთარ არარაობას შეიმეცნებენ და ღმერთის გულუხვობას ირეკლავენ. ღმერთის გულუხვობისგან წილს იღებენ და გულუხვად სწირავენ.“

„გარდა მათისა, ვინც ცოტა ან ბევრ არსებულს გულში არ უშვებენ და გულის გარეთ ატარებენ, უბედურები და იმქვეყნის ღარიბები არიან. ამ ტიპის ადამიანები ღმერთისგან შორს დგანან. ისინი მხოლოდ და მხოლოდ კარების გარეთა ფასადის მორთულობა და სურათები არიან.. “

„მათი გულები ალლაჰისგან შორს დგანან, ისინი მართლაც საცოდავი არსებები და სულიერად ღატაკნი არიან. მათი გარეგანი სიმდიდრე კი უბედურების მოსართავი, უსულო სურათია. ისინი, ჭეშმარიტად,

უსულო ადამიანები არიან და არაფერი იციან! შენ მათ არ დაუახლოვდე! ფრთხილად ძაღლის სურათს ძვალს ნუ უჩვენებ! “

„ამგვარი ადამიანები გამორჩენის ტყვეები არიან. მათ არ იციან რომ ღმერთის მწყურვალები არიან.“

„ყურადღებით იყავი, ამ მკვდრების წინ თეფშზე საჭმელი არ დადო! ესე იგი, მათ თავაზიანად არ მოექცე, სიახლოვე არ აჩვენო! ასეთი არსებები განკითხვის დღეს არარაობად ქცეული მათხოვრები იქნებიან!“

„ასეთი ადამიანები აზრის კი არა, პურის დერვიშები არიან. ისინი მიწის თევზს გვანან: თითქოს თევზის ფორმა აქვთ, მაგრამ ზღვის ეშინიათ და გარბიან.“

„ისინი თავიანთ სიღატაკეს ბედნიერებად თვლიან, მათი აზრით კარგ საჭმელს ჭამენ და ტკბილ შარბათს სვამენ. სინამდვილეში კი ღმერთის ლუკმისგან წილი არ ერგებათ.“

„თქვენ, ვისაც არ გინდათ, რომ იმედი გაგიცრუვდეთ, თქვენი არსება გულუხვობაში გახვიეთ, ბრძენი იყავით!“

ზექათის, მოწყალებისა და კეთილ საქმეების დროს საყურადღებო საკითხთაგან ერთ-ერთი ფარულობაზე პატივისცემაა. ვინაიდან, სააშკარაოზე გაცემული მოწყალება სირცხვილის გრძნობას ასუსტებს. დროთა განმავლობაში მიჩვევა იცის და მუშაობის მცდელობა და სურვილი საერთოდ ქრება. ამასთან ერთად, გამცემის სიამაყე და თავმოწონება წინ წამოიწევა და საკუთარი

თავმოწონების მიზეზი ხდება.

მაგრამ ზოგჯერ მოწყალების გაცემის და სიკეთის ჩადენის გაცხადება და ხალხისთვის შეტყობინება შესაძლებელია სასარგებლო გამოდგეს... ამგვარად ხალხი წახალისდება ღარიბის დახმარებისთვის. ყურანში უდიდესი ღმერთი ბრძანებს:

إِنْ تُبْدُوا الصَّدَقَاتِ فَنِعِمَّا هِيَ وَإِنْ تُخْفُوهَا وَتُؤْتُوهَا الْفُقَرَاءَ فَهُوَ خَيْرٌ لَكُمْ وَيُكَفِّرُ عَنْكُمْ مِنْ سَيِّئَاتِكُمْ وَاللَّهُ بِمَا تَعْمَلُونَ خَبِيرٌ

„თუ აშკარად გაიღებთ წყალობებს – კარგია; ხოლო თუ ფარულად გაიღებთ და ღარიბებს მიაგებთ – თქვენთვის უკეთესია. ეს დაფარავს თქვენ(მიერ ჩადენილ) **ცოდვებს. ალლაჰისთვის ცნობილია, რასაც სჩადიხართ.“** (სურა ბაყარა, აიათი 271)

ყურანის კომენტატორები ამ აიათის განმარტებისას აცხადებენ, რომ საჭიროა ზექათი სააშკარაოზე იქნეს გადახდილი, ხოლო მოწყალების გაცემა და სხვა სასიკეთო საქმეები ფარულად უნდა მოხდეს.

მოწყალების გაცემისას ყველაზე დიდი დელიკატურობაა, როცა მარჯვენა ხელის გაცემული მოწყალების შესახებ მარცხენამ არაფერი იცის. წმინდა ჰადისებში მოხსენიებული ღმერთის სამყოფელის ჩრდილქვეშ მყოფი ადამიანები სწორედ ასეთები არიან. ასეთი მოწყალების გაღების უამრავი უბადლო მაგალითია. ამ საკითხთან დაკავშირებით ფათიჰ სულთან მეჰმედ ჰანის მიერ გამოცემული აქტების ნაწილი ასეთია:

„მე, სტამბოლის განმათავისუფლებელი, ალლაჰის უსუსური მონა-მსახური, ფათიჰ სულთან მეჰმედი ჩემს მფლობელობაში მყოფ 136 დუქანს, ქვემოთ მოცემული აქტით, დავუწესე შემდეგი პირობები:

ჩემი მედრესეების მშენებლობებით დაკავებული პირების ცოლების, ობლებისა და სტამბოლელი ღარიბებისთვის საჭმლის მომზადება! ხოლო იმათ, ვინც საჭმლის საჭმელად და ასაღებად არ მოვლენ, მას შემდეგ როგორც კი დაღამდება და კარები ისე დაიკეტება, რომ ვერავინ დაინახოს, საჭმელი სახლში მიუტანონ!“

როგორც ამ აქტიდან ჩანს, ფათიჰ სულთან მეჰმედ ჰანმა იმ გაჭირვებული ინდივიდებისთვის, რომლებიც საზოგადოებას თავიანთ გაჭირვებას უმალავდნენ, ყველაზე მგრძნობიარე დელიკატურობის წესები დააწესა.

იმ საზოგადოებაში, სადაც ხელმწიფემ ასეთი დელიკატურობა გამოიჩინა, მდიდრები ზექათს კონვერტში დებდნენ და მეჩეთში განთავსებული ზექათის ქვის ქვეშ ტოვებდნენ, ხოლო გაჭირვებულები მას იქიდან ისე იღებდნენ, რომ არავის შეემჩნიათ.

❀

ალლაჰის ერთადერთობის დამტკიცების შემდეგ, რელიგიის მთავარი მიზანია კარგი, დახვეწილი, ღრმა სულის ადამიანების აღზრდა და ამგვარად მშვიდი საზოგადოებრივი გარემოს შექმნა. ამის განხორციელება კი მხოლოდ გულში არსებული თავაზიანობისა და მოწყალების გრძნობის ყველაზე ლამაზად გამომ-

ვლინებელი ზექათითა და მოწყალებითაა შესაძლებელი. აუცილებელია, რომ მორწმუნის გული ღმერთის ყველა ქმნილებისადმი გულისხმიერებითა და მოწყალების გრძნობით აღივსოს.

ჩვენ ღმერთის სამფლობელოში ვცხოვრობთ. მისი სიკეთეებით ვსაზრდოობთ. მატერიალური ღვთისმსახურებების უგულებელმყოფნი ნეტა არ ფიქრობენ ვისი ქონებაა, ვის არ ენანება?

სიყვარულის შედეგი თავგანწირვაა. შეყვარებული საყვარელის მიმართ მსხვერპლს სიამოვნებით იმდენად იღებს, რამდენადაც უყვარს და ამას თავის მოვალეობად ამდენადვე თვლის. ის საყვარლისთვის სიცოცხლის გაწირვამდე უძლებს. ალლაჰის ქმნილებებისადმი გაცემული მოწყალება, შეყვარებულის მიერ საყვარლისადმი გამოჩენილი სიყვარულის ყველაზე კარგი მაგალითია. იმიტომ, რომ ზექათი და მოწყალება ალლაჰისთვის გაიცემა და ამის გამოხატულებაა გამონათქვამი: „ალლაჰი იღებს“. აიათში ნაბრძანებია:

أَلَمْ يَعْلَمُوا أَنَّ اللَّهَ هُوَ يَقْبَلُ التَّوْبَةَ عَنْ عِبَادِهِ وَيَأْخُذُ الصَّدَقَاتِ

„განა არ უწყიან, რომ მხოლოდ ალლაჰია, ის ვინც თავის მსახურთაგან მონანიებას იღებს და მოწყალებებს ღებულობს.“ (სურა თევბე, აიათი 104)

ამ მახვილსიტყვაობის გამოსახატავად ალლაჰის შუამავალი ﷺ ბრძანებდა:

„უეჭველია, ვიდრე მოწყალება გაჭირვებულამდე მიაღწევდეს, ის ალლაჰის (ძლიერ) ხელში გაივლის (ესე

იგი, ზექათსა და მოწყალებას თავდაპირველად ალლაჰი იღებს და შემდეგ გაჭირვებულს უბრუნებს)“ (მუნავი, ქუმუზულ ჰაქაიქი ვ. 34)

აქედან გამომდინარე, ზექათისა და მოწყალების გაცემისას ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, განსაკუთრებული გულწრფელობით ჩავიფიქროთ, რომ ამას ალლაჰის კმაყოფილებისთვის ვაკეთებთ. მოწყალების გაცემისას თავმოწონება, მადლობის მოლოდინი და დამადლება მიუღებელია. ამგვარი ფიქრი სიკეთეს ყოველგვარ ფასს და სარგებელს უკარგავს. პირიქით, გამცემი უნდა იყოს მადლიერების გრძნობით აღსავსე ამღების მიმართ და არაფერზე არ უნდა ფიქრობდეს ალლაჰის კმაყოფილების მოპოვების გარდა. ღმერთისთვის მხოლოდ ასეთი მოწყალებაა მისაღები. წმინდა ალისა და წმინდა ფატიმას მიერ გაცემული მოწყალება მოსაწონი და პატივსაცემია და მორწმუნე ადამიანებმა მათ უნდა მიბაძონ; ამასთან ერთად, უნდა გაიხსენონ აიათ'ში ნაბრძანები:

وَيُطْعِمُونَ الطَّعَامَ عَلَى حُبِّهِ مِسْكِينًا وَيَتِيمًا وَأَسِيرًا

إِنَّمَا نُطْعِمُكُمْ لِوَجْهِ اللَّهِ لَا نُرِيدُ مِنْكُمْ جَزَاءً وَلَا شُكُورًا

إِنَّا نَخَافُ مِنْ رَبِّنَا يَوْمًا عَبُوسًا قَمْطَرِيرًا

فَوَقَاهُمُ اللَّهُ شَرَّ ذَلِكَ الْيَوْمِ وَلَقَّاهُمْ نَضْرَةً وَسُرُورًا

„...და (თავიანთ) **საყვარელ საკვებს ღარიბებს, ობლებს და ტყვეებს აჭმევენ** (და ამბობენ)**: „ჩვენ მხ-**

ოლოდ ალლაჰის კმაყოფილებისათვის გაჭმევთ. არ გვსურს თქვენგან არც საზღაური და არც მადლობა. ჩვენ ღმერთის (იმ) **საშინელი განკითხის დღის გვეშინია, როდესაც** (ადამიანთა) **სახეები მოიქუფრება." ალლაჰიც მათ იმ დღის ბოროტებისგან** (და)**იცავს და ბედნიერებასა და სიხარულს მისცემს."** (სურა ინსანი, აიათები 8-11)

თუკი მოწყალების გამცემი ამ აიათით იხელმძღვანელებს, მისი ზნეობა ამის შესაბამისი იქნება მის გულში არსებული სიწმინდე და სიყვარული თანამოსაუბრეზეც აირეკლება და ის ადამიანი რომც არ იყოს ის პიროვნება, ვისაც მოწყალება ეკუთვნის, ღვთის წყალობით გამოფხიზლდება.

ამ ჭეშმარიტების გადმოსაცემად ალლაჰის შუამავალი ﷺ ბრძანებს:

„(ერთხელ) ერთმა კაცმა თქვა:

„მე აუცილებლად გავიღებ მოწყალებას."

შესაწირავი აიღო, სახლიდან გამოვიდა და ისე, რომ არ იცოდა, ის ერთ ქურდს ჩაუდო ხელში. მეორე დღეს მთელი უბანი ლაპარაკობდა:

„საოცარია, ამ ღამით ერთი ქურდისთვის მოწყალება მიუციათ!"

კაცმა თქვა:

„ დიდება ალლაჰს! მე აუცილებლად გავიღებ მოწყალებას."

კვლავ შესაწირავი აიღო, სახლიდან გამოვიდა და

ის (ამჯერადაც ისე, რომ არ იცოდა) მეძავს მისცა. მეორე დღეს ხალხი ამბობდა:

„ წარმოუდგენელია, ამ ღამით მეძავისთვის მოწყალება მიუციათ!“

კაცმა თქვა:

„დიდება შენ, ჩემო ალლაჰო! თუნდაც მეძავს მოწყალება რომ მივეცი, იმისათვის. მე აუცილებლად გავიღებ მოწყალებას.“

(იმ ღამეს კვლავ) სახლიდან გამოვიდა და მოწყალება (ამჯერადაც ისე, რომ არ იცოდა) ერთ მდიდარს ჩაუდო ხელში. მეორე დღეს ხალხი ამბობდა:

„ეს რა საქმეა! ამ ღამით ერთი მდიდრისთვის მიუციათ მოწყალება!“

კაცმა თქვა:

„გმადლობ, ალლაჰო, რომ საშუალება მომეცი თუნდაც ქურდის, მეძავისა და მდიდრისთვის მოწყალება მიმეცა.“

(ამ სიწმინდის გამო) ძილში იმ კაცს უთხრეს:

„ქურდისთვის მიცემულმა მოწყალებამ შესაძლოა ის შეარცხვინოს და ქურდობაზე ხელი ააღებინოს; მეძავმა შესაძლოა თავის ქმედებაზე ხელი აიღოს და პატიოსან ქალად იქცეს; მდიდარმაც შეიძლება ამისგან გაკვეთილი აიღოს და მისთვის ბოძებული ქონებისგან ღარიბებს დაურიგოს!“ (ბუჰარი, ზექათი 14; მუსლიმი, ზექათი 78, იხ. ნესაი, ზექათი 4)

უეჭველია, რომ ამ წმინდა ჰადისში ასახულ გამოვლინებასთან ერთად შეიძლება გადმოვცეთ წმინდა სამი ეფენდის შემთხვევა.

ვიღაც წმინდა ღვთისმოსავ სამი ეფენდისთან მივიდა და უთხრა:

„ბატონო ჰაჯი, ალლაჰის ხათრით, სიგარეტის ფული მომეცი!“

ამ გულუხვმა ადამიანმა წმინდა სამი ეფენდიმ ფული დაუფიქრებლად ამოიღო და კაცს გაუწოდა. გარშემომყოფებმა გაოცებით შეხედეს. გახარებული, საცოდავი კაცი იქაურობას გაეცალა.

ამ შემთხვევამ წმინდა სამი ეფენდის გვერდით მყოფებისგან განსაკუთრებით ერთი კაცის ყურადღება მიიქცია. ინტერესი ვერ დაიკმაყოფილა და სიგარეტის ფული რომ წაიღო, იმ კაცს გამოედევნა. მისდა გასაოცრად აღმოაჩინა, რომ იმ კაცმა იმ ფულით სიგარეტი კი არა, პური იყიდა.

აი, ალლაჰის სიყვარულით ჩადენილი სიკეთით მეორე პიროვნებაზე მოხდენილი ზეგავლენა. რა ბედნიერებაა, რომ ამ მოწყალებამ იმაზე მეტად ვისაც მისცეს, ამ კაცის გულზე იმოქმედა.

ღმერთო ჩემო, წყალობის ყველა გამოვლინება ქცეულიყოს ჩვენი გულის სამყაროს ხაზინად!

ამინ!

მუსლიმანური სამართლის ნორმებიდან

ზექათი (ქონების გადასახადი)

პირობები, რომლებზეც ზექათის გადახდა ფარძია

1. ადამიანი, ვისაც ზექათის გადახდა ევალება უნდა იყოს მუსლიმანი, სრულ ჭკუაზე მყოფი, სრულწლოვანი და თავისუფალი.

2. ვალის გარდა საარსებო საშუალებები, აუცილებელი რაოდენობით უნდა მოეპოვებოდეს.

3. მის ხელთ არსებული ქონება შემოსავლიანი უნდა იყოს.

4. ზექათის გადახდიდან კვლვ გადახდამდე ერთი მთვარის წელიწადი (ანუ 354 დღე) უნდა გავიდეს.

5. ზექათი პიროვნების მთელი ქონების მიხედვით უნდა გაიცეს.

ქონება და მისი ის რაოდენობა, რომელიც ზექათის მიცემას საჭიროებს

აუცილებელი ნიხრი: ცხვარი და თხა – ორმოცი, ხარი და ძროხა – ოცდაათი, აქლემი – ხუთი. ოქრო – 81 გრამი, ვერცხლი – 61 გრამი. თუ ოქროსა და ვერცხლისთვის ზექათის ნიხრი სტაბილურია (ერთი მეორმოცედი), ცხოველებთან დაკავშირებული ნიხრი და გადასახადი ზექათის რაოდენობა მათი რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდება.

ადგილები, სადაც გაიცემა ზექათი

უდიდესი ალლაჰი ბრძანებს:

إِنَّمَا الصَّدَقَاتُ لِلْفُقَرَاءِ وَالْمَسَاكِينِ وَالْعَامِلِينَ عَلَيْهَا وَالْمُؤَلَّفَةِ قُلُوبُهُمْ وَفِي الرِّقَابِ وَالْغَارِمِينَ وَفِي سَبِيلِ اللَّهِ وَابْنِ السَّبِيلِ فَرِيضَةً مِنَ اللَّهِ وَاللَّهُ عَلِيمٌ حَكِيمٌ

„ეჭვველად, მოწყალებანი (ზექათი) **მიიცემა მხოლოდ ღარიბებზე, ღატაკებზე, ამ** (ზექათის შეკრების) **საქმით დაკავებულებზე, მათზე, ვისი გულებიც შესაძლებელია** (ისლამით) **გათბეს, მონებზე, მოვალეებზე, ალლაჰის გზაზე მყოფებსა და მგზავრებზე. ალლაჰი მცოდნე და ბრძენია.“** (სურა თევბე, აიათი 60)

ამ აიათში ნათლადაა მოცემული იმ ადამიანების ნუსხა, ვისაც შეიძლება ზექათი მიეცეს:

1. ღარიბები: ისინი, ვინც რელიგიის მიხედვით

მდიდრებად არ ითვლებიან, ანუ არ არიან დადგენილი რაოდენობის ქონების მფლობელნი. ასეთ ადამიანებს სამუშაო და ძალ-ღონე რომც ჰქონდეთ, შეუძლიათ ზექათი აიღონ.

2. უპოვარნი: იმდენად ღარიბნი, რომ არ მოეპოვებათ დღიური საჭმელი.

4. ადამიანები, ვისაც შესაძლებელია ისლამის მიმართ გული გაუთბეთ.

5. მონები: ადამიანები, ვისთვისაც მონობიდან თავის დაიხსნა შესაძლებელია. მაგრამ დღეისათვის მონაობა აღარ არსებობს.

6. მოვალეები: მას, ვისაც ქონებაზე მეტი ვალი აქვს, ზექათი მიეცემა.

7. ალლაჰის გზაზე მყოფები: მუჯაჰიდები ,ჰაჯობაზე წასულნი და გზაში უფულოდ დარჩენილნი, კაცობრიობისა და მუსლიმებისთვის სასარგებლოდ სწავლა-განათლებით დაკავებულნი და ისლამის მქადაგებელნი.

8. გზაში დარჩენილები: თავის ქვეყანაში მდიდარიც რომ იყოს და გზაში უფულოდ დარჩეს, მასზე ადამიანები, ვისზეც ზექათი მიიცემა.

ზექათის მიცემა არ შეიძლება

დედაზე, მამაზე, ბებია-ბაბუაზე, ვაჟიშვილზე, ქალიშვილსა და შვილიშვილებზე, მდიდრებისა და არამუსლიმანებისთვის ზექათი არ მიიცემა. ამავე დროს

ცოლ-ქმარი ერთმანეთს ზექათს ვერ მისცემს.

ოშური (მიწის მოსავლის გადასახადი)

1. აბუ ჰანიფეს მიხედვით, მიწის მოსავალს ზექათის ნიხრი არ აქვს. ესე იგი, გარკვეულ რაოდენობასთან მოღწევისა და ერთი წლის გასვლის პირობა არ აქვს. აბუ იუსუფისა და იმამ მუჰამმედის მიხედვით კი მიწის მოსავლის ნიხრი 5 ესქი ანუ 653 კგ-ია. ამ ნიხრს რომ გადასცილდება, ოშურის გაცემაა საჭირო.

2. იმ ადგილებში, სადაც წელიწადში ერთზე მეტჯერ მოდის მოსავალი, ოშურიც მასზეა დამოკიდებული და ხელმეორედ გაიცემა.

3. გარდაცვლილი ადამიანის მემკვიდრეობად დარჩენილი მიწის მოსავლისგან, ბავშვის ან ფიქოლოგიურად დაავადებული ადამიანის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მოწეული მოსავლისგან ოშური გაიცემა.

4. აბუ იუსუფისა და იმამი მუჰამმედის მიხედვით, მიწის მოსავლის წილი ხუთი ვესკი, ესე იგი, ერთი ტონაა. ერთ ტონას რომ გადააჭარბებს, ოშურის გადახდას ექვემდებარება.

5. მოსავალი, რომელიც ოშურს საჭიროებს, ერთ წელს არ უნდა ფუჭდებოდეს. აქედან გამომდინარე, ხილსა და ბოსტნეულს ოშური არ სჭირდება. მსხალი, ვაშლი, ატამი, გარგარი, პომიდორი, პიმპილი, პრასა,

ნიახური და მსგავსი. ვინაიდან, ეს მოსავალი მალფუ-ჭებადია.

6. თუ ის ნაკვეთი, რომელზე მოწეულ მოსავალზეც ოშური გაიცემა, წვიმის, მდინარის ან წყაროს წყლით ირწყვება – 10%, თუ ნაყიდი წყლით ან წყალსაქაჩით, 5% ოშური გაიცემა. მას არ გამოაკლდება თესლის, დამუშავების, მორწყვის, შეწამვლის და სხვა ხარჯე-ბი.

7. თუკი ოშური გაცემული იქნება ზეითუნზე, ქუნ-ჯუთზე, მზესუმზირაზე, შემდეგ მათგან გამოხდილ ზეთზე ზექათის გადახდა აღარ არის საჭირო, მხ-ოლოდ ამის შემდეგ ის, ვინც მათ იყიდის გადაიხდის „ვაჭრობის ქონების“ ზექათს.

8. ოშური გაიცემა მოწეული მოსავლის დაან-გარიშების შემდეგ. წინასწარ ოშური არ გაიცემა. ჯერ კიდევ მოუწეველი მოსავლის და დაუმწიფებელი ხილის ოშურის გაცემა ნებადართული არ არის. მათ პატრონებს მხოლოდ მისი მოწევის შემდეგ შეუძლი-ათ ოშურის გადახდა.

9. თუკი შევჭამთ იმ მარცვლეულის ან ხილისგან, რომელზეც ოშური ჯერ გადახდილი არ არის, უნდა მოხდეს მისი კომპენსირება. მაგალითად, აბუ ჰანიფეს მიხედვით, თუკი შეგროვებული იქნება 10 კგ., საჭიროა ერთი კგ.–ის ოშურად კომპენსირება.

გულების გამაცოცხლებელი, ინდივიდუალური

და საზოგადოებრივი ღვთისმსახურება

ჰაჯობა

ისლამის ხუთი საფუძველიდან ერთ-ერთი – ჰაჯობა – არის ღვთისმსახურება, რომელიც შუამავლების ჯაჭვის პირველი რგოლის ადამისგანაა დაწყებული და მუჰამმედ შუამავლამდე გრძელდება, რომელიც ამ ჯაჭვის ბოლო რგოლია. ის მგზნებარე სიმღერებითა და სხვადასხვა დიდებული მოგონებებით არის აღსავსე. ამ ღვთისმსახურების აღსრულება ადამიანის გულს უმაღლეს საფეხურთან მიაღწევინებს, სრულყოფილ რწმენასა და შემეცნების ჭეშმარიტებას შეაგრძნობინებს. ის ადამიანს ამქვეყნადვე განკითხვის დღეს განაცდევინებს.

ის არის ღვთისმსახურება, რომელიც ადამიანს „გარდაცვალებამდე გარდაცვალების!“ საიდუმლოს ჭეშმარიტებას შეამეცნებინებს.

ჰაჯობის ღვთისმსახურება ისლამამდელ პერიოდშიც იყო, მხოლოდ კერპთაყვანისმცემლებმა ის

ღვთისმსახურებიდან ამოიღეს და ჩვეულებრივ ძლიერი პიროვნებების წინაშე გამოფენილ ამორალურ ოფიციალურ დღესასწაულად აქციეს. სწორედაც, არაბებს შორის პრივილეგირებული ყურაიშების წარმომადგენლები ქააბას გარს ტანსაცმელჩაცმულები უვლიდნენ, დანარჩენი არაბები, განურჩევლად იმისა, ქალი იქნებოდა თუ მამაკაცი, ქააბას გარს სრულიად შიშველი უვლიდა. ტანსაცმლის გამოყენება ამ შიშველი საზოგადოებისათვის და აკრძალული ადგილების დაფარვა, ყურაიშების გულუხვობასთან იყო დაკავშირებული. თუკი ყურაიშები მათ ტანსაცმელს მისცემდნენ – ჩაიცვამდნენ, თუ არა და ქააბას შიშვლები უვლიდნენ გარს. შეწირული ყურბნის სისხლს ქააბას კარებსა და კედლებზე უსვამდნენ, ხორცს კი წვავდნენ. და აი, ისლამმა ეს ურცხვი ჩვეულებები და მითები აღმოფხვრა. ისლამის ყოველი ღვთისმსახურების მთავარი მიზანი ალლაჰზე მადლიერების გამოხატვა და მისგან ცოდვების მიტევების, შეწყალების თხოვნაა.

❀

ჰაჯობა როგორც ღვთისმსახურება ამქვეყნიური და იმქვეყნიური დიდი სიბრძნის მაჩვენებელია.

ჰაჯობა ღვთიურ და დიდებულ კლიმატზე მიმდინარეობს, რომელიც ალლაჰის უსაზღრო წყალობას გამოავლენს. ეს არის იმ მუსლიმანების ღრმა რწმენა, რომელიც ალლაჰის შენდობით დაჯილდოვდნენ და რომლებიც ამ ექსტაზისა და სიყვარულის მღელვარებას განიცდიან.

ჰაჯობა ეს არის რწმენა ძმობისა, რომელიც შეიძლება ისწავლო წმინდა იბრაჰიმ შუამავლისა და ისმაილ შუამავლის ღმერთის იმედად ყოფნისა და მორჩილებით; რომლითაც შეიძლება ჩვენში არსებული ბოროტებისა და ჩვენ გარშემო არსებული ეშმაკისეული საქციელის განდევნა; რომელიც გაჭირვებიდან დაიხსნის და ღმერთს შეიძლება შეაფაროს ადამიანი, ის ადამიანს შეაგრძნებინებს განკითხვის დღის იმ თავზარდამცემი სანახაობის შიშს და მუსლიმანების ერთად თავმოყრას უწყობს ხელს.

სხვა გაგებით, ჰაჯობა – ეს არის ტანისამოსისგან განთავისუფლება, სულის სიღრმეებში ჩაწვდომისა და ვნებათაღელვების ქარიშხლისგან თავდახსნის მცდელობა.

ის წმინდა ადგილები, სადაც ჰაჯობა სრულდება, დიდებული სამყაროს სულიერების კლიმატშია გახვეული. ეს კლიმატი ალლაჰის სიმბოლოებითაა აღსავსე. იქ ყოველთვის ალლაჰის წყალობა და ნაყოფიერების მოგონება სუფევს. სწორედ ამიტომაც ყურანში იმ კლიმატის აღწერისას ამ სიმბოლოებს ალლაჰის ნიშნები და ალლაჰის წყალობა უწოდეს.

გამომდინარე აქედან, ჰაჯობის ძირითადი მიზანია, იმ ღვთიური ადგილების პატივისცემა, იქ მყოფი წმინდანების მოგონებით გულების შემკობა.

ის წმინდა მიწები, სადაც ჰაჯობა სრულდება, წმინდა ადამიდან მოყოლებული მორწმუნე გულების სუ-

ლიერების წყალობით ნაყოფიერი გახდა, სიყვარულის ცრემლებით მოირწყო. ის ვინც ჰაჯობას გულითა და სულით ასრულებს, იმ ადგილებში ამ მორწმუნეებისა და რამდენიმე შუამავლის სულიერების კვალს ეძებს და მათი მოგონებით ნაყოფიერებას იძენს, რადგანაც ეს წმინდა ადგილები, რომელიც განსაკუთრებული ნაყოფიერების წყაროა, შუამავლების ჯაჭვის შესახებ ძვირფასი მოგონებითაა აღსავსე. იქიდან მუდამ ალლაჰის წყალობა მოდის.

ის, ვინც ღვთისმსახურებისა და ჰაჯობის უამრავი მიზეზით იმ წმინდა ადგილებზე ფეხს დაადგამს, წმინდა იბრაჰიმ შუამავლის ვედრებაში მონაწილეობას იღებს და ამ ვედრების შედეგი მათზეც გადმოდის:

„ღმერთო, შეგვინდე ჩვენი ცოდვები, გვაპატიე! შენ ყველაზე მეტად მოწყალე და მწყალობელი ხარ. ღმერთო! ჩემი შვილებიც ჩემს გზაზე დააყენე, ჩემი რწმენა მიაღებინე!“

ეს და მსგავსი უთვალავი მიზეზი მორწმუნეების გულებს ამ წმინდა ადგილების ნახვის დაუოკებელი სურვილით იპყრობს. უდიდესი სიყვარულის ქარავნები ზოგჯერ ასე მღეროდნენ: „ვედარ ვხედავ ვერც ახლოს, ვერც შორს, მშვენიერო ქააბავ, მოვდივარ შენკენ!“–

ზოგჯერ კი ლამაზი და ნელი ხმით ოხრავდნენ:

„ოი, დილის ნიავო! თუკი მექასა და მედინაში შეუხვევ, იქაურობას, განსაკუთრებით ადამიანებისა და

ჯინების შუამავალს – წმინდა მუჰამმედს ჩემი სალამი გადაეცი!“

ამ სიტყვებით იმ წმინდა ადგილებსა და წმინდა შუამავალს სიყვარულით სავსე სალამს უგზავნიდნენ. მათდამი სიყვარული გულებში ისე ღრმად ჩაუმარხიათ, რომ სწორედ ამ სიყვარულის გამომჟღავნებაა წმინდა მიწაზე წასულთათვის გზის დალოცვა და სალამის დაბარება. პოეტი მათ სიყვარულით სავსე გულის ჩურჩულით აღმომხდარ სურვილებს ამგვარად გადმოგვცემს:

თქვენ მიერ გავლილ გზებს,
ჩვენგან სალამი წაუღეთ!
ღმერთის მონა-მსახურებს,
ჩვენგან სალამი წაუღეთ!

და როცა ჰაჯს მიაღწევთ,
იწვევთ მარადიულ სიამოვნებას,
ძვირფას მუჰამმედ მუსტაფას
ჩვენგან სალამი წაუღეთ!

„ლებბეიქ“ – უთხარით მის მოდგმას,
იჩქარეთ ზემზემის წყაროსთან,
ბენი ჰაშიმის შთამომავლებს,
ჩვენგან სალამი წაუღეთ!

იჰრამს ჩაიცვათ ისე, რომ
ხელს არ შეახებთ ჰარამს,
შუამავლის თანამიმდევრებს
ჩვენგან სალამი წაუღეთ!

ის ვინც სიყვარულის ბაღში შევა,
დაუდევრობის ქსელში არ ჩავარდება,
სიმართლის იმ ლამაზ მთას
ჩვენგან სალამი წაუღეთ!

გული — ჰათიმეს,
მუხლი მოუყარეთ რაჰიმს,
იბრაჰიმის სადგომს —
ჩვენგან სალამი წაუღეთ.

ღმერთისგან მოსულ წყალობის სიგელს,
ყოველმხრივ ფრთებგაშლილს,
მინას, არაფატს —
ჩვენგან სალამი წაუღეთ!

უძველესი დროიდან მოყოლებული მათ, ვისაც გულები ამ სიყვარულით უდუღდათ, მის დასამშვიდებლად, დროის საზომის დასამარცხებლად უდიდესი ღმერთის წყალობის მხარეში გარბოდნენ და ნა-

მაზს იქ ლოცულობდნენ. მათგან ზოგიერთი ძალიან ბევრ ღარიბს, რომელსაც შესაძლებლობა არ ჰქონდა, ამ ღვთისმსახურების შესრულებისას ჰაჯობის მოლოცვის, საშუალებას აძლევდა. ცნობილია შემთხვევა, რომელმაც აზიზ მაჰმუდ ჰუდაის სულიერების სამყაროში გაფრენის საშუალება მისცა.

ბურსას ყადად ყოფნისას, წმინდა ჰუდაისთან ერთი უჩვეულო საჩივარი შევიდა. ერთი ქალი ქმარს შემდეგს უჩიოდა:

„ბატონო მოსამართლევ, ჩემი ქმარი ყოველ წელს ჰაჯობაზე წასვლას ისახავს მიზნად, მაგრამ სიღარიბის გამო, ერთხელაც ვერ წავიდა. წელსაც გადწყვიტა წასვლა, მე კი მითხრა: „წელსაც თუ ჰაჯობაზე ვერ წავედი, გაგეყრებიო!“ შემდეგ ყურბან ბაირამის მოახლოებისას სადღაც დაიკარგა. ხუთი ექვსი დღის შემდეგ მოვიდა და მითხრა, რომ ჰაჯობაზე წავედი და მოვედიო. ასეთი რამ შეიძლება? ბატონო მოსამართლევ, მინდა ამ კაცს გავეყარო!“

მოსამართლე მაჰმუდმა შემოსული საჩივრის გამოძიების მიზნით ქალის ქმარი გამოიძახა და ჰკითხა მისი ცოლის მონათხრობი მართალი იყო თუ არა. კაცმა უპასუხა:

„ბატონო მოსამართლევ, ჩემი ცოლის მონათხრობიც მართალია და ჩემიც. იცოდეთ, რომ მე ჰაჯობაზე მართლა წავედი და მოვედი. იმ წმინდა მიწებზე ზოგიერთ ბურსელ ჰაჯებსაც შევხვდი და ჩემთვის წამოსაღები საჩუქრებიც კი მივაბარე.“

გაოცებულმა მოსამართლემ ჰკითხა:

„ეს როგორ იქნება, ბატონო?!“

საცოდავმა კაცმა თხრობა დაიწყო:

„ბატონო, ისე, როგორც ყოველ წელიწადს, წელსაც ჰაჯობაზე რადგან ვერ წავედი, დიდად დამწუხრებული მეძველმანე ბაბუა მეჰმედთან წავედი. მან ხელები დამიჭირა და მთხოვა თვალები დამეხუჭა. თვალები რომ გავახილე, ქააბაში ვიყავი!“

ამგვარ შემთხვევას მოსამართლე ჯერ არ შესწრებოდა, ეს შეუძლებლად ჩათვალა და კაცის ნათქვამი არ დაიჯერა.

კაცმა, რომელიც ჯერ კიდევ იმ წმინდა მიწაზე მიღებული სულიერების ზემოქმედების ქვეშ იყო, წამოიყვირა:

„–ბატონო მოსამართლევ! ეშმაკს, რომელიც უდიდესი ალლაჰის მტერია, შეუძლია ერთ წამში მთელი სამყარო მოიაროს, მაშ, ალლაჰის მეგობარს, მის მონამსახურს, რატომ არ შეუძლია მიაღწიოს ქააბამდე?!“

მოსამართლეს ეს პასუხი საზრიანად ეჩვენა და გადაწყვეტილების გამოტანა ბურსელი ჰაჯების დაბრუნებამდე გადადო. ბურსელი ჰაჯების დაბრუნების შემდეგ ჩატარებულმა გამოძიებამ მოსამართლე გააოცა. ის იძულებული გახდა საჩივარი გაეუქმებინა, მაგრამ გულში ამოცანის ამოხსნის სურვილი გაუჩნდა. შემდეგ კი მეძველმანე ბაბუას საშუალებით უფთადეს ჯაჭვის რგოლად იქცა.

მოკლედ, იმ წმინდა მიწაზე ადამიანები ქვიშიანი ველების სანახავად არ მიდიან. იქ მიემართებიან იბრაჰიმის ადგილის, ისმაილისა და მისი შვილის სამშობლოს სანახავად. მიზანი იმ ადგილების ნახვაა, სადაც ალლაჰის შუამავალი დაიბადა და გაიზარდა. აგრეთვე, მისი ნასუნთქი ჰაერით ფილტვებისა და გულის ავსებაა. პოეტი ამბობს:

„საითაც არ უნდა გაიხედო, ათასგვარ სასწაულს დაინახავ და გულში ჩაიბეჭდავ. აი, ადგილი ეს არისო, – იტყვი!“

ასე რომ, პოეტის მიერ გამოხატული ნათქვამი მშრალი სიტყვები არ არის, რადგან უდიდესი ღმერთი ბრძანებს:

فِيهِ ءَايَاتٌ بَيِّنَاتٌ

„მასშია ცხადი სასწაულნი“ (სურა ალი იმრანი, აიათი 97)

აქედან გამომდინარე, ადამიანები, რომლებიც თვალებზე აფარებულ ფარდებს ჩამოიხსნიან და გულის თვალით შეხედავენ იმ წმინდა მიწას, რწმენით აღიგზნებიან და ღმერთის სიყვარულს გულის სისხლძარღვები მოძრაობაში მოიყვანს. საითაც არ უნდა გაიხედონ, ყველაფერი მათ დაფიქრებას იწვევს. ამგვარად, თვალები მუდამ აცრემლებული აქვთ და ენა განუწყვეტლივ ღმერთს სცემს თაყვანს. იმ წმინდა მიწაზე დრო მოკრძალებასა და პატივისცემაში გადის. ეს კი აიათში გაცხადებული ღვთიური ბედის წილხვდომაა.

ذَلِكَ وَمَنْ يُعَظِّمْ شَعَائِرَ اللَّهِ فَإِنَّهَا مِنْ تَقْوَى الْقُلُوبِ

„ვინც პატივისცემით მოეკიდება ალლაჰის (რჯულის) ნიშნებს (ალლაჰის კანონებს), **უეჭველად, ეს მათ გულთა ღვთისმოშიშობისგანაა.“** (სურა ჰაჯი, აიათი 32)

ამ გადასახედიდან ჰაჯობა მხოლოდ მატერიალური ღვთისმსახურება არ არის. ის არის ღვთისმსახურება, რომლის მატერიალურ მხარესთან ერთად სულიერი მხარეც ძალიან მნიშვნელოვანია. ის, რომ წმინდა შუამავალი ﷺ მას თავიდან ბოლომდე სიკეთისა და სილამაზისგან შემდგარს უწოდებდა, ამის მაჩვენებელია. აქედან გამომდინარე, ჰაჯობა მონანიებით, ვედრებითა და მიტევების თხოვნით გულებს წყალობას, ნაყოფიერებას და ღირსებას მოაპოვებინებს. იგი ცხოვრების ღვთისმოსავი ქმედებებით შემკობაა; უდიდესი ღმერთისთვის პირობის მიცემაა; რომ ჰაჯობის შემდეგაც ამ მდგომარეობას შევინარჩუნებთ.

საოცარია წმინდა იბრაჰიმის შემდეგი ვედრება:

رَبَّنَا وَاجْعَلْنَا مُسْلِمَيْنِ لَكَ وَمِنْ ذُرِّيَّتِنَا أُمَّةً مُسْلِمَةً لَكَ وَأَرِنَا
مَنَاسِكَنَا وَتُبْ عَلَيْنَا إِنَّكَ أَنْتَ التَّوَّابُ الرَّحِيمُ

„ღმერთო ჩვენო! გვყავ ჩვენ (მე და ჩემი შვილი ისმაილი) მართლმორწმუნედ შენად და ჰქმენ ჩვენი შთამომავალთთაგანი მართლმორწმუნე ხალხი, და გვიჩვენე (ადგილები) (და) წესები **შენი ღვთისმსახურებისა. და შეგვიწყალე ჩვენ. უეჭველად, შენ ხარ**

მომნანიებელთა შემნდობი და შემწყნარებელი!“ (სურა ბაყარა, აიათი 128)

ჰაჯობის აღსასრულებლად მომართული, ღმერთის სიყვარულით აღვსილი გულები, ერთი მხრივ, ღმერთს ევედრებიან; მეორე მხრივ, მექას ქუჩებში დადიან და წმინდა შუამავლის ﷺ ნაფეხურის კვალს ეძებენ, მღელვარებას განიცდიან და უამრავი მოგონებით ივსებიან. ეს გრძნობა მათ აღტაცებითა და მოკრძალებით აღავსებს, რასაც ისინი სხვა სამყაროში გადაჰყავს. მაგალითად, როცა ისინი იმ მიმართვის შესახებ ფიქრობენ, რომლითაც წმინდა შუამავალმა ﷺ მექელ კერპთაყვანისმცემლებს მიმართა, თვალწინ ის მომენტი წარმოუდგებათ. ან როცა ამ ბორცვზე მდგარი მიუთითა აბუ ქუბაისის მთისკენ და უთხრა:

„რომ გითხრათ; „ამ მთის უკან მტერია, აქეთ მოიწევს, რათა დაგხოცოს-მეთქი; დამიჯერებთ?“

მექელებმა უთხრეს:

„დავიჯერებთ. დიახ, იმ მთის უკანა მხარე თუნდ ვერ დავინახოთ, მაინც დაგიჯერებთ! იმის გამო, რომ შენ „სანდო-მუჰამმედი“ ხარ, შენს მოტანილ ამბავში ეჭვს ვერასდროს შევიტანთო“- უთხრეს!!“

ამაზე წმინდა შუამავალმა ﷺ უთხრა:

„ისე როგორც ეს გჯერათ, ისიც დაიჯერეთ, რომ ამ სამყაროს შემქმნელი ერთადერთი და ყოვლისშემძლე ალლაჰია! კერპები, რომლებსაც თქვენ თაყვანს სცემთ, უსუსური ქვების, მიწის ან შეშის ნატეხებია. ისინი უარყავით და ერთადერთ ალლაჰს ეცით თაყ-

ვანი. იცოდეთ, რომ ალლაჰმა თქვენს შუამავლად მომავლინა.“

კერპთაყვანისმცემლებმა, ბიძამისის – აბუ ლეჰების მეთაურობით ჰკითხეს:

„აქ ამისთვის დაგვიძახე?“

მიტრიალდნენ და იქაურობას გაეცალნენ. მათ წმინდა არსების შინაგანად სწამდათ, მაგრამ ვნებას დაემორჩილნენ.

იმ წმინდა არსებას, ამ და მსგავსი უამრავი დაუდევრობის გამოვლინების მიუხედავად, არ შეშინებია, მოწყურებულ გულებს ღვთიურ ჭეშმარიტებებს ყველა საფეხურზე სიცოცხლის წყაროსავით აწოდებდა.

ჰაჯობისას ამგვარ საოცარ ჭეშმარიტებაზე თუ ჩავფიქრდებით და გარემოს გულის თვალით შევხედავთ, წმინდა შუამავლის ﷺ საგანმანათლებლო ცენტრის – „დარულ ერქამის“ წინ თავმდაბლობით აღსავსე ყურანის შემსწავლელების ანარეკლს და ამ შესწავლის შემდეგ განხორციელებულ ჰიჯრას დავინახავთ, აქ განცდილი გულის გამოცდა ღვთიური ნაყოფიერებით შემდგომში თან გაგვყვება.

განსაკუთრებით სევრის მაღაროში წმინდა შუამავალსა ﷺ და წმინდა აბუ ბაქრს შორის გამართული არამატერიალური ვაჭრობის მოწმე შეიძლება გავხდეთ. იქ მათ შორის სამი დღის განმავლობაში ღმერთის საიდუმლოში ღრმად ჩაძირული და გულის პროგრესისკენ მიმართული ცხოვრების საკითხზე გამართულ საუბარს შევიგრძნობთ. ამ საუბრით დაწყე-

ბული „ოქროს ჯაჭვის“ სიყვარულით ექსტაზის გარემოში, ჩვენი გული რწმენის სიტკბოს სრულყოფილად იგემებს. ამ სიამოვნებაგანცდილი თითოეული ადამიანი მაგალითად აიღებს შუამავლის თანამიმდევრებს და მათ კვალს მიჰყვება. ათასი საოცრებით აღსავსე მედინის მოგონების შემდეგ კვლავ მექაში დავბრუნდებით, ესე იგი, თვალწინ გაცოცხლდება შუამავლის გამარჯვება მექაზე. როცა გარშემო მთებს შევხედავთ, გონებაში შუამავლის თანამიმდევრებისგან შემდგარი ლაშქარი წარმოგვიდგება, რომელთაც კერპთაყვანისმცემლების გულში შიშის დასათესად ანთებული ლამპრები მოჰქონდათ, ამ ლამპრის შუქი გონებაში ისე გაგვიცოცხლდება, როგორც ნანახი სიზმარი. ბილალ ჰაბეშის მიერ წაკითხული ეზნის ხმა ყურში ცხადად ჩაგვესმება. თვალწინ წარმოგვიდგება მექაში კერპების ჩამოვარდნა, ალლაჰის შუამავლის მიერ შემდეგი აიათის წაკითხვას რომ მოჰყვა:

„ჭეშმარიტება მოვიდა, სიცრუე გააბათილა...“ (სურა ისრა, აიათი 81)

ამის შემდეგ, ჩვენი გული ქააბას დაემსგავსება. გული, რომლის ერთი ნაწილიც ამ ქვეყნიერების სიყვარულით კერპთაყვანისმცემლად არის ქცეული, ჰაჯობის ყოველი საფეხურიდან აღებული სულიერი და მორალური ძალით, ამ კერპების დამსხვრევასა და სრულყოფილად ღმერთისკენ მობრუნებას შეძლებს.

ჰაჯობის ღვთისმსახურება, რომელიც ამგვარ და უფრო მაღალ ბედნიერებასთან მისაღწევი კარია, ყველასთვის სულიერი განწმენდის, გაბრწყინებისა და

მკვდრეთით აღდგომის განცდაა. ჰაჯობა ის ყოველის-მომცველელი ღვთისმსახურებაა, რომელიც მკვდრეთით აღდგომას განგვაცდევინებს და რწმენის ვალდებ-ულებებს სრულყოფილად აღგვასრულებინებს.

ჰაჯობა სულიერი ცხოვრებისკენ ერთი ნაბიჯის გადადგმაა. ის ადამიანს სულიერ ჰარმონიას მოაპოვე-ბინებს. ეს ის ღვთისმსახურებაა, რომელიც ძლიერი სულიერი წვიმით დაგვბანს და გაგვწმენდს, ის სუ-ლიერების გამოვლინებითაა აღსავსე.

არაფატი - მიტევების და თავშესაფრის ადგილი

არაფატი განკითხვის დღეს საფლავიდან ადგომასა და ხალხის ჯგუფ-ჯგუფად განსასჯელ მოედანზე შეკრებას მოგვაგონებს. ყველა მონა-მსახური, მოთ-მინებითა და იმედით, ალლაჰის პატიებას ელოდება. გულები და თვალები მონანიების ცრემლებით სველ-დება. ალლაჰთან თავშესაფრის გულწრფელი ძიე-ბა იწყება. ცხოვრების რვეულში სუფთა ფურცელი იშლება, უდიდეს ღმერთს პირობას აძლევენ, რომ ცხ-ოვრებაში ამის შემდეგ მორჩილად მოიქცევიან.

ამგვარად, არაფატი განკითხვის მოედნის სურათს წარმოადგენს. განკითხვის დღის მდგომარეობის ერთ ნაწილს ადამიანი იქ განიცდის. იქაურობა, ჩვეუ-ლებრივ, საფლავიდან ადგომას, ცოდვების მონანიებით ყველას საკუთარ დარდში ჩაღრმავებას, განკითხვის მოედანზე მისვლასა და გამოუვალ მდგომარეობა-ში ჩავარდნილი, აკანკალებული გულით ღმერთზე ვედრებას მოგვაგონებს. სხეულის ზემო და ქვემო ნაწილებზე შემოხვეული ორი ნაჭერი მატერიით,

თავღია, ფეხშიშველი და ყოველგვარი ამქვეყნიური რეგალიების უქონლობით, წუთისოფლის გამოცვლას შეგვაგრძნობინებს.

მეორე მხრივ, არაფატი ძველ მოგონებებსაც გვახსენებს. როცა წმინდა ადამმა და ევამ აკრძალული ხილი შეჭამეს, ღმერთმა ამისთვის ისინი სამოთხიდან გამოაძევა და დედამიწის სხვადასხვა კუთხეში დაასახლა, რის გამოც მათ ძლიერ ენატრებოდათ ერთმანეთი.

დაფიქრდა რა წმინდა ადამი შუამავალ მუჰამმედის პატივსა და ღირსებაზე უზენაეს ალლაჰს შეევედრა ეპატიებინა წმინდა მუჰამმედისა და მისი შთამომავლების ხათრით. მისი თხოვნა მიღებული იქნა, უდიდესმა ალლაჰმა მას მექასკენ მიმავალი გზის საჩვენებლად ანგელოზი გამოუგზავნა. ამ ვედრების წყალობით, ჯიდდეში მცხოვრებ ევასაც სხვა ანგელოზი მოევლინა, ისინი ერთმანეთს არაფის დღეს, სამხრობისას, არაფატის დაბლობში შეახვედრა ალლაჰმა. სიხარულით ატირებულებმა ღმერთს კვლავ ცოდვების მიტევებას თხოვეს.

უდიდესმა ალალჰმა, რომელიც უსაზღვროდ მოწყალე და დიდსულოვანია, არა მარტო ისმინა მათი ვედრება, აგრეთვე, მათ იმის ბედნიერებაც მიანიჭა, რომ მათი შთამომავლები განკითხვის დღემდე, ყოველ წელს, იმავე დღეს და საათს, იმავე ადგილას თუ მივიდოდნენ პატიების სათხოვნელად – ეპატიებოდათ. ეს იმის პირობა იყო, რომ მათ მიჰტევებოდათ და სიკეთე მინიჭებოდათ. აი, რაში გამოიხატება მონანიების არსი

და სიბრძნე, რასაც ჰაჯობაისას არაფატზე აკეთებდნენ.

ამ შეხვედრის შემდეგ, ადამი და ევა იმ ადგილას დასახლდნენ, სადაც დღეს ქალაქი მექა მდებარეობს. ეს ქალაქი მათ სამშობლოდ იქცა. მეორე სახელად მექას „**უმმულ - ყურასაც**“ ეძახიან, რაც „დასახლების დედას“ ნიშნავს.

ვინაიდან მექა არის ადგილი, რომელიც სამშობლოს, ფერის, ტანისამოსის, გარეგნობის და სხვა მსგავსი ცნებების გარეშე ყველა მორწმუნეს ერთი ისლამური ძმობის დროშის ქვეშ აერთიანებს. იქ ყველა მბრძანებელი, უცხოელი, მდიდარი, ღარიბი, უცოდინარი, სწავლული, მეფე, ქვეშევრდომი – ყველა ერთნაირ ტანსაცმელში, ერთ მოედანზე და ერთ მწკრივშია. ეს წმინდა ადგილი უსაფრთხოების, სიმშვიდისა და სიყვარულის აკვანია, გულების ნაყოფიერებითა და წყალობით ამვსები შუამავლების ბუდეა. მიუხედავად იმისა, რომ ისლამური სამყარო მწარე ტკივილებს განიცდის, ამ წმინდა ადგილებში ჰაჯობისა და უმრას დროს გაერთიანების, სულიერი ძმობისა და სიყვარულის ის მწვეერვალია გამოვლენილი, რომ მსოფლიო ერებს წარმოდგენაც კი არ შეუძლიათ. ამ ერებს შექმნილი აქვთ არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია და ცდილობენ მიაღწიონ ამგვარი ერთობის დონეს, მაგრამ სრულყოფილ წარმატებას ვერაფრით მიაღწიეს. ვინაიდან, მათი გაუმაძღარი, მატერიალიზმისადმი მზარდი მოთხოვნილებები სულიერი დეგრადაციის ფონზე უთანხმოებებს, სიძულვილს, მტრობას,

უსამართლობას, პრივილეგირებულობის სურვილებს წარმოშობს და თანასწორად ცხოვრების საშუალებას არ აძლევს.

❀

არაფატის შემდგომი გაჩერება მუზდელიფეა. ეს არის ადგილი, რომელიც ყურანში აღნიშნულია, როგორც „ელ მეშარულ ჰარამი“ და ის არის სულიერებით, წყალობის გამომჟღავნებით აღსავსე ადგილი. ეს არის ადგილი, სადაც დიდი სიყვარულითა და მორჩილებით მხოლოდ ალლაჰის დიდებულებასა და ძალაზე ფიქრობ, სააქაოს და საიქიოს სრულიად ივიწყებ.

ჰაჯობის დღეებში ჩვენ იბრაჰიმის მეტაფიზიკური ყურბნის სიმბოლოდ მსხვერპლად ცხოველს ვიღებთ, მსხვერპლშეწირვა გვეხმარება ჩვენ მთელი სულით შევიგრძნოთ და განვიცადოთ შუამავლის განცდები. ისინი, ვინც შეძლებენ ამას, იხსენებენ აიათებს წმინდა ყურანიდან:

إِنِّي وَجَّهْتُ وَجْهِيَ لِلَّذِي فَطَرَ السَّمَوَاتِ وَالْأَرْضَ حَنِيفًا وَمَا أَنَا مِنَ الْمُشْرِكِينَ

„უეჭველად, მე როგორც ჰანიფი (ერთადერთი ალლაჰის გულითადი თაყვანისმცემელი) **პირს ჩემსას ვიქცევ იმისკენ, ვინც ცანი და დედამიწა გააჩინა. და მე არა ვარ კერპთაყვანისმცემელთაგანი.“** (სურა ენამი, აიათი 79)

قُلْ إِنَّ صَلَاتِي وَنُسُكِي وَمَحْيَايَ وَمَمَاتِي لِلَّهِ رَبِّ الْعَالَمِينَ

لَا شَرِيكَ لَهُ وَبِذَلِكَ أُمِرْتُ وَأَنَا أَوَّلُ الْمُسْلِمِينَ

„სთქვი: უეჭველად, ჩემი ლოცვა და ჩემი ყურ-ბანი (ღვთისმსახურებანი), **ჩემი სიცოცხლე და ჩემი სიკვდილი სამყაროთა ღმერთის – ალლაჰისთვისაა. მას არავითარი მოზიარე არა ჰყავს. ეს მებრძანა და მუსლიმანთაგან პირველიც მე ვარ.“** (სურა ენამი, აიათები 162-163)

ბაბილონიდან დამასკოში მიმავალმა, წმინდა იბრა-ჰიმმა

وَقَالَ إِنِّي ذَاهِبٌ إِلَى رَبِّي سَيَهْدِينِ

رَبِّ هَبْ لِي مِنَ الصَّالِحِينَ

„თქვა: „მე ჩემს ღმერთთან მივდივარ; ის მე ჭეშ-მარიტ გზას მიჩვენებს! ღმერთო, ღვთისმოსავი შვილი მიბოძე!“ (სურა საფფათ, აითები 99-100)

აქ მინიშნებულია გულის, ესე იგი, შინაგანი სამ-ყაროს მგზავრობაზე ღმერთთან შესახვედრად.

აიათის გაგრძელებაში წმინდა ისმაილის შესახებ მახარობლობა და ყურბნის ამბავია გადმოცემული.

فَبَشَّرْنَاهُ بِغُلَامٍ حَلِيمٍ

„ჩვენ მას გონიერი შვილი ვუმახარობლეთ.“ (სურა საფფათი, აიათი 101)

فَلَمَّا بَلَغَ مَعَهُ السَّعْيَ قَالَ يَابُنَيَّ إِنِّي أَرَى فِي الْمَنَامِ أَنِّي أَذْبَحُكَ فَانْظُرْ مَاذَا

تَرَى قَالَ يَاأَبَتِ افْعَلْ مَا تُؤْمَرُ سَتَجِدُنِي إِنْ شَاءَ اللَّهُ مِنَ الصَّابِرِينَ

„და როცა მასთან (მამასთან) **ერთად სიარული შეეძლო** (მამამ) **უთხრა: „შვილო, მესიზმრება, ყელს გჭრი; დაფიქრდი,** (ამაზე) **რას იტყვი?“** (შვილმა) **უპასუხა: „მამაჩემო გააკეთე ის, რაც** (ალლაჰისგან) **გებრძანა! უეჭველად, ღმერთით, მომთმენთაგან** (მიხილავ) **მიპოვი!“** (სურა საფფათი, აიათი 102)

فَلَمَّا أَسْلَمَا وَتَلَّهُ لِلْجَبِينِ وَنَادَيْنَاهُ أَنْ يَاإِبْرَاهِيمُ

قَدْ صَدَّقْتَ الرُّؤْيَا إِنَّا كَذَلِكَ نَجْزِي الْمُحْسِنِينَ إِنَّ هَذَا لَهُوَ الْبَلَاءُ الْمُبِينُ

„ორივე (ღმერთს) **მიენდო და** (როცა იბრაჰიმმა შვილი დასაკლავად) **პირქვე დააწვინა, მას ასე შეეხმიანეთ: „ეი, იბრაჰიმ, შენი სიზმარი განახორციელე. უეჭველად, ჩვენ, სიკეთის მკეთებლებს ასეთნაირად ვაჯილდოებთ. ეს მართლაც ძალიან მძიმე გამოცდა იყო.“** (სურა საფფათი, აიათები 103-106)

وَفَدَيْنَاهُ بِذِبْحٍ عَظِيمٍ وَتَرَكْنَا عَلَيْهِ فِي الْآخِرِينَ

سَلَامٌ عَلَى إِبْرَاهِيمَ كَذَلِكَ نَجْزِي الْمُحْسِنِينَ إِنَّهُ مِنْ عِبَادِنَا الْمُؤْمِنِينَ

„ჩვენ ნაცვლად შვილის შეწირვისა, (ალლაჰის წინაშე დადებული პირების შესასრულებლად) **მას** (იბრაჰიმს) **გამოსასყიდად დიდი** (ერკემალი) **ზვარაკი**

ვუბოძეთ. და (შთა)**მომავალთა შორის მისი** (კარგი სახელი) **დავტოვეთ. „სალამი იბრაჰიმს!“ აი, ასეთნაირად** (და)**ვაჯილდოებთ კეთილშობილებს. უეჭველად, ის ჩვენი მორწმუნე მონა-მსახურთაგანი იყო.“**

(სურა საფფათი, აიათები 107-111)

დატოვა რა ჰაჯერი და ისმაილი მექაში, წმინდა იბრაჰიმი სარასთან დაბრუნდა. მათ კი ზოგჯერ შეუვლიდა ხოლმე. ერთი ასეთი მგზავრობისას მექაში ესიზმრა. ისე როგორც აიათშია ნაბრძანები, ისმაილს ყურბნად სწირავდა. იბრაჰიმი ვერ გარკვეულიყო სიზმარი ეშმაკისგან იყო თუ ღმერთისგან. ეს სიზმარი სამჯერ ზედიზედ ესიზმრა. ეს სამი დღე არაფას წინა დღეს, არაფა დღეს და ყურბან ბაირამის დღეებს ემთხვეოდა.

ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, იბრაჰიმმა თქვა:

„ალლაჰო, შვილს თუ მიწყალობებ, მას მსხვერპლად შემოგწირავო!“

აი, ამ სიტყვის გამო გამოიცადა ის.

დარწმუნდა რა, სიზმარი ღვთიური ბრძანება იყო, იბრაჰიმ შუამავალმა მისი აღრულებისათვის, ჰაჯერს ისმაილის ლამაზი ტანისამოსით შემოსვა და სასიამოვნო სუნამოს პკურება სთხოვა, რათა ვითომც ის ერთ-ერთ თავის მეგობართან უნდა წაეყვანა. ისმაილს უთხრა, რომ „შვილო თოკი და დანა თან წამოიღე, ალლაჰის ხათრისთვის ყურბანი უნდა დავკლაო!“

მან არაფატზე იმ ადგილისაკენ აიღეს გეზი, სადაც ჰაჯები ჩერდებიან. ამ დროს ეშმაკმა ადამიანის სახე მიიღო, ჰაჯერთან მივიდა და უთხრა:

„იცი, იბრაჰიმს შენი შვილი სად მიჰყავს?“

მან უპასუხა:

„მეგობართან მიჰყავს.“

„არა, დასაკლავად მიჰყავს...“

ჰაჯერმა უპასუხა:

„მას შვილი ძალიან უყვარს!“

„ალლაჰის ბრძანების გამო, ყელი უნდა გამოჭ-რას!“

„თუ ალლაჰმა უბრძანა – ვემორჩილებით!“

ეშმაკმა ჰაჯერი რომ ვერ შეაცდინა, ისმაილთან მივიდა. ამჯერად მას ჰკითხა:

„იცი, მამას სად მიჰყავხარ?“

ისმაილმა უპასუხა:

„ალლაჰის ბრძანების შესასრულებლად.“

„იცოდე, დასაკლავად მიჰყავხარ!“ – სცადა ის აეღ-ელვებინა.

ისმაილმა ეშმაკს უპასუხა:

„მომშორდი, წყეულო! ჩვენ ღმერთის ბრძანებას სიხარულით აღვასრულებთ ხოლმე!“

ეშმაკი განდევნა და ქვები დაუშინა.

ეშმაკმა ისმაილიც ვერ შეაცდინა და იბრაჰიმს მიუბრუნდა:

„მოხუცო! შვილი სად მიგყავს? სიზმარში შენ ეშმაკმა მოგატყუა! ის სიზმრები ეშმაკისეული იყო.“

იბრაჰიმმა მიუგო:

„მოუსვი აქედან! შენ თვითონ ხარ ეშმაკი!

აიღო ხელში ქვები და ეშმაკს სამჯერ სხვადასხვა ადგილიდან ესროლა.

ყოველ გასროლაზე შვიდ ქვას ისროდა.

ჰაჯობის რიტუალი – „ეშმაკის ჩაქოლვა“ – სწორედ აქედან მომდინარეობს. მათი ეს მდგომარეობა ერთმორწმუნეებისთვის ღმერთზე მინდობისა და მორჩილების მაგალითია. იბრაჰიმი ისმაილთან ერთად მინადან არაფატისკენ რომ მიდიოდა, ზეცაში ანგელოზები საკმაოდ ღელავდნენ. ერთმანეთს გაოცებით ეუბნებოდნენ:

„დიდება ალლაჰს! ერთ შუამავალს მეორე შუამავალი ყურბნად შესაწირად მიჰყავს!“

იბრაჰიმმა შვილს სიმართლე უთხრა:

„შვილო, სიზმარში შენი ყურბნად შეწირვა მებრძანა.“

ისმაილმა ჰკითხა:

„მამა, ეს შენ ალლაჰმა გიბრძანა?“

„დიახ!“

„მამა,გააკეთე ის,რაც გებრძანა! ღმერთით,მე მომთმენთაგანი ვიქნები!“

ამცნო, რომ სოცოცხლის გასაწირად მზად იყო.

გადმოცემის მიხედვით,იმ სამი მომენტისგან,როდესაც ჯებრაილი აფორიაქდა, ერთი ის წამი იყო, როცა იბრაჰიმმა ისმაილის ყელთან დანა მიიტანა. ის შეშინდა,ვაითუ ვერ მიესწრო მათთვის. იმ წამს ჯებრაილმა დანა დაუჭირა. ამცნო, რომ ღმერთზე მინდობის წყალობით მას მსხვერპლად შესაწირად სამოთხიდან ერკემალი გამოეგზავნა. მან თექბირი წარმოთქვა და ის ყოჩი ყურბნად შესწირეს.

აქედან გამომდინარე, ყურბნის დაკვლის ძირითადი მიზანი, ამ შემთხვევების გახსენება და მათში ჩადებული სიბრძნისგან წილის მიღებაა; გულით მიხვედრაა იმისა,რომ ალლაჰს უნდა მივენდოთ და ღვთისმოშიშობით აღვსილებმა გავუწიოთ მონა-მსახურება. უდიდესი ღმერთი ბრძანებს:

لَنْ يَنَالَ اللَّهَ لُحُومُهَا وَلَا دِمَاؤُهَا وَلَكِنْ يَنَالُهُ التَّقْوَى مِنْكُمْ

„ალლაჰამდე (ყურბნის) **არც ხორცი მიაღწევს და არც სისხლი.** (მასთან) **მხოლოდ თქვენი ღვთისმოშიშობა მიაღწევს.“** (სურა ჰაჯი, აიათი 37)

მეორე მხრივ,ჰაჯობისას ყურბნის დაკვლის შემდეგ თმების შეჭრაშიც სხვა საოცრება დევს. ისლამამდელ პერიოდში თუ ვინმე მონას გაათავისუფლებდა, მას თმას სამართებლით პარსავდა. ესეც კეთდებოდა როგორც მონობის ერთი სიმბოლო. ჰაჯობისას თმის

შეჭრით ჰაჯები უდიდესი ალლაჰის წინაშე მონობას აღიარებენ. ესე იგი, თმის შეჭრა გამოხატავს, რომ ჩვენ ალლაჰზე მინდობილი მონა-მსახურები ვართ.

მინა-ეს ის წმინდა ადგილია, სადაც წმინდა შუამავლებმა – იბრაჰიმმა და ისმაილმა ეშმაკს ქვები დაუშინეს, რითაც ალლაჰისადმი მორჩილება და მისი მტკიცე რწმენა გამოხატეს. მას შემდეგ ეს ადგილი ადამიანთათვის უზენაესი ალლაჰისადმი მორჩილების შემხსენებლად იქცა.

ეშმაკის ჩაქოლვა კი უპირველესად ჩვენში არსებული ეშმაკის განდევნით იწყება. ეს არის, იგივე წმინდა იბრაჰიმის, ისმაილისა და ჰაჯერის მიერ ეშმაკის ჩაქოლვისა და განდევნის მოგონება. ჩაქოლვა ერთი შეხედვით წყევლის მნიშვნელობასაც ატარებს. ვინაიდან, იმ პერიოდში დაწყევლა ჩაქოლვის სახით ხდებოდა. სწორედაც, ეშმაკის ჩაქოლვა დაწყევლის მნიშვნელობის მატარებელია.

ჩაქოლვასთან დაკავშირებით სხვა მოგონებაც არსებობს:

ქააბას დასანგრევად დიდი სპილოებითა და არმიით მოსული ებრეჰე ბედუინების წესისამებრ ქვებს ისროდა. ამის საპასუხოდ უდიდესმა ალლაჰმა ის სპილოების დიდი არმია უფეხურა ჩიტების მიერ გადატანილი პატარა ქვებით გაანადგურა. ეშმაკის ჩაქოლვა ამ ამბის გახსენებაცაა.

მოკლედ, ეშმაკის ჩაქოლვა ჩვენგან ეშმაკის განდევნა, გულის ყოველგვარი უგულისყურობისა და ეჭვებისგან გათავისუფლება და ალლაჰისკენ მიმართვაა. აქედან გამოდმინარე, ალლაჰის შუამავალი ﷺ ბრძანებს:

„ამ ქვის ნატეხებით ჩაქოლვის მიზანი, უდიდესი ღმერთის ხსენების გარდა, არაფერია.“

ასე, რომ ჰაჯობის მიზანი ალლაჰის შუამავლის ﷺ მხრიდან ასეა გამოხატული:

„ჩაქოლვა, საფასა და მერვეს შორის მისვლა-მოსვლა და ქააბას გარს შემოვლაა. მიზანი ღმერთის არ დავიწყებაა. ის უდიდესი ღმერთის გახსენების მეტი არაფერია.“ (თირმიზი, ნესაი)

საფას და მერვეს მწვერვალები ის მწვერვალებია, რომლებს შორისაც აღელვებული წმინდა ჰაჯერი წყლის პოვნის იმედით მიდი-მოდიოდა. ამ დროს წყურვილისგან გონწასული ისმაილი ჰყავდა დატოვებული იქ, სადაც დღეს ზემზემის წყალია. ეს არის ადგილები, სადაც სრულდება ჰაჯობის „საიად“ წოდებული რიტუალი. ის ჩვენ ადამიანის უძლურების შესახებ გვახსენებს.

უდიდესი ღმერთი ამ ორი მწვერვალის – საფასა და მერვას – მნიშვნელობაზე ბრძანებს:

إِنَّ الصَّفَا وَالْمَرْوَةَ مِنْ شَعَائِرِ اللَّهِ

„უეჭველად, საფა და მერვა ალლაჰის ნიშანთა-განია...“ (სურა ბაყარა, აიათი 158)

ქააბასკენ ნამაზის ლოცვის, ღმერთის ბრძანების: „სეჯდე შეასრულე და მომიახლოვდის!“ – შესასრულებლად უნდა დავდგეთ. ამავე დროს ის არის ადგილი, რომელიც ყველა მუსლიმანის ყურადღებას იმსახურებს. ესე იგი, ისლამური სამყაროს გულისცემის ადგილია. ადამიანში ღმერთის მეთვალყურეობის ადგილი გულია, სამყაროში კი – ქააბა. ესე იგი, ქააბას იგივე დატვირთვა აქვს, რაც ადამიანის სხეულში გულს. იქ არის ალლაჰისთვის მიცემული სიტყვის შემსრულებელი იბრაჰიმის ადგილი. უდიდესი ღმერთი ჰაჯობისა და უმრას შემსრულებელ მორწმუნეებს მის ნაკვალევზე ფეხის დადგმას და იქაურობის გარს შემოვლას და ნამაზის ლოცვას ავალებს.

ქააბაში არსებული **ჰაჯერულ ესვედი** არის წმინდა ქვა, რომელზე მისალმებითა და კოცნითაც ალლაჰს უთანხმდებოდნენ. მასზე მისალმება ნიშნავს, რომ ღმერთს ვნებისა და ეშმაკის ძლევის სიტყვა მისცე.

ჰაჯერულ ესვედი ქააბას გარს შემოვლის დასაწყისისა და დასასრულის განსაზღვრის საშუალებაა. დღეისათვის ქააბას ყველა ქვა შეცვლილია. მაგრამ ჰაჯერულ ესვედმა დღევანდელობამდე უცვლელი სახით მოაღწია. მას უამრავი წმინდა ტუჩი და ხელები შეეხო. ამგვარად მან ჩვეულებრივი რიგითი ქვობიდან უმაღლეს მდგომარეობამდე მიაღწია და დღეისათვის სულს სხვა ზეგავლენის მომხდენ და სიყვარულის

კვირტად იქცა. ამ სინამდვილეს წმინდა ომარი მისი კოცნისას ასე გამოთქვამს:

„შავო ქვავ! ვიცი, რომ ერთი უბრალო ქვა ხარ. შენგან არც სარგებელი შეიძლება წამოვიდეს და არც ზიანი. მიზეზი იმისა, რომ გკოცნი, ის არის, რომ ჩემი თვალით ვნახე ალლაჰის შუამავალი შენ გკოცნიდა.“
(მუსლიმი, თირმიზი)

მოკლედ, ყველა თავისებურებით ქააბა, ღმერთის სამყოფის ჩრდილში, წყალობისა და ნაყოფიერების გამოვლინების წყაროა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის არის სარკე, რომელიც უდიდესი ღმერთის წყალობისა და მიტევების თვისებებს ირეკლავს. გულების გამნათებელი მზეა, ესე იგი, შუქის წყარო.

სხვადასხვა ქვეყნის ცხოვრების ნირით, ტრადიციებითა და ზნე-ჩვეულებებით განსხვავებული უამრავი ადამიანი ქააბას გარშემო საოცარ ერთობას წარმოადგენს.

ქააბას მშენებლობასთან დაკავშირებული გადმოცემების მიხედვით, წმინდა ადამი და ევა სამოთხიდან გამოძევების შემდეგ ერთმანეთს დედამიწაზე, არაფატზე შეხვდნენ. მათ ერთად აღმოსავლეთისკენ განაგრძეს გზა. მივიდნენ იმ ადგილას, სადაც ახლა ქააბაა. ამ დროს ადამმა, ამ შეხვედრისთვის მადლიერების გამოსახატავად, ღმერთისთვის ღვთისმსახურების შესრულება ისურვა და მას სთხოვა კვლავ ებოძებინა ის სინათლის სვეტი, რომელსაც სამოთხეში ყოფნის დროს გარს უვლიდა. აი, ის სინათლის სვეტი მას იქ კვლავ ებოძა და ადამმა მას გარს შე-

მოუარა, ღვთისმსხურება აღასრულა. ეს სინათლის სვეტი შიტ შუამავლის დროს დაიკარგა და მის ადგილზე შავი ქვა დარჩა. ამის შემდეგ წმინდა შიტმა მის ადგილას ქვის ოთხკუთხოვანი შენობა ააგო და ის შავი ქვა საფუძვლის ერთ კუთხეში ჩადო. აი, დღევანდელი ჰაჯერულ ესვედი სწორედ ის შავი ქვაა. შემდეგი, ნუჰის წარღვნის შემდეგ, ეს ქვა დიდი ხნის მანძილზე მიწის ქვეშ იყო ჩამარხული. წმინდა იბრაჰიმი ალლაჰის ბრძანებით, იმ ადგილას მივიდა, სადაც ქააბაა, სადაც ისმაილი და ჰაჯერი დატოვა. შემდეგ მან ისმაილთან ერთად, ალლაჰის ბრძანების შესაბამისად, მიწა გათხარა, წმინდა შიტის მიერ აშენებული შენობის საძირკვლები მოძებნა და ამ საძირკველზე ქააბა ააშენა.

ქააბას მშენებლობის რომ დაამთავრების შემდეგ იბრაჰიმი ღმერთს ასე შეევედრა:

رَبِّ اجْعَلْ هَذَا بَلَدًا ءَامِنًا وَارْزُقْ أَهْلَهُ مِنَ الثَّمَرَاتِ مَنْ ءَامَنَ مِنْهُمْ بِاللَّهِ وَالْيَوْمِ الْآخِرِ

„ღმერთო ჩემო! ჰქმენ ქალაქი ესა უსაფრთხოდ და უბოძე სარჩოდ ნაყოფი ყოველნაირი მის მკვიდრთ, მას, ვინც ირწმუნა იმათგან ალლაჰი და უკანასკნელი დღე!!“ (სურა ბაყარა, აიათი 126)

იბრაჰიმის ამ ვედრების წყალობით, მექა, თუ შეიძლება ასე ითქვას, რწმენისა და კიდევ ბევრი სხვა სიამოვნების მომნიჭებელი ადგილია.

ქააბა დაახლოებით თერთმეტჯერ იქნა აგებული:

პირველად-ანგელოზების, მეორედ – წმინდა ადამ შუამავლის, მესამედ – წმინდა შიტ შუამავლის, მეოთხედ – წმინდა იბრაჰიმ შუამავლის, მეხუთედ ამალიკას ტომის, მეექვსედ-ჯურჰუმიანელების, მეშვიდედ – ქუსაის, მერვედ – ყურაიშელების, მეცხრედ – „თაბიინთაგან“ (მუჰამმედ შუამავლის ﷺ გარდაცვალების შემდეგი თაობა, ვინც მოესწრო მუჰამმედ შუამავლის ﷺ მომსწრე საჰაბებს და მათი ქადაგებანი მოისმინა) აბდულლაჰ იბნ ზუბეირის, მეათეჯერ – ჰაჯჯაჯი ზალიმის და მეთერთმეტედ – ოსმალეთის სულთნის – მურად IV-ის მიერ.

მურად IV-ის დროს წყალდიდობის შედეგად ქაბას ორი მხარე ჩამოიქცა. მის შესაკეთებლად მექაში მაშინვე გაგზავნეს მთავარი არქიტექტორი რიდვან აღა. არქიტექტორს რცხვენოდა ქაბას შესახებ ეთქვა „ჩამოქცეული“, ამიტომაც ამბობდა:

„ღმერთის სახლის ესა და ეს მხარე სეჯდეს ასრულებსო.“

ის უდიდეს ყურადღებას აქცევდა იმას, რომ მშენებლობისათვის საჭირო მასალების გადაზიდვისას ცხოველებს ის წმინდა ადგილები არ დაებინძურებინათ.

იმ დროისათვის ჰაჯობაზე წასასვლელად ევროპიდან აზიაში გასასვლელ პირველ ადგილს „ჰარემი“ ეწოდა. იმ ადგილებში გავლისას უგულისყუროდ მოქცევას არავის ურჩევდნენ. ამასთან დაკავშირებით, ძალიან საოცარი მოგონებაა, რომელიც პოეტ ნაბის მიერ 1678 წელს სახელმწიფო მოხელეებთან ერთად

შესრულებულ ჰაჯობას შეეხება:

მგზავრობის დროს ნაბიმ დაინახა, რომ ერთ ფაშას ფეხი უგულისყუროდ მედინასკენ გაეშალა. მისი ზეგავლენით ცნობილი „ნათის“ წერა დაიწყო.

დილის ნამაზის დროს ქარავანი მედინას მიუახლოვდა. ნაბიმ გაიგონა, რომ მის დაწერილ ნათის „მესჯიდი ნების“ მინარაზე კითხულობდნენ:

„უდიდესი ღმერთის დაკვირვების და მისი საყვარელი შუამავლის წმინდა მუჰამმედის ადგილი და მხარე უპატივცემულობისგან დაიფარე!

ნაბი, ამ დერვიშების სავანეში ზრდილობის წესებზე დამორჩილებული შედი! აქაურობა არის ადგილი, სადაც ანგელოზები გარშემო ფრთებად არიან და შუამავლების ნაკოცნი ადგილია.“

ამან ნაბი ძალიან ააღელვა, მაშინვე მუეზზინი იპოვა და ჰკითხა:

„ეს „ნათი“ ვისგან და როგორ ისწავლე?“

„ამ დამით ალლაჰის შუამავალმა სიზმარში ჩვენ გვიბრძანა:

„ჩემი მიმდევრებისგან ჩემს სანახავად პოეტი ნაბი მოდის. ეს კაცი ჩემდამი უსაზღვრო სიყვარულითაა აღსავსე. ამ სიყვარულის მიზეზით მას მედინის მინარებიდან საკუთარი „ნათით“ შეხვდით!

ჩვენ შუამავლის ეს ბრძანება შევასრულეთ...“

ნაბი აქვითინდა. ტიროდა და თან ამბობდა:

„ეს იგი, ალლაჰის შუამავალმა ჩემზე თქვა: **„ჩემი მიმდევარიო“!** ესე იგი, ორი სამყაროს მზემ მე მის მიმდევრად მიმიღო!“

აი, ჰაჯობის ღვთისმსახურებისას ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი. ამ მაღალი გრძნობებით იმ მიწებზე წასვლა, წმინდა შუამავლის ﷺ მონახულება და ღმერთის სახლის გარს შემოვლაა.

ქააბა ალლაჰის სახლად არის აღიარებული და ის წმინდა ადამიდან მოყოლებული წმინდა ტაძრად ითვლება. მისი მონახულება, ვისაც შესაძლებლობა აქვს, ფარძია. აიათში ნაბრძანებია:

إِنَّ أَوَّلَ بَيْتٍ وُضِعَ لِلنَّاسِ لَلَّذِي بِبَكَّةَ مُبَارَكًا وَهُدًى لِلْعَالَمِينَ

فِيهِ ءَايَاتٌ بَيِّنَاتٌ مَقَامُ إِبْرَاهِيمَ وَمَنْ دَخَلَهُ كَانَ ءَامِنًا وَلِلَّهِ عَلَى

النَّاسِ حِجُّ الْبَيْتِ مَنِ اسْتَطَاعَ إِلَيْهِ سَبِيلًا وَمَنْ كَفَرَ فَإِنَّ اللَّهَ غَنِيٌّ عَنِ

الْعَالَمِينَ

„უეჭველად, ადამიანთათვის (დედამიწაზე) **დაფუძნებული პირველი** (სახლი) **სამლოცველო მექაში მდებარე**(ქააბა)**ა. რომელიც წყალობად** (ბარაქად) **და ჭეშმარიტ გზაზე დასადგინებლადაა სამყაროთათვის!**

მასშია ცხადი სასწაულნი, მაყამი (სადგომი) **იბრაჰიმისა. და ვინც შედის მასში, უსაფრთხოა. და ალ-**

ლაჰის (გულისთვის) **ამ სახლის** (ქააბას) **მოვლა–მონახულება ვალდებულებაა** (იმ) **ადამიანთათვის, ვისაც ძალუძთ. ხოლო, ვინც უარჰყო, უეჭველად, ალლაჰი მდიდარი და სამყაროთაგან დამოუკიდებელია.“** (სურა ალი იმრანი, აიათები 96-97)

ისლამის სულის მთავარი გამოვლინება ნამაზია. ლოცვის დროს ყველა ერთ მწკრივში დგას. სახელმწიფოს მეთაურიც იმ მწკრივშია. ადრე თუ მოვა, წინ დადგება; გვიან თუ მოვა, უკან მოექცევა. ვინც გვიან მოვა ადგილს სადაც ნახავს იმ მწკრივში დაიკავებს. ნამაზის მწკრივებზე უნიფორმასა და ეპოლეტებს არავითარი ზეგავლენა არა აქვს. ჰაჯობა კი მასზე მაღალ საფეხურზეა და მასში სუდარისა და საფლავის თანასწორობაა. ისე როგორც სახელმწიფოს მეთაური იქნება თუ რიგითი ადამიანი საფლავში შესუდრული იმარხება, რადგან იქ სუდარის გარდა სხვა არაფერი გამოიყენება, ასევე ჰაჯობაზეც საფლავისა და სუდარის ერთიანობაა. ყველა, ვინც ჰაჯობას ასრულებს, წელს ზემოთ მხოლოდ თეთრი მატერიის ნაჭერი ახვევია, წელს ქვემოთ ასევე მხოლოდ თეთრი მატერიის ნაჭერი აქვს შემოხვეული. როგორც სუდარა.

აუცილებელია ვიცოდეთ, რომ სიკვდილი არის კანონი, რომელიც ალლაჰმა ყველა წარმავალისთვის დააწესა. დრო წუთებისა და სუნთქვის რაოდენობის მიხედვითაა განსაზღვრული. ცხადი ჭეშმარიტებაა, რომ სიკვდილის წინ ან უკან გადაწევა, მიზეზებისა და საშუალებების გამოცვლა არ ხდება. ჯერ არ გაგონილა, რომ ადამიანს მოენდომებინოს და შეეძ-

ლოს სიკვდილისგან გაქცევა. ამაზე კარგად უნდა დავფიქრდეთ და ჰაჯობის ღვთისმსახურებისას მოდუნებასა და გულგრილობას უნდა ვერიდოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, წმინდა შუამავლის ﷺ გაფრთხილება საშინელია:

„ვისაც საჭმელ-სასმელის და ტრანსპორტის ხარჯები მოეპოვება, მაშინ, როცა ღმერთის სახლის მონახულება შეუძლია და ჰაჯობას არ შეასრულებს, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ის ებრაელად მოკვდება თუ ქრისტიანად!“ (თირმიზი, ჰაჯ, 3)

შუამავლის ეს გაფრთხილება ჰაჯობის ყველა პირობის დიდ მნიშვნელობას უსვამს ხაზს და უგულისყურობის მიზეზით უარმყოფელებს ღვთიური სატანჯველის დამსახურებას ამცნობს, რადგან ამ ღვთისმსახურების უგულებელყოფა მისი მცირედ წარმოჩენის მნიშვნელობის მატარებელია.

ჰაჯობის ცხოვრებაში ერთხელ უგულებელყოფაც ძალიან მცდარია. ალლაჰის შუამავალი ბრძანებს:

„ვისაც სურვილი აქვს, ჰაჯობის შეასრულებისათვის, იჩქაროს!“ (ჯემულ ფევაიდი, II, 77)

ქააბა არის ადგილი, რომელიც აღსავსეა იბრაჰიმისა და მისი ოჯახის ღმერთზე მინდობისა და მორჩილების მოგონებებით.

მინდობას, მორჩილებას და ჰაჯობას როგორც კი ვახსენებთ,იბრაჰიმი და ისმაილი გვახსენდება. ვინაიდან, ჰაჯობა არის ის ღვთისმოსავი ქმედება, რომელიც მათი გულწრფელობის შედეგად განკითხვამდე დარჩება.

მინდობა ლექსიკური მნიშვნელობით დაყრდნობას, ნდობას, უფლებამოსილების გადაცემას ნიშნავს.

მისტიკური მნიშვნელობით ეს არის უზენაესი ალლაჰისადმი სრული მორჩილება, აბსოლუტური მინდობა მასზე. უდიდესმა ღმერთმა წმინდა მუსას უბრძანა გადაეგდო კვერთხი, ხელში რომ ეჭირა. რადგან ის ჩრდილავდა ღმერთის იმედად ყოფნას.

აიათებში ნაბრძანებია:

وَعَلَى اللَّهِ فَلْيَتَوَكَّلِ الْمُؤْمِنُونَ

„...მორწმუნენი მხოლოდ ალლაჰს უნდა მიენდონ!“ (სურა იბრაჰიმი, აიათი 11;)

وَعَلَى اللَّهِ فَتَوَكَّلُوا إِنْ كُنْتُمْ مُؤْمِنِينَ

„...თუკი მორწმუნენი ხართ, მხოლოდ ალლაჰს მიენდეთ!“ (სურა მაიდე, აიათი 23)

وَمَنْ يَتَوَكَّلْ عَلَى اللَّهِ فَهُوَ حَسْبُهُ

„...ვინც ალლაჰს მიენდობა, მისთვის ალლაჰი საკმარისია!“ (სურა თალაყი, აიათი 3)

ჰადისში ნაბრძანებია:

„თუკი თქვენ ღმერთს შესაბამისად მიენდობით, ისევე გებოძებათ სარჩო, როგორც ჩიტებს, რომლებიც დილით მშივრები არიან, საღამოს კი მაძღარი!“ (თირმიზი, ზუჰდი, 33)

ღმერთზე მინდობა, ზომების მიღებისა და განზრახ-

ვების ერთ მხარეს გადაგდება კი არა, პირიქით, მათზე დაყრდნობით ალლაჰის ძალის გამოვლინებაზე თავშეფარებაა.

უდიდესი ალლაჰი ბრძანებს:

وَشَاوِرْهُمْ فِي الْأَمْرِ فَإِذَا عَزَمْتَ فَتَوَكَّلْ عَلَى اللَّهِ إِنَّ اللَّهَ يُحِبُّ الْمُتَوَكِّلِينَ

„საქმესთან დაკავშირებით მათ (მორწმუნეებს) **მოეთათბირე! და როდესაც რაიმეს განიზრახავ ალლაჰს მიენდე!“** (სურა ალი იმრანი, აიათი 159)

ორივე მხარეს მორწმუნის დამხმარე ალლაჰია. ვინც მას მიენდობა, ის მისთვის საკმარისია. თუნდ პიროვნული, თუნდ საზოგადოებრივი სიმშვიდე და ბედნიერება მხოლოდ მასთან დაბრუნებით, მისი დახმარების თხოვნით, მასზე მინდობითაა შესაძლებელი.

მინდობა ქედის მოხრას, თავს დამტყდარი შემთხვევების უპროტესტოდ მიღებას და ამგვარად დამშვიდებას ნიშნავს.

იბრაჰიმის გულში ალლაჰის გარდა სხვა არაფრისთვის ადგილი არ იყო, მაგრამ ანგელოზები ამბობდნენ:

„ღმერთო! იბრაჰიმს სიცოცხლე, ქონება აქვს და შვილი ჰყავს. როგორ შეიძლება შენი მეგობარი იყოს?!“

უდიდესმა ალლაჰმა ანგელოზებს მისი უპროტესტო ნდობა სამ ადგილზე აჩვენა. ეს გამოცდები და

მათი შედეგები მართლმორწმუნეებისთვის განკითხვის დღემდე მაგალითად დარჩება.

იბრაჰიმს როცა ცეცხლში აგდებდნენ, ანგელოზები დასახმარებლად მივიდნენ, მაგრამ მან უთხრა;

„თქვენ არ მჭირდებით! ცეცხლს წვის ძალა ვინ მისცა? ალლაჰი რა კარგი მფარველია!...“ და ამგვარად ღმერთს შეეფარა.

მისი ამ ნდობის ჯილდოდ ცეცხლს ებრძანა:

قُلْنَا يَانَارُ كُونِي بَرْدًا وَسَلَامًا عَلَى إِبْرَاهِيمَ

„ცეცხლო! იბრაჰიმთან მიმართებაში იქმენი ცივი (გრილი) და მშვიდობიანი!“ (სურა ენბია, აიათი 69)

რაც შეეხება მის ქონებას, როცა ჯებრაილ ანგელოზმა მასთან სამჯერ ალლაჰი ახსენა, იბრაჰიმ შუამავლისთვის ქონებამ ფასი დაკარგა და ანგელოზს უთხრა:

„–წაიღე ეს ყველაფერი!“

ნამდვილი მონა-მსახურება, ღმერთზე მინდობაა, რადგან ალლაჰს არ უნდა ადამიანი მის გარდა სხვა ვინმეს ჩარჩოებში ექცეოდეს.

მინდობა სიყვარულზე დაყრდნობილი მორჩილებაა. ამ მორჩილების და მინდობის წყალობით იბრაჰიმისთვის უდიდესი ღმერთის გზაზე სულს, შვილს და ქონებას არავითარი დაბრკოლება არ შეუქმნია. ჰაჯობის ღვთისმსახურებაც ყველაზე ლამაზი სიმბოლოა მისი ღმერთზე მინდობის გასახსენებლად და მაგალითად ასაღებად.

რადგან იბრაჰიმის ენა მუდამ გულის თარჯიმანი იყო და ამბობდა:

„მორჩილი ვიქმენ სამყაროთა ღმერთისადმი!..“ (სურა ბაყარა, აიათი 131)

წმინდა იბრაჰიმისა და ისმაილის მორჩილებისა და ღმერთზე მინდობის სიმბოლო – ჰაჯობა – ადამიანს ღმერთზე მიმნდობსა და მორჩილს ხდის. ჰაჯობა სიყვარულით გაჯერებული მონა-მსახურების აღსრულებაა. ჰაჯობისას ადამიანი ორი ნაჭერი მატერიით შემოსილი, თავშიშველი და ფეხშიშველი, ყოველგვარი ამქვეყნიურობისგან თავისუფალია. ჰაჯობა ისეთი განცდაა, თითქოს განკითხვის მოედანზე იყო საფლავიდან მოსული, ღმერთს გულით ეხვეწებოდე და ბოლომდე მასზე იყო მინდობილი.

ჰაჯობის ღვთისმსახურება გვიჩვენებს, რომ ცოდვებისგან გათავისუფლება მხოლოდ ღმერთზე ვედრებით, მორჩილებითა და მინდობით შესრულებული ღვთისმსახურებითაა შესაძლებელი.

ალლაჰის შუამავლის ﷺ გამოსამშვიდობებელი ჰაჯობა და ქადაგება მისი მიმდევრებისთვის ლამაზი მაგალითია.

გამოსამშვიდობელი ჰაჯობისას სიყვარულის განაწილებაც მოხდა. მუსლიმანების კანონების მთავარი ხაზები სიყვარულისა და გულისხმიერების დახარჯვით განმტკიცდა.

❁

ჰაჯობაზე წასვლისას მატერიალურად და სულიერად უნდა მოვემზადოთ. ზოგიერთი იემენელი ჰაჯობაზე მოუმზადებელი წავიდა, თქვეს: „ჩვენ ალლაჰს ვენდობითო!“ მექაში ჩასულებმა კი მათხოვრობა დაიწყეს. ამის გამო შემდეგი აიათი მოევლინა:

وَتَزَوَّدُوا فَإِنَّ خَيْرَ الزَّادِ التَّقْوَى

„საგზალი იქონიეთ. მაგრამ საუკეთესო საგზალი, უეჭველად, ღვთისმოშიშობაა...“ (სურა ბაყარა, აიათი 197)

როგორც აიათიდან ჩანს, იმ წმინდა მიწაზე მატერიალურ საგზალთან ერთად სულიერი საგზალიცაა საჭირო და ის უფრო მნიშვნელოვანია. ეს კი რა თქმა უნდა ღვთისმოშიშობასთან მიღწეული სრულყოფილი გულითაა შესაძლებელი. რადგან ალლაჰის ზნეობით აღჭურვის ყველაზე კარგი შედეგი ღვთისმოშიშობით გამსჭვალული გულია. ღვთისმსახურებები, განსაკუთრებით ჰაჯობა, ასეთი გულით უნდა აღვასრულოთ. მევლანა ასე გადმოგვცემს:

„ბეიაზიდ ბისთამი ჰაჯობისა და უმრას შესასრულებლად მექაში მიდიოდა.

ყველა ქალაქში, სადაც მივიდოდა, ღვთისმოსავებს ეძებდა. ყველა შემხვედრს ეკითხებოდა:

„ამ მხარეში გამჭრიახი, გულის თვალით მხედველი ადამიანი ვინ არის?“ ის ასე იქცეოდა, რადგანაც სწამდა, რომ სადაც უნდა წასულიყო, უპირველესად, ღმერთის მეგობრები უნდა მოეძებნა.

უდიდესი ალლაჰი ბრძანებს:

„თუკი არ იცით, ღვთისმოსავთ ჰკითხეთ!..“ (სურა ენ-ბია, აიათი 7)

წმინდა მუსასაც კი ებრძანა ღვთიური ცოდნის მფლობელი ჰიზირი მოენახულებინა.

ბეიაზიდმა ახალ მთვარესავით მიბნედილი, ტანმაღალი რელიგიური ორდერის წარმომადგენელი დაინახა. მისგან წმინდანების სულიერება გამოსჭვიოდა.

თვალები ამქვეყნიურობისთვის დაბრმავებული, გული კი მზის სხივებს მიმოაბნევდა.

ბეიაზიდი ამ ადამიანის პირდაპირ ჩამოჯდა. კაცმა მას ჰკითხა:

„საით გაგიწევია, ადამიანო, სად მიგაქვს სულის ეგ დროებითი სამოსელი? (ე.ი. სხეული)?“

ბეიაზიდმა უპასუხა:

„ჰაჯობაზე წასვლა გადამიწყვეტია. თან ორასი დირჰემი მაქვს.“

კაცმა უთხრა:

„ადამიანო! მაგ ფულის ერთი ნაწილი ალლაჰის გზაზე გაჭირვებულებს, უცხოელებს, საცოდავებს დაურიგე! მათ გულებში დაიმკვიდრე ადგილი, რომ სულს ჰორიზონტი გაეხსნას! მარადიული ცხოვრება დაიმკვიდრე! უპირველესად გულები მოინადირე! ამის შემდეგ მგრძნობიარე გულით ჰაჯობის მგზავრობა გააგრძელე!“

„ვინაიდან, ქააბა არის სახლი, რომლის მონახულებაც ისლამით ფარძია. ადამიანის გული კი საიდუმლოების ხაზინაა.

ქააბა იბრაჰიმის აგებული სახლია, გული კი უდიდესი ღმერთის მეთვალყურეობის ადგილია.

გამჭრიახობა თუ გყოფნის, გული აქციე ქააბად! მიწისგან გაკეთებული ქააბას მთავარი აზრი გულია.

უდიდესმა ღმერთმა განწმენდილი გულით ქააბას გარს შემოვლა ფარძად დაგიწესა.

კარგად იცოდე, რომ შენ ალლაჰის მეთვალყურეობის ადგილს – გულს თუ დაამსხვრევ, ტკივილს მიაყენებ. ქააბაში ფეხით რომ წახვიდე და ისე მოილოცო, მოგებული მადლი გატეხილი გულის ცოდვას ვერ გადაწონის.

სრულყოფილი ადამიანი ღმერთის საიდუმლოებების ხაზინაა.

თუ გინდა ადამიანში ალლაჰის ნათელი დაინახო, იმისათვის რომ გულის თვალი გაახილო, განსაცდელს არ მოერიდო!

ბეიზიდი დერვიშის ამ მახვილსიტყვაობებს ჩასწვდა. გულმა საუბრისგან გულისხმიერების წილი აიღო. სიმშვიდითა და ექსტაზით აღვსილმა მგზავრობა გააგრძელა.“

წმინდა მევლანა ამ და სხვა მსგავსი მაგალითებით გულს მიმართულებას აძლევს. ის წმინდა მიწაზე წამსვლელებს ასე ეუბნება:

„ჰაჯობის დრო რომ მოვა, ქააბას მოსანახულებლად წადი და მას გარს შემოუარე! ამ მიზნით თუ წახვალ, ნამდვილ მექას დაინახავ!“

წმინდა მევლანას ჰაჯობა მაგალითად იმიტომ მოჰყავს, რომ იგი ძალიან საყურადღებო ღვთისმსახურებაა. ჰაჯობისას ბევრი რამ აკრძალულია. ამის გამო, ჰაჯობაზე წასვლისას სული მომზადებული უნდა იყოს. ადამიანი ჰაჯობას რომ დაისახავს, მიზნად, ეშმაკი კვალში ჩაუდგება. ამის გამო, ის, ვინც ჰაჯობას განიზრახავს, უპირველესად, მოთმინებით უნდა აღიჭურვოს.

ვინაიდან,ჰაჯობა სხვა ღვთისმსახურებებისგან განსხვავებულია. ფორმით თითქოს ადვილი შესასრულებელი, სინამდვილეში კი ძალიან რთული ღვთისმსახურებაა. ამის გამოა, რომ როცა მის მიზანს ვისახავთ, უნდა ვთქვათ:

„ღმერთო ჩემო! გამიადვილე ამ ღვთისმსახურების შესრულება.“

ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რომ მას შემდეგ, რაც აღიარებენ: სამყაროში არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა, სიტყვას დებენ, რომ ყურს აღარ დაუგდებენ ვნების, ეშმაკისა და გატაცებების მოწოდებებს.

ამის საწინაღმდეგოდ დაუდევრად შესრულებული ჰაჯობა არ მოიტანს იმ სარგებელს, რომელსაც მისი შემსრულებელი იმედოვნებს. აშკარაა, რომ ჰაჯობა, რომელიც აკრძალული გზით მოპოვებული ფულითაა შესრულებული, ადამიანს ვერავითარ სარგებელს ვერ მოუტანს.

ამის გამო ჰაჯობის პირველი პირობა ჰალალი მოგებაა, შემდეგ – გულწრფელი გული. ვინაიდან, მაშინ, როცა ენა ამბობს „ლებბეიქ“ (ბრძანე ალლაჰო! შენს ბრძანებას ვენდობი და მზად ვარ!) გული სიყვარულითა და შეხვედრის დაუოკებელი სურვილით უნდა იყოს შეპყრობილი. აი, ამგვარი ამაღლებული „ლებბეიქ“ ადამიანს ღმერთთან არასდროს დააშორებს, ხოლო მშრალი ბგერების წარმოთქმას არავითარი ძალა არა აქვს. აქედან გამომდინარე, წმინდა ჰუსეინი როცა წარმოთქვამდა „ლებბეიქ“, ნატრობდა „პასუხი „ლა ლებბეიქ“ ყოფილიყო და გული მისდიოდა. უდიდესმა ღმერთმა წილად გვარგუნოს ბედნიერება ჰაჯობა სულით და სხეულით ერთობლივად აღვასრულოთ! ამინ...

მითითებები ჰაჯობაზე წამსვლელთათვის ადამიანს გულის ცხოვრებისკენ მიმართავს. ვინაიდან, ეს ღვთისმსახურება სავსეა სიყვარულის ისეთი გამოვლინებებით, როგორიცაა სანადიროდ წაუსვლელობა, მცენარის მოუწყვეტლობა, ალლაჰის არსებებისთვის გულის არტკენა, თანაგრძნობა და გულისხმიერება.

იჰრამის ჩაცმის შემდეგ ბალახის მოწყვეტა, ბეწვის მოძრობა და ნადირობა არ შეიძლება. ჰაჯობისას ცოდვას არ სჩადიან, არ კამათობენ... მხოლოდ სიყვარულია გამჩენის გამო. განსაკუთრებით აუცილებელია გული არავის ვატკინოთ.

წმინდა ომარმა იმის შიშით, რომ ვინმესთვის გული არ ეტკინა, ჰაჯერულ ესვედზე კოცნისგან თავი შეიკავა.

ქმედებას საფუძვლად მიზანი უდევს, ამიტომაც იჰრამი ჰაჯობის მიზანია. ადამიანი, რომელიც იჰრამს ჩაიცვამს, ნორმალურ ცხოვრებას ივიწყებს, განსაკუთრებულ მდგომარეობაშია. იჰრამი საფარია,რომელსაც ადამიანი ჩაფიქრების გარემოში მიჰყავს. ის ადამიანს ალლაჰის წინაშე წარდგომაზე აფიქრებს.

ყველა ამ სილამაზით ჰაჯობა არის ღვთისმსახურება, რომელიც ადამიანს ყველაზე მაღალ საფეხურზე აამაღლებს. ალლაჰის შუამავალი ﷺ ბრძანებს:

„ჰაჯობა და უმრა ადამიანს ცოდვებისგან ისე წმენდს, როგორც ოქრომჭედელი აზოტმჟავით ოქროსა და ვერცხლს.“ (ნესაი, თირმიზი)

„ჰაჯობის შემსრულებელი ადამიანი ვნებასა და გატაცებებს თუ არ დაემორჩილება, ცოდვას თუ არ ჩაიდენს, ისეთივე უცოდველი გახდება, როგორც ახალშობილი.“ (აბუ დავუდის გარდა ჰადისების ყველა წიგნი)

ეს სამახარობლოები უეჭველია, იმ მორწმუნეებისთვისაა, ვინც თავიდან ბოლომდე სილამაზითა და სიკეთითაა შემკული. ამგვარად შესრულებული ჰაჯობა ადამიანს შემდეგ თვისებებს მოაპოვებინებს:

1. პასუხისმგებლობას,
2. მიმტევებლობას,
3. სხეულისა და ზნეობის მუდმივ სისუფთავეს,
4. ისლამურ ძმობას,
5. სიმაღლეს მხოლოდ ღვთისმოშიშობაში,

6. ჰალალ მოგებას,

7. გულწრფელობას.

აქედან გამომდინარე, ჰაჯობა მხოლოდ ისლამის ერთ მუხლად არ რჩება; ის მაღალ ზნეობას აყალიბებს. მორწმუნეების ცხოვრებას სამაგალითოს ხდის.

ჰაჯობის ყველა მდგომარეობა არის ადამიანის დატოვება საკუთარი არსის პირისპირ და მის მომავალ ცხოვრებაზე ზეგავლენის მოხდენა. ყველა ღვთისმსახურების მიზანი უდიდეს ღმერთთან დაახლოებაა.

ისე როგორც, აუცილებელ ღვთისმსახურებებს-ნამაზს და მარხვასაც გააჩნია ნაფილე (სურვილისამებრ შესასრულებელი). ასევე, ჰაჯობასაც გააჩნია ნაფილე. ნაფილე-ჰაჯობის შესახებ უმეცართა კრიტიკა ქუფრამდე (ისლამის უარყოფა) მიმყვანია. ასეთი გამონათქვამები არის უვიცთა უსაფუძლო მსჯელობა, რაც შორსაა ჭეშმარიტი რწმენისა და ღვთისმსახურებისაგან შორსაა.

ბედნიერების საუკუნიდან მოყოლებული ნებაყოფლობითი ღვთისმსახურებები რწმენის ექსტაზით სრულდებოდა. როცა მათ მღელვარებით ასრულებს, ისინი ადამიანს ღმერთთან აახლოებს, სულს უღრმავებს, გულისხმიერებისა და გულუხვობის თვისებებს სძენს. უდიდესი ღმერთი მათი თვალი და ყური ხდება. ესე იგი, მათი შეხედულებები, გრძნობები,

ფიქრები და გამოხატულებები ღმერთის ნათელის დინებებია.

ეს ამაღლება ნებაყოფილებითი ღვთისმსახურებებითა და სამყაროში არსებული ქმნილებების სიყვარულითაა შესაძლებელი. ამისთვის საკმარისია აღვნიშნოთ, რომ იმამმა აზამმა ჰაჯობა 55-ჯერ შეასრულა.

წელიწადში ერთხელ, განსაზღვრულ დროს შესასრულებელი არაფატიანი ჰაჯობის გარდა, არსებობს უმრის ღვთისმსახურება, რომლის შესრულებაც ნებისმიერ დროს შეიძლება. მას პატარა ჰაჯობაც ეწოდება.

უმრის დროს არაფატის მონახულება ნებაყოფილებითია ხოლო ქააბას გარს შემოვლა (ტავაფი) და საფასა და მერვეს შორის მიმოსვლები კი აუცილებელი. წმინდა შუამავალი გვამცნობს, რომ რამაზანში შესრულებულ უმრას ჰაჯობის მადლი აქვს.

მედინაში ჩვენ მიერ მონახულებული ალლაჰის შუამავლის ﷺ ადგილი კი არის ის ადგილი, რომელიც ჩვენს გულებს ღვთიური სიყვარულით ამკობს. ვინაიდან უდიდესმა ღმერთმა „ძვირფასო“ მხოლოდ მას უწოდა და მის მიმდევრებსაც ებრძანათ მისი სიყვარული. ყურანში ნაბრძანებია:

قُلْ إِنْ كَانَ ءَابَاؤُكُمْ وَأَبْنَاؤُكُمْ وَإِخْوَانُكُمْ وَأَزْوَاجُكُمْ وَعَشِيرَتُكُمْ
وَأَمْوَالٌ اقْتَرَفْتُمُوهَا وَتِجَارَةٌ تَخْشَوْنَ كَسَادَهَا وَمَسَاكِنُ تَرْضَوْنَهَا
أَحَبَّ إِلَيْكُمْ مِنَ اللَّهِ وَرَسُولِهِ وَجِهَادٍ فِي سَبِيلِهِ فَتَرَبَّصُوا حَتَّى يَأْتِيَ
اللَّهُ بِأَمْرِهِ وَاللَّهُ لَا يَهْدِي الْقَوْمَ الْفَاسِقِينَ

„უთხარი, ნუთუ თქვენთვის ალლაჰსა და მის შუამავალზე, მის გზაზე ბრძოლაზე მეტად საყვარელია (ძვირფასია), **თქვენი მამები, შვილები, ძმები, ცოლები, ტომები, დაგროვილი ქონება, სავაჭრო საქმიანობა, რომლის შეფერხებისა და ინფლაციის გაფიქრებაც კი გაშინებთ და სახლები, რომლებიც მოგწონთ?!... ალლაჰის ბრძანების მოსვლამდე დაელოდეთ, ალლაჰი დაუმორჩილებელ ერს ჭეშმარიტ გზას არ მიაღწევინებს.“** (სურა თევბე, აიათი 24)

ამ აიათის გათვალისწინებით ყადი იაზი, როცა გზად მიდიოდა, ამბობდა:

„ალლაჰმა მართლმორწმუნეებს თავის სიყვარულთან ერთად ალლაჰის შუამავლის სიყვარულიც ფარძად დაუწესებია.“

ამ მდგომარეობაში ალლაჰის შუამავლის ﷺ სიყვარულზე წინ არაფერი არ უნდა დავაყენოთ. არც სახლი, სადაც ვცხოვრობთ, არც ჩვენი ოჯახი, არც წვრილშვილი, არც ჩვენი საქმე!

იმის გამო, რომ ალლაჰის შუამავალი ﷺ ამგვარი მეთაური იყო, იმამი მალიქის აზრით, ადგილი, სადაც

ამ დიდებული არსების სასაფლაო მდებარეობს, ქაა-ბაზე უფრო წმინდაა, რადგან მთელი სამყარო მის გამო შეიქმნა, მას მიეძღვნა.

ამის გამო ჰაჯობის ღვთისმსახურების დასრულებ-ისთანავე მედინაში უნდა წავიდეთ. ფეხი უნდა და-ვადგათ მიწაზე, სადაც შუამავალი ცხოვრობდა და ჩავისუნთქოთ ჰაერი, რომელსაც ის სუნთქავდა. ჰად-ისში ნაბრძანებია:

„ის, ვინც ჩემი სიკვდილის შემდეგ მოინახულებს ჩემს საფლავს, მსგავსია იმის, ვინც სიცოცხლეში მი-ნახულა.“ (დარექუთნი, სუნენი, II, 278)

ამ მონახულებისას თავაზიანობის დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია.

ერთ დღეს როცა იმამი მალიქი მიჰრაბში იყო, იმ დროის ხალიფა აბუ ჯაფერ მანსური მეჩეთში მივიდა და ზოგიერთი რამ ჰკითხა. მათ შორის მეცნიერული საუბარი გაიმართა. აბუ ჯაფერ მანსური საუბარმა ისე შეიპყრო, რომ ხმას აუწია. იმამმა მალიქმა გაა-ფრთხილა:

„ხალიფავ, აქ ხმას დაუწიე! ვინაიდან, ალლაჰის გა-ფრთხილება შენზე უფრო ღირსულ ადამიანებზე ჩამ-ოვიდა...“

ამ უმაღლესი ზრდილობის შემხედვარე ხალიფამ უთხრა:

„იმამო! როცა ღმერთს ვევედრები, რავზასკენ (შუამავლის სასაფლაო) უნდა მივბრუნდე თუ ყიბ-ლისკენ?“

იმამმა მალიქმა ასე ბრძანა:

„მედინაში რავზასკენ მიტრიალდი, რადგან აქ ყველა ადამიანს რწმენა სჭირდება და ქააბაც მის პატივსაცემად შეიქმნა!“ (ყადი იაზი, შითა შერიფი)

ზოგიერთები ამ ჭეშმარიტებაზე თვალს ხუჭავენ და ჰაჯებს რავზასკენ არ აბრუნებენ. ეუბნებიან: „სალამი მიეცი, გაიარე, ყიბლისკენ მიტრიალდი!“ თუმცა ალლაჰის შუამავალი ﷺ ცოცხალია. ისე როგორც შეჰიდები არ კვდებიან და სიცოცხლეს აგრძელებენ, ასევე უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ალლაჰის შუამავალი ﷺ ცოცხალია.

მოკლედ, ლამაზად შესრულებული ჰაჯობის ღვთისმსახურება, ჰაჯების მიერ თავიანთ სამშობლოში წაღებული საჩუქრები და იქ მათ მიერ დატოვებული მოგონებები საქებარია.

აქედან გამომდინარე, პაკისტანის სულიერმა არქიტექტორმა მუჰამმედ იქბალმა, ერთ დღეს მედინიდნ ჩამოსული ჰაჯები მოინახულა, მათ მუსლიმანის გული გადაუშალა და შემდეგი რამ ჰკითხა:

„მედინა მოინახულეთ? მედინის ბაზარში გული როგორი საჩუქრებით აავსეთ? თქვენ მიერ ჩამოტანილი მატერიალური საჩუქრები – არახჩინები, კრიალოსნები, სალოცავი ხალიჩები ცოტა ხნის შემდეგ დაძველდება, გახუნდება და გაქრება. გულისთვის ოცნების მიმნიჭებელი გაუფერმკრთალებელი მედინას სულიერი საჩუქრები ჩამოიტანეთ? თქვენს საჩუქრებ-

ში წმინდა აბუ ბაქრის ერთგულება და მორჩილება, წმინდა ომარის სამართალი, წმინდა ოსმანის თავმდაბლობა და გულუხვობა, წმინდა ალის აღმაფრენა და ალლაჰის გზაზე ბრძოლის უნარი არის? დღეს ათასგვარ სატანჯველში მახრჩვალ ისლამურ სამყაროს შეგიძლიათ ბედნიერების საუკუნის აღფრთოვანება გადასცეთ?“

დიდო ღმერთო, წილად გვარგუნე ბედნიერება ვისარგებლოთ ჰარამეინის სულიერებისგან და დამწვარი გულით ალლაჰის შუამავლის მონახულება შევძლოთ!

ღმერთო ჩვენო, ჩვენ მორჩილებითა და ღმერთზე მინდობით განმსჭვალული ცხოვრება შეგვაძლებინე! ჩვენი თავშეფარების ადგილი მხოლოდ შენ იყავი! ჰაჯობა მგრძნობიარე გულით შეგვასრულებინე!

ამინ!

მუსლიმანური სამართლის მოძღვრებიდან

ჰაჯობა და ყურბანი

ჰაჯობა

ჰაჯობის ფარძები

1. იჰრამი: ადამიანი, რომელმაც ჰაჯობა განიზრახა, თელბიეს წარმოთქვამს და იჰრამს ჩაიცვამს, მას სხვა დროისთვის ჰალალი ქმედებები განსაზღვრული დროის განმავლობაში ეკრძალება.

2. არაფატზე გაჩერება (ვაყვე): მექას ახლოს მდებარე არაფატის მთაზე ზილჰიჯეს თვის მეცხრე (არეფე) დღის შუადღის ნამაზიდან ყურბან ბაირამის პირველი დღის გარიჟრაჟამდე გაჩერება.

3. ქააბას გარს შემოვლა (ტავაფი): არაფატზე გაჩერების შემდეგ ბაირამის პირველი დღიდან დაწყებული ნებისმიერ დროს ქააბას მონახულებაა. მაგრამ ბაირამის პირველი სამი დღის განმავლობაში შესრულება ვაჯიბია. აქედან გამომდინარე, ვინც ამ სამი

დღის განმავლობაში ქააბას არ მოინახულებს, ვაჯიბს უარყოფს, ვალედბულია ამ დანაშაულის გამოსასყიდად ყურბანი დაკლას. მაგრამ ქალებს საპატიო მიზეზი თუ აქვთ, შეუძლიათ ეს გარს შემოვლა სამი დღის შემდეგაც შეასრულონ. დანაშაულად არ ითვლება და შესაბამისად გამოსასყიდ ყურბანსაც არ საჭიროებს.

ჰაჯობის მთავარი პირობები

1. ჯანმრთელობა: არ უნდა იყოს ბრმა, პარალიზებული და იმდენად ავადმყოფი ან მოხუცი, რომ ჰაჯობის მგზავრობა ვერ გაუძლოს;

2. არ უნდა არსებობდეს ჰაჯობაზე წასვლისთვის დაბრკოლება (მაგალითად, პატიმარი არ უნდა იყოს);

3. გზა უსაფრთხო უნდა იყოს;

4. ქალს უნდა ახლდეს ქმარი ან სხვა ვინმე ისეთი ახლობელი, ვისზეც ისლამის მიხედვით ქორწინება აკრძალული აქვს;

5. ქვრივი ან ქმარს გაცილებული ქალისთვის გასული უნდა იყოს ის ვადა, რომლის განმავლობაშიც მას არ აქვს გათხოვების უფლება, (ასევე ახლობლის ერთად შეუძლია წასვლა);

ჰაჯობის ვაჯიბები

1. იჰრამის ჩაცმა მიყათში (ტერიტორია სადც მხოლოდ იჰრამით შეიძლება შესვლა) შესვლამდე;

2. იჰრამის დროს აკრძალული რამეებისგან შორს დგომა;

3. არაფატზე მზის ჩასვლამდე გაჩერება;

4. ბაირამის დილას გარიჟრაჟიდან მზის ამოსვლამდე მუზდელიფეზე ღამის გათენება;

5. მინაზე ეშმაკზე ქვების სროლა;

6. თემეთთუ და ქირან ჰაჯობის შემსრულებლების მიერ ყურბნის დაკვლა;

7. ქააბას გარს შემოვლის შვიდჯერ შესრულება;

8. მონახულების, ქააბას გარს შემოვლის ყურბან ბაირამის დღეებში შესრულება;

9. სახლში დაბრუნების წინ გამოსამშვიდობებელი ქააბას გარს შემოვლის რიტუალის შესრულება;

10. ქააბას გარს შემოვლის დროს აბდესისა და სასირცხვო ადგილების დაფარვა;

11. ქააბას გარს შემოვლის ჰაჯერულ ესვედის ხაზიდან დაწყება, ქააბაზე მარცხენა მხრიდან, ფეხით გარს შემოვლა;

12. თითოეული გარს შემოვლის შემდეგ ორი მუხლი ნამაზის ლოცვა;

13. თავაფი, ქააბას შვიდჯერ გარს შემოვლა.

14. საფასა და მერვეს შორის შვიდჯერ საის შესრულება;

15. საის საფადან დაწყება. ვისაც საპატიოს მიზეზი არ აქვს, საის ფეხით შესრულება;

16. მინაზე ქვების სროლის შემდეგ, მექას ჰარემში

ყურბან ბაირამის პირველ სამ დღეს თმების შეკრეჭა.

იჰრამის ჩაცმის შემდეგ აკრძალული მდგომარეობები

1. შეკერილი ტანსაცმლის ჩაცმა;

2. ქალთან სქესობრივი კავშირი, კოცნა, მოფერება;

3. სასიამოვნო სუნამოს მისხურება;

4. ცხოველების მონადირება ან მონადირისთვის ჩვენება;

5. მწვანე ხეებისა და ბალახების მოჭრა ან მოწყვეტა;

6. თმების შეკრეჭა ან დამოკლება.

ყურბანი

ყურბნის პასუხისმგებლობის პირობები

1. მუსლიმანობა;

2. თავისუფლება: მონები და მხევლები ყურბნის დაკვლაზე პასუხისმგებელი არ არიან;

3. მგზავრი არ უნდა იყოს: ისლამში, ვინც მგზავრად ითვლება შეუძლია ყურბანი არ დაკლას.

4. სიმდიდრე: მთავარი აუცილებლობის გარდა, საჭიროა, ფლობდე განსაზღვრული რაოდენობის ქონებას;

5. სრულ ჭკუაზე ყოფნა და სრულწლოვანება: ბავშვებსა და სულით ავადმყოფებზე ყურბნის დაკვლა ვაჯიბი არ არის.

ყურბნად დასაკლავი ცხოველები

1. ცხვარი და თხა ერთი წლის უნდა იყოს. ბატკანი გარეგნულად ერთი წლისა რომ იყოს შეიძლება, შვიდი ან რვა თვისაც დასაშვებია.

2. მსხვილფეხა პირუტყვი და კამეჩი ორი წლის უნდა იყოს.

3. აქლემი ხუთი წლის უნდა იყოს.

4. ცხვარი და თხა – თითო ადამიანისთვის, მსხვილფეხა პირუტყვი, კამეჩი და აქლემი შვიდი ადამიანისთვის შეიძლება იყოს ყურბანი.

მიტევებისა და შენდობის კლიმატი

რამაზანი და მარხვა

რამაზანი მარხვის ნაყოფიერი ცხოვრების დაჯილდოების თვეა. ეს თვე ჩვენთვის ნაბოძები ათასგვარი სიკეთის ფასს გვასწავლის. ის წარმავალ სიამოვნებებზე უარს გვათქმევინებს და მარადიული სიამოვნების საიდუმლოს გვაზიარებს. ამ ყველაფერს კი მარხვის საშუალებით შეგვაგრძნობინებს.

მარხვის მთავარი მიზანი მუდმივი ღვთისმსახურების შეგნებით ვნებასთან ბრძოლა, მისი გაკონტროლება და მისი საშუალებით ზეგავლენის მინიმუმამდე დაყვანაა.

მარხვა ავარჯიშებს ცხოვრებასთან შებრძოლების ისეთ აუცილებელ თვისებებს, როგორიცაა „მოთმინება, ნებისყოფა, ვნების სურვილებთან დაშორება“. ამგვარად ის ზნეობას სრულყოფს. ეს ღვთისმსახურება

არის ადამიანის ღირსების დამცავი ფარი ისეთი ვნებების წინააღმდეგ, როგორიცაა ჭამა-სმა, ავხორცობა და სხვა.

მარხვა ადამიანს მცირედით კმაყოფილებას, მორჩილებას, ამტანობას, მოთმინებას ასწავლის და ამგვარად მაღალზნეობრივს ხდის. ამასთან ერთად, შიმშილი და უქონლობა სიკეთეების ფასს ასწავლის და ამგვარად ღარიბების მდგომარეობაზე აფიქრებს, მათდამი გულისხმიერებასა და თანაგრძნობას უღვიძებს. მადლიერების გრძნობებს უმძაფრებს. ამ თვისებებით მარხვა ყველაზე ადვილად ერევა სიძულვილის, შურის, ეჭვიანობის და საზოგადოების სიმშვიდის გამანადგურებელ სხვა უარყოფით გრძნობებს. აქედან გამომდინარე, მარხვა მხოლოდ ისლამის მიმდევრების კი არა, ადრეული ერთმორწმუნეებისთვის ფარძად დაწესებული ღვთისმსახურებაა. უდიდესი ალლაჰი ბრძანებს:

يَاأَيُّهَا الَّذِينَ ءَامَنُوا كُتِبَ عَلَيْكُمُ الصِّيَامُ كَمَا كُتِبَ عَلَى الَّذِينَ مِنْ قَبْلِكُمْ لَعَلَّكُمْ تَتَّقُونَ أَيَّامًا مَعْدُودَاتٍ

„ეი, თქვენ, ვინც ირწმუნეთ! განსაზღვრულ (რაოდენობის) **დღეებში მარხვა ფარძად დაიწერა თქვენზე ისე, როგორც დაევალდებულა თქვენს წინამორბედებს. იმედია, ღვთისმოშიშნი იქნებით...“** (სურა ბაყარა, აიათები 183-184)

ისლამში ფარძად დაწესებული ღვთისმსახურებები სხვადასხვა სულიერი ავადმყოფობისთვის წამლის მსგავსია. ვნების სურვილები,ამქვეყნიური მოსართავებით

მოტყუება, ტკბობისა და გართობისადმი მიდრეკილება სულიერი ავადმყოფობების გამომწვევი მიზეზებია. მექას პერიოდში მუსლიმანებისთვის, რომლებმაც დაკარგეს ყველაფერი, რაც გააჩნდათ და მათ სიცოცხლესაც საფრთხე დაემუქრა. ამგვარი დაავადებების შეყრის საფრთხე არ არსებობდა. ჰიჯრის შემდეგ კი ურწმუნოების ჩაგვრისგან გათავისუფლდნენ. ისლამმა – გავრცელება, ეკონომიურმა მდგომარეობამ ნელ-ნელა გამოსწორება დაიწყო. სულიერი დაავადებები რომ არ შეჰყროდათ, მარხვა იყო საჭირო. აქედან გამომდინარე, მარხვის დრო მოსულიყო. შედეგად ჰიჯრით II წელს მუსლიმანებისთვის მარხვა ფარძად დაწესდა.

მართლაც, უამრავი ბევრი მატერიალური და სულიერი ავადმყოფობის წამალია. მარხვა ფარძია განსაზღვრული რაოდენობის დღეებში. ადამიანი წამალს გამუდმებით თუ იყენებს, ორგანიზმი მას ეჩვევა და წამალი ზემოქმედების ძალას კარგავს, მარხვაც ამგვარია, მატერიალური და სულიერი ცხოვრებისთვის წამლის მოვალეობის შემსრულებელი. მაგრამ ზომიერების საზღვრები თუ იქნება დარღვეული, მარხვა ვერც მატერიალურ და ვერც სულიერი ცხოვრების სრულყოფილებას ვერ უზრუნველყოფს. წმინდა შუამავალმა გააფრთხილა ის თანამიმდევარი, რომელმაც თქვა:

„მე ამის შემდეგ მთელ ჩემს ცხოვრებას მარხვაში გავატარებ!“

მეორე მხრივ, მარხვისთვის განსაზღვრული თვის დაწესება ყველა მუსლიმანის ღვთისმსახურების ერ-

თად შესრულებას უზრუნველყოფს და ისლამურ ერთობას წარმოაჩენს. ამგვარად, განსაზღვრული რაოდენობის დღეებში მარხვა ჩვენს ცხოვრებას, რომელიც ასევე განსაზღვრული დროის არის, დახვეწილობას, სიღრმეს მოაპოვებინებს.

ამავე დროს დიდი სიბრძნე დევს იმაში, რომ რამაზანი წელიწადის ყველა დროში მონაცვლეობს. წელიწადის სხვადასხვა დროში არის სიცხე, სიცივე, სიგრილე და სითბო, დღეები არის გრძელი, მოკლე ან საშუალო ხანგრძლივობის. ამგვარად, რამაზანი წელიწადის ნებისმიერი სახის დღეს შეეხება. ამავე დროს მათთვის, ვინც მარხულობს, ეს მდგომარეობა ბევრ სირთულესა და სიადვილესთან არის დაკავშირებული და ის მორწმუნეებს სხვადასხვა სულიერ სიამოვნებას განაცდევინებს. შედეგად ძნელად შესასრულებელი ღვთისმსახურება განსაკუთრებული გამოცოცხლებითა და სიყვარულით სრულდება.

მარხვისთვის ეს თავისებურება მის ფარძად დაწესებაშიც ჩანს:

ყურანში რამაზნის თვეში მარხვა მკაცრად განსაზღვრული წესითაა ნაბრძანები. თავდაპირველად ნათქვამია:

يَاأَيُّهَا الَّذِينَ ءَامَنُوا كُتِبَ عَلَيْكُمُ الصِّيَامُ

„ეი, თქვენ, ვინც ირწმუნეთ! მარხვა ფარძად დაიწერა თქვენზე.“ (სურა ბაყარა, აიათი 183)

შემდეგ გაცხადებულია, რომ ის მარტო ჩვენ კი არ გვებრძანა, ჩვენი წინამორბედებისთვისაც ფარძადაა დაწესებული.

„ისე, როგორც დაევალდებულა თქვენს წინამორბედებს...“ (სურა ბაყარა, აიათი 183)

ამის შემდეგ მარხვისთვის განსაზღვრული დრო დასახელდა:

أَيَّامًا مَعْدُودَاتٍ

„განსაზღვრულ (რაოდენობის) **დღეებში...“.“** (სურა ბაყარა, აიათი 184)

ამის შემდეგ რამაზნის თვის ღირსებებზე და მარხვის შესახებ ადამიანის აგებულების შესაბამისობაზეა საუბარი:

شَهْرُ رَمَضَانَ الَّذِي أُنْزِلَ فِيهِ الْقُرْءَانُ هُدًى لِلنَّاسِ وَبَيِّنَاتٍ مِنَ الْهُدَى وَالْفُرْقَانِ فَمَنْ شَهِدَ مِنْكُمُ الشَّهْرَ فَلْيَصُمْهُ وَمَنْ كَانَ مَرِيضًا أَوْ عَلَى سَفَرٍ فَعِدَّةٌ مِنْ أَيَّامٍ أُخَرَ يُرِيدُ اللَّهُ بِكُمُ الْيُسْرَ وَلَا يُرِيدُ بِكُمُ الْعُسْرَ وَلِتُكْمِلُوا الْعِدَّةَ وَلِتُكَبِّرُوا اللَّهَ عَلَى مَا هَدَاكُمْ وَلَعَلَّكُمْ تَشْكُرُونَ

„რამაზნის თვეა (იგი), **რომელშიც ზეგარდმოვლენილი იქნა ყურანი, ადამიანთათვის ჭეშმარიტ გზად, ჭეშმარიტის მტკიცებულებად და სიცრუე-სიმართლის განმასხვავებლად. ვინც თქვენგან** (რამაზნის) **მთვარე იხილოს – იმარხოს. და ვინც ავად ან მგზავრი იყოს**

(და ვერ იმარხოს), **სხვა დღეებში იმდენივე** (იმარხოს). **ალლაჰს თქვენთვის ადვილი სურს და არ სურს თქვენთვის ძნელი, რათა შეავსოთ ნაკლულ დღეთა რიცხვი. და ადიდეთ ალლაჰი რადგან თქვენ ჭეშმარიტ გზაზე დაგადგინათ. იმედია, მადლიერნი იქნებით.“** (სურა ბაყარა, აიათი 185)

ამ აიათის ბოლო ნაწილში მარხვის შედეგია გაცხადებული. ესე იგი, მარხვა არის საშუალება, რომ ადამიანმა ალლაჰს თაყვანი სცეს და მადლობა სრულყოფილად გადაუხადოს. ამ გადასახედიდან შეიძლება ითქვას, რომ მარხვა ყველა ღვთისმსახურებაზე მეტად ზემომქმედი ღვთისმსახურებაა. შაქიქი ბელჰი ბრძანებს:

„ღვთისმსახურების შესაბამისად შესრულება ხელოვნებაა. მისი მოგების ადგილი განმარტოება, საშუალება კი შიმშილია.“

შიმშილი თანამედროვე მედიცინაშიც კი დიეტის სახელითაა ცნობილი და ჯანმრთელობის პირველი პირობაა. შიმშილი ასატანად ყველაზე რთული პროცესია. გადმოცემის მიხედვით, როცა ვნება შეიქმნა, ათასგვარი გატაცების დაუკმაყოფილებლობის მიუხედავად, უდიდეს ღმერთს ეუბნებოდა: „შენ შენ ხარ, მე – მე“ თავისი უსუსურობა მხოლოდ შიმშილის შემდეგ აღიარა. ნებისყოფის გამომუშავებისთვის შიმშილზე ძლიერი საშუალება არ არსებობს. ნებისყოფა კი თანდაყოლილ და ვნების მიდრეკილებების დასაძლევად უპირველესი პირობაა.

წმინდა მევლანა ბრძანებს:

„ადამიანის მთავარი საკვები ღვთიური ნათელია. მისთვის გადამეტებული სხეულის საკვების მიცემა შესაბამისი არ არის. ადამიანის ძირითადი საკვები ღმერთის სიყვარული და ჭკუაა.

ადამიანი იმის გამო კარგავს სიმშვიდეს, რომ სულიერ საკვებს ივიწყებს და მხოლოდ სხეულის კვებაზე ფიქრობს. გაძღომა არ იცის. ჟინისგან სახე გაფითრებული აქვს, ფეხები უცახცახებს, გული ბუდიდან ამოვარდნას ლამობს. სად არის დედამიწის საკვები, სად არის მარადიულობის საკვები?!

ალლაჰის შეჰიდებზე ბრძანებს: ***„სარჩო ებოძათ“.*** *იმ სულიერი საკვებისთვის არც პირი არსებობს და არც სხეული.“*

წმინდა ლოყმანი შვილს ასე ურჩევდა:

„როგორც კი კუჭი გაძღება ფიქრი იძინებს, სიბრძნე ჩუმდება, ორგანოები ღვთისმსახურებებს აღარ ასრულებენ.“

ერთ-ერთი წმინდანი ასე ამბობდა:

„მრავალგვარი საჭმლისგან, კუჭის აშლილობის გამომწვევი საწამლავისგან ალლაჰს ვეფარები.“

აიშე ამბობდა:

„ეცადეთ სულთა საუფლოს კარები გააღოთ!“

ჰკითხეს:

„რით?“

„შიმშილითა და წყურვილით!“

მაჰმუდ სამი რამაზანოღლუ წიგნში **„წმინდა ადამიანი“** ცოტა ჭამისა და შიმშილის მნიშვნელობაზე საუბრობს, შემდეგ შეკითხვებს უსვამს

ექიმებს:

„ყველაზე კარგი განმკურნებელი წამალი რა არის?“

ბრძენებს:

„ღვთისმსახურებას ყველაზე მეტ ენთუზიაზმს რა ანიჭებს?“

ღვთისმოშიშებს:

„ღმერთთან ყველაზე მეტად რა გაახლოებთ?“

მეცნიერებს:

„ცოდნის დამახსოვრებისათვის საუკეთესო რა არის?“

ემირებს:

„ყველაზე გემრიელი და ნოყიერი საჭმელი რა არის?“

ყველამ უპასუხა:

„ცოტა საჭმელი!“

ვინაიდან ცოტა ჭამას, განსაკუთრებით შიმშილსა და მარხვას ათი კარგი თვისება ახლავს:

1. შიმშილისას გული მხიარულია, მეხსიერება –

ძლიერი; სიმაძღრისას კი სისულელე და გულმავიწყობა მოდის.

2. შიმშილისას გული თანამგრძნობია, ღმერთზე ვედრებისა და ღვთისმსახურებებისგან სიამოვნება და ნაყოფიერება შეიგრძნობა, სიმაძღრისას კი გული გაქვავებულია და ღვთისმსახურებაც სიამოვნებას ვერ მიანიჭებს ადამიანს.

3. შიმშილისას გული რბილია, ტკივილს და მოკრძალებას გრძნობს; სიმაძღრისას კი გულქვაობა, სიამაყე და თავმოწონება იჩენს თავს.

4. შიმშილის დროს ღარიბებსა და მშივრებზე ფიქრობს, სიმაძღრეში კი ივიწყებს.

5. შიმშილისას ვნების სურვილები იმსხვრევა, სიმაძღრისას კი ვნება ძლიერდება.

6. შიმშილისას სხეული ფხიზელი და ცოცხალ მდგომარეობაშია; სიმაძღრეში მოდუნებული და უყურადღებო.

7. შიმშილისას ღვთისმსახურებისა და მონა-მსახურობის გაგრძელება ადვილია, სიმაძღრისას კი ზარმაცი და მოდუნებულია.

8. შიმშილისას სხეული ჯანმრთელია, ავადმყოფობა იკურნება; სიმაძღრისას კი სხეული დასუსტდება და სულიერად დაავადდება.

9. შიმშილისას სხეული სიმსუბუქეს და სიხალვათეს გრძნობს, სიმაძღრისას კი სიმძიმე აწევს და ინერტულია.

10. შიმშილისას ადამიანს მოწყალების გაღება, გულუხვობა და ქველოქმედება სიამოვნებას ანიჭებს. ეს კი ადამიანს განკითხვის დღის პაპანაქებაში საჩრდილობელს უქმნის. სიმაძღრეში კი სიძუნწე ან მფლანგველობა იჩენს თავს, რაც მას ანადგურებს.

ესე იგი, მაშინ, როცა სიმაძღრე ვნების სურვილებს აქეზებს; შიმშილი მანამ, სანამ ზღვარს არ გადააჭარბებს, ჩაფიქრების უნარს აძლიერებს.

განსაკუთრებით მარხვის ამ სარგებელზე დაყრდნობით, ჰადისში მოკლედაა ნაბრძანები:

„იმარხულეთ, (ფიზიკურად და სულიერად) გაჯანსაღდებით!“ (თაბერანი)

შიმშილით მოპოვებულ მატერიალურ და სულიერ სიჯანსაღესა და ჩვევების მიმანიშნებელ ყველაზე სრულყოფილ საყრდენში უდიდესი ღმერთი შუამავლებისთვის დამახასიათებელ სრულყოფილებასთან მიღწევის მეთოდებს შორის განსაკუთრებულ ადგილს მარხვას ანიჭვებს.

შუამავლების შუამავლობისათვის მოსამზადებელი საფეხური მარხვა იყო, სრულყოფილების მწვერვალზე მისაღწევად რაღაც პერიოდის განმავლობაში ადამიანების სამყაროს მოშორებული იყვნენ და მათში ანგელოზების თვისებები მჟღავნდებოდა. ამგვარად მათი გულები და გონება ღვთიური ზეშთაგონების წყაროთი ივსებოდა. ამ მიმართულებით

ძალიან ღირსეული შუამავალი მუსა, სანამ თევრათი მოევლინებოდა, სინას მთაზე ორმოცი დღის განმავ-

ლობაში უჭმელ-უსმელი იმყოფებოდა.

წმინდა შუამავალი ისაც, ინჯილის პირველი სიტყვის ზეშთაგონებამდე, საირის მთაზე, ორმოცი დღის განმავლობაში, უჭმელ-უსმელი იმყოფებოდა.

წმინდა მუჰამმედ შუამავალიც ﷺ ყურანის მოვლენამდე ზუსტად ერთი თვის განმავლობაში მექას ახლოს მდებარე ჰირას გამოქვაბულში განმარტოვდა და დღეებს სხვადასხვა ღვთისმსახურებაში ატარებდა. საბოლოოდ, ჯებრაილის ხმით ემახარობლა და გული ღვთიური ნაყოფიერების შუქით აღევსო.

ეს ჭეშმარიტებებიც აჩვენებს, რომ მარხვის მთავარი მიზანი და სარგებელი სულიერებაა. აქედან გამომდინარე, რადგან მარხვა ღვთისმსახურებაა, მხოლოდ ამ მიზნით უნდა განხორციელდეს. მას მხოლოდ ფიზიკურობისთვის სასარგებლო მიზნისთვის თუ გამოვიყენებთ, ღვთისმსახურებად აღარ ჩაითვლება. ესე იგი მარხვა არ უნდა იქნეს გამოყენებული წონის დაკლებისა და სხვა მსგავსი მიზნებისათვის. ამგვარი მარხვა ადამიანს ღმერთის კმაყოფილებას არ მოაპოვებინებს.

სხეულისთვის სასარგებლო მოძრაობების გამო შესრულებული ნამაზიც ამგვარია.

ღვთისმსახურებები მხოლოდ ღმერთის კმაყოფილების მიზნით სრულდება. ამ მიზნის განსახორციელებლად გულის დონის ამაღლება, უზრდელობისგან გათავისუფლება და სრულყოფილებასთან მიღწევა აუცილებელია.

რამაზანთან დაკავშირებით, წმინდა შუამავლის ﷺ ზოგი-

ერთ რჩევას აუცილებლად ყურადღება უნდა მივაქციოთ.

ა. ქელიმე შეჰადეთი;

ბ. ღმერთისადმი ცოდვების მიტევების თხოვნა და მისი ხსენება;

გ. სამოთხის მოსაპოვებლად ბევრი ღვთისმსახურება;

დ. ჯოჯოხეთისგან დასახსნელად აკრძალულებზე თავის არიდება;

ე. შესაძლებლობების ფარგლებში მრავალი სიკეთის ქმნა, გულგატეხილებისა და სევდიანი ადამიანების დალოცვის მიღება;

ვ. მარხული ადამიანისთვის იფთრის მომზადება

და ა. შ.

რამაზანი არის თვე, რომელიც ღვთის წყალობით მორწმუნეებს მადალ ზნეობასა და სრულყოფილებას მოაპოვებინებს. როცა მარხული ვართ, პირიდან წარმოთქმულ სიტყვას ისეთივე ყურადღება უნდა მივაქციოთ,როგორც იმას,რომ პირში არაფერი გადაგვცდეს. ჭორაობასა და ადამიანების გულის ტკენას უკიდურესად უნდა ვერიდოთ და მარხვის ღირსება არ უნდა შევამციროთ.

ალლაჰის შუამავალი ﷺ ბრძანებს:

„მარხვა ფარია მარხული ადამიანისთვის, სანამ ის

მას არ წაახდენს იმით, რაც მარხვას არ უხდება.“

უთხრეს:

„(მარხული) მას რით წაახდენს?“

„ტყუილითა და ჭორაობით...“ (ნესაი, მურჯემულ ევსათი)

რადგან მატყუარები და ჭორიკნები დღისით თავს ანებებენ საჭმელს, რომელიც აკრძალულია იმიტომ, რომ მარხულობენ, მაგრამ ტყუილის თქმითა და ჭორაობის მიზეზით ადამიანის ხორცის ჭამა გამოსდით. ასეთი ადამიანების შესახებ ღვთისმოშიშობის საზომის მიხედვით ნათქვამია:

„ჭორიკანა ადამიანის მარხვა იშლება.“

წმინდა მუჯაჰიდი იგივეს იმეორებს:

„ჭორიკანა ადამიანის მარხვა იშლება.“

ისინი, ვინც ტყუილის თქმით მარხვას დააზიანებენ, მარხვის მთავარ მიზანს – მაღალ ზნეობას ვერ მოიპოვებენ.

ამის გამო, თვალთმაქცურად, ამქვეყნიური მიზნებისთვის შესრულებული მარხვისა და ნამაზის შესახებ, წმინდა შუამავალი ბრძანებს:

„მრავალი ადამიანია, რომელიც მარხულობს, მაგრამ ამ მარხვისგან მას შიმშილის გარდა არაფერი რჩება! მრავალია აგრეთვე ღამე ნამაზის (თერავი და თეჰეჯჯუდ) მლოცველი, რომლებსაც ნამაზისგან მხოლოდ უძილობა რჩებათ.“ (თაბერანი)

ნამაზებმა, განსაკუთრებით თერავი და თეჰეჯჯუდ

ნამაზებმა, გულის სიმშვიდე უნდა უზრუნველყონ. ამ წმინდა თვეში ნამაზები უფრო გულმოდგინედ შევასრულოთ, ყურანი მოკრძალებით უნდა წავიკითხოთ, ღმერთის ხსენებით ჩვენი სული უნდა დავხვეწოთ, ზექათის გადახდითა და მოწყალების გაღებით სინდისის წინაშე სუფთა უნდა წარვსდგეთ. იმის გამო, რომ ყურანი ამ წმინდა თვეშია მოვლენილი, ყურანის მიხედვით უნდა აღვიზარდოთ, ღვთისმსახურებები ამ მიმართულებით უნდა შევაფასოთ.

ყურანი სინამდვილეში გულით იკითხება. თვალის მოვალეობაა იყოს გულის სათვალე.

რამაზნის კიდევ ერთი ღირსება ის არის, რომ ჩვენი ცხოვრება ყურანის მიხედვით განვსაჯოთ.

რამაზანს, მარხვასა და ყურანს შორის ფაქიზი კავშირი და ღრმა სიახლოვეა. სიცოცხლისა და სიკვდილის შესახებ რჩევა-დარიგებები, ყურანის გარდა, რომელ უფლებამოსილ ტრიბუნიდან შეიძლება მივიღოთ?

წმინდა შუამავალი ﷺ ბრძანებს:

„მარხვა და ყურანი განკითხვის დღეს ადამიანს უშუამდგომლებს.“ (აჰმდ იბნ ჰანბელი, მუსნედი, II, 174)

„მარხვა მოთმინების ნახევარია.“ (თირმიზი, დეავითი, 86 მარხვის)

მარხვის საზღაურს ადამიანს უდიდესი ღმერთი უხდის. წმინდა ჰადისში ნაბრძანებია:

„ადამიანს ყველა ქმედება თავადვე ეკუთვნის. მარხ-

ვა კი ასე არ არის, რადგან ის ჩემთვის არის. აქედან გამომდინარე, მის ჯილდოს (განსაკუთრებული ფორმით) უხვად გავსცემ.“ (ბუჰარი)

აიათში ნაბრძანებია:

وَالصَّائِمِينَ وَالصَّائِمَاتِ وَالْحَافِظِينَ فُرُوجَهُمْ وَالْحَافِظَاتِ

وَالذَّاكِرِينَ اللَّهَ كَثِيراً وَالذَّاكِرَاتِ أَعَدَّ اللَّهُ لَهُمْ مَغْفِرَةً وَأَجْرًا عَظِيمًا

„მარხული მამაკაცებისა და ქალებისათვის, აკრძალული ადგილების დამფარავი მამაკაცებისა და ქალებისათვის, ალლაჰის ხშირად მხსენებელი მამაკაცებისა და ქალებისათვის უზენაესმა ალლაჰმა დიდი ჯილდო მოამზადა.“ (სურა აჰზაბი, აიათი 35)

აქედან გამომდინარე, ალლაჰის შუამავალი, ﷺ ბრძანებს:

„მარხულ ადამიანს ორი რამ ახარებს:

1. იფთრის დროს იხარებს (უდიდესი ღმერთის სიკეთეებს რომ მიირთმევს, იმის გამო);“

2. იხარებს, ღმერთს რომ შეხვდება. ამ მაღალ საფეხურს კი მარხვის წყალობით მოიპოვებს.“ (ბუჰარი)

როგორც ვხედავთ, უდიდესი ღმერთი აცხადებს, რომ მარხვა ადამიანს წარმატებას მოაპოვებინებს და რომ მისთვის ჯილდო და საფასური არსებობს, მაგრამ ჯილდოს დასახელება საიდუმლოდ დატოვა. ზუსტად ისე, როგორც კონკურსისთვის მეტი ხიბლის მისანიჭებლად ჯილდო საიდუმლო რომ არის.

მარხვა არის ღვთისმსახურება, რომელიც ადამიანს სიკეთეების ფასს ასწავლის, მადლიერების გრძნობებს უღვიძებს, აფიქრებს გაჭირვებულებისა და ღარიბების მდგომარეობაზე, ვნების სურვილებს ანადგურებს, მატერიალიზმის ტყვეობისგან განკურნავს და აღჭურავს ყველაზე მაღალი ზნეობრივი თვისებით, რასაც „მოთმინება“ ჰქვია.

რამაზნის მარხვაში მნიშვნელოვანია თერავიჰ ნამაზი, საჰურისა და განთიადისთვის ყურადღების მიქცევა. ალლაჰის შუამავალი ﷺ ბრძანებს:

„ალლაჰმა რამაზნის მარხვა თქვენთვის ფარძად დააწესა. მეც მისი ყიამი, ესე იგი, რამაზნის თვეში თარავიჰის ლოცვა თქვენთვის სუნნეთად დავაწესე. თუკი ვინმე რწმენით გაჯერებული გულითა და მადლის მოპოვების მიზნით, რამაზნის თვეში იმარხავს, თარავიჰ ნამაზს ილოცავს, ისეთივე უცოდველი გახდება, როგორც ახალშობილი.“ (აჰმედ იბნ ჰანბელი, ნესაი)

იმისათვის, რომ მარხვა და ნამაზი მიღებულ იქნას, გულის დონის ამაღლებაა საჭირო. ნამაზი – საჭმლის მოსანელებელი საშუალება, მარხვა კი მშრალი შიმშილი არ უნდა იყოს. ამის გამო, ისე როგორც ნამაზს მარხვასაც მგრძნობიარედ და გულწრფელად უნდა მოვეკიდოთ. ჰადისში ნაბრძანებია:

„იფთარზე იჩქარეთ, საჰურზე დააყოვნეთ!“ (თაბერანი, მუჯემულ ქებირ, 25, 163)

ეს ბრძანება ღმერთის დადგენილი საზღვრების დაცვისკენ მოგვიწოდებს. ესე იგი, მარხვის დაწყების

საზღვარზე ჭამა-სმა უნდა შეწყვიტო და იფთრის დრო რომ მოვა, მარხვა მაშინვე უნდა გატეხო, ღვთიური ბრძანებისადმი პატივისცემა და მორჩილება უნდა გამოხატო. საწინაღმდეგო მდგომარეობები, ესე იგი, საჰურსა და იფთარზე დაუმორჩილებლობა, სუნნეთისადმი უგულისყურობის გამოვლინებაა და მიღებული არ არის.

იფთარი შიმშილის მოსაკლავი საშუალებაა და მისი უარყოფა არ შეიძლება, ასევე საჰურისაც. ამის გამო წმინდა შუამავალი გვაფრთხილებს, რომ ერთი ჭიქა წყალიც რომ იყოს, საჰურის გაკეთება მნიშვნელოვანია. ალლაჰის შუამავალი ბრძანებს:

„საჰური გააკეთეთ, რადგან მასში ბარაქიანობაა.“ (ბუჰარი, საუმი, 20)

რამაზნის ჭეშმარიტებას რომ ჩავწვდეთ, საჭიროა იმ სეზონზე მოსული ღვთიური წყალობის წვიმებით ვისარგებლოთ. ვინაიდან, ქვასა და ზღვას აპრილის წვიმა ვერავითარ სარგებელს ვერ მოუტანს. მიტევების გარემოს მხოლოდ ღვთისმოშიშობის შემთხვევაში გავუსინჯავთ გემოს და ამ წყალობისთვის ღმერთს მადლობას გადავუხდით.

ალლაჰის შუამავალი ﷺ ბრძანებს:

„რამაზნის თვე რომ დგება, სამოთხის კარები იხსნება, ჯოჯოხეთისა კი იკეტება; ეშმაკებს ჯაჭვები ედებათ.“ (ბუჰარი, მუსლიმი)

ესე იგი, ადამიანის დანაშაულებები და ცოდვები,

ნამდვილ მარხულებში მინიმუმადე მცირდება. ეშმაკის ბოროტებაც მთავრდება. მაგრამ ვნების ბოროტებას უფრო ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ...

ჰადისში ნაბრძნებია:

„სამოთხე წლიდან წლამდე რამაზნისთვის ირთვება და ამბობს:

„ჩემო ალლაჰო! ამ თვეში შენი მონა-მსახურები ჩვენთან დამრჩენ ადამიანებად აქციე!..“ (თაბერანი)

მარხვა ადამიანის მიერ განსაზღვრული დროის განმავლობაში მატერიალიზმის რაღაც ნაწილზე უარის თქმას და გულის ცხოვრების ვნებებისგან დაცვას ნიშნავს. სწავლულების მიერ ეს მდგომარეობაც მარხვად ითვლება. ესე იგი, ადამიანი როგორც საჭმელ-სასმელს ერიდება, ასევე უნდა მოერიდოს ჭორაობასა და ტყუილის თქმასაც, გულის სამყარო ამქვეყნიური ათასგვარი და მდაბალი ფიქრებისგან უნდა დაიცვას. ალლაჰის შუამავალი ﷺ ბრძანებს:

„მარხულმა ადამიანმა ტყუილს, თაღლითობას და მსგავს რამეებს არ უნდა მიმართოს. (ვინაიდან) უდიდეს ღმერთს არ სჭირდება მარხვა, რომელიც ადამიანებს (მხოლოდ) საჭმელ-სასმელთან აშორებს.“ (ბუჰარი, ქითაბუ სავმი, თირმიზი, ბაბუს სავმი, აბუ დავუდი, სავმი, 236; იბნ მაჯე, 122)

ამ ჰადისის მიხედვით, ყოველგვარ ისეთ დაუდევრობას უნდა ვერიდოთ, რომელიც ჩვენს მარხვას აზიანებს.

განსაკუთრებით გაბრაზებას უნდა მოვერიდოთ.

ჰადისში ასევე ნაბრძანებია:

„მარხვა, მხოლოდ ჭამა-სმის შეწყვეტა არ არის. სრულყოფილი და მადლიანი მარხვა უსარგებლო საუბარზე, დროის ფლანგვაზე, ცუდის თქმაზე, ჭორაობასა და ვნებებზე თავის არიდებაა. თუკი შენ ვინმე გაგლანძღავს ან შენს წინაშე უმეცარ საქციელს ჩაიდენს, საკუთარ თავს უთხარი: „უეჭველია, რომ მე მარხული ვარ!“ და მოითმინე!“ (ჰაქიმი, ბეიჰაქი)

ვინაიდან, რამაზნის თვეს მეორე სახელად „მოთმინების თვე“ ეწოდება. რადგან არაბულად მარხვა არის „სავმ“ და ზოგიერთი ყურანის კომენტატორის განმარტებით, ეს სიტყვა მოთმინების მნიშვნელობას ატარებს. ამ მნიშვნელობით მარხვა ვნების შეკავებას, უდრეკობას და სირთულეების ატანას ნიშნავს.

მოთმინება მაღალი ზნეობის სიმძიმის ცენტრია. რწმენის ნახევარი, სიხარულისა და ბედნიერების გასაღები. ის არის დიდი წყალობა, რომელიც სამოთხის სიკეთეებს მოგვაპოვებინებს.

რელიგიასა და ზნეობაში მოთმინება, არასასიამოვნო და სატანჯველის მომნიჭებელი შემთხვევების წონასწორობის დაუკარგავად, მშვიდად მიღება, ღმერთზე მინდობაა.

მოთმინებით შუამავლებმა ﷺ და წმინდანებმა ალლაჰის დახმარება მოიპოვეს. ისინი ჩვენთვის უბადლო მაგალითები უნდა იყვნენ.

მოთმინების სააქაო მხარე – ძალიან მწარე, საიქიო კი ძალიან ბრწყინვალეა. ვინც მოთმინების სიმწარეს გაუძლებს, მარადიულ სამშობლო – სამოთხეს და ალლაჰის კმაყოფილებას მოიპოვებს.

ყველა საფეხურზე ალლაჰის ბრძანებების და აკრძალვების სიკეთეზე, საოცრებასა და ღვთიურ ჯილდოზე ფიქრი მოთმინებას აადვილებს.

მოთმინების პირველი პირობა ის არის, რომ შემთხვევის მოხდენისთანავე უნდა მოითმინო. დროის გასვლის შემდეგ მოთმინებას ზედმეტი ჯილდო არ აქვს.

მოთმინება ყველაზე ლამაზად შუამავლებსა და წმინდანებში მჟღავნდებოდა. ის არის მარალი ზნეობის ერთ-ერთი საფუძველი, წარმატების საწინდარი და სამოთხის გასაღები.

იმისათვის, რომ მარხვის დროს ღმერთთან სიახლოვე შევიგრძნოთ, „საჰურის, თარავიჰის, ღმერთის ხსენების, ყურანისა და ვედრებისგან“ სიამოვნება უნდა შევიგრძნოთ.

იფთრის დრო ვედრებების შესმენის წამია. ამის გამო, ამ მღელვარე წამების ერთად განცდა წყალობისა და სიმშვიდის წყაროა. წმინდა შუამავალი ﷺ ბრძანებს:

„ვინც მარხულს იფთარს აჭმევს, ისეთივე მადლი დაეწერება, როგორიც მარხულს, ისე რომ მარხულის მადლს არაფერი დააკლდება.“ (თირმიზი, საუმი, 81)

ამ სამახარობლო ამბის გამგონე ღარიბი თანამიმდევრები ალლაჰის შუამავალთან ﷺ მივიდნენ იმ ამბით დამწუხრებული, რომ მათ მდიდრების მსგავსი შესაძლებლობა, არ გააჩნდათ სხვებისთვის იფთარი შეეთავაზებინათ, ალლაჰის შუამავალმა ﷺ ბრძანა:

„ვინც მარხულ ადამიანს ერთი ხურმით, სასმელი წყლით ან ერთი ყლუპი რძით იფთარს გააკეთებინებს, უდიდესი ალლაჰი მას იგივე მადლს დაუწერს, რასაც მარხულ ადამიანს“ (იბნ ჰუზეიმე, საჰიჰი, III, 191)

ნებაყოფლობითი მარხვისას იმავე მგრძნობელობის გამოჩენაა საჭირო. ვინაიდან, ადამიანების ქმედებას საფუძვლად გულწრფელობა უდევს. ეს მიზნის სიწმინდის მაჩვენებელია. წმინდა შუამავლის ﷺ მაღალი და გამორჩეული ზნეობის ქვეშ აღზრდილი თანამიმდევრები მარხვისადმი დიდ ინტერესს იჩენდნენ. ისინი გაუსაძლის ცხელ დღეებშიც კი ნებაყოფლობით მარხულობდნენ. მათ ერთ ნაწილს მზის სხივისგან თავდასაცავი ტანსაცმელიც კი არ ჰქონდათ და თავდაცვას ხელებით ცდილობდნენ. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ნებაყოფლობით დიდი სიამოვნებით მარხულობდნენ.

ნებაყოფლობით მარხვის ან უმარხულობისას, სხვების დაჟინებით მისი მოშლა ან მოუშლელობა, მიზნის მიხედვით უნდა გაკეთდეს.

აბუ საიდი გადმოგვცემს:

„მე ალლაჰის შუამავლისა და მისი თანამიმდევრე-

ბისთვის საჭმელი მოვამზადე. სანამ მათ საჭმელს შევთავაზებდი, ერთ-ერთი მათგანი გამოვიდა და თქვა: „მარხული ვარ!“ ამაზე ალლაჰის შუამავალმა ბრძანა:

„თქვენმა ძმამ თქვენ დაგპატიჟათ, თქვენთვის სამზადისში იყო. შენ ახლა ამბობ „მარხული ვარო“. მარხვა მოშალე და ის რომელიმე სხვა დღეს იმარხე!“ (თირმიზი, აბუ დავუდი)

მარხვის მოუშლელობასთან დაკავშირებული გადმოცემა კი შემდეგია:

„ალლაჰის შუამავალი და თანანმიმდევრები ჭამდნენ და სვამდნენ, მათთან ბილალიც იყო, რომელიც მარხული იყო. წმინდა შუამავალმა ﷺ ბრძანა:

„ჩვენ სარჩოს ვჭამთ. ბილალის სარჩო კი სამოთხეშია.“ (იბნ მაჯე)

ეს ჰადისები აჩვენებს,რომ მიზნისა და გულის მდგომარეობის მიხედვით ნებაყოფლობითი მარხვის მოშლა ან მოუშლელობა – აუცილებლობიდან გამომდინარე, ორივე ნებადართულია.

ქმედებების შეფასება ალლაჰის საქმეა. სიცოცხლეს სიკეთეში ატარებს ის, ვინც ღმერთთან ახლოს არის და სიცოცხლეს ღმერთის კმაყოფილების მოსაპოვებლად ხარჯავს. ადამიანს როცა ასაფლავებენ, მისგან ამ წარმავალ სამყაროში მხოლოდ მოგონებები რჩება. საფლავი არის ადგილი, სადაც ღვთისმოსავი ქმედებების გარდა, ფასი არაფერს აქვს.

ჰადისში ნაბრძანებია:

„როცა მორწმუნე მოკვდება, ნამაზი – თავთან, მოწყალება – მარჯვენა მხარეს, ხოლო მარხვა მარცხენა მხარეს დადგება..“ (ფედაილ ამალი 267-268)

ალლაჰის კმაყოფილებისათვის შეუსაბამო ცხოვრება უდაბნოში მოხეტიალე მირაჟს ჰგავს. სინამდვილეში ფანტაზიის მეტი არაფერია.

წმინდა შუამავალის ბრძანებებზე მორჩილებით, რამაზანში უფრო მეტი მადლისა და ნაკლები ცოდვის მიღების შესაძლებლობაა.

ჰადისში ნაბრძანებია:

„ადამიანებს შესაბამისად რომ სცოდნოდათ რა არის რამაზანი, ისურვებდნენ მთელი წელიწადი რამაზანი ყოფილიყო.“ (იბნ ჰუზეიმე, საჰიჰი, III, 190)

ვინაიდან, რამაზანი თავიდან ბოლომდე მიტევების კლიმატია. ის არის თვე, სადაც ისლამის ოთხ პირობას განვიცდით. რამაზანი სულს აღრმავებს, ის ჰაჯობისა და ღვთისმსახურების მოსამზადებელი პერიოდია.

უეჭველია, რომ რამაზნის ყველა დღე ხელსაყრელი შემთხვევაა. ის თავიდან ბოლომდე ნაყოფიერების ზეციდან ბარაქის წვიმაა. წმინდა შუამავალი ﷺ ბრძანებს:

„რამაზნის დასაწყისი ღვთის წყალობაა, შუა – შენდობა, დასასრული კი – ჯოჯოხეთიდან განთავისუფლება...“ (იბნ ჰუზეიმე, საჰიჰი, III, 191)

რამაზანი არის სეზონი, რომელიც ჩვენს სულ-

ში გაზაფხულს აჩენს. დამჭკნარი რწმენა ახლდება, გაქვავებული გულები ხელახლა ცოცხლდება. ეს თვე თავიდან ბოლომდე ნადავლისა და მოგების მოპოვების ხელსაყრელი შემთხვევაა.

ადამიანებს, რომლებიც ამ ხელსაყრელ შემთხვევას სათანადოდ ვერ შეაფასებენ, სამწუხარო დასასრული ელოდებათ.

ქაბ იბნ უჯრე გადმოგვცემს:

ალლაჰის შუამავალმა გვთხოვა მინბერთან ახლოს დავმსხდარიყავით. ერთ საფეხურზე რომ ავიდა, „ამინ!“ წარმოთქვა, მეორე საფეხურზე ავიდა, კვლავ „ამინ!“ წარმოთქვა. მესამე საფეხურზე ავიდა, კვლავ „ამინ!“ წარმოთქვა. .შემდეგ როცა მინბერიდან ჩამოვიდა, ვუთხარით:

„ალლაჰის შუამავალო, დღეს ჩვენ შენგან გავიგონეთ ის, რაც ადრე არ გაგვიგონია.“

ამაზე ბრძანა:

„მინბერზე რომ ვიყავი, ჯებრაილი მოვიდა. პირველ საფეხურზე რომ ვიყავი, მითხრა:

„რამაზანი მოაღწევს და ვინც ერთმანეთს არ მიუტევებს, დაწყევლილი იყოს!“

მეც „ამინ!“ ვუთხარი.

მეორე საფეხურზე რომ ავედი თქვა:

„დაწყევლილი იყოს ის, ვინც შენ სახელს გაიგონებს და სალათს და სალამს არ წარმოთქვამს!“

მეც „ამინ!“ ვუთხარი.

შემდეგ, მესამე საფეხურზე რომ ავედი თქვა:

„დედ-მამის ან ერთ-ერთი მათგანის მოხუცებულობას რომ მოესწრება და ამით სამოთხის მოპოვებას ვერ შეძლებს, ის ადამიანი დაწყევლილი იყოს!“

მეც „ამინ!“ ვუთხარი.“ (ჰაქიმი, მუსთედრექი, IV, 170)

ეს ჰადისი გვიჩვენებს, რომ სამწუხარო დასასრული ელოდება ადამიანს, რომელიც ამდენად წყალობით აღსავსე თვეს ვერ შეაფასებს და ყურადღებას არ მიაქცევს ღვთისმსახურებას, მონა-მსახურობას, სალავათის წარმოთქმას და დედ-მამის უფლებებს.

ამ წმინდა დღეების შეფასება და ღარიბების, ობლების, უპატრონოების, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილების, ავადმყოფებისა და გაჭირვებულების გათვალისწინება, მათი დარდის გაზიარება, მათთვის ხელის გაწოდება ძალიან მნიშვნელოვანი ღვთისმსახურებაა. ვინაიდან, ეს ღვთისმსახურებები უდიდესი ღმერთის მიტევებას მოგვაპოვებინებს, მისი წყალობის კარებს აღებს, სატანჯველის გზას კეტავს.

ჰადისში ნაბრძანებია:

„მოწყალების გაცემა სამოცდაათი სახის უბედურებას აბრკოლებს...“ (სუიუთი, ელ ჯამიუს საღირი, ტ. II. გვ. 52)

„მოწყალების გაცემა ალლაჰის სატანჯველს აქრობს.“ (თირმიზი, ზექათი, 28)

ლოყმან ჰაქიმი შვილს ეუბნებოდა:

„შვილო! ნებსით თუ უნებლიედ ცოდვას როცა ჩაიდენ, მაშინვე მოინანიე და მოწყალება გაიღე!“

განსაკუთრებით რამაზანში გაცემული მოწყალების მნიშვნელობა ჰადისში შემდეგნაირადაა გაცხადებული:

ერთი კაცი წმინდა შუამავალთან ﷺ მივიდა და ჰკითხა:

„ალლაჰის შუამავალო! რომელი მოწყალებაა ჯილდოს თვალსაზრისით უფრო დიდი?“

წმინდა შუამავალამ ﷺ ასე ბრძანა:

„რამაზანში გაცემული მოწყალება...“ (თირმიზი)

წმინდანები ქველმოქმედებას და მათ მიერ გაღებულ მოწყალებას შემდეგნაირად ჰყოფენ:

შარიათის მიმდევართა მოწყალება – ქონებიდან, ხოლო ჭეშმარიტების მიმდევართა მოწყალება ქონებაზე დამატებული სულიერებიდანაა.

გონიერები მოწყალებას გულიდან გაიღებენ, რადგან ისინი ღვთის წინაშე წარდგომისგან უკან არ იხევენ; ალლაჰზე შეყვარებულები მოწყალებას სულიდან გაიღებენ, რადგან მათი სულები ღვთის ბედისწერით კმაყოფილნი არიან; მდიდრების მოწყალება ფულის ყულაბიდან ამოღებაა; ხოლო დერვიშის მოწყალება გულიდან ამქვეყნიურობის გამოდევნა.

მონა-მსახურების მოწყალება მათი სულიდან არის.

ისინი მონა-მსახურობისათვის სულს არ დაზოგავენ.

უპატრონოები და ღარიბები მადლიერი გულუხვი მდიდრების არსებობით ბედნიერი არიან. როგორც აპრილის ღრუბელი აწვიმებს მიწას წყალობასა და სიუხვეს, ისე გულუხვები და გულმოწყალენი გაჭირვებულთათვის წყალობის საშუალება არიან.

მოწყალების გამღები რაოდენი სიყვარულითა და გულითაც გაიღებს მოწყალებას, ამღებისთვის იმდენად ნაყოფიერი იქნება ეს მოწყალება. ამგვარი ვაჭრობა გამცემისთვისაც და ამღებისთვისაც სიმშვიდის წყაროა, რადგან გამცემის სულის სიღრმე ამღებზე აირეკლება. ახდება აიათში გაცხადებული:

„მოგება, რომელიც ზარალს არასოდეს მოიტანს.“

მეორე მხრივ, ქვემოთ მოცემული აიათი ყველა მონა-მსახურს ეხება:

يَاأَيُّهَا النَّاسُ أَنْتُمُ الْفُقَرَاءُ إِلَى اللَّهِ وَاللَّهُ هُوَ الْغَنِيُّ الْحَمِيدُ

„ეი, ადამიანებო! თქვენ ხართ გაჭირვებული ალლაჰთან მიმართებაში! ალლაჰი, კი მდიდარი და მადლიერების ღირსია.“ (სურა ფათირი, აიათი 15)

აქედან გამომდინარე, მონა-მსახურობის ერთ-ერთი გამოვლინებაა, რომ მდიდარმა თუ ღარიბმა – ყველამ, ღმერთის წინაშე თავი ღარიბად იგრძნოს და იცხოვროს იმ შეგნებით, რომ უდიდესი ღმერთი სჭირდება. ისლამის სწავლულები ამ მდგომარეობაზე ბრძანებენ:

„სიღარიბე – ჩვენი სიამაყეა!“

ეს ანდაზა გამოხატავს, რომ ამქვეყნიურ სიმდიდრეს გულის სიმდიდრე სჯობია. ღვთისმოსავი მდიდრებისა და ღვთისმოსავი ღარიბების თანასწორობას აღნიშნავს. მოკლედ, მცირედით კმაყოფილებს გვიბრძანებს.

ვინაიდან, ადამიანი მცირედით კმაყოფილი იქნება, სიმდიდრისას მფლანგველობისა და სიძუნწისგან იცავს თავს; სიღარიბისას კი პატიოსნად ცხოვრობენ და თავიანთ მდგომარეობაზე მხოლოდ უდიდეს ღმერთთან ჩივიან, რადგან მათ თავი ალლაჰს მიუძღვნეს.

წმინდა მევლანა ბრძანებს:

„სულგრძელ ადამიანს – ღარიბისადმი სიკეთის გამოჩენა, შეყვარებულს კი საყვარელისთვის მსხვერპლის გაღება უხდება.“

იმისათვის, რომ მოწყალების გაღებისას მაგალითი ავიღოთ, ალლამე იბნ ყაიიმი წმინდა შუამავლის ﷺ მოწყალების გაღებისას გულუხვობას შემდეგნაირად გადმოგვცემს:

წმინდა შუამავალი ﷺ მოწყალების გაღებაში არც ერთ ადამიანს არ ჰგავდა. ალლაჰის მიერ მისთვის ბოძებულ ქონებას არ აგროვებდა და არ ინახავდა. ვინმე რამეს თუ სთხოვდა, ცოტას ან ბევრს აუცილებლად მისცემდა. ის მოწყალებას ისე გასცემდა, რომ სიღარიბის არ ეშინოდა. მოწყალების გაღება ყველაზე დიდ სიამოვნებას ანიჭებდა. მოწყალების გაცემისას იმაზე დიდ სიხარულს განიცდიდა, ვიდრე ამღები. ის ადამი-

ანებს შორის ყველაზე გულუხვი იყო. მისი მარჯვენა ხელი ბარაქის მფანტავ ქარს ჰგავდა. როცა ვინმე მას დარდს უზიარებდა, უყურადღებოდ არასდროს ტოვებდა, ზოგჯერ – საჭმელს, ზოგჯერ კი ტანსაცმელს აძლევდა.

წმინდა ჯაბირის მიერ გადმოცემულ ყურანის კომენტარებში ნაბრძანებია:

„წმინდა შუამავლთან პატარა ბავშვი მივიდა და უთხრა: „დედამ თქვენს პერანგზე გამომგზავნა“. იმ დროს შუამავალს პერანგი ეცვა, მის გარდა სხვა პერანგი არ ჰქონდა და ბავშვს უთხრა რომ სხვა დროს მოსულიყო. ბავშვი წავიდა. ბავშვი მივიდა და შუამავალს უთხრა, რომ დედამისს ის პერანგი უნდოდა, რომელიც მას ტანთ ეცვა.

წმინდა შუამავალი სახლში შევიდა, პერანგი გაიხადა და ბავშვს გაუწოდა.

ამ დროს ნამაზის დროც მოსულიყო და ბილალმა ეზნის კითხვა დაიწყო, მაგრამ ალლაჰის შუამავალმა ვერაფერი იპოვა, რომ ჩაეცვა და ჯამაათის წინაშე არ გამოვიდა. ზოგიერთი მისი თანამიმდევარი დაინტერესდა რატომ არ გამოვიდა შუამავალიო და სახლში შევიდა. ალლაჰის შუამავალი უპერანგოდ ნახეს. ამ მდგომარეობამ ისინი ღრმად ჩააფიქრა.“

მეხუთე ხალიფად წოდებული ომარ იბნ აბდულაზიზი ასე ამბობდა:

„ნამაზს შენ შუა გზამდე მიჰყავხარ, მარხვა ფადიშაჰის კარებს აღებს, მოწყალება კი ფადიშაჰის წინაშე მიგიყვანს.“

უბეიდ იბნ უმეირე გადმოგვცემს:

„ადამიანები უკიდურესად მშიერი, მწყურვალი და შიშველი იქნებიან შეკრებილი. მათგან, ვისაც სააქაოში ალლაჰის გამო დაუპურებიათ, ალლაჰი იმ დღეს გააძღობს; ვისაც სააქაოში დაურწყულებია, ალლაჰი იმ დღეს დაარწყულებს. ვისაც სააქაოში ჩაუცმევია, ალლაჰი იმ დღეს ჩააცვამს.“

ჰადისში ნაბრძანებია:

„იმოწყალობე ადამიანო, რომ გემოწყალობოს!“ (ბუჰარი, მუსლიმი)

მოწყალების ჭეშმარიტებას მევლანა შემდეგი მაგალითით ლამაზად გადმოგვცემს:

„ქონებას მოწყალების გაღებით არაფერი აკლდება, სიკეთის ქმნა ქონებას დანაკარგისგან იცავს!

გადახდილი ზექათი დანარჩენი ქონების ყარაულია, მას იცავს. შესრულებული ნამაზი შენ მწყემსობას გიწევს, ბოროტებისგან, მგლებისგან გიცავს.

თესლს რომ დათესავს ადამიანი, მისი ბეღელი ცარიელდება, მაგრამ მოსავლის მოწევის დრო რომ მოვა, სანაცვლოდ რამდენს იღებს?! დაცლილი ერთი ბეღლის სანაცვლოდ რამდენ სავსე ბეღელს ინახღაურებს!..

მაგრამ ხორბალი თუ არ დაითესება, თუ გამოყენებული არ იქნება და ამბარში იქნება შენახული,

ჭია-მატლების, თაგვების საკვებად იქცევა. ესენი მას მთლიანად გაანადგურებენ.“

უდიდესი ალლაჰი ბრძანებს:

وَأَنْفِقُوا مِنْ مَا رَزَقْنَاكُمْ

„თქვენთვის სარჩოდ ბოძებულისგან მოწყალება გაიღეთ!“ (სურა მუნაფიყუნი, აიათი 10)

وَالَّذِينَ يَكْنِزُونَ الذَّهَبَ وَالْفِضَّةَ وَلَا يُنْفِقُونَهَا فِي سَبِيلِ اللَّهِ فَبَشِّرْهُمْ بِعَذَابٍ أَلِيمٍ

„...უმახარობლე (ი)**მათ წამება მწარე, რომელნიც** (მხოლოდ) **ოქროსა და ვერცხლს აგროვებენ და ალლაჰის გზაზე არ ხარჯავენ!..“** (სურა თევბე, აიათი 34)

იმის გამო, რომ ზექათი და მოწყალება ალლაჰისთვის შესრულებული ღვთისმსახურებაა, გამცემებმა უნდა იცოდნენ, რომ ისინი ალლაჰისთვის იღებენ მას. ჰადისში ნაბრძანებია:

„უეჭველია, რომ მოწყალება სანამ გაჭირვებულის ხელში მოხვდებოდეს, ალლაჰის (ძლიერ) ხელში გაივლის (ესე იგი, გაჭირვებულისთვის მიცემულ ზექათს და მოწყალებას თავდაპირველად ალლაჰი იღებს, შემდეგ ღარიბს უბრუნებს)!“ (მუნავი, ქუნუზულ ჰაქაიქი, გვ. 34)

მორწმუნე ზექათს და მოწყალებას სინამდვილეში ალლაჰს აძლევს ხელში, გაჭირვებულნიც ამის აღებაში უდიდესი ალლაჰის რწმუნებულნი უნდა იყვნენ. გამცემები გაჭირვებულებს დელიკატურად და მადლიერების

გრძნობით აღსავსე უნდა მოექცნენ.

აიათში ამ ღვთისმსახურებაზე ყურადღების გასამახვილებლად ნაბრძანებია:

وَيَأْخُذُ الصَّدَقَاتِ

„(ალლაჰი) იღებს მოწყალებებს.“ (სურა თევბე, აიათი 104)

❀

მოწყალების გაღებისას დელიკატურობისთვის ყურადღების მიქცევა ძალიან მნიშვნელოვანია. მოწყალებისას დელიკატურობაზე ყურანში ნაბრძანებია:

يَاأَيُّهَا الَّذِينَ ءَامَنُوا لَا تُبْطِلُوا صَدَقَاتِكُمْ بِالْمَنِّ وَالْأَذَى كَالَّذِي يُنْفِقُ مَالَهُ رِئَاءَ النَّاسِ وَلَا يُؤْمِنُ بِاللَّهِ وَالْيَوْمِ الْآخِرِ

„ეი, თქვენ, ვინც ირწმუნეთ! ნუ გააუფასურებთ თქვენს მოწყალებას ყვედრება-დამადლებით და დამცირებით, იმის მსგავსაც, ვინც თავის ქონებას გაიღებს ადამიანთა დასანახად და არ სწამს ალლაჰის და უკანასკნელი დღის.“ (სურა ბაყარა, აიათი 264)

წმინდანები ზექათის გადახდისა და მოწყალების გაღებისას, იმის შიშით, რომ დაყვედრება ან შეურაცხყოფა არ გამოსვლოდათ, გაჭირვებულის წინაშე მოკრძალებით ფეხზე დგებოდნენ და ისე სთავაზობდნენ. სულეიმანი უდიდესი ღმერთის ნაბოძებ სასულთნოს გულის გარეთ ატარებდა. ის ღარიბებთან ხშირად მიდიოდა, მათთან ჯდომა სიამოვნებდა.

„საბრალო საბრალოს უხდება!“

ამგვარად, ამქვეყნიურ სასულთნოში თავმდაბლობის ყველაზე ლამაზ მაგალითს აჩვენებდა. ის მუდმივად ქვემოთ მოცემული აიათის შემეცნებით ცხოვრობდა:

اأَيُّهَا النَّاسُ أَنْتُمُ الْفُقَرَاءُ إِلَى اللَّهِ وَاللَّهُ هُوَ الْغَنِيُّ الْحَمِيدُ

„ეი, ადამიანებო! თქვენ ხართ გაჭირვებული ალლაჰთან მიმართებაში! ალლაჰი, კი მდიდარი და მადლიერების ღირსია.“ (სურა ფათირი, აიათი 15)

სულეიმანს მდიდარი გულის ღარიბებთან ყოფნა მოსწონდა. ერთ დღეს მას უთხრეს:

„ასეთ ღარიბებთან და საცოდავებთან რატომ ზიხარ?“

„იმიტომ, რომ მე მხოლოდ გულით მდიდრები მიყვარს.“

თავდაცული, ჰაერით გავსებული დოქი წყალზე ისე იტივტივებს, რომ არ ჩაიძირება.

მორწმუნეს, რომლის გულიც ალლაჰის სიყვარულითაა გაჯერებული, ამავე დროს სხეულიც ვნებისა და ამქვეყნიური სიშმაგისგან დაცული აქვს, ამქვეყნიურ ოკეანეში არ ჩაიძირება და უმაღლეს საფეხურებს მიაღწევს.

მორწმუნე, რომლესაც გული გულუხვობით, გულისხმიერებით, თავმდაბლობითა და სიყვარულით აქვს სავსე, ამქვეყნიურობით არ მოტყუვდება და მას სულების სამყაროდან დაუწყებს ცქერას. მათ თვალში

ამქვეყნიური სიკეთეები არაფერია. მათი გული ღმერთის სიყვარულით ავსებულიყოს და ფრთები გაეშალოთ იმ ღვთიური სიყვარულის ზეცაში!

❁

ამ წმინდა წყალობისა და მიტევების თვეში კიდევ ერთი განსაკუთრებული მნიშვნელობა ყადირის ღამეს უნდა მივანიჭოთ.

ყადირის ღამე არის დრო, როცა უდიდესი ღმერთი მუჰამმედის ﷺ მიმდევრებს უსაზღვროდ სწყალობს. ამ ღამით უამრავი სულიერი ხაზინა იხსნება. ამ ღამის სიდიადესა და ბრწყინვალებაზე დაყრდნობით ცალკე სურა იქნა მოვლენილი.

ყურანის მოვლენა დაიწყო ყადირის ღამეს. ის ჯებრაილისა და სხვა შუამავლების თანამონაწილეობით გაბრწყინდა. მორწმუნეებისათვის უხილავი ნათელით გაბრწყინებული ეს ღამე ნაყოფიერებითა და წყალობით, ღმერთის მონა-მსახურებისადმი ლმობიერებითაა აღსავსე და რამაზნის თვის გაზაფხულია.

ყადირის ღამე წმინდა შუამავლისგან ﷺ წამოსული სულიერებით აღსავსე მიტევებისა და შემწყნარებლობის წვიმის თვეა.

ჰადისში ნაბრძანებია:

„ყადირის ღამის ღირსებისა და სიწმინდის რწმენით, სიკეთის მხოლოდ ალლაჰისგან მოლოდინით ღვთისმსახურებასა და მორჩილებაში გატარების შემთხვევაში, მორწმუნეს სხვისი უფლებების შელახვის გარდა, სხვა ცოდვები მიეტევება.“ (ბუჰარი, მუსლიმი)

ჩვენ ყადირის ღამის ჭეშმარიტება ამქვეყნიურ მიზნებში არ უნდა ავურიოთ. თვალთმაქცობის და სხვა მსგავსი ჭუჭყის გარეშე,გულწრფელად შესრულებული მარხვა, ნამაზი, ზექათი თუ სხვა მონა-მსახურეობრივი მოვალეობები ნამდვილად შეგვაძლებინებს სრულყოფილად შევიგრძნოთ რამაზნის ბაირამი.

ჩვენ ვართ მგზავრები, ვისაც ერთ დღეს ყველა ამქვეყნიური სიკეთე ხელიდან გამოგვეცლება.

ღირსეულ გულებს სულიერებით აღსავსე ეს დღეები მოენატრებათ. მიტევებისა და ჯოჯოხეთისგან განმათავისუფლებელ დღეებთან განშორებისას ღვთისმოშიშები ცრემლებს გადმოაფრქვევენ. ღმერთი ბაირამის დღეებს მხოლოდ იმ ღვთისმოსავებს სთავაზობს ვინც მოთმინებისა და ბოძებული სიკეთის ფასი იცის და მოწყალებას გაიღებს.

ღმერთო ჩვენო, ამქვეყნიური ცხოვრება ჩვენ – რამაზნად და განკითხვის დილა დღესასწაულად გვიქციე!

ამინ!

მუსლიმანური სამართლის მოძღვრებიდან

მარხვა

მარხვის დროს ფარძია, ალლაჰის კმაყოფილებისათვის, იმსაქის დროიდან საღამოს მზის ჩასვლამდე ჭამა-სმას და სქესობრივ ურთიერთობას თავი ავარიდოთ.

მდგომრეობები, რომლებიც მარხვის მოშლის შემთხვევაში გამოსასყიდს საჭიროებს

1) შეგნებულად ჭამა-სმა, აგრეთვე ჩვევად ქცეული თიხის, მიწის და ა.შ. ჭამა; უმი ხორცის, ბასთურმის ჭამა; სიგარეტის, ბურნუთის მოწევა; ქუნჯუთის, ხორბლის მარცვლის მსგავსი რამის ჭამა.

2) სქესობრივი კავშირის დამყარება.

3) მიუხედავად იმისა, რომ პიროვნებამ იცის რაა სისხლის გადასხმა, კბილების გამოხეხვა, სურმის გაკეთება და მსგავსი რაღაცები მარხვას არ შლის, ამ პროცედურების შემდეგ მარხვა მომეშალაო და ისეთი რამეები გააკეთა, რომელიც მარხვას შლის. ან ცოტა მარილის ჭამა.

მდგომარეობები, რომელიც მარხვის მოშლის შემთხვევაში გადავადებულ მარხვას საჭიროებს

1) ისეთი პროდუქტების ჭამა, რომლებსაც ადამიანის ბუნება საკვებად არ თვლის. მაგ:. ქაღალდის, ბამბის, მიწის, ხმელი ბალახის, ჩალის ღეროს და ნაჭუჭიანი კვერცხის ჭამა.

2) პირში შევარდნილი წვიმის წვეთის, თოვლის ფანტელის გადაყლაპვა.

3) საკუთარი სურვილით ღებინება;

4) არ ვიცოდით, რომ დავიწყებით ჭამის დროს მარხვა არ იშლება და ჭამა გავაგრძელეთ.

5) ცხვირში, ყურში და ყელში რაიმეს ჩაწვეთება;

6) საჰურიდან კბილებს შორის დარჩენილი მუხუდოს მარცვლისოდენა საჭმლის ნარჩენის გადაყლაპვა;

7) ჩათვლა იმისა, რომ მზე ჩავიდა და მარხვის მოშლა. მიუხედავად იმისა, რომ ეჭვი გეპარება, უკვე გათენდაო, – საჰურის საჭმლის ჭამა.

ბაირამი

იმის გამო, რომ მარადიული მხოლოდ უდიდესი ღმერთია, ყველა არსება მარადიულ ცვლილებებს განიცდის. ეს სამყაროში წელიწადის დროების ცვალებადობას მოსდევს. სრულყოფილებასა და დაცემას შორის მარადიულად ცვალებად სამყაროში ხან შემოდგომა და სუსხიანი ზამთარია, რომელსაც ყველა არსებისთვის მძიმე სატანჯველი მოაქვს, ხან გაზაფხულის ნაყოფიერება, წყალობის მშვენიერება და სიმშვიდე სუფევს.

ადამიანის ცხოვრებაც სამყაროში ამ საყოველთაო ცვლილებებს ექვემდებარება და ათასგვარ აღმა და დაღმასვლას განიცდის. ახალდაბადებული ბავშვის სიცოცხლის პირველი გამოვლინება ტირილია. სიცოცხლე კი მთავრდება სიკვდილით, რომელსაც ადამიანი მის მიერ მიღწეული უმაღლესი საფეხურის წყალობით ვერ შეიგრძნობს.

სიცოცხლის დასაწყისსა და დასასრულს შორის სიმშვიდე – სიხარული და ტანჯვა – ნაღველი ერეთმანეთს ენაცვლება. ამგვარად, ადამიანის ცხოვრება აღ-

მართ-დაღმართზე სიარულის მღელვარებისგან შედგება. ამის მიხედვით, ადამიანის ცხოვრების გამგებელი ეს მდგომარეობა ღრმა გრძნობებისა და დაფიქრებული ადამიანებისთვის ტანჯვის ძლევის თვისებას მოითხოვს, რადგან გამორჩეული და იშვიათი შემთხვევები რომც იყოს, სიმშვიდის და სიხარულის წამებიც არ აკლია ადამიანს და ამათგან ერთ-ერთი ბაირამია.

ამქვეყნად ადამიანის ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ვნების და სულიერი გრძნობები ახდენს ზეგავლენას. ბაირამი ამ გრძნობებს შორის მორალური ზემომქმედია. ის ადამიანში მეგობრობისა და ნათესაობის გრძნობებს აძლიერებს; თვისებების, გულისხმიერების, ერთგულებისა და ალტრუიზმის გრძნობებს აღაგზნებს. აქედან გამომდინარე, ბაირამის ყველაზე ლამაზი განცდაა მეგობრული და ნათესაური კავშირების გაძლიერება, ჩვენი გულის გაღება ღარიბების, უცხოების, უპატრონოების, ობლების, ქვრივების და უძლურებისათვის. ადამიანი, რომელიც ზურგს შეაქცევს მეგობარს, ახლობელს, ტანჯულს და განდეგილს, ბაირამის სიხარულსა და სიამოვნებას ვერ შეიგრძნობს. ჰადისში ნაბრძანებია:

„ფარძების შესრულების შემდეგ, უდიდესი ღმერთისთვის ყველაზე საყვარელი ქმედება მუსლიმანი ძმისთვის სიხარულის მინიჭებაა.“ (სუიუთი, ელ ჯამიუს სარირ, 1, 11)

რადგან ბაირამი არის სცენა, სადაც რწმენის ძმობის გამოცხადება შეიძლება. სიკვდილის მეორე მხარის მხიარული დღეებისთვის წყალობის ჩირაღდანია.

ამ მდგომარეობაში უნდა შევიმეცნოთ, რომ ჭეშმარ-

იტი ბაირამი ტანჯულის გახარება, მისთვის სიხარულის მინიჭებაა. ასეთი ბაირამი ადამიანს თავის სიამოვნებასაც შეაგრძნობინებს და სხვების გახარებით გამოწვეულ სიამოვნებასაც.

ვინაიდან, ბაირამი პიროვნული კი არა, საზოგადოებრივი სიხარული, ამ სიხარულის ერთმანეთისთვის განაწილება, მუსლიმანების მიერ ერთმანეთისადმი ძმობის შეგრძნებაა.

ნეტავ ბაირამზე ფრთამოტეხილი ჩიტივით უსუსურ, ილაჯგაწყვეტილ და უსიხარულო ადამიანებს რა შეიძლება მივუტანოთ?

წმინდა მევლანა ბრძანებს, რომ აუცილებელია გულგატეხილ ადამიანებს მგრძნობიარედ მოვექცეთ:

„გული, რომელსაც შენ არაფრად აგდებ, ჩალის ღეროდ თვლი, ყველაფერზე მაღლა დგას.

განადგურებული გული ღმერთის სამეთვალყურეო ადგილია, ღმერთის მობრძანების ადგილია. ღმერთის განძი გატეხილ გულშია. გატეხილ გულში ძალიან ბევრი განძია ჩამარხული. გულის გამჩენი უმაღლესი და ყოვლისშემძლეა.“

უნდა ვიცოდეთ, რომ ბაირამი დასვენება ან პიროვნული მხიარულების საშუალება არ არის, ის საზოგადოებრივი სიყვარულის, თანაგრძნობისა და გულისხმიერების, ადამიანის გრძნობების ბრწყინვალების ადგილია.

ნამდვილი ბაირამი უნდა იყოს დღე, სადაც წყალობისა და მიტევების გარემოში ღრმა რწმენით აღვსილი

მუსლიმანები ერთმანეთს საუცხოო მოგონებებს უზიარებენ.

ბაირამი დიდ-პატარის, მდიდარ-ღარიბის საერთო სიხარულის დღეა. მათი, ყველას, კმაყოფილება ბაირამის ნამდვილი მნიშვნელობის განცდითაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, ბაირამი უნდა იყოს გამჩენის გამო ყველა არსების სიყვარულის,თანაგრძნობის თავაზიანობისა და თანადგომის საშუალება.

ბაირამის დღე სევდიანების, უპატრონოების და ტანჯულების გულის მოგებით უნდა დავიწყოთ. ჰადისის მიხედვით, ბაირამის მილოცვა უნდა დავიწყოთ ჩვენი წინაპრების საფლავებიდან, რომლებიც დახმარებას და თანაგრძნობას ყველაზე მეტად საჭიროებენ. ეს მდგომარეობა, მკვდრების მონატრების დაკმაყოფილება, მეორედ მოსვლის დღეს ხდება. სურა „ფათიჰას“ წაკითხვა და მოწყალების გაღება ჩვენი წინაპრებისადმი ჩვენი ვალის მოხდაა. ეს გაგვახსენებს, რომ ერთ დღეს ჩვენც ამ მკვდრების მდგომარეობაში ვიქნებით, რომლებიც მონახულებას საჭიროებენ. ეს არის საშუალება ცხოვრება ამ შემეცნებით გააკონტროლოს და დაარეგულიროს. ჩვენი წინაპრები იმისათვის, რომ ადამიანს თავისი დასასრული არასდროს დავიწყებოდა და აქედან გაკვეთილის მიღება შეძლებოდა, სასაფლაოებს ქალაქის განაპირას აკეთებდნენ.

ალლაჰის შუამავალი ﷺ თავის თანამიმდევრებს ხშირად ეკითხებოდა:

„ჩემო თანამიმდევრებო! დღეს ობოლს თავზე ხელი გადაუსვით? ავადმყოფი მოინახულეთ? მიცვალებულის

გასაცილებლად იყავით?“

წმინდა შუამავალი ﷺ ხშირ-ხშირად რომ ეკითხებოდა თავის თანამიმდევრებს, ის საზოგადოებრივი ღვთისმსახურებებია, რომლებსაც ბაირამზე აუცილებლად დიდი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ.

ჩვენი ბავშვები ჩვენი მომავალია. ბაირამზე მათთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულება მათი მომავლის სიჯანსაღისთვის საფუძვლის ჩასაყრელად გაწეული ხარჯია. წმინდა შუამავალი ﷺ ერთ დღეს როცა მეჩეთიდან სახლში ბრუნდებოდა, გზად მოთამაშე ბავშვებს შეხვდა. უცებ დაინახა, რომ ერთი ბავშვი ფრთამოტეხილ ჩიტივით სევდიანად შესცქეროდა შორიდან მოთამაშე ბავშვებს. მაშინვე თანაგრძნობით აღივსო და ბავშვისკენ წავიდა. ღიმილით ჰკითხა:

„შვილო! ამხანაგებთან ერთად რატომ არ თამაშობ?“

ბავშვს თვალები აეცრემლა. თვალცრემლიანმა უთხრა:

„მამაჩემი მოკვდა! თან ძმა არ მყავს, რომ ვეთამაშო?“

წმინდა შუამავალმა ﷺ ბავშვს თავზე ხელი გადაუსვა და თავის შვილიშვილზე ჰასანზე, მიუთითა, რომელიც იმ დროს მის გვერდით იდგა:

„არ გინდა, ჰასანის ძმა იყო?“

ამაზე ბავშვის სახიდან სევდა სადღაც გაქრა, მის ნაცვლად ღიმილი გადაეკრა.

წმინდა შუამავალი ﷺ პატარა ბავშვის გულსაც კი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მას სიყვარულს, თანაგრძნობასა და გულისხმიერებას ჩუქნიდა. ამგვარად თავის მიმდევრებს ნამდვილი ბაირამის გზას აჩვენებდა.

ნამდვილი ბაირამი ამქვეყნად,რომელიც სულისთვის უცხო მხარეა, მონა-მსახურობისა და ღვთისმოშიშობის შემდეგ ღმერთის მიერ ნაწყალობევი სიხარულის დღეა.

წარმავალი დღეების დღესასწაულად ქცევის საიდუმლო რწმენით ცხოვრება და საჭიროებისამებრ ქმედებაა. ღვთისმსახურებაში,თექბირში,ღმერთის ხსენებასა და ადამიანების დახმარებაში, უცხოებისთვის გულის გაღებაში გატარებული ყოველი ბაირამის დღე სიკვდილის შემდეგი მხიარული დღეებისთვის წყალობის ჩირაღდნებია.

სხვა გამოხატულებით, ბაირამის დღე ღმერთის მასპინძლობის დღეა. მათთვის, ვინც რამაზნის ღირსებას შესაბამისად შეიმეცნებს, ამ ნაყოფიერ სეზონს ღმერთის ბრძანებების შესაბამისად გაატარებს, მარადიულ სიამოვნებას წარმავალ სიამოვნებაზე მაღლა დააყენებს და ამქვეყნიურ სიამოვნებას საიქიო სიხარულს არჩევს.

ბაირამი ერთი გადასახედიდან სულიერი გამარჯვების აღნიშვნაა. ღვთიური მონაპოვრის საზოგადოებრივი სიხარულის განცდაა. აქედან გამომდინარე,ბაირამი პიროვნული არა, საზოგადოებრივი სიხარულია. დიდი მადლიერების სიმბოლო ბაირამ ნამაზი ინდივიდუ-

ალურად კი არა, *ჯამაათით* ილოცება. მორწმუნეები ბაირამზე რწმენისა და სიყვარულის შესაბამისად აღწევენ წარმატებას, სათნოებას გამოიმუშავებენ.

მეორე მხრივ, საჭიროა არ დაგვავიწყდეს, რომ ამქვეყნიური ცხოვრება ჩვეულებრივ მოკლე რამაზნის სეზონია, განკითხვის დღე დღესასწაული, რომელსაც ბედნიერების მოტანა შეუძლია.

გარდა ამისა, არიან ადამიანები, რომლებსაც გული მუდმივად ყადირის ღამის ნაყოფიერებით აქვთ აღსავსე, მათ მიერ განცდილი სულიერი სიამოვნება ენით აუწერელია. ეს ის იშვიათი ადამიანები არიან, რომელთა ცხოვრებაში ამქვეყნადვე აირეკლება ღმერთის ყველაზე დიდი წყალობის სამოთხის ბედნიერება. ამ სიამოვნების მოპოვება მხოლოდ სრულყოფილი გულით შეიძლება. აიათში ნაბრძანებია:

يَوْمَ لَا يَنْفَعُ مَالٌ وَلَا بَنُونَ إِلَّا مَنْ أَتَى اللَّهَ بِقَلْبٍ سَلِيمٍ

„იმ დღეს სიმდიდრე და შვილები (ვერაფერ) **სარგებელს ვერ მოიტანს** (ვერავისთვის)**, გარდა იმათი, ვინც ალლაჰის წინაშე სუფთა გულით წარსდგებიან!“** (სურა შუარა, აიათები 88-89)

ამ აიათში გაცხადებულია, რომ იმას, რაც ამქვეყნიურ სიმდიდრეს წარმოადგენს (ქონება და შვილი), იმქვეყნად არავითარი სარგებელი არა აქვს, იმქვეყნად ბედნიერების კაპიტალს მხოლოდ სრულყოფილი გული წარმოადგენს. გულის სრულყოფილებასთან მიღწევის ხელსაყრელ შეთხვევათაგან მნიშვნელოვანი ბაირამია. ამის შესაბამისად, შემეცნება და მისი გულისხმიერე-

ბასა და სიხარულში გატარებაა საჭირო.

ბეჰლულდანა ბაირამს შემდეგნაირად აღწერს:

„ბაირამი იმისთვის კი არ არის,რომ ლამაზი ტანსაცმელი ჩავიცვათ, არამედ იმისთვის, რომ ღვთიური სატანჯველისგან განთავისუფლება, კეთილდღეობისა და უსაფრთხოების მოპოვება შევძლოთ. ამის გაკეთება კი გულისხმიერებითაა შესაძლებელი.

ბაირამი ლამაზ ტრანსპორტზე დასაჯდომად კი არა, ცოდვებისა და შეცდომებისგან გასასუფთავებლად, ვნების დასამარცხებლად და ამგვარად ალლაჰთან წამყვან სრულყოფილი გულის მოპოვებისთვისაა.“

ამის გამოა, რომ ბაირამი ყველა ადამიანში თავისი გულის მიხედვით გამომჟღავნდება. გული რამდენად გულისხმიერებით, სიყვარულითა და სიხარულითაც არის აღსავსე, დღესასწაულიც იმდენად უსაზღვრო და ბრწყინვალე იქნება.

უკვე დიდი ხანია ისლამურ სამყაროში ბაირამი ამ დიდებულ შინაარს დაშორდა. ზოგიერთები ბაირამს არდადეგებად თვლიან და სამოგზაუროდ მიდიან, მის საზოგადოებრივ და სულიერ მნიშვნელობას ამსხვრევენ. უნდა ვეცადოთ ბაირამი მის ნამდვილ შინაარს დავუბრუნოთ და ისლამის ძირს მოცილებული ეს ნეგატიურობა აღმოვფხვრათ.

ვინაიდან, ბაირამი ისლამის შემეცნებისა და საზოგადოებრივი მორალის ყველაზე სრულყოფილი გამოვლინებაა.

ბაირამს რამდენადაც შევიმეცნებთ ჭეშმარიტი მნიშვნელობით, იმდენად წავიწევთ წინ ისლამის ალტრუიზმისა და ნაყოფიერების გზაზე. ამის მიხედვით ამ ბაირამზე ჩვენი სული ჩვენ მიერ გამოჩენილი გულისხმიერებისა და მსახურების მიხედვით უნდა განვსაჯოთ და ღმერთს იმ ადგილიდან უნდა შევასხათ ქება დიდება, სადაც ვიმყოფებით.

რა ბედნიერები არიან ისინი, ვინც შეძლებენ ბაირამი ტანჯულების ღიმილით გაინათონ!

რა ბედნიერი არიან მორწმუნენი, რომლებიც ბაირამზე ერთმორწმუნეებისთვის გულის კარებს ფართოდ გააღებენ!

სარჩევი

წინასიტყვაობა 5

ისლამი და მისი დიდებული სტრუქტურა 17

ისლამის ხუთი ბურჯი 48

ქელიმეი შეჰადეთი და რწმენის საფუძვლები 59

ალლაჰის რწმენა 68

ანგელოზების რწმენა 125

ღვთიური წიგნების რწმენა 129

შუამავლების რწმენა 132

საიქიოს რწმენა 151

ბედისწერის რწმენა 166

ორი ნაწილი 186

სასწორზე ყველაზე მძიმე სიტყვა 199

დიდი შუამდგომელი 207

ქელიმეი შეჰადეთის ღირსება 210

შეჰადეთის დამზიანებელი ქმედებები 215

ნამაზი 235

როგორ ხორციელდება ნამაზზე მორჩილება 253

ალლაჰის შუამავლის ნამაზი 266

ისლამის სათავეებთან მდგომთა ნამაზი 268

დღეში ხუთჯერ ფარძი ნამაზი 274

ნაფილე (ნებაყოფლობითი) ნამაზები 280
ჯამაათით ნამაზი 296
ერთადერთი თავშესაფარი ნამაზი 302
სწორად შესრულებული ნამაზი 309
უგულისყუროდ ნალოცი ნამაზი 310
ნამაზს დაშორებულნი 313
ნამაზი სხვაობაა 316
დასკვნა 319
აბდესი, ღუსლი, თეიმუმი და ნამაზი 323
ზეძათი და მოწყალების გაცემა 335
ოშური 373
მოწყალებაში დელიკატურობა 393
ზეძათი (ძონების გადასახადი) 405
ჰაჯობა 411
ჰაჯობა და ყურბანი 461
რამაზანი და მარხვა 467
მარხვა 503
ბაირამი 505